ელიზბარ ჯაველიძე

უკუნეთი

„ახალი ერა“
თბილისი 2001

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია ელიზბარ ჯაველიძის წერილები და ინტერვიუები, რომლებიც 1991-1999 წლებში ქვეყნდებოდა სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებში. მათში ნათლად წარმოჩინდა ის მწვავე პრობლემები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში იმ ხანად წამოიჭრა. წიგნის ავტორი ყოველთვის იჩენს პრინციპულობას და ობიექტურად აშუქებს ამა თუ იმ მოვლენას.

ვფიქრობთ, ეს წიგნი დაინტერესებს მკითხველ საზოგადოებას.

რედაქტორი ნანა ცირამუა

© ელიზბარ ჯაველიძე, 2001]

წ ი ნ ა თ ქ მ ა

მეოცე საუკუნის დასასრული, განსაკუთრებით კი ბოლო ათწლეული, დიდი კატაკლიზმებით სასიათდებოდა: საქართველომ 70 წლის შემდგომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, დაიშალა საბჭოთა კავშირი, ხალხმა შვებით ამოისუნთქა... 1990 წლის არჩევნებში გაიმარჯვეს ეროვნულმა ძალებმა. ქართველი ხალხი ძლიერმა აღტკინებამ და წარმატებით გამოწვეულმა აღმაფრენამ მოიცვა. თავისუფლების მოპოვებით გამოწვეული ბედნიერების განცდა იმდენად ძლიერი იყო, რომ ეს გამარჯვება იოლ წარმატებად მივიჩნიეთ, ასეთმა განწყობამ კი ერთგვარად მოგვადუნა, ნეტარებით თავბრუდასხვევლებმა სიფხიზლის გრძნობა დაკარგეთ...

მტერს კი არ ეძინა, ძალასა და ენერგიას არ ზოგავდა, რომ როგორმე ჩანასახშივე მოესპო თავისუფლებისათვის მებრძოლი ერის სიმაგე... არც დასცალა: ეველაზე საშიშარი ის არის, რომ მან მოასერხა ჩვენშივე ეპოვა ,,მესუთე კოლონა", რომლის გამოვლენებითაც დაშლა ეროვნული ხელისუფლება და საქართველოს დამოუკიდებლობას საფუძველი გამოაცალა: დიახ, ამერიკის ნებითა და კარნახით, რუსეთის საშინდრო ძალის გამოეენებით ერთმა მეჯა ნაძირალა ქართველებმა განახორციელეს ეუტჩი და უკანონო გზით ხელთ იგდეს ძალაუფლება! ამ დღიდან დაიწყო საქართველოს ნგრევა-დაქუცმაცება...

რაც ხდებოდა და რაც ხდება დღესაც, ამ სისაბაგლის სრულად გადმოცემას, ალბათ, ეამთაალმწერთა რუდენება სჭირდება. მე შოლოდ ამ ბორბოტების ზეობის ზოგიერთი მომენტი მახსენდება:

ეგვანო უზურპატორთა ანლომხედველობით, ეჭკეობით, ანდა, მეტიც, რაც უფრო დამფიქრებელი და საგანგაშოა, მასონთა კარნახითა თუ ბრძანებით დაიწყო საქართველოს საბოლოო განადგურება, აღგვა ჰირისაგან მიწისა.

სრული ქაოსი და აღვირახსნილობა... შეიარაღებული ბანდების თავაშვებული თარეში; უდანაშაულო ადამიანების ძარცვა და ხოცვა... განმკითხავი კი არ ჩანს... ჰირიქით, მკვლელებს ღირსების ორდენით აჯილდოვებენ... ეოველიეე ამან კი ქართველი კაცი ფიზიკურად დაბეჩავა და სულიერად დასცა...

ხალხის ძარცვას ხასელმწიფომაც მიჰო ხელი: ბანკების სხვადასხვა მაქინაციებით ისე გაძარცვეს ოჯახები, რომ ერთი გროშიც არ დაუტოვეს... ამას ერთვის ტოტალური უმუშეერობა... უსელფასობა... უეენსიობა... ასე რომ, ამაეი ქართველი კაცი აიძულეს სამთსოვრად ხელი გაეწვდინა.

გადაწვეს და გადაბუგეს ერთ დროს ნოეიერი ველ-მინდვრები, მთლიანად გაჩანაგდა სოფლის მეურნეობა. გაეერანდა და დაინგრა ფაბრიკა-ქარხნები... ,,ასალმა ქართველებმა" ჩალის ფასად შეიძინეს ქვეყნის დოელათი, რათა მერე უცხოელებისათვის მიეყიდათ სოლი-

დურ ფასად... იყიდება ქართული მიწები, მას ეუფლება და ეპატრონება უცხო თესლი, ქართველი უმისა და მონის ბედს სჯერდება...

ბაკურნის ტყვეობით დაპატრაჟებულ ჩვენ ქვეყანას გულგრილად ვერ აღიქვამს ჭეშმარიტი მამულიშვილი... უაზრო ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიები, 30 ათასი ჩასოცილი ახალგაზრდა, ასი ათასობით ლტოლვილი... სად გაგონილა, ქართველი საკუთარ სამშობლოში დევნილად იქცეს?!

სამშობლოს სიყვარულს აბუჩად იგდებენ, მეტიც, მას დანაშაულად მიიჩნევენ... უამრავი პატრიოტია დაკარგული, წამებული და მოკლული, უამრავი — ემიგრაციაში გასიზმრული...

დამცირებული და გათელილი ჰატიოსნება და განათლება... აღსაკვეთული ნამირლობა და სირეგვენე... კორუფციის ჯერაც გაუგონარი აეკვება... მისი სიდიდეც მატულობს იერარქიული საფეხურების მიხედვით, ყველაზე მეტად ის იფერფლება უმაღლეს საფეხურზე...

მიზანმიმართული ბრძოლა ქართული ცნობიერების, ტრადიციების, რწმენის, ზნეობრიობის, კულტურის, სულიერების წინააღმდეგ... გეგმაზომიერად იმართება ქართველთა გადაგვარების, ეროვნული გადაგვარების პროცესი, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის მასმედიას.

კიდევ მრავალი ბნელი მხარის გასსენება შეიძლება. მაგრამ ასე ხომ დაუსრულებლივ გასტანს. ერთი სიტყვით, სრული ქაოსი და უკუნეთი ბატონობს ირგვლივ, იმედის სხივიც არ ბეჟეტავს სადღაც...

აი, ამ ბოლო ათწლეულის უკუნეთში მომიხდა მეც ცხოვრება. მრავალი უკეთურება მომიხდეს ამ სულჩანდულებულებმა: დევნა-შევიწროვება, სამსახურიდან დათხოვნა, სახლის დაცხრილვა, დაპატიჟრება, იძულებითი ემიგრაცია და სხვ...

მაგრამ ჩემი შეჯერვება რა მოსატანია, როცა მთელი ქართველი ერი ასგზის გაჯირ-ფებულია, როცა მთელი საქართველო ხელ და ხელ შუა გვეცლება. ამიტომაც ჰირადულზე წუწუნი არ გვეგების. არც როდის მიწუწუნია. თუკი ვიბრძოდი, თუკი ხმას ვიმაღლებდი, მხოლოდ ერისა და ქვეყნის საკალალო მდგომარეობისა გამო...

წინამდებარე წიგნიც თავი მოკუკარე ბოლო ათწლეულში სხვადასხვა დროს დაწერილ წერილებს, სადაც წარმოჩენილია ერის გულისწუხილი და ტკივილი. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი წერილის გამოქვეყნების თარიღს დაახლოებით ათი წელი გვაშორებს, ჩემი აზრით, მათ მაინც არ დაუკარგავთ აქტუალობა.

თუ ამ კრებულში მოთავსებული წერილები ქართველ მკითხველს კიდევ ერთხელ შეახსენებს გარდასულ წელთა ტრაგიზმს, ჩაახედებს მის არსში, მართებული კუთხით აღაქვევინებს მას, რათა მომავალში არ გამეორდეს ქართველის მიერ ქართველის ღალატი და სისხლისღვრა, ჩემს მიზანს მიღწეულად მივიჩნევ...

2001 წელი

უკუნეთი

კაენური სულის აღზევება

იმას, რაც საქართველოში მოხდა ან რაც დღეს ხდება, ცივილიზებულ სამყაროში გონიერი ადამიანი სახელს ვერ მოუძებნის. ცივილიზებულ სამყაროში-მეთქი, ხაზს ვუსვამ, თორემ ჩვენში როგორ ვერ მოუძებნის. **აკი, ათასგვარი სახელით მონათლეს კიდეც ის გაუგონარი ძმათამკვლელობა, ჩვენი ერის ისტორიაში შავ ლაქად რომ დარჩება და რომლის გახსენებაც კი სირცხვილის ალით დაწვავს ჩვენს შთამომავლობას. დაწვავს და ერთგვარად დათრგუნავს კიდეც იმის შეგრძნება, რომ ის შთამომავალია იმ წინაპართა, ვინაც, კაენის მრწამსით აღზევებულმა, არ დაინდო საკუთარი ძმა, დაღვარა მოყვასის სისხლი და ეს სისხლისღვრა ცხოვრების წესად გაიხადა.** ეს ამაზრზენი ამორალობა მით უფრო შემზარავია, თუკი გავიაზრებთ, რომ ერის „რჩეულ ელიტას", რომელმაც სული შთაბერა ამ ბოროტებას, კარგად მოეხსენებოდა ან, ყოველ შემთხვევაში, უნდა სცოდნოდა, რას იქმოდა. დიახაც, მათ კარგად უწყოდნენ, თუ რა ძალას, რა შავბნელ სატანას ემსახურებოდნენ.

ქართველი ხალხის ენითაუწერელ ტრაგედიას, როცა მოძმემ არა მხოლოდ მოძმე გაიმეტა სასიკვდილოდ, არამედ ახლადგამოღვიძებული საქართველო, რომელიც ის-ის იყო თავისუფლებას უნდა ზიარებოდა, საბოლოოდ გაწირეს დასაღუპავად, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, ისევ და ისევ განუმზადეს სამუდამო მონობის უღელი, ქართული საზოგადოების ერთი ნაწილი გამართლებას უძებნის და სხვადასხვა სახელით ნათლავს მას. როგორ და რა გზებით ამართლებენ მომხდარ უბედურებას, ამაზე ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი ზედმე-

ტი არ იქნება, თუ ორიოდე სიტყვით მაინც შეეეხებით იმ ადამიანთა საკრებულოს, უფრო მართებულად, „თაიგულს“, ვინაც „ანიზრახა „დესპოტიზმისაგან“ ეხსნა ჩვენი ერი და „დემოკრატიის ალამდარი“ გამხდარიყო.

უპირველეს ყოვლისა, რაც თვალში გეცემათ, ეს არის „მოქმედი დასის“ სიჭრელე და ნაირგვარობა. ვის არ იხილავთ მათ შორის: მორფინისტსა თუ ქურდს, თაღლითსა თუ გაქნილ საქმოსანს, ქორვაჭარს თუ ვაჭრობის „დამსახურებულ“ მუშაკს, პატიოსან თუ მრუშ ქალბატონს, გაჭაღარავებულ, გამობრძმედილ პოლიტიკოსს თუ ახლადგამოჩეკილ კარიერისტ პოლიტოლოგს, ყოფილ ფუნქციონერ კომუნისტს თუ სუკ-ის აგენტს, კანონის დამრღვევს თუ მილიციის თანამშრომელს, მწერალს თუ ჟურნალისტს, მღვდელმსახურს თუ შარაგზის შეიარაღებულ ყაჩაღს, ერთ დროს აღზევებულ რეჟისორს თუ სახალხო არტისტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს თუ უმაღლესი სასწავლებლის პედაგოგს დაბოლოს, რაც სამწუხაროა, გზასაცდენილ, უფრო მართებულად, გაბრიყვებულ ახალგაზრდას, სკოლის მოსწავლეს თუ სტუდენტს. ამ უკანასკნელთ ყველაზე ნაკლები ცოდვა მიუძღვით ტრაგედიაში, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, ყველაზე მეტად ისინი დაისაჯნენ: ან ნაადრევად დატოვეს წუთისოფელი, ძმის ხელით გამეტებულებმა, ან სავსებით ყმაწვილები, უკვე მკვლელებად მოგვეელინნენ და მთელი თავისი სიცოცხლე ეს დიდი და მძიმე ცოდვა უნდა ზიდონ. ამიტომაც კაცმა არ იცის, ვინ უფრო შესაბრალისია — ის ყმაწვილი, ვინც მოკლულ იქნა, თუ ის, ვინც ცოცხალია და გმირად მოაქეს თავი.

სიტყვამ მოიტანა და ბარემ აქვე ვიტყვი, **ყველაზე ბრალეულნი ამ საქმეში ჩვენი ინტელექტუალური სამყაროს ის წარმომადგენელნი არიან, რომლებმაც იდეოლოგიურად მოამზადეს ეს მკვლელობა.** გარეგნულად ისინი უცოდველებად გამოიყურებიან, ხელები სისხლში არა აქვთ გასვრილი, მაგრამ, არ შევცდები თუ ვიტყვი, ქართველთა სისხლი რომ დაიღვარა, მათი გონიდან და სულიდან არის გადმონთხეული. ამას დღეს ბავშვიც კი ხვდება, თავადაც კარგად უწყიან, ამიტომ ახლავე სურთ უცოდველ კრავებად მოგვაჩვენონ თავი. ურცხვი მიამიტობით ბრეცენ ბაგეებს და სცრიან: ჩვენ რაო?! ჩვენ მხოლოდ სიტყვისა და პრესის თავისუფლებისათვის ვიბრძოდით, თავ-

ქარიანებმა კი სისხლი დაღვარესო... ანდა, უფრო შორს მიდიან, აცნობიერებენ თავიანთ საქციელს და ხედებიან, რომ ჭეშმარიტი მკელელები თავად არიან, ამიტომაც სურთ მკელელის კომპლექსისგან განთავისუფლდნენ და პირდაპირ, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე, ამართლებენ ძმათაკვლას. თანაც აცხადებენ, დესპოტიზმის დამარცხება და დემოკრატიის გამარჯვება სისხლის გაღებას მოითხოვსო. რა დემოკრატიაც დამკვიდრდა, ამაზე ცოტა ქვემოთ... მაგრამ ახლა უნდა შევუძახო: ჰეი, ტქვენ, აღზევებულნო, მოყვასთა სისხლით დამტკბარნო, საკუთარ თითსაც რომ არ გაიჭრით, საკუთარი „შინაური ცხოველები" რომ გადამალეთ, რამე არ დაუშავდეთო, სხვისი შვილების სიცოცხლის ხელყოფის უფლება ვინ მოგანიჭათ, მითხარით ერთი! არა, უფრო გასაოგნებელი ის არის, 9 აპრილის აქციის აუცილებლობას და მის პოლიტიკურ შედეგს ალმაცერად რომ შეჰყურებენ და საძრახისად მიაჩნიათ, ხოლო დეკემბრის ძმათამკველელ ბრძოლებს კი ამართლებენ და აღფრთოვანებითაც ლაპარაკობენ მასზე. ვინმემ ისე არ გამიგოს, თითქოს აპრილის თვეს უცოდველ ადამიანთა სიკვდილი მომწონდეს. არა და არა! **მაგრამ ამ ტრაგედიამ, როცა ხელში სანთლებით ლოცვადდამდგარ ქართველებს კბილებამდე შეიარაღებული საბჭოთა ჯარი გაუსწორდა, მთელი საქართველო შეძრა, ფეხზე დააყენა, სულიერად გამოაღვიძა, აამაღლა, გააერთიანა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად შემართა. მაშინ როცა დეკემბრის უბედურებამ – ქართველმა რომ ქართველის სისხლი ისე დაღვარა, ვითომც აქ არაფერიაო და შემდგომაც მთელ საქართველოში სისხლის კვალი გაავლო – ქართველი ერი ორად გახლიჩა, დააკნინა, დაბეზავა როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, და ათქმევინა: ნეტამც ქართველად არ ვიყო დაბადებული, ნეტამც ხვალინდელი დილა არ გამითენდესო! ყოველივე ეს ხომ დღესავით ნათელია.** განა ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ამ ორი ტრაგედიის, გნებავთ მორალური და გნებავთ პოლიტიკური თვალსაზრისით, ერთ სიბრტყეზე არათუ განხილვა, არამედ შედარებაც არ შეიძლება?! განა მათ ეს ყველაფერი კარგად არ იციან?! იციან, მაგრამ თავის გადარჩენა სურთ. ოღონდ უწყოდნენ, ერს და ბერს თუ გაექცევიან, ან ხალხსა და ქვეყანას თუ მოატყუებენ, ღმერთსა და განგებასაც თუ გადაურჩებიან, საკუთარ თავს ვერსად წაუვლენ... საკუთარი სინდისის ხმა არ მოასვენებთ...

ზემოთ ვთქვი, ჭრელია „დემოკრატთა თაიგულის“ შემადგენლობა-მეთქი. მართლაც, ძალზე ჭრელია, აქ ჭინჭარსაც შეხვდები და ყოჩივარდასაც. აქვე უნდა გამოვტყდე, რომ „დემოკრატთა ნაღებს“ თავისი ცხოვრებით და მოღვაწეობით კარგად ვიცნობ და არ გამიჭირდება შთამბეჭდავი პორტრეტი გამოვძერწო თითოეული მათგანისა, მაგრამ ამას არ ვიქმ იმიტომ, რომ ამჯერად მათი ინდივიდუალური პორტრეტები, მათი სპეციფიკური შტრიხები კი არ მაინტერესებს, არამედ მათი საერთო ბუნება, ანუ ის თვისება-ხასიათი, რომელმაც ერთად შეკრიბა და შეადუღაბა ეს ნაირგვარი საზოგადოება. ხომ ბუნებრივად აღეძრება ჭკუათმყოფელს კითხვა: რა საერთო უნდა ჰქონდეს ქურდს ხელოვანთან, ანდა ქორვაჭარსა და საქმოსანს მწერალთან და მეცნიერთან, ანდა თავგადაკლულ კომუნისტ-ფუნქციონერებს — ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან და მისთანებთან? ერთი სიტყვით, ვერაფრით ვერ წარმოვიდგენდი, რომ საერთო ენას მონახავდნენ და სიყვარულით ურთიერთს გადაენასკვებოდნენ ასეთი განსხვავებული ცხოვრებისა და მიზნების მქონე პიროვნებანი.

ის არგუმენტი, რასაც თავად ოფიციალურად აცხადებენ და რასაც ასე თავგამოდებით ამტკიცებს ესენგეს თუ ჩვენი პრესა, ტელევიზია, ყველა პატიოსანი კაცისათვის სიცილისმომგვრელია. არადა ჯიუტად იმეორებენ, მათი განზრახვა ერთი იყო — მოეპოვებინათ ნანატრი „დემოკრატიაო“. მეტიც შეიძლება ითქვას, ის ისტორიკოსები, ყველა დროებას რომ კუდს უქიცინებდნენ, საქართველოს დამღუპველ ამ სისხლისღვრას და ძმათა მკვლელობას, რომლის შედეგად მხოლოდ მესამე ძალამ გაიმარჯვა, „პროგრესული ძალების გამარჯვებად“ მიიჩნევენ. ამითაც არ კმაყოფილდებიან, იარაღის ძალით დამკვიდრებულ ხელისუფლებას რომ ასიამოვნონ, უფრო შორს მიდიან და წერენ: „ამ ხანის მოვლენების არსი და შედეგი განუზომლად დიდი საზრისისაა, ვიდრე ბაზალეთის ომი. ამჯერად არ შეიძლება მხოლოდ ქართველობის დამარცხებაზე ვილაპარაკოთ. უნდა ვილაპარაკოთ ქართველობის გამარჯვებაზეც. ტირანია დაემხო. გაიმარჯვა (ყოველ შემთხვევაში მყარი საფუძველი შექმნა) დემოკრატიამ, რაც ჩვენს ეროვნულ სიამაყეს იწვევს“ (გ. ყორანაშვილი, გაზეთი „თბილისი“, 14. 02. 92). როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან, კომენტარი ზედმე-

ტია. მაგრამ ოპოზიციის პოლიტიკური ავანტიურა ამით არ ამოიწურება. ის უფრო შორს მიდის. ამ საყოველთაო ძმათაკელის ინსპირატორმა ე. შეკარდნაძემ ქართველი ხალხის ტრაგედიას „დემოკრატიული რევოლუცია" უწოდა და თავიც მოიწონა მისი ხელმძღვანელობით. მერე ეს ბრძნული შეფასება სხვებმაც აიტაცეს და მანამდე მათ მიერვე დამკვიდრებული, ყურითმოთრეული ტერმინი „საერთო-სახალხო აჯანყება" მით შეცვალეს. ვიდრე ამ ტერმინთა და შეფასებათა ვარგისიანობაზე მოგახსენებდეთ, აქეთ მსურს აღვნიშნო ის გარემოება, რომ მეამბოხეებს, რომლებიც დემოკრატიული ლოზუნგებით გამოდიოდნენ, სხვადასხვა მიზნები ამოძრავებდათ. ერთნი დაკარგული თანამდებობების დაბრუნებას ლამობდნენ, მეორენი ოდინდელი შეკოწიწებული პრესტიჟის გაბიაბრუების გამო წუხდნენ, მესამენი პოლიტიკურ სარბიელზე თავის ხელმოცარულობას მისტიროდნენ, მეოთხენი შეპყრობილნი იყვნენ უკანონო გზებით მოხვეჭილი ავლა-დიდების დაკარგვის შიშით, მეხუთენი, და უნდა ითქვას, დიდი ნაწილი, სხვათა სამსახურში ჩამდგარნი, უცხო ძალის ნებას ემსახურებოდნენ და ა. შ. ერთი სიტყვით, ყველა თავისი მიზნის აღსრულებას ესწრაფვოდა. პოეტის სიტყვები რომ გავიმეოროთ: „თავისთვის იბრძვის ყოველი კაცი, ზოგი პირდაპირ, ზოგი ირიბად". ერთადერთი, რაც ამ „მშვენიერ თაიგულს" კრავდა და აერთიანებდა, იყო უსაზღვრო სიძულვილი პრეზიდენტისადმი. მაგრამ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ზიზღი და სიძულვილი ვერ გამოდგება გაშაშართლებელ და გამამთლიანებელ ძალად და ეს ხაკრებიც, როგორც კი პოლიტიკური სარბიელიდან ბატონი ზვიად გამსახურდიას ფენომენი გაუჩინარდება, მაშინვე დაიშლება და იმ ურთიერთმოძიძგილავე ყვინჩილებად იქცევა, საკენკი რომ ვერ გაუყვიათ.

შეიარაღებული ამბოხი, რომელიც კანონიერი ხელისუფლების დამხობას ისახავდა მიზნად. მონათლეს საერთო-სახალხო აჯანყებად. ამ შეფასების უსუსურობა იმდენად აშკარაა, რომ იქნებ არც ღირდეს მასზე ყურადღების შერერება, მაგრამ ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი ლიდერის გასაგონად მაინც უნდა ითქვას, რომ სახალხო და, მით უმეტეს, საერთო-სახალხო ცხებების მოშველიება ვამოდგებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მართლაც მთელი

ქართველი ხალხი ამბოხდებოდა ხელისუფლების წინააღმდეგ. თორემ რა გამოვიდა, რამდენიმე ასეულმა, მრწამსით და საქმიანობით დაოდგენელმა თუ გაურკვეველმა პირმა (ძირითად ნაწილზე მოგახსენებთ, თორემ, ცხადია, მათ შორისაც ერივნენ ალალ-მართალი და უცოდველი ყმაწვილები) ხელისუფლებას და პრეზიდენტს შეუტია. მათ აქტიურად აუბა მხარი დაახლოებით იმდენივე „მოღვაწემ" და კიდევ რამდენიმე ათეული „მამულიშვილი" შედეგის მოლოდინში სიამოვნებით იფშვნეტდა ხელებს. ეს არის და ეს. და განა შეიძლება ერთი მუჭა ადამიანთა თავზახელაღებული ქმედება და სურვილი აღვიქვათ მთელი ქართველი ხალხის ნების გამოხატულებად?! ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული ჯამაათი ძალზე ჭრელი იყო, სავსებით არ მეტყველებს დეკემბრის გამოსვლის საერთო ხასიათზე. პირუკუ, ეს სიჭრელე ამ გაუგონარი თავზახელაღებული მოქმედების ცრუ მიზანსა და იდეურ სიყალბეზე მიუთითებს აშკარად. შეიძლება ვინმემ პრობლემის გამარტივებად და ზერელობად ჩამოთვალოს, მაგრამ, რეალობიდან გამომდინარემ, უნდა ვაღიარო, რომ ეს იყო თბილისის ორი-სამი უბნის „თავზახელაღებული ბიჭების" ამბოხი, რომელსაც აქა-იქ ამშვენებდა მოინტელექტუალო ელემენტებიც, მავანმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ავტომატის ხელში აღება რომ მოუწონა და გმირებად შერაცხა. თავისი ძალადობით მათ გადაქელეს ქართველი ხალხის უდიდესი ნაწილის ნება, მეტიც, მათ ქართველ პატიოსან ადამიანს სულში ნააფურთხეს. ეს რომ ასეა, მოვლენების შემდგომმა განვითარებამაც დაგვანახა, როცა გვარდიას მოუხდა სრულიად საქართველოს დალაშქვრა და ძალით დაპყრობა. მაგრამ ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. აღვნიშნავ მხოლოდ, ჩვენი აზრის უტყუარობა ერთი გზითაც გადამოწმდეს — ჩავატაროთ რეფერენდუმი ერთი კითხვით: მხარს უჭერთ თუ არა დეკემბრის შეიარაღებულ ამბოხს? ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ კითხვას საქართველოს მოსახლეობის 2 პროცენტიც არ გასცემს დადებით პასუხს! დეკემბრის მოვლენებს რევოლუციას ვერ უწოდებ თუნდაც იმიტომ, რომ არ მომხდარა ერთი წყობილების დამხობა და მის ნაცვლად ახლის დამკვიდრება. შეიარაღებულმა ჯგუფმა, სხვაგვარად ხუნტამ, დაამხო იარაღის გამოყენებით კანონიერი ხელისუფლება, ეს არის და ეს. მიუხედავად ამისა, **დეკემბრის გადატრიალება ბევრი**

ნიშნით მოგვაგონებს ოქტომბრის რევოლუციურ მოვლენებს, ასე, მაგალითად, სამხედრო დიქტატურა, შიმშილი, ძარცვა-გლეჯა, ბანდიტიზმი, ადამიანთა სიცოცხლის ხელყოფა, მიტინგების დახვრეტა, განსხვავებული აზრის ჩახშობა, ძალისმიერი მეთოდებით დისციპლინის აღდგენის მცდელობა და მისთ. ისტორიის კიდევ ერთ, ყველასთვის ცნობილ ფურცელს თუ გავიხსენებთ, ვფიქრობ, არ იქნება ურიგო. 1921 წლის თებერვლის დღეებში რუსეთმა ეთნიკურ და სოციალურ ნიადაგზე მოაწყო ინსპირირებული კონფლიქტები და ამ მიზეზით დაიპყრო მთელი საქართველო. მაგრამ მაშინ საქართველო დალაშქრა წითელმა არმიამ, რომელსაც წინ მოუძღოდნენ ჩვენი „სახელოვანი" ქართველი წინაპრები, თვითგანდიდების გარდა პირადი შურისგებაც რომ ასულდგმულებდათ. რა ხდება დღეს? მოქმედების მოდელი არ იცვლება, ოღონდაც გარკვეულწილად განსხვავებული კუთხით წარმოგვიდგება. რუსეთის იმპერია იმხრობს უკმაყოფილო ელემენტებს, აწყობს სამხედრო გადატრიალებას და შემდგომ ამ შეიარაღებულ ძალას ალაშქრინებს და აპყრობინებს მთელ საქართველოს. ამ ორ მოვლენას შორის არსებითი სხვაობა სულიერ-ზნეობრივ პლანშია წარმოდგენილი. მაშინ რუსის ჯარისკაცის შემწეობით ხდებოდა ყოველივე, ახლა კი ქართველის ხელით, ოღონდაც რუსული იარაღით. ჩვენი ერის დიდ უბედურებად სწორედაც ის მიმაჩნია, რომ ისეთ დღეში აღმოვჩნდით, როცა თავად ქართველს მოუხდა საქართველოს დალაშქრა, ძმათა სისხლის დაღვრა. ამაზე დიდი უზნეობა და ბოროტება, ვგონებ, არც შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა. ეს ისეთი დიდი ცოდვაა, რომ მისი განმკითხავი ადამიანი ვერ იქნება!

ცხადია, ის, რასაც ჩვენ დღეს ვუყურებთ, უფრო მართებულად, რასაც დღევანდელი ხელისუფლება სჩადის, დემოკრატიის აჩრდილადაც ვერ აღიქმება და მას არავითარი გამართლება არ მოეძებნება. ძალისმიერი მეთოდებით: დაპატიმრებით, ტერორით, მომიტინგეთა დახვრეტით, რეპრესიით, ანგარიშსწორებით, დარბევით, საქართველოს სხვადასხვა რაიონების დალაშქვრით და მისთ. არათუ დემოკრატიული წყობილების აშენება, არამედ დიქტატორული რეჟიმის დამყარებაც შეუძლებელია დღეს. მეიძმის თუ ნებისმიერი ადამიანის სისხლით გაპოხილ მიწაზე თავისუფლების ყვავილი ვერ გაიხა-

რებს. ხოლო იარაღის ყლარუსი სულს ხუნდებისაგან ვერ იხსნის და თავისუფლებას ვერ აბიარებს. ბოროტებაზე აღმოცენებული და გახარებული სიკეთე ჯერ არავის უნახავს, ეს ყველამ კარგად უნდა შეიგნოს და არ უნდა დაივიწყოს ბუნების ერთი კანონზომიერება – რაც უფრო მეტია დაწოლა და ძალადობა, მით უფრო მეტია უკუგება და წინააღმდეგობა.

მომავალს გამჭრიახი თვალით შევხედოთ. არჩევნებს, რომელსაც დროებითი მთავრობა გვპირდება, არ უჩანს სასიკეთო პირი. ჯერ ის უნდა ვიკითხოთ, ისურვებს თუ არა ქართველი ხალხი ხელმეორედ არჩევნების ჩატარებას და, მეორეც, ერთობ საეჭვოა, რომ ასეთ ვითარებაში შეეძლოთ მისი დემოკრატიული და თავისუფალი გზით წარმართვა. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი: თუ დღევანდელ ვითარებას გავითვალისწინებთ, დეკემბრის ამბოხის დემოკრატიულობის სახელით მონათვლა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია და მხოლოდ ღიმილის მომგვრელია. ასე რომ, ეს ჩვენი „პოლიტიკური გამჭრიახობით“ გამოჩორკნილი ცნება-შეფასება – დემოკრატიული რევოლუცია – ხელდახელ გაგვიქრა.

ახლა ბევრს წერენ და საუბრობენ დამხობილი ხელისუფლებისა და განსაკუთრებით პრეზიდენტის უარყოფით მხარეებზე, რომლებიც დეკემბრის ამბოხის გამომწვევ უმთავრეს მიზეზად მიაჩნიათ. სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვაღიაროთ, რომ შეცდომები და ნაკლოვანებები მართლაც საკმაოდ იყო. მაგრამ ისიც გავიხსენოთ, რომ ისტორიას ჯერ არ ახსოვს უნაკლო და უშეცდომო ხელისუფლება და, მით უმეტეს, პრეზიდენტი. ქართველ საზოგადოებას, განსაკუთრებით კი ოპოზიციას, ყოველი ღონე უნდა ეხმარა, რათა ამ შეცდომებისგან ეხსნა ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლება. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით ხდებოდა. დღიდან ხელისუფლების და პრეზიდენტის არჩევისა, ოპოზიცია ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რომ შეცდომების ქსელში გაეხლართა ისინი და ამ ქსელიდან მათ როგორმე თავი არ დაეღწიათ. აშკარად თუ ფარულად გაისმოდა პრეზიდენტის გაუთავებელი ლანძღვა-გინება, რომელიც ძალიან შორს იყო კეთილმოსურნე კრიტიკისაგან. ფსიქოლოგიური ზეწოლა, პოლიტიკურ-ეკონომიკური შეტევა, რომელთაც გასაოცარი ერთსულოვნებით ახორციელებდნენ რუსეთისა თუ ჩვენი „დე-

მოკრატიული“ ძალები, ეროობ ძნელი გადასატანი იყო, თითქმის შეუძლებელიც. ამიტომ ვიტყოდი, რომ პრეზიდენტს უფრო მეტი შეცდომა დააშვებინეს, ვიდრე მას ჩვეულებრივ სიტუაციაში მოუვიდოდა. ცხადია, ამ შეცდომების დაშვებას დიდად უწყობდა ხელს პრეზიდენტის დამყოლი ხასიათი. მაგრამ მოდით, ამაზე სიტყვას ნუღარ გავაგრძელებთ და უფრო ახლოდან განვჭვრიტოთ ის მიზეზები, ახლა წამდაუწუმ რომ ასახელებენ.

უპირველეს ყოვლისა, ამტკიცებენ, რომ ზვიად გამსახურდია იყო დიქტატორი, რომელიც ახშობდა დემოკრატიის ყოველგვარ გამოვლენას. ამ თეზისს ოპოზიციონერები ძირითადად შემდეგი ფაქტებით ასაბუთებენ: ა) არ იყო პრესისა და ტელევიზიის თავისუფლება, ეკრანი არ ეთმობოდა ოპოზიციის წარმომადგენლებს; ბ) არბევდა მიტინგებს, განსაკუთრებით შემზარავი იყო 2 სექტემბრის აქცია, როცა რამდენიმე ახალგაზრდა დაიჭრა; გ) აპატიმრებდა „პოლიტიკურ მოღვაწეებს“, მათ შორის დააკავა ჯ. იოსელიანი, გ. ჭანტურია, გ. ხაინდრავა, „ბუღა“ და სხვ; დ) შემოიღო პრეფექტის ინსტიტუტი; ე) ქვეყნის მართვის სადავეები თავად ეჭირა ხელთ და ავტორიტარულად წარმართავდა მას; ვ) გაურბოდა ოპოზიციასთან დიალოგს და ა. შ.

ბრალდებათა სიმრავლემ რომ არ დაგვაბნიოს, ახლავე გავცეთ ზოგიერთ მათგანს პასუხი.

მაშ ასე, იყო თუ არა ზვიად გამსახურდია დიქტატორი? უნდა პირდაპირ მოგახსენოთ ჩემი აზრი – არ იყო და ვერც იყო. ვგონებ, დედამიწაზე ვერ მონახავთ მეორე პრეზიდენტს, იურიდიულად ასეთი დიდი უფლება რომ ჰქონოდა მინიჭებული, სინამდვილეში კი არავითარი ძალა არ გააჩნდა. სხვას ყველაფერს თავი დავანებოთ, არცერთ ნორმალურ დემოკრატიულ ქვეყანაში ვერცერთი პრეზიდენტი ვერ აიტანდა შეიარაღებულ ფორმირებებს, რომლებიც სახელმწიფო სტრუქტურებში არ შედიოდნენ და ხელისუფლებას არ ემორჩილებოდნენ. სწორედ ამ უკანონო შეიარაღებულმა ჯგუფმა – ე. წ ეროვნულმა გვარდიამ, რუსეთის დიდი ხელშეწყობითა და შემწეობით, გადაწყვიტა ქართველი ხალხის ბედი ისე, რომ თავად მისთვის არაფერი უკითხავს. რაღა ბევრი გავაგრძელო, ხომ თავისთავად ცხადია. ზვიად გამსახურდია მართლაც დიქ-

ტატორი რომ ყოფილიყო, თავის ადგილას დარჩებოდა, დევნილები კი მისი მოწინააღმდეგენი იქნებოდნენ. დასასრულ, თუ კი ამ თვალთახედვით შეეადარებთ პრეზიდენტის მმართველობას დღევანდელ ვითარებას, აშკარად თვალში გეცემათ ერთი უტყუარი გარემოება: დღეს, სწორედ დღეს გვაქვს ჩვენ სამხედრო დიქტატურა, რომელიც ძალადობის კბილებს აღრჭიალებს, არავის არაფრად დაგიდევს, ტყვიებით უმასპინძლდება მშვიდობიან ქართველ ხალხს, დევნის და აპატიმრებს განსხვავებული აზრის ადამიანებს და ამას ყოველივეს ერთგვარი სიამაყითაც სჩადის. ასე რომ, პრეზიდენტის „დიქტატორობა" იმასთან შედარებით, რაც დღეს ძალმომრეობა ტრიალებს, რა სახსენებელია!

ახლა რაც შეეხება პრესისა და ტელევიზიის თავისუფლებას. ამ შემთხვევაშიც ფერები შეგნებულადაა გამუქებული. მართალია, პრეზიდენტისდროინდელი ტელევიზია ვერ გამოირჩეოდა ვერც მრავალმხრივობითა და ვერც ობიექტურობით, ვერა და ვერ შემოიღეს „ალტერნატიული საათი", რომელიც სხვადასხვა პარტიებს დაეთმობოდა, მაგრამ ამას ჰქონდა თავისი გამამართლებელი მიზეზები. ჯერ ერთი, ჩვენი საზოგადოება პატივს არ სცემს და ანგარიშს არ უწევს კანონს ზოგადად, და კერძოდ, პრესის კანონს. ამიტომაც, თუკი ვინმეს დაეთმობდნენ ეკრანს, იგი გონიერ, კონსტრუქციულ კრიტიკას კი არ იწყებდა, არამედ უშვერი ლანძღვა-გინების კორიანტელს აყენებდა, რაც ნათლად გამოჩნდა თუნდაც პრეზიდენტის არჩევნების დროს. მეორეც, არცერთი დემოკრატიული სახელმწიფოს ხელისუფლება სახელმწიფო არხით არ ალანძღვინებს საკუთარ თავს. მე არ მახსოვს და იქნებ ჩემმა ოპონენტებმა შემახსენონ, რუსეთის სატელევიზიო ეთერით ოპოზიციერ პარტიათა ლიდერების გამოსვლები. მესამეც, ჩვენთან თითქმის იმდენი პარტია არსებობს, რამდენი ადამიანიცაა. უნდა პირდაპირ ვთქვა, ხშირად მათი ლიდერების პრეტენზიული საუბრები ყოველგვარ ეთიკურ საზღვრებს სცილდება და ვერც დიდი პოლიტიკური გამჭრიახობით გამოირჩევა. ამიტომაც, ვფიქრობ, ქართველ მაყურებელს მათი მოსმენის დიდი სურვილი არც ჰქონია; სხვა საქმეა, რომ მათ გამოყოფოდათ ცალკე არხი. რომლითაც ისინი ეთერში გავიდოდნენ. ჩემი აზრით, ეს დიდად შეეწყობდა ხელს უარყოფითი ემოცი-

ებისგან მათ განტვირთვას. მაგრამ გაჭირვებულ ცხოვრებაში ეს იოლი გასაკეთებელი როდია. თუმცა, რამდენადაც მე ვიცი, ამ პრობლემებზე იმდროინდელი ხელისუფლება ფიქრობდა და მისი განხორციელების გარკვეული გეგმაც შეიმუშავა. ამ გეგმის მიხედვით უნდა დაარსებულიყო კერძო, თავისუფალი ტელეკომპანიები საკუთარი ეთერით. ეგონებ, ჩვენი ტელეჟურნალისტიკის განვითარების ეს გზა არის ერთადერთი სწორი და პერსპექტიული.

მაგრამ თავი დავანებოთ წარსულის განქიქებას და ვიკითხოთ, განა უკეთესი ვითარებაა ამჟამად? ეფიქრობ არ შევცდები თუ ვიტყვი, ასეთი ცალმხრივი, ტენდენციური, ანტიდემოკრატიული, მწირი და ხელმოცარული ტელევიზია დღიდან მისი დაარსებისა არ გვქონია. ნუთუ, იმისთვის იღვწოდნენ და იფიცებოდნენ ჩვენი „დემოკრატი“ ჟურნალისტები, რომ თავისი უაღრესად ტენდენციური გადაცემებით გაებეზრებინათ თავი ქართველი მაყურებლისათვის? დღეს ხომ მათ გადაცემებს რუსულ პროგრამას ამჯობინებენ, ქართველი ხალხის დიდი, დიახაც დიდი ნაწილი ხომ რუსეთის ტელეგადაცემებს გაცილებით მეტი ინტერესით უყურებს, ვიდრე ქართველ ჟურნალისტთა ნახელავს?! მათ „დემოკრატიულ“ მოღვაწეობას ქართველმა მაყურებელმა თავად გამოუტანა განაჩენი. გარდა ამისა, რათა გავარკვიოთ, თუ სად იწყება და სად მთავრდება ნამდვილი დემოკრატია, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ შემდეგი ფაქტიც: პრეზიდენტის შშართველობის ჟამს ქართველ ჟურნალისტთა ერთი ნაწილი (დაახლოებით სამასი კაცი) გაფიცული იყო სამი თვის განმავლობაში. აქ გასაკვირი არაფერია ცივილიზებული სამყაროსათვის, მაგრამ საინტერესოა ის, რომ გაფიცულები ნეტარად გრძნობდნენ თავს, რადგანაც ხელფასსაც იღებდნენ და ხანდახან პრემიასაც გამოკრავდნენ ხელს. აი, როგორი დიქტატურა ყოფილა მაშინ! მაგრამ, იმავე „გაფიცულებმა“ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს პრეზიდენტის მომხრე ჟურნალისტებს, თითქმის ყველანი დაითხოვეს სამსახურიდან და ზიგიერთი მათგანის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ხომ ხედავ, ძვირფასო მკითხველო, რა ნეტარი დემოკრატიული დღენი დაგვიყენეს ჩვენმა დემოკრატებმა!

ახლა პრესის შესახებაც ვთქვათ ორიოდ სიტყვა. პრესი-

დესტრუქციის ხანაში რამდენიმე ათეული თავისუფალი ან, თუ ვნებავთ, ოპოზიციური გაზეთი გამოდიოდა, სადაც ნებისმიერი, უკიდურესად კრიტიკული თუ განმაქიქებელი წერილები იბეჭდებოდა. ამის გამო პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ და არც დაუსჯიათ. მაგრამ რა ხდება დღეანდელ დემოკრატიულ საქართველოში? ოითქმის არცერთი ოპოზიციური გაზეთი, ოპოზიციური გაზეთი კი არა, განსხვავებულ აზრსაც კი არ აჭაჭანებენ პრესის ფურცლებზე. თუკი რომელიმე გაზეთმა მოახერხა იატაკქვეშეთში გამოსვლა, რედაქცია უმალვე დაარბიეს, ვისაც კი ხელი მიატანეს, დააპატიმრეს. გარეგნულად, ანუ ოფიციალურად ყველა გაზეთს მიანიჭეს თავისუფლება. სინამდვილეში კი ყველაფერი პირიქით მოხდა. თითქმის ყველა არსებული გაზეთი დროებითი ხელისუფლების რუპორად აქციეს. ესეც შენი თავისუფალი პრესა!!! რა იქნება ხვალ? ალბათ უარესი, უკეთესობისკენ პირი რომ არ უჩანს, ეს ნათელია... ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ დროებითმა მთავრობამ შექმნა პრესისა და ინფორმაციის სამინისტრო. ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ იწყება პრესის „პრესი" და მონოპოლიზაცია სახელმწიფოს მიერ. სხვაგვარი ახსნა (მაგალითად, ისეთი, როგორსაც ამას დროებითი მთავრობის ხელმძღვანელი შეეცადა, თითქოს სამინისტრო იმიტომ შეიქმნა, რომ მოახდინოს პრესის ორგანოების განსახელმწიფოებრიობა), თუკი ჩვენში დამკვიდრებული სამინისტროების ფუნქციებს გავიხსენებთ, ოდენ ღიმილის მომგვრელია.

აქვე უნდა ვთქვათ მიტინგების დარბევაზეც. პრეზიდენტის მმართველობის პერიოდში ასეთი ფაქტი ხომ 1991 წლის 2 სექტემბერს მოხდა, რის შედეგადაც დაიჭრა რამდენიმე კაცი. ეს მიტინგი აშკარად პროვოცირებული იყო და მისი შედეგიც – გათვლილი. მაგრამ ხელისუფლების მოქმედებას მაინც არ ჰქონდა გამართლება. მისი შეცდომა იყო შინაგანი ჯარის გაგზავნა მიტინგის დასაშლელად. სხვათა შორის, მრავლისმეტყველია ის ფაქტიც, რომ ამ რაზმს, როგორც შემდგომ გაირკვა, მეთაურობდა გელა ლანჩავა. ვერც 4 ოქტომბრის ღამის „მანიფესტაციის" დაშლას მოვუწონებთ კანონიერ ხელისუფლებას. მართალია, იმხანად უზენაესი საბჭოს მიერ ქალაქში უკვე შემოღებული იყო საგანგებო წესები, მაგრამ მაინც, ცივილიზებული სამყარო ასეთ ზომებს უარყოფითად

აღიქვამს. ასეა თუ ისე, დღევანდელ ვითარებას მიეუბრუნდეთ. დროებითმა ხელისუფლებამ, უფრო სწორად, სამხედრო საბჭომ დღიდან ძალაუფლების ხელში ჩაგდებისა, დაარბია და გარეკა ყველა მშვიდობიანი მიტინგი და დემონსტრაცია (გამონაკლისს წარმოადგენს ის დღეები, როცა უცხოეთიდან მოვლენილი დამკვირვებლები იმყოფებოდნენ თბილისში), ადგილზე დაიხოცა 50-მდე ადამიანი (ეს ციფრი დაზუსტებას მოითხოვს), დაჭრეს ასეულობით ადამიანი, დაარბიეს მოშიმშილენი და დააპატიმრეს ათასობით კაცი. თუ მორალურ-პოლიტიკურად ამ უგუნურ ქმედებას ვერაფრით ავხსნით, ფსიქოლოგიურად ის სავსებით გასაგებია: ასე იქცევა ის, ვისაც უკან დასახვევი გზა აღარ დარჩენია. ოღონდაც გასაკვირია ჩვენი „დიდი დემოკრატების" დუმილი, სხვადასხვა პარტიათა მიერ პირში წყლის ჩაგუბება. ასეთი რამ ბატონი ზვიად გამსახურდიას დროს რომ მომხდარიყო, დარწმუნებული ვარ, ცის ჩარხს უკუღმა დაატრიალებდნენ. რას იზამ, როგორც ამბობენ, ძალა აღმართს ხნავს. მაგრამ დემოკრატებს ერთი რამ უნდა ეუთხრა, თუ მათ მთლად არ დახშვიათ გონების თვალი, მაშინ ის მაინც უნდა შეისმინონ და გაიზიარონ, რომ სექტემბერს ნულარ მოიგონებენ, ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეისმინონ, რომ 2 სექტემბრის ამბავი იმასთან შედარებით რაც დღეს ხდება, უღრანს, დათოვლილ ტყეში ეულად ამოსული ენძელაა, თავისი უსუსურობით და უცოდველობით რომ ანცვიფრებს მნახველს.

ახლა პრეზიდენტის რეპრესიებზეც შევაჩეროთ ყურადღება. მართლაც, იმ ხანად დაპატიმრებული იყვნენ „მხედრიონის" ყველაზე აქტიური წევრები და მათი ხელმძღვანელი ჯაბა იოსელიანი. ამ ფაქტმა აზრთა დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია. დღესაც ბუნებრივად ისმის კითხვა: ჰქონდა თუ არა ამ ქმედებას გამართლება? ჩემი აზრით, მათი დაპატიმრება გარდუვალი იყო. ეს საჭირო იყო, უპირველეს ყოვლისა, რესპუბლიკის მშვიდი ცხოვრებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო გადატრიალება გაცილებით ადრე მოხდებოდა. სხვა საკითხია გ. ჭანტურიას და გ. ხაინდრავას დაპატიმრება. თუმცა ამისათვის იურიდიული საფუძველი არსებობდა, მაგრამ ის პოლიტიკურად, ალბათ, გაუმართლებელი იყო. მათი დაპატიმრებით უკმაყოფილების ტალღა აგორდა მხოლოდ, მეტი არაფერი. თუმცა თქვენ ვერ დამისახელებთ ვერცერთ დე-

მოკრატიულ სახელმწიფოს, სადაც წესრიგის დამრღვევს არ აპატიმრებენ. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, დღევანდელმა დროებითმა ხელისუფლებამ ათასობით ადამიანი დააპატიმრა მხოლოდ მიტინგებში მონაწილეობის გამო. ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც დიქტატურისა და ძალადობის აყვავება სწორედ ახლა იწყება და თანდათან ძალას იკრებს.

დღესაც იწვევს და ადრეც დიდი დავა გამოიწვია პრეფექტების ინსტიტუტმა, უფრო მართებულად, ზოგიერთი პიროვნების პრეფექტად დანიშვნამ. იმასაც ამტკიცებდნენ, ამ ინსტიტუტის შემოღებით ქვეყნის მართვის სადავეებს პრეზიდენტი იღებს ხელში და ერთპიროვნულად წარმართავს ქვეყნის ბედსო. ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მოკლედ ვიტყვი, თავისთავად ამ ინსტიტუტში არავითარი დიქტატორული ელემენტი არ ძევს. ისიც ცნობილია, რომ მსგავსი ინსტიტუტები არაერთ დემოკრატიულ ქვეყანაში მოქმედებდა და ამ ბოლო ხანს, საქართველოს მიბაძვით, საბჭოთა კავშირის რამდენიმე ყოფილ რესპუბლიკაშიც დამკვიდრდა (რუსეთი, მოლდოვა, ლიტვა). მართალია, არადემოკრატიულია წესი პრეფექტების დანიშვნისა, მაგრამ ასეთი წესის არსებობა, განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში, დიდ უბედურებად არ უნდა აღვიქვათ. გავიდოდა ხანი და მმართველობის ეს ფორმაც დაიხვეწებოდა. მაგრამ პრეფექტების ინსტიტუტზე გაცილებით უარესია სამხედრო რწმუნებულების დანიშვნა რაიონებში, სადაც ავტომატის ლულის ქვეშ „დემოკრატიულად ირჩევენ“ საკრებულოთა გამგეობებს და მათ ხელმძღვანელებს.

ბატონი ზვიად გამსახურდიას „დიქტატორობის“ ერთ-ერთ თვისებად ისიც მიაჩნიათ, რომ იგი დიალოგს გაურბოდა საზოგადოებისა თუ პარტიების წარმომადგენლებთან. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი დიალოგები (ვთქვათ, შემოქმედებით ინტელიგენციასთან, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, სტუდენტებთან და სხვ.) შედგა, მაინც ვერ ვიტყვი, რომ პრეზიდენტს ამის დიდი სურვილი ჰქონდა. არადა დიალოგი რომ საჭირო იყო, ამას ყველა და თავადაც კარგად გრძნობდა, მაგრამ არ ვიცი მოუცლელობის, არ ვიცი პიროვნული თვისება-ხასიათის, არ ვიცი ოპოზიციის რადიკალობის გამო ა'შკარად თავს არიდებდა მას. ეს ფაქტია. თუმცა, ისიც უდავო ჭეშმარიტებაა: ამა თუ იმ ადამიანს თ'ე პოლიტიკურ მოღვაწეს

იმის გამო, რომ შენთან საუბარს გაურბის ანდა საერთოდ არ გელაპარაკება, დიქტატორი უწოდო და მის წინააღმდეგ იარაღი აღმართო, დაახლოებით იგივეა, კაცს ესროლო და მოკლა, რატომ არ მცემ ხმასო... ბუნებრივად აღიძერება კითხვა, ვინაა მართალი, გნებავთ, ზნეობრივად და გნებავთ, სამართლებრივი თვალთახედვით, ის, ვინც ხმას არ გცემს, თუ ის, ვინც ამის გამო სასიკვდილოდ გაგწირავს? კომენტარი თავად მკითხველისათვის მიგვინდვია. ჩვენ კი მივყვეთ ბრალდებათა განსჯას.

საკადრო პოლიტიკა რომ სათანადო დონეზე არ იდგა, ეს ყველასათვის ცხადია. არც თუ იშვიათად, არაკომპეტენტური და შეუფერებელი პირი ინიშნებოდა ამა თუ იმ თანამდებობაზე. ასეთი რამ ადრეც მომხდარა, დღესაც ხდება და მომავალშიც მოხდება. ძალზე ძნელია მართალი, პატიოსანი, მცოდნე და ერისა და საქმის მოყვარული პიროვნების პოვნა. თუ კვლავ ამჟამინდელ მდგომარეობას შევადარებთ მოვლენას და ისე შეეცდებით დავსახოთ საქმის ნამდვილი ვითარება, მაშინ აღმოჩნდება, რომ თურმე არც ისე შავად ყოფილა საქმე, როგორც ამას წარმოგვიდგენენ ხოლმე. დღეს ხომ ე. წ. სამხედრო საბჭო, რომლის არსებობას არავითარი კონსტიტუციური საფუძველი არ გააჩნია, თავისი ნება-სურვილით, ხშირად ახირებითაც, ისე, რომ არავითარ კანონიერებას არ დაგიდევს, ხსნის და ნიშნავს იმათ, ვინც მოეპრიანება. ასეთი განუკითხაობა არც ბოლშევიზმის ხანაში ყოფილა. მერე და რა, განა რით ჯობიან დღეს დანიშნული პიროვნებანი პრეზიდენტის კადრებს?! საერთოდ, საინტერესოა, რა ნიჭით, უნარითა და პრინციპებით არჩევს ე. წ. დროებითი მთავრობა სხვადასხვა პოსტზე კანდიდატურებს? ვფიქრობ, მხოლოდ ერთით — უნდა გამოირჩეოდე პრეზიდენტის დაუნდობელი მტრობით და თავშეუკავებელი ლანძღვა-გინებით. ღმერთმა ხელი მოუმართოს მათაც და მათ დამნიშვნელთაც, მაგრამ მამლის ყივილით რომ სოფელი არ აშენდება, ესეც ხომ ცხადია?!

ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ხშირად პრეზიდენტის მისამართით გაისმის საყვედურები, მას ყველგან მტრები და აგენტები ეჩვენებოდაო. ეს მართლაც ასე იყო. ისიც ხშირად, იყო ეს საჭირო თუ არა, გაიძახოდა, ირგვლივ კრემლის აგენტები, მოღალატეები გვახვევია, რომელთაც ეროვნული ხელისუფ-

ლების დამხობა. კომუნისტური რეჟიმის რეანიმაცია, საქარ-
თველოს თავისუფლების მოსპობა და მისი რუსეთის ქვეშევ-
რდომად გახდომა სწადიაო. როცა ეროვნული გადაბრუნდა, მარ-
თლაც რომ განმაცვიფრა მოღალატეთა რიცხვმა. თითქმის
ყოველი მეორე კაცი. ვისაც ჯაჯა მოეკითხებოდა, მოღალატე
აღმოჩნდა. ახლა ისიც გავიხსენოთ, რომ დღეს კომუნისტების
აღზევებაც უდავო ჭეშმარიტებაა. რუსეთის ხელმეორედ „და-
მოყვრებასაც", დღევანდელი ხელისუფლების წყალობით, აშ-
კარად უჩანს კარგი პირი. ასე რომ, ის, რაც ახირებად მეჩვე-
ნებოდა, სრული რეალობა აღმოჩნდა. ვერ ვიტყვი, რომ ორ-
გულთა დაწინაურებაში პრეზიდენტს წვლილი არ მიუძღოდეს.
ის უფრო შორს იყურებოდა და მის ყურის ძირში ამდენი
მოღალატე რომ შეყუჟულიყო, რით ვერ ხედავდა? იქნებ ხე-
დავდა და გრძნობდა კიდეც, მაგრამ რაღაც გარდაუვალობის
მსახვრალი ხელი წერდა მის ბედისწერას.

ოპოზიციის ერთი მძლავრი არგუმენტი, როგორც მათ მიაჩ-
ნიათ, პრეზიდენტისა და ეროვნული ხელისუფლების წინააღ-
მდეგ ის არის, რომ მათ არ შეცვალეს სოციალისტური წყობი-
ლების სტრუქტურები, არ განახორციელეს რადიკალური ეკო-
ნომიკური რეფორმები, არ დაიწყეს პრივატიზაციის პროცესი
და ა. შ. ეკონომიკური საკითხების ღრმა ცოდნას ვერ დავიჩე-
მებ, მაგრამ მაინც თამამად მოგახსენებთ, რომ ზემოთ წამოყე-
ნებული ბრალდებები არ არის მართებული. ჯერ ერთი, ეროვ-
ნულმა ხელისუფლებამ საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბ-
ლიკებს შორის, ვგონებ, პირველმა გააუქმა საბჭოური ადმი-
ნისტრაციული მართვის სტრუქტურები, დაშალა საბჭოები, აღ-
მასკომები, რაიკომები. გარდა ამისა, პირველად ჩაატარა მრა-
ვალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები, შექმნა პარლამენ-
ტი და აირჩია, ასევე დემოკრატიული წესით, პრეზიდენტი.
ახლა იმის მტკიცება, რომ ეს არჩევნები საბჭოთა კონსტიტუ-
ციით ხდებოდა, სხვა რომ არაფერი ვთქვა, თავის აგდებად და
წყლის ნაყვად მიმაჩნია. ამასთანავე, ეროვნულმა ხელისუფ-
ლებამ დაიწყო პრივატიზაციის პროცესიც, რასაც თანდათან
უნდა მოჰყოლოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეო-
ბების დაშლა-გაუქმება. მოგეხსენებათ, ეს ძალზე რთული პრო-
ცესია და ერთი დაკვრით ვერ განხორციელდება. ვგონებ, ამ
საქმეში აჩქარება ისევე საზიანოა, როგორც დაგვიანება. ვიდ-

რე მოქალაქის სტატუსი არ იქნება შემოღებული, მიწის საკუთრებაში გადაცემა არაა გამართლებული. ამას შეიძლება მოჰყვეს გაუთვალისწინებელი უარყოფითი შედეგები. ვინმემ ისე არ გამიგოს, თითქოს კერძო საკუთრებისა და პრივატიზაციის მოწინააღმდეგე ვიყო. მაგრამ, ვიმეორებ, სად-სად და ამ საქმეში აჩქარება შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. იაფფასიანი პოპულიზმისა და ხალხის გულის მოგებისთვის რაიმე დაუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა, რომელსაც შეიძლება ქვეყნის ეკონომიკური და დემოგრაფიული კატასტროფა მოჰყვეს, არაფრით არ არის გამართლებული. ეს კარგად ესმოდა კანონიერ ხელისუფლებას. ეს კარგად ესმის იარაღით მოსულ „დროებით ხელისუფლებასაც“ (ამიტომაც ერიდება ქარხნებისა და ფაბრიკების პრივატიზაციას), მაგრამ აშკარად გრძნობს საქართველოს მთელი მოსახლეობის რისხვას და იძულებულია რაღაც ისეთ ზომებს მიმართოს, რაც ხალხს თვალს აუხვევს და გულისწყრომას დაუამებს. ოღონდაც ავიწყდება ერთი გარემოება, რომ ახლა ხალხი ისეთი გულუბრყვილო აღარ არის, როგორიც იყო XX საუკუნის გარიჟრაჟზე, მას ცარიელი დაპირებებით და ფანდებით ვერ გააბრიყვებ.

დღეს ხშირად გაიგონებ და ადრეც არც თუ იშვიათად გაისმოდა ოპოზიციონერთა საყვედური, პრეზიდენტმა საქართველო გახლიჩა, კუთხეებად დააქუცმაცა, სოფელი ქალაქს დაუპირისპირაო. ასეთი აზრი ძირშივე მცდარია: ჯერ ერთი, კაცი თავის მტერი უნდა იყოს, რომ სრულიად საქართველოს პრეზიდენტად აგირჩიონ და მის დაქუცმაცებას ლამობდე. ვერავითარი გამრუდებული ლოგიკით ამგვარ ქმედებას გამართლებას ვერ მოუძებნი. მეორეც, ვინც ბატონ ზვიად გამსახურდიას შორიდან მაინც იცნობს, მისთვის აშკარაა, რომ იგი სავსებით დაცლილია კუთხურობისგან. იმის თქმა, რომ ბატონ ზვიადს მეგრელები უყვარ, ვიდრე კახელები, აბსურდია და სხვა არაფერი. ძირეკუ, ვისაც მისი წერილები ახსოვს, დამემოწმება, როგორ ილაშქრებდა ის კუთხურობის წინააღმდეგ. არც არასოდეს უპირატესობა სოფლისთვის არ მიუცია ქალაქთან შედარებით. მართალია, როცა მთავრობის სახლს უტეედნენ, ის რაიონებსაც მიმართავდა დასახმარებლად და ამაში არაბუნებრივს. პირადად მე, ვერაფერს ვხედავ, რადგანაც მთელი საქართველოს პრეზიდენტი იყო და არა ოდენ

დედაქალაქისა. ჩემი აზრით კი, დაპირისპირება დაიწყო მაშინ, როდესაც დედაქალაქის „რჩეულთა“ შორის გაისმა ხმები: სუნიანი, ჭუჭყიანი, ბნელი და სურნელოვანი, განბანილი, ნათელი ქართველების შესახებ, ტლუ სოფლელისა და დახვეწილი ქალაქელის შესახებ და ა. შ. მეტიც შეიძლება ითქვას, საქართველოს საბოლოოდ გახლეჩა და დაქცევა მოხდა მას შემდეგ, რაც ერთი მუჭა შეიარაღებულმა ჯგუფმა დაამხო კანონიერად არჩეული ხელისუფლება, აბუჩად აიგდო ხალხის ნება და რუსული იარაღის ხელშეწყობით დაიპყრო მთელი საქართველო. ამასთანავე, გამიზნულად და გამოკვეთილად წინ წამოწიეს მეგრელის ფენომენი და ის პრეზიდენტის წარმომავლობას დაუკავშირეს, თითქოს ყოველგვარი უკეთურება „ბუნკერში“ და მის გარეთაც მათგან მოდიოდეს. სწორედ ამიტომაც ყველაზე დაუნდობლად მათ გაუსწორდნენ, ყველაზე დიდი ბოროტება და სისასტიკე სამეგრელოს დაპყრობის დროს გამოაელინეს. სწორედ ამიტომაც წააწყდნენ ისინი გააფთრებულ წინააღმდეგობას სამეგრელოში. აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნო ერთი ძალზე გასაოცარი გარემოება: ჩემთვის პირადად გაუგებარია და ვერაფრით ამიხსნია დროებითი მთავრობის დამოკიდებულება უცხო, საქართველოს შუაგულში ახლახანს ჩამოთესლილ იმ ოსთა მიმართ, რომლებმაც ქართველი კაცის ბარბაროსული ხოცვა-ჟლეტით ისახელეს თავი, და ასეთი დაუნდობლობა და სისასტიკე სამეგრელოს მიმართ, მუდამ საქართველოს ხერხემალი რომ იყო და არის! ქვეცნობიერი ბუნების რა იმპულსი მოქმედებს ნეტავ? ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ შენი სისხლისმიერი ძმა ყველაფერს მოგიტევებს, უცხო კი – არა. თუ მავანთა თვალში საკუთარი ძმის სისხლი ისე არ ფასობს, ვიდრე უცხო ტომთა? არა, ბატონებო, სისხლი სისხლია და გაცილებით დიდ ცოდვას ჩადიხართ, როცა საკუთარ ძმას იმეტებთ, კაენის სული სწორედ მაშინ ზეიმობს გამარჯვებას.

ოსები ვახსენე და ბარემ აქვე დავსძენ, რომ ზოგიერთი ვაიქართველი ბატონი ზვიად გამსახურდიას სიძულვილმა ისე დააბრმავა, რომ მას ოსი ხალხის გენოციდი დააბრალა და თავისი „პოლიტიკური გამჭრიახობით“ ისიც ახსნა, თუ რატომ სჭირდებოდა პრეზიდენტს შიდა ქართლში დესტაბილიზაციის შექმნა. ბატონებო, ენას ძვალი არ გააჩნია, მაგრამ ძარღვი ხომ აქვს?! გინა შეიძლება ისე აგებნეთ ჭკუა-გონება, რომ

დღე ღამისაგან ვერ გაარჩიოთ?! თუკი ოდნავ მაინც შეგრჩენია-ათ უნარი ნათლისა და ბნელის აღქმისა, აბა, მითხარით, რომელ სახელმწიფო ხელმძღვანელს აძლევს ხელს ქვეყანაში ეთნოკონფლიქტების შექმნა? ნუთუ, სულ დაივიწყეთ ისტორია და აღარც ის გახსოვთ, რატომ და რა მიზნით შექმნეს ბოლშევიკებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი? ღირს, განა, ამ ელემენტარულ ჭეშმარიტებაზე საუბარი?! თუ ისტორია არ იცით, გუშინდელი დღე რამ დაგავიწყათ, ვინ დაიწყო ეს კონფლიქტი, ვინ აიმაღლა პირველად ხმა?! ამასაც თავი დავანებოთ. განა ქართველს, თუკი ის მართლაც ქართველია და არა გენეტიკურად გაურკვეველი არსება, აქვს მორალური და იურიდიული უფლება ოსი ხალხის გენოციდი ერთ პიროვნებას დააბრალოს და ამით მთელი ქართველი ხალხი დაადანაშაულოს და მიუტევებელი ცოდვა აჰკიდოს?! პრეზიდენტის ოპოზიციონერთა „ეროვნულობა“ რომ გავიცნობიეროთ, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ ერთი მრავლისმეტყველი მოვლენა. აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა პრეზიდენტი მუტალიბოვი გადააყენა იმისათვის, რომ მან არ გააძლიერა სამხედრო ღონისძიებები ყარაბაღის აზერბაიჯანული მოსახლეობის დასაცავად, მაშინ როცა ჩვენი „რჩეულნი“ მხოლოდ ბატონი ზვიად გამსახურდიას სახელის გატეხვის მიზნით მთელ ქართველ ერს აბრალებენ დამპყრობლობას და ოსი ხალხის გენოციდს შიდა ქართლში! არა, დროების უფალნო, სულ მალე გაირკვევა, ვინ დაიწყო ეს კონფლიქტი, ვისი ინსპირირებული იყო, ვინ ვის მოუწყო გენოციდი და ისიც, ვინ ვის უჭერდა მხარს. სხვაგვარად რომ ვთქვა, რომელი ქართველი აგულიანებდა, აქეზებდა ოსებს თანამომძე ქართველთა წინააღმდეგ. ეს დღესაც ცნობილია, მაგრამ ხვალ უფრო ნათლად რომ გამოიკვეთება, ამის დიდი იმედი მაქვს.

პრეზიდენტის კიდევ ერთი „სერიოზული შეცდომა“ უნდა გავიხსენო. თურმე, ნუ იტყვით, თავის ავყიობით, ახლომხედველობითა და არასწორი საგარეო პოლიტიკით მან იზოლაციაში მოაქცია საქართველო. ვგონებ, პოლიტიკაში ვინც ზერელედ მაინც ერკვევა, მისთვის ნათელია, რომ საქართველოს, მიზეზთა და მიზეზთა გამო, უყურებდნენ როგორც მთელის ნაწილს და არა დამოუკიდებელ, თავისთავად ერთეულს. ამიტომაც მისი ბედი და მომავალი ბევრწილად დამოკიდებული

იყო მთელის – საბჭოთა კავშირის – ნება-სურვილზე. როგორც კი დაიშალა ეს ურჩხული და დაიწყეს რესპუბლიკათა აღიარება, საქართველოც მაშინვე აღიარა ოცზე მეტმა ქვეყანამ. ეს მოხდა 25 დეკემბერს და არა 14 იანვარს, როგორც ამას იბრალებს „დროებითი მთავრობა“. მეტსაც ვიტყვი, საქართველოს ხვალინდელი პერსპექტივა ევროპის საერთო სახლში კიდევაც დიდად არის დამოკიდებული ჯერ თავად ევროპასა და მერმე რუსეთზე, რომელიც ვერასოდეს შეეგუება მის დაკარგვას. ნუთუ ამის გაგება რაიმე სპეციალურ განათლებასა და გამჭრიახობას მოითხოვს? ვგონებ, არა. ეს კარგად ესმოდათ ოპოზიციონერებსაც, ესმოდათ, მაგრამ როგორმე ხომ უნდა შეექმნათ პრეზიდენტისა და იმდროინდელი ხელისუფლების „იმიჯი“, რომელიც თურმე გვარცხვენდა მაღალკულტურულ ერს. ამით ხომ ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ, იმას იქმოდნენ, რისთვისაც ასე თავგამოდებით იბრძოდა მესამე ძალა. კეთილი, ბატონებო, მაგრამ რა ვუყოთ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების „იმიჯს“?! რატომ დუმან დღევანდელი პრესა და ინფორმაციის სხვა საშუალებანი, რატომ არ გვაუწყებენ სიმართლეს, თუ რა იწერება საქართველოს დღევანდელი მდგომარეობის შესახებ?! ახლა მრავლად არის ისეთი მამულიშვილი, რომელსაც ეს არ უნდა დაიჯეროს. მაგრამ სიმართლეს ვერსად გაექცევით, ბატონებო: საქართველოს სრული იზოლაცია სწორედ მაშინ დაიწყო და მის გარშემო ვაკუუმმაც დაისადგურა, როცა კანონიერი ხელისუფლება დაამხეს. და ეს იზოლაცია მანამდე გაგრძელდება, სანამ კანონიერება არ აღსდგება. ამ ბოლო დღეებში საქართველოს პოლიტიკურ არენაზე ედუარდ შევარდნაძის გამოყვანა და მისი სახელმწიფო საბჭოს მეთაურად დანიშვნა საქმის ვითარებას არსებითად ვერ ცვლის. ფაქტობრივად სახელმწიფო საბჭო იგივე სამხედრო საბჭოა, ოღონდ ედუარდ შევარდნაძის სახელით გაძლიერებული. მაგრამ ამჯერად ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტი ვერ წაადგება საერთაშორისოდიპლომატიურ ასპარეზზე სახელმწიფო საბჭოს სტატუსს. პირიქით კი მოხდება, ედუარდ შევარდნაძის, როგორც პოლიტიკური მოღვაწის რეიტინგი, ჩვენი აზრით, მკვეთრად დაეცა ე. წ. საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის გამო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ საქართველოს საერთაშორისო აღიარება შეუძლია მოუტანოს მხოლოდ ლეგიტიმურმა, ხალხის ნებით, დემოკრა-

ტიული წესით. თავისუფლად არჩეულმა ხელისუფლებამ და არა უკანონო, იარაღის ძალით მოსულმა „დროებითმა მთავრობამ“.

ჰო, ლამის დამავიწყდა. პრეზიდენტის პოლიტიკის „აღმოჩენად“ მიიჩნევენ „კარვების დადგმას“ და მის ბინადართა მოქმედებას. რა წერილები, რა გესლი არ დაიღვარა ამის გარშემო. ვფიქრობ, ამ საკითხის ირგვლივ არ ღირს სერიოზული საუბარი. მაგრამ მაინც აღვნიშნავ, რომ ეს იყო ოპოზიციის ქუჩის მეთოდების წინააღმდეგ გამოყენებული ასეთივე ქუჩური ხერხი. განა ყველამ კარგად არ იცის, რომ, როგორც კი მთავრობის სასახლის წინ კარვებს აიღებდნენ, მაშინვე ოპოზიციის „ბიჭები“ წამოგორდებოდნენ და იქ მწოლიარე აქციას დაიწყებდნენ?! მართალია, არსებული პრობლემის ამგვარი წესით გადაწყვეტა საბოლოოდ არ ნიშნავდა მის მოგვარებას, მაგრამ სხვა გზაც რომ არ არსებობდა?! ყველასთვის ცხადია, რომ გ. ჭანტურიასთან და ი. წერეთელთან საერთო ენის გამონახვა შეუძლებელია. მათ, დღიდან პრეზიდენტის არჩევისა, ერთი მიზანი ამოძრავებდათ, როგორმე დაემხოთ იგი. სამწუხაროდ, მათი ეს შეუპოვრობა და ურჩობა, პრეზიდენტის წინაშე ასე ძალუმად რომ ავლენდნენ, დღეს სადღაც გაქრა ჭეშმარიტი ძალმომრეობის და ტირანიის წინაშე. ახლა საქართველოში მოქმედ სხვადასხვა პარტიებზე სიტყვას არ გავაგრძელებ, მაგრამ შევნიშნავ, რომ ყოველმა მათგანმა კარგად იცის, თუ როგორ არბევენ დღეს მიტინგებს, როგორ ღერიან ქართველთა სისხლს, როგორ მოკლეს მიტინგებზე არა ერთი და ორი, არამედ ათეულობით ადამიანი. მაგრამ სიტყვის ამოღებას ვერცერთი მათგანი ვერ ბედავს. ამ დუმილით კი მათ სამუდამოდ შეირცხვინეს თავი და ქართველი ხალხის თვალში ისინი დისკრედიტირებულნი არიან აწ და მარადის. მომავალი არჩევნებისთვის კი, თუკი საერთოდ ჩატარდება იგი, მათ ამის გათვალისწინებაც მართებთ.

„ბრალდებათა“ ჩამოთვლის დასასრულს, ალბათ, ისიც უნდა ვთქვა, რომ პრეზიდენტის ზოგიერთი „თანამებრძოლი“ თუ „მეგობარი“, შურისძიების უსაზღვრო ხიზღის გრძნობით შეპყრობილი, მას შეურაცხადად აცხადებს, ზოგი კი მას აგენტად და იმპერიული ზრახვების საიდუმლო განმახორციელებლად ნათლავს. როგორც ჩანს, ასეთი ბრალდებების წამოყენებისას

ოპოზიცია ველარ იცავს ზომიერებას, მთლიანად აშიშვლებს თავის ბუნებას და აღარ ფიქრობს, თუ რა უკუშედეგი მოჰყვება ისეთ შეთითხნილ ცილისწამებებს, რომელთა სამართლიანობისა თავად ბრალმდებელსაც არ სწამს. ეფიქრობ, ასეთ გაუგონარ და არაეთიკურ „ბრალდებებზე“ სერიოზული მსჯელობა არ ღირს. თუმცა, აქვე მაინც უნდა ეთქვა, ვინც ბატონ ზვიად გამსახურდიას შეურაცხადად აცხადებს, თავად მისი სულიერი მდგომარეობაა შესასწავლი, ხოლო ის, ვინც მას მესამე ძალის მსახურად მიიჩნევს, უდავოდ თავად არის აგენტი და სურს მოღალატის კომპლექსისგან განთავისუფლდეს. ადრე ამგვარი მკრეხელური განცხადებების დაჯერება კიდევ შეეძლო პრეზიდენტის ზოგიერთ დაუძინებელ მტერს, მაგრამ დღეს განა ყველაფერი ნათელი არ არის?! პრეზიდენტი რომ მესამე ძალის მსახური იყოს, განა ის დღეს დევნილი იქნებოდა და ე. წ. ოპოზიცია გამარჯვებული?! არა, ბატონებო, დღეს უკვე ურემი გადაბრუნებულია და ყველაფერი გაცხადებული: ჯერ საბჭოთა და მერე „გადემოკრატებული“ რუსეთის დიდი ხელშეწყობით გამარჯვებას ზეიმობს ე. წ. ოპოზიცია, რომელიც უკვე აღარც მალავს თავის „სისხლისმიერ“ კავშირს დიდ რუს ძმებთან. მაგრამ ღრმად მწამს, რომ ამ ზეიმს დიდი დრო არ უწერია...

ალბათ, არის კიდევ სხვა პრეტენზიები, პრეზიდენტს რომ უყენებენ. ახლა მას იმდენს და ისე გაუთავებლად ლანძღავენ, რომ ყველას ვერ დაიმახსოვრებს კაცი. ვგონებ, მათზეც მოინახებოდა პასუხი. თუმცა ამჯერად ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. **მეტსაც ვიტყვი, დავუშვათ, რომ ყველა ის ბრალდება, რომელსაც ოპოზიცია უყენებს, უტყუარი ჭეშმარიტება იყოს, განა ასეთ შემთხვევაში ჰქონდათ მათ მორალური, სამართლებრივი და მოქალაქეობრივი უფლება, იარაღი აეღოთ ხელში და ძალის გამოყენებით დაემხოთ ხელისუფლება?! განა მათ კარგად არ იცოდნენ, რომ ეს მცდელობა სისხლისღვრის გარეშე არ დამთავრდებოდა?! ტრაგედიის არსი სწორედ ის არის, რომ ყოველივე კარგად უწყოდნენ და შეგნებულად დებდნენ ზავს სატანასთან.** ახლა მავანი და მავანი ბრძნულად ქირქილებს, პრეზიდენტი რომ გადამდგარიყო, სისხლი არ დაიღვრებოდაო. კი მაგრამ, ვის სებას დაჰყოლოდა, ქართველი ხალხის უდიდესი უმრავლესობის თუ დაეფარავი ზიზღით გაერთიანებული

ჭრელი და იარაღზე მაცქერალი ჯგუფის?! განა ამ ეკანასკნელებმა ისურვეს ქართველი ხალხის ნება-სურვილის გაზიარება?! მათ ხომ იარაღის ყალარუნით სურთ თავისი ამბიციური უნი მოახვიონ მთელ ქართველ ხალხს თავზე. მერედა, რომელ სამართალში წერია, კარზე შეიარაღებული თავზეხელაღებულნი მოგადგნენ, სახლის დატოვება მოგთხოვონ და შენ წინააღმდეგობა არ გაუწიო?! დღევანდელი ხელისუფალნი ლამობენ თვალი აგვიხვიონ და ჯიქურ გვიმტკიცებენ, თითქოს პირველად სროლა მთავრობის სახლის დამცველებმა დაიწყესო. პირადად მე ეს მტკნარ სიცრუედ მიმაჩნია და არც მიკვირს, რადგანაც დღევანდელმა ხელისუფლებამ სიცრუე ზნეობრივ კატეგორიად გაიხადა და თავისი პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი ფუნდამენტი მასზე ააგო. მაგრამ ასეც რომ იყოს, ბრალი მაინც იმას მიუძღვის, ვინც შეიარაღებული მიუხტა კარზე. ყველაზე გულუბრყვილო ადამიანსაც დაუბადება კითხვა – რა უნდოდათ მთავრობის სახლთან შეიარაღებულ ყმაწვილებს, კიტოვანის გვარდიელებს, „ბეტეერებს“, ქაშუეთის ეკლესიის ეზოში ქვემეხს და მისთ., თუ მათ არ ჰქონდათ განზრახული ხელისუფლების დამხობა?! ქართველი ხალხის უდიდესმა, შეგნებულმა ნაწილმა კარგად იცის, როგორ მოხდა ყოველივე, რა ჰქონდა განზრახული შეიარაღებულ ოპოზიციას და ვისი ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო. მაგრამ თავი გავანებოთ ახლა ამას. უმთავრესი ის არის, რომ არავის არა აქვს უფლება, სხვათა სისხლით ასაზრდოოს თავისი ნაცოდვილარი წარმოდგენები ქვეყნის აგების და აღშენების შესახებ. დიახ, ერთი ქართველი ყმაწვილის სიცოცხლე გაცილებით უფრო ფასეულია, ვიდრე ის მიზეზები, ერთად აღებული, რომლითაც ოპოზიცია ცდილობს გაამართლოს დაღვრილი სისხლი და ძმათაკვლა.

მაგრამ მთავარი მაინც სხვა რამ არის. ყველა ზემოგანხილული მიზეზი მხოლოდ საკენკია, გულუბრყვილო ადამიანების მახეში გასაბმელად რომ არის ზედაპირზე დაყრილი. ალბათ დროა ვხედებოდეთ, რომ მთავარი მიზეზი სხვაგან უნდა ვეძებოთ. საშიშია, იმ ყმაწვილს არ დავემსგავსოთ, ჩიტის დაჭერას რომ ლამობდა და სინამდვილეში ცაში მონავარდე ფრინველის ჩრდილს უგებდა მახეს. საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის მიზეზებს პრეზიდენტის ქცევა-ხასიათში ნუ ვეძებთ, ის უფრო გლობალური ხასიათისაა და რუსეთისა და

ევროპის მასონურ წრეებშია საგულვებელი. ერთი ცხადია, ქართველი ერის დაკნინების და მიწასთან გასწორების „იდეალური“ გეგმა იქ შემუშავდა. ძალზე სამწუხაროა ისიც, რომ ამ გეგმის განხორციელება ქართველისავე ხელით მოახერხეს და ეს ჯერჯერობით საქართველოში შეძლეს.

დასასრულ, გავიხსენოთ, რა „სიკეთე“ მოუტანა საქართველოს ამ შეიარაღებულმა ძალადობამ, „დემოკრატიულ რევოლუციად“ რომ მოინათლა.

ასეულობით (ზუსტი რიცხვი ჯერ არ არის ცნობილი) ქართველი ახალგაზრდის სიკვდილი!

დანგრეული და განადგურებული თბილისი!

დალაშქრული, ფიზიკურად და სულიერედაც სამუდამოდ გახლეჩილი საქართველო!

„ინტერფრონტის“ სამხედრო დიქტატურა!

ათეულობით მშვიდობიანი მომიტინგის დახვრეტა!

ათასეულობით მანიფესტანტის და განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანის, მოშიმშილეების დარბევა-დაპატიმრება!

პრესის საოცარი ცალმხრივობა, სიცრუე, არაობიექტურობა, ოპოზიციური გაზეთების დარბევა-დახურვა!

ტელევიზიის პრიმიტიული დონე, ჯერაც არნახული ტენდენციურობა და გაუმართლებელი სწორხაზოვნება. იდეოლოგიური უმწიფრობა, რომელიც ეფუძნება ზვიად გამსახურდიას მიკერძოებულ ლანძღვას, ქურდობის ინსტიტუტის აღზევებას და ედუარდ შევარდნაძის ხოტბა-დიდებას (ეს განსაკუთრებით ნათლად გამოიკვეთა ორი დიდი ხელოვანის გამოსვლისას)!

ფასების გაუგონარი ზრდა (მაშინ, როცა პირველადი აუცილებელი საქონლის ღირებულება გაიზარდა ათჯერ, ორმოცდაათჯერ და, თუ გნებავთ, ასჯერაც; ხელფასის გაორმაგება ოდნავაც ვერ შველის საქმეს)!

საყოველთაო შიმშილი!

სრული ქაოსი, ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის უკიდურესი გაღრმავება, ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა!

ქართველი კაცის სულიერი დაკნინება და სრული დეგრადაცია!

უზნეობის ზეიმი!

კომუნისტების რეანიმაცია, კოსმოპოლიტიზმისა და, განსაკუთრებით, ლენინურ-სტალინურ-შევარდნაძისეული ინტერნაციონალიზმის აღზევება!

მილიტარიზებული ქვეყანა, სადაც რიგითი ოფიცრის ხელფასი 2500 მანეთია, პროფესორისა კი – 1300 მანეთი (თანაც, მე შენ გეტყვი, ეს ოფიცრები უცხოთაგან იცავენ ქვეყანას და საკუთარ ხალხს არ ხოცავენ!)!

ეფიქრობ, მონღოლთა შემოსევის შემდგომ არ დასდგომია ასეთი დიდი ღამე საქართველოს. მეორედ მოსვლის აშკარა მოწმენი გავხდით. ახლა ხშირად გაისმის სასოწარკვეთილ ქართველ ხალხში „ყოფნა-არყოფნის" ტოლფასი კითხვა: რა გვეშველება?! ჩემი ღრმა რწმენით, ვერავითარი ინდივიდები, ვერავითარი ე. შევარდნაძე ვერ უშველის საქართველოს, მას გადაარჩენს მხოლოდ კანონიერების აღდგენა და ქართველი ხალხის ნების უზენაესობის აღიარება. ამიტომაც სასწრაფოდ უნდა გაუქმდეს სამხედრო საბჭო, რომელიც სახელმწიფო საბჭოს სახელით მოინათლა.

უნდა გაუქმდეს საკომენდანტო საათი.

უნდა დაიშალოს ყოველგვარი შეიარაღებული, ე. წ. გასამხედროებული ორგანიზაციები.

სასწრაფოდ უნდა ჩამოერთვათ მათ იარაღი.

გვარდია უნდა დაუბრუნდეს თავისი დისლოკაციის ადგილს და დაემორჩილოს არა რომელიმე ერთ პიროვნებას, არამედ კანონიერ ხელისუფლებას.

სასწრაფოდ ჩატარდეს რეფერენდუმი. ხალხს უნდა ეკითხოთ, სურს თუ არა მას პრეზიდენტისა და ხელისუფლების დაბრუნება (სხვათა შორის, ახლა ყურები გამოგვიჭედეს იმის მტკიცებით, რომ პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიას რეიტინგი საოცრად დაეცა. თუ ასეა, მაშინ რატომღა არ მივმართავთ ყველაზე დემოკრატიულ ფორმას – რეფერენდუმს – რაც ერთადერთი საშუალებაა ქართველი ხალხის დამშვიდებისა!).

ყველაფერი ეს უნდა გაკეთდეს სასწრაფოდ, თორემ დენთის სუნი უკვე ტრიალებს საქართველოში.

ამჯერად მწიფდება მართლაც საერთო-სახალხო აჯანყება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მთელი ქართველი ხალხი. ხოლო თუ ეს მოხდა, და, ჩვენი აზრით კი ნამდვილად მოხდება, მაშინ ქვეყნად ისეთი რამ დატრიალდება, რომ განკითხვის დღეც სანატრელი გაგვეიხდება. ეს უნდა შეიგნოს ყველამ – სრულიად საქართველომ!

1992 წელი

„საქართველოს სამრეკლო“ ზარებს დაარისხებს

ძნელია საქართველოს ბედუკუღმართ დღევანდელობაზე ულმშვიდად ისაუბრო და წერო ქართველმა. ვერა ბრძენი და ენამჭევრი ვერ აღწერს იმ ფიზიკურ თუ სულიერ დაკნინებას, ზნეწამხდარობას თუ ცოდვითადაცემულობას, რაც სუფევს დღეს სრულიად საქართველოში: ერი თუ ბერი უღმერთობის აღვირახსნილ ორგიაში ჩაბმულა და თავდავიწყებით მისცემია ექსტაზურ როკვას, რომელიც წამიერი სიცოცხლის მხოლოდ წამიერი სიამოვნების გამომხატველია და ანგარიშს არ, უფრო მართებულად, ვერ უწევს ხვალინდელ დღესა და მომავალს. სწორედ საკუთარი მუცლის ამოყორვაზე ზრუნვამ, მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ფიქრმა, საკუთარი სახლ-კარის მოვლისთვის ფუსფუსმა და ოდენ დღევანდელობის სიამტკბილობით გახარჯვის წადილმა, ჩვენი აზრით, მიიყვანა მოაზროვნე ადამიანთა ერთი ნაწილი იმ საკალალო მდგომარეობამდე, როცა თვალისჩინწართმეულნი საკუთარი თავის გარდა ვეღარაფერს ხედავენ; ვერ ამჩნევენ ქართველი ხალხის აუტანელ ყოფას, სრულიად საქართველოს დაღუპვა-განადგურებას და ვერც იმას ჭვრეტენ, თუ რა გველის ხვალ.

დიახ, ინდივიდუალურმა, სუბიექტურმა და კერძო „მე“-მ მთლიანად გადაფარა დღეს ზოგადი და საქვეყნო.

ქართველ მოღვაწეთა უმეტესობა, საკუთარი თავის და ოჯახის უშფოთველობის და უშიშროების ნირვანას მიცემული, არად დაგიდევს რა ხდება ქვეყნად, რა სტკივა და რა უჭირს ქართველი ადამიანის გულსა და სულს. ზოგნი ამას სჩადიან აბსოლუტური ეგოცენტრიზმით დაბრმავებულნი, ზოგნი ამას იქმან შიშით, აქაოდა რაიმე არ მომეწიოსო, ზოგიც კიდევ ფარისეველთა გზას დასდგომია და სიცრუითა და სიყალბით სურს თავგზა აუბნიოს ხალხს. აი, ეს უკანასკნელნი, რომელნიც ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს არად აგდებენ და საკუ-

თარი ეზო-ყორე ურჩევნიათ სვეტიცხოველს. არიან დიდად საშიშნი, რადგანაც სატანისეული სული დაუფლებია მათ და ამდენად ძალად ამოსაცნობნი გახლავან... მაგრამ მავანმა და მავანმა უნდა უწყოდეს, რომ საბოლოოდ კეთილი ეძიჯნება ბოროტს და დაფარული გაცხადდება. ასე რომ, განკითხვის დღეს ყველაზე მკაცრად მათ მოეკითხებათ და თუ ამ ქვეყნად არა, იმ ქვეყნად მაინც არ ასცდებათ ღვთის რისხვა...

თუმცა ახლა უმჯობესია შეეშვათ ესქატოლოგიური წარმოდგენებით ურწმუნოთა აღზრდას და ქვეყნის ბედუკულმართობას მივუბრუნდეთ.

საყოველთაო განუკითხაობა ბატონობს დღეს საქართველოში: სულმდაბალნი პატივდებულნი არიან და დიდების გვირგვინით თავდამშვენებულნი ზარზეიმს მისცემიან, სულით უბიწონი კი პატივაყრილნი, მივიწყების კუთხეში მიყუჟულან და საზოგადოებრივ ასპარეზს ვერ გაჰკარებიან, რადგანაც ყველაფერი ზნეობრივად თავდაყირა დამდგარა: ბოროტება კეთილობს, მახინჯი ლამაზმანობს, რეგვენი ბრძენკაცობს და ეშმაკი ანგელოზობს. ერთი სიტყვით, დღეს ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო სიბრმავე და სიყრუე გამეფებულა, აღარ გვესმის ურთიერთისა, აღარ გვესმის მამულის გულის კვნესისა და სწორედ ამ საყოველთაო სულჩაკლულობამ და სიბრმავემ განაპირობა ის, რომ „საქართველო ასე მწარედ დაემხო“...

„დამხობილი“ კი უდავოდ არის ფიზიკურად და სულიერადაც. დღეს რომ საქართველოს უჭირს, არც არასოდეს გასჭირვებია ასე.

ჯერ დავიწყოთ ყოფითი წერილმანებით, რომელთაც საყოველთაო კატაკლიზმების ჟამს თითქოს არც კი უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება.

სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ჩვენი სამშობლო და, კერძოდ, მისი დედაქალაქი ყელამდე ჭუჭყშია ჩაფლული: ნაგავი – შინ, ნაგავი – გარეთ, ნაგავი – ეზოში, ნაგავი – ქუჩაში. საშინელი ანტისანიტარია სუფევს ირგვლივ, რასაც მოჰყვა თაგვების და ვირთხების ისეთი რაოდენობით მოძრაველება, რომ ლამის გმირთა მოედანი გადაჯეგონ... სიმყრალემ და შმორის სუნმა ააქოთა გარემო... ამას ზედ ერთვის მშიერი კატების და ძაღლების გამუდმებული კნავილი და ყმუილი და მათზე მოხადირე გაბოროტებული კაცების გნიასი... ახლა ისიც

გავიხსენოთ, რომ ხშირად არ მოდის არც ციცი და არც ცხელი წყალი. არ არის გაზი, არ არის გათბობა, არ არის სინათლე... აქვე ისიც ვთქვათ, რომ არ მოძრაობს ტრანსპორტი: ტაქსებს რომ თავი დავანებოთ, ტროლეიბუსების და ავტობუსების დანახვა დიდ ზეიმად გვექცა. თუ იმასაც არ დავივიწყებთ, რომ ბაზარში ცეცხლი უკიდია ყველაფერს და პირველადი მოხმარების ყველა საგნის ფასი თითქმის ათასჯერ გაიზარდა. ხოლო ხელფასი მხოლოდ რამდენჯერმე, აღარ გაგვიკვირდება, რომ საქართველოს მოსახლეობის პატიოსანი, უმეტესი ნაწილი შიმშილობს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში ყოველთვიურად ათეულობით კაცი იღუპება შიმშილით... გავიხსენოთ ყველაფერი ეს და ნათლად დავინახავთ, თუ რა აუტანელ ყოფაშია დღეს ქართველი ხალხი. მაგრამ უფრო აუტანელია ის, რომ საქართველო ნანგრევებად ქცეულა, სადაც ჭოტნი თუ დაიბუდებენ: დანგრეულია თბილისის უძველესი და ულამაზესი უბნები, დანგრეულია ცხინვალი, დანგრეულია ზუგდიდი, დანგრეულია წალენჯიხა, დანგრეულია სოხუმი, დანგრეულია გაგრა, დანგრეულია ლესელიძე და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი სოფელი და რაიონი... უსახლკაროდ დარჩა უამრავი ქართველი ოჯახი, საქართველო ქართველი ლტოლვილებით აივსო. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ქართულ მიწაზე ქართველები იდევნებიან და თავისი კუთხიდან იძულებით აყრილნი, მშიერ-მწყურვალნი მოსდებიან დასავლეთს და აღმოსავლეთს. ამასაც გაუძლებდა ქართველი კაცის გული, რომ არ ღრღნიდეს ერთი შემზარავი ეჭვი: სამშობლო არა მხოლოდ დანგრეულია, არამედ გაყიდულიც, გასხვისებული და დაკარგულიც. დიახ, დაკარგული და გასხვისებულია შიდა ქართლი, დაკარგულია აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი. მაგრამ გულს ნუ გავიტეხთ! გასაყიდი და გასასხვისებელი კიდევ ბევრი გვაქვს და ჩვენი „ბრძენი პოლიტიკოსების" ამბავი რომ ვიცით, საქმეს ბოლომდე მიიყვანენ...

არ შეიძლება ყოველივე ამან არ შეძრას ნორმალური ქართველი კაცის ფსიქიკა. მის ტრაგიკულ განცდას კიდევ უფრო აძლიერებს იმის გაცნობიერება, რომ საქართველოში ბოლო ერთი წლის მანძილზე ეცოდველ ადამიანთა ზღვა სისხლია დაღვრილი. დალუპულია უამრავი ახალგაზრდა, ალალ-მარ-

თალნი, გულუბრყვილონი, გულანთებულებმა რომ დატოვეს ეს ცოდვის სამყოფელი.

სავსებით ბუნებრივია, რომ ეს აპოკალიფსური ჟამი ქართველის სულს მძიმე დაღს დაასვამდა. ამიტომაც დაკნინდა იგი, დამდაბლდა და მთლიანად ბნელით გარემოცულს, აღარ შერჩენია უნარი ნათლის ხილვისა, კეთილისა და ბოროტის გარჩევისა. მეტიც, მან დაკარგა თანდაყოლილი ნიჭი მშვენიერების ხილვისა და მასთან ზიარებისა. ამიტომაც აღარ იზიდავს არც ნატიფი სიტყვა, არც ბგერათა ჰარმონია, არც ამეტყველებული ქვა და არც ფერთა შეხამება. ეს კი საწინდარია იმისა, რომ მან მთლიანად დაივიწყოს თავისი პირველადი ყოფა, ნათელში სუფევა და ბნელეთში დაინთქას, რაც თავისთავად იქნება ქართული სულის კატასტროფა. კატასტროფა კი ნამდვილად გვიახლოვდება. ამის დასტური თუნდაც ის არის, რომ ქართველი კაცის გულში აღარ ანთია რწმენის სანთელი, ის ეკლესიაში მხოლოდ სხვათა დასანახად შედის.

ჭეშმარიტმა მორწმუნემ კი ღვთის ტაძარს ზურგი აქცია, რადგანაც ფარისეველნი დაპატრონებიან მას... ერთი სიტყვით, წყვდიადი დასადგურებულა საქართველოში, აღზეებულა კაენის სული, ძმა ძმის კვლაში გაწაფულა და ამით თავმომწონეობს კიდეც. კაცი რომ თვისტომზე ხელს აღმართავს, ძნელია მას მიმტევებლობა, კაცთმოყვარეობა და, თუ გნებავთ, ზნეობის ელემენტარული ნორმები უქადაგო. ალბათ ამიტომაც არის, რომ ის გაუთაევებელი ძარცვა-გლეჯა, ყაჩაღობა და კაცთაკელა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ატრიბუტად რომ ქცეულა, ასეთ დაუნდობელ და მხეცურ ფორმებს იღებს დღეს. რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ბოროტება ზეიმობს მთელ საქართველოში და გამარჯვებულის იერით ღიღინებს. ვაი, რომ ეღიღინება, რამეთუ ქართველი ქართველს არ ინდობს, ქართველი ქართველს ასმენს, ქართველი ქართველს ძირს უთხრის, ქართველი ქართველს ჩაგრავს, ქართველი ქართველთან გულუშიშრობს, ქართველს ქართველი სძულს, ქართველი ქართველთან გულბოროტობს და ქართველი ქართველს ანადგურებს!

აი, ასეთ უმძიმეს ვითრებაში, როცა ყველაფერი ბოროტ საწყისზეა დაფუძნებული, როცა სახელმწიფოში ძალმომრეობა აპოგეას აღწევს, როცა მართალი სიტყვისათვის და გან-

სხვავებული აზრისათვის იჭერენ და ხერეტენ ადამიანს, როცა კუჭცარიელი სულიერ საკვებზე ველარ ფიქრობს, როცა შემოქმედის კალამს ძალა დაუკარგავს და თავზეხელაღებული მოძალადის ავტომატი კაკანებს, როცა სიმართლეს ძალისძალად თვალებს სთხრიან და პირში ავტომატის ლულას სჩრიან, როცა მუცელსაყოლილთ სამშობლო არად უღირთ, როცა ყოველგვარი ქართული და ეროვნული პროვინციალიზმად და, მეტიც, ფაშიზმად ინათლება, ერთი სიტყვით, როცა ახლოვდება ჟამი საქართველოს საბოლოო დამხობისა და განადგურებისა, ჩვენი გაზეთი ასპარეზზე გამოდის, უფრო მართებულად, მეორედ იბადება. როგორც ცნობილია, ჩვენი საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1923 წელს დიდმა ქართველმა მწერალმა და მოღვაწემ კონსტანტინე გამსახურდიამ თანამოაზრეებთან ერთად დააარსა „საქართველოს სამრეკლო", რომლის მხოლოდ ერთი ნომერი გამოვიდა მიზეზთა და მიზეზთა გამო. მაგრამ ზღვის გემო წეეთითაც შეიცნობაო. და ეს ერთადერთი ნომერიც საკმარისია იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეეიქმნათ ამ გაზეთის ეროვნულ თვალსაწიერზე.

ჩვენთვის ამთავითვე ცხადია, რომ ძნელ საქმეს შეეჭიდეთ. იმ დროს, როცა ეროვნული სული იდევნება და იწიხლება, უნდა გაეაგრძელოთ კოლხური კოშკის ჭეშმარიტად მამულიშვილური ტრადიციები. ამიტომაც გვწამს, რომ დღეანდელი „საქართველოს სამრეკლოს" უპირველესი მისიაა ქართული ცნობიერების გამოცოცხლება, ქართული სულის განწმენდა, გამოღვიძება და ამაღლება. ჩვენ არ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ამ გაუკუღმართებულ ჟამს დაგვწამებენ ნაციონალისტობას და მეტიც, ნაცისტობას. მაგრამ ეს ვერ შეცვლის გაზეთის პოზიციას, რომლისთვისაც უმთავრესია პრინციპი: **საქართველო უპირველეს ყოვლისა!** ამასთან, კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ დღეს, როცა ყველაფრის დეფიციტი იგრძნობა, როცა თითქმის არაფერი არ იშოვება, გაზეთების სიმრავლემ წალეკა საქართველო. ამჟამად გამოდის დაახლოებით ათასამდე გაზეთი, დაწყებული „საქართველოს რესპუბლიკით" და დამთავრებული „მარიანათი". მაგრამ მაინც თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოება ინფორმაციულ შიმშილს განიცდის, რადგანაც ჩვენს პრესას ობიექტურობის ნიშან-წყალიც არ ემჩნევა. გაზეთის ფურცლებზე იწერება ყველაფერი,

მაგრამ არა არსებითი და მნიშვნელოვანი. ქართული ჟურნალისტიკის მარცხად უნდა ჩაითვალოს ის, რომ თითქმის არცერთი გაზეთი (თუ მხედველობაში არ მივიღებთ ორიოდ გამოცემას) არ მსახურობს ჭეშმარიტებას. სამწუხაროდ, ჩვენი ჟურნალისტების დიდი არმია, საბჭოური სისტემის ცოდვით წელგაღუნული, დღესაც მსახურის, უფრო მართებულად, ყურმოჭრილი ყმის როლს დასჯერებია და იმის ნაცვლად, რომ ჭეშმარიტების ნერგი გაახაროს, ფარისევლობის ხეზე აცოცებაში ეჯიბრება ურთიერთს. უნდა მოგახსენოთ, რომ იმ ავბედით ჟამსაც კი, როცა კომუნისტები მძლავრობდნენ, ასე ერთხმად არ ადიდებდნენ და არ იწონებდნენ ხელისუფლებისა და მისი თავკაცების მოღვაწეობას. თუმცა აქეე იმის აღნიშვნაც არის საჭირო, დღეს სიმართლისთვის რომ იდევნება კაცი, თუ გნებავთ გაზეთი, მსგავსი რამ არც როდის ყოფილა. და მაინც, მიუხედავად ამჟამად გაბატონებული ძალმომრეობისა, „საქართველოს სამრეკლო" არ აპირებს უღალატოს ობიექტურობისა და სიმართლის გზას. ვერა და ვერ მოვნათლავთ წმინდა გიორგის სახელით ან თუნდაც კახაბერად მას, ვინც ამას არ იმსახურებს. ჩვენ გვწამს, რაოდენ მწარე და უსიამოვნო არ უნდა იყოს სიმართლე, ქვეყანას და ხალხს ის უფრო წაადგება, ვიდრე ფარისეელური ქების ოპიუმგაზავებული შარბათი. ამიტომაც გაზეთი „საქართველოს სამრეკლო" ყოველთვის ეცდება, რაოდენ ძნელიც არ უნდა იყოს, დაარისხოს სიმართლის ზარები.

ბუნებრივია, გაზეთის უპირველესი მოვალეობაა საქართველოს ცხოვრების გულისგულს ჩასწვდეს, მისი სულის თრთოლვას ყური მიუგდოს და ის, რაც აწუხებს და აღელვებს ქართველ ხალხს, სააშკარაოზე გამოიტანოს. მართალია, დღევანდელობის გათვალისწინებით უფრო ხშირად ჩვენი ცხოვრების ლაფზე და ლექზე მოგვიწევს საუბარი, ვიდრე მარგალიტებზე, მაგრამ რა გაეწყობა, წყალი ისე არ დაიწმინდება, თუკი სათავე ლაფისაგან არ გავწმინდეთ. არ გამოვრიცხავთ, რომ ხშირად წერილმანებზე და კერძო მოვლენებზეც შევაჩერებთ ყურადღებას, მაგრამ სასურველია და უპრიანიც, კერძოს მაშინ დაეთმოს ადგილი გაზეთის ფურცლებზე, როცა ის თავის თავში მოიცავს ზოგადის მნიშვნელობასაც. ჩვენ შე-

ვეცდებით, რამდენადაც ეს შესაძლებელია დღევანდელ პირობებში, დავძლიოთ ყოველგვარი პიროვნული და ავმაღლდეთ საერთო ეროვნულ პრობლემებამდე.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ „საქართველოს სამრეკლოს“ ერთ-ერთი მთავარი მიზანია ადამიანის სულის დახვეწა და ამაღლება. ამისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მშვენიერებასთან ზიარება, რაც ძირითადად ქართული ხელოვნებისა და მწერლობის წყალობით უნდა განხორციელდეს. ასე რომ, გაზეთი დიდ ადგილს დაუთმობს ხელოვნების, მწერლობისა და, საერთოდ, კულტურის გაშუქებას. უმორჩილესად ვთხოვთ თანამშრომლობას ყველა ნიჭიერ შემოქმედს განურჩევლად „სჯულისა და რწმენისა“, რამეთუ ისიც ღრმად გვწამს, რომ ჭეშმარიტი ნიჭიერება ბოროტებასთან ვერ იქნება წილნაყარი.

დასასრულ, ამთავითვე გვინდა ვაუწყოთ მკითხველს, რომ „საქართველოს სამრეკლო“ ვერ იქნება სალონური ყაიდის გაზეთი. მან შეიძლება ვერ დააკმაყოფილოს გადაპრანჭულ ინტელიგენტთა პრეტენზიული გემოვნება, ის შეიძლება ვერ ამაღლდეს ზოგიერთი „ზექართველის“ აზროვნებამდე, მასონური პირამიდის თვალით ვერ განჭვრიტოს სამყარო და გააანალიზოს „დედამიწელთა“ პრობლემები, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს, როცა ასე ზეიმობს ხეში ფიზიკური ძალა, როცა პატიოსანი და მართალი ადამიანი ასე უსინდისოდ იჩაგრება და ღირსება მისი ყოველწამს ითელება, როცა ქართველს ქართველობა უჭირს, გაზეთმა მთელი თავისი ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქვეყნისადმი უნდა მიმართოს, ის ქომაგად უნდა დაუდგეს უპოვარ, ჩაგრულ, დევნილ და შერისხულ პატიოსან ქართველ ადამიანს, იყოს მისი ჭირისა თუ ლხინის მოზიარე, მისი მფარველი, რადგანაც ღრმად გვწამს, რომ მამულის ჭეშმარიტი სიყვარული სწორედ უბრალო ქართველი მოკედავის გულში ღვიეის, რომ საქართველო სხვა არაფერია, თუ არა სისხლითა და სულით შერწყმული ქართველი ხალხი, რომელიც იყო, არის და იქნება ჩვენი ფიზიკური თუ სულიერი უკვდავების, ქართველთა მარადყოფნის დერეფა.

არ დაგიმალავთ, იმასაც ვფიქრობთ, რომ მრავალ ვაიქართველს, რომელსაც დღეს ხელთ უპყრია მბრძანებლის კვერთხი, არ ეჭაშნიკება ჩვენი პოზიცია. ისინი შეეცდებიან მიანუმათონ ახ სულაც დაადუმონ „საქართველოს სამრეკლო“. მაგ-

რამ ისიც მტკიცედ გვჯერა, რომ სანამ საქართველო არსებობს, სანამ თუნდაც ერთი ქართველიც ქართველობს, მანამ ვერ ჩაახშობენ ქართული ზარის რეკვას, ვერ ამოგლეჯენ მას ენას, ვერ დაუხშობენ განგაშის ხმას. შეიძლება დახურონ გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“, მაგრამ ვერავითარი ბოროტი ძალა ვერ დაანგრევს იმ სამრეკლოს, რომელიც ქართველი კაცის სულშია ამოზრდილი. ყველამ კარგად უნდა უწყოდეს, რომ, რაც უნდა აღზევებული იყოს უსამართლობა და სატანისეული ძალები ბობოქრობდნენ, სულიერი საქართველოს სამრეკლოს განადგურება შეუძლებელია.

აი, ამ რწმენით მეორედ დაბადებული გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ შეუვალად ეცდება არ უღალატოს თავისი მრწამსის უმთავრეს პრინციპს და ბოროტების, ძალმომრეობის, აეკაცობის და უზნეობის წინააღმდეგ ყოველთვის მჭექარედ და მქუხარედ დაარისხოს ზარები.

ოღონდაც, იმასაც ვიმედოვნებთ, რომ ღმერთის შეწევნით და ქართველი ხალხის სიბრძნის წყალობით, მალე დადგება ის ჟამიც, როცა ცისკრის ზარები ახარებენ დიდი ნათელი დღის დაბადებას სრულიად საქართველოს.

1992 წელი

მაიმუნის წელიწადი

აჰა!.. მიიწურა და მიილია 1992 წელი, წელი მაიმუნისა, უფრო მართებულად, მაიმუნებისა, და კარს მოგვადგა ახალი – მამლის წელი, რომელიც ერთდროულად სევდასაც აღგვიძრავს და სიხარულსაც, იმედითაც გვასაზრდოებს და უიმედობასაც გვიქადის.

ხშირად მსმენია, წასული წელი აუგად არ უნდა მოიხსენიო, პირიქით, მადლობა უნდა მიაგო მას, თუნდაც შენთვის ის უბედურების მომტანი იყოსო. მაგრამ ვაი, რომ სამადლობელოდ არ უბრუნდება ენა ქართველს, რადგანაც გასული წლის კოშმარულმა და შემზარავმა განცდამ სულ მთლად წაართვა უნარი მადლიერებისა. მართლაც, ძნელად დაიძებნება საქართველოს ისტორიულ ჟამთა სრბოლაში მეორე წელი, რომელიც ესოდენ მძიმე და გაუსაძლისი ყოფილიყო. ის, რაც დატრიალდა, სრულიად საქართველოს და მთელი ქართველი ხალხის ტრაგედია გახლდათ და თუ ვინმე ამას გამარჯვებად და ზეიმად აღიქვამს, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, მას არ გააჩნია ქართველის ცნობიერება და ფსიქიკა.

მძიმე, ტრაგიკული განცდა კი ამ წერილის ავტორს და, ალბათ, მის დარად ასიათასობით ადამიანს მაშინვე დაეუფლა, როცა რუსთაველის გამზირზე ავტომატი აკაკანდა, ზარბაზანმა იქუხა და ქართველის სისხლი დაიღვარა. მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, სულიერი ტკივილი გამიათმაგა და შემზარა იმჟამინდელმა ახალი წლის ღამემ, როცა ურთიერთის სისხლით ვერ დაოკებული ქართველები ისეთი ზარზეიმით, ყიჟინითა და ენით აუწერელი, გამაყრუებელი სრულით შეეგებნენ ახალი წლის დადგომას, რომ გეგონებოდათ, მეორე მსოფლიო ომი ის-ის იყო გამარჯვებით დაესრულებინოთ. მაშინ კი გავიფიქრე, რომ ჩვენი ცნობიერება მთლად ჯანსაღი ვერ იყო. თუმცაღა უმალ უკუვაგდე ეს ფიქრი და შეეცადე ფსიქოლოგიურად ამეხსნა ეს უგუნურობა. ვიფიქრე, ეს აღტყინება სიკვდილის წინ, აგონიაში მყოფი ადამიანის გაბრძოლებას, ანდა

გარდაუვალი კატასტროფის მილოდინში ერის უაზრო ამბოხებასა და პოტენციური ენერგიის ამოფრქვევას ნიშნავდა. სამწუხაროდ, ეს აგონია დღემდე გრძელდება: უაზროდ და უმიზნოდ იღვრება ნაკადულებად ქართველთა სისხლი ისე, რომ განმკითხავი არავინაა – არც ერი და არც ბერი, არც კალმოსანი და არც თოხიანი, არც მღვდელმთავარი და არც „ჩინიანთა“ გამგებელი...

ამ ჯოჯოხეთური ცეცხლის გამჩაღებელთა ერთი ნაწილი, რომელმაც უკან დასახევი გზა არ დაიტოვა და, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ლამობს თავისი „გველმაცთუნებლობის“ გამართლებას, გაღიზიანებით, თანაც გაკვირვებით იკითხავს: მაინც რა მოხდა ასეთი, ერთი „უვარგისი“ და „ავტორიტარული“ ხელისუფლება შეცვალა „ვარგისმა“ და „დემოკრატიულმა“ ხელისუფლებამო, ასეთი უჩვეულო და შემაშფოთებელი რა დაინახეთ ამ გადატრიალებაშიო?! მართლაც, რა არის აქ უჩვეულო?! ცხოვრებამ დაგვარწმუნა, რომ ხელისუფალნი მიდი-მოდიან, ქვეყანა და ერი კი რჩება. ასე, მაგალითად, ლიტვაში ეროვნული ხელისუფლება ლანდსბერგისის თაეკაცობით დამარცხდა არჩევნებში და მის ნაცვლად პროკომუნისტური ხელისუფლება მოვიდა ბრაზაუსკასის ხელმძღვანელობით, მაგრამ ეს ტრაგედიად არ მონათლულა. არ მონათლულა იმიტომ, რომ ყოველივე მოხდა ისე, როგორც ეკადრება ცივილიზებულ, ჭეშმარიტად დემოკრატიულ სამყაროს, ეს მოხდა საყოველთაო არჩევნებით და არა იარაღის ძალით და სისხლის გუბეებით.

აი, ედუარდ შევარდნაძე თავისი „ქერუბინთა“ დასით ამგვარი მშვიდობიანი გზით რომ დაბრძანებულიყო ხელისუფლების ტახტზე, ვინ იყო ხმის ამომღები, ან ეის ექნებოდა უფლება, რაიმე პრეტენზია გასჩენოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მის „კორონაციას“ დიდი სისხლისღვრა ახლდა თან და ტახტისაკენ ამავალი საფეხურებიც გვამებით იყო მოფენილი. სწორედ ეს სისხლიანი გზა და არაადამიანური ძალადობის მეთოდები აღაშფოთებს ყველა პატიოსან ქართველს და ის მანამდე ვერ ჰპოვებს სულიერ სიმშვიდეს, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ სამართალმა იზეიმა და გაიმარჯვა. აი, ამ განცდაში უნდა ვეძებოთ ქართული სულის ტრაგედიის ფესვები და არა რაღაც გამოგონილ „იზმებსა“ და „ისტობაში“, რასაც ასე გა-

ეულისებით ვეიკიჟინებს დღევანდელი ფაქტიური ხელისუფლების იდეოლოგიური მანქანა.

ახლა ვთქვათ და სქესდაუდგენელი, მოინტელექტუალო ეაიპოლიტიკოსის (რომელსაც ამერიკული პორნოგრაფიული ფილმის „სამნი საწოლში" მთავარი გმირის როლი უფრო დაამშვენებდა, ვიდრე ამჟამინდელი სამოღვაწეო ასპარეზი) აზრს დავეთანხმეთ და დავიჯერეთ, რომ ეს „რევოლუცია" სისხლს მოითხოვდა. საქვეყნოდ გავრცელებული, ზნეობის ყოველგვარ საფუძველს მოკლებული თეზაც — „გამარჯვებულებს არ ასამართლებენ" — გავიზიარეთ ან გაგვაზიარებინეს. ასეთ შემთხვევაშიც ყოველ ნორმალურ ადამიანს აღეძვრება გულისმღრღნელი ფიქრები: ჯერ ერთი, საჭირო იყო თუ არა საერთოდ ეს „სამხედრო გადატრიალება" თუ „რევოლუცია". მეორე, რა გამართლება ეძებნება ქართველთა მიერ დაღვრილ სისხლს და რა ნაყოფი გამოიღო მან? მესამე, ამ სისხლისმღვრელ შეტაკებაში ვინ გაიმარჯვა?

თუმცაღა ახლა ყველაფერი ნათელია, მაგრამ ზოგიერთი ურწმუნო თომას „დასარწმუნებლად" ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს. ამავე დროს ეს პასუხები სუბიექტური, ახირებული ხედვით და პირადი კეთილდღეობით კი არ უნდა იყოს ნასაზრდოები, არამედ ზოგადობის, საყოველთაობისა და ეროვნულობის ქვაკუთხედიდან ამოზრდილი, თანაც უნდა ეფუძნებოდეს არა ემოციებს, არამედ შედეგის ანალიზს, რადგანაც ხეხილის ჯიშიანობაზე მოწეული ნაყოფით მსჯელობენ.

მაშ ასე: ჯერ გავარკვიოთ, იყო თუ არა საჭირო საერთოდ საქართველოში მომხდარი ე. წ. „დემოკრატიული რევოლუცია" და მერე მისი წყალობით დამკვიდრებულ „ბედნიერებასაც" გადავკრათ თვალი. პრობლემის ნათლად წარმოსაჩენად ხანდახან შეპირისპირების მეთოდსაც მივმართავთ. ამიტომაც მოგვიხდება ზოგიერთი ისეთი ფაქტის გახსენება, ყველასათვის ცნობილი რომ არის.

ჯერ ის აღვნიშნოთ, რომ რაც საქართველოში მოხდა, მას ვერც „სახალხო აჯანყებას" და ვერც „დემოკრატიულ რევოლუციას" ვერ ვუწოდებთ. მადლობა ღმერთს, ამ ტერმინებს თავად „მამალი პუტსისტებიც" ვეღარ ხმარობენ, რადგანაც ამ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულმა ცნებებმა მოკლე დროსაც ვერ გაუძლო. მხოლოდ ზოგიერთი თავქარიანი და პარტი-

ული „ბოსი“ გაიხსენებს მათ და წამოიყვირებს აქა-იქ ისე, როგორც აქლემია ქარავანს ჩამორჩენილი კოზინა. სავსებით მართალია სამხედრო მინისტრი თენგიზ კიკოლეიანი, ამ „გადატრიალების“ სული და გული, როცა წერს: „გასული წლის ზამთარში გამსახურდიას ხელისუფლების შეცვლას ახალი ხელისუფლებით მე ვუწოდებ სამხედრო გადატრიალებას. ამ მოვლენის სახალხო აჯანყებად ან სხვა რაღაც სახელწოდებით წარმოდგენა მსოფლიო საზოგადოებისათვის თვალის ახვევის მცდელობაა და მეტი არაფერი. ეს იყო წმინდა წყლის სამხედრო გადატრიალება, რადგან იგი განახორციელა გვარდიამ, რომელიც გადაუდგა გამსახურდიას და ომი გამოუცხადა მას“ („იბერია-სპექტრი“, 29. XII. 1992 წ.). თუ ზოგიერთ დეტალს დავაზუსტებთ, მთავარსარდლის ინტერვიუს ამონარიდში (მაგალითად, პრეზიდენტს გვარდია კი არ გადაუდგა, არამედ მისი ერთი მცირე ნაწილი, რომელიც არაკანონიერად გამოცხადდა კანონიერი ხელისუფლების მიერ), მაშინ მასთან სადავო არაფერი გვაქვს. დიახ, ეს იყო წმინდა წყლის სამხედრო გადატრიალება, ანუ პუტჩი.

მაგრამ საკითხავი სხვა რამ არის: რამდენად იყო ეს გადატრიალება გამართლებული და სასურველი ქვეყნისა და ერისათვის?

ვფიქრობთ, არავითარი გამართლება ამ გადატრიალებას არა აქვს. პირუკუ, ეს გახლდათ თავისუფლების ტაძრისაკენ მიმავალი ქართველი ხალხის ბედის ჩარხის უკუღმა დატრიალება. ჩვენი აზრი უფრო სარწმუნო გახდება, თუ გავიხსენებთ, რომ საქართველოში უკვე მომხდარი იყო „უსისხლო რევოლუცია“, რაც ჩვენი ისტორიული განვითარების კანონზომიერებად მიგვაჩნდა და მიგვაჩნია. კერძოდ, ეროვნულმა ძალებმა, „მრგვალი მაგიდის“ სახელით გაერთიანებულებმა, დემოკრატიული გზით საყოველთაო სახალხო არჩევნებში „წმინდად“ მოუგეს კომუნისტებს და საქართველოში პირველად დაემხო ხალხისთვის ესოდენ საძულველი კომუნისტურ-მარიონეტული რეჟიმი. ეს ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ამის უგულებელყოფას, ვფიქრობ, ვერავინ შეეცდება. მაშ. რაღას მოასწავებდა დეკემბერ-იანვრის სამხედრო გადატრიალება? რა მიზნები ასულდგმულებდა მას? ერთი შეხედვით ამ გადატრიალებას ასაზრდოებდა, ჯერ ერთი, რევანშისტული ზრახვები: გა-

საკუბია, რომ კომუნისტები ასე იოლად არ დათმობდნენ პოზიციებს. მეორეც, ხელისუფლების დაუფლების ეინი. მესამეც, პირადი შური და მტრობა. ერთი სიტყვით, სუბიექტური გუნება-განწყობილებანი. არ არის გამოსარიცხი, რომ ყველა ეს ფაქტორი ერთ გობში მოიზილა. მაგრამ ეს აისბერგის ის ნაწილია, წყალს ზემოთ რომ მოჩანს. წყლის ქვემოთ კი მსოფლიო პოლიტიკა მოძრაობს. საერთო ევროპული სახლის არქიტექტორებს, ქვისმთლელ მასონთა თავკაცებს სრულიად არ აწყობდათ კიდევ ერთი ეროვნული სახელმწიფოს, რომელიც დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა და არსად გათქვეფას არ აპირებდა, გამოჩენა მსოფლიო არენაზე. ცხადია, გამსახურდიას ხელისუფლება საეს ებით არ აძლევდა ხელს არც რუსეთის იმპერიას, ამიტომაც ერთი ციდა საქართველოს წინააღმდეგ დაირაზმნენ თითქმის მთელი მსოფლიოს ანტიეროვნული, კოსმოპოლიტურ-ინტერნაციონალური ძალები. მათ მალულ თუ აშკარა მცდელობას და შორსმიმავალ ზრახვებს, ჩვენდა სამწუხაროდ, გზააბნეული ქართველის ხელით ეწერა განხორციელება. აკი, ასეც მოხდა.

სიმართლე თუ გსურთ იცოდეთ, ბატონებო, ეს არის! სხვა მიზეზების ყურით მოთრევა კრიტიკას ვერ უძლებს. გაეიხსენოთ თუნდაც ყბადაღებული და ყველაზე უფრო ხშირად ხსენებული მიზეზი პუტჩისტებისა: „ისინი, ეგონებ, დღესაც გულდასმით ამტკიცებენ, რომ ამ გადატრიალების მიზანი იყო დიქტატურის დამხობა და დემოკრატიის დამკვიდრება.

მაგრამ საკმარისია უბრალოდ შევადაროთ ერთმანეთს კანონიერი ხელისუფლებისდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება ამჟამინდელს, რომ ეს არგუმენტი საპნის ბუშტივით გასკდეს და გაუჩინარდეს.

დავიწყოთ თუნდაც ახლახან ჩატარებული „დემოკრატიული არჩევნების“ არსის წარმოჩენით და შევადაროთ იგი 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებს, როცა ეროვნულმა მოძრაობამ თანასწორუფლებიანობის და სრული დემოკრატიის ვითარებაში დაამარცხა მმართველი პარტია, რომელმაც 9 აპრილის შემდეგ ვეღარ იკადრა მანამდე მისთვის ჩვეული უსამართლობისა და უკანონობის გამოვლენა. გავიხსენოთ თუნდაც „დემოკრატების“ უპრეცედენტო საარჩევნო კანონი, რომლის მიხედვით საკმარისი იყო თუნდაც რამდენიმე ათეული კაცს

მიეღო არჩევნებში მოხაწილეობა. რომ ეს არჩევნები კანონიერად გამოცხადებულიყო. მერმე არ დაგვავიწყდეს ფრიად „დემოკრატიული“, ნეტარხსენებული „საკომპესაციო ფონდი“, რომლის წყალობით ისე ჩამოარიგეს ვაიკანდიდატთა შორის „საპარლამენტო ადგილები“, როგორც „სობეს“ში“ ურიგებდნენ ხოლმე პენსიონერებს სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურებს. თუ რა „ჰუმანური“ ზრახვებით მოიმოქმედეს ეს, ვგონებ, ყველასათვის ნათელია. მაგრამ ყველაზე შემზარავი იყო წინასაარჩევნო კამპანია-ლაშქრობა: ადამიანთა დაშინება-ტერორი, სამსახურებიდან დათხოვნა-გაგდება, დევნა-დაჭერა, პატიმართა თუ დაუპატიმრებელთა მირეკვა საარჩევნო ყუთებთან, საინფორმაციო საშუალებების ისეთი დაშტამპვა, როცა განსხვავებულ აზრს არ აჭაჭანებდნენ, „დივერსიულ-ტერორისტული ბანდების“ აღმოჩენები და მუქარა... ერთი სიტყვით, აამოქმედეს დევიზი – ვინც არჩევნებში არ მიიღებს მონაწილეობას, ის საქართველოს და ქართველი ხალხის მტერია. ხოლო „მტერს“ როგორ უნდა მოექცე, ამას „დემოკრატიისათვის“ მებრძოლთ ვერ ასწავლი. მათი სიტყვა და საქმე კი ერთმანეთს რომ არ შორდება, ეს ქართველებმა უკვე საკუთარი მწარე გამოცდილებით ვიცით. დაბოლოს, საარჩევნო ბიულეტენების შეცვლა-გაყალბება. ზოგიერთ საარჩევნო ყუთში გაცილებით მეტი ბიულეტენი აღმოჩნდა, ვიდრე ამომრჩეველი იყო საერთოდ. ერთი სიტყვით, ჩვენმა „დემოკრატებმა“ ისეთი არჩევნები ჩაატარეს, მსოფლიო პრაქტიკას რომ არ ახსოვს. სხვათა შორის, ამის შესახებ უკვე დაიწერა საზღვარგარეთის პრესაში. მაგრამ ახლა ვის აინტერესებს „ბურჟუაზიის აგენტები“ რას წერენ ჩვენს შესახებ!

არ იქნება ურიგო, აქვე თუ გავიხსენებთ, როგორ ავირჩიეთ საქართველოს პრეზიდენტი და როგორ იქნა „არჩეული“ პარლამენტის თავმჯდომარე: თუ მეხსიერება არ მღალატობს, პრეზიდენტს ჰყავდა ექვსი ოფიციალური კონკურენტი, რომელთა უმრაველესობამ იმიტომ გადაწყვიტა თავისი კანდიდატურის წამოყენება, რომ განუკითხავად და უსაზღვროდ ელენძღა ტელეეკრანიდან ზვიად გამსახურდია. ხოლო რაც შეეხება პარლამენტის თავმჯდომარის პოსტს, აქ ალტერნატივა არ ყოფილა. პრეზიდენტობის სურვილი გულში(ც) ვერავინ გაიელი, რადგანაც გამომჟღავნების შემთხვევაში „დემოკრატთა“ საშინე-

ლი რისხვა დააწყდებოდა უეჭველად თავს. გუმანით ისიც ვიაზრით, როგორ ძიიღო პარლამენტის თავმჯდომარემ ხმათა 96 პროცენტი. დიახ, ყველაფერი ეს კარგად ავწონ-დავწონოთ, მერე გულზე ხელი დავიდოთ და, ოდნავი ობიექტურობა თუ შეეკერნეია, ვთქვათ, რომ 1990 წლის და 1992 წლის არჩევნები სწორედ კანონიერების, დემოკრატიულობის და სამართლიანობის თვალსაზრისით ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც სამოთხე და ჯოჯოხეთი.

ახლა გონების თვალი გადავაველოთ იმასაც, თუ „დიქტატორს" დესპოტიზმის როგორ ჯურღმულში ეყავდით ჩაყრილი და „დემოკრატიის მამამ" როგორ გადაგვასახლა თავისუფლების კუნძულზე.

ადრეც და დღესაც საქართველოს პრეზიდენტს ცოდვად უთვლიან ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და მის „ბოროტად" გამოყენებას. თუმცა, რამდენადაც ვიცი, ზვიად გამსახურდია მარტო ერთ თანამდებობაზე ავირჩიეთ და სარგებლობდა იმ უფლებით, რომლითაც კონსტიტუციითა აღჭურვილი ყველა ცივილიზებული ქვეყნის პრეზიდენტი. მაგრამ რა ხდება დღეს? პარლამენტის თავმჯდომარე ჯერ ამ თანამდებობაზე „აარჩევინეს" ხალხს, მერე სახელმწიფო მეთაურის პოსტი არგუნეს, დანიშნეს სამხედრო საბჭოს თავმჯდომარედ და უმაღლესი მთავარსარდლობაც უბოძეს. არც ეს იკმარეს და მოისურვეს მისი დამტკიცება პრემიერ-მინისტრადაც. ამ განზრახვისაგან ხელი აიღეს მხოლოდ მისი „მოკრძალებული" უარის შემდგომ. ერთი სიტყვით, თუკი ერთპიროვნულ მმართველობასა და ძალაუფლების უზურპაციაზე შეიძლება საუბარი, ამის პრეცედენტი დღევანდელ „დემოკრატიულ" საქართველოში გვაქვს. მაგრამ უფრო გასაოცარი ის არის, რომ დღეს ჩვენი „ინტელექტუალური პარლამენტი" ისეთ კანონებს ქმნის, რომლებიც ედუარდ შევარდნაძის თარგზეა მოჭრილი. ამის შესახებ არაერთგზის განაცხადეს ჩვენმა „პარლამენტარებმა" — ეს კანონი ამჟამად მისაღებია, რადგანაც იგი ესადაგება ისეთ მსოფლიო, ეპოქალური მნიშვნელობის ჰუმანისტ პიროვნებას, როგორიც ედუარდ შევარდნაძეა. მაგრამ ის როცა აღარ გვეყოლება, ვაითუ ისეთი „დიქტატორის" ხელში, როგორიც ზვიად გამსახურდია იყო, გამრუდებული შინაარსი შეიძინოსო. დიახ, დაახლოებით ასე ბრძანებდნენ „დემოკრატი პარლამენტარები"

და ჩემი ყურით რომ არ მომესმინა მათი ეს გარცხადება და თანაც რამდენიმეგზის, არ დაეჯერებდი.

მაგრამ ახლა პირველსავე სიტყვასა და მთავარ სათქმელს მივუბრუნდეთ, ანუ გავაცნობიეროთ, როგორ აღმოვჩნდით დესპოტიზმის ბნელი ჯურღმულიდან თავისუფლების ნათელ ედემში.

აი, „დანაშაულთა" ჩამონათვალი, რომელსაც ოპოზიცია, როგორც წესი, აბრალებს პრეზიდენტს და უზენაეს საბჭოს:

ქართული ფენომენისა და ეროვნული გრძნობების გაფეტიშება;

ინტელიგენციის დაუფასებლობა, იგნორირება და კულტურის მტრობა;

2 სექტემბრის მიტინგის დარბევა, რომლის დროსაც დაიჭრა რამდენიმე ადამიანი. 4 ოქტომბერს მთავრობის სახლთან მისული მანიფესტანტების დარბევა (სხვათა შორის, ამ დროს „მანიფესტანტებმა" ტყვიით განგმირეს ხელისუფლების დამცველი ორი პიროვნება, მათგან კი არავინ დაშავებულა). რუსთაველის გამზირის გაწმენდა, ედპ-სა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მიერ რომ იყო სამშენებლო მასალით გადახერგილი და ათასგვარი ნაგვით გავსებული (ამ გაწმენდის დროს დაიღუპა ხელისუფლების მომხრე ოთხი შვილის მამა. ჭანტურიასა და წერეთლის თანაპარტიელთაგან კი არავინ დაშავებულა).

რამდენიმე პიროვნების დაპატიმრება, რისთვისაც სამართლებრივი საფუძველი კი არსებობდა, მაგრამ პოლიტიკურად გაუმართლებელი იყო (პატიმართა წამების არცერთი შემთხვევა არ აღნუსხულა);

პრესის დამოუკიდებლობის შეზღუდვა (უნდა დავსძინოთ, რომ იმჟამად ოცამდე ოპოზიციური გაზეთი გამოდიოდა, ხოლო ტელეჟურნალისტთა ერთი ჯგუფი პროტესტის ნიშნად თვეობით „ნებიერობდა" ტელევიზიის წინ ისე, რომ არც არავისთვის დაუკავებიათ ხელფასი და არც სამსახურიდან დაუთხოვიათ. პირიქით, მათი „დემოკრატიული მოღვაწეობა" ჟურნალისტთა კავშირმა პრემიითაც კი აღნიშნა);

ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება და ოსთა წინააღმდეგ ავტორიტარული მეთოდებით ბრძოლა.

შეიძლება რაღაც-რაღაცეები გამოძრჩა კიდეც. მაგრამ ძი-

რითადად ეს მიხეხებია, რომლებმაც აღაშფოთეს „დემოკრატები“ და პრეზიდენტის მმართველობის „არადემოკრატიულობაძ“ მათ ხელში ავტომატი ააღებინა, რათა ქართველთა სისხლი დაეღვარათ.

ახლა მე მსურს მეამბოხე დემოკრატებს ეკითხო: ვთქვათ და მართლა იყო ეს გამოგონილი შეცდომები. შეიძლებოდა თუ არა ამ „შეცდომების“ პოლიტიკური მეთოდებით, ცივილიზებული სამყაროსათვის ჩვეული ხერხებით გამოსწორება? ყოველი ჭკუათმყოფელი ადამიანი, ბუნებრივია, დადებითად უპასუხებს ჩვენს რიტორიკულ შეკითხვას, მაგრამ გადაგვარებული ქართველი რის გადაგვარებული ქართველია, რომ უკიდურესობაში არ გადავარდეს და ულირსი ხრიკებით არ გავიდეს ფონს!

თუმცა თავი გავანებოთ ახლა ნაადრევი დასკვნების გამოტანას და თვალის ერთი გადაელებით გავიხსენოთ, თუ როგორ გამოსწორდა ის „შეცდომები“ — რა მოხდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში და რა ხდება დღესაც საქართველოში:

1. იწიხლება და იდევნება ქართული სული და მისი ყოველგვარი გამოვლინება. თვალშისაცემია გაუაზრებელი, განურჩეველი და ბრმა გაფეტიშება უცხოურისა, რაც ვლინდება თითქმის ყოველ ნაბიჯზე, დაწყებული წარწერებით პოლიციის მანქანებზე და დამთავრებული სარეკლამო აბრებით. ერთი სიტყვით, დღეს ეროვნულ-ნაციონალურ გრძნობას მთლიანად ცელის ინტერნაციონალურ-კოსმოპოლიტური შეხედულებანი, რაც აჩქარებს საქართველოს უსახო ინტეგრირებას რუსეთის იმპერიასა და საერთო ევროპულ სახლში.

2. კვლავ აღორძინდა შემოქმედთა ნაღვაწის კომუნისტური შეფასების კრიტერიუმები. განადიდებენ და ცამდე აჰყავთ ინტელიგენციის მეხოტბე „ელიტას“, რომელიც დითირამბებს აღაეღლენს დღევანდელი ფაქტიური ხელისუფლებისადმი. ხოლო სიმართლის მთქმელნი, ჭეშმარიტ ეროვნულ პოზიციაზე მდგომი მამულიშვილნი განიცდიან დევნა-შევიწროვებას, მათ აძევებენ სამსახურიდან, ესხმიან და აწიოკებენ მათ სახლ-კარს. ამ არაადამიანური დევნისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო მრავალი ინტელიგენტი იძულებული გახდა დაეტოვებინა საქართველო. ამის საილუსტრაციოდ მაგალითების მოხმობა შორს წაგვიყვანდა.

3. 1992 წლის დამდეგიდან დღემდე სასტიკად დაარბიეს თითქმის ყველა მიტინგი თუ მანიფესტაცია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ათეულობით მშვიდობიანი მანიფესტანტი და მომიტინგე, განურჩევლად ასაკისა და სქესისა, 14 წლის ყმაწვილით დაწყებული და 70 წლის ქალბატონით დამთავრებული, უმიწყალოდ ადგილზევე დახვრიტეს. დააპატიმრეს ათასობით მანიფესტანტი, რომელთაც ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფა მიაყენეს. დღევანდელი ფაქტიური ხელისუფლება არა თუ გზის საავალ ნაწილზე, არამედ ეზოებში და ბაღებში თავს ესხმის და აწიოკებს მომიტინგეებს და სასტიკად არბევს მოშიმშილეებს. სულ ახლახანს, 22 დეკემბერს არ დაინდეს შვილმკვდარ დედათა 30-კაციანი მანიფესტაცია და არაადამიანური, სულისშემძვრელი, უკადრისი ხერხებით დააწიოკეს ისინი.

4. ფაქტობრივი ხელისუფლება დაპატიმრების ისეთ ხერხებს მიმართავს, რომ ნებისმიერ ფაშისტურ რეჟიმს შეშურდებოდა. ყოველგვარი სანქციის გარეშე, დაუდგენელი შეიარაღებული პირები იჭრებიან „ეჭვმიტანილთა“ ბინებში, აწიოკებენ ოჯახის წევრებსა და მეზობლებს, თავდაყირა აყენებენ იქაურობას, მერმე, „აღმოაჩენენ“ ასაფეთქებელ მასალას და მუჯლუგუნებითა და რტყმევა-რტყმევით მიჰყავთ „ტერორისტი“. ამგვარი მეთოდებით დააპატიმრეს ასეულობით მოქალაქე. ხოლო ის, რაც საგამომძიებლო იზოლატორებში ხდება, ყოველგვარ ადამიანურ წარმოდგენას აჭარბებს: გაუპატიურება, ბოთლზე დასმა, ფრჩხილების დაძრობა, დამდუღვრა და კიდევ ვინ მოთელის, რამდენი სადისტური ხერხით აიძულებენ ადამიანებს აღიარონ „დანაშაული“. ასე „აღმოაჩინეს“ „დივერსანტთა“ დიდი ჯგუფები, რომელთა აღსასრულის დღე შორს აღარ არის.

5. ამჟამინდელი პრესისა და სხვა საინფორმაციო საშუალებების დემოკრატიულობაზე საუბარი მხოლოდ ღიმილს იწვევს. დღეს გამომავალი 1000 გაზეთიდან მხოლოდ ორიოდე ბეჭდავს განსხვავებულ აზრს და ისინიც სასტიკად იდევნებიან. რამდენიმეგზის იქნა მათი რედაქციები დარბეულ-დალეწილი, ხოლო ზოგიერთი რედაქტორი — მიბერტყილ-მიუეყილი. მეტიც, დაუმორჩილებელ ჟურნალისტებს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან და ყოველმხრივ დევნიან და აყიწროებენ, ხოლო ტელესტუდიიდან ყველა განსხვავებული აზრის

ჟურნალისტი დაითხოვეს. ისინი კი, ვინც შემორჩა, კედელთან ჰყავთ მიყენებული დასახვრეტად სწორედ იმ ჟურნალისტებს, რომლებიც ასე თავგამოდებით იბრძოდნენ „დემოკრატიისა და პრესის თავისუფლებისათვის".

6. ყველასათვის ცნობილია, რომ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხელმძღვანელებმა იგი რესპუბლიკად გამოაცხადეს, ხოლო ეროვნულმა პარლამენტმა მათი ეს გადაწყვეტილება ბათილად ცნო და ოლქის სტატუსიც გააუქმა.

პრეზიდენტი და უზენაესი საბჭო ამ პრობლემის მოგვარებას ლამობდნენ უპირველესად კონსტიტუციური უფლებების გამოყენებით და არა სამხედრო ძალის ჩარევის გზით. თუმცა ამას მოჰყვა ეთნოკონფლიქტის გაღრმავება და საბრძოლო შეტაკებები, რომლის დროსაც განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინეს და დღესაც იჩენენ ოსური მხარის წარმომადგენლები. ყოველ შემთხვევაში, ავად თუ კარგად, იმ დროს სამაჩაბლოს მოსახლეობა ქართველი ხალხისა და ხელისუფლების მხარდაჭერას გრძნობდა. დღეს კი ისინი სავსებით უპატრონოდ, ღვთის ანაბარა არიან მიტოვებულნი, მეტიც, მათ თავიანთ სახლ-კარში არ დაედგომებათ და თითქმის მთელი სამაჩაბლო დაიცალა ქართველთაგან.

კიდევ შეიძლებოდა დღევანდელი „დემოკრატიული" ხელისუფლების „დემოკრატიულობაზე" საუბარი, მაგრამ, ვფიქრობთ, საკმარისია იმის წარმოსადგენად, თუ რა სიკეთე, ბედნიერება და თავისუფლება მოუტანა ქართველ ხალხს ამ სამხედრო გადატრიალებამ. ჩვენი აზრით, სწორედ დემოკრატიულობის თვალსაზრისით განსხვავდება იმჟამინდელი და დღევანდელი ყოფა ურთიერთისაგან, ისე როგორც ცა და ქვესკნელი.

თუმცაღა კულტურტრეგერი ოპოზიციონერები ამ პუტჩის ერთ-ერთ მიზეზად იმასაც ასახელებენ, რომ „ახლომხედველი" და „უკულტურო" პრეზიდენტის ნაცვლად ქვეყნის გამგებლად მოიწვიეს მსოფლიო დონის პოლიტიკოსი, კულტურის მეცენატი ედუარდ შევარდნაძე, რომელსაც შესწევს უნარი საქართველოს ხსნისა და გადარჩენისა. აი, ამ პრობლემებზე კი, ვგონებ, ღირს შეეაჩერო მკითხველის ყურადღება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ დღეს საქართველოში ცდილობენ პიროვნების კულტის შექმნას. „უძრაობის" პერიოდში დაჩლუნგებული ბრეჟნევის ქებაც კი, ეი-

საც უაზრო ხოტბა ისე სიამოვნებდა, როგორც ბავშვს საახალწლო კანფეტი, ასეთ ამაზრზენ შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. საქართველოს პრეზიდენტს ზოგიერთი „ინტელიგენტი“ საყვედურობდა, მოკვდავი ადამიანების მიერ წარმოთქმული ქება შეიფერაო; თავად კი პირფერობისა და განდიდების ისეთ კორიანტელს აყენებენ, რომ „პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფო მეთაურს“ სირცხვილით მიწა რატომ არ უსკდება, გასაკვირია პირდაპირ. იმის სერიოზულად მტკიცება, რომ დღეს მხოლოდ ერთ პიროვნებას შეუძლია ხსნა და გადარჩენა საქართველოსი, მეტი რომ აღარაფერი ვთქვა, უკბილო იუმორად, არასერიოზულობად და, მეტიც, მთელი ქართველი ერის შეურაცხყოფად აღიქმება.

მაგრამ ხომ გაგიგონიათ, შეძახილმა ხე გაახმოო და ბატონ ე. შევარდნაძესაც, გამოცდილ და გამობრძმედილ პოლიტიკოსს, პატივმოყვარეობის ჭია შესჩენია და არც თუ იშვიათად გაიგონებთ მისგან საკუთარი თავის ქებას. იგი ავტოდახასიათებისას ხშირად აღნიშნავს, რომ დაშალა საბჭოთა კავშირი, გამოიყვანა ჯარი ავღანეთიდან, დაანგრია გერმანიის გამყოფი კედელი და, რაც მთავარია, დღეს მსოფლიოში არსებობს შევარდნაძის ფაქტორი, რომელიც ქართველმა ხალხმა, თუკი მას გადარჩენა სურს, უეჭველად უნდა გამოიყენოს.

თუმცა თვითდახასიათების ზოგიერთ შტრიხს უკრიტიკოდ ვერ მივიღებთ, რადგან ფაქტები სულ სხვაზე მეტყველებს. გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი: ჯერ ერთი, ზუსტად იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი იშლებოდა თუ უკვე დაშლილი იყო, ბატონმა ე. შევარდნაძემ იტალიური გაზეთის „კორიერა დელა სერას“ კორესპონდენტის შეკითხვას – თქვენ თავი მიგაჩნიათ რუსად, ქართველად თუ კიდეე სხვად-ო? – ასე უპასუხა: „ამ ასპექტში მე შეიძლება ვიყო უკანასკნელი საბჭოთა ადამიანთაგანი, მე არ შემიძლია ამასთან შეგუება, ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება გავემგზავრო უზბეკეთში და იქ თავი საზღვარგარეთ ვიგრძნო... წარმოიდგინეთ რა მოხდება, თუ ჩვენ დავიწყებთ საზღვრების აღმართვას და საბაჟოების შექმნას, პასპორტებისა და ნაციონალური ვალუტის შემოღებას“ („იბერია-სპექტრი“, № 36, 26 მარტი – 1 აპრილი, 1992 წ.). ასე რომ, პიროვნებას, რომელსაც თავი საბჭოთა ქვეყნის უკანასკნელ მოქალაქედ წარმოედგინა და უკვე დაშლილ იმპერიას

ასე მწარედ და გულწრფელად მისტირიდა, საბჭოთა კავშირის დამშლელად და დამანგრეველად ვერ შევრაცხავთ.

თუ ზოგიერთ „საიდუმლო“ საქმეებში გათვითცნობიერებულ მკვლევარ – ჟურნალისტს დავუჯერებთ, აღმოჩნდება, რომ არც ავღანეთიდან საბჭოთა არმიის გამოყვანისას გამოიყურება ე. შევარდნაძე მთლად უცოდველად. აი, რას წერს ალექსანდრე ლიახოვსკი: „ავღანელ ფუნქციონერთა პოზიციას – დაეტოვებინათ საბჭოთა ჯარის ნაწილი ან გადაეცემებინათ მათი გაყვანის თარიღი, სამწუხაროდ, გაგებით მოეკიდა ზოგიერთი საბჭოთა ხელმძღვანელი. საოცარია, მაგრამ მათ შორის აღმოჩნდა ე. შევარდნაძე... 1989 წლის 15 იანვარს ქაბულში ჩატარებულ თათბირზე ე. ა. შევარდნაძემ განაცხადა, რომ ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების წასვლის შემდგომ აუცილებელი იყო დაეტოვებინათ საჯარისო ნაწილები. ყველას ჩინებულად ესმოდა, რომ ის 12 000 მეომარი, რომელიც ავღანეთში უნდა დარჩენილიყო, მძევლებად იქცეოდა ოპოზიციონერთა ხელში. მაგრამ არავის შეეძლო წინ აღდგომოდა ე. ა. შევარდნაძეს... როცა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა ეს შეიტყვეს, აღშფოთდნენ და წყველა-კრულვას უთვლიდნენ შევარდნაძესა და სხვებს, რომლებმაც ნაჯიბულას პოლიტიკურ ამბიციებს შესწირეს ჯარისკაცთა ბედი“ („სოვერშენნო სეკრეტნო“, 1992 წ. № 9).

ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ „უმადურმა“ გერმანელებმა ბერლინის კედლის დანგრევის საზეიმო წლისთავზე მ. გორბაჩოვი და რ. რეიგანი მიიწვიეს და ბერლინის საპატიო მოქალაქეობა უბოძეს, მაშინ ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, ბერლინის კედლის დამანგრეველად გერმანელებს მიაჩნიათ (და ეს მათ ჩვენზე უკეთ იციან) არა შევარდნაძე, არამედ მ. გორბაჩოვი, რაც საესებით ბუნებრივია და გასაგებიც.

დაბოლოს, რაც შეეხება მსოფლიოში ე. შევარდნაძის ფაქტორს, უნდა მოგახსენოთ, რომ ყველასათვის, ვინც ასე თუ ისე თვალს ადევნებს ისტორიული მოვლენების განვითარებას, ცხადია: იგი (ფაქტორი) ძალზე ცვალებადი და წამიერია და მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე რა ფერები ჭარბობს და სიო საით უბერავს. ასე რომ, პოლიტიკოსის იმიჯი ისე ირწევა, როგორც ნაფოტი ოკეანის ტალღებზე. სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში, განსა-

კუთრებით მას შემდეგ, რაც ე. შევარდნაძის „მეგობრები“ – გენშერი, ბეიკერი, ბუში და მისთანანი ჩამოშორდნენ პოლიტიკურ ასპარეზს, მისი იმიჯი ეედარ არის სახარბიელო. განსაკუთრებით შელახა პოლიტიკოსის სახელი საქართველოში დატრიალებულმა ტრაგედიამ და აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებმა. დიახ, დღეს მსოფლიო პრესაშიც ძალზე იშვიათად შეხვდებით წერილს, რომელშიც შევარდნაძის მოღვაწეობა დადებითად იყოს წამოჩენილი. ასე რომ, მთლად ბატონი ედუარდის ფაქტორის მოიმედედ ვერ დარჩება საქართველო.

ამ წერილში არ მსურს შეეხო ე. შევარდნაძის წარსულს. არ არის ეთიკური ადამიანს თავისი წარსული გაუთავებლად წამოაძახო. მაგრამ როცა სიტყვა მის დიდ პოლიტიკოსობაზე ჩამოვარდება, ზოგიერთი ფაქტის გახსენება მაინც გვმართებს: ჯერ ერთი, ის მკვლევარნი, რომლებსაც სურთ დადებითად დაგვიხატონ ე. შევარდნაძის, როგორც პოლიტიკოსის სახე, მას ანტიქართველად და ინტერნაციონალისტად წარმოგვიჩენენ. აი, რას წერენ მის შესახებ ე. სოლოვიოვი და ე. კლეპიკოვა წიგნში „კრემლის შეთქმულნი“: „44 წლის შევარდნაძე... არ იყო შეპყრობილი ცრუ ნაციონალური გრძნობებით. მას სწამდა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ეროვნული გრძნობანი გამძაფრებულიყო, ძალისმიერი ხერხებითა და პოლიციური მეთოდებით მიზანს მაინც მიაღწევდა. საქართველოში იგი არსად არ უყვარდათ სწორედ იმის გამო, რომ ბუნებით ანტიქართველი იყო“ (მოსკოვი, 1991, გვ. 57). იგივე ავტორები სხვაგან შენიშნავენ: „საქართველოში მოქმედებდნენ ძირგამომთხრელი, ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტები, რომლებიც ამყოლავნებდნენ წვრილბურჟუაზიულ ცნობიერებას და შეგნებულად ხელს უშლიდნენ ინტერნაციონალისტსა და საბჭოთა იმპერიის თავგამოდებულ ქომაგს ედუარდ შევარდნაძეს“ (გვ. 62). მაგრამ ამ უთუოდ ანგარიშგასაწევ დახასიათებაზე მეტად ამჯერად ის თვალსაზრისი გვაინტერესებს, რომელიც გამოთქმულია ე. შევარდნაძის მოღვაწეობის შესახებ ზემოთ დასახელებულ ნაშრომში. ვ. სოლოვიოვისა და ე. კლეპიკოვას აზრით, ბატონი ე. შევარდნაძე გახლავთ ის პოლიტიკური მოღვაწე, ვინც გულდასმით ასრულებს სხვათა დაკვეთებს და მხოლოდ სხვისი კარნახით მოქმედებს. ასე იქცეოდა იგი, როცა ი. ანდროპოვის მითითებით იძიებდა „ლაზიშვილების საქ-

მეს", ასე მოქმედებდა, როცა იმავე ანდროპოვის დავალებით ატარებდა „აბაშის ექსპერიმენტს" და, ასე განსაჯეთ, ი. ანდროპოვისსავე დავალებას ასრულებდა მაშინაც კი, როცა პარტიის XXV ყრილობაზე ბრეჟნევს ეპირფერებოდა და საქართველოს მზე ჩრდილოეთიდან ამოჰყავდა. მართლაც, თუ ე. შევარდნაძის მოღვაწეობას დააკვირდებით, მისი წინსვლა კარიერის კიბეზე უნდა ავხსნათ არა პოლიტიკური გამჭრიახობით, არამედ თავისი „ბოსების" დავალებათა უსიტყვო შესრულებით. იგი სხვათა დაკვეთას ასრულებდა, როცა კომკავშირის ცკ-ის პირველი მდივანი იყო, სხვათა დაკვეთას ასრულებდა, როცა შსს-ის მინისტრი იყო, სხვათა დავალებას ასრულებდა, როცა თბილისის ქალაქკომის პირველი მდივანი იყო, სხვათა დაკვეთას ასრულებდა, როცა საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი იყო და სხვათა დაკვეთას ასრულებდა, როცა სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ასე რომ, დღევანდელ „პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფო მეთაურს" თითქმის არასდროს არ განუხორციელებია საკუთარი პოლიტიკა, მით უფრო – საქართველოს ინტერესების დამცველი ეროვნული პოლიტიკა. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ე. შევარდნაძის პოლიტიკურ მოღვაწეობას, უნდა ეთქვათ, რომ მას" მსოფლიოს ახალი წესრიგისა და პოლიტიკის არქიტექტორად" ვერ ვაღიარებთ. აქვე პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ გულდასმით თვალს ვადევნებ მის საჯარო გამოსვლებსა და საგაზეთო სტატიებს და, მიუხედავად ჩემი დიდი მცდელობისა, ვერ აღმოვაჩინე მასში ვერც ღრმა განათლება, ვერც დიდი სიბრძნე და ვერც მსოფლიო დონის პოლიტიკოსისათვის ჩვეული გამჭრიახობა. ვინმე შეიძლება შემომწყრეს და ჩემი ეს თვალთახედვა კადნიერებად ჩამომართვას, მაგრამ მათ უნდა შევახსენო, რომ ესაა ჩემი საკუთარი აზრი, რომლის გამოთქმის უფლებითაც, როგორც ყოველი მოქალაქე, მეც ვსარგებლობ.

თუმცა ზოგიერთი ოპონენტი შეგვნიშნავს, რომ ყოველივე ზემოთ ნათქვამი მაინც გარდასულ მოვლენათა შეფასებაა და იგი ე. შევარდნაძის წარსულის მოღვაწეობის ანარეკლია მხოლოდ. კეთილი და პატიოსანი. რამდენიმე სიტყვით ისიც წარმოვაჩინოთ, თუ რა „სიკეთე" და „ხსნა" მოუტანა დღეს საქართველოს მისმა მოღვაწეობამ:

ეკონომიკის, კერძოდ კი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სრული მოშლა და პარალიზება. თითქმის მთელი საკარგულები მოუხვნელი და დაუთესველია, შესაბამისად, არც არაფერი მოჰყავთ. გაჩერებულია ფაბრიკა-ქარხნები, არ იქმნება პროდუქცია. ყოველივე ამან განაპირობა სამომხმარებლო საქონლის მწვავე დეფიციტი, რამაც ხელი შეუწყო სპეკულაციის დაუსაზღვრელად გაფურჩქნას. დღეს საქართველოს ბიზნესი მხოლოდ ქორ-ვაჭრობასა და მევახშეობას ეფუძნება, არავინ ქმნის პროდუქციას, მხოლოდ ყიდულობენ და ყიდიან განსხვავებულ ფასებში (ვთქვათ, რაიმე იყიდება თუმნად, გაყიდიან ათას მანეთად, თუ უფრო ძვირად არა!). ყველაფერი კი, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს პატიოსანი მოსახლეობის ზურგზე გადადის. ბაზარში არ შეიხედება, ყველაფერს ცეცხლი უკიდია, ხელფასი კი ისეთი ოდენობის აქვთ მშრომელებს, რომ თავის გასატანადაც არ ჰყოფნით. საქართველოს მოსახლეობა, ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა შორის, სოციალურად, ყველაზე დაუცველია. ამასთანავე მოხდა მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია: დიდი ნაწილი შიმშილობს, ზოგიც სანაგვეში ეძებს საკვებს, ერთი მუჭა „ელიტა" კი ისე გამდიდრდა, დოლარებით ზეიმობს „მეტეხში" ახალი წლის ღამეს, ზოგიც კიდევ დაბადების დღეს იხდის ავსტრიაში. სიტყვას აღარ გავაგრძელებ. დღეს ქართველი კაცი შიმშილის ზღვარზეა მისული (აკი თვეში ათეულობით ადამიანი კვდება შიმშილით!). დღევანდელი ეკონომიკური კატასტროფა კი, მთლიანად თუ არა, დიდწილად უნიათო ხელმძღვანელობისა და მისი თავკაცის ბრალია.

სხვა რომ არაფერი გავიხსენოთ, საქართველოს ფაქტიურ ხელისუფლებას ერთი წლის განმავლობაში ოფიციალური არხებით არ შემოუტანია და არ გაუყიდია არც ერთი ლიტრი ბენზინი. თუკი აზერბაიჯანში ლიტრი ბენზინის ფასი რვა მანეთია, ჩვენთან ორასორმოცდაათ მანეთს აღწევს. უბრალო ქართველი კაცი უტრანსპორტოდ დარჩა: ცუდად მუშაობს მეტრო, თითქმის არ მოძრაობს ტრამვაი, ტროლეიბუსი, ავტობუსი. ვგონებ, საქართველო მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც აღარ არსებობს სახელმწიფო ტაქსი. ეს იმიტომ, რომ, როგორც ყველაფერი, ტაქსებიც განუკითხავად გაიყიდა. ასე რომ, ადამიანს უჭირს გადაადგილება, ის ვერც სამსახურში

წასულა და ვერც სტუმრად. გარდა ამისა, გაწყვეტილია კავშირი ქვეყნის კუთხეებთან. საქართველო დაიქსაქსა და დაიშალა, რაც მისი ეკონომიკის გარდაუვალ კრახს მოასწავებს. აქვე ისიც უნდა დავსძინო, რომ საკადრო პოლიტიკა, რომელსაც დღეს ატარებენ, იმედის მომცემი ვერ არის. თუ მავანსა და მავანს მართლა სჯერა, რომ საქართველოს დანგრეულ ეკონომიკას და მრეწველობას რომან გოცირიძის და ზურაბ კერვალიშვილის ცოდნა-გამოცდილება უშველის, უფრო ცუდად ყოფილა საქმე, ვიდრე ჩვენ გვეგონა. მეტიც შეიძლება ითქვას, დღეს საკვანძო პოსტებზე მეტწილად ინიშნებიან არა პროფესიონალები, ნიჭით და უნარით დაჯილდოებულნი, არამედ ის პირნი, რომელთაც ამ ავადსახსენებელ გადატრიალებაში სიტყვით, კალმით თუ იარაღით მიუძღვით დიდი წვლილი. ამგვარი მიდგომა კიდევ უფრო დააქცევს ისედაც დაქცეულ საქართველოს.

ახლა ვნახოთ, რა ხდება მართლწესრიგის სფეროში: ბატონობს სრული განუკითხაობა და ქაოსი. დღისით, მზისით გაჩაღებულია ძარცვა-გლეჯა, საკუთარი თუ სახელმწიფო მანქანების გატაცება, რამაც თითქმის კანონზომიერი სახე მიიღო. პირადი თუ სახელმწიფო ქონების დატაცება, სახელმწიფო დაწესებულებებისა თუ კერძო ბინების გატეხვა-გაქურდვა, ფულის გამოძალვა და ადამიანების მოტაცება, მოქალაქეთა ტერორი, მორალური შეურაცხყოფა და, რაც მთავარია, ფიზიკური განადგურება. დღეს ნებისმიერი ცხოველის სიცოცხლე უფრო დაცულია, ვიდრე ადამიანის. დიახ, დღეს კაცს ცხოვრებაც უჭირს და სიცოცხლის შენარჩუნებაც. ყველაფერს რომ თაეი დავანებოთ, ამისათვის მაინც უნდა მიეხედა პოლიციის ყოფილ შეფს, და თუ მთლიანად ვერ გამოასწორებდა საქმეს, რაიმე სასიკეთო ნაბიჯები მაინც გადაედგა. მაგრამ მან, სამწუხაროდ, თავისი მდიდარი გამოცდილება სხვა კუთხით წარმოაჩინა: ამჟამად საქართველოში ძალმომრეობის ჩექმით ითელება ადამიანის ელემენტარული უფლებები. როგორც უკვე ვთქვით, უსანქციოდ არბევენ და ჩხრეკენ მოქალაქეთა ბინებს, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ბრალდებებით აპატიმრებენ და მერე სასტიკად აწამებენ ეჭვმიტანილებს. და ვინ მოთელის კიდევ რა გაუგონარი რამ არ ხდება საქართველოს საპატიმროებში. ავი ენები ამბობენ, რომ ე. წ. „შევარდნაძის

კორპუსი" მთელი ძალით ამოქმედდა. კიდევ ერთი კუთხით გამოვლინდა მისი პოლიტიკური გამოცდილება და უნარი. კომუნისტებისათვის ჩვეული მზაკვრობით პროვოკაციების დეტექტიური სერიალი დაიდგა საქართველოში (გორის ტრაგიკული ინციდენტი, ტელეცენტრის „დაკავება", ტელეანძის „აღება", წალენჯიხის ოპერაცია, აფეთქებები დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „ყვარლის ტყის სიზმრები" და სხვა).

ბარემ აქვე ისიც ვთქვათ, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში დაინგრა თუ დაანგრიეს ნახევარი საქართველო (თბილისი, ცხინვალი, გორი, ზუგდიდი, ფოთი, წალენჯიხა, ჩხოროწყუ, სენაკი, ოჩამჩირე, სოხუმი, გაგრა, ლესელიძე...), რომელთა აღდგენასაც არავინ აპირებს და რომც დააპირონ, ვერ მოახერხებენ. ისიც არ დაგვავიწყდეს, რომ რამდენიმეგზის დაილაშქრა მთელი დასავლეთ საქართველო, განსაკუთრებით კი სამეგრელო და აფხაზეთი, რომლის მთელი მოსახლეობა წელშია გატეხილი როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად. არც ის გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ საქართველო ქართველი ლტოლვილებით გაივსო, რომლებსაც, ღვთის ამარა მიტოვებულებს, დატკბილული ჩაიც ვერ დაულევინებიათ შვილებისათვის. დასასრულს, ისიც ნათლად გავიაზროთ, რომ სწორედ ბატონი ედუარდის „ბრძნული" პოლიტიკის წყალობით გავასხვისეთ და დავკარგეთ ქართლის სიამაყე – სამაჩაბლო (ყოველ შემთხვევაში, ამჟამად მას საქართველოს ნაწილად ვერანაირად ვერ მივიჩნევთ). გავასხვისეთ და დავკარგეთ ნახევარი აფხაზეთი და, ეგონებ, ვკარგავთ მთლიანად. ახლა გავიხსენოთ ის უამრავი უწვერ-ულვაშო ყმაწვილი თუ დაუნჯებული მამაკაცი, რომლებიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში, ჭეშმარიტ გრძნობას აყოლილნი, იდეას ემსხვერპლნენ თუ უაზროდ და გაუგებრობით დაიღუპნენ. გავიხსენოთ ქართველთა სისხლის ნაკადულები და ქართული ჯიშის გენოფონდის შეგნებული თუ შეუგნებელი განადგურება.

დიახ, ეს ყველაფერი და კიდევ ათასი უბედურება, რომელთა ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა, წარმოვიდგინოთ და მერე, თუ ოდნავ შეგვრჩენია აზროვნების უნარი, გავისიგრძეგანოთ – რა ბედნიერი ცხოვრება არგუნა „საქართველოს მხსნელმა" ედუარდ შევარდნაძემ ჩვენს ბედკრულ ხალხს.

უკვე ვხედავ სასაყვედურო დაღებულ პირებს. რაო, საგა-

რეო პოლიტიკის სფეროში ბ-ნი ედუარდის წყალობით განა არ მიეაღწიეთ წარმატებებს?! რატომ ვერ ხედავს ეს კაცი ამას, რამ დააბრმავაო?! მართალი გითხრათ, ვერ ვხედავ. თუ საქმე ეხება საქართველოს აღიარებას სხვადასხვა ქვეყნის მიერ, ეს ძალზე ბუნებრივი პროცესი იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. ჯერ კიდევ 1991 წლის დეკემბრის თვეში საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო 25-მა ქვეყანამ და საესებით გასაგებია, რომ ეს აღიარება გაგრძელდებოდა. გაგრძელდა კიდეც. სხვა მხრივ რაიმე განსაკუთრებულ მიღწევას საგარეო სფეროში, ვიმეორებ, ვერა და ვერ ვხედავ. ავიღოთ თუნდაც ისეთი რესპუბლიკები, როგორებიც ყირგიზეთი და თურქმენეთია. რა წარმატებებს მიეაღწიეთ მათგან განსხვავებით? ვფიქრობ, არანაირს, პირუკუ. ამ თვალსაზრისით ისინი გაცილებით გვისწრებენ. თუ იზოლაციაზე ჩამოვარდა საუბარი, ჩემი აზრით, სწორედ დღეს ვიმყოფებით სრული იზოლაციის პირობებში, რომლის გარღვევასაც არავინ ცდილობს. დასავლეთის კაპიტალისტური ქვეყნები ეხმარებიან სსრკ-ის ყველა ყოფილ რესპუბლიკას, ჩვენ კი ჰუმანიტარულ დახმარებასაც არავინ გვწყალობს. თუ რატომ, ეს ყველასთვის ცხადია. არ ვიცი, შეიძლება ბ-ნ ე. შევარდნაძის დამსახურებად ისტორიამ ის აღიაროს, რომ ვისაც კი მან ხელი ჩამოართვა და მეგობრად შერაცხა, თითქმის ყველა ჩამოაშორეს პოლიტიკურ სარბიელს და თანდათან მივიწყების ბურუსში გაეხვიენენ. ასე დაემართათ პოპოეს, ფოკინს, გაიდარს, ანდრიოტის, ჰაველს, კოსიგას, შაგირს, გენშერს, ბეიკერს, ბუშს...

სიტყვა გამიგრძელდა და მოკლედ უნდა მოვჭრა: ყველა ჭკუათმყოფელი დამეთანხმება, რომ გასული წელი, წელი მაიმუნისა საბედისწერო იყო საქართველოსთვის. ქვეყანა ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჩიხში მოექცა. შეიძლება ითქვას, უფსკრულში აღმოვჩნდით. ის იმედები, რომლებსაც ქართველი ერის „ელიტა“ (განსაკუთრებით ჭკუისკოლოფა მანდილოსნები) ამყარებდნენ ბ-ნ ე. შევარდნაძეზე, ვერ გამართლდა. უნდა პირდაპირ მოგახსენოთ, რომ „პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფო მეთაურმა“ ან ვერ გაართვა თავი ამ სირთულეებს, რადგანაც ყველასათვის ცხადია, რომ დღეს „ძალისმიერი ხერხებითა და მეთოდებით“, რომლითაც იგი მიზანს აღწევდა თუნდაც ათი წლის წინ, ფონს ვერ გახვალ,

ან არადა, რაც უფრო შემზარავია, მას შეგნებულად წაიყვანა საქართველო დაღუპვისაკენ, რათა წელში გაწყვეტილი, სულიერად დაბეჩავებული ქართველი ხალხი მართლაც მუხლდაჩოქილი შეეედრებოდა თავის „უფროს ძმას“ და მისი მფარველობის უღელი დაედგა.

ყველა პატიოსან ქართველს მიაჩნია, რომ რაც უნდა მიმზიდველი იყოს საერძელი საჭეთმპყრობელისა, მას არ უნდა ანაცვალო ქვეყნისა და ერის ინტერესები. ამიტომაც, თუმცა ვიცი, რომ არ დამიჯერებს, მაგრამ მაინც ვურჩევ: თავის ნებით დროულად დათმოს მბრძანებლის კვერთხი. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდაუვალია ქვეყნის სრული კატასტროფა. ახლა ხშირად გაიგონებთ ამა თუ იმ პოლიტიკოსის საყვედურს, თუ რატომ არ გადადგა პრეზიდენტი თავისი ნებით, ამით იგი სისხლისღვრას ააცილებდა ჩვენს ერსო. დანამდვილებით ვერ გეტყვით, რამდენად გამართლებულია, დაუთმო ხალხის მიერ ბოძებული ხელისუფლება იმ შეიარაღებულ ჯგუფს, რომელიც შინ მოგეჭრა და ძალის-ძალით უნდა დაგამხოს თავზე ჭერი. მაგრამ ერთი უტყუარად ვიცი, პრეზიდენტი, და მის მსგავსად ყველა პატიოსანი ქართველი, უეჭველად გადადგებოდა, საქართველო რომ ისეთ გამოუვალ ჩიხში მოქცეულიყო, დღეს რომ არის. და კიდევ ერთი: უპრიანია წარსულის გათვალისწინებით მომავალზე ვიფიქროთ; ვიფიქროთ არა ემოციების გამძაფრებით, არამედ გონებით მოაზრებული არგუმენტებით. ასე აჯობებს ერისა და ქვეყნისათვის.

დაბოლოს, წერილის დასაწყისში აღძრულ კითხვას უნდა გავცეთ პასუხი. კითხვა კი დაახლოებით ასე ჟღერდა: ვინ გაიმარჯვა ამ „სამხედრო გადატრიალების“ შედეგად? ვთქვათ, მავანმა მინისტრის პორტფელი იგდო ხელთ, მავანმა – შავი ეოლგა, მავანმა – პატივმოყვარეობა დაიკმაყოფილა, მავანმა კი სხვადასხვა ხრიკებით მანეთები და დოლარები მოიხვეჭა... კი მაგრამ, ჭკუათმყოფელნო, ღირდა კი ამისთვის ქვეყანა დაგეღუპათ და ქართველთა ზღვა სისხლი დაგეყენებინათ?! რა თქმა უნდა, არა! ერთი უმაწვილის სიცოცხლის ფასადაც კი არ ღირდა ის „წარმატება“, მავანმა და მავანმა რომ მოიპოვა. მეტიც შეიძლება ითქვას: ამ „გადატრიალების“ წყალობით სრულიად საქართველო დაიქცა, მთელი ქართველი ხალხი კი, განურჩევლად პოზიციისა და ძრწამსისა, მწარედ დამარცხდა,

რაც ღრმა იარად დაანდება საერთოდ ქართულ სულსა და ცხოვრებას.

დიახ, მძიმე წელი გადაიტანა ქართველმა ხალხმა. ჩვენს სულებშიც ბნელი ჭარბობდა ნათელს. საბედნიეროდ, მომავალსაც ვერ ვხედავ ნათელი ფერებით გაციალებულს. მაგრამ მწამს ჩემი ერის სიბრძნისა, ნიჭიერებისა და სულგაუტეხლობისა და იმედით შევცქერი ქართველი ხალხის მომავალს, რომელსაც მხოლოდ ერთი სიტყვა მიესადაგება – თავისუფლება.

თავისუფლებასა და ბედნიერებას ვუსურვებ სრულიად საქართველოს!..

1993 წელი

ღია წერილი ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეს

ანუ ეს რა კუკეშა გვყოლია...

ეპისტოლარული ჟანრის მოყვარული არ გახლავართ, არც ამ ბარათის მოწერის სურვილი მკლავდა, დიდხანს ვჭოჭმანობდი, მომემართა თუ არა თქვენთვის. სხვა მრავალ მიზეზთან ერთად, მაფიქრებდა ერთი გარემოება: ადამიანს მაშინ შეეხმიანებიან ხოლმე, როცა სწამთ, რომ ამ შეძახილს რეაგირება მოჰყვება. ბუნებრივია, კაცმა შენი გულისტკივილი რომ შეიგრძნოს, მას სულის სარკმელი თუ არა, ფიზიკური თვალი მაინც უნდა ჰქონდეს ღია. ამიტომ წინასწარვე ეიცი, რომ ჩემი ხმა დარჩება ღაღადებად უდაბნოსა შინა. აშკარად ვხედები იმასაც, რომ თქვენ პატივმოყვარეობის გრძნობამ დაგიბინდათ თვალის ჩინი და დაგიხშოთ ყურნი. მაგრამ მაინც გადაეწყვიტე ამ ბარათის მოწერა თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი სიტყვა მხოლოდ თქვენს „გამოსაფხიზლებლად“ არ არის მომართული, მას ქართველი ხალხის გასაგონადაც ვღაღადებ. და თუ ერთი კაცი მაინც აღმოაჩენს მასში ჭეშმარიტების მარცვალს, მიზანიც მიღწეული იქნება.

ახლა, წერილის წერას რომ შევუდექი, თქვენი „სამართლიანი“, „დემოკრატიული“ სახელმწიფოს „სამართალდამცავმა“ „დემოკრატებმა“, კერძოდ კი პროკურატურის „ღირსეულმა“ წარმომადგენელმა ვინმე ხიზანიშვილმა, როგორც ჩანს თქვენს საამებლად, ანდა უარეს შემთხვევაში, თქვენივე დავალებით, სისხლის სამართლის საქმე აღძრა გაზეთ „საქართველოს სამრეკლოსა“ და მისი მთავარი რედაქტორის წინააღმდეგ. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ საფუძველი ამ უპრეცედენტო „დანაშაულის“ გამოძიებისა არის ის, რომ გაზეთმა გადმობეჭდა მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ჟურნალიდან – „სოვიეთ ენელისთ“ (1993 წ., № 9-10) – რამდენიმე სტატია, რომლებშიც გაკრიტიკებულ-გაცამტვერებულია თქვენი პერსონა. თურმე ამ სტატიების გადმობეჭდვით რედაქციამ ცი-

ლი დასწაფა ერის „შამასა და მარსელიანს", „დიდ მხედართმთავარს", ქართველთა „გამარჯვებების" სულისჩამდგმელს – გიორგის. კი მაგრამ, პოეტის თქმისა არ იყოს მართლაც, ბნელა?!

თუ რა განათლებული და სიმართლის მოყვარე მოხელეები ამშვენებენ დღეს სამართლის სფეროს, ყველასთვის ცნობილია და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მაგრამ თქვენი კი გამკვირვებია, ამხანაგო ედუარდ (ასე იმიტომ მოგმართავთ, რომ ერთხელ, როცა თქვენი კოლეგა ცეკას მდივანი „ბატონობით" მოვიხსენიე, ლამის ჯვარს მაცვეს), მსოფლიო დონის პოლიტიკოსს, ყოველ სფეროში ყველას ჭკუის დამრიგებელს, ამ ბოლო ხანს „ჯამურაბის კანონების" ცოდნასაც რომ ამყოლავნებთ, საკუთარი ქვეყნის პრესის კანონი დაგვიწყებიათ?! სად გაგონილა, ანდა ვის სმენია, რომ გადმობეჭდილი, ნათარგმნი წერილისათვის გაზეთსა და მის რედაქტორს ადანაშაულებდნენ!

იქნებ არც დაგვიწყებიათ, მაგრამ ამბიციებით დაბრმავებულს, შურიძიებას აყოლილს გსურთ ქარიშხალი დაატრიალოთ ჭიქაში და რისხვა ჩვენზე გადმოანთხიოთ, რადგანაც ხელი ვერ მიგიწედებათ მათზე, ვინც ამჟამად მთელ მსოფლიოში ქმნის თქვენს ნამდვილ იმიჯს. სხვათა შორის, ვინც თქვენ ბუნებას და ცხოვრებას იცნობს, ის ამ ქმედებაში უჩვეულოს ვერაფერს დაინახავს, რამეთუ „დაბალი ღობის" ძებნისკენ სწრაფვა ყოველთვის გახასიათებდათ, ვისაც ერეოდით – ულტდით, ვისაც ვერა – კუდს უქიცინებდით. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. ახლა კი მართლაც მანცვიფრებს ის გარემოება, რომ დღეს „გადემოკრატებული" და „გადაგიორგებული" ედუარდ შევარდნაძე ანგარიშს არ უწევს მსოფლიო ცივილიზაციას, რომელშიც ინტეგრირებას ლამობს ასე თავგამოდებით. ნუთუ მას არც ის აფიქრებს, რას იტყვიან მისი ევროპელი „დიდი მეგობრები", როცა ამგვარი უსამართლობის შესახებ შეიტყობენ (ნამდვილად კი შეიტყობენ)?

უნდა პირდაპირ მოგახსენოთ, რომ ეს გახლავთ უპრეცედენტო შემთხვევა, რომელსაც ანალოგიას ვერ მოუძებნი დედამიწის ზერგზე. მაგრამ დღეს, როცა საქართველოს ცა მიწად ჩამოსულა და მიწა ცად გადაგვფარებია, როცა აქლემის ქერდი ნემსის ქერდს ციხეში აგზავნის, როცა კაცის კელა

ჩვეულად გეიქცევია და ვაუკაცობად მიგეაჩნია, როცა განუკითხავად ზეიმობს ეზნეობა, უსამართლობით ვერავის გააკვირვებ. არც ის უნდა იყოს გასაკვირი, რომ მე სისხლის სამართლის დამნაშავედ წარმომაჩინონ, თქვენ კი – ერისა და ქვეყნის მხსნელ, თავგადაკლულ პატრიოტად. რას იზამ?! როგორც იტყვიან, დრონი მეფობენ. მაგრამ, მიუხედავად გამეფებული ძალმომრეობისა და ბოროტებისა, მე მაინც შევეცდები ყველაფერს თავისი სახელი დავარქვა, ვეცდები გავარკვიო, ვინ ვინ არის, ვინ არის ნამდვილი მამულიშვილი და ვინ – ერის გამყიდველი ფარისეველი. სხვაგვარად არ ძალმიძს, რადგანაც მაშინ რწმენა და სიმართლე ქვეყნად ყოველგვარ აზრს კარგავს! უკვე ვხედავ სასაყვედუროდ შოშიასავით დაღებულ პირებს: რა დროს გაზეთისა და ცალკეული პიროვნებებისადმი ჩადენილ უსამართლობაზეა საუბარი, როცა მთელი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებაო. როგორ მოიცალოს ქვეყნის მეთაურმა ამგვარი უსამართლობის გასარკვევად, როცა ერს გარდაუვალი კატასტროფა ემუქრებაო?! ჩემი ღრმა რწმენით, ძაღლის თავი სწორედ აქ მარხია: საქართველო იმიტომ იღუპება, რომ მისი ხერხემალი დახრა უსამართლობამ; ქვეყანა იმიტომ გვენგრევა თავზე, რომ ქვეყნის პირველი მოხელენი ვერ იცლიან უსამრთლობის აღსაკვეთად. უფრო მეტიც, ამ უსამართლობას ამკვიდრებენ ისინიც, ვინც ხმალამოღებული უნდა იბრძოდეს მის ამოსაძირკვად. აი, ეს გახლავთ სწორედ თავი და თავი ჩვენი უბედურებისა. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ამბობდა დიდი ბერძენი ფილოსოფოსი – ქვეყანას დიდი საფრთხე არ უდგას, როცა მეწაღეები წახდებიან და გაირყვნებიან, ქვეყნის საქმე საბოლოოდ მაშინ არის დაღუპული, როცა მოჩვენებითობენ, სამართლიანობას „თამაშობენ“ ისინი, ვინც „სახელმწიფოსა და კანონების დამცველნი არიან“ (პლატონი, სახელმწიფო. ტ. III, წ. I, გვ. 208). მთლად უსაშველოდ და განწირულად კი, ჩემი აზრით, მაშინ არის ქვეყნის საქმე, როცა სახელმწიფოს მეთაური მოჩვენებით სამართალს ამკვიდრებს, იანუსივით ორსახოვნებს, როცა წმინდა ნაკადულად წარმოგვიდგენს თავს და სინამდვილეში უსამრთლობისა და ძალმომრეობის სათავეა. მე და ალბათ მრავალიც ასე ფიქრობს, რომ დღეს რაც გვჭირს, სწორედ სათავიდან გვჭირს. ამიტომაც უპრიანია ამ სათავის კარგად მოჩხრეკა.

მაშ ასე, ამსანაგო ედუარდ, ვიცი, უსიამოვნო და უმადური საქმეს ვეკიდები. მაგრამ მაინც პირდაპირ უნდა გითხრათ, თუ რას ვფიქრობ თქვენზე. როგორც პიროვნებასა და სახელმწიფო მოღვაწეზე. უპირველეს ყოვლისა, შეეეცდები საზოგადოება ეაეარკვიო თუ ვინ ბრძანდებით, საიდან მოდიხართ, საით მიდიხართ და საით მიგყავთ ბედუკუღმართი ქვეყანა.

. იქვენი ცხოვრების გამოწვლილვით ცოდნას ვერ დავიჩემებ. ვიცი ის, რაც ყველასთვის ცნობილია. მაგრამ ადამიანის ფიზიკური სიცოცხლის გზა, მისი ბიოგრაფია თავის თავში უნინრად მოიცავს იმ სულიერ თვისებებს, რომლის ამოკითხვაც მშრალი ფაქტების გაცნობით ხერხდება ოდენ. ამიტომაც მკითხველს შევახსენებ თქვენს ბიოგრაფიულ მონაცემებს: დაიბადეთ 1928 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათში. იქვე დაამთავრეთ საშუალო სკოლა და, რამდენადაც ვიცი, სწავლა განაგრძეთ საფერშლო სასწავლებელში (ამის შესახებ თქვენი მებიოგრაფენი რატომღაც სდუმან. ალბათ, არ სურთ სერგო ორჯონიკიძეს შეგადარონ). 1946 წელს მუშაობა დაიწყეთ თბილისის ს. ორჯონიკიძის რაიონის ალკკ ინსტრუქტორად, შემდეგ იქვე დაწინაურდით კადრებისა და საორგანიზაციო განყოფილების გამგედ. 1951 წელს დაამთავრეთ საქ. კპ ცკ-სთან არსებული პარტიული სკოლა, ხოლო 1960 წელს კი, 32 წლის ასაკში — ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. 1951 წლიდან საქართველოს ალკკ ცკ-ის კომკავშირული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი ხდებით. 1952 წელს აგირჩიეს ჯერ საქართველოს ალკკ ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივნად კადრების დარგში, შემდეგ კი — მეორე მდივნად. 1953 წლიდან საქართველოს კპ-ის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განყოფილების ინსტრუქტორად. იმავე წელს გახდით საქართველოს ალკკ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, 1956 წელს კი დაგნიშნეს საქართველოს ალკკ ცკ-ის მეორე მდივნად, ხოლო 1957 წლის დეკემბრიდან — პირველ მდივნად. შემდეგ გადაგიყვანეს საქართველოს კპ-ის თბილისის პირველი მაისის რაიკომის პირველ მდივნად. 1964 წლიდან გაგამწესეს საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ. 1965 წლიდან კი — მინისტრის პორტფელს დაეუფ-

ლეთ. 1972 წელს მოგვეელინეთ საქართველოს კპ-ის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად, ხოლო ამავე წლის სექტემბრიდან – საქართველოს კპ ცკ-ის პირველი მდივანი გახდით. 1985 წლის ივლისიდან გადაგიყვანეს სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე. სკკპ XXV-XXVII ყრილობებზე აგირჩიეს სკკპ ცკ-ის წევრად. იყავით სსრკ IX-XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი. დაჯილდოებული ხართ სოციალისტური შრომის გმირის ორდენით, ლენინის 4 ორდენით, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორდენით, აგრეთვე მედლებით.

ამ ბიოგრაფიული მონაცემების მიღმა იმალება ის მომენტები, რომლებზედაც, როგორც წესი, არ წერენ, უფრო მართებულად, დუმილს ამჯობინებენ ხოლმე, მაგრამ ცხოვრებისეულ ნიუანსებში გათვითცნობიერებული ადამიანისთვის ადვილი წარმოსადგენია პროვინციელი ახალგაზრდა, რომელიც მარტოდმარტო იკელევს გზას, ნებსით თუ უნებლიეთ მრავალ შეურაცხყოფასა და დამცირებას იტანს; მას უხდებოდა ძლიერთა ამა ქვეყნის წინაშე ქედის მოდრეკა, უბრალოდ რომ ვთქვათ, სხვათა საამებლად იცინოდა მაშინ, როცა სრულიად არ ეცინებოდა, დროულად უკრავდა ტაშს, თავის მფარველისათვის მიჰქონდა ძღვენი... ახლა წარმოვიდგინოთ სახეზე ოფლჩამომდინარე ყმაწვილი, მე-5 სართულზე ფეხით როგორ ეზიდება ნობათით დატვირთულ ხურჯინს... დიახ, ამგვარი წვრილმანი მრავლად იქნებოდა მის ბიოგრაფიაში, რადგანაც ასეთია ცხოვრების მკაცრი რეალობა. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მსგავსი დამცირებანი უკვალოდ არ იკარგება და ილექება ბედის მაძიებლის სულში, რომელიც თანდათან გადაიზრდება შურისძიების გრძნობაში და უმალვე ინენს თავს, როგორც კი გარკვეულ წარმატებას მიაღწევს. ამიტომაც მე სრულიად არ მიკვირს, რომ თქვენში, ამხანაგო ედუარდ, ასე გამძაფრებულია შურისძიებისა და დაუნდობლობის გრძნობა. თქვენ არ პატიობთ მოწინააღმდეგეს მცირედ შეურაცხყოფას და განსხვავებულ პოზიციას თუ აზრს. საერთოდ ცოფდებით, როცა ვინმე გეწინააღმდეგებათ, მაგრამ ამ თვისებებზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ახლა კი აი, რა ირკვევა მთავარი, როცა თქვენი ცხოვრების გზას ეცნობი: თქვენ ხართ ჯიუტად შემართული პიროვნე-

ბა. რომელიც მიზნის მისაღწევად უკან არ იხევს და არც არაფერს ერიდება. თავისთავად ასეთი სწრაფვა ადამიანის ნაკლად არ უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ მთავარი ის არის, თუ რა მიზანი ამოძრავებს მას!.. შეიძლება არ გავიზიაროთ ის აზრი, რომ ადამიანთა პროფესიები იმთავითვე ზეცაში, იდეათა სამყაროშია განსაზღვრული, მაგრამ ყველა ადამიანს აქვს თანდაყოლილი ნიჭი და მიდრეკილებანი. ამის შესაბამისად სხვადასხვაა მათი სწრაფვის ობიექტი: ზოგი ჭეშმარიტების შეცნობას ლამობს, ზოგი – მშვენიერების აღქმას, ზოგი – ღვთიური საიდუმლოების ჩაწედომას, ზოგს კიდევ სახელმწიფოს აგების პრინციპების დაუფლება სწადია და ა. შ. ამიტომაც განსახავებულია მათი მოღვაწეობის სფეროები: ერთი იღვწის მეცნიერების სფეროში, მეორე – ხელოვნების, მესამე – რელიგიის, მეოთხე – პოლიტიკის და მისთ. კაცი იმით კი არ ფასდება, თუ რომელ სფეროში მოღვაწეობს, რადგანაც ყველა ასპარეზი თავისთავად ფასეულია, არამედ იმით, თუ რამდენად შეეფერება ეს სფერო მის „ბუნებრივ მონაცემებს", სხვაგვარად, რამდენად ხელეწიფება მას ეს საქმე, რამდენად თავდადებით და ღირსებით ემსახურება დასახულ მიზანს და რამდენად ადგება მისი ნამოღვაწარი მის ერსა და ქვეყანას.

ყველასათვის გასაგებია, რომ თქვენ, ამხანაგო ედუარდ, სახელმწიფო მოღვაწეობა აირჩიეთ, ყოველ შემთხვევაში, მთელი თქვენი ცხოვრების გზა იმას მოწმობს, რომ სახელმწიფო მოხელის კარიერისთვის იღვწოდით და წარმატებითაც განვლეთ ზეაღსვლის საფეხურები: რიგითი კომკავშირელიდან – საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრამდე. აშკარაა, თქვენი ასეთი თავბრუდამხვევი წარმატება განაპირობა დაუოკებელმა სწრაფვამ და ჟინმა მიზნის მიღწევისა, ამავე დროს, უნდა გამოგეჩინათ კარიერისტისთვის დამახასიათებელი თვისებები: უსიტყვო მორჩილება, პირფერობა, სხვათა ბედის მიმართ გულგრილობა და დაუნდობლობა. მაგრამ რა არის სახელმწიფო მოღვაწის მთავარი მიზანი და რა გამოძრავებდათ თქვენ, ამის გარკვევა აუცილებელია, რათა უფრო ობიექტურად ავხსნათ თქვენი მოღვაწეობა.

საერთოდ, პირობითად შეიძლება წარმოვაჩინოთ ორი ტიპის პოლიტიკური მოღვაწე: ერთი, რომელსაც ინტერნაციონალ-კოსმოპოლიტური იდეები ასაზრდოებს და ქვეყნიერების

და კაცობრიობის სამსახური დაესახავს მიზნად, და მეორე, რომელსაც ეროვნული სული კვებავს და საკუთარი ხალხი და სამშობლო უქცევია თავისი სიცოცხლის ხატად. მართალია, ჩემი სიმპათიები აშკარად მეორე ტიპის მოღვაწეს ეკუთვნის, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს ვაღიაროო, რომ ორივე ამ პოლიტიკურ ტიპს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებები და ორივე მისაღებია და დასაფასებელი, თუ მართლაც ნამდვილი, ჭეშმარიტი იდეის უანგარო მსახურთან გვაქვს საქმე. ერთი სიტყვით, უხეშად რომ ვთქვათ, მოღვაწეს შეუძლია სტალინივით, ორჯონიკიძესავით და მისთ. იღვაწოს მსოფლიო პროლეტარიატისთვის და ამის გამო მას ვერ ვუსაყვედურებთ, თუ, რა თქმა უნდა, იგი მართლაც გულით იქმს ამას და შეუძლია ილიასავით ჯერ ქართველი გლეხისა და ადამიანისთვის შეიწუხოს თავი, ჯერ თავის გაუბედურებულ ქვეყანას მიხედოს და მერე მსოფლიოზე დაიწყოს ფიქრი.

ვატყობ, მსჯელობა გამიგრძელდა და დავუბრუნდეთ სათქმელს: საინტერესოა, რა იყო თქვენი მიზანი, ამხანაგო შევარდნაძე, — ქართული ეროვნული სახელმწიფოს აშენება თუ სოციალისტური იმპერიისა? რას და ვის ემსახურებოდით და ემსახურებით თქვენ?

ჭკუათმყოფელი ადამიანისთვის ცხადია, რომ, როცა თქვენ კარიერის კიბეზე იკვლევდით გზას, დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოზე თქვენი მსგავსი პოლიტიკოსისათვის ფიქრიც კი გამორიცხული იყო. მაშინ თქვენ თავგამოდებით იღვწოდით სოციალისტურ სისტემაზე დაფუძნებული მონსტრი იმპერიის ასაშენებლად, რადგანაც ყველა პატიოსანი სახელმწიფო მოღვაწის ვალია იღვაწოს ქვეყნის გაძლიერებისათვის. ჩემი ღრმა რწმენით, იმაზე საშინელება რა უნდა იყოს, რომ ემსახურო იმ სისტემას და სახელმწიფოს, რომელიც შენი ერის მოსპობას და, საერთოდ, ადამიანის გადაგვარებას ლამობდა. თუმცა თქვენ ერთგვარი გამართლება მაინც მოგეძებნებათ, თუკი მართლაც გწამდათ კომუნიზმის იდეისა და გულწრფელად იღვწოდით მისი გამარჯვებისთვის. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენ დღესაც ამტკიცებთ, თითქოს სოციალიზმის იდეებზე იყავით გაზრდილი და გწამდათ მისი ნათელი მომავლისა, უნდა აღიაროთ სიმართლე. სიმართლე კი, ჩემი აზრით, ასეთია — თქვენ არასოდეს გწამდათ არც სოციალიზმის და

არც კომუნიზმისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მაფიქრებინებთ, რომ თქვენ ძალზე შეზღუდული აზროვნების ბრძანდებით, რადგანაც გულწრფელად გჯერათ ყოველად აბსურდული იდეისა, რომელსაც ბორიტების მეტი არაფერი მოუტანია კაცობრიობისათვის. მეორეც, ასეთ შემთხვევაში არ გაგაჩნიათ რწმენისა და სიმტკიცის ნატამალი. არ შეიძლება თავდადებული კერპთაყვანისმცემელი ერთ დღეში მორწმუნედ იქცეს. საველე რომ პაელედ გარდაიქცეს, ამისთვის სულიერი კათარზისია საჭირო. სარწმუნოების სულსწრაფი გამოცველა ურწმუნოებაზე მეტყველებს უმალ. ასეთი პიროვნება გაცილებით საშიშია, ვიდრე დაბრმავებული ადეპტი. ასე რომ, ამ შემთხვევაში ლიგაჩოვი უფრო მართალია, ვიდრე თქვენ! მე იმას კი არ გსაყვედურობთ, პოზიცია და რწმენა რატომ შეიცვალეთ-მეთქი, არა, ღმერთმა დამიფაროს! უბრალოდ გაუგებარია, როგორ შეიძლება გუშინ გულწრფელად ამტკიცებდე, რომ საბჭოთა კავშირის ერთგული, შეიძლება ითქვას უკანასკნელი ჯარისკაცი ვარო, ხოლო დღეს კი, პირიქით, მის დამანგრეველად მოგქონდეს თავი. უნდა ვიფიქროთ, რომ ან გუშინ, რბილად რომ ვთქვათ, არ იყავით გულწრფელი, ან დღეს ცრუობთ. მე უფრო იქითკენ ვიხრები, რომ ვიფიქრო: თქვენ გულისძირში არასოდეს გწამდათ იმისა, რასაც საქვეყნოდ ქადაგებდით. თქვენ არ გწამდათ იმ ხატის, რომელზედაც იფიცებდით. ერთი სიტყვით, თქვენ იდეას კი არ ეწირებოდით, არამედ იდეას იყენებდით თქვენი კეთილდღეობისათვის. ასეთი პიროვნებები ყველაზე ტრაგიკულნი არიან და თანაც საშიშნი.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწისათვის სახელმწიფოს უზენაესობა, მისი ინტერესები უნდა იყოს უმთავრესი დანიშნულება, ის ქვეყნის კეთილდღეობისათვის უნდა იღვწოდეს. მაგრამ, რადგანაც თქვენ ემსახურებოდით იმ სახელმწიფო სისტემას, რომლისაც არ გწამდათ, ბუნებრივია, თქვენ იბრძოდით სოციალისტური წყობისთვის იმდენად, რამდენადაც ის ქმნიდა თქვენს პიროვნულ კეთილდღეობას. ასე რომ, თქვენ ფიქრობდით საკუთარ თავზე და არა ქვეყანაზე. უფრო მეტიც, თქვენს მიერ განელილი ცხოვრების გზა აშკარად მეტყველებს, რომ თქვენ ყველაფერს კადრულობდით, რათა კარიერის საფეხურებზე ზეასულიყავით, ხელში ჩაგეგდოთ ისეთი თანამდებობა, თქვენს ძალაუფ-

ლებისმოყვარე ბუნებას რომ დააკმაყოფილებდა. ერთი სიტყვით, მთელ თქვენს მოღვაწეობას ასულდგმულებდა ერთადერთი მიზანი – თანამდებობის ხელში ჩაგდება. ყოველგვარი მაღალი იდეალები, სახელმწიფო ინტერესები თქვენთვის იყო მხოლოდ საფარი და კარიერისკენ სწრაფვა გასხამდათ ფრთებს. ნუ გეწყინებათ და პირდაპირ გეტყვით: თქვენ ხართ პირწავარდნილი კარიერისტი, რომელიც ყველას და ყველაფერს გაწირავს თავისი სანუკვარი მიზნის – მაღალი პოსტის დასაუფლებლად. კარიერიზმით მრავალია შეპყრობილი, მაგრამ, როცა ის სჭირს სახელმწიფოს თაეკაცს, მაშინ ეს ავადმყოფობა საზიანოა, დამღუპველია მთელი ქვეყნისთვის და სავალალო შედეგების მომტანიც. შორს რომ არ წავიდეთ, საკმარისია გავიხსენოთ თქვენი მოღვაწეობის ზოგიერთი ფურცელი.

როგორც უკვე გაუწყეთ, თქვენი ცნობიერების პირამიდის თავში, სამწუხაროდ, საკუთარი „მე“ დააყენეთ და მას დაუქვემდებარეთ საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინტერესები. ამ მიზეზის გამოა, რომ ადრეც, როცა საქართველოს ცკ-ის პირველი მდივანი იყავით და დღესაც, როცა საქართველოს „სახელმწიფო მეთაური“ ხართ, თქვენეულ სამართალს ამკვიდრებთ. თქვენი სამართალი კი არის ძალისმიერი სამართალი. სამართლიანობას, რომელიც განმსაზღვრელია სახელმწიფოს კანონიერებისა და წესრიგისა, გამოცლილი აქვს, თქვენი წყალობით, ობიექტური საფუძველი. თქვენ, ალბათ, იზიარებთ იმ აზრს, რომ სამართლიანობა არის „კეთილშობილური სიჩლუნგე“ და სიმართლედ მიგაჩნიათ არა ის, რაც საზოგადოებისთვისაა მისაღები, არამედ ის, რაც თქვენს პიროვნებას, სურვილსა და ქმედებებს ესადაგება. თქვენ, ჩვეულებისამებრ, ასაღებთ უსამართლობას სამართლიანობად და ამით ერთგვარ განცხრომასაც ეძლევით ალბათ. ყოველ შემთხვევაში, ამას ადასტურებს თქვენი სიტყვებიც და საქმენიც. მართალია, ჯერ კიდევ ძველი ბერძნები შენიშნავდნენ, რომ „უსამართლობის ჩადენა საერთოდ სასიამოვნო და კარგია, ხოლო მისი ატანა ცუდი“-ო, მით უმეტეს, უფრო სასიამოვნოა, როცა ჩადიხარ უსამართლობას და დაესჯელი რჩები, პასუხს არავინ გთხოვს. თქვენ, როგორც ძლიერთა ამა ქვეყნისას ჩვევიათ, სიცრუეს ასაღებთ სიმართლედ და თავსაც და სხვებსაც არწმუნებთ საკუთარი ქმედების სამართლიანობაში. მაგრამ გავიწყდებათ,

რომ „სიცრუე უვარგისია და დასაგმობი, მხოლოდ სიმართლე (ჭეშმარიტება) არის მშვენიერი და მისაღები“ (არისტოტელე). არც იმას ითვალისწინებთ, რომ „სიცრუე სულში დამკვიდრებული უმეცრებაა“ (პლატონი) და, რაც მთავარია, გაიწყდებათ, რომ უსამართლობა არის ყველაზე დიდი დანაშაული, მიმართული შენივე სახელმწიფოს წინააღმდეგ (პლატონი). მაგრამ, როგორც არაერთგზის აღვნიშნე, თქვენ სახელმწიფო და ქვეყანა არ გადარდებთ, თქვენ ფიქრობთ ოდენ საკუთარ თავზე, ეგოცენტრიზმით ნაპატიები „მე“-ს თარგზე ჭრით თქვენს სამართალს. თქვენი „მართალი სამართლის“ საეალალო შედეგები წვრილად რომ ჩამოვთვალო, თაბახები არ ეყოფა. ამიტომაც მხოლოდ ზოგიერთს შეგახსენებთ. აი, თქვენს დანაშაულთა არასრული ნუსხა:

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თქვენ კარიერის კიბეზე ასაბობღებლად არაფერს თაკილობდით. ამავე დროს, თქვენ ურთიერთისაგან რადიკალურად განსხვავებულ ასპექტში ავლენდით თავს. იმ პიროვნებებს, ვინც თქვენზე მაღლა იდგა და ვისაც შეეძლო თქვენს კარიერაზე გავლენა მოეხდინა, საოცარი ლიქნით ექცეოდით და ყველა მათ ნება-სურვილს, მიუხედავად იმისა, საზიანო იყო თუ არა ქვეყნისა და ერისათვის, ყურმოჭრილ მონასავით ასრულებდით. ამავე დროს, თქვენი მორჩილება და თაყვანისცემა მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო მაღალი თანამდებობის მოხელესთან გქონდათ საქმე, სალოცავსაც ადვილად იცელიდით: ჯერ ხრუშჩოვს ეთაყვანებოდით, მერე ბრეჟნევი გაიხადეთ ხატად, შემდეგ ანდროპოვის სურვილის მორჩილი აღმსრულებელი იყავით, მოგვიანებით აღტაცებით შესციცინებდით თვალებში უკვე დაბრმავებულ ჩერნენკოს, ხოლო ბოლოს გორბაჩოვის ერთგულ ჯარისკაცად მოგვეელინეთ. გასაკვირი ის კი არ არის, რომ „პატრონებს“ იცელიდით (ცხადია, ეს თქვენზე არ იყო დამოკიდებული), საოცარი სულ სხვა რამაა: როგორი ერთნაირი „ერთგულებით“ და მორჩილებით ემსახურებოდით ურთიერთისაგან განსხვავებულ პიროვნებებს, რა აღტაცებით ასხამდით ხოტბას უკვე ლეშად ქცეულ ადამიანებს. თქვენი „სახოტბო პოეზია“ საყოველთაოდაა ცნობილი და სამზეოზე გამოტანილიც. ამიტომ მათი მოხმობით თავს არ შეგაწყენთ. მაგრამ ცთუნებას ვერ ვუძლებ და უნდა გავიხსენო, რა სიტყვებით შეამკეთ

თბილისში ჩამოსულ-ჩამოტანილი გამოთაყვანებული (სხვა სიტყვები ვერ მოიძებნია) ბრეჟნევი, რომელსაც ამ ქვეყნის აღარ გაეგებოდა: „ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, დიდი მადლობა თქვენდა!.. ჩვენი ეპოქის ასეთი დიდი, ‘ეთვალსაჩინოესი პიროვნებაა ჩვენი ძვირფასი ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი... უსაზღვრო ჰუმანიზმი, კაცთმოყვარეობა და ჭეშმარიტად ლენინური უბრალოებაა ლეონიდ ილიას ძის პიროვნებაში განსახიერებული“. ის, თქვენივე სიტყვებით, ავლენს „რწმენის მაღალ მომთხოვნელობას და ნაკლოვანებათა შეუწყნარებლობას, გამჭრიახობას და სიმტკიცეს, პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების, სოციალიზმისა და კომუნიზმის ინტერესების უსაზღვრო ერთგულებას... ლეონიდ ილიას ძემ გაამდიდრა ლენინური მოძღვრება პარტიის შესახებ... ლეონიდ ილიას ძის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული გრანდიოზული მშენებლობის პროგრამის შემუშავება და ქვეყნად მშვიდობის საქმის დაცვა... დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს და მის მეთაურს, ჩვენს ძვირფას, დიდად პატივცემულ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს!“

როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. მაგრამ მაინც, თუ შეგიძლიათ ერთხელ გამოიჩინოთ გულწრფელობა და გვითხრათ, ამ თქვენს გამოსელაში თუ არის ერთი მართალი სიტყვა? არა! ჩანს, თქვენ ამჯერადაც სიცრუეს ამჯობინებთ სიმართლეს, თქვენ ქადაგებთ იმას, რაც არ გწამთ. მეტიც, თქვენ ხოტბას ასხამთ სახელმწიფოს პირველი კაცის საკარძელს და სავსებით არ გაწუხებთ, რა ღირსების „პიროვნება ფლობს მას.

ჩემი აზრით, მლიქნელობა და არაგულწრფელობა ყველაზე დაბალი გამოვლინებაა ადამიანის სულისა, მაგრამ ის მაინც პიროვნული თვისებებია და მასზე აქ არაფერს ვიტყოდი, რომ არა ერთი გარემოება: თქვენი ქომაგნი ამ ზღვარდაუდებელ ლიქნას გამართლებას უძებნიან. თითქოს ამ ხოტბით თქვენ გსურდათ „ხელმწიფეთა“ კეთილგანწყობა მოგეპოვებინათ, რათა მერე ისევ ჩვენი ქვეყნისა და ერის საქმე გეკეთებინათ. მართლაც, დემაგოგიამ არ იცის ზღვარი! არა, ამხანაგო ედუარდ, თქვენ მათი კეთილგანწყობით სარგებლობდით და პირად პოზიციებს და საკარძელს იმაგრებდით. ხოლო რაც შეეხება საქართველოს, ის თქვენთვის მხოლოდ გეოპოლიტი-

კური არეალი იყო, სადაც თქვენს კარიერისტულ ზრახვებს უნდა შესხმოდა ხორცი. თუ მე ვცდები, მაშინ დამისახელეთ თუნდაც ერთი ფაქტი, რომლითაც დამიმტკიცებთ, რომ თქვენ საკუთარი თაეისთვის კი არა, ერის ბედისთვის იღვწოდით. ამგვარი ფაქტის აღმოჩენა გაგიჭირდებათ, მაშინ როდესაც საპირისპირო, ანუ ქვეყნისთვის ზიანის მომტანი და დამანგრეველი გადაწყვეტილებების და ქმედებების გახსენება ძალზე იოლია: თქვენ განუხრელად და ბრმად ატარებდით იმპერიულ პოლიტიკას საქართველოში, ამიტომაც ყიდდით ერის ინტერესებს. ავიღოთ თუნდაც ენის პრობლემა, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნულობის საფუძველთა საფუძველს ქმნის. მოჩვენებით თითქოს თქვენ ქომაგად ედექით მშობლიურ ენას, ღებულობდით სხვადასხვა დადგენილებებს, სინამდვილეში კი ასპარეზს უფართოებდით რუსულს. გაიხსენეთ, რას წერდით 1981 წელს: „შესანიშნავია დიადი და მძლავრი რუსული ენა – ლენინის ენა. იგი ერების ურთიერთობის ენად იქცა. სწორედ რუსული ენის წყალობაა, რომ ქართულ კულტურას, ქართულ ლიტერატურას ეზიარა ქვეყნის და მსოფლიოს მრავალი ხალხი". ქართული ენა თითქმის სრულიად გამოაძევეთ ოფიციალური დაწესებულებებიდან, სახელმწიფო ენად რუსული მკვიდრდებოდა. თქვენ რუსულად წარმართავდით არა მარტო ცკ-ის ბიუროს სხდომებს, არამედ მშრომელებთან შეხვედრებსაც. უარესიც, იმპერიის ცენტრიდან მითითების შესაბამისად შეეცადეთ, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლება თანდათან გადაგეყვანათ რუსულ ენაზე. ყოველ შემთხვევაში, ამის აშკარა ტენდენციები გამოიკვეთა. ბოროტი ენები იმასაც კი ამბობდნენ, რომ კონსტიტუციიდან ქართულის სახელმწიფო ენად დამაკანონებელი მუხლის ამოღების საკითხიც თქვენი ინტერნაციონალური ბუნების გამო დაისვა. რაღა ბევრი მოგახსენოთ და, თქვენ საქართველო ინტერნაციონალური ქორწინების ლაბორატორიად გამოაცხადეთ და სხვ...

ამას იმიტომ იქმოდით, რომ ვინმეს თქვენთვის არ დაებრალებინა ნაციონალისტობა, რაც თქვენი კარიერისთვის დამღუპველი იქნებოდა. სწორედაც იმის გამო, რომ თქვენს საეარძელს საფრთხე არ დამუქრებოდა, წახვედით გაუმართლებელ დათმობებზე და ეთნიკურ ელემენტს – აფსუას სოციალური დატვირთვა მიანიჭეთ. რის შედეგადაც ვანუზომლად

აამაღლეთ აფსუას პრიორიტეტი და აფხაზეთში მცხოვრები ქართველი სულიერად და ფიზიკურად დააკნინეთ. დღესაც თქვენმა „ბრძნულმა“ ინტერსაციონალურმა გრძნობამ ხშირად ისეთი ნაბიჯი გადაგადგმევინათ, რომ საკუთარი ერის ღირსება დაგავიწყათ. ასე, მაგალითად, ჯერაც დაუდგენელ პირთა მიერ ავტობუსში ოსი მოქალაქეების ჩახოცვის გამო თქვენ ქართველებს დასდეთ ბრალი და ქართველი ხალხი საქვეყნოდ გამოაცხადეთ ფაშისტად. მახსენდება ერთი სატელევიზიო კადრიც, როგორ სათუთად ეფერებოდით ოს ბავშვს. ჩემთვის გასაგებია, რომ ბავშვი ბავშვია, ვისიც არ უნდა იყოს ის, მაგრამ რა დააშავა სამაჩაბლოში ობლად დარჩენილმა მრავალმა ქართველმა ბავშვმა, რომელთაც კარგა ხანია შაქრიანი ჩაიც არ დაულევიათ? მათდამი რატომ არ იჩენს ასეთსავე სითბოს ძია ედუარდი? თუმც მავიწყდება, რომ თქვენ დიდი პოლიტიკოსი ბრძანდებით და უფრო შორს იცქირებით!.. ჩვენი მამა-მარჩენალის „საგმირო საქმეთა“ აღწერას მელნის ტბა დასჭირდება. იმასაც ეხვდები, რომ სიტყვა გამირბის. მაგრამ მაინც უნდა გავიხსენო ზოგიერთი ფაქტი:

თქვენ, გრანდიოზომანიით შეპყრობილმა, ააშენეთ ჟინვალ-ჰესი, რომელმაც გამოუსწორებელი ეკოლოგიური, ეკონომიკური და დემოგრაფიული (არას ვამბობ ესთეტიკურ და მორალურ მხარეზე) ზიანი მიაყენა ანანურ-ფასანაურის უმშვენიერეს ხეობას.

თქვენ, პატივმოყვარეობის ჭიაშეჩენილმა, რათა ზარზეიმით მოგეწყოთ პომპეზური აღლუმები და სათანადო საბრძანებელი გქონოდათ, უამრავი ფული ჩაყარეთ რესპუბლიკის მოედნის ასაშენებლად, რომელმაც მთლიანად მოსპო მიკრორაიონის კოლორიტი და მაჯლაჯუნასავით დააწვა ულამაზეს ვერას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ, თურმე, რაც ამ მშენებლობაში თანხა დაიხარჯა, ის საკმაოდ ეყოფოდა დედაქალაქის წყლით მომარაგების პრობლემის მოგვარებას. ვიღაცას ეს შეიძლება წვრილმანად მოეჩვენოს, მაგრამ არა, ბატონო, ასეთი ფაქტები ზუსტად გადმოგვცემენ როგორც თქვენს ბუნებას, ასევე თქვენი საქმიანობის მიზანსა და არსს.

თქვენ, თვითგანდიდებით დაავადებულმა, სხვათა წამხედურობით მოიწადინეთ გამხდარიყავით სოციალისტური შრომის გმირი. ამის გამო თქვენი ცკ-ის მდივნობის ჟამს განხორცი-

ელდა შიწერების „კასკადი“. ხოლო მეღვინეები აიძულეს ფალსიფიცირებული ღვინო დაემზადებინათ, რასაც შემდგომ მათი რეპრესიები და ფიზიკური განადგურებაც კი მოჰყვა.

თქვენ, პირმოთნეობით გონებადაბინდულმა, აბაზრზენი ზარზეიმითა და პომპეზურობით აღნიშნეთ ქართველთათვის საძულველი მოვლენის – რუსეთთან ტრაქტატის ხელმოწერის თარიღი, რის წყალობითაც ე. წ. სამხედრო გზატკეცილი გაიკვლო უგემოვნო ძეგლებით, რომელთა უმეტესობაც დღეს დანგრეულია.

თქვენ, მონური ფსიქოლოგიის მარწუხებში მოქცეულმა, გააყვანინეთ როკის გვირაბი, რითაც ჩაიდინეთ საუკუნის დანაშაული ქართველი ხალხის წინაშე. რომ არა ეს გვირაბი, რომლის აფეთქებაც ერთხელ გამობრძმედილი ტერორისტივით შემოგვთავაზეთ სატელევიზიო გამოსვლისას, დღეს შიდა ქართლის პრობლემა არ გვექნებოდა. განა თქვენ, ასეთ დიდ პოლიტიკოსს, არ უნდა გცოდნოდათ, რომ როკის შედარება რიკოთთან არ შეიძლებოდა, რომ ამ გვირაბის გაყვანას საქართველოს ტერიტორიის დაკარგვა მოჰყვებოდა?! ალბათ კარგად უწყით ყველაფერი, მაგრამ რა სალაპარაკო იყო ქვეყნის ტერიტორია, როცა შეიძლებოდა თქვენს კარიერას მისდგომოდა ჩრდილი!

თქვენ, რუსეთის იმპერიის ნების მორჩილი გამტარებელი, დიდი ენერგიითა და თავგამოდებით ცდილობდით გაგეყვანათ ჯერ კიდევ მეფის რუსეთის საოცნებო ტრანსკავკასიის რკინიგზა, რომელსაც უდავოდ მოჰყვებოდა საქართველოს საბოლოო განადგურება ეკოლოგიური, პოლიტიკური თუ დემოგრაფიული თვალსაზრისით. როგორც ამბობენ, თქვენ თურმე ადგილს ვერ პოულობდით, როცა ქართველმა ერმა ეს განზრახვა ჩაგიფუშათ.

თქვენ, გაორებულმა და სულამღერეულმა, რათა დაგემტკიცებინათ კომუნისტური რეჟიმისათვის უსაზღვრო ერთგულება, დაუნდობელი ბრძოლა გაამოეცხადეთ დისიდენტებს, რომელთა დანაშაულიც მხოლოდ ის იყო, რომ, ეროვნულ პოზიციებზე მდგომნი, არ იზიარებდნენ კომუნისტური იდეოლოგიის ყოვლად უაზრო ანტიჰუმანურ თეზისებს. თუ როგორ დევნიდით, აკარიმრებდით, აწამებდით და ასახლებდით მათ, ვისაც დღეს ლაჩის ძმობას და მეგობრობას ეფიცებით, ყველასთვის ცნობი-

ლია და ამის შესახებ სიტყვას აღარ გაეგრძელებ.

თქვეს, კარიერიზმით დასნეულებული და ძალაუფლების ყინით შეპყრობილი, არაფერს ერიდებოდით და დაუნდობლად უსწორდებოდით ყველას, ვინც კი არ გედგათ მხარში ან გეწინააღმდეგებოდათ თქვენი შავბნელი ზრახვების განხორციელებაში. თქვენი სისასტიკე და დაუნდობლობა საქვეყნოდაა ცნობილი. შეგახსენებთ ზოგიერთს:

თქვენ სასტიკად გაუსწორდით ხანდაზმულ ადამიანებს — ბიბილეიშვილსა და ჯაველიძეს. დააპატიმრებინეთ და აწამებინეთ ისინი, რადგანაც მათ არ მიიღეს მონაწილეობა მჟავანაძის წინააღმდეგ შეთქმულებაში, თქვენ რომ მოაწყვეთ. ასევე არ დაინდეთ ფინანსთა მინისტრი ფარნა ანანიაშვილი, რომელმაც მხარი არ აგიბათ გეგმის „შესრულებაში", ანუ მიწერებში. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს ისეთი სასტიკი შურისძიება, თქვენ რომ ჩადიხართ გელბახიანების ოჯახის მიმართ: ჯერ დააპატიმრეთ ცნობილი მეცნიერი და მოღვაწე აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პ. გელბახიანი, მერე დააპატიმრეთ მისი ვაჟი, ასევე ცნობილი მეცნიერი და მკურნალი, აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. გელბახიანი, დაბილოს, დააპატიმრეთ მისი შვილი პ. გელბახიანი. თუ როგორ უკოწიწებენ მათ „საქმეს" და როგორ აბრალებენ დივერსიული აქტების განხორციელებას, თუ რა დღეში ჩააგდეს და როგორ აწამეს ისინი თქვენს მიერ დაარსებულ ე. წ. II კორპუსში, ყველასათვის ცნობილია დღეს საქართველოში. ამიტომაც ამაზე აღარ მოგახსენებთ. მაგრამ ადამიანურად მაინც მსურს გკითხოთ: ნუთუ თქვენს ბრმა შურისძიებასა და უსამართლობას აღარ აქვს საზღვარი?!

არ ჰქონია, ბატონო, თუნდაც იმიტომ, რომ უფრო დიდი ბოროტებაც გაქეთ ჩადენილი. თქვენ, სისხლმოწყურებულმა, დაახვრეტინეთ თქვენი ყოფილი მეგობარი ი. კობახიძე, რომლის დანაშაულიც, როგორც ვიცი, არ იმსახურებდა უმაღლეს სასჯელს. უფრო უარესიც, თქვენ მხოლოდ იმიტომ, რომ საკუთარი „პატრონებისათვის" დაგემტკიცებინათ არსებული ანტიჟუმანური სისტემის ერთგულება, დაახვრეტინეთ თვითმფრინავის გამტაცებელი, უნიჭიერესი ქართველი ახალგაზრდები, რომელთაც არ ისურვეს ბოროტებით გაჟღენთილი უსამართლო ქვეყანაში ცხოვრება და თქვენგან სელდასხმული ძალმომრეობის ატანა. შეგახსენებთ იმასაც, რომ სხვა რესპუბლიკებშიც

იყო თვითმფრინაველების გატაცების ფაქტები. თუმცა, რამდენადაც ვიცი, უმაღლესი სასჯელი არსად გამოუტანიათ. მაგრამ მაშინ რა შეეარდნაქე იქნებოდით, სხვათაგან განსხვავებული რომ არ ყოფილიყავით, სხვაზე მეტი „ქულები" რომ არ დაგეგროვებინათ „ზეშდგომთა" თვალში. ისიც ცნობილია, რა ცინიზმით ახორციელებდით თქვენს ავ საქმეებს, როგორ მიაყოლეთ „გამტაცებელი" ახალგაზრდების სიკვდილს უდანაშაულო მღვდლის ჩიხლაძის სიცოცხლეც, როგორც იტყვიან, ქათამივით წააკალით ზედ. როგორ აშინებდით, აბუჩად იგდებდით, სჯიდით მათ, ვინც ხმა აიმაღლა ამ ყმაწვილების სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ეს ისეთი ცოდვებია, ამხანაგო ედუარდ, რომ, როცა იქნება, მოგეკითხებათ. როგორ გგონიათ, თუ ჰონეკერს არ აპატიეს საზღვრის დამრღვევთა დახვრეტა, თქვენ გეპატიებათ?! აქ თუ არა, იმქვეყნად მოგკითხავენ ამ ცოდვებს. მაგრამ თქვენ იმქვეყნიერების ისე გწამთ, როგორც მე თქვენი გაქრისტიანებისა.

რაც ზემოთ მოგახსენეთ, ერთი ადამიანის განსასჯელად და გასაკიცხად სავსებით საკმარისია, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენს სულს უფრო დიდი ცოდვების ლოდები ადევს ტვირთად: თქვენ, პოლიტიკურ ავანტიურაში გამოწრთობილმა და პირველკაცობის ჟინით შეპყრობილმა, დაამხეთ ე. მჟავანაძის ხელისუფლება, რასაც მრავალი უდანაშაულო ადამიანის რეპრესიები მოჰყვა. გახსოვთ, მაშინ პოლიციის შეფი ბრძანდებოდით და რა ბინძური და ყოველად უკანონო მეთოდებით ბლანდავდით ინტრიგის ქსელებს.

თქვენ, უსაზღვრო ძალაუფლებით თავბრუდახვეულმა, ასევე დაამხეთ ხელისუფლება ჯ. პატიაშვილისა, რომელმაც არ მოისურვა ყველა თქვენი სურვილი აღესრულებინა. თუ რის ფასად დაჯდა ჯ. პატიაშვილის ხელისუფლების გადაყენება, ყველასათვის ცნობილია. დაიღვარა უმანკო ქართველი ბავშვების, დედებისა და ვაჟკაცების სისხლი, თან ეს სისხლი დაიღვარა რუსი ჯალათებისა და გადამთიელების მიერ. ამიტომაც ამ ტრაგედიამ შესძრა მთელი ქართველი ხალხი და ერთ მუშტად შეკრა იგი კაცთმოძულე იმპერიის და კაციჭამია სისტემის წინააღმდეგ, რომელსაც ასე ერთგულად ემსახურებოდით თქვენი სიცოცხლის მანძილზე. შედეგმაც არ დააყოვნა — მშვიდობიანი გზით დაემხო თქვენი სანუკვარი კომუნისტური რეჟიმი. ბუნებ-

რიეია, ამჯერად თქვენ გადატრიალებაში წელილი არ მიგიძღოდათ. პირუქე, გულთან ახლოს მიიტანეთ კომუნისტების ტრაგედია, სულში ღვარძლი ჩაიგუბეთ და ელოდით ხელსაჟრელ დროს, რათა სამაგალითოდ დაგესაჯათ ეროვნული მოღვაწეები თუ, თქვენი შეხედულებით, დისიდენტები. არ ვიცი რამდენად მართალია, მაგრამ თქვენ ახლობელთა წრეში თითქოს გიბრძანებიათ: „გამსახურდიას და მის მიმდევრებს თავისსავე სისხლში ჩავახრჩობ“-ო. სხვათა შორის, თქვენი ეს „ფრთიანი“ ფრაზა დეკემბრის პუტჩამდე კარგა ხნით ადრე იყო ცნობილი საზოგადოებისთვის.

დიახ, თქვენ, შურისძიების გრძნობით დაბრმავებულმა, სული შთაბერეთ სამხედრო გადატრიალებას, რომელსაც მოჰყვა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი, ახლადფეხადგმული ქართული ეროვნული სახელმწიფოს სრული დანგრევა და გაჩანაგება. ვინმე გულუბრყვილომ შეიძლება იკითხოს, ამ გადატრიალებაში რა ბრალი მიუძღვის ე. შევარდნაძესო? ჰაი, ჰაი, რომ მიუძღვის, ამის შესახებ თავადაც ბრძანა და მრავალი ფაქტიც მოიძებნება. მაგრამ, საერთოდ, თავისი ვერაგი ბუნების გამო ის ყოველთვის ამჯობინებს სხვათა ხელით ნარ-ეკლის გლეჯას. სხვას მოავლეჯინებს, გაათოხნინებს, გააფარცხვინებს, თავთავს გამოაღებინებს და მოსავალს თავად დაისაკუთრებს. ასე მოექცა სამხედრო გადატრიალების „გმირებსაც“: თოფი ასროლინა, კაცი მოაკვლევინა, ქალაქი დაანგრევინა, დიდი ცოდვა აჰკიდა, თავად კი „სუფთა ხელებით“ ჩამობრძანდა და „დემოკრატიის“ აშენება დაიწყო. ხოლო ჩვენი „სახელოვანი გმირები“ ისე მოისროლა, ვითარცა ნახმარი და გაცვეთილი წინდები. მერე ხელი ხელს შემოჰკრა და ვითომც აქ არაფერია, დააყოლა – ესეც ასეო. თუმცა ვერ გაითვალისწინა ერთი რამ: ახლა სხვა დროა და ხალხი იმდენადაა გათვითცნობიერებული, რომ ყველაფერს ხედავს: ვინ ეშმაკია და ვინ – ანგელოსი, ვინ ცოდვილია და ვინ – უცოდველი. მაგრამ, რაც ყველაზე სამწუხაროა, ამ გადატრიალებას შეეწირა უამრავი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე, ყმაწვილთა ნაკადულებად დაღვრილი სისხლი დღესაც არ შეშრობია ქართულ მიწას. ამ ტრაგედიის დაუჯერებელი სიმუხთლე ის არის, რომ ამჯერად ქართველის სისხლი ქართველის ხელით დაიღვარა და კაენის

სული დასადგურდა მთელ საქართველოში. ეს უკვე საკუთარი ერისა და ქვეყნის წინაშე ისეთი წარმოუდგენელი და მარადიული ცოდვაა, რომ მის გამოსწორებას და გამოსყიდვას თქვენს შთამომავალთა მრავალი თაობაც ვერ შეძლებს, ამხანაგო ედუარდ!

და ეს ყველაფერი რისთვის, ღმერთო ჩემო?! მხოლოდ იმისთვის, რომ თქვენ, უკვე სსრკ-ის მინისტრის სავარძელდაკარგულმა და უფუნქციოდ დარჩენილმა პენსიონერმა, გადაწყვიტეთ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური რეჟიმის რეანიმაცია და პირველი საავარძლის ხელში ჩაგდება. ან იქნებ იმ აუგი სურვილით, რომ საბოლოოდ ჩაგეკლათ ამაყი ეროვნული სული და ხერხემალში გადაგეტეხათ ქართული სახელმწიფოებრიობა, რათა აღარასოდეს ეფიქრა დამოუკიდებლობაზე? აი, ასეთი ეჭვები აღეძრება ძალაუნებურად კაცს, როცა თქვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს ზომავს. რა იყო ეს, უნებლიეთ დაშვებული ადამიანური შეცდომები თუ კარგად მოფიქრებული სატანური ჩანაფიქრი? ამას პასუხი თქვენმა დღევანდელმა მოღვაწეობამ უნდა გასცეს. ჰოდა, ჩვენც თავი ვანებოთ წარსულის ჩხრეკას და უფრო მეტად დღევანდელი ქმედებით დავინტერესდეთ. თუმცაღა სავსებით ვერც წარსულს შევეშვებით, რადგანაც ადამიანის აწმყოც და მომავალიც, მთლიანად თუ არა, ბევრწილად წარსულშია მომზადებული, გაღვივებული და იქიდანაა ამოზრდილი. ამიტომაც ვერ დავიჯერებ, რომ წარსულში ბოროტების მთესველი სიკეთის მატარებლად იქცეს, სიცრუის მქადაგებელი – მართლის მთქმელად და განზრახ კაცის მკელელი – კაცის მხსნელად მოგვეელინოს. სასწაული ხდება, მაგრამ მე ნაკლებად მჯერა ამ მეტამორფოზისა, მითუმეტეს მაშინ, როცა გაქრისტიანება პოლიტიკური ზრახვებით არის განპირობებული.

თქვენი წარსულის გახსენებაც, ამხანაგო ედუარდ, იმიტომ დამჭირდა, რომ ეფიქრობ, დაგეხმარება უფრო ღრმად გავერკვეთ თქვენს დღევანდელ ნაფიქრალსა და ნაღვაწში, რაც ზოგიერთი ჯიუტის, კერპთაყვანისმცემლისა და რეგვენის გარდა, ეგონებ. ყველასათვის ისედაც ცხადია, მაგრამ მე შეეეცდები „დაფარული" ნემსებურად კელაეაც გაეაცხადო.

* * *

უკაცრავად, ამხანაგო ედუარდ, მაგრამ სელხან-საბას ერთი ნააბბობი ენდა შეგახსენოთ „სწავლანი“-დან: „ერთი ვისმე უარისმყოფელთაგანი მელიხლებოდა და ვარქე: „განმეშორე შვილო ჯოჯოხეთისაო-მეთქი“! ხოლო მან მომიგო და მრქვა: „არა, ნუ იყოფინ, მე შვილი ვარ სასუფეველისაო“. მე ეკითხე: „ვითარ?“ მან მომიგო: „ოდეს ქრისტე მოვალს მეორედ მოსვლას, უკეთუ იგი არის ძე ღმრთისა და მაცხოვარი სოფლისა. ვაჩვენებ შუბლთა ჩემთა აღბეჭდილთა ბეჭდითა მით მირონისა მისისაითა და, უკეთუ მოიმედი უდიდებულეს არს, ვაჩვენებ სერსა მისსა წინა დაცვეთილებისასა – და ანუ ერთი აღმიყვანებს ზეცად, ანუ მეორეო“ და იცინოდა ფრიად“. თქვენ სწორედ ამ უარისმყოფელს მაგონებთ, თქვენ რომელ ქვეყანაშიც შეხვალთ, იქაურ ქუდს იხურავთ და იქაურ ხატზე იფიცებით, თანაც დროების ქარს უგდებთ ყურს – საითაც დაუბერავს, იქით მიქრიხართ. ერთი სიტყვით, ოღონდ ზემოთ ახვიდეთ და სრულიად არ გაინტერესებთ ქრისტე აგამაღლებთ თუ მუჯამედი. შეიძლება დიდი პოლიტიკოსისათვის ეს თვისება საჭიროც იყოს, მაგრამ რატომღაც დაბეჯითებით მგონია, ჩვენს მოღვაწეობას ამართლებს მიზანი, რომელიც, რაც უფრო კეთილშობილურია, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო, მით უფრო დიდ სიმართლესა და ჭეშმარიტებაზეა დაფუძნებული. ხოლო რაც ვიწრო და პიროვნულია, მით უფრო სიცრუითა და მოჩვენებითობით საზრდოობს. თქვენი მოღვაწეობის მთავარ მიზანზე უკვე მოგახსენეთ. ამიტომაც ვფიქრობ, მთელი თქვენი ცხოვრების გზა – ესაა სიცრუის ზეიმი. და თუ თქვენს ყოველ სიტყვაში ეჭვი მეპარება, ამის საფუძველიც მაქვს. ახლა კონკრეტულად, რატომ ჩამოხვედით თქვენ საქართველოში.

ბოლოდროინდელ გამოსვლებში ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ თქვენი ჩამოსვლა საქართველოში დიდი შეცდომა იყო პოლიტიკოსისა. სხვათა შორის, ამის შესახებ კარგა ხნით ადრე მეც ვწერდი: „ე. შევარდნაძე... ამ ბოლო ჟამს პოლიტიკურად ორჯერ გაკოტრდა: პირველად, როცა იგი ხელმეორედ დათანხმდა სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრობას და... მეორედ, როცა იგი საქართველოში ჩამობრძანდა და სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელი გახდა ისე, რომ ხალხისთვის არაფერი უკითხავს. ჩემი ღრმა რწმენით, მის ამ ქმედებას მთელი რიგი

უარყოფითი შედეგები მოჰყვება მისთვის, რაც ცოტა ხანში თვალნათლივ გამოჩნდება" (გაზეთი „რესპუბლიკა", 1992, მაისი). მაგრამ მაშინ თქვენ ამის შესახებ დუმდით. ახლა კი ამის აღიარება დაგჭირდათ იმისთვის, რომ თქვენი ნაბიჯი ეროვნული მრწამსით აგუხსნათ. დედააზრი თქვენი მსჯელობისა ის არის, რომ, მიუხედავად პოლიტიკური თვალსაზრისით სავალალო პერსპექტივისა, თქვენ, როგორც ქართველს, სხვა უფლება არ გქონდათ, რომ არ მიგეხედათ დანგრეული საქართველოსთვის და, როგორც ბრძანებთ ხოლმე, ხელებდაკაპიწებულს არ გეზრუნათ მის გადასარჩენად. გადარჩენა კი უმალ იმაში მდგომარეობდა, რომ „დესპოტიზმის" უღელი მოგეშორებინათ ქვეყნისათვის და დაგეწყოთ დემოკრატიული პრინციპებით ქართული სახელმწიფოს მშენებლობა. ასე და ამგვარად მსჯელობთ და ქადაგებთ, მაგრამ ნება მიბოძეთ თქვენს გულწრფელობაში ეჭვი შევიტანო და აი, რატომ: თავის დროზე გულმხურვალედ ამტკიცებდით, რომ ერთგული ბრძანდებოდით „დიადი ლენინური" იდეებისა, „უფროსი ძმისა", „დიდი, გენიალური ხალხისა"; ასეთივე „გულწრფელობით" გვარწმუნებდით, რომ „მთელი ეს ექვსი ათეული წელი საბჭოთა საქართველო თავის დროს ამოწმებს მოსკოვის, კრემლის კურანტების – პლანეტის უახლოესი ისტორიის მთავარი საათის მიხედვით... „გულით და სულით გწადდათ, რომ „დიადი სოციალისტური სამშობლოს გულის, პლანეტის მეცნიერული აზროვნების უდიდესი ცენტრის მადლი" გადმოსხმოდა საქართველოს (გაზ. „კომუნისტი", 1981 წ.). ასეთი აზრის კაცი, უკაცრაევად და, საქართველოს გულწრფელად ვერ ემსახურება, რადგანაც, ჩემი ღრმა რწმენით, კრემლის კურანტების ისრები ყოველთვის საქართველოს დროის საწინააღმდეგოდ ბრუნავდნენ. მავანი შემაპარებს, რომ ე. შევარდნაძე ატყუებდა საბჭოთა ლიდერებს და რუსებს. მაგრამ რით ვირწმუნო, რომ ასევე არ ატყუებს იგი დღეს ქართველ ხალხს?! კაცი საქმით ფასდებაო და ვნახოთ, რა მოიმოქმედა მან დღემდე ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

როგორც ბრძანებთ, უპირველეს ყოვლისა, მოიწადინეთ დემოკრატიული სახელმწიფოს აგება დესპოტიზმის ნანგრევებზე. მართლაც, ასეა საქმე?!

თქვენი მომხრეების (ვგულისხმობ როგორც ქართველს, ისე

რუს და დასავლეთელ „დემოკრატებს") წყალობით შექმენით მსოფლიოში მითი, თითქოს საქართველოში ფაშისტური რეჟიმი ბატონობდა და მას განაგებდა დიქტატორი. ცხადია, ამ მითს არავითარი რეალური, ობიექტური საფუძველი არ გააჩნდა და ყველამ, საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედულმა პიროვნებამ იცის, რომ ეს არის მტკნარი სიცრუე. პირიქით, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ რესპუბლიკაში ფუძნდებოდა დემოკრატიის ინსტიტუტები. მეტიც, ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ხალხის აზრის გათვალისწინებით (რეფერენდუმით) იღებდნენ, არსებობდა უამრავი ოპოზიციური გაზეთი, თავად ოპოზიცია ლაღობდა, რაც სწადდა, იმას იქმოდა. ერთი სიტყვით, პლატონის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „სახელმწიფოში წარმოიქმნა სრული თავისუფლება, გულახდილობა და შესაძლებლობა: გააკეთო ის, რაც გსურს". სწორედ ამის გამო იყო, ქართველმა კაცმა, რომელიც 70 წლის მანძილზე დესპოტიზმის უღელქვეშ გმინავდა, დაკარგა ზომიერება და აკრძალულს მიეტანა. მან თავისუფლება ყოველგვარი კანონის უგულებელყოფად მიიჩნია. ამ მხრივ განსაკუთრებით სცოდავდა ოპოზიცია, რომლის თავგასულობასაც არ ჰქონდა ზღვარი და ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ ზარბაზანი ესროლა საქართველოს დამოუკიდებლობას და ამით გათელა ქართველი კაცის ნება. ასე რომ, ჩემი ღრმა რწმენით, ეროვნული ხელისუფლების დროებითი მარცხის მიზეზი იყო არა დესპოტიზმი, რომელსაც ყბადაღებით ქადაგებდა ოპოზიცია და თქვენ, არამედ ზედმეტი დემოკრატია და ლიბერალობა.

სამხედრო გადატრიალების შედეგად კი, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ზღვარგადასული დემოკრატია სრულ ანარქიაში გადაიზარდა. დამკვიდრდა განუკითხაობა და ქაოსი, ძალლი პატრონს ვერ ცნობდა. ყველაფერი თავდაყირა დადგა. ასეთ დროს კი, როცა საერთოდ „უგულებელყოფენ დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს", წარმოიშობა ტირანია. „როგორც ჩანს, უსაზღვრო თავისუფლება ცალკეული კაცისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც გადაიქცევა, არც მეტი და არც ნაკლები, იმად, რასაც უსაზღვრო მონობა ჰქვია".

აი, სწორედ ასეთ ვითარებაში, როცა სრული განუკითხაობა ბატონობდა ირგვლივ, იმის შიშით, რომ ძალაუფლება არ დაეკარგა, საზოგადოების დახავსებულმა ნაწილმა მოგმარ-

ოათ (არ გამოვრიცხავ, რომ ამათი სურვილის აღძვრაში გარეშე ძალასაც მიუძღოდა დიდი დამსახურება) დახმარებისთვის. თქვენც ნამოხვედით, რათა „დანგრეული და დაქცეული ქვეყნისთვის გეშველათ" და ამას ისეთი რიხით აცხადებდით, თითქოს ქვეყნის დაქცევაში ლომის წილი არ მიგიძღოდეთ. მაგრამ მთავარი ის არის, რომ თქვენივე წყალობით დამკვიდრებული ანარქია მხოლოდ ძალაზე დაყრდნობილი მკაცრი ზომებით თუ დაიძლევა. ეს კი თავისთავად უკვე გულისხმობს ტირანულ მეთოდებს. ასე რომ, სავსებით ბუნებრივია, თქვენ აშენებთ არა სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოს, არამედ ტირანულს და თავად ტირანის კლასიკური განსახიერება ბრძანდებით. თქვენი ეს ზრახვა უფრო სარწმუნო გახდება, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ტირანული სახელმწიფოს ალალი შვილი ბრძანდებით და მისი წყობის მოწესრიგების და, საერთოდ, აშენების დიდი გამოცდილება გაქვთ.

ზემოთ ვახსენე ტირანის კლასიკური სახე, რომელიც იცვლებოდა საუკუნეთა განმავლობაში. მაგრამ მას გააჩნია მუდმივი ატრიბუტებიც. ახლა შემოგთავაზებთ ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე პლატონის მიერ გამოძერწილ ტირანის მოდელს და შევეცადოთ გავერკვეთ, თუ რამდენად ესადაგება ის თქვენს ბუნებას და მოღვაწეობას.

პლატონის მოსაზრებით, ადამიანის ტირანად გადაქცევის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ იგი არ ერიდება უსამართლობას და თავისი თანამემამულეების სისხლისღვრას. „როცა მას მორჩილი ბრბო ჰყავს, უსაფუძვლო ბრალდებებით მოქალაქეებს გადასცემს სასამართლოში და უსწრაფებს მათ სიცოცხლეს... განდევნის ქვეყნიდან და უმზადებს სასტიკ წამებასა და სასჯელს". აი, ასეთ ვითარებაში მსგავსი პიროვნებისათვის გარდაუვალია ორი ალტერნატივა: „ან იგი უნდა მოკვდეს თავისი მტრების ხელით, ანდა მოგვევლინოს ტირანად, ადამიანობაზე ხელი აიღოს და მგლად იქცეს".

ამხანაგო ედუარდ, ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ უსამართლო განჩინებებით და სისხლისღვრით თავი გამოიჩინეთ, ამ გზას აღგიჩართ დღესაც!.. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მტრის ხელით სიკვდილს ტირანად გადაქცევას ამჯობინებთ! აკი გადაიქეცით კიდეც!..

შემდეგ ფილოსოფოსი გვარწმუნებს, რომ, თუ კაცმა წარუ-

მატებლობა იწყენია და განდევნილ იქნა ქვეყნიდან, „იგი დაბრუნდება მტრების ჯინაზე – ჩამოყალიბებულ ტირანად".

მართალია, თქვენ არ განუდევნიხართ საქართველოდან, ამხანაგო ედუარდ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საქართველო დატოვეთ, ბევრი რამ შეიცვალა და თქვენს მომხრეებს ფრთები შეუკვეცეს. მეტიც, ქართველი ხალხის დიდმა ნაწილმა თქვენი საქმიანობა უკანონოდ ჩათვალა და ერის მტრად გამოგაცხადათ. თქვენც ბოღმით აღვსილი ბრუნდებით უკან, რათა შური იძიოთ მოწინააღმდეგეებზე. ეს გარემოებაც გიბიძგებთ ტირანიისკენ.

მერმე, ტირანიის მოწინააღმდეგენი თუ აშკარად ვერ შეძლებენ მის დამარცხებას და ხალხის თვალში გაშავებას, პლატონის აზრით, ჩაიფიქრებენ მის საიდუმლო მკვლელობას. ამიტომაც ტირანი ითხოვს პირად დაცვას.

დღეს ყველასათვის ცნობილია, რომ ე. შევარდნაძის დაცვას ქართველებს არ ენდობიან და ამას თვით ამერიკის „ცერეუ" ახორციელებს. ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც, ამხანაგო ედუარდ, ტირანის შტრიხი გამოკრთის.

ამასთანავე, როგორც პლატონი გვაუწყებს, პირველ ხანებში ტირანი ყველას ულიმის და უცინის, ვინც არ უნდა შეეგებოს, ხოლო თავის შესახებ კი ამტკიცებს, რომ სავსებით არ არის ტირანი. ის ბევრს პირდება კერძო პირებს თუ საზოგადოებას. იგი ათავისუფლებს ხალხს გადასახადებისგან და მიწას ურიგებს მათ და თავის მხლებლებს... „ასე კეთილად და უწყინარად მოაჩვენებს თავს".

არ გეწყინოთ, ამხანაგო ედუარდ, მაგრამ ამ ადგილს რომ ეკითხულობდი, თვალწინ წარმომიდგა თქვენი მომღიმარი სახე და უსაზღვრო დაპირებანი. ისიც ვიფიქრე, პლატონი რომელიმე თქვენს წინაპარს ხომ არ იცნობდა-მეთქი. თუმცა დავუბრუნდეთ პლატონის მსჯელობას: „როცა ის (ტირანი) შეურიგდება თავის მტერთაგან ზოგიერთს, სხვებს სპობს, ასე რომ, ისინი მას ვეღარ აწუხებენ... მერმე მისი ამოცანა იქნება მუდმივად რომელიმე ომში ჩაითრიოს მოქალაქეები, რათა ხალხს სჭირდებოდეს წინამძღოლი..." და იმიტომაც, რომ ხალხი გადასახადებით გაღატაკდეს ისე, რომ ვაინაჩრობით გაათრიოს დღეები, რათა ნაკლებად შეძლოს მისმა მოწინააღმდეგემ აუგი ფიქრის განხორციელება..."

არა, ღმერთმანი, ეს დალოცვილი პლატონი ნამდვილად

იცნობდა თქვენს წინაპარ-ორეულს, თორემ ასეთი სიზუსტით როგორ შეეძლო განეჭვრიტა თქვენი ბუნება და ქმედებანი?! თანაც რა კარგადაა ახსნილი აფხაზეთში თქვენს მიერ გაჩაღებული ომის ერთი ძირითადი მიზეზი!.. მაგრამ მიეყვეთ ფილოსოფოსის აზრთა მსვლელობას.

„თუკი მას (ტირანს) ეჭვი შეეპარება ვინმეს თავისუფალ აზროვნებასა და მისი მმართველობის უარყოფაში, მაშინ ის ასეთ ადამიანებს ანადგურებს იმ მიზეზით, რომ თითქოს ისინი მოწინააღმდეგეს მიეყიდნენ. სწორედ ამიტომაც ტირანს სჭირდება, რომ ყველა მუდამ აფორიაქებული ჰყავდეს ომით“...

აქაც, ვგონებ, ზუსტად თქვენი ქცევისა და ზრახვების მართებულ და უტყუარ ანალიზსა და წაკითხვასთან გვაქვს საქმე, თანაც 24 ივნისის „გადატრიალებას“ თუ სხვადასხვა დივერსიულ აფეთქებებს ლოგიკური ახსნა ეძებნება, რასაც, ვგონებ, თქვენც არ უარყოფთ.

ბუნებრივია, ტირანი ასეთი ნაბიჯებით თავს შეაჯავრებს თავის თანამემამულეებს. „ამავე დროს ზოგიერთი პირი, რომელმაც ხელი შეუწყო მის აღზევებას, პირდაპირ და საუბრებში თავის უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რაც ხდება“... „ტირანი კი ძალაუფლების შენარჩუნებისთვის იძულებული იქნება გაანადგუროს ის. ასე რომ, ბოლოს არ შერჩება მას არც მეგობარი და არც მტერი, რომლებიც რაიმეში გამოსადეგნი იქნებიან“.

ამხანაგო ედუარდ, ხომ არ გეცნოთ ეს სიტუაცია?! როცა ირგვლივ აღარ შემოგრჩათ ერთი ერთგული ადამიანიც. მხოლოდ ისინი შემოგციცინებენ, ვისაც თქვენდა საამებლად ქაცუნით კუდი შემოაცვდათ და ახლა ულვაშების ცმაცუნით გიკრავენ დასტურს. რას იზამთ, ასეთი ყოფილა ტირანის ბედი. ის ექიმივით კი არ იქცევა, რომელიც უვარგისს წარკვეთს და უკეთესს ტოვებს, არამედ პირიქით. ამიტომაც საბოლოოდ იგი იძულებულია „ან იცხოვროს არამზადების ხროვასთან ერთად, თანაც იმათთან, ვისაც ის ეზიზღება, ანდა სიცოცხლეს გამოეთხოვოს“. თუმცაღა ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ახალი მოქალაქეები“, რომლებსაც თანამოაზრეებად მოაქვთ თავი, აღტაცებულნი არიან მისი პიროვნებით, მაშინ როცა „წესიერები ვერ იტანენ და გაურბიან მას“. ვგონებ, ამ შემთხვევაშიც პლატონი დღეანდელობის სურათს გვიხატავს.

თქვენც ხედებით, ამხანაგო ედუარდ, ვინც დღეს დაგემონათ, ის უპირველესად საკუთარი მუცლისა და საეარძლის მონაა, ამიტომაც ყველაფერს აკეთებს, რათა საკუთარი ჭია გაახაროს. მათ ქვეყნიერებაც და, თუ გნებავთ, თქვენი პერსონაც ჩალის ფასადაც არ უღირთ. დიახ, ეს ყოველივე თქვენც კარგად მოგეხსენებათ, მაგრამ გამოსავალი ვერ გიპოვიათ, რადგანაც თქვენი ტირანიის ტახტის საყრდენი სწორედ ეს ნაძირლები არიან. ასე რომ, ერიდებით იმ ტოტის მოჭრას, რომელზედაც ზიხართ. ესეც უწყოდეთ, რომ ჭეშმარიტი მამულიშვილები, წესიერი ადამიანები თქვენთან ურთიერთობას გაურბიან, ისინი არასოდეს დაგემონებიან, რადგანაც მათ ღრმად სწამთ: „ყველაზე მძიმე და მწარე მონობა ეს არის მონობა მონებისა". ტირანში კი ყოველთვის მონის სული მძლავრობს.

შეიძლება სხვა ნიშან-თვისებებზეც გაგეგრძელებინა საუბარი, მაგრამ, ვფიქრობ, ნათქვამიც საკმარისია იმის სარწმუნოდ, რომ თქვენ ტირანის ტიპიური განსახიერება ბრძანდებით და იმასაც, რასაც სჩადიხართ, მხოლოდ ტირანულ სახელმწიფოში შეიძლება დაეძებნოს გამართლება.

ეს ყველაფერი, რაც მოგახსენეთ, ზოგადი დახასიათებაა თქვენი, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა. ახლა კი კონკრეტულად იმის შესახებ, თუ რა ჩაიდინეთ თქვენ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ:

უპირველეს ყოვლისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თქვენ იყავით სულისჩამდგმელი სამხედრო გადატრიალებისა, რომლის შედეგადაც დაემხო ეროვნული სახელმწიფო და დაინგრა სრულიად საქართველო. მაგრამ ეპოქის უდიდეს დანაშაულად უნდა მივიჩნიოთ ეს გადატრიალება იმიტომ, რომ ქართველებმა ერთმანეთი დახოცეს და ქართველთა ზღვა სისხლი დაიღვარა. ალბათ ყველა დამეთანხმებით, რომ ეს ცოდვა არაფის უნდა ეპატიოს და არც ეპატიება!

მეორე, თქვენ ჩამოსვლისთანავე მოახდინეთ ხელისუფლების უზურპაცია: ჯერ იყო და „სამხედრო საბჭოს" თავმჯდომარედ მოგვეელინეთ, შემდეგ – „სახელმწიფო საბჭოსი", მერე გაყალბებულ არჩევნებში ელემენტარული წესების უგულებელყოფით ხალხს პირდაპირ აარჩევინეთ თაეი „პარლამენტის" თავმჯდომარედ, „პარლამენტს" კი – „სახელმწიფოს მეთაურად". გახდით ე. წ. სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე, მთა-

ვარსარდალი, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე და მისთ. ერთი სიტყვით, ამდენი ძალაუფლება მაშინაც არ გქონიათ, როცა ცეკას პირველი მდივანი ბრძანდებოდით. ამავე დროს, თვალში საცემია ერთი საინტერესო რამ: გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებთ, თანაც რიხით დასძენთ, პასუხისმგებლობას ჩემს თავზე ვიღებო, მაგრამ ჯერ არავის მოუთხოვია პასუხი იმ საბედისწერო შედეგებისთვის, რომლებიც მოჰყვა თქვენს თითქმის ყოველ თვითნებურ ნაბიჯს.თქვენი გალაღების მიზეზი კი ის არის, რომ „პარლამენტი" შეავსეთ საკომპენსაციო სიებით, რაც მოწყალებისა და ერთგვარი ავანსის სახით გაეცით. ამიტომაც თითქმის ყველა (მცირე გამონაკლისის გარდა) თქვენი ახირებული ნება-სურვილის გამტარებელია. მეტიც, შეიძლება თქვენმა დასავლეთელმა მეგობრებმა არ დაიჯერონ, მაგრამ ფაქტია, რომ ე. წ. პარლამენტი იღებდა ისეთ კანონ-წესებს, რომელიც გამართლებული იყო თქვენი პერსონით, ანუ თქვენს თარგზე ჭრიდა საკანონმდებლო „სამართალს". თანაც ამას ხმამაღლა აცხადებდნენ, ეს კანონი სხვა შემთხვევაში არ იავარგებდა, მაგრამ ახლა ე. შევარდნაძე გვამშვენებს და მისაღებიაო! მეტი მკრეხელობა გაგონილა?! კანონს ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ კი არ იღებენ, არამედ არგებენ პიროვნებას, რომელიც რას მოიმოქმედებს თავისი ერის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ ღმერთმა უწყის!

მესამეც, თქვენ რუდუნებით და გეგმაზომიერად ამკვიდრებთ თქვენს კულტს: სპეციალურად შექმენით და აამოქმედეთ საზოგადოებრივი თუ სხვა სახის ინსტიტუტები (დემოკრატიული კავშირი, ე. წ. „შევარდნაძის ფონდი" და სხვ.), აამუშაევეთ პრესა, რადიო, ტელევიზია. ისეთი ლიქნი და ფარისევლობა მუშაობს დღეს, რომ მსგავსი სტალინის და ბრეჟნევის ეპოქასაც არ ახსოვს: საქართველოში უთოც რომ შეაერთო ქსელში, შევარდნაძეზე დაიწყებს საუბარს. ამასთანავე შეიმჩნევა ერთი მეტად საძრახი ტენდენცია – თქვენი აგიტმანქანა სისტემატურად ცდილობს ჩაუნერგოს ქართველებს აზრი, რომ თითქოს საქართველოს და ქართველ ერს მსოფლიოს თვალში არავითარი თავისთავადი ღირებულება არ გააჩნია და თუ ვინმე მოწყალების თვალით გადმოხედავს, მხოლოდ ე. შევარდნაძის უსაზღვრო აეტორიტეტს უნდა ეუმადლოდეთ. ახლა

მახსენდება, როცა ქართველმა ხალხმა პრეზიდენტის სახელი საქართველოს გაუტოლა და გულწრფელად გაიძახოდა – ზვიადი საქართველოაო, ეს გაუგონარ მკრეხელობად ჩათვალა „ელიტამ". მაგრამ რაღა ემართება ამ „ბნელიტას", როცა წამდაუწუმ შთააგონებენ: საქართველო ვის დაკარგვია, ედუარდ-გიორგი-ავგუსტინეა ყველაფერიო და ის კი ყურსაც არ იბერტყავს? ამაზე დიდი ბოროტება გაგონილა ქვეყნად?! ეს ხომ მთელი ერის სულში ჩაფურთხებაა!.. საერთოდ, თქვენ პირადად, ამხანაგო ედუარდ, და თქვენი თანამოაზრე დამქაშები ცდილობთ დაარწმუნოთ ქართველი ხალხი თავის უსუსურობასა და უუნარობაში. საქვეყნოდ აჩვევთ იმ აზრს, რომ თითქოს დამოუკიდებელი ცხოვრება არ შეუძლია და დიდი რუსეთის გარეშე დაიღუპება. სამაგიეროდ წინ წამოწევთ შევარდნაძის ფაქტორს, რომლის მსოფლიო მასშტაბებზე თავად თქვენ ერთგვარი სიამოვნებით საუბრობთ. ეს ყველაფერი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. სატირალი კი იმიტომ არის, რომ ის მხოლოდ თქვენი ადამიანური სისუსტით არ აიხსნება, იგი შემადგენელი ნაწილია შორსგამიზნული იმ „დიდი პოლიტიკისა", რომელსაც თქვენ გეგმაზომიერად ახორციელებთ და რასაც უეჭველად და გარდუვალად საბოლოოდ საქართველოს დაღუპვა მოჰყვება.

მეოთხეც, მინდა დავიჯერო, რომ თქვენ არ გაგაჩნდათ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროგრამა, ხოლო ვისაც ამის სამართავი ბერკეტები ჩააბარეთ (მარგიანი, გოცირიძე, დვალიშვილი და მისთ.), მათ ქვეყნის ბედს კი არა, ორ ბატს არ ანდობდა კაცი. ამიტომაც ქვეყანაში სრული ეკონომიკური ქაოსია და ისეთ კრიზისში აღმოვჩნდით, რომ ამ ლაბირინთიდან არიადნეს ძაფიც ვერ დაგვიხსნის. ყველასათვის, თუკი ძალისძალით არ დაითხრიან თვალებს, ნათელია, რომ, რაც თქვენ დაბრუნდით საქართველოში, ჩვენი საქმე თანდათან უკან-უკან მიდის. ამის შესახებ არაერთგზის დაიწერა და ითქვა, მაგრამ მკითხველს ზოგიერთ მონაცემს მაინც შევახსენებ: 1992 წელს 1991 წელთან შედარებით ეროვნული შემოსავლის მოცულობა შემცირდა 45 პროცენტით, 1993 წლის პირველ-მეორე კვარტალში წინა წელთან შედარებით – 25 პროცენტით. მრეწველობაში შემცირდა ისეთი მნიშვნელოვანი პროდუქციის წარმოება, როგორიცაა ქვანახშირი (71,4 პროცენტით), დიზელის

ძრავიანი ავტომობილები (78,5 პროცენტით), ცემენტი (48,0 პროცენტით.), მინერალური სასუქები (42,9 პროცენტით) და ა. შ. ასეთივე მძიმე, თუ უარესი არა, ვითარებაა სოფლის მეურნეობაში: მარცვლეული და მარცვლოვან-პარკოსანი კულტურების მოცულობა შემცირდა 22,6 პროცენტით, შაქრის ჭარხლის 67 პროცენტით, კარტოფილის 57,5 პროცენტით, ბოსტნეულის 61,1 პროცენტით და ა. შ. თითქმის გაჩანაგდა მეცხოველეობა: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა შემცირდა 35,5 პროცენტით, ღორის – 62,6 პროცენტით, ცხვრის და თხის – 20,2 პროცენტით, ფრინველის – 69,2 პროცენტით და ა. შ. არასახარბიელო და უმძიმესი ვითარებაა სხვა დარგებშიც: მშენებლობაში, ვაჭრობაში და მისთ. (ამის შესახებ იხ. „ს. ს.“, №27, გვ. 2). ყოველივე ამან განაპირობა ქვეყნის უმძიმესი ფინანსური მდგომარეობა. რესპუბლიკის ბიუჯეტი თითქმის არ არსებობს. მისმა დეფიციტმა 80 პროცენტს გადააჭარბა. სავსებით ბუნებრივია, ასეთი ეკონომიკური ქაოსის პირობებში საერთოდ შეწყდა საქართველოში პროდუქციის გამოშვება. დღეს რესპუბლიკის მრეწველობა თავისი შესაძლებლობის თხუთმეტ პროცენტსაც ვერ აწარმოებს. ამიტომაც ქვეყანა მხოლოდ შემოზიდული პროდუქციის ხარჯზე არსებობს. დღეს საქართველოში ბიზნესი ესმით როგორც მხოლოდ მევახშეობა და სპეკულაცია: ყიდულობენ და მერე ყიდიან ორ – და სამმაგად. ამიტომაც ყველაფერს ცეცხლი უკიდია. მაშინ როცა ზოგიერთ საქონელზე ფასი ასჯერ და ათასჯერ გაიზარდა, ხელფასი რამდენიმეგზის გაზარდეს ოდენ. კუპონის შემოღებამ კი სავსებით გააჩანაგა ქართველი კაცის საოჯახო ბიუჯეტი. საქართველოში ყველა პატიოსანი კაცი, ვინც ხელფასით ცხოვრობს, შიმშილობს. აბა, მითხარით, როგორ იცხოვროს ადამიანმა, როცა პროფესორის ხელფასი სამ დოლარსაც არ უტოლდება და მთელი თვის შემოსავლით ეგზომ ნაქებნაფერებ „კოკა-კოლას“ ოთხ ბოთლსაც ვერ შეიძენ? დღეს რომ ქართველი კაცი სოციალურად სრულიად დაუცველია, ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს, რადგან ეს ყველამ კარგად იცის და, მით უმეტეს, უკეთესად მოგეხსენებათ თქვენ. უკეთ მოგეხსენებათ თუნდაც იმიტომ, რომ ამ სიდუხჭირის შემოქმედი თავად ბრძანდებით. ახლა თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ტირანი გამგებელი ხალხს შეეგებელად აშიმში-

ლებს, რათა ამ გზით თავისი შაებნელი ზრახვები განახორციელოს, შეიძლება ასეთი ეჭვიც დაგებადოს: დღეს არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი თქვენი შორსგამიზნული პოლიტიკის შედეგია, რასაც საქართველოს დამორჩილება უნდა მოჰყვეს აუცილებლად.

მეხუთეც, დღეს საქართველოში, შეიძლება ითქვას, კორუფცია ზენიტს აღწევს. თქვენი ხელშეწყობით კორუფცია და კორუმპირებული ელემენტები სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათდნენ და დაუფარავად მდიდრდებიან სახალხო დოვლათის ხარჯზე. ამასთანავე, რაც ყველაზე სავალალოა, გაფურჩქნა დაიწყო ნარკობიზნესმა. ვერაფერს ვიტყვი იმის შესახებ, უშუალოდ თქვენ გარეული ხართ თუ არა ამ ბინძურ საქმეში, საერთოდ, რაც არ იცის კაცმა, იმაზე დუმილი უნდა ამჯობინოს. მაგრამ დღეს რომ საქართველოში შუა აზიიდან, რუსეთიდან, მახლობელი აღმოსავლეთიდან განუწყვეტელ ნაკადად მოედინება ეს მომწამლავი ნივთიერება, რომელმაც ქართველი ახალგაზრდობის თითქმის ნახევარზე მეტი გადააგვარა, უდავო ჭეშმარიტებაა. ისიც უტყუარი ფაქტია, რომ არავითარ ქმედით ღონისძიებას არ იღებს სახელმწიფო ამ ბოროტების აღსაკვეთად. და თუ ასე გაგრძელდა ერთ ხანს – ერი თავისთავად გადაგვარდება ისე, რომ გარეშე ძალის ჩარევა არც იქნება საჭირო. აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ საქართველო ყაჩაღების ქვეყნად იქცა. ქართველი კაცის ცხოვრება გაუსაძლისი გახდა, დღე არ გავა, რომ ორ-სამ ადამიანს სიცოცხლე არ მოუსწრაფონ. მშვიდობიანი მოქალაქე ვერც დღისით, ვერც ღამით ველარ გადის შიშით გარეთ, რადგან არ აქვს იმედი შინ საღსალამათი დაბრუნებისა. ვინ-ვინ და თქვენ ძალზე კარგად იცით, თუ რა მიზეზით არის შექმნილი ეს აუტანელი კრიმინოგენული ვითარება: ერთი მხრივ, ნარკოტიკებით დაბანგულმა ადამიანებმა არ უწყიან რას იქმიან. მეორე მხრივ, მომრაველდა სხვადასხვა შეიარაღებული პარტიები, ჯგუფები თუ საზოგადოებები, რომელთა შექმნაშიც დიდი წელილი მიუძღვის თქვენს ხელისუფლებას. მათი ალაგმვა და განიარაღება არ არის ძნელი. მაგრამ უბედურება ის არის, რომ თქვენი ძალაუფლების ტახტი ამ ბნელ ძალაზეა დამყარებული და მათი განადგურება საკუთარი საძირკვლის გამოთხრასაც ნიშნავს. სხვა ყველაფერს თავი დავანებოთ, მშვიდობიან

მიტინგებსა და მანიფესტაციებს, რომლებიც ასე გაშინებთ თქვენ. ვინღა დაარბევს?! ამიტომაც ორ ცეცხლს შუა ხართ. არა, უფრო სწორად, თქვენი ბუნებიდან გამომდინარე, წესრიგსა და ხალხის სიცოცხლეს საკუთარ სავარძელს ამჯობინებთ.

მეექვსეც, ჩამოხვედით თუ არა საქართველოში, გამოავლინეთ „ჰუმანური“ ბუნება, დემოკრატიისადმი „ერთგულება“ და უმოწყალოდ დაარბეინეთ თითქმის ყველა მშვიდობიანი მიტინგი და მანიფესტაცია. ალბათ, კარგად მოგეხსენებათ, რა სასტიკად სცემდნენ ქალებსა და ბავშვებს თქვენი ერთგული შავრაზმელები, როგორ უსვედნენ ქოფაკებს, როგორ ესროდნენ ავტომატებს და ტროტუარზე დასდევდნენ „ბეტეერებით“. ამ „ჰუმანური აქციების“ შედეგად მრავალი ადამიანი ფიზიკურად დასახიჩრდა, მრავალმა მიიღო ღრმა სულიერი ტრავმა, მრავალი კი სიცოცხლეს გამოესალმა. არ გეგონოთ ეს ცოდვა-ბრალი ვინმეს შერჩეს, სულ მალე ყველას თავისი საკადრისი მიეზღვება. სხვათა შორის, ხალხის ნების წიხლით გათელვა არცერთ ტირანს არ შერჩენია. ალბათ იცნობთ ცეზართა ცხოვრებას, ამხანაგო ედუარდ?!

მეშვიდეც, მოექეცით თუ არა რესპუბლიკის ხელისუფლების სათავეში, არ უღალატეთ თქვენს ძველ ჩვეულებს და უფრო დიდი გაგულისებით დაერიეთ თქვენს მოწინააღმდეგეებს. ციხეები გაავსეთ პოლიტპატიმრებით, რომლებსაც თქვენს მიერვე ადრე დამკვიდრებული სისასტიკით აწამებენ და სულს ხდიან. შორს რომ არ წავიდეთ, მხეცური წამების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ზ. წიკლაური, გ. გელბახიანი და სხვ., რომელთაც „სამართლებრივი დაკითხვის“ შედეგად საბოლოოდ შეერყათ ფიზიკური ჯანმრთელობა. ეფიქრობ, არც ეს დანაშაული გაქრება უკვალოდ.

მერვეც, ხელთ აიღეთ თუ არა ქვეყნის მართვის სადავეები, თქვენთვის ჩვეული ვერაგობით დაიწყეთ ინტრიგების ქსელის ქსოვა, რათა ბოლო მოგეღოთ პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის. ასე განხორციელდა ყბადაღებული 24 ივნისის გადატრიალების ინსცენირება, რომელსაც მსოფლიოში უკვე უწოდეს „ედუარდ-შოუ“. სხვათა შორის, უცილობლად გასათვალისწინებელია, რომ ეს გადატრიალება დაემთხვა დაგომისის ხელშეკრულების დადებას, რომლის შინაარსი დღესაც უცნო-

ბია ქართველი ხალხისათვის. შედეგი კი ყველამ კარგად ვიცით – დაიკარგა ცხინვალი, ჯავა და მრავალი ქართული სოფელი შიდა ქართლში. მთავარი მაინც ის არის, რომ ამ „გადატრიალებას“ კვლავ მრავალი ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ქართველთა სისხლი დაიღვარა გორის „ინციდენტის“ დროსაც, რომელიც აგრეთვე ძალიან საეჭვო ვითარებაში მოხდა. რატომღაც დღეს გორის ტრაგედიას აღარ იხსენებენ, ალბათ ეშინიათ დიდი რუსი ხალხის სახელი არ შებღალონ!

მეცხრეც, თქვენი პოლიტიკური სიბეცის თუ გულღვარძლობის გამო რამდენიმეგზის დაარბევინეთ და ააოხრებინეთ სამეგრელო – უმშვენიერესი კუთხე. თქვენ არ წყალობთ ამ კუთხეს განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამეგრელოში „გასეირნებისას“ მოსახლეობამ, სამართლიანად განაწყენებულმა, „გულთბილი“ მიღება მოგიწყოთ და ლაყე კვერცხებით, დამპალი პომიდერებითა და ლაფით გაგიმასპინძლდათ. ასეთი დახვედრა საესებით ბუნებრივი იყო. თუ რა ჩაიდინეს იქ თქვენმა წარგზავნილებმა, მადლობა ღმერთს, დღეს ყველასთვის ცნობილია, ამიტომ ამის შესახებ არას ვიტყვი, ოღონდაც დავსძენ, რომ ამჯერადაც თქვენი წყალობით უდანაშაულო ქართველთა სისხლი დაიღვარა, რომელიც „ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს“. მწამს, რომ დრო დადგება და ამ სამართალსაც გააჩენს ხალხი. თქვენ, როგორც „დიდ“ პოლიტიკოსს, უნდა გცოდნოდათ, თუ რა მოჰყვებოდა ამ „დალაშქვრებს“ – ქართველთა გახლეჩა, კუთხეების დაპირისპირება. იქნება ეს ყოველივე კარგად იცოდით და იმიტომაც გადადგით ეს ნაბიჯი?! ვინ იცის!

მეათეც, თქვენი ყველაზე დიდი პოლიტიკური შეცდომა იყო აფხაზეთში უაზრო ომის გაჩაღება. ახლა რაც უნდა ამტკიცოთ, რომ თქვენ ეს ომი არ დაგიწყიათ და მასში ძალაუნებურად ჩაგითრიეს, ვერა და ვერ გაიმართლებთ თავს. ამ ომის მსვლელობის ნიუანსების გაშუქებას არ შევუდგები. ამის შესახებ უკვე ბევრი ითქვა და ბევრიც დაიწერა. არსებითი მიზეზები ომის გაჩაღებისა ცნობილია: „რკინიგზა-მაგისტრალების ხელში ჩაგდება“, „ზვიადისტებისთვის“ ჭკუის სწავლება, „არჩევნების“ ჩატარება და მისთ... ოღონდაც ერთი უნდა შევნიშნო, – ეს სისხლისმღვრელი ომიც თქვენ დაუკავშირეთ თქვენს

პოლიტიკურ ზრახვებს და საზოგადოებრივ აზრსაც ამის შესაბამისად წარმართავდით. პოლიტიკური სიტუაცია მოითხოვდა და თქვენ ეს კონფლიქტი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის წმინდათაწმინდა ომად გამოაცხადეთ. მზად იყავით იარაღი აგეღოთ ხელში და ქვეყნის მთლიანობა დაგეცვათ (მაშინ, არჩევნების წინ, ძალიან გწადდათ ეროვნული გმირის სახელი მოგეხვეჭათ), ამასვე მოუწოდებდით ქართველ ხალხს და ვინც ამ ომს იმთავითვე უაზროდ მიიჩნევდა, ლამის ერის მოღალატედ შერაცხეთ. ვერაფრით დავადგინეთ, ვის ვებრძოდით: იყო პერიოდი, როცა ჩვენი მარცხის უმთავრეს მიზეზად ჩეჩნები გამოვაცხადეთ და მათგან შევქმენით დაუძინებელი და დაუნდობელი მტრის სახე. თუ რატომ იღვწოდით ამისთვის, ბავშვისთვისაც გასაგებია. სიტუაციამ მოითხოვა და ეს „წმინდათაწმინდა" ომი „უაზრო" აღმოჩნდა. ისიც გავარკვიეთ, რომ თურმე ჩვენ რუსეთს ვეომებოდით და ამიტომ ვერაფერს გავხდებოდით, ამიტომაც ამ უაზრო სისხლისღვრაზე ხელი უნდა აგეღო. სიტუაციამ მოითხოვა, თურმე ნუ იტყვი, რუსეთი აღმოჩნდა ის სამშვიდობო ძალა, რომელსაც შეუძლია ამ უაზრო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება. არავინ უწყის ხვალ რა სიტუაცია იქნება, თქვენც რას მოიმოქმედებთ და საით „წარმართავთ" საზოგადოებრივ აზრს. მაგრამ დღეს ერთი კი დღესავით ნათელია: ამ უაზრო ომის შედეგად დაკარგეთ ქართული მიწები, აფხაზეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი და სულ მალე მთელ აფხაზეთსაც გამოვეთხოვებით. თითქმის ნახევარი საქართველო ლტოლვილად იქცა, ამ უაზრო ომმა შეიწირა ათიათასობით უმშვენიერესი, მამულის სიყვარულით გულანთებული ქართველი ყმაწვილი, რომელთა ცოდვა ვის სინდისზეა და ვის აწევს, ამას მე ვერ განვსჯი, ღმერთმა განიკითხოს. მაგრამ ეს კი ვიცი, რომ საქართველოს მიწებიც და ჭეშმარიტი ქართველებიც თქვენს პოლიტიკურ ინტერესებსა და კარიერისტულ ზრახვებს ეწირება. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ ამ ომსაც სხვათა კარნახით და სხვათა ინტერესების გათვალისწინებით წარმართავდით. ამიტომაც არ მიკვირს, რომ ქართველი საზოგადოების ჯანსაღი და გონიერი ნაწილი ორ დიდ დანაშაულში გდებთ ბრალს:

1. ქართული ტერიტორიების გასხვისება: შიდა ქართლისა და აფხაზეთის დიდი ნაწილი უკვე გაცემულია თქვენი ხელ-

დასხმით.

2. ქართველი ხალხის გენოციდი. თქვენი წყალობით უამრავი ქართველი დაიღუპა შიმშილით ან „მეგობრის“ თუ „მტრის“ ტყვეობით.

შეიძლება შეგვეკითხო თქვენს აუგ საქმეთა ნუსხა, ამხანაგო ედუარდ, მაგრამ, რაც უკვე მოგახსენეთ, ვგონებ, საკმაოდ საკმარისია იმის გასაცნობიერებლად, რომ დანაშაულთა მასშტაბები, რომლებიც თქვენ ჩაიდინეთ, მხოლოდ სისხლის სამართლის სფეროში ვერ თავსდება. მეტსაც გეტყვით, იურისპრუდენციის ენაზე არ დაიძებნება ტერმინი, რომელიც სრულად გადმოგვცემდეს და განსაზღვრავდეს თქვენი „მოღვაწეობის“ სპეციფიურობას და რაობას. ალბათ, სისხლის სამართლის კოდექსში ძნელად დაიძებნება მუხლი, რომლითაც შეესაძლებელი იქნებოდა თქვენს „საგმირო საქმეთა“ კვალიფიცირება, თუმცა პირადად მე არც ვაპირებ და არც მაქვს იმის უფლება, რომ თქვენ სამართლებრივი განჩინება გამოგიტანოთ. მაგრამ ღრმად მწამს, რომ ყველაზე დიდი მოსამართლე ხალხია და ღმერთი. სწორედ მათი განკითხვისა და განსჯის გეშინოდეთ ყველაზე მეტად! ეცადეთ, თუ ძალზე დაგვიანებული არ არის, მძიმე ცოდვებით ნუ დაამძიმებთ თქვენს შთამომაელობას და ნაშიერს, რომელიც ისედაც ზოგადადამიანური ცოდვის კუზის მატარებელია. რამდენდაც მახსოვს, ადრე ერთერთმა პირველმა მოგთხოვეთ გადადგომა, მაგრამ დღეს ამას ვეღარ გირჩევთ, რადგან მატარებელი უკვე გავიდა, თქვენი გადადგომით კი თქვენს ცოდვილ სულს ხსნას ვერ მოუტანთ. თუკი ნეტარი ავგუსტინეს იმ აზრს ვერწმუნებით (ჰო, მართლა, ნეტარი ავგუსტინეს ორდენის კავალერი ბრძანდებით!), რომ ჯოჯოხეთის ცეცხლი ყველა ცოდვილის სულში ტრიალებს, მაშინ თქვენ ვერავითარი სამართლებრივი სასჯელი ვერ მოგიზღავთ იმას, რასაც საკუთარ სულში დატრიალებული მართლაც გაუსაძლისი ჯოჯოხეთური ცეცხლი დაგმართებთ. უეჭველია, როცა იქნება, მოგვიანებით მაინც, სინდისის ქენჯნაც გაგრძნობინებთ თქვენს ცოდვათა სიმძიმეს. თქვენს „სულიერ ძმებს“ კი ისღა დარჩენიათ, თანაგრძნობა გამოგიცხადონ და მუხლი მოუყარონ თქვენი ცოდვილი სულის იმ აუტანელ ტანჯვას, წინ რომ გელით გარდაუვლად.

დასასრულს, იმ უბედურებათა სანაცვლოდ, რაც თქვენ დაქართეთ ქართველ ხალხს, მოუტანეთ თუ არა მას რაიმე სიკეთე? ასეთი კითხვაც აღეძრება მოკეკდავ ადამიანს. უნდა პირდაპირ მოუახსენოთ, რომ, ჩემი დაკვირვებით, ამ ჭრილში შეიძლება მხოლოდ მოჩვენებით „სიკეთესა" საუბარი. სინამდვილეში კი თქვენი დათესილი „სიკეთე" სულ ბოროტებად ბრუნდება ხოლმე ქვეყნისთვის. მაგრამ ეს ერთი შეხედვით არ აღიქმება იმიტომ, რომ შენიღბვის დიდოსტატი ბრძანდებით. თქვენი ერთგული ამალა კი მართლაც დიდი თავდადებით ცდილობს, რომ ბუზი აქლემად მოგვაჩვენოს. ზემოთ უკვე ვითხარით, რომ აგიტაციის უზარმაზარი სისტემა ცდილობს თქვენი კულტის დამკვიდრებას. მაგრამ არ ვიცი, უნიჭობისა და უსუსურობის გამო, არ ვიცი იმიტომ, რომ დანგრეულ ქვეყანაში ბუს ბულბულად წარმოჩენა ჭირს, სასურველ შედეგს ვერ აღწევს. პირუკუ, თქვენი უსაფუძველო ქება-დიდება მაშინ, როცა ქვეყანა თქვენი უსასოობისა თუ ბნელი ზრახვების გამო დაღუპულია, ხალხში უკურეაქციას იწვევს...

თქვენს მომხრეებს ისღა დარჩენიათ, გაუთავებლად ილაპარაკონ ვითომდა წარმატებით „წარმოებულ" საგარეო პოლიტიკაზე და ამ სფეროში, როგორც თქვენ გიყვართ ხოლმე ხაზგასმა, შევარდნაძის ფაქტორზე, რომელზედაც, თურმე ნუ იტყვით, დამოკიდებულია საქართველოს აწმყოც და მომავალიც. სიტყვა ისედაც გამიგრძელდა და ამ საკითხს გამოწვლილვით ვერ განვიხილავ. მხოლოდ თქვენი თანამზრახველების მთავარ „კოზირებზე" შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას:

უპირველეს ყოვლისა, თქვენ თითქმის ყველა გამოსვლაში ხაზს უსვამთ, რომ დასავლეთში თუ აღმოსავლეთში მრავალი მეგობარი გყავთ, რომლებიც „მეგობრულად" დაეხმარებიან თქვენს ქვეყანას და არაფერს გაუჭირვებენ მას. ვინ-ვინ და თქვენ, „დიდმა პოლიტიკოსმა", უნდა იცოდეთ, რომ პოლიტიკაში „მეგობრები" არ არსებობენ და სიტუაციის მიხედვით, ძველი მეგობრები შეიძლება მტრებად მოგეკიდონ. ამიტომ „მეგობრების" იმედით პოლიტიკის სარბიელზე ფონს ვერ გახვალთ. ეს ერთი. და მეორეც, რამდენადაც ვიცი, თქვენი დიდი მეგობრები კარგა ხანია უკვე ხელმოცარულნი სანაგვე ყუთში განისვენებენ.

მეორეც, პრესისა და ინფორმაციის საშუალებანი განსაკუთრებით ხაზს უსვამენ, რომ თქვენ დიდი რიდით და პატივით გეხედებიან დიდი სახელმწიფოების მეთაურნი. სხვათა შორის, ამის შესახებ ბაგშვური, გულწრფელი აღტაცებით ხშირად თავად თქვენც გეუწყებთ ხოლმე. არ მინდა გული დაგწყვიტოთ, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ თქვენ რიდითა და პატივით გღებულობდნენ მაშინ, როცა უზარმაზარი ურჩხულის საგარეო საქმეთა მინისტრი ბრძანდებოდით. ახლა კი, უბრალოდ, არსებულ დიპლომატიურ ეთიკეტს იცავენ. ამას წინათ ტელევიზიით აჩვენებდნენ, თუ როგორ მიიღო ერთ-ერთი დიდი სახელმწიფოს მეთაურმა ჰაპუასების ბელადი კუკუშა, რომელიც ფეხშიშველა, წელს ქვემოთ ჭილოფჩამოფარებული, თავზე ფერად-ფერადი ბუმბულით დამშვენებული ისე ამაყად ვიდოდა, რომ განცვიფრების ღირსად არაფერი მიაჩნდა ირგვლივ. თქვე დალოცვილის შეილებო, თუ კუკუშას ასეთი პატივით იღებენ და ეს არავის უკვირს, თქვენ რაღამ აგაჭყლოპინათ?! ქართველი კუკუშა, სხვა თუ არაფერი, „ფირმა“ კოსტუმში მაინც არის გამოწყობილი!..

მესამეც. თურმე თქვენი წყალობა ყოფილა, რომ „ჰუმანიტარულ დახმარებას“ გვიწილადებენ და თანაც ხანდახან კრედიტსაც გამოგვიყოფენ ხოლმე. კი მაგრამ, შეგიძლიათ დამისახელოთ გაუბედურებული და გაღატაკებული ქვეყანა, რომელსაც ასევე არ ეხმარებიან?!

მეოთხეც. ასევე საკუთარ დამსახურებად მიგაჩნიათ უცხო ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარება, მაგრამ მაინც ტრიუმფალურ გამარჯვებად ჩაითვალეთ ის, რომ საქართველო გაერო-ში გააწევრიანეს. კვლავ მინდა პირადად თქვენ გკითხოთ, ამხანაგო ედუარდ, დამისახელეთ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან თუნდაც ერთი, ჩამორჩენილი რესპუბლიკა, რომელმაც მოისურვა გაერო-ს წევრობა და არ მიიღეს, ანდა ისეთი დამოუკიდებელი ქვეყანა, დიპლომატიური ურთიერთობა რომ არ ჰქონდეს დამყარებული უცხო ქვეყნებთან. ეს ყოველივე თქვენც და თქვენმა მეხოტბეებმაც ჩემზე უკეთ უწყით, მაგრამ რა უნდა ჰქნათ, „რამე-რუმეებით“ ხომ უნდა ინუგეშოთ თავი! აბა, ჰე, თქვენ იცით!

თუმცა არ ვიქნები ობიექტური, თუ არ აღვნიშნავ, რომ დასავლეთის რამდენიმე ქვეყანა, განსაკუთრებით კი რუსეთი,

მოწადინებულია შეგინარჩუნოთ ხელისუფლება და დაიცვან თქვენი რეჟიმი. ამისთვის ისინი ზოგჯერ ფარულ, ზოგჯერ კი აშკარა „მოწყალებასაც“ გაიღებენ ხოლმე. თუმცაღა ეს „მოწყალება“ ოდენ იმდენია, რაც თქვენი „რეჟიმის“ შენარჩუნებას გასწვდება მხოლოდ. მთელს ერს კი არაფერში ადგება, პირიქით, მისთვის არასასურველ ხელისუფლებას ძალად ახვევს თავს. აი, ამ შემთხვევაში კი „შევარდნაძის ფაქტორი“ ნამდვილად მუშაობს და იცით რატომ, ამხანაგო ედუარდ? იმიტომ, რომ თქვენ ბრძანდებით სხვათა ნება-სურვილის, სხვათა დაკვეთების უსიტყვო შემსრულებელი, თქვენ ყოველთვის სხვის წისქვილზე ასხამდით წყალს და არც როდის გიფიქრიათ საკუთარი ერის ინტერესებზე. თქვენისთანა შემსრულებელი კი ყველა ქვეყანას წაადგება, რომელსაც კი რაიმე პრეტენზია აქვს, თუ რაიმე ინტერესი აკავშირებს ჩვენს გაუბედურებულ ქვეყანასთან.

ასეთია მოკლედ თემიდას სასწორზე შეგდებული თქვენი ნაღვაწ-ნამოქმედარი ქართველი ერისა და ქვეყნის წინაშე. ახლა თავად მკითხველმა განსაჯოს ვინ ხართ თქვენ, საიდან მოხვედით და საით მიდიხართ!.. სიკეთის მთესველი ბრძანდებით, თუ ბოროტების. ქვეყნის აღმაშენებელი ხართ თუ დამანგრეველი. არც ის იქნებოდა ურიგო, თქვენც „მოგეხილათ“ თქვენი თავი, ჩაჰკვირვებოდით ამ სოფლის წაღმა-უკუღმა ბრუნვას და განგესაზღვრათ, რა უფრო ფასეულია – პირადი კეთილდღეობა და ძალაუფლებით ტკბობა, თუ ერისათვის უანგარო თავდადება. ამაზე მხოლოდ თავად თქვენ შეგიძლიათ გასცეთ საბოლოო პასუხი!

ჰო, მართლა, კინაღამ დამავიწყდა, თქვენს ერთ-ერთ დამსახურებად იმასაც მიიჩნევენ, რომ დიდად შეუწყეთ ხელი მართლაცდა საინტერესო ფილმის „მონანიების“ გადაღებას. ადამიანს ბედისწერა აწვალებს ხოლმე. მაშინ, ალბათ, არც კი გიფიქრიათ, რომ ეს ფილმი თქვენისთანა მოღვაწეებზე იყო გადაღებული. ვარლამის ტრაგიკული აღსასრულზე არასოდეს დაფიქრებულხართ, ამხანაგო ედუარდ? ხომ იცით, ქართული მიწა მოღალატეების მარადიულ სავანედ ვერ გამოდგება, იგი მხოლოდ თავის ღირსეულ და ერთგულ შვილებს იხუტებს.

1993 წელი

P. S. თქვენი „მართალი სიმართლის“ წყალობით შენერდა გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“ გამოცემა. მეც, დეენილმა და შეეიწროებულმა, სამეგრელოს შეეაფარე თაეი. სწორედ ამ მიზეზით წერილის გამოქეეყნება დამიგვიანდა. ამასობაში მრაეალმა წყალმა ჩაიარა და მრავალი საყურადღებო ამბავიც მოხდა. უპირეელეს ყოვლისა, უნდა გაეიხსენოთ არაკი თქვენი გადადგომისა. თქვენ საჯაროდ, საქვეყნოდ განაცხადეთ: გადავდგებიო. თანაც დასძინეთ, რომ მე ვაუკაცი ვარ და ჩემს გადაფურთხებულს აღარ აელოკაეო. ეს ყოველივე „პარლამენტის“ დილის სხდომაზე მოხდა. საღამოს კი თქვენთეის ჩვეული უნიჭობით დაიდგა სპექტაკლი, შემზარავი და თავზარდამცემი წარმოდგენა, რომელშიც რამდენიმე ასეული კაცი, ძირითადად ედპ-ს და მილიციის გადაცმული თანამშრომლები, ასრულებდნენ მთავარ როლს. და აი, სცენა, რომელმაც აბსურდის თეატრის რეჟისურა მომაგონა და სულის სიღრმემდე შემძრა: რამდენიმე ასეულმა კაცმა დაიჩოქა და ეედრებით მოგმართათ, დაბრუნებულიყავით ტახტზე. ამაზე შემზარავი პირადად მე არაფერი მინახავს. ბიბლიური ჟამიდან მოყოლებული მრავალგზის ცთუნდა ადამიანი: ხან ოქროს კერპს სცა თაყვანი, ხან – სატანას... მაგრამ ჯერაც არავის უნახავს და არ გაუგონია, რომ ცკ-ის მდივნისა და სუკ-ის გენერლის წინაშე მუხლი მოედრიკოს ხალხს. ამ ეროვნული სულის უკიდურესი დაცემის და უზნეობით დაბანგულ ტრაგედიაში აქა-იქ კომიკური სიტუაციებიც გამოკრთა: როცა თქვენ ამაყად განაცხადეთ, გადაფურთხებულს ვერ აელოკაეო, მუხლმოყრილი კაცუნები გეხვეწებოდნენ, ალოკე თორემ დავიღუპებითო. თქვენ ხათრი ვერ გაუტეხეთ და ალოკეთ, მერე კი ეს თქვენი საქციელი ასე გაამართლეთ: დაჩოქილი ხალხი როცა გეეედრება, უარს ვერ ეტყვიო. დიახ, ამხანაგო ედუარდ, თქვენ ალოკეთ თქვენივე გადაფურთხებული, რასაც არცერთი ვაუკაცი არ იკადრებდა, რასაც არავითარი მორალით და „კეთილშობილური“ ზრახვებით არ აქვს გამართლება, რამეთუ მაცხოვარმა ბრძანა: „რომელი შეექცა ნათხევარსა თვისსა და ღორმან ინწობა სანგორელსა თვისთა“.

ეპილოგი: დღეევანდელი მინაწერი: როგორც ცნაურდება, დასრულდა ე. შევარდნაძის „შემოქმედების“ „ამხანაგობის“ პერიოდი და იწყება ახალი, ჯერაც დაუფასებელი ხანა მისი მოღვა-

წეობისა. რასაც შეიძლება ვუწოდოთ „მოქალაქეობა“. აშკარაა, რომ მოქალაქე შევარდნაძე დაჯაბნის ამხანაგ შევარდნაძეს და ხელს ერს სანატრელი გაუხდება „დამოუკიდებლობის“ ის ნიშნებიც, ეორინცოვ-დაშკოვის დროინდელ საქართველოს რომ ჰქონდა.

წერილი ისედაც ერცელი გამომივიდა, მკითხველი გადავღალე. მაგრამ მაინც არ შემიძლია დღევანდელი გადასახედიდან თვალი არ გადავაველო და ორიოდე სიტყვით არ მოგახსენოთ ე. შევარდნაძის „მოქალაქეობის“ ხანის შესახებ. როგორც ვფიქრობდი, მოქალაქე ე. შევარდნაძემ უკან ჩამოიტოვა ამხანაგი ე. შევარდნაძე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, „დემოკრატის“ მანტიამოსხმულმა, მასონმა ე. შევარდნაძემ მიწაზე ორი ბეჯით დასცა და დაბრდღვნა გამობრძმედილი ბოლშევიკი ე. შევარდნაძე. მაგრამ ეს არ გახლავთ თვისობრივად განსხვავებული ორი „მე“-ს ბრძოლა, არამედ აბსოლუტურად იდენტური თვისება-ხასიათის სხვადასხვა განზომილებებში გარდატეხაა. თუმცა ეს არ არის ამჯერად მთავარი. მკითხველისთვის ის უფრო საინტერესოა, რომ ე. შევარდნაძის ეს გარეგნული მეტამორფოზა ერისა და ქვეყნისათვის დიდად საზიანო და დამღუპველი გამოდგა. ერთი სიტყვით, ინტერნაციონალისტი შევარდნაძე თუ შეფარვით მაინც უწევდა ანგარიშს ეროვნულ ინტერესებს, კოსმოპოლიტმა, მასონმა „შევიმ“ ყოველგვარი ნიღაბი ჩამოიგლიჯა და აშკარად გაილაშქრა ნაციონალური გრძნობებისა და, საერთოდ, ქართველობის წინააღმდეგ. სხვათა ნების უბადლო შემსრულებელი და მონური მორჩილებით გამორჩეული შევარდნაძე პირნათლად ასრულებს მსოფლიო არქიტექტორთა დავალებას, რათა საქართველო იქცეს გეოგრაფიულ არეალად, სადაც იცხოვრებენ მხოლოდ პატრიოტულ გრძნობადაკარგული და ეროვნულ ცნობიერებაწაშლილი მოქალაქე-მოსამსახურეები. თუ ადრე ასეთი ეჭვები მღრღნიდა და არ მასვენებდა, ახლა, როცა მისი ათწლიანი „მოღვაწეობის“ შედეგებს ვაანალიზებ, ჩემს სიმართლეში ისე ვარ დარწმუნებული, რომ თუნდ ათასი წარმართი ბრძენი ეცადოს ჩემს გადარწმუნებას, ვერა და ვერ გადამარწმუნებს. მართლაც ძნელია ირწმუნო ადამიანმა, თუ რის საფასურად შეიძლება სახელმწიფოს მეთაურმა თაეის საკუთარ ხალხსა და ერს ყელი გამოღადროს, ძალზე ძნელია, მაგრამ, აბა, სხვაგვარად რო-

გორ ავხსნათ დაქცევის ის შეუბრუნებელი პროცესი, რომელიც, ჩემი ღრმა რწმენით, წინასწარ დაგეგმილი და მართულია. ამავე დროს ვფიქრობ, რომ ამხანაგი თუ მოქალაქე შევარდნაძის, გნებავთ, საშინაო, გნებავთ, საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია მის პირად კეთილდღეობასა და სავარძლის შენარჩუნება-განმტკიცებაზე. მისი მოღვაწეობის პრინციპია – ოღონდ მე და ჩემი ახლობლები ვიყოთ კარგად და საქართველო და მთელი ქართველი ერი მეწყერსაც წაუღია.

თავად ბატონი ედუარდ-გიორგი და მისი აქა-იქ შემორჩენილი „ერთგულები", ცხადია, არ გაიზიარებენ ჩემს აზრს და ქოქოლას დამაყრიან, აქეთ დამამუნათებენ. მე გულით მწადია ისინი მართლები იყვნენ, მაგრამ, ჰაი-ჰაი, რომ „ეგრე არ არის თაყაო"...

და თუ ჩემი განსჯა მართებული არ არის, მაშინ კეთილი ინებოს მოქალაქე ე. შევარდნაძემ და ჩემს რამდენიმე კითხვას გასცეს პასუხი. მაშ, ასე:

1. მოქალაქე ედუარდ, რით შეიძლება გავამართლოთ ის ფაქტი, რომ თქვენ, მართალია, უშუალოდ არ მიგიღიათ სამხედრო გადატრიალებაში მონაწილეობა, მაგრამ იყავით ამ პუტჩის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი?! თქვენ, როგორც ხშირად იმკობთ თავს, შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსმა არ იცოდით, რა მოჰყვებოდა ამას.?! თქვენ, როგორც განსწაელულ ისტორიკოსს, არ გესმოდათ, რომ ეს იყო ახლადფეხადგმული ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ნგრევის საფუძველი?!

2. მოქალაქე ედუარდ, ასეთმა ჰუმანურმა და დემოკრატმა ადამიანმა, მთელი თქვენი ცხოვრება კალმოსნებს რომ ეთაყვანებოდით, როგორ შეუქეთ ინტელიგენციას იარაღის ხელში აღება? ამით ხომ თქვენ ძალადობას, იარაღის გამოყენებას და ტერორიზმს გაუხსენით გზა?! თქვენივე ხელდასხმით შეიქმნა უამრავი შეიარაღებული დაჯგუფებანი თუ საძმოები, რომელთა დაუნდობლობაც აზანზარებდა მთელ ჩვენს ქვეყანას. თქვენ, ბრძენმა პოლიტიკოსმა, არ იცოდით, რა მოჰყვებოდა ამას?!

3. მოქალაქე ედუარდ, დემოკრატიის ხელდაკაპიწებულო აღმშენებელო, ვის გაუგია მშვიდობიანი მანიფესტაციების დაუნდობელი დარბევით, მოქალაქეთა დაწიოკებით, ცემით, ძაღ-

ლების მისევით და, ბოლოს, დახვრეტით დემოკრატიის აშენება? ვის გაუკია ჭეშმარიტი მამულიშვილების, პატრიოტების შეპყრობით, ციხეში ჩაყრითა და მათი გაუგონარი წამებით სამართლებრივი სახელმწიფოს აშენება? ნუთუ თქვენ, ადამიანთა გულების დიდმა მესაიდუმლემ, არ იცოდით რა მოჰყვებოდა ამას?!

4. მოქალაქე ედუარდ, რატომ დაიწყეთ აფხაზეთში უაზრო ომი, რა გრჯიდათ? იქნებ მართლაც კიტოვანმა გაგაბრიყვათ?! თუ ასეა, მით უარესი თქვენთვის!.. ნუთუ თქვენ, დიდმა მხედართმთავარმა, ალექსანდრე მაკედონელს რომ გადარჩენ, არ იცოდით ვის ებრძოდა საქართველო და რატომ?

5. მოქალაქე ედუარდ, ამ ომის დროს რატომ მოაწერეთ ხელი ქვეყნისათვის ერთიმეორეზე დამღუპველ ხელშეკრულებებს? განა თქვენ, დიდმა გულთამხილავმა, არ იცოდით რა მოჰყვებოდა ამას? ეს ხომ ისეთი კაპიტულაცია იყო, რომ ბრიყვნიც მიხვდებოდნენ?!

6. მოქალაქე ედუარდ, რატომ დაანგრიეთ სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, რატომ გააჩანაგეთ ქართული ეროვნული ეკონომიკა?! განა არ იცოდით, რა მოჰყვებოდა ამას?!

7. მოქალაქე ედუარდ, რატომ ააყვავეთ კორუფცია, რატომ გიმშვენებთ გვერდს ამდენი კორუმპირებული პიროვნება? რატომ ლაღობენ ასე თქვენი ნათესავები? რას ფიქრობთ, საქართველო მხოლოდ თქვენი საბალახო ველი ხომ არ არის? რატომ არ ებრძვით კორუფციას? (მოჩვენებითი ბრძოლა არავის აინტერესებს). განა არ იცით, რა მოჰყვება ყოველივე ამას?

8. მოქალაქე ედუარდ, რატომ დატოვეთ უმუშევარი, სხვადასხვა მაქინაციებით რატომ გააკოტრეთ, გააღატაკეთ, დაამშიეთ და გაამათხოვრეთ საქართველოს მოსახლეობა? რატომ დაამცირეთ სულიერად და ზნეობრივად დააკნინეთ? თქვენ, სულიერების ასეთმა მცოდნემ, არ იცით, რა მოჰყვება ამას?!

9. თქვენ, მოქალაქე ედუარდ, რატომ არ იცავთ საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებს, მის ტერიტორიას, რატომ ანიავებთ მის მიწებს, მის მიწისქვეშა თუ მიწისზედა საგანძურს? რატომ ანგრევთ შეგნებულად მის მთლიანობას? ნუთუ არ იცით, რა მოჰყვება თქვენს ამგვარ „გულარხეინობას"?!

10. მოქალაქე ედუარდ, ათი წლის განმავლობაში თქვენ ვერ შესძელით საქართველოს სახელმწიფო აგეშენებინათ. თქვენ

საფუძველიც კი ვერ ჩაუყარეთ მის მშენებლობას, პირიქით, დააკარგვინეთ ყველა ის სახელმწიფო ატრიბუტი, ოდითგანვე რომ გააჩნდა მას.

თქვენ, მოქალაქე ედუარდ... მაგრამ სჯობს კითხვები აქ შეეწყვიტო, თორემ ამ სულისშემძვრელ კითხვებს დასასრული არ უჩანს...

პასუხს კი თქვენგან, მწამს, ვერ ველირსები, ამიტომ მევე გიპასუხებთ რამდენიმე სიტყვით:

თქვენ გსურდათ საქართველოს დანგრევა, – დაანგრიეთ კიდეც.

თქვენ გსურთ ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურება, – ანადგურებთ კიდეც (უამრავი ჭაბუკი ქართველის სისხლი თქვენს სინდისზეა, არ დაგავიწყდეთ!)

თქვენ გსურთ ქართველი ერის მოსპობა და ამოძირკვა, – ამას კი ვერასოდეს ველირსებით ვერც თქვენ და ვერც თქვენი შთამომავალნი!

უწყოდეთ ეს!

მცირე შეგონება: ამხანაგო-მოქალაქე ედუარდ, თქვენ კარგა ხანია 75 წელს გადააბიჯეთ, ამ ნგრევაში დიდი ფიზიკური და გონებრივი ენერგია გახარჯეთ, გადაიღალეთ, მეხსიერებაც გღალატობთ. აბა, სხვაგვარად როგორ აეხსნა, რომ თქვენ, სპეციალობით ისტორიკოსს, ის მოვლენები დაგავიწყდათ, რაც თქვენ თვალწინ ხდებოდა და ‘ენგრეთში დატრიალებული ტრაგედია რუმინეთში გადაიტანეთ და რუმინეთის დედაქალაქად ბუდაპეშტი გამოაცხადეთ... ეტყობა, მართლაც გადაიღალეთ. და, როგორც სარკაზმით უცხადებთ თქვენ თანამშრომელს (მაგალითად, ბაბილაშვილს) – ჩანს, გადაიღალე, დაისვენეო, ასეთივე მზრუნველობით მსურს მოგმართოთ:

– გადაიღალეთ, ბატ. ედუარდ, ძალზე გადაიღალეთ! დაისვენეთ და თქვენი ბედკრული სამშობლოც დაასვენეთ!

„კოლხური კოშკი“ თავის სიტყვას იტყვის

ქართველ ერს ღვთით კუთვნილი მიწა-წყლის გამო იშვიათად უცხოვრია დალხინებით. მეზობელი თუ შორეული მტრების გამუდმებული შემოსევები, რასაც ქვეყნის აოხრება და შინააშლილობა მოჰყვებოდა ხოლმე, მისი ისტორიული ბედის მუდმივად თანამდევ ნიშან-თვისებად იქცა. ალბათ, ამ ღვარცოფის განუწყვეტელმა ტრიალმა განაპირობა ის, რომ, ერთი მხრივ, იგი ფიზიკურად ნადგურდებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, სულიერად მტკიცდებოდა. სწორედ ამიტომაც მცირერიცხოვანმა ერმა სულიერი უდრეკელობის წყალობით გადაიტანა ათასგვარი ჭირ-ვარამი და დღემდე მოიტანა საკუთარი ეროვნული ცნობიერება. მან გაუძლო იმ წარღვნას, რამაც მასზე გაცილებით დიდი ერები აღგაეა პირისაგან მიწისა.

როცა იხსენებ საქართველოს წარსულს, განცვიფრება გიპყრობს, როგორ გადაურჩა იგი ბერძნების, რომაელების, არაბების, მონღოლების, სპარსელების, თურქების, რუსებისა და სხვათა შემოსევებს, რომელთა მიზანიც მხოლოდ ერთი იყო: მოესპოთ და გადაეგვარებინათ საერთოდ ქართველი კაცის ჯილაგი და სახსენებელი. ამ „საიდუმლოს“ სრულყოფილი ახსნა ღრმა ანალიზს მოითხოვს, რისი პრეტენზიაც ამჯერად არ გაგვაჩნია. ოღონდაც ერთს აღვნიშნავთ: ქართული სულიერი „წყობა“ ავლენს ერთ მნიშვნელოვან თვისებას (ბუნებრივია, ეს მხოლოდ ქართველთათვის არაა დამახასიათებელი) – რაც უფრო მეტად ძალმომრეობენ, მით უფრო მტკიცეა მისი წინააღმდეგობის უნარი; რაც უფრო დიდია ფიზიკური ზეწოლა, მით უფრო უდრეკია მისი რწმენა. ეს ყოველივე კარგად იცოდა მტერმა და შემოსევების დროს ციხე-კოშკებთან ერთად ეკლესია-მონასტრებს და სამრეკლოებს მუსრავდა. ცხადია, ციხე-კოშკების დანგრევით მათ სურდათ ერისთვის გამოეცალათ ფიზიკური და სამხედრო ძლიერების საძირკველი, ხოლო ეკლესიებისა და სამრეკლოების შემუსვრით – მისი სულიერება დაეთრგუნათ.

ასე იყო წარსულში, ასეა დღესაც... ოღონდაც დღეს მტერმა სახე იცვალა და ქვეყნის კოშკებმა და სამრეკლოებმაც სხვა შინაარსი შეიძინა. მაგრამ უცველელია საქართველოს მტრის მიზანსწრაფვა – საბოლოოდ მოსპოს და გადააგვაროს საქართველო და ქართველები!

როცა ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია თბილისის ერთ-ერთ მშვენიერ უბანში კოლხურ კოშკს აგებდა, ბუნებრივია, მას არ სურდა გამხდარიყო მფლობელი იმ ციხე-სიმაგრისა, რომელიც მოზღვავებულ მტერს მოიგერიებდა. მან კარგად უწყოდა, რომ XX საუკუნის პაჭანიკები უფრო მზაკერულად მოქმედებდნენ და თავაწყვეტილი ყიჟინით კი არ უტევდნენ ჩვენს სამშობლოს, არამედ გამაბრუებელი და მაცთური გველური სისინით ლამობდნენ ქართველის სულის სიღრმეში შეღწევას და მის დაშხამვას. ამიტომაც კოლხურ კოშკს სიმბოლური აზრით ტვირთავდა. მწერლის მოსაზრებით, ის იყო ხატი ქართული სულიერების, ეროვნული ნების სიმტკიცის, რწმენის გაუტეხელობისა და გენეტიკური გადაუგვარებლობის. სწორედ ამგვარად გაითავისა იგი ქართველმა ერმა, ვისთვისაც „კოლხური კოშკი“ ყოველთვის იყო და დარჩება ეროვნულობის, ჭეშმარიტი მამულიშვილობის და ამაღლებული ზნეობის სიმბოლოდ. ალბათ, ამიტომაც ასე გამეტებით, მალულად თუ პირდაპირ, უტევენ დღევანდელი სკვითები და მათი მიმდევარი გადაგვარებული ქართველები ამ წმიდათაწმიდა ადგილს. ახლა მახსენდება ტელევიზიით გადმოცემული ერთი შემზარავი ფარსი: აჩვენეს თითქოსდა ზუგდიდის სასტუმროში ჩამწვარი რამდენიმე ქართველი მებრძოლის გვამი. ბუნებრივია, ეს აქტი, როგორც მრავალი ტერორისტული ქმედება, ზვიადისტებს დაბრალდა. ეს კიდევ არაფერი. ტელევიზიით გამობრძანდა „სახელმწიფოს მეთაური“ და მისთვის ჩვეული მზაკვრობით გამოთქვა სამძიმარი დაღუპულთა გამო და მერმე დასძინა: ახლა მე გაბრაზებული ყმაწვილები როგორლა შეეაჩეროო! სწორედ ამ სამძიმარს მოჰყვა ის, რომ იმავე ღამეს რამდენიმე ზნედაცემული, უწიგნური, ჩლუნგი და გადაგვარებული ქართველი (იქნებ, ქართველები არც იყვნენ) შეესია ღამით „კოლხურ კოშკს“, წაბილწა და გადაწვა იგი. ალბათ, ამ უწიგნურებმა არ უწყოდნენ, თუ რას იქმოდნენ, დაბ-

რმაკებულებს და დაყრუებულებს არ გაეგებოდათ, რას უკიდებდნენ ცეცხლს. მაგრამ მან, ვინც ისინი წააქეზა ამ ბარბაროსობის ჩასადენად, კარგად იცოდა, რას ნიშნავდა ქართული სულიერი ცხოვრებისათვის „კოლხური კოშკის" გადაწვა და ვადაბუგვა. ეს კი იცოდა, მაგრამ ახლომხედველობის გამო ველარ იაზრებდა და ითვალისწინებდა, რომ იდეებისა და სიმბოლოების ფიზიკური განადგურება არ შეიძლება! სწორედ ამიტომაც, მიუხედავად ყველაფრისა, დღესაც „კოლხური კოშკი", აქა-იქ კედელმორღვეული, ჭერჩამონგრეული, მაინც ამაყად დგას და, მედიდურად მზირალი, კელავაც ქართველთა სულის უდრეკელობის სიმბოლოდ და ხატად გვეველინება. თუმცაღა, მისი ეს საძირკველმოუშლელობა ზოგიერთ ვაიქართველს გულს უკლავს, გონებას უმღვრევს და მას „გველების საბუდარს" უწოდებს. მაგრამ როდის ყოფილა სახატე წყეულთა წყეველით დაქცეულიყო?! ეერავითარი ძალმომრეობა, ვერანაირი გესლი და ვერაგობა ვერ ააცდენს ნამდვილ მამულიშვილებს ჭეშმარიტების გზიდან, ვერ აუბნევს გზა-კვალს და მათ ცნობიერებაში „კოლხური კოშკის" ადგილს მოსკოვის კრემლი ვერასოდეს დაიკავებს. ამიტომაც პატიოსანი ქართველნი ეროვნული ჭრილობის მოსაშუშებლად აშურებენ „კოლხურ კოშკს", ერთგვარ მოსალოც ადგილად რომ ქცეულა მათთვის, მხოლოდ სულგაყიდულნი იმზირებიან კრემლისაკენ, მისი კურანტების ეღარუნით ტკბებიან და ოცნებით რუსეთის უკიდეგანო ტრამალებში დაფარფატებენ.

დიახ, კრემლის კურანტების რეკვით დამტკბარ და გაბრუებულ დღევანდელ ნეობოლშევიკ ხელისუფალთ, რომელთა მოღვაწეობა საკუთარი ძალაუფლებისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლადაა ოდენ მიმართული, როგორც ირკვევა, ძალზე აღიზიანებდა და მშვიდ ძილს უფრთხობდა „საქართველოს სამრეკლოს" ზარების დარისხება, ამიტომაც მოიწადინეს „კოლხური კოშკის" გადაწვასთან ერთად მოესრათ მისი სამრეკლოც.

მკითხველი რომ არ დაიბნეს, მცირე ისტორიულ ექსკურსს უნდა მივმართოთ. ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე, ვიდრე „კოლხური კოშკის" აშენებას განიზრახავდა კონსტანტინე გამსახურდია, მან გადაწყვიტა გაზეთი „საქართველოს სამრეკლოს" დაფუძნება. ვის, ვის და მას კარგად ესმოდა, თუ რა დიდ

როლს ასრულებდა „სამრეკლო“ ქართველი ხალხისათვის. ყოველდღიურ წერილმანებში ჩაფლულ ხალხს ის ახსენებდა სულიერ მისიას, მოუხმობდა ლოცვისა და ამაღლებისაკენ. მოახლოებული ეროვნული უბედურებისა და საშიშროების ჟამს შემოკრავდა განგაშის ზარს და ქართველებს რაზმავდა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად და, დასასრულ, ზარის ყოველი შემოკვრა ყოველი ქართველისთვის იყო იმის შეხსენება, რომ ის ქართველია, ქრისტიანი, ზნეობრივად ამაღლებული ადამიანი და არა გადაგვარებული, წინაპარდაკარგული, გენდაკარგული, უზნეობაში ჩაფლული სულდგმული. ჩვენი აზრით, სწორედ ეს მისია დააკისრა დიდმა ქართველმა მწერალმა თავის გაზეთს „საქართველოს სამრეკლოს“, როცა მისი გამოცემა გადაწყვიტა 1923 წელს, მაგრამ, სამწუხაროდ, იმჟამად გაბატონებულ ანტიეროვნულ ატმოსფეროში მხოლოდ ერთი ნომრის გამოცემა მოახერხა და გაზეთი დახურეს ინტერნაციონალისტმა და სისხლიანმა ბოლშევიკებმა, რომლებმაც იმთავითვე დაყნოსეს ის დიდი საფრთხე, „სამრეკლო“ რომ უმზადებდა მათ ანტიქართულ მოძრაობას... გამოხდა ხანი და კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ აღადგინა გაზეთი „საქართველოს სამრეკლო“ (1992 წ.). ქვეყნად გამეფებული ატმოსფერო 1923 წლის მსგავსია, უარესიც: უფრო მეტად იმძლავრა ანტიეროვნულობამ, სახეშეცვლილი, „გადემოკრატებული“ ნეობოლშევიკები მზაკვრობის ახალ, „დემოკრატიულ“ მეთოდებს მიმართავენ, რათა საბოლოოდ ჩაკლან ქართული სული. ძალმომრეობა, ყაჩაღობა, უზნეობა, შიმშილი გაბატონდა ირგვლივ. ამას ერთვის უაზრო ომები, რასაც მოჰყვა უმშვენიერესი ქართული კუთხეების – აფხაზეთის და შიდა ქართლის დაკარგვა, ქართველთა გენოციდი (ათეულ ათასობით ქართველის სიკვდილი, ასიათასობით ქართველის საქართველოშივე უსახლკარობა და მათხოვრობა). ცხადია, ასეთ ვითარებაში, მაშინ, როცა ინფორმაციის საშუალებანი, მონობის ლაგამამოდებულნი, მორჩილად სდუმან, გაზეთ „საქართველოს სამრეკლოს“ თავისი წინამორბედი თანამოსახელის მსგავსად უნდა შემოეკრა განგაშის ზარი, რათა ქვეყნისათვის გაეხსენებინა ერთი თითქოს მარტივი ჭეშმარიტება, რომ საქართველო უპირველესად ქართველების ქვეყანაა, ხოლო ქართველი უნდა დარჩეს ქართველად. ამისათვის კი, უწინარეს ყოვ-

ლისა, სიმართლის თქმაა საჭირო. მაგრამ ვის უნდა დღეს სიმართლე?! მათ, ვინც თავისი ხელით დაამხეს ეროვნული სახელმწიფოს თავისუფლება და თავისივე ნებით დაიდგეს რუსეთის მონობის უღელი, თუ მათ, ვინც ავტომატის კაკანით ახშობენ ხალხის ნებას და „ბეტეერებით“ დასდევენ თავისუფლებისათვის აღმდგარ ხალხს; თუ მათ, ვისაც საკუთარი მუცლის ამოსაყორად კაცის კელა ქათმის კელად მიაჩნია; თუ მათ, ვინც ჩინ-მედლებსა და ხარისხებს ანაცვალა ერისა და ქვეყნის სიყვარული?! დიახ, სამწუხაროდ, ამგვარ გაცვეთილ კაცუნებს უპყრიათ დღეს ქვეყნის მართვის სადაოები და რა გასაკვირია, რომ მათ სისხლზე აღმოცენებულმა „დემოკრატიამ“ განიზრახა „საქართველოს სამრეკლოს“ დადუმება. აკი, დაადუმეს კიდეც, უსამართლოდ და უკანონოდ (დღეს სამართლის და კანონის ხსენება მხოლოდ ღიმილს იწვევს) დახურეს გაზეთი, ხოლო მისი მთავარი რედაქტორის დაპატიმრება განიზრახეს. ეს დევნა-შევიწროება დღესაც გრძელდება და, ალბათ, მანამდე გასტანს, ვიდრემდე სამართალი პურს არ შეჭამს და სიკეთე გამარჯვებას არ იზეიმებს...

საერთოდ, ქართველი კაცი ოპტიმისტია. მან გამოცდილებით იცის, რომ დიდ და ბნელ ღამეებს მზის ნათება მოჰყვება ხოლმე, ხოლო ვიდრე გათენდებოდეს, ცისკრის ვარსკვლავი აკიაფდება, რომელიც აისის დადგომას გვაუწყებს.

გადაწვეს „კოლხური კოშკი“, თაღი ჩამოუქციეს, სამრეკლო შეუმუსრეს, მაგრამ საძირკველს ვერაფერი დააკლეს, რადგანაც იგი ნაშენი იყო ქართული სულიერებით, ზნეობრივი სიფაქიზით და ეროვნული მრწამსით, რომელიც ასაზრდოებდა და დღესაც ასაზრდოებს ჭეშმარიტ მამულიშვილებს. სწორედ ამ სულიერებას უნდა ვუმადლოდეთ, რომ დღესაც ისმის ნაღდი ქართული სიტყვა, ისმის ნამდვილი ქართული სიმღერა, ხორციელდება მამულიშვილური ჩანაფიქრი... ისიც მტკიცედ გვწამს, რომ მომავალშიც ერისათვის მრავალი საკეთილდღეო აზრი და იდეა ამოიფრქვევა ამ ეროვნული სულის სავანედან. ამის უტყუარი დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ შემუსრული „საქართველოს სამრეკლოს“ კვალდაკვალ გამოდის კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების რეგიონული განყოფილების გაზეთი „კოლხური კოშკი“, რომლის სათაურიც თავისთავად მრავლისმეტყველია.

ცხადია, იგი მთლიანად იმ სელის,ეეთებით იქნება გაკეთილი, „კოლხურ კოშკს“ რომ ეგების. ნეენი უმთავრესი ამოცანა დღესდღეობით მაინც ის უნდა იყოს, რომ როგორმე შეება მოეგვარით ბედკრულ საქართველოს და ქართველ ხალხს. ერის სატკივარი კი იმდენია, რომ გახსენება და ჩამოთვლაც გაგვიჭირდება. თითქმის არ არის არცერთი სფერო ნეენი ქვეყნის სულიერი თუ პოლიტიკური ცხოვრებისა, იმედის მბჟუტავი სხივითაც რომ გვავსებდეს და გვანეგეშებდეს: უმძიმესი ეკონომიკური პირობები, გაღატაკების ზღვარს გადაბიჯებული მოსახლეობა, რომელიც შიმშილობს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ამაყი ქართველი ხალხის ერთი ნაწილი მათხოვრობს, ნაწილს კუჭი უხმება, მაგრამ სამათხოვროდ ხელი არ გაუშვერია, ნაწილი დღემდე შემორჩენილი რაღაც სარჩო-საბადელით არსებობს და მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი (დაახლოებით ხუთი პროცენტი) არაკეთილსინდისიერი გზით, ქორვაჭრობით, მევახშეობით, ყაჩაღობით, ძარცვით, ძალმომრეობით მდიდრდება და ნეტარად ცხოერობს. ქვეყნად არ არსებობს არავითარი სამართალი, კანონი არ კანონობს, ამიტომაც კაცის მკვლელს მინისტრად ნიშნავენ, ხოლო წესიერ, პატიოსან მამულიშვილს ციხეში სვამენ. სახელმწიფოს სტრუქტურის უმაღლეს ეშელონებში მოკალათებულა მაფია, რომელიც მთლიანად წარმართავს ქვეყნის ბედს. ამის გამოცაა, ალბათ, რომ საქართველოსთან საქმიანი ურთიერთობა არ სურს არცერთ ნორმალურ ქვეყანას. მხოლოდ მათხოვრებივით გადმოგვიგდებენ ჰუმანიტარულ დახმარებას, რომელსაც ქვეყნის „ბოსები“ უმალ იჯიბავენ და გაჭირვებულ ხალხს კი თვალის ასახვევად ნასუფრალს უწილადებენ.

უაღრესად დიდმა ეკონომიკურმა გაჭირვებამ სულიერად დასცა და დააკნინა ქართველი ხალხის ერთი ნაწილი: გათითოკაცება, მხოლოდ საკუთარ ორღობესა და მუცელზე ზრუნვა, მამულის არად ჩაგდება და აბუჩად აგდება დღევანდელობის ერთ-ერთ ნიშანდობლივ მოვლენად იქცა. ახლა იმასაც თუ გაეითვალისწინებთ, რომ დღეს სახელმწიფოს „თავკაცები“ მიზანდასახულად ლამობენ ყოველგვარი ეროვნულობის დამცირებას, ეროვნული იდეის გამასხარაევებას და ბოლშევიკური ინტერნაციონალური გრძნობებისა და კოსმოპოლიტური აზროვნების წინ წამოწევას. რასაც ბეჯითად ემსახურება ინ-

ფორმაციისა და პრესის საშუალებები: საერთაშორისო გაზეთები და განსაკუთრებით რადიო-ტელევიზიის ყველა არხი, მაშინ გასაგები გახდება – რა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა დღეს ქართველი.

ახლა გავითვალისწინოთ ისიც, რომ დღეს საქართველოს განაგებს ერთი კაცი, რომლისთვისაც არც ე. წ. პარლამენტი არსებობს, არც კანონი და არც ქართველი ხალხის აზრი და ნება. ის თავისი სურვილით, როგორც მოეპრიანება, ისე ჭრის და კერავს, როგორც ამას კარნახობს საქართველოს „კეთილი" მეზობელი დიდი რუსი დათვი (ყოველ შემთხვევაში, მან ერთ-ერთ ინტერვიუში თავადვე განაცხადა, რომ მისი მოქმედება და თანამდებობაზე ყოფნა-არყოფნა ელცინის ნება-სურვილზე დიდად არის დამოკიდებული). ამასთანავე, ისიც ვიფიქროთ, რომ ამ „თავკაცს" ყველაზე მეტად უღირს სავარძელი. ეს ყოველივე გავითვალისწინოთ და ადვილი გასაგები გახდება, თუ რატომ დავთმეთ უკვე მოგებული სამაჩაბლო, რატომ დავმარცხდით ასე სამარცხვინოდ აფხაზეთში, რატომ ვაქციეთ სამასი ათასი ქართველი ლტოლვილად და რატომ გრძელდება დღეს ქართველთა გენოციდი!..

ის დიდი უბედურება, რაც დღეს საქართველოს ამ „დემოკრატი" მოქალაქის წყალობით დაატყდა, ენით და კალმით აუწერელია და ჯანსაღი გონებისათვის წარმოუდგენელი. მაგრამ, როგორც ჩანს, კიდევ უფრო დიდი უბედურება აწი გველის. მოსალოდნელია საქართველოს სრული კატასტროფა!.. ასე რომ, მამულის გადარჩენა უნდა გაეიხადოთ უმთავრეს მიზნად ყველამ, ვისაც კი ძარღვებში შემოგვრჩა სისხლი შოთასი, ილიასი, ვაჟასი, აკაკისი... უნდა ვიღვაწოთ ქართველობის შესანარჩუნებლად, დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მონობის უღლის გადასაგდებად. დროა განვაცხადოთ: ვისაც სკვითების მონობა სურს, ნება მისია, ჩვენ არ ვაკავებთ, ემონოს თავის „უფროს ძმას", ოღონდ საქართველოს და მათ, ვისაც მონობაში სიცოცხლეს თავისუფლებისათვის სიკვდილი ურჩევნია, თავი გაანებონ, ნუ უწამლავენ სულს, ნუ თელავენ მათ პატივმოყვარეობას, ნუ უგინებენ მამულს!.. დიახ, ეს არ არის პათეტიკური შეძახილი, ეს არის რეალობა. დღეს სრულიად საქართველოს მოსახლეობა ორადაა გაყოფილი: ჯანსაღ. სულიერად ამაღლებულ ქართველობას, რომელიც, მად-

ლობა ღმერთს, უმრავლესობას წარმოადგენს, სერს ქართველად დარჩენა და ქართველად სიკვდილი; ხოლო მცირე ნაწილს, რუსთა მიერ ცთუნებით აღმართულ კარიერის ხეზე აბობღებელს, ანდა აბობღვის მოსურნეს, არად ენაღველება მამული, სარწმუნოება, მშობლიური ენა და მზად არის თავის პირად კეთილდღეობას საკუთარი შვილიც კი (მამულზე არას ვამბობ) ანაცვალოს.

ასეთ მძიმე ვითარებაში, როცა ასტრონომიული აღმოჩენის შედეგად მზე ჩრდილოეთიდან ამოდის, როცა მოყვარე მტრად ცხადდება, მტერი კი მოყვარედ, როცა ჭეშმარიტი მამულიშვილი იდევნება და ვიგინდარა აღზევებულია, როცა ეროვნული სულის ჩაქოლვა სურთ, ხოლო ეროვნული მოძრაობა „პროვინციულ ფაშიზმად" (Sic!) ცხადდება, ბუნებრივია, ჩვენი გაზეთის მთავარი მიზანია საქართველოსა და ქართველების გადარჩენა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. ის თავდაუზოგავად იბრძოლებს ეროვნული ცნობიერების შესანარჩუნებლად, ჭეშმარიტი ეროვნული სახელმწიფოს აღსაშენებლად და ნამდვილი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად; ქართული ტრადიციების და ოდითგანვე არსებული მაღალი ზნეობის დასამკვიდრებლად; ქრისტიანული რწმენის გასავრცელებლად და ქართულ ეკლესიაში მომრავლებულ ფარისეველ-მზაკვართა გასაძევებლად.

ჩვენი ბრძოლის პრინციპი ერთია: სიმართლის თქმა, ობიექტურობა და მხილება. გვწამს, ერთობ მძიმე საქმეს ვეჭიდებით, მაგრამ დღეს უკვე ტკბილი და ცრუ მასლაათი, რაც ადუნებს და აჩლუნგებს ისედაც მიძინებულ ეროვნულ შეგნებას, ქვეყნის ღალატის ტოლფასია. არადა ჩვენი გაზეთები (იშვიათი გამონაკლისის გარდა), რადიო და ტელევიზია სწორედ ამ გზას ადგას და შემპარავი შარბათით სურს მოწამლოს ყოველიე და ყველფერი, რაც ეროვნულ ფესვებზეა აღმოცენებული. ჩვენ ისიც კარგად გვესმის, რომ დღეს, ბოლშევიკური „დემოკრატიის" გაფურჩქვნის ჟამს, საშიროება გველის. არ გამოვრიცხავთ, რომ სულ მალე „საქართველოს სამრეკლოს" მსგავსად „კოლხური კოშკიც" შემუსრონ და დახურონ. მაგრამ ჩვენ ეს არ გვაშინებს, რადგანაც ღრმად გვწამს, ვიდრე საქართველო არსებობს, ეროვნული ცნობიერებაც იარსებებს, ხოლო სანამ ეს უკანასკნელი იარსებებს, აღიზრდებიან ჭეშ-

ძარიცი მაძულიშვილნი, რომელნიც გულის ძირში გააღეიეებს ეროვნული თავისთავადობის იდეას და უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანენ მას. ეროვნული თავისთავადობის იდეა უკვდავია. მას ყამთა სელა და ბორიოტი ბედისწერა ვერაფერს დააკლებს. ის ვერც მონღოლთა ცხენის ფლოქვებმა გათელეს და მას ვერც რუსის ხელმა გადათელავს. უწყოდეს ეს ყველამ! ამიტომაც, როგორც არ უნდა ეცადონ და აკრძალონ ეროვნული გაზეთები, მათ სანაცვლოდ გაზაფხულის მომასწავებელი ესძელებივით აღმოცენდებიანი ახლები.

ასე რომ, ამაოდ ნუ გაირჯებით, ბატონებო!..

1994 წელი

ესე ამბავი შევარდნაძის გადადგომისა ანუ „ტუტუ, გამოეთხოვეთ...“

„დიდი პოლიტიკოსის“ პოლიტიკური თვალთმაქცობის ამიუწურავმა არსენალმა შეუძლებელია არ განაცვიფროს ადამიანი. რა, რა და, ვერ წაართმევ, რომ უტყუარი ალღოთი და ცხოველისთვის დამახასიათებელი შეუმცდარი ინსტინქტით გრძნობს საშიშროების ან უბედურების მოახლოებას და უმალ მიმართავს პოლიტიკურ ავანტიურას... გაითამაშებს უნიჭოდ დადგმულ ფარსს, რომლის სიყალბე იმთავითვე შესაცნობია ოდნავ გათვითცნობიერებული ადამიანისთვის. თუმცა მას ეს არ ადარდებს, მისთვის მთავარია, ფართო მასებს გონება აუბნიოს და საზოგადოების ყურადღება გადაიტანოს სასურველ მოვლენებზე. ასე დაიდგა მისი რეჟისორობით უამრავი ფარსი – დაწყებული 24 ივნისის „გადატრიალებით“ და დამთავრებული გორის ტრაგედიით. ახლა ამაზე აღარ შევჩერდებით, რადგან ეს დადგმები და მათი შედეგები ყველასთვის ცნობილია. დაკვირვებული კაცი ერთ კანონზომიერებასაც აღმოაჩენს: შემოდგომობით, კერძოდ სექტემბერში, მას, ისე ვითარცა კლიმაქსმორეულ კაცს უჩნდება სურვილი აივნიდან გადმოვარდნისა, აღეძრება ჟინი მეთაურის სავარძლიდან გადმოხტომისა. მაგრამ უფრო ღრმად თუ ჩავუკვირდებით მოვლენების არსს, აღმოჩნდება, რომ აქ უბრალო ახირებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ შორსგამიზნულ მზაკვრულ ზრახვასთან...

ყველას კარგად ახსოვს გასული წლის 14 სექტემბერს რაოდენ შემზარავი და საქართველოს ისტორიის სამარცხვინო ფურცელი დაიწერა: ქართველთა ერთი უმდაბლესი ნაწილი თბილისის ჭუჭყიან ქვაფენილზე დაჩოქილი როგორ ევედრებოდა სუკის გენერალს – ნუ დაღუპავ საქართველოს, არ გადადგე და შენს გადაფურთხებულს ჩვენ აელოკავთო. ვინ დადგა და როგორ დაიდგა ეს სპექტაკლი და მასში ვინც მონაწილეობდა, დღეს კარგად არის ცნობილი, მაგრამ ბევრს არა აქვს გაცნობიერებული, რატომ დაიდგა 14 სექტემბერს ეს ფარსი.

ამბავის ხაზ არა, რომ 27 სექტემბერს სოხუმის დაცემა და იქიდან სამარცხვინო გამოქცევა იოლად ეპატიებინა ხალხს „მოავარსარდლისათვის"?! ასეა თუ ისე, ამგვარი ვარაუდი დღევანდელი გადასახედიდან მთლად არ უხდა იყოს საფუძველს მოკლებული...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ნიშანდობლივია, რომ სწორედ სოხუმის დაცემის წლისთავზე, 27 სექტემბერს, დაიდგა ისეთივე ფარსი იმავე პერსონაჟების მონაწილეობით, მაგრამ შედარებით უღიმღამო და ნაკლებ შთამბეჭდავი აღმოჩნდა ის. ალბათ, აღარც მის რეჟისორს ჰყოფნის შესაძლებლობა და ნიჭი და აღარც მსახიობებს გააჩნდათ თვითდაჯერება. თუმც კი გაცილებით მეტი მონდომებით თამაშობდნენ როლებს. თუ რატომ დაიდგა ეს სპექტაკლი, ამის შესახებ ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი გავიხსენოთ ზოგიერთი დეტალი იმ ტრაგი-კომიკური სურათებიდან, რომლებიც ჩვენ თვალწინ გათამაშდა.

27 სექტემბერს, როგორც მოსალოდნელი იყო, „პარლამენტის ოპოზიციამ" ე. შევარდნაძეს შეუტია. ეს არ გახლდათ რაიმე უჩვეულო გალაშქრება მის წინააღმდეგ, არც ის იყო მძიმე მოსასმენი, რაც მას უთხრეს. უფრო ადრე, არც თუ იშვიათად, უარესიც აუტანია. მით უმეტეს, გასაკვირი იყო მისი რეაქცია სამართლიანი ბრალდებების გამო, რომლებიც მას კარგა ხანია გადახარშული და გაცნობიერებულიც აქვს. მაგრამ იმ დღეს „მეთაური" განსაკუთრებით ნერვებმოუთოკავი იყო და აგრესიულიც. მან თითქოს ძალად გაიბრაზა თავი, დაუნდობლად შეუტია ე. წ. ოპოზიციას, შეახსენა, დამადლებულ ლუკმას ძაღლიც არ ჭამსო და დასძინა, თუ ვაჟკაცები ხართ, ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვიტეთ და გადამაყენეთ, მე კი ამისთვის მუხლმოდრეკილი ათას მადლობას გუტყვითო...

ასე თუ ისე, ის „პარლამენტის" სხდომის მეორე ნაწილს არ დასწრებია. როგორც თავად ბრძანებს, „სულიერი მდგომარეობისა" გამო. ერის ბედზე ღრმად მოფიქრალი „მამის" სულიერი უანწყობა მთლად დაამძიმა თ. ჟორჟოლიანმა, რომელმაც ჩამოთვალა ე. შევარდნაძის „დამსახურებანი" ქვეყნის წინაშე და პარტიის სახელით მოითხოვა მისი თანამდებობიდან გადაყენება. მიუხედავად იმისა, რომ ამ განცხადებაში შეურაცხმყოფე-

ლი არაფერი იყო, „დიდმა დემოკრატმა“ ეს დოკუმენტი რატომ-ღაც პირად შეურაცხყოფად აღიქვა და „პარლამენტს“ გაუგ-ზავნა ლირიზმით გაჟღენთილი წერილი, რომელშიც გაუთავებ-ელ შეურაცხყოფათა გამო საკუთარი ყოფა აუტანლად დახატ-ა და გადაუდებლად მიიჩნია ერთხელ და სამუდამოდ გარკვე-ულიყო – დარჩებოდა თუ არა იგი თავის პოსტზე.

ერთი სიტყვით, როგორც კი მისი წერილი, რომელიც, რო-გორც შემდგომ გაირკვა, ლირიზმის გარდა ერთგვარ შიფ-როგრამასაც შეიცავდა, „ვიცე-სპიკერმა“ წაიკითხა. დატრიალ-და, მაგრამ რა დატრიალდა! ისეთი წიოკი ატყდა, რომ დედა შვილს ვერ აიყვანდა ხელში. თუმცაღა, ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც „პარლამენტის“ ქალთა დასს საკუთარ შვილებზე მეტად მეორედ მონათლული გიორგის ბედი აწუხებთ. ამიტო-მაც აწიოკდნენ და თანაც როგორ! უპირველესად თავი გამო-ინინეს მაესტროს დუდუკზე „სამაიას“ მოცეკვავე უმანკო მან-დილოსნებმა: ღირსეული მამის ღირსეულმა შვილმა და ღირ-სეული ქალიშვილების ღირსეულმა დედამ ლანა ღოღობერი-ძემ, რომელსაც აკადემიური ტონით სურდა დამსწრე საზოგა-დოება დაერწმუნებინა ამ მოთხოვნის აბსურდულობაში. მერ-მე მას ხმა შეუწყო „სახელმწიფო მეთაურის“ სიყვარულით, ერთგულებითა და სხვა რამითაც სახელგანთქმულმა ნესტან კირთაძემ, „მესტპრომ“-ის წარმოებულ დასაქოქ თოჯინას რომ გვაგონებს ფრიად, და, როგორც სჩვევია, მაღალფარდოვანი, უაზრო ფრაზებით შეეცადა პატრონის გამოსარჩლებას. დაბო-ლოს, ქალთა გამოსვლა დააგვირგვინა მ. გიგინეიშვილმა, რო-მელსაც, სხვათა შორის, სომხიშვილობა უფრო დაამშვენებდა გვარად. ის ისეთი სატანური ბოროტებით აბრიალებდა თვა-ლებს და წვრილი ხმით ისე გაჰკიოდა ისტერიულად, რომ ბეწვზე ვართ გადარჩენილები: ადვილი შესაძლებელი იყო ყელ-ზე დაბერილი ძარღვები დასკდომოდა და დიდი უბედურების მომსწრე გავმხდარიყავით. სხვათა შორის, მან თავისი ჭყვი-ტინით, რომლის ტემბრი მის ქალურ მონაცემებს არ შეეფერე-ბა (ბუნებას იგი ალბათ უფრო ბოხი ხმით უნდა დაეჯილდო-ვებინა), დააფრთხო „ოპოზიცია“ და თქვეს წარმოიდგინეთ, ისეთი მებრძოლი და სამხედრო გადატრიალებებში გამობ-რძმედილი პიროვნებანი, როგორებიც არიან თ. სიგუა და ლ. შაკიაშვილიც კი...

ქალებს არც მამაკაცებმა დაუდეს ტოლი. ჯერ გამობრძანდა „ქალჯეთის ციხის“ აღებით თავმომწონე და ამაყი სამი რაინდი – სამი ძმობილი: ჭ. ამირეჯიბი, ვინც ამ ბოლო დროს თავისი აბსურდული გამოსვლებით სულ უფრო მეტად გვარწმუნებს, რომ „დათა თუთაშხია“ გულდასმით არც კი წაუკითხავს; ჯ. ჩარკვიანი, რომელიც სხვადასხვა ფერის ძვირადღირებულ კოსტუმებს ხშირ-ხშირად იცვლის და აქეთ-იქით თვალების საეჭვო ცეცებით გამოირჩევა; და რომან მიმინოშვილი, ეთიკის კომისიის უეთიკო თავმჯდომარე, მწერლებში რომ „უნიჭო რომანის“ სახელითაა ცნობილი. ამ „ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის“ გამოსვლა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყალბი პათეტიკით გამოირჩეოდა. ჭ. ამირეჯიბმა სასოწარკვეთით შეჰყვირა, თუ არა შევარდნაძემ, მაშ, ვინ უნდა მართოს ქვეყანა, მე და ნ. ნათაძემ ხომ არაო?! ჩვენი აზრით, მართლა მძიმე შემთხვევასთან გვექნება საქმე ჭ. ამირეჯიბი რომ ვიხილოთ ქვეყნის სათავეში. მაგრამ გვსურს დავამშვიდოთ იგი – რაც ე. შევარდნაძემ მოიმოქმედა, უარესს ვერასგზით, რაც უნდა „ხელები დაიკაპიწოს“, ვერ მოიმოქმედებს. ასე რომ, მას შეუძლია თამამად ინატროს სახ. მეთაურის სავარძელი. როგორც ყოველთვის, ამორალური იყო ეთიკის კომისიის უეთიკო თავმჯდომარის პოზიცია: მე ი. წერეთლის და თ. ჟორჟოლიანის დაჭერას მხარი არ დავუჭირეო, მაგრამ ახლა სხვაგვარად ეფიქრობ და თავიდან მოვითხოვ კენჭისყრასო. ე. ი. მარტივად რომ ვთქვათ, აკრძალული ილეთებით დააშინა ოპონენტები... მაგრამ სხდომის მსვლელობიდან ირკვეოდა, რომ „სამეულმა“ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ამიტომაც მას უმალ მხარი აუბეს აწ „სახელმოხვეჭილმა“ ა. კობაიძემ, რომელიც კახეთში მოშენებული სახედრის სიჯიუტით გამოირჩევა, და თავისი პატრონის ერთგულება რომ დაამტკიცოს, ტყავიდან ძვრება; ცხრა მთავრობასა და ცხრა პარტიაში ვერშელწეულმა და ახლა მოქალაქეთა თუ მოღალატეთა კავშირში შემძვრალმა, სიზმრად თუ ცხადად მხოლოდ კარიერის კიბეები რომ ეზმანება გ. ჟორჟოლიანმა და ორმა ახლად გამოჩეკილმა ნეოკომკავშირელმა, ვინმე გ. ბარამიძემ და ლ. მამალაძემ. ყველაფრიდან ჩანს, რომ, თუ დროზე არ მოხერხდა ამ ორი „ყვინჩილას“ პოლიტიკური დასაქერისება, რაშიც უთუოდ უნდა დაგვეხმაროს ამ საქმეში ხელგაწაფული მაოი სულიერი მოძღ-

ვარი ს. ეფანია, დიდი საშიშროება ემუქრება საქართველოს მოძალეალს, რადგანაც აშკარად სტალინ-ორჯონიკიძე-შევარდნაძის უკვე გამოყენებულ ჯიშთან გვაქვს საქმე!..

მიუხედავად მორჩილი და ერთგული უმრავლესობის სიმრავლის და მონდომებისა, მათ დამაჯერებელი და სარწმუნო ვერაფერი თქვეს, ზოგადი მყვირალა ფრაზებით შემოიფარგლნენ და ვერარა დაუპირისპირეს „ოპოზიციონერთა“ (ი. ხაინდრავა, თ. სიგუა, თ. ჩხეიძე და სხვ.) არგუმენტირებულ და ლოგიკურ გამოსვლებს. ერთი სიტყვით, პირველ რაუნდში, შეიძლება ითქვას, რომ მორჩილმა უმრავლესობამ მწარე მარცხი განიცადა, მაგრამ ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო და ამოძრავდა მთელი სახელმწიფო მექანიზმი: საქმეში ჩაერთო, ვიტყოდით, ქართველთა ფსიქიკის დამანგრეველი რადიო-ტელევიზია: უმალ მოიწვიეს ბოლშევიკურ-სოფისტური სკოლის უთვალსაჩინოესი, ოღონდაც უნიჭო წარმომადგენელი გ. ლორთქიფანიძე, გამოიყვანეს ჯ. იოსელიანი, რომელმაც საზოგადოება დააშინა, თუ შევარდნაძე გადადგება, დიქტატურა დაიწყება და ამ დიქტატურაში მონაწილეობას მიეიღებო (თითქოს აქამდე დიქტატურა არ ბატონობდეს და თავადვე არ მონაწილეობდეს!). მოიხმეს ასლან აბაშიძის ავტორიტეტი. ამასთან დაკავშირებით გაგვახსენდა იმერეთში გაგონილი, თურმე ჭეშმარიტების მაუწყებელი პოეტური პწკარი: „სად შევარდნაძის იმიჯი, სად ასლან იბრაჰიმიჩის“-ო.

არ დაავიწყდათ ყველაზე ანტიეროვნული და ანტიდემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის გ. ჭანტურიას განცხადების წაკითხვაც. ელვის სისწრაფით აკრიახდა „ელიტური“ თუ, როგორც უწოდებენ, „ბნელიტური“ ინტელიგენცია, შეხვდა საკუთარ კერპს და შეუტია, არ გაბედო გადადგომა, თორემო... განსაკუთრებით აქტიურობდნენ და მუშტის მოღერებით ემუქრებოდნენ ისეთი ნაზი, ჰაეროვანი და უმწიკველო ქალბატონები, როგორებიც არიან სოფიკო ჭიაურელი, იზა ორჯონიკიძე და მისთ. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე ტელევიზიით იმ დღესვე გადაიცა.

როგორც ჩანს, იფიქრეს, რომ მხოლოდ იდეოლოგიური დამუშავება არ იყო საკმარისი და ფიზიკურ ზეწოლასაც მიმართეს. მეორე დღეს „იმედის“ წინ თაეი მოიყარეს „კარენიი“ თბილისელებმა, უფრო მისმა წერილბერეკეაზიულმა წარმო-

მადაკილებმა: მეხინკლეებმა, ლუდხანების მეპატრონეებმა და მოქალაქეთა კავშირის სხვა რსეულებმა, რომელთაც გასულ სექტემბერს „მუხლური“ უკვე ნაცემი ქონდათ, და აგრეთვე მატარებლის ქალებმა, წინა დღეებში „თეთრმანდილოსნებად“ რომ მოინათლეს თავი (მადლობა ღმერთს, თეთრ გედებად არ მოგვეელინენ). ჭუჭყიდან ამოტივტივებულმა ამ ნაღებმა ისე შეუტია იქ მისულ „ოპოზიციონერებს“, რომ ავღანეთში გამოწრთობილი სადესანტო ნაწილი გეგონებოდათ; მათ ლამის ნაქოლეს თ. ხეიძე და სასიკვდილოდაც გაიმეტეს იგი. როგორც დამსწრენი ამბობენ, ვერაფრით ვერ დაამშვიდეს ორი „თეთრმანდილოსანი“ გ. გაბუნია და ლ. ბადურაშვილი. მათ სავსებით დაივიწყეს, რომ ორიოდე დღის წინ მშვიდობის მტრედებივით „ღუღუნებდნენ“, ერთობის, სიყვარულის მანდილს აფრიალებდნენ და ფრჩხილებით თუ კლანჭებით დაკორტნა მოისურვეს ძლივს მოლასლასე თამარ ხეიძისა... ისე, არც ი. წერეთელს უშველა საკუთარმა ვეება სხეულმა და ძლივს დააღწია ცოცხლად თავი აბობოქრებულ ბრბოს...

ის, რაც „იმელის“ წინ ხდებოდა, სტიქიური არ იყო და, რაც უფრო სამწუხაროა, „ხელისუფალთა“ მიერ იყო დაგეგმილი. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ მას შემდეგ, რაც შევარდნაძის მომხრეებმა თავი მოიყარეს შენობის წინ, გზები ავტობუსებით გადაიხერგა და მეტროს მოძრაობაც შეაჩერეს... ალბათ შეეშინდათ, მოწინააღმდეგეებსაც არ ესარგებლათ და იქ არ მისულიყვნენ... ამას მოწმობს ის, რომ იქვე მრავლად მყოფ პოლიციელებს ხელიც არ გაუნძრევიათ, რათა აელაგმათ ეს აღვირახსნილობა და უმსგავსოება. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ მეორე დღეს „იმელის“ შენობაში მიპატიჟებულმა „მთაწმინდელებმა“ ფიზიკურად შეურაცხყვეს ფ. საყვარელიძე და გ. მეტრეველი. განა ამაზე მეტი თავხედობა შეიძლება?! და საერთოდ, ჩვენ გვინდა ვიკითხოთ – რა არის ეს, თუ არა სახელმწიფო ტერორი, უზნეო, არასამართლებრივი ზეწოლა?! და კიდევ ერთი, ყოველივე ამის შემდგომ განა მართლაც გასაოცარი არ არის, რომ ე. შევარდნაძეს უკვირს და აღიზიანებს მოთხოვნა „გადაყენებისა“?!

ასეა თუ ისე, ხომ გაგიკონიათ, ძალა აღმართს ხნავსო და მესამე დღეს „პარლამენტის“ დარბაზი იმ დალეწილ ყანას ჰგავდა, ძლიერმა ქარიშხალმა რომ გადაუარა; აქა-იქღა იყო

შემორჩენილი „ოპოზიციონერთა უდრეკი“ თაეები, რომლებიც შეშინებულები, მორცხვად იმზირებოდნენ. სამაგიეროდ, აიწყვიტა მორჩილმა, ამ შემთხვევაში, აგრესიულმა უმრავლესობამ და ისეთი ყიჟინა და ბუკი ატეხა, რომ გეგონებოდათ ბასიანის ომი მოიგესო. ობიექტურობა მოითხოვს ვაღიარით, ისინი დემაგოგიით ადრეც გვანცვიფრებდნენ, მაგრამ მათმა უტიფრობამ, უსირცხვო ქოსა-ტყუილობამ, ულოგიკობამ, შავის თეთრად წარმოჩენის სურვილმა და ქვეყნისთვის დამღუპველმა პოზიციამ ამ დღეს ყველაფერს გადააჭარბა. მოკლედ, მათ ოპონენტების არგუმენტირებულ და აკადემიურ გამოსვლებს ლანძღვა-გინება, წარსულის არაეთიკური წამოძახება, ერთგვარი შანტაჟი და ძველებური, ბოლშევიკური გაღმა შედაეების მეთოდი დაუპირისპირეს.

მომდევნო სხდომებზე სპექტაკლებში მონაწილე მსახიობთა შემადგენლობა და თამაშის წესი არ შეცვლილა, ოღონდაც უფრო დაამძიმეს და გაამუქეს „ბრალდებები“. ამასთანავე, „მრავლებს“ შეემატა მძიმე არტილერია – „სიმართლისთვის ხმალამოღებული მებრძოლი“ პროზაიკოსი რეზო ჯაფარიძე, რომელსაც, როგორც ჩანს, ასაკის გამო დააეიწყდა, „მძიმე ჯვარს“ რომ შეეჯიდა და პირდაპირ მოითხოვა მოწინააღმდეგეთა დაჭერა, დახვრეტა, ჩამოხრჩობა... მისი აზრით, ის ადამიანები, ვინც ციხის კედლებს უნდა ხეხავდნენ, ახლა საზოგადოებრივ სარბიელზე მოღვაწეობენ, სწორედ ეს უზნეონი და ნაძირალები ებრძვიან ქვეყნის მხსნელ შევარდნაძეს. ბატონ რეზოს, ასაკის გამო, ალბათ, ისიც დააეიწყდა (მაგრამ „მეტიჩრებმა“ მაინც შეახსენეს), თუ როგორ „ამკობდა“ იგი ცოტა ხნის წინ თავის ამჟამინდელი ხოტბის ობიექტს. მას, ალბათ, ისიც დააეიწყდა, რომ მწერალია და ამ პროფესიის კაცს ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა უნდა ამშვენებდეს. მაგრამ რას იზამ, სკლეროზი რას არ დამართებს ადამიანებს!

განა შეიძლებოდა გიორგის ღირსების თავგამოდებული დამცველთა რიცხეს გამოკლებოდა „წიგნი ფიცისა“-ს დამდგმელი რეჟისორი, ნათლიძმა გ. ლორთქიფანიძე?! როგორც მას სჩვეეია ხოლმე, ომახიანად იშიშვლა კვერთხი და ოპონენტებს დაემუქრა: პოლიტიკურ ხულიგნობას თავი დაანებეთ, თორემ საბოლოოდ გაგისწორებთ ანგარიშსო. ამ „ვაუკაცს“, ალბათ, ავიწყდება, რომ ის ადამიანის უფლებათა დაცვის

კომისიის თავმჯდომარეა“ და თუ ოდესაც არ აწუხებს მოკვდავთა, უზომოდ გატანჯულ და დასაგრეულ ადამიანთა ბედი, „დეპუტატის“ ღირსება მაინც უნდა დაიცვას. ისე, ბოროტი ენები რას არ ამბობენ მის შესახებ. თავად ბატონი გიგა „გაზ-31“-ით დაბრძანდება, ხოლო მისი პირმშვენიერი, ხორცსრული მეუღლე – „ინამარკის“ ავტომობილით, რომლის ნომერია 66-66 (დააკვირდით, სატანური ციფრი ოთხჯერ მეორდება). რა თქმა უნდა, ეს უცხოური მანქანა გაჯირვებულმა ხელოვანმა ნაჯაფარი კუპონებით შეიძინა. სოლოლაკელები იმასაც ამბობენ, რომ ავტომატიანებს გაუქურდავთ ადამიანის უფლებათა თავგამოდებული ქომაგის სარდაფი და ორი საბარგო მანქანით გაუზიდიათ ტვირთი. იმასაც ირწმუნებიან, რომ ამ ტვირთის დიდი ნაწილი ჰუმანიტარული დახმარების ფონდიდან იყოო. ეჰ, ბოროტ მეზობლებს რა დაეჯერებათ, და ჩვენც არ გვჯერა, მაგრამ იმას კი აშკარად ვხედავთ, რომ იგი ადამიანის უფლებათა დასაცავად აშკარად ვერ იცლის, პირუკუ, თავადაც ძალმომრეობს და ნათელ-მირონის წყალობით არხეინად გრძნობს თავს!..

ტელემაყურებელთა განცვიფრებას აშკარად იწვევდა ვ. რნულიშვილის „ლიდიასებური“ დუმილი. ბუნებრივია, რომ ადამიანი, რომელმაც სასწრაფოდ მიატოვა თურქეთი და შეუსვენებლივ 18 საათი იმგზავრა, რათა ეხსნა თავისი მფარველი, ერთ-ორ სიტყვას გვეტყოდა სანუგეშოდ. მართლაც, ბოლოს ისეთი „ტუტუ“ ჩასძახა მიკროფონში, რომ მსმენელმა გაოცებისაგან პირი დააფჩინა. მან მთელი რიგი უტყუარი არგუმენტები მოიხმო თავისი მამა-მარჩენალის დასაცავად. თუნდაც ის რად ღირს! თურმე შევარდნაძეს ერთადერთ დამსახურებად ისიც ეყოფა, რომ დღეს საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა. კი მაგრამ, ამ ბრძენს ხალხი ბრიყვი ჰგონია?! ჯერ ერთი, თუ საქართველო მართლაც დამოუკიდებელია, ეს ყველას დამსახურებად შეიძლება მივიჩნიოთ, ოღონდ არა ე. შევარდნაძისა! მეორეც, საქართველო მართლაც დამოუკიდებელი იყო და შევარდნაძის მოსვლის შემდგომ თანდათან დაკარგა იგი. სწორედ ამის გამო უპირისპირდებიან მის კურსს ეროვნული ძალები. მესამეც, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკა საქართველოზე მეტად დამოუკიდებელია, თუ ამას დამოუკიდებლობა ჰქვია და ესეც „დიდი პოლიტიკოსის“ დამსახურებად უნდა აღვიქვათ, ალბათ, არა?! რაღა ბევრი გავაგ-

რძელოთ, ვ. რსეულიშვილის წყალ-წყალა არგუმენტები ღიმილს იწვევს, მაგრამ უფრო სასაცილო იყო მისი თვითდაჯერებული განცხადება: „ახლა ამას ვუყაროთ კენჭი. ვინც მომხრეა, მიაჭირეთ ხელი, ვინც არა და „ტუტუ", გამოეთხოვეთ!" მართლაც რომ „ტუტუ" ასეთ „პარლამენტს" და მის უმრავლესობას თუ უმცირესობას! კადნიერებად თუ არ ჩამოგვართმევს, ერთიც უნდა ვკითხოთ ვიცე-სპიკერს: ბატონო ვახტანგ, 18 საათი იმიტომ იმგზავრეთ შეესვენებლიე, რომ „ტუტუ" დაგეყვირათ?!

კიდევ რომელი „მამრი" გავიხსენოთ... ჰო, ლამის დაგვაეიწყდა მოქალაქეთა ლიდერი, მომწვანო-მოწითალო, უფრო კი მოცისფრო ზ. ყვანია, რომელსაც ამ ბოლო დროს ხმა დაუვაჟკაცდა, თუმცა მისი მტკიცე „ეროვნული" პოზიცია და რკინისებური ლოგიკა ყველასათვის ცნობილია, ამიტომაც მისი სიტყვის შინაარსით მკითხველს აღარ გადავღლით.

„სესია" მეორე დღეს ერთობ გაგრძელდა და ყველა გამომსელელის „მჭევრმეტყველებას" თუ „კაცთმოყვარე" აზრებს ვერ ავსახავთ. ოღონდაც ზოგიერთი „მარგალიტი" მისავიწყებლად მაინც არ გვემეტება: დათა თუთაშხიასგან რადიკალურად განსხვავებულმა ჭ. ამირეჯიბმა დეპუტატების ფსიქიატრიული და ნარკომანიის ნიშნით შემოწმება მოითხოვა, თანაც დასძინა, შემოწმება ჩემგან დაიწყეთო. უცილობლად უნდა დავიწყოთ!.. ეთიკური კომისიის უეთიკო თავმჯდომარემ რ. მიმინოშვილმა კვლავ უზნეობა გამოავლინა, შანტაჟით სურდა თ. ჩხეიძის შეშინება. აღგზნებულმა და ნერვებაწეწილმა ჯ. ჩარკვიანმა რიხით იმდენი ილაპარაკა „ოპოზიციის მრგვალ მაგიდაში შეძრომ-შემოძრომაზე", რომ ბოლოს თავად შეაძვრინეს ერთ ალაგას... კვლავ გაგვაოცა თვალხატულა ნ. კირთაძის ცილისწამებლურმა გამოხდომებმა. მაგრამ ყველას გადააჭარბა მ. გიგინეიშვილის ესოტერულმა სიბრძნემ. რადგანაც მისი განსჯა ე. წ. უმრავლესობის, ანუ შევარდნაძის ქომაგთა მსჯელობის „კეინტესენციად" შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო განსჯის მეთოდიც ტიპიურია და კარგად წარმოაჩენს უმრავლესობის ლოგიკის თავისებურებას, ამიტომ რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ მასზე. (პარლამენტის სხდომის სტენოგრამა ვერ მოვიპოვეთ და დაეჯერდით ყურით მოსმენილს, ამიტომაც გამომსელელთა სიტყვების გადმოცემისას ყურ დავიცავით სიზუსტე.)

ჯერ ერთი, მ. გიგინეიშვილის აზრით, ე. შევარდნაძის წინააღმდეგ მიმართული ეს „შეთქმულება“ თურმე არ ატარებდა შემთხვევით ხასიათს, ამ „ამბოხისათვის“ შეგნებულად იყო შერჩეული მძიმე, სოციალურად ფეთქებადი მომენტი, რაც ერთობ ყურადსაღებიაო.

რა ვეთქმის ამის შესახებ? დრო მართლაც მძიმეა და სოციალურად ფეთქებადი, ოღონდაც უნდა გავიხსენოთ, რომ მძიმე და ფეთქებადი სიტუაცია კარგა ხანია სუფევს საქართველოში და ის გაუსაძლისი ყოფა სწორედ ე. შევარდნაძისა და მისი „ბრძნული“ პოლიტიკის წყალობითაა დამკვიდრებული. ვფიქრობთ, ამის გამოც დაისვა მისი გადაყენების საკითხი, ამიტომაც გასაკვირი და დამაფიქრებელი სხვა რამ არის. აგერ უკვე წელიწადზე მეტია, რაც „პარლამენტარები“ ითხოვენ სახელმწიფო მეთაურის პოსტის გაუქმებას და მეთაურის გადაყენებას, მაგრამ ამაზე ე. წ. სახელმწიფოს მეთაური და უმრავლესობა ყურებს არ იბარტყუნებდა და ახლა, ამ უმძიმეს ვითარებაში თავად შევარდნაძემ რატომ მოითხოვა ასე კატეგორიულად ამ საკითხის განხილვა?! ძაღლის თავი სწორედ აქ მარხია. მაგრამ უმწიკვლო მანანა კუდრაჭობს და განზრახ გზა-კვალს გვიბნევს.

მერმე ორატორმა ის „დეპუტატები“, რომლებიც ე. შევარდნაძის გადადგომას მოითხოვენ, მძარცველებად გამოიყვანა და თანაც დასძინა, რომ სახელმწიფოს ძარცვა მხოლოდ მისი ქონების დატაცება არ არისო: როცა „ასეთი ავტორიტეტის მქონე ადამიანს ავტორიტეტს თანდათანობით შემოაცილებ, რომელიც მან საქართველოში ჩამოიტანა“ – ესეც არანაკლები ხელმრუდობააო.

ჩვენ არ ვიცით, რა წელილი მიუძღვით „ოპოზიციონერებს“ სახელმწიფო კაპიტალის განიავებაში, მაგრამ ე. შევარდნაძის „პოლიტიკური კაპიტალის“ ძარცვას რომ მათ ვერ დავაბრალებთ, ამაში, ეგონებ, ჭკუათმყოფელს ეჭვი არ შეეპარება. თუ ვინმეს შეეძლო გაენიავებინა „დიდი პოლიტიკოსის“ „პოლიტიკური კაპიტალი“, ეს თავად შევარდნაძე იყო. სწორედ მან დემოკრატიის დიდი სიყვარულით გერმანული ნაგაზებით – ე. წ. „გენშერებით“, იტალიური ელექტრო-ხელკეტებით, რუსული ავტომატებითა და ბეტეერებით არაერთგზის დაარბევინა მშვიდობიანი მიტინგები, რასაც ათეული ადამიანის სიცოცხ-

ლე და ასობით ადამიანის ჯანმრთელობა შეეწირა. „დემოკრატიის“ სიყვარულითვე ციხეები აივსო განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებით, რომელთა საშინელი წამების შესახებ არა მხოლოდ ჩვენში წერენ. ამავე „დემოკრატიის“ წყალობით ყოველდღიურად ითელება ადამიანის უფლებები, აბუჩად იგდებენ მის ღირსებას, ე. წ. ძალისმიერი დაწესებულებები ძალმომრეობენ და წესიერი ადამიანების სამართლიან მოთხოვნებს არად აგდებენ. ამიტომაც დღეს საქართველოში კანონმა და კონსტიტუციამ ყოველგვარი აზრი დაკარგა და ვისაც ძალა ერჩის, იმის თარგზე იკერება მართლმსაჯულება. აი, ყოველივე ამან და კიდევ ათასმა სხვა საშინელებამ გაანიავა „დიდი პოლიტიკოსის მდიდარი კაპიტალი“ როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთაც... ასე რომ, ყველაფერი შეიძლება დაბრალო „პარლამენტარებს“, გარდა ზემოთ წამოყენებული ბრალდებისა და ეს ჭკუისკოლოფა „დეპუტატს“ ჩვენზე უკეთ უნდა მოეხსენებოდეს. ალბათ, მ. გიგინეიშვილის ტელეპატიური ნიჭის, მისტიური საიდუმლოს წედმის უნარით უნდა აეხსნათ შემდგომი აღმოჩენაც: როცა გენშერმა ე. შევარდნაძე თავისთან მიიწვია, მის სვედიან თვალებში ამოიკითხა, რომ მას სურდა გენშერი სოფ. მამათში მიეპატიჟებინა. მართლაც ასე იყო თუ არა, ამის გარკვევა შტაზისა და სუკის გენერლებისათვის მიგვინდვია. ჩვენ გვაოცებს მ. გიგინეიშვილისებური კომენტარი ამ ფაქტისა. ახლა ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ დაახლოებით ის ამგვარად გაციალდა: განა ასეთ ვითარებაში ე. შევარდნაძე საქართველოს თავისუფლებაზე არ ფიქრობდაო? გული არ მინდა დავწყვიტო „თეთრ მანდილოსანს“ და ვაიმედო, იქნება მაშინ ფიქრობდა კიდეც, მაგრამ ჩვენ სწორედ ის გვადარდებს, ახლა რა ჭირი შეეყარა, რომ დამოუკიდებლობის გაგონებაზე სიძულვილით იბურძგლება?!

გრაცია გიგინეიშვილის კიდევ ერთი საინტერესო დასკვნაც უნდა გავიხსენოთ. მან სიამაყით განაცხადა, რომ მსოფლიო ადამიანი და საყოველთაოდ ცნობილი დისიდენტი ა. სახაროვი საქართველოს იმპერიად მიიჩნევდაო, ახლა კი ამას ვერავინ დაგვწამებსო. როგორც ჩანს, „საქართველოს იმპერიის“ დაშლას, როგორც სსრკ-ის, იგი ე. შევარდნაძის დამსახურებად მიიჩნევს. განა შეიძლება ამაზე დაბლა დაეცეს ქართველის ცნობიერება?! ფილოლ. მეცნ. კანდიდატს მ. გიგინეიშ-

ვილს უნდა მოეხსენებოდეს, რომ საქართველო იმპერია არ არის და იგი არ შედგება დაპყრობილი მიწებისაგან. მან ისიც კარგად უნდა იცოდეს, რომ აფხაზეთი და შიდა ქართლი ოდითგანვე საქართველოს განუყოფელი ნაწილები იყო. ამიტომ საქართველო იბრძვის მხოლოდ საკუთარი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და არა რუსეთის შოვინისტურ-იმპერიული ანროვნებით შეკოწიწებული და ა. სახაროვის მასონური თვალთახედვით ხელოვნურად გამოგონილი, არარსებული იმპერიის გადასარჩენად! ეს საყოველთაო ჭეშმარიტებაა და მხოლოდ სატანურ-მასონური ექვსიანების ჯადოსნურ რკალში დატყვევებულ ადამიანებს თუ შეეპარებათ ეჭვი. როგორც ჩანს, ა. სახაროვის თვალსაზრისს იზიარებს მ. გიგინეიშვილის მეგობარი და მოძღვარი ე. შევარდნაძეც და ამიტომ შლის „საქართველოს იმპერიას".

დასასრულ, ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელმა საკუთარი ორიგინალურად ახსნა საქართველოს ესენგეში შესელა. თუმცა ეს იმიტომ მომხდარა, რომ თბილისსა და ქუთაისში გაგრის ტრაგედია არ დატრიალებულიყო და, რაც მთავარია, ინტელიგენციის სისხლი არ დაღვრილიყო, თანაც დასძინა, თუ გინდათ ეს აზრები ჩემ სიტყვად ჩათვალეთო.

სიგიჟის რა მოგახსენოთ, მაგრამ ანომალიურ მოვლენასთან უეჭველად გვაქვს საქმე. ჯერ ერთი, გაგრაში რაც დატრიალდა, ვისი წყალობით მოხდა და ვინც ჩაიდინა, ყველასთვის ცნობილია, ამიტომ ქუთაისსა თუ თბილისში ის ვერ გამეორდებოდა. თუ კანონიერი გვარდიის „ლაშქრობას" გულისხმობს გრაცია, უნდა შევახსენოთ მრავალი ქალაქის (ფოთი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, სამტრედია, ხონი...) მაგალითი, სადაც პრეზიდენტისა და კანონიერების მომხრეებს წესრიგის მეტი არაფერი დაუმკვიდრებიათ. მეორეც, ვინც დაღვარა და ღვრის ინტელიგენციის სისხლს, ესეც კარგად უწყის ყველამ. ასე რომ, ინტელიგენციის ელიტას და განსაკუთრებით კი მ. გიგინეიშვილის „ცისფერ" სისხლს ამ მხრივ საშიშროება არ ელოდა. დასასრულ, ფილოლოგ „პატრიოტ" ქალბატონს ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენტები სამშობლოს თავისუფლებას მართლაც სწირავდნენ თავის სისხლს და არა საკუთარ სისხლს ანაცვალებდნენ ერის თავისთავადობას და დამოუკიდებლობას. განა ეს ყველაფერი

ნვენ'ხე 'ეკეთ არ მოეხსენება „ელიტის" „თეორმანდილოსანს", მაგრამ, როგორც იტყვიან, სიყვარული ბრმა არისო და ნვენც ნუ გახვიკითხავთ... ასეთია, დაახლოებით, სახელმწიფოს მეთა'ურის თაყვანმოდებ'ული ქომაგის ლოგიკის ზოგიერთი ნიუანსი. მასზე ნვენ იმიტომაც გავამახვილეთ ყ'ურადღება, რომ ტიპიურ ხასიათს ატარებს და დიდად არ განსხვავდება უმრავლესობის კამათის წესისაგან.

საერთოდ, 'უმრავლესობის „დაცვის ტაქტიკას" ახასიათებს რამდენიმე საერთო ნი'შანი:

უპირველესად, ისინი მიმართავენ და'შინების ხერხს – მოწინააღმდეგეებს ახსენებენ წარს'ულ'ში ან აწმყო'ში ჩადენილ „ცოდვებს", თანაც მოითხოვენ დეპუტატის იმუნიტეტის მოხსნას და ამით ვითომდაც თავის „უმწიკვლობას", „პატიოსნებას" ამტკიცებენ. სხვათა შორის, ამას მოითხოვენ არც თ'უ მთლად უმანკო და 'უმწიკვლო პირები, რომელთა „უსაფრთხოების" ერთადერთი გარანტი ის არის, რომ ე. 'შევარდნაძის ერთგ'ული გო'შიები არიან. მათ ავიწყდებათ, ან შეგნებ'ულად არ ს'ურთ გაიხსენონ, რა 'უსამართლო და ძალმომრეობით აღსავსე ქვეყანა'ში ვცხოვრობთ. ისინი თვალს ხ'უჭავენ და არ 'უნდათ შეიცნონ, თ'ე რა „დემოკრატიულ" მეთოდებს იყენებს ე. შევარდნაძე მოწინააღმდეგეთა მიმართ. „დამნაშავის" სინდრომის წინ წამოწ'ევა და ამით მოწინააღმდეგის შე'შინება ძველი, ბოლ'შევიკ'ური მეთოდია, რომელიც სისხლ'ში აქვს გამჯდარი „სახ. მეთა'ურს"...

მეორეც, ისინი ყოველგვარი ხერხებით, ვიტყოდით, 'უს'უსური არგ'უმენტებით ცდილობენ თავისი კერპის გამართლებას... შეიძლება თამამად ითქვას, რომ დამცველებმა ვერ დაასახელეს ვერცერთი სერიო'ული ფაქტი, რომელიც გაათეთრებდა და გაამართლებდა ე. შევარდნაძის მოღვაწ'ეობას.

დაბოლოს, 'უმრავლესობა თითქმის ერთხმად აღიარებდა, რომ ოპოზიციამ ვერ წამოაყენა დამაჯ'ერებელი არგ'უმენტები, რათა გაემართლებინათ „სახ. მეთა'ურის" 'უფლებების შეზღ'უდვა ან მისი გადადგომა.

დიდება შ'ენდა 'უფალო! კიდეე რა არგ'უმენტებს 'უნდა ძებ'ნა, როცა მ'თელი ქართველი ხალ'ხი ხედავს, თ'ე როგორ დაიქ'ცა და დაინგრა ქვეყანა, როგორ გაწ'ყდა წელ'ში და განადგ'ურდა ქართველი ხალ'ხი, როგორ მოისპო და მოი'შალა ქარ-

თ'ელი სახელმწიფოებრიობა და ეს ყველაფერი მოხდა ბოლო სამ წელში, სწორედ „დიდი პოლიტიკოსის“ წყალობით?! მართლაც და საოცარია. კიდეე რა სარწმუნო არგუმენტებს ითხოვენ „ჭეშმარიტი მამ'ულიშვილები“?! მაგრამ მათთვის, ვინც ძალისძალად დაითხარა თვალები. საჭიროა იმის მტკიცება, რომ მზე ანათებს, და თანაც აღმოსაელეთიდან ამოდის!

მოახლოედა წამი, როცა ავანსცენაზე რეჟისორი უნდა გამოს'ულიყო. მთავარსარდალმა ბრძოლის ველს (რა თქმა უნდა, აფხაზეთზე არაა საუბარი!) გადახედა, მიმდინარე ბრძოლის შედეგები აწონ-დაწონა და დარწმუნდა, რომ ბრძოლა მოგებული იყო. მაგრამ ვიდრე საბოლოო სიტყვას იტყოდა, ბაე'შვივით გაჯიუტდა. ჯერ კენჭისყრა ჩაატარეთ, უნდა გავიგო, ვინ მიჭერს მხარს და ვინ – არაო, მერე კი ვიტყვი ჩემს სათქმელსო.

ცხადია, მეთაურის ეს სურვილი, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ჯანსაღ ლოგიკას ეწინააღმდეგებოდა და ერთგვარ ახირებადაც გამოიყურებოდა. საერთოდ, წესის მიხედვით, ჯერ „პარლამენტარებს“ უნდა მოესმინათ მისი განმარტებანი, წაყენებულ „ბრალდებებზე“ გაეაზრებინათ პასუხის დამაჯერებლობა და საბოლოოდ, როცა დარწმუნდებოდნენ თავის სისწორეში, მერე ეყარათ კენჭი. მაგრამ ასე ხდება ცივილიზებულ ქვეყანაში და არა ჯუნგლებში... თუმცა, როგორც ჩანს, ორატორს სხვა ზრახვა ამოძრავებდა. მას დასაწყისშიკე უნდა განეცხადებინა, რომ „დეპუტატთა“ უმრავლესობა და, რაც მთავარია, საქართველოს მოსახლეობა მას მხარს უჭერდა. ასეც მოხდა: ორატორმა თავიდანვე მადლობა მოახსენა იმ „დეპუტატებს“, ვინც მას მხარი დაუჭირა და განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნა ის ფაქტი, რომ „სახ. მეთაურის“ კურსს ემხრობა საქართველოს მოსახლეობა (ამაზე მეტყველებს თურმე ტელეფონის ზარები, წერილები, დეპეშები და მისთ.). ამ აზრს ცოტა ქვემოთაც გაიმეორებს იგი. სავსებით ეასაგებია, რომ „სახელმწიფო მეთა'ურის“ გადადგომის მოთხოვნას მხოლოდ მაშინ ექნებოდა საფ'უძველი, თუკი მას მხარს დაუჭერდა საქართველოს მოსახლეობა. აი, ამიტომ ს'ერს მას თავადაც დაირწმ'უნოს თავი და სხვებიც დააჯეროს, რომ ქართველი ხალხი ე. შევარდნაძის კ'ურსს ერთხმად მიჰ'ყვება. ბ'უნებრივად ისმის კითხვა – ეანა მართლაც ასეა საქმე? არ ვიცით, ვის

გულისხმობს იგი საქართველოს მოსახლეობაში. თუ ე. შევარდნაძე ფიქრობს, რომ ქართველი ხალხი მოქალაქეთა კატეგორიის ზოგიერთი ვიგინდარა, „მატარებლის ქალების“ ყველაზე აგრესიული და სექსუალური ნაწილი, ძალისმიერი დაწესებულების წარმომადგენლები და პარლამენტის მორჩილი უმრავლესობაა, მაშინ მის ოპტიმისტურ თვალსაზრისს წყალი არ გაუვა. მაგრამ, საბედნიეროდ, ქართველი ხალხი არ შედგება მხოლოდ მუცელსაყოლილი, მუხლებზე მხოხავი და ძალად დაბრმავებული ელემენტებისაგან, და გაცილებით ფართო ცნებაა, ვიდრე ამას ფიქრობს „დიდი პოლიტიკოსი“. საერთოდ, ამა თუ იმ საკითხზე ხალხის აზრი რომ გაიგო, ამისათვის მხოლოდ ერთადერთი საშუალებაა – საყოველთაო რეფერენდუმის ჩატარება! მათ, ვისაც მახსოვრობა ღალატობს, შევახსენებთ: რეფერენდუმი უკვე ჩატარდა და ქართველმა ხალხმა ერთხმად გამოხატა თავისი ნება და სურვილი ქვეყნის დამოუკიდებლობის და თავისუფლების შესახებ, რაც რადიკალურად ეწინააღმდეგება დღევანდელ სახელმწიფოებრივ კურსს, ე. შევარდნაძე რომ ატარებს. არ ვიცით, რა წყაროები ასაზრდოებს მის ოპტიმიზმს, როცა „პარლამენტარებს“ დაემუქრა, თუ მუშაობის საშუალებას არ მომცემთ, მართლაც ჩავატარებ რეფერენდუმს და პლებისციტსო. მაგრამ მას გულწრფელად ვურჩევთ: ფეხით გაიაროს დედაქალაქის ქუჩებში, ყური მიუგდოს რას ამბობს ხალხი პურის რიგებში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში. მერე სოფლებიც დაიაროს და მოუსმინოს დამშეულ ქართველ გლეხობას, და თუკი მერეც გაბედავს რეფერენდუმის ჩატარებას, მართლაც დაამტკიცებს თავის უშიშარობას. ისე, კარგი იქნება, თუ დროზე შეიგნებს ე. შევარდნაძე, რომ მას მხარს უჭერს საქართველოს მოსახლეობის მხოლოდ ცოდვილი და დაცემული ნაწილი, რომელიც ჩადენილი დანაშაულის ან მომავალში არასწორი გზით გამდიდრების სურვილისა გამო · საესებით და მთლიანად დამოკიდებულია მისი ტახტის სიმტკიცეზე.

შემდეგ ორატორმა გვაუწყა, რომ მისი გადაყენების შესახებ მოთხოვნას უფრო ღრმა ფესვები ჰქონდა. მზადდებოდა სახელმწიფო გადატრიალება, უნდა დაწყებულიყო პოლიტიკური პარტიების და ლტოლვილების გამოსვლები, მათ აჰყვებოდნენ მშიერი და გაწამებული ადამიანები, ხელს გამოიღებ-

დნენ ათასი ჯ'ურის ავანტიურისტები და საკალალო დასასრულიც ვარდ'ულალი იყო. და თ'ურმე იმის გასარკვევად, უჭერდა თ'უ არა მხარს საქართველოს მოსახლეობა და „პარლამენტი", გადა'ულვამს ეს უკიდ'ურესი ნაბიჯი...

თ'უნდაც ამგვარი მსჯელობაც გვარწმუნებს, რომ, რაც ხდებოდა „პარლამენტში", დადგმული სპექტაკლი იყო, რომელსაც ყველასთვის ცნობილი რეჟისორი განაგებდა.

ჯერ ერთი, შეგნებ'ულადაა დრამატი'სებ'ული ვითარება და ფერებიც გამ'ექებ'ული. ე. შევარდნაძეს ჩვენზე უკეთ მოეხსენება, რომ ოპოზიციის მოთხოვნების 'უკან არავითარი შეთქმულება არ მ'ზადდებოდა და არც იყო მოსალოდნელი. პარლამენტში მსგავსი მოთხოვნა, უფრო უკიდ'ურესი ფორმით, არაერთხელ დასმ'ულა და მას არავითარი გადატრიალება არ მოჰყოლია. თუკი „სახ. მეთაური" გ'ულწრფელია თავის „წარმოსახვაში", რაშიც ჩვენ ეჭვი გვეპარება, მაშინ ეს უფრო შეშინებ'ული ადამიანის ილ'უზიებს ჰგავს, ვიდრე 'უშიშარი და ოპტიმისტი პოლიტიკოსის დასკვნებს. მერმე, თუ ის ასე ღრმად დარწმ'უნებ'ულია, რომ ქართველი მოსახლეობა მას მხარს 'უჭერს, მაშინ რატომღა ეშინია ხალხის აზვირთებისა?! ხომ არ შეიძლება ხალხი ერთდროულად მის კურსსაც 'უჭერდეს მხარს და მის გადაყენებასაც ლამობდეს?

მეორეც, არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში მეთაურის გადაყენება მშვიდობიანი გზით, მით 'უმეტეს, ამის მოთხოვნა, არ შეიძლება სახელმწიფო გადატრიალებად შეფასდეს. გადატრიალება იყო კანონიერად არჩე'ული პრეზიდენტის იარაღის ძალით ჩამოგდება, როგორც ჩვენზე 'უკეთ მოეხსენება ამ გადატრიალების ინსპირატორს. სხვათა შორის, ისტორიას არ ახსოვს, რომ მეთაურის გადაყენებას, თუ ეს ხალხის ნებით ხდება, ქვეყნის დანგრევა მოჰყოლოდეს. ჩვენი აზრით, თუ ე. შევარდნაძე გაითვალისწინებდა საქართველოს ენით აუწერელ სავალალო მდგომარეობას და თავისი ნებით გადადგებოდა, ქვეყანა ამით არ დაიქცეოდა! არა გვგონია, რომ შესაძლებელი იყოს კიდევ 'უფრო მეტად დანგრევა ქვეყნისა!.. ასე რომ, საგანგაშო და საეი'შეი'შო არაფერი იყო!.. როგორც 'უკვე ვთქვით, ძაღლის თავი სხვაგან მარხია! მაგრამ ვიდრე ამას გავარკვევდეთ, გავყვეთ მომხსენებლის აზრთა გახვითარებას.

როგორც მოსალოდნელი იყო, ე. შევარდნაძე დაწერილე-

ბით შეეხო თ. ჟორჟოლიანის განცხადებას და აბსაც-აბსაც მოაყვა მის განქიქებას. დაბეჯითებით ვერ დავიჩემებთ, რომ მან პუბლიცისტის უბადლო ნიჭი გამოამჟღავნა, მაგრამ, თუ ობიექტურნი ვიქნებით, უნდა ვაღიაროთ ზოგიერთ შემთხვევაში მისი უბრალოება (უდანაშაულობა). ასე, მაგალითად, თუ მართლაც ბუნებაში არ არსებობს რამდენიმე მილიარდი დოლარის სესხი, მაშინ რას ვერჩით „სახელმწიფოს მეთაურს"? განა მას თავისი ცოდვები აკლია, რომ კიდევ სხვისი არ მივუმატოთ?! მსგავსი საკითხების განქიქებით ის შეეცადა თ. ჟორჟოლიანის განცხადება ტენდენციურად წარმოეჩინა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეძლო კიდეც. რაკი თავი სამშვიდობოს გასულად იგულა, იუმორიც მოიშველია და ქირქილს მოაყვა: ვერ გამიგია, ე. შევარდნაძის მსოფლიო პოლიტიკოსის იმიჯს როგორ შეეწირა 30 000 ქართველის სიცოცხლე და 250 000 ქართველის სახლ-კარიო, მაშინ, როცა დიდი ინტერნაციონალისტი ოსთა, აფსუათა თუ სხვა ჯურის ადამიანთა დაღუპვის გამო საქვეყნოდ მოსთქვამს, უცოდველი ქართველების დაღუპვა საქირქილოდ არ უნდა გაიხადოს, ეს უზნეობაა, მით უმეტეს, რომ ქართველი ერის ეს დიდი ტრაგედია, თუ მისი იმიჯის არა, უდავოდ, მისი „ბრძნული" პოლიტიკის შედეგია!..

ახლა ჩვენ დაწვრილებით ვერ განვიხილავთ ე. შევარდნაძის გამოსვლას, ამაზე უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა. ვერც იმ მსაჯულის მოვალეობას ვიკისრებთ, საბოლოოდ რომ გაარკვევს მტყუანსა და მართალს, მაგრამ არსებითი სხვა რამ არის: ე. შევარდნაძემ ამ გამოსვლით კიდევ ერთხელ უტყუარად დაგვარწმუნა, რომ იგი არის ბოლშევიკური დემაგოგიის პირმშო და მას შესწევს უნარი თეთრის შავად წარმოჩენისა. ამავე დროს, ის ნებისმიერ სიტუაციაში „მართალი" აღმოჩნდება ხოლმე, დამნაშავენი კი სხვები არიან.

გავიხსენოთ თუნდაც, თუ როგორი უტეხი სიჯიუტით ამტკიცებს ის ქართულ-ოსური კონფლიქტის დაწყების უაზრობას და როგორ ამართლებს აფხაზეთის ომის გაჩაღებას: თურმე ნუ იტყვით, ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის კონსტიტუციური გზით მოგვარება, რასაც შემდგომ გართულებები მოაყვა, უდიდესი შეცდომა იყო, უმძიმეს მემკვიდრეობად რომ გვერგო ჩვენ და ჩვენს შთამომავლობას, ხოლო აფხაზეთში გალაშქრება – ეს იყო სამხედრო ნაწილების გადაადგილება, რომ-

ლის მი'სანი იყო მხოლოდ გ'ხების დაცვა. ე. შევარდნაძე 'უტიფრად აცხადებს, რომ ის მართალია ღვთისა და ხალხის წინაშე. ის გვარწმუნებს, რომ გუნებაშიც არ ჰქონდა აფხაზეთის იარაღით დაპყრობა. კი მაგრამ, მას, როგორც „მსოფლიო პოლიტიკოსს", ხომ 'უნდა განესაზღვრა, რა მოჰყვებოდა ჯარის ნაწილების გადაადგილებას. თუკი ეს მან მართლაც ვერ განჭვრიტა, მაშინ ნ. ჭავჭავაძის არ იყოს, ასეთ პოლიტიკოსს პოლიტიკის სარბიელზე არ დაედგომება!

მაგრამ, ჰაი, ჰაი, რომ ყველაფერი ეს წინასწარ იყო დაგეგმილი და განსაზღვრული და სცენარიც, სამწ'უხაროდ, ჩვენში კი არ დაიწერა, არამედ „მეგობარ" რუსეთში. საქართველოში მხოლოდ ამ სცენარის ხორციესშემსხმელნი 'უნდა მოძებნილიყვნენ!..

საერთოდ, როცა ე. წ. სახელმწიფოს მეთაური აფხაზეთის ომის ამბებზე წვრილ-წვრილად ჰყვება, გულისხმიერ ადამიანს 'უდავოდ შეეცოდება. თურმე აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია მხოლოდ მისი თანამებრძოლების, არაპროფესიონალი სარდლების, მძარცველი ჯარისკაცებისა და მოღალატეების ბრალი ყოფილა. იმ ხელშეკრულებასაც, რომელმაც ფაქტობრივად განაიარაღა ქართველი მეომრები და ში'შველი ხელებით დატოვა კბილებამდე შეიარაღებული მტრის წინაშე, სხვებმა მოაწერეს ხელი. ის არაპროფესიონალი სარდლებიც სხვათა დანიშნ'ულნი ყოფილან და მისთ... ერთი სიტყვით, ის ისე ძერწავს ვითარებას, რომ მგლების ხროვაში ერთადერთ უცოდველ კრავად გვეელინება. ყველაფერი ეს სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!..

სხვათა შორის, ამ ბოლო გამოსვლაში ე. შევარდნაძის რკინისებურ მსჯელობას ერთი არგ'უმენტიც შეემატა. ის ცხინვალში და გუდაუთაში ქართველი საჯარისო ნაწილების არშესვლას იმით ამართლებს, რომ შესვლას მოჰყვებოდა რუსეთის სამხედრო ძალებთან გარდაუვალი შეჯახება! თუ მართლაც ასეა, მაშინ რატომ არ გამოაცხადებენ რუსეთის ჯარს დამპყრობლად, რატომ მოუხსნეს მას საოკუპაციო ჯარის სტატუსი და რატომ არ მოითხოვენ მის გაყვანას ქვეყნიდან?! ანდა, თუ რუსეთი მართლაც ჩვენი მტერია და გვებრძვის, რატომ მსოფლიოს არ ვამცნობთ მის აგრესიულ ზრახვებს, რატომ ვ'ემტკიცებთ ყველას, რომ ის ჩვენი მეგობარი

ქვეყანაა, რომელიც; სამშვიდობო მისიას ასრულებს მთელს კავკასიაში?! მაგრამ „დიდმა პოლიტიკოსმა“ ეს რომ მოიმოქმედოს, მაშინ სახელმწიფო მეთაურის სავარძელს უნდა გამოეთხოვოს. საერთოდ, ე. შევარდნაძის ბოლოდროინდელი აღსარება კიდევ მრავალი კუთხით იყო საინტერესო, მაგრამ ჩვენ სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა, მასზე დაწერილებით აღარ შევჩერდებით. რამდენიმე სიტყვით მისი გამოსვლა ასე შეიძლება დავახასიათოთ: არაერთგზის თქმული, ძველი აზრებისა თუ თეზისების ახალი კუთხითა და ფორმით წარმოჩენის გაუმართლებელი მცდელობა! ოღონდაც ცოტა რამ მაინც უნდა ითქვას იმაზე, თუ რა სიამაყით გვაუწყა მან თავისი უფლებამოსილების შესახებ, უფრო მართებულად, თუ რაში გამოიყენა მან თავისი შეუზღუდავი უფლებამოსილებანი, ნებისმიერ დიქტატორს რომ შეშურდებოდა.

უპირველეს ყოვლისა, ე. წ. სახ. მეთაურმა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ძალაუფლება გამოიყენა სამოქალაქო ომის თავიდან ასაცილებლად! სამწუხაროდ, ქართველთა შორის სისხლისღვრა ვერ ავიცილეთ. არადა, შეიძლებოდა! თუკი „სახ. მეთაური“ კეთილ ნებას გამოიჩენდა და გამართავდა დიალოგს პრეზიდენტის მომხრეებთან. მან იმის ნაცვლად, რომ მშვიდობიანი გზით ეძებნა გამოსავალი, მიმართა უცხო ქვეყნების სამხედრო ძალებს, რუსეთის იარაღით და ჩექმით სისხლში ჩაახშო ეროვნული წინააღმდეგობა, გადაბუგა სენაკი და მარტვილი და უკვე მერამდენედ ააოხრა სამეგრელო. ფაქტობრივად, მისი წყალობით, რუსეთის მიერ ოკუპირებული ეს კუთხე, დამცირებული და პატივაყრილია. თუ ე. შევარდნაძეს ჰგონია, რომ ჩარგაზიას მსგავსი ვიგინდარების გადაბირებით მან სამეგრელო შემოიმტკიცა, ძალიან ცდება და ამაში მალე დარწმუნდება. სხვათა შორის, XX საუკუნის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა, როცა საკუთარი ხალხის დასათრგუნად უცხო ძალებს მიმართავენ და მერე ამით ამაყობენ კიდეც. მაგრამ რა არ ამოიზრდება „დიდი პოლიტიკოსის“ „მასონური“ აზროვნებიდან!..

მეორეც, მან ძალაუფლება გამოიყენა იმისთვის, რომ „ესენგეში“ შესულიყო ქართველი ხალხის დაუკითხავად. თურმე ამ შესვლით დაიწყო ახალი ეტაპი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა, რომელიც ბევრ სასიკეთოს უქადის საქართველოს

მერშისს. დღეს ყველასთვის ცნობილია, რომ ამ ნაბიჯით „სახ. შეთაურმა" თავისი საკარძელი გადაარჩინა, ხოლო საქართველოს ოდენ მოსობის ულელი გაუმსადა. ჩვენი ღრმა რწმენით, „ესენგეში" გაწევრიანებამ საქართველოს ვერც ეკონომიკური და ვერც პოლიტიკური შეება ვერ მოჰგვარა; ვერც იმას იფიქრებს ჭკუათმყოფელი, რომ ამ გზით შეიძლება დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება. უმალ ვირი ხეზე ავა, ვიდრე ეს მოხდება!.. გაგიჭირდებათ მეორე ისეთი პოლიტიკოსის მოძებნა, რომელსაც საკუთარი ერის თავისუფლება გაეყიდოს და ამით ეამაყოს კიდეც. ეს მხოლოდ ჩვენი „დიდი პოლიტიკოსის" ინტერნაციონალურ ბუნებას ესადაგება...

მას შემდეგ, რაც „ერის მარჩენალმა" სიამაყით განაცხადა, თუ რა „სიკეთე" მოუტანა ქვეყანას მისმა ზღვარდაუდებელმა ძალაუფლებამ, გვამცნო, მომავალში თუ რის გაკეთებას აპირებს და რატომ სჭირდება ეს ძალაუფლება: 1. კრიმინოგენული სიტუაციის მოსაგვარებლად და შეიარაღებული ფორმირებების ასალაგმავად; 2. კორუფციასთან საბრძოლველად; 3. ძლიერი, ნამდვილი ქართული არმიის შესაქმნელად; 4. პრივატიზაციისა და ბანკის რეფორმების განსახორციელებლად და მისთ...

რა გვეთქმის?! სურვილები და მიზნები კარგია, მაგრამ, ჯერ ერთი, ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელება რაიმე განსაკუთრებულ ძალაუფლების გარანტიებს არ საჭიროებს. თითქოს ყველა ქვეყანაში ხორციელდება მსგავსი უკუღმართი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლა, ანდა სასურველი რეფორმების გატარება (სხვათა შორის, ჩვენს რესპუბლიკაზე გაცილებით წარმატებით) და ამის გამო ქვეყნის პრეზიდენტებს განსაკუთრებული ძალაუფლება არ მოუთხოვიათ. მეორეც, იმას, რის გაკეთებასაც გვპირდება „სახელმწიფო მეთაური", ჯერჯერობით კარგი პირი არ უჩანს. თუ რომელი ფორმირებები მძლავრობენ დღეს და რას სჩადიან, ჩვენზე უკეთ მოეხსენება ე. შევარდნაძეს, მაგრამ რატომღაც ის ამას ვერ ხედავს. მან ისიც კარგად იცის, თუ საიდან უნდა დაიწყოს ბრძოლა კორუფციასთან, ჯერ მარჯვნივ და მარცხნივ მსხდომთ გადახედოს ეჭვის თვალით და მერე დაუწყოს დევნა სპეკულიანტებს, წვრილმან ქორ-ვაჭრებს, ფალსიფიკატორებს თუ „ოქ-

რის მიმპოვებლებს", თუმცაღა თავიდან რომ დაიწყოს, ეიღა შეძორხება გვერდით ან თავად სადღა წავიდეს?!

მაგრამ ეს ყველაფერი შეიძლება წერილმანად ჩავთვალოთ იმასთან შედარებით, რისთვისაც გამოიყენა „სახელმწიფოს მეთაურმა" თავისი ზღვარდაუდებელი ძალაუფლება და რის შესახებაც რატომღაც იგი არაფერს გვაუწყებს. ეს არის ანტიქართული სახელმწიფოებრივი კურსი, სხვათა მიერ ნაკარნახევი, ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში რომ ჩააგდო ქვეყანა!..

დასრულდა სპექტაკლი, რეჟისორმა „შემოქმედებითად" გაიმარჯვა. სხვათა შორის, იგი ისეთსავე კარგ ხასიათზე იყო, როგორც 24 ივნისის გადატრიალების შემდგომ, როცა სიხარულს ვერ მალავდა და სავარძელში ცქმუტავდა... მაგრამ მრავალი ალბათ ჯერაც ვერ ჩასწვდა უხვიროდ დადგმული სპექტაკლის აზრს, უფრო მართებულად, თუ რატომ დაიდგა ის.

ჩვენი აზრით, რეჟისორს რამდენიმე მიზანი ამოძრავებდა. უპირველეს ყოვლისა, მას ან „აუკრძალეს" გაერო"ში წასვლა, ან თავად მოერიდა, რადგანაც იცოდა, რომ ადამიანის უფლებების დარღვევის გამო იქ სიურპრიზი ელოდა. საჭირო იყო პოლიტიკური და დიპლომატიური თვალსაზრისით გაუგებარი გადაწყვეტილების გამართლება. ამიტომაც უნდა შექმნილიყო შიდა დაძაბულობისა და სახელმწიფო გადატრიალების საშიშროება, როცა შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის დატოვება...

მეორეც, ფაქტობრივად დაიკარგა კოდორის ხეობა და მალე დაიწყება იქიდან ქართველების გამოსახლება, ანუ ეთნიკური წმენდა, ამიტომაც საჭირო იყო ყურადღების ცენტრის გადატანა (მკითხველს ვთხოვთ გაიხსენოს რა უსწრებდა სამაჩაბლოს, გაგრის, ლესელიძის, სოხუმის დაკარგვას!..)

მესამეც, მალე უნდა აღიარონ აფხაზეთის რესპუბლიკის პოლიტიკური სტატუსი და მას სრული დამოუკიდებლობა მიანიჭონ, რასაც უეჭველად მოჰყვება „თავხედი პარლამენტარების" „თავხედური" გამოხდომები. საჭირო იყო მათი წინასწარი „გაროზგვა" და ყურის აწევა.

დაბოლოს, „სახელმწიფო მეთაურს", როგორც ჩანს, დასჭირდა იმის გარანტია, რომ აცალონ და დაწყებული „საქმენი საგმირონი" ბოლომდე მიაყვანინონ. დანამდვილებით არ ვიცით, კვლავაც რას მოიმოქმედებს „დიდი პოლიტიკოსი" (თუმცა ძნელი განსაჭვრეტი არ უნდა იყოს ზოგიერთი რეკიონის

ხავალალი მოიმავალი და ბედი). მაგრამ, თუკი ვიმსჯელებთ უკვე მოიმხდარით და ნამოქმედარით, უეჭველად გაგვიჩნდება აზრი: მის ხელში საქართველოს გადარჩენა არ უწერია, დაღუპვა – კი, ბატონო!

ესე გასრულდა ამბავი ე. შევარდნაძის გადადგომისა. დამთავრდა მორიგი სპექტაკლი, ჩამოეშვა ფარდა... მაგრამ ცხოვრება გრძელდება, რეალობა სხვაა და ხშირად სპექტაკლში ასახულ სასურველ „ტყუილს“ არ ჰგავს. თუ რას მოგვიტანს მუხთალი წუთისოფლის ბრუნვა, ამას მომავალი გვიჩვენებს უახლოეს ხანში!..

1994 წელი

ნაახალწლევს აღძრული ფიქრები

აჰა, მიიღია კიდევ ერთი ძველი, ბებერი წელი და კარს მოგვადგა ახალი... „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“ ჩემო მრავალტანჯ'ულო, სისხლისაგან დაცლილო, მაგრამ ს'ულით უდრეკო, ქართველო ხალხო! ძველი რა ბედენა იყო, ყველამ კარგად ეუწ'ყით, მაგრამ მაინც უნდა გავ'უჩხრიკოთ კბილები მაგ კუდიან ბებერსა და რამდენიმე სიტ'ყვით, ლანძღვითა თუ კ'ურთხევით გავაცილოთ. ტრადიციისამებრ, წარს'ულსა და გარდას'ულზე ა'უგის თქმა არ ეგების, მაგრამ ვაი, რომ კეთილი მოსაგონარი არა შემოგვრჩენია რა. პეშვი რა არის, პეშვის ოდენაც არა, უფრო ნაკლებიც, ვთქვათ, ციცინათელას დარი მბ'ჟუტავი ნაღვერდალიც ვერ მოვიძიეთ, რომ ს'ული შთაგვებერა, გაგვეღვივებინა და დამდეგ ახალ წელს იმედის და რწმენის კოცონად აგვეგიზგიზებინა. არადა, გ'ულით რომ მინდა იმედი არ გადაგეწ'უროთ, ძველებ'ური გაუტეხლობით შეეუდგეთ ახალი წლის დღეთა სვლასა... „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

აგერ უკვე სამი წელია, რაც ჭეშმარიტ მამ'ულიშვილს გულით არ გაუცინია, ცრემლი თვალზე არ შეშრობია, ს'ული არ დამშვიდებია, აწ'ეწ'ილი ფიქრები არ დალაგებია... დღე ერთია და უბედ'ურება ათასი! უამრავი თავსატეხი, ფიქრი თუ დარდი აწ'უხებს მთელ ქვეყანასაც და თითოეულ ჩვენგანს. ყოველდღიური ჭირ-ვარამი თუ სამომავლო ტრაგიკ'ული ბედისწ'ერის მსახერალობა, წ'ერილმანი თუ მსხვილმანი ისე აღრევიათ მოკედავთ გონებაში, ლამის დაიეიწ'ყონ სად მთავრდება კერძო და სად – ზოგადი, სად იწ'ყება პიროვნ'ული და სად – საქვეყ'ნო. აი, ამ ჩემისა და ჩვენის აღრევამ, 'უფრო მართებ'ულად, ჩემის ჩვენზე მაღლა დაყენებამ კიდევ 'უფრო წ'აახდინა ქვეყ'ნის საქმე და საქართველოს ბედის ისედაც ც'უდად აგორებ'ული ქვა კიდევ 'უფრო ალმაცერად დააქანა და 'უფსკრ'ულ'შიც გადაჩეხა. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

ჯერ იყო და, მაიმ'უნის წ'ელი დაგვიყენეს. მაიმ'უნები დაე-

პატრიოტებს უპატრიოტად დარჩენილ ქვეყანას, საცხოვრისსა თუ ეკლესიას... ტოტიდან ტოტზე, სკამიდან სკამზე დახტოდნენ, იმანჭებოდნენ, წითელ უკანალებს გვისვენებდნენ, თანაც გვარწმუნებდნენ, ეს არის თქვენი სალოცავი, თვალი აქეთ გეჭიროთ, თუ არადა – იქითამც გქონიათ გზაო! მაიმუნთა ამგვარი მაიმუნობით ლამის ნახევარი საქართველო გაამაიმუნეს, მაგრამ, მაღლობა ღმერთს, მთლად ვერ შეძლეს ქართველთა გადაგვარება! რის ვაივაგლახით, ვაინანრობითა და მაიმუნობით ის წელი წარსულის ვეშაპს მივეცით ხახაში...

მერე იყო და მამლის წელი დაგვიდგა. დასაპეპლვად გამზადებული მამლებით გაივსო საქართველო. აფხორილნი დადიოდნენ, მალიმალ დეზებს შემოჰკრავდნენ, ცალი ფეხით წრეს ხაზავდნენ, ეს არის ჩემი საქათმეთიო, აქ ცხვირი არავინ შემოჰყოს, თორემ შავ დღეს დავაყრითო – იმუქრებოდნენ. თანაც თავისი ნაავკაცარით ისე ამაყობდნენ, თითქოს მათ ყივილს მართლაც საქართველოს განთიადი მოჰყოლოდეს. არადა, მათი მამლაყინწობაც ისევე უადგილო იყო, როგორც მათი ყივილი, დემოკრატიის გარიჟრაჟს რომ გვაუწყებდა... ჰოდა, მიიღეს კიდეც საკადრისი. ისინი, ვინც ყველაზე მეტად მამლაყინწობდნენ, ან დემოკრატიის ქვაზე ალესილი დანით წააკლეს, ანდა ძაღლებს მიუგდეს საჯიჯგნად. და როცა ძაღლის წელი მოგვადგა კარს, გადარჩენილმა მამლაყინწებმა ისე მოქუსლეს, რომ კუდები მაძებრებს შეატოვეს პირში.

ძაღლის წელიც გვეახლა და დაგვაიმედეს – ეს ერთგულებისა და სიყვარულის წელი იქნებაო... ისევც რა ვუთხრა, მათ დაიმედებას რაიმე სიკეთე მოჰყოლოდეს. ერთგულების და სიყვარულის წელი კი არა, სწორედ რომ ორგულობისა და სიძულვილის ჟამი დაგვიყენეს. მართლაც რომ, ძაღლურ ყოფაში ჩაგვაგდეს. მაგრამ მოელილი და კარგად ნაპატიები ძაღლის ბედი კი არა, უპატრონო, მაწანწალა ძაღლების ხვედრი გვარგუნეს, ახლა ასე რომ მომრავლებულან ქუჩებში და ყმუილით გვილოცავენ ახალ წელსა. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

ახლა ღორის თუ ტახის (ტახი ხომ გაველურებული ღორია) წელი მობრძანებულა... კუჭამოუვსებელ და გაუმაძღარ ღორებს, თაკმომწონედ რომ დაღრუტუნებენ ჩვენი საზოგადოების მაღალ საფეხურებზე, ღორობის ნიშნით წახალისებაღა აკლდათ?! აბა, ახლა დაურეკიან საკუთარ თუ საზოგადო გობ-

სა, ლაფავენ და ლაფავენ თვისას თუ სხვისას... წამითაც ვერ მოწყვეტთ სალაფავს, თავს ვერ ააწყვიტებთ ზეციერკენ. და თუკი ჭკადრებთ, გეყოთ, თქვე მართლაც ღორის შვილებო, ამ ღორმუცელობამ დაგეღუპა და რა გემართებათ? იქსებ თქვენი სალაფავიდან ცოტა მაინც უწილადოთ მშიერსა და ბოგანოსო, აი, მაშინ კი შეეშვებიან ხელეფას და ნეზვები თუ ტახები ჯოგად წამოვლენ, მაგრამ რას წამოვლენ! გადაქელავენ ყველაფერს, რაც გზად დახვდებათ და არც რას გაარჩევენ. ანდა ღორს საიდან უნდა ჰქონდეს უნარი გამოარჩიოს მარგალიტი ნეხვისაგან?! არა აქვს და არც ექნება! ამიტომაცაა, რომ ღორულად მიდის ქვეყნის საქმეც... „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"

ასე ცვლის წელიწადს წელიწადი, მიდის მაიმუნი და მოდის მამალი, მიდის მამალი და მოდის ძაღლი, მიდის ძაღლი და მოდის ღორი... მაგრამ ქვეყნის სასიკეთოდ არაფერი ხდება, პირუკუ, თანდათან უფრო მოკლდება დღე და გრძელდება ღამე, ნათელი კლებულობს და ბნელი მატულობს, ჭირს ჭირი ემატება და ვარამს ვარამი... მიამიტი მკითხველი გულში მაინც იკითხავს, ასე რისთვის და რატომ ხდებაო? იმისათვის, ძვირფასო მკითხველო, რომ იმ უპატრონო ქვეყანაში ეცხოვრობთ, სადაც ძაღლი პატრონს ვერ ცნობს და პატრონი — საკუთარ ძაღლსა...

მაშ, ის თეთრი მელა ვინღაა, ასე ზარზეიმით რომ ჩამოვიყვანეთ და ჩვენივე ხელით ტახტი და კვერთხი მივართვეთო — კვლავაც მკითხავენ. რა გითხრათ? როგორ შეგაგონო, ძვირფასო მკითხველო, რომ, ჯერ ერთი, ის თეთრი არ არის, წითელია, თავიდან ბოლომდე, გარეთაც და შიგნითაც, ძალზე წითელია, უბრალოდ, შინაურებისა და გარეულების თვალის ასახვევად თეთრად შეიღება და თანაც უტიფრად განაცხადა: აღარა ვარ ქათმის მჭამელი ის მელია, ბოლშევიკების ჟამს რომ ემსუნაგობდიო. ახლა მე მასონთა ძმობის საცდელ ლაბორატორიაში გარდაქმნილი მორწმუნე დემოკრატი ვარო, ერისა და ქვეყნის ბედზე დაფიქრებული და მისი გადარჩენის სურვილით მკლავებდაკაპიწებულიო. მაგრამ ყოველივე ეს სიცრუეა, ყალბია მისი სითეთრეც და გამოგონილი მისი დემოკრატობაც... ახლა ის, ათუზის გამსუნაგებული, ტახტზე მოკალათებულა, თეთრად შეღებილი ვრძელი კუდი მხარზე გადაუგდია

და [illegible] ადასტურებული ღიმილით უმზერს წელთა ცვლას, აკვირდება მაიმუნთა მანქანა- მამალთა მამლაყინწობას, ძაღლთა კუდის ქიცინს და ღორების ხელეფას. აკვირდება და კვდება სიცილით. მერე კუდს მოიქნევს და ვისაც სერს, იმას ბაბუდავს თავისი გრძელი კუდითა. ურწმუნონი მაინც არ დამიჯერებენ, მელამ შეიძლება მხოლოდ მამალი შესანსლოსო, მაგრამ, აბა, ძაღლსა და ტახს რას დააკლებსო?! საქმე ისაა, ჩემო ურწმუნო მკითხველო, რომ ტახტს უკან დიდი, თეთრი, მყრალი და ლოთი დათვი ჰყავს გადამალული. როს ნახავს, რომ თავად ვერაფერს ხდება, მსხვერპლს მელაკუდობით მიიტყუებს და იმ თეთრ დათვს დაატორინებს... მაგრამ მელიას გაიძვერობის ამბავი უკვე კარგა ხანია გახმაურდა, მას აღარ ენდობიან და არც მისი დემოკრატობის სწამთ. თანაც იმასაც ამბობენ, რომ თავად დათვიც დაუძლურდა, დიდხანს ვეღარ გაატანსო... აი, მერე კი ნახეთ, რა დღეს დააყრიან მელაკუდას, როგორ დაბრდღვნიან და სათითაოდ მოჰკითხავენ ცოდვებსა... მაგრამ ჯერხნობით ის არხეინად გრძნობს თავს, მთელი ჩვენი უბედურების შემოქმედად მოაქვს თავი და ამაყობს კიდევაც ამით... „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"

ახლა თაეი ვანებოთ იგავს და პირდაპირ ეთქვათ სათქმელი... მაინც, რა გვჭირს ასეთი უკუღმართი, ძვირფასო მამულიშვილნო, რომ მამულის და მამულიშვილის ხსენებაზე, იმის ნაცვლად, სიამაყით ვივსებოდეთ, სიძულვილითა და ზიზღით ვცახცახებთ?! (აკი ზოგიერთი „სახელოვანი" მწერალი ამას საჯაროდ იქმს.) მაინც, რა ეგოიზმი გვღრღნის, რომ ოდენ საკუთარი თავი გვიყვარს, სხვისა კი ჩირადაც არ გვიღირს?! მაინც, ასეთმა რა ურწმუნობის ხელმა დაგვრია, რომ სალოცავ ხატად და კერპად სუკ-ის გენერალი გავიხადეთ, რომელსაც ბოროტების გარდა არარა მოუტანია ჩვენი ხალხისთვის?! მაინც, რა სიბეცე შეგვეყარა ასეთი, რომ კნუტი ლომისგან ვერ გაგვირჩევია?! მაინც, რა უზნეობამ დაგვრია ხელი, რომ მტყუანსა და მართალს, ბოროტსა და კეთილს, მტერსა და მოყვარეს, ავაზაკსა და გმირს ურთიერთში ვურევთ და ვერ ვარჩევთ?! ასე როგორ დაგვასნეულეს, კაცური ღირსება დაგვაკარგვინეს, გასხვისებული ძაღლის ერთგულებაც აღარ დაგვიტოვეს?! „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"

იქნებ ეს ჩვენი დიდი ადამიანური ტრაგედია – გადაგვარება

და ცხოველ'ს დაბლა დაშვება ყოველდღიური ყოფითი უბედ'ურებიდან იღებს სათავეს, ასე გ'ულდასმით რომ მოგვიმ'ზადეს?! აბა, რას ეხდა მივაწ'ერით ეს განუკითხაობა, ქაოსი, ეკონომიკის სგრევა და განადგ'ურება?! მაკანი ბრძანებს, თავის'უფალმა ბაზარმა იცის ასეო. არა, ბატონებო, ეგ საკენკი თქვენთვის დაიყარეთ! ის, რაც გვჭირს, ე. წ. ხელის'უფლების წყალობით გვჭირს! და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ სათავეში ის იქნება, ვინც შეგნებ'ულად ანგრევს და სპობს ყველაფერს! „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"

აგერ უკვე ორმოცდაათ წელს ვითელი, საკუთარი თვალით ნანახი და გაცნობიერებ'ული ჭარბად მაქვს, ისტორიასაც მეტ-ნაკლებად ვიცნობ და შემიძლია ხატზე დავიფიცო, რომ ასეთი მძიმე წლები, პუტჩის შემდგომ რომ დაუდგა საქართველოს, არც მახსენდება და არც ვიცი. ვატყობ, არ გჯერათ ჩემი, მაშ, თავად განსაჯეთ.

ყველაფერი თავდაყირა დგას: შავი, მტვრიანი მიწა კრიალა ცისფერ ზეცობას ჩემ'ულობს, ზეცა კი მტვერში ამოგანგლ'ულა, ბოროტი და კაცისმკველი ზნეკეთილობს, ზნეკეთილი კი ჩაწიხლ'ულ-დაქცე'ულია. ქურდი და ავაზაკი მართალკაცობს და პატიოსნობს, მართალი და პატიოსანი კი ჩაწიხლ'ულ-დამცირებ'ულია. უნიჭო და უწიგნ'ური მწიგნობრობს, მწიგნობარი კი ჩაწიხლ'ულ-გათელილია. მოღალატენი ქვეყნის მხსნელობას ინემებენ და პატრიოტობენ, პატრიოტები კი ციხეში სხედან. განსასჯელები მსაჯ'ულობენ, მსაჯ'ულნი კი განსასჯელის სკამზე დაუსვამთ... ერთი სიტყვით, ისეთი ჟამი გვიდგას, როცა ვირი ლომობს, მელია – ვეფხვობს, კურდღელი – ავაზობს, ღორი – შველობს... აბა, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?"

კარგა ხანია ჩვენს ქვეყანაში არავინ არაფერს აკეთებს. და თუ ვინმე რამეს იქმს, თავის საქმესა და ხელობას არ მისდევს. გლეხს თოფი უჭირავს, მებრძოლს – კარის სატეხი, ვაჭარს – ფილოსოფიური ტრაქტატი, ფილოსოფოსს – გასაყიდი საქონელი, დირიჟორს – ქირურგის ლანცეტი, ექიმს – სადირიჟორო ჯოხი, მშენებელს – დამანგრეველი ურო, მსატვარს – ტყვიამფრქვევი, მსახიობს და მწერალს – „კალაშნიკოვი", მღვდელმსახურს – მეეახშის დაეთარი, პროვინციელ ფერშალს – მბრძანებლის კვერთხი და მისთ... ამიტომაც არის,

რომ სრული ქაოსი მძვინვარებს: უმუშევრობა, უხელფასობა, უსინაზღვლობა, უწესლობა, უგზოობა, უპურობა, მათხოვრობა, აკადემიოფობა, უსახლკარობა, მიუსაფრობა და, ბოლოს, შიმშილითა თუ გათოშვით სიკვდილი. საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცი – სწორედ რომ ჩვენზეა ნათქვამი. დღეს ქართველ კაცს მხოლოდ ერთი საზრუნავიღა დარჩა, როგორმე კუჭი ამოიევსოს და შიმშილით სული არ განუტევოს. დღე და ღამ დაძრწის და ითვერ იშოვა რაიმე – ვაი, თუ იშოვა – მაინც ვაი. თქვენ მეტყვით: კი მაგრამ, თუკი იშოვა, ვაი რაღა შუაშია?! ნუ ანქარდები, ძვირფასო მკითხველო, და წვრილად მოგახსენებ: კაცი რამეს რომ შეჭამს, ხომ უნდა მოინელოს?! მონელებას ტუალეტის ქაღალდი ხომ ესაჭიროება?! მერე, იცით რა ღირს ის? ორი ათასი მანეთი! ე. ი. პროფესორის ორი თვის ხელფასი. ჰა და ჰა, თუ გაწვდება. შევეშვათ ტუალეტის ქაღალდს. ვთქვათ, თავი გავწირეთ და გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოვიყენეთ შესაბამისად. წყალი ხომ მაინც არის საჭირო ჩასარეცხად?! მერედა, სად არის წყალი?! სოლოლაკსა და ავლაბარზე რომ არაფერი ვთქვათ, ისეთ პრესტიჟულ უბნებშიც – ვაკე და ვერა რომ არის (არ დაგავიწყდეთ, ეს უბნები „დემოკრატიული რევოლუციის“ აკვნებია) ოთხ დღეში ერთხელ თუ წამოწანწკარდება წყალი. ჰოდა, აყროლდა ვერა და ვაკე, სოლოლაკზე და ავლაბარზე უფრო მეტადა. ხომ გაგიგიათ – ზოგი ჭირი მარგებელიაო, ეტყობა, იქ უფრო შოულობენ საჭმელსა! ღმერთმა შეარგოთ! მაგრამ ეს არის, ჩვენკენ ნაკლებ იგრძნობა „დემოკრატიული რევოლუციის“ შედეგად ამოფრქვეული სურნელი... ჰოდა, რა გასაკვირია, რომ, როცა წყალი წამოწანწკარდება, თბილისელების ოჯახებში ისეთი ჟრიამული იწყება, გეგონებათ მექარავნეებმა უდაბნოში ოაზისს მიაკვლიესო, ხოლო შუქის ჩართვას ყოველგზის ისეთი აჟიოტაჟით ხვდებიან პატარებიც და დიდებიც, რომ არა მგონია მეორე მსოფლიო ომის დამთავრებას ასეთი აღტყინებით შეხვედროდნენ შვილის მომლოდინე დედები... ეიცი, ახალ წელს ამგვარ რამე-რუმეებზე არ უნდა ღლაბუცობდეს კაცი, მაგრამ რაც მე გითხარით, სრული ჭეშმარიტებაა და არა საახალწლო ხუმრობა. ამას ყველა დამიდასტურებს – მამალი პუტჩისტიც და შეურიგებელი ოპოზიციონერიც.

ასეთ გაჭირვებულ ყოფას კიდევ ავიტანდით, ამის ფასად

თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო რომ აგვეშენებინა. მაგრამ ეს, რომ ყველაფერი უკუღმა ტრიალებს.. ეს ყოველივე იმიტომ დაგვმართეს, რომ თავისუფლება მოვინდომეთ; იმიტომ დაგვმართეს, რომ პირველებმა აეიმაღლეთ ხმა დამოუკიდებლობის ძნელად სავალ გზაზე. ახლაც იმიტომ გვაგდებენ ამ დღეში, რომ სიტყვა თავისუფლების გახსენებაც შეგვაჯავრონ. სურთ ჩვენი აზროვნებიდან, ფიქრიდან ამოძირკვონ დამოუკიდებლობის ცნება. ესწრაფვიან ყურმოჭრილ მონებად და მანქურთებად გვაქციონ, ძვირფასო ქართველო ხალხო. „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"

ჩვენი უბედურება მხოლოდ პირადული შეჭირვებითა და პიროვნული დამცირებით რომ მთავრდებოდეს, კიდევ გაუძლებდა კაცი ამ გაუსაძლისს. მაგრამ რაც უფრო აუტანელია, ქვეყანა დაგვინგრიეს, დაგვიშალეს, დაგვიქუცმაცეს... ძირძველი მიწები აფხაზეთისა და სამაჩაბლოსი თავხედურად ჩამოგვაჭრეს, იქაურობა ქართველთაგან გაწმინდეს, ქართველთა სახსენებელი მოსპეს, ქართველთა ნიშანიც ამოძირკვეს... უამრავი ქართველი უსახლკაროდ დაგვიტოვეს... უამრავი ქართველი მოსპეს, გაანადგურეს, უსაფლავოდ მიაგდეს... ვინ არის ყოველივე ამის შემოქმედი? ეს ძნელი მისახვედრი არ არის, თუ მთლად არ დაგვიკარგავს თვალის ჩინი და აზროვნების უნარი. ყოველივე ამას უნდა ვუმადლოდეთ იმ მყრალ დათვს, რუსეთის იმპერია რომ ჰქვია სახელად, და თეთრ მელად წოდებულ მის მსტოვარს, რომელსაც ბავშვობაში ედუარდი შეარქვა ამბროსიმ, ხოლო ასაკში – გიორგი უწოდა ილიამ. დიახ, ამ დათვისა და მელას წყალობით გვჭირს რაც გვჭირს. არადა, როგორი თვალთმაქცობით ირგებენ დემოკრატის ნიღაბს ერთი თუ მეორე, მაგრამ, ხალხნო, გინახავთ დემოკრატის ფრაკში გამოწყობილი დათვი და მელა? თუ მულტფილმებში მაინც გინახავთ, უდავოდ იმასაც შეამჩნევდით, რომ დემოკრატიის თარგზე გამოჭრილი ეს ფრაკები ისევე არ უხდება დათვსა და მელას, როგორც ცირკის სპილოს – ქართული ჩოხა-ახალუხი... „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?"

ახალი წელი დადგა და საიმედოს და სასიკეთოს ვერას გეუბნებით... ეს კი ვიცი, რომ, დიდი ილიასი არ იყოს, „შეიძლება სომეხმა გუთანს მოჰკიდოს ხელი. ქართველმა – დუქანს. – შეიძლება ქართველი კაცი ისე გამოკეთდეს, რომ არამ-

ცოუ ძმამ ძმას უმტროს და აბუსდოს, არამედ სხვისი მტრობაც შეუსაროს...“

შეიძლება ქართველმა ქართველი დაინდოს და ტყვია აღარ ესროლოს.

შეიძლება ქართველს თავისი მოყვასის სიკეთე აღარ შეშურდეს.

შეიძლება გადაგვარებულ ქართველსაც გული შეუტოკდეს საქართველოს ხსენებაზე.

შეიძლება ჩვენში მართალმა სიტყვამაც გაჭრას და შედეგიც გამოიღოს.

„შეიძლება ჩვენი მტკვარი დოდ იქცეს, გორის ციხე ჯამად, იალბუზი ჯამში ჩაყრილ მჭადად, მცხეთის ხიდი კოვზად...“

ყოველივე ეს შესაძლოა, მხოლოდ ოთხი რამ არის შეუძლებელი: ერთი – პუტჩისტების ჭეშმარიტ ქართველებად მოქცევა, მეორე – რუსეთმა იმპერიული ზრახვები მოიშალოს, მესამე – ე. შევარდნაძის გაქრისტიანება და გაპატრიოტება, მეოთხე – ამ ე. წ. ხელისუფლების ხელში საქართველოს გადარჩენა!

დიახ, ამაში ისევე ვარ დარწმუნებული, როგორც ვიცი, რომ სატანა ანგელოზად ვერ გადაიქცევა. ამიტომაც რა გითხრა, ჩემო მშიერ-მწყურვალო, დაუპურებელო, გათოშილო, მიუსაფარო, მოძალადის ჩექმით ჩაწიხლულო, მაგრამ ამაყო ქართველო ხალხო?! ისევ დიდი ილიას სიტყვებს შეგახსენებ:

„არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის, უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგავართ და საკმაოა ხელი გვკრან – და შიგ გადავიჩეხებით დედა-ბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის... ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგავართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდამ არა გამოდის-რა... ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგან გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მაინც აღარა სთქვას: რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“

მართლაც და, ამის მეტი ამ ღორის წელიწადს რა გითხრათ? რით გაგახაროთ? მომიტევეთ, თუ საიმედო და გასახარელი ეერაფერი გითხარით!.. მაგრამ ღრმად მწამს, რომ დღეს მართალი და მწარე სიტყვა უფრო გვარგებს, ვიდრე ყალბი და დამაამებელი... ისიც უწყოდეთ, რომ მიმდინარე წელი ბევრ რამეს ნათელს მოჰფენს... სწორედ წელს გადაწყდება, უწერია საქართველოს სიცოცხლე თუ არა. ამიტომაც გავიდა ჟამი ჩირგვებში შეყუჟვისა, სამოღვაწეო ასპარეზზე გამობრძანდით, მამულიშვილნო, რამეთუ ბოროტება თავისთავად არ გადაშენდება და მასთან ბრძოლა გვმართებს სიკეთის ძალისხმევით!..

მაღალი ღმერთი არ გაწირავს სიმართლისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ერს!..

1995 წელი

ღალატი... ღალატი... ღალატი...

„გადმოხედა ღმერთმა ქვეყანას და,
აჰა, წარყენილიყო იგი, რადგან გაერყვნა
ყოველ ხორციელს თავის ზნე ამ ქვეყანაზე“.
(დაბადება 6, 12)

საქართველოს ბედის გაუკუღმართებას უმთავრესად ღალატი ასაზრდოებდა. ღალატმა დაგვღუპაო, ხშირად გაიგონებდით და გაიგონებთ დღესაც. ამ სიტყვებში გამოსჭვივის ის სიმართლე, ისტორიული სინამდვილით რომ მტკიცდება. ეს ყოვლად დასაგმობი თვისება არ არის ოდენ ჩვენთვის ნიშანდობლივი და ყველა ერს ახასიათებს მეტ-ნაკლებად. მაგრამ მას განსაკუთრებით სავალალო შედეგები მოაქვს მცირერიცხოვანი ხალხებისთვის. ხდება ხოლმე ასეც, რომ ერთი პიროვნების ვერაგობას და ღალატს ეწირება მთელი ერის თავისუფლება და, თუ გნებავთ, არსებობაც კი. ისტორიაში ამის დამამტკიცებელი მრავალი ფაქტი მოიპოვება. შორს რომ არ წავიდეთ, ჩვენი ისტორიის გახსენებაც კმარა: **თითქმის ყოველთვის, როცა საქართველო დამოუკიდებლობისა და ერთიანობისათვის იბრძოდა, მზაკვრობა და ღალატი იჩენდა თავს ქართველთა შორის და სწორედ ამის გამო ხელმოცარულნი ვრჩებოდით ხოლმე.**

ოქროს ზოდები არასოდეს თავზე არ გადაგვდიოდა, თუკი ოქროს საწმისი მოგვპარეს (ისიც მზაკვრობითა და ღალატით!), ეს მხოლოდ ჩვენი ინტელექტუალური (ოქროს მოპოვების ცოდნა) განძარცვა იყო. მაგრამ მტერი ყოველთვის ლამობდა, ჩვენთვის წაეღლიტა ადამიანისა და ერისათვის უძვირფასესი რამ — თავისუფლება და ჩაეკლა იმის სურვილი, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს!

საგულისხმოა ისიც, რომ ქართველთა მტერი ყოველთვის გამოირჩეოდა მრავალრიცხოვნობით, მაგრამ იგი მაინც ამჯობინებდა მზაკვრული ხერხებით ჩვენს დაჯაბნვას. ამისთვის

ის, უპირველეს ყოველისა, თავად ქართველთა შორის აშზადებდა ნიადაგს და კარგად დამუშავებულ „ღალატის მოდელს“ ამოქმედებდა. გაეიხსენოთ ზოგიერთი ეპიზოდი ჩვენი წარსულიდან, ასე ცხადლივ რომ გვაგონებს დღევანდელობას და მძიმე ფიქრსაც აღგვიძრავს:

V საუკუნის საქართველო... ქვეყნად სპარსელები მძლავრობენ, მაგრამ „აზნაურნი დიდ-დიდნი და ზეპურნი დედანი“ მშვენიერად გრძნობენ თავს და ქართლის ბედი არ ანაღველებთ. პირუკუ, ისინი ღიად თუ მალულად ებრძვიან მეფე ვახტანგს, რომელიც დამოუკიდებლობისთვის იღვწის. სპარსნი მოღალატეს ეძებენ. ნახეს კიდეც – ქართლის ერისთავი ვარსქენი, რომელმაც რჯული შეიცვალა, გამაზდეანდა, უარყო ყოველივე ეროვნული და სანაცვლოდ პიტიახშობა მიიღო.

უფრო სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი მტრები ახერხებენ უფლის მსახურთა გადაბირებასაც. იმდროინდელი ქართლის ეკლესიის მეთაურმა მიქაელ ეპისკოპოსმა, როცა გაიგო, რომ ვახტანგი სპარსთა წინააღმდეგ აჯანყებას აპირებდა, დაწყევლა იგი, ხოლო როცა მეფე შეეცადა მის შემორიგებას და თავად ეახლა მღვდელმთავარს, ამ უკანასკნელმა წიხლი ჩასცხო ვახტანგს. დიახ, ის, ვინც ქრისტეს სჯულისა და ეროვნული სულის უპირველესი დამცველი უნდა ყოფილიყო, თავად მოგვეველინა რჯულის გამყიდველად და ანტიქრისტედ.

დასასრულს, გულმოსაკლავი ის არის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი მეფე საბოლოოდ მისივე ქვეშევრდომთა ღალატით დამარცხდა, ხოლო თვითონ იგი ასევე გამცემი ქართველის ხელით ვერაგულად განგმირულ იქნა!..

IX საუკუნე... არაბებისგან წელში გაწყვეტილი საქართველო თანდათან სულს ითქვამს, ტაო-კლარჯეთის მხარეს შენდება რელიგიურ-კულტურული კერები, ყალიბდება ერთიანი საქართველოს პოლიტიკური კონცეფცია და ქართული იდეოლოგია, ქრისტიანობაზე დაფუძნებული... იწყება ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებისა და გაერთიანებისათვის. ამ ბრძოლას სათავეში უდგება აშოტ I კურაპალატი. მტერმა კვლავ ციხის შიგნიდან გატეხვა მოინდომა. თბილისში გამაგრებული საჰაკ ამირი მალულად უკავშირდება გარეწარ, კარიერისტ ვინმე ცქირს, რომელიც იყო „ტფილისს აღხრდილი საჰაკ

ამირისა ისმაელის ძისგან". ამ ნაძირლებმა მოინდომეს ხანძოის ტაძრის დანგრევა და გრიგოლისა და აშოტ I განადგურება. მართლაც, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი აშოტ კურაპალატი ღალატით სიცოცხლეს გამოასალმეს.

XVI საუკუნე... სპარსელებს გმირულად ებრძვის სვიმონ მეფე. მტერი ნაცად ხერხს მიმართავს – გადაიბირეს ფეოდალები, მოისყიდეს მეფის ძმაც, რჯულშეცვლილი დავითი. შაჰმა მას ქართლის მეფობა უწყალობა. მაგრამ რენეგატი რამდენიმეგზის დამარცხდა მეფესთან ბრძოლაში, თუმცა გადამწყვეტ შერკინებაში გამყიდველი კახაბერ ყორღანაშვილის შემწეობით სვიმონი სპარსელებმა დაატყვევეს.

XVII საუკუნე... შაჰ-აბასი ცდილობს საქართველოს დამონებას. იგი მოღალატეებში ეძიებს დასაყრდენს. პოულობს კიდეც: მოხდა გაუგონარი რამ – მეფე ალექსანდრეს კლავს მისივე შვილი, გამაჰმადიანებული კონსტანტინე, მირზად წოდებული. საქართველო აივსო მოღალატე ქართველებით, რომლებიც ხალხს არწმუნებდნენ, რომ შაჰი უძლეველი იყო, მას მხოლოდ სიკეთე უნდოდა კახეთისათვის. მოღალატეთა ამგვარი აგიტაციით ქართველები შედრკნენ და ბრძოლა არ ისურვეს. შაჰმა ჯერ კახეთი აიღო, შემდეგ – ქართლი...

XVIII საუკუნე... ერეკლე მეფეს თავადები ყოველ ნაბიჯზე ღალატობენ. მათ შეთქმულებას სათავეში პაატა ბატონიშვილი ჩაუდგა, რომლის სადგომიც, „მარკოზაშვილის დარბაზად" მონათლული, შეთქმულთა ბუდედ გადაიქცა. „მარკოზაშვილის დარბაზელთა" აქტიური აგიტაციის წყალობით მეფე ერეკლემ ვერ შეძლო ლაშქრის შეგროვება აღა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ და კრწანისის ბრძოლა წააგო... სწორედ ამ შინაგამცემების დიდი დამსახურებაა, რომ მხცოვანმა მეფემ, რომელმაც ამდენ ღალატს ვერ გაუძლო, თავის სამწყსოს ვეღარ უპატრონა და ქვეყნის ბედი ჩრდილო დამპყრობელს დაუკავშირა!

XIX საუკუნე... 1832 წელს მზადდება შეთქმულება რუსთა წინააღმდეგ, რომელსაც მონობის უღელი უნდა დაემსხვრია, მაგრამ ქართველმავე გასცა იგი. მრავალი ღირსეული მამულიშვილი შეეწირა ამ ღალატს, მრავალიც გადაასახლეს და დაატყვევეს.

XX საუკუნე... 1907 წელს წიწამურთან გავარდა გადაგვარებული და მოსყიდული ქართველის ტყვია... მოკლეს ილია, ეროვ-

ნული ბრძოლის თავაკაცი, ქართული ცნობიერების სული და გული.

1921 წელი... რუსეთის წითელი არმია, მოღალატე ქართველის სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, ასევე მოღალატე სტალინის ნებას რომ ასრულებს, საქართველოს იპყრობს. ჭეშმარიტი მამულიშვილები კოჯორთან ბრძოლაში ეწირებიან წითელ ურჩხულს, მოღალატე ქართველი ინტელიგენცია კი პურმარილითა და ზარ-ზეიმით ეგებება დამპყრობელს...

1924 წელი... ქართველები აჯანყებისთვის ემზადებიან. მთელი საქართველო ფეხზე დგას. მაგრამ კვლავ ღალატი... და ხვრეტენ საუკეთესო ქართველებს, ერის რჩეულ შვილებს...

სამწუხაროდ, ქართველთათვის თავისმომჭრელი ფაქტების გახსენება დაუსრულებლივ შეიძლება. ერთმა მწერალმა და ისტორიკოსმა ამოკრიბა ისტორიიდან ქართველთა შემარცხვენელი სამასზე მეტი ფაქტი. ამოკრებით კი ამოკრიბა, მაგრამ ღრმად არ გაუანალიზებია, რა დამღუპველი იყო ეს სენი ერისათვის. კარგად რომ გაეანალიზებინა, იქნებ იქ არ შეჩერებულიყო, სადაც ყველაზე დიდი გამომზეურება უნდა დაეწყო. იქნებ იქ არ დადუმებულიყო, სადაც ყველაზე ხმამაღალი ყვირილი მართებდა. იქნებ იმაზეც არ დაეხუჭა თვალი, რაც ყველაზე მძაფრად უნდა აღექვა.

ჩვენი ფიქრიც XX საუკუნის შემზარავ ღალატს დასტრიალებს და თუ წარსულს გადავაველეთ თვალი, მხოლოდ იმიტომ, რომ დღევანდელობა უფრო ნათლად და ფხიზლად აღვიქვათ. გავისიგრძეგანოთ ის უბედურება, რაც კვლავაც ქართველთა გამცემლობითა და ღალატით დაგვატყდა თავს!

მაგრამ ვიდრე XX საუკუნის ბოლო წლებში ჩადენილი ღალატის სიღრმისეულ შრეებში ჩავიხედავდეთ, მოკლედ ავხსნათ, რით ხასიათდება და რა ასაზრდოებს მოღალატის ბუნებას. საერთოდ, რას ეფუძნება ღალატის მოდელი.

* * *

ჯერ ის ვთქვათ, რატომ დაინერგა ასე წარმატებით ეს მოდელი ქართულ სინამდვილეში! ჩემი აზრით, ამას აპირობებს როგორც სუბიექტური, ასევე ობიექტური მიზეზები. სუბიექტურია ქართველთა ხასიათი, რომლის ხერხემალსაც ქმნის პატივმოყვარეობა და ძალაუფლებისკენ სწრაფვა; ხოლო ობი-

ექტურად შეიძლება მიეთვალოთ საზოგადოების ერთგვარი ინდივიდერესტული დამოკიდებულება ნადენილი დანაშაულისადმი. ერთგვარი მიმტევებლობა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, უადგილო დიდსულოვნება...

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, თუ რა მტკიცენი არიან ებრაელები, როცა საქმე ეხება მათ რწმენასა და ტრადიციებს. და იქვე ისიც შევნიშნოთ, რომ ეს სიმტკიცე ბევრწილად განაპირობა სწორედ საზოგადოებრივი აზრის შეუვალობამ და მოსეს რჯულის კანონის სიმკაცრემ. საკმარისი იყო მცირე დარღვევა ტრადიციისა თუ კანონისა, რომ დამრღვევი მკაცრად დასჯილიყო. დედ-მამის დაწყევლისათვის შვილი მკაცრად ისჯებოდა (გამოსვლათა 21, 17; ლევიანთა 20, 9); ვინც გათხოვილ ქალთან იმრუშებდა, სიკვდილით ისჯებოდა (ლევიანთა 20, 10); კაცი კაცთან თუ იმამათმაველებდა, სიკვდილი ელოდა ორივეს (ლევიანთა 20, 13) და სხვ. და ეს არ იყო მხოლოდ ბიბლიური შეგონებანი, ის უსიტყვოდ სრულდებოდა ცხოვრებაშიც.

ქართველთა შორის უდიდესი ცოდვა — მოყვასის და ერის ღალატიც კი თითქმის საზოგადოების რეაგირების გარეშე რჩებოდა. აბა, გავიხსენოთ თუნდაც ერთი ფაქტი, როცა ღალატს საყოველთაო აღშფოთება გამოეწვიოს, მოღალატეს საკადრისი მიზღოდეს და ერთხმად დაგვეგმოს და შეგვეჩვენებინოს მისი გვარი და ჯილაგი! ამაოდ დაშვრები, ძვირფასო მკითხველო, ასეთ ფაქტს ვერ მოიძებ!

სწორედ ამიტომაც ღალატი და მოღალატენი ყოველთვის ჭარბობდნენ განმკითხავს და მკვიდრდებოდა ქართულ სინამდვილეში ეს ყოვლად დასაგმობი თვისება, რასაც სათანადო შეფასება არ ეძლეოდა და საკადრისად არ ისჯებოდა მისი ჩამდენი. როგორც ჩანს, რწმენა იმისა, რომ უფალი ყველას მოჰკითხავს, საკმარისი არ ყოფილა. საჭირო იყო გააფთრებული ბრძოლა, რათა ეს სენი ამოგვეშანთა ქართველთა შორის...

ამ ბრძოლაში უპირველესი სიტყვა უნდა ეთქვა ეკლესიას, მერე საზოგადოებრივ აზრს, მერე კანონს, დასასრულ კი, ხალხს...

რისხვის ზარები უნდა დაგვერისხებინა!

მოღალატეები უნდა მოგვეკვეთა, გაგვედევნა!

მათი გვარი და ჯილაგი ანათემისთვის უნდა გადაგვეცა!

სამუდამო საწყევრისთვის უნდა გაივლიტებინა!

ჩვენ კი რას ვიქმოდით?! ილიას მკვლელს პენსია დაუნიშნეთ, საქართველოს დამპყრობელი და დამაქცველი ს. ორჯონიკიძე გავაღმერთეთ, მამის ხსოვნის შეურაცხმყოფელი, საკუთარი მშობლის სურათის საქვეყნოდ დამცხრილავი ლ. ღოღობერიძე ქვეყნის სათავეში დავსვით, მამის დამსმენი პავლიკა მორეზოვი გმირად გავიხადეთ; ჰოდა, რა გასაკვირია, რომ 37 წლის დამსმენები დიდებით შევმოსეთ, მკერდი ორდენებით დავუმშვენეთ და, რაც მთავარია, ერის რჩეულად წარმოვაჩინეთ. აი, ამგვარმა უზნეობამ, განურჩეველობამ, ახლომხედველობამ და ბეყეირათობამ დაგვღუპა და ამ დღემდე მოგვიყვანა...

ყველაზე დიდი საწუხარი ის არის, რომ დღესაც ამ გზას ვადგავართ, ასევე ვირჯებით, უღირსთ და მოღალატეებს ღირსების ორდენით ვაჯილდოვებთ!.. მაგრამ ვიდრე მთავარს ვიტყოდეთ, მოღალატის ტიპიურ ნიმუშებსა და მისი ბუნების არსებით წახნაგებზე უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა. თუ მოღალატეთა გალერეას გადავავლებთ თვალს, შემდეგ საერთო შტრიხებს შევამჩნევთ:

მოღალატე, უპირველეს ყოვლისა, ეგოცენტრიკოსია, რომელიც თავს მიკროსამყაროდ წარმოიდგენს და მიაჩნია, რომ იგი არის ჭეშმარიტების განმსაზღვრელი ერთადერთი საზომი. მისი უბედურებაც აქედან იწყება: საკუთარი თავის ბრმა სიყვარული, რომელიც უნლუნგებს საღი განსჯის უნარს, ავიწყებს მას, რომ ეთიკური კრიტერიუმები მიმართებით ხასიათს ატარებს და კარგისა და ცუდის განსაზღვრაც შეიძლება მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის ფონზე, რომელიც მრავალი ინდივიდის სუბიექტური ფიქრის შეჯერების შედეგია. ეგოცენტრიკოსი იღვწის საკუთარი ნება მოახვიოს საზოგადოებას და, როცა წინააღმდეგობას აწყდება, ლამობს ძალაუფლების მოპოვებას ნებისმიერი ხერხით, რათა ძალით დაიმკვიდროს თავი ღირსების კვარცხლბეკზე. სადაც არა ჭრის ძალმომრეობა, იქ თავმოთნეობას და ლიქნს ეძლევა, ფარისეველობს, ფეხებს ულოკავს ხელმწიფეს, რათა ერთი საფეხურით ამაღლდეს კარიერის კიბეზე. მისთვის უცხოა ღირსების გრძნობა, უცხოა ჭეშმარიტი სიყვარული საქმისა, ოჯახისა, ხალხისა, ქვეყნისა... მას არ გააჩნია რწმენა საკუთარი თავისა, საერთოდ, ურწმუნოა და მხოლოდ სხვათა თვალის ასახვევად მორ-

წმუნედ მოაქვს თავი. უნიჭობის გამო თავისი ხელმოცარულობის დაძლევა სურს სხვათა ჩაწიხვლითა და უფსკრულში გადაჩეხვით. ბოდმა, შური და სიძულვილი, სიმხდალე, გულნამცეცობა და არაკაცობა – აი, ის ატრიბუტები, უკლებლივ რომ ახასიათებს მოღალატეს... ამავე დროს, მოღალატე უმეტესად უცხოტომელია, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გენეტიკური დიეერსანტია", ვინმე ბახჩოიანია ან ჩილინგაროვა, ქართულ გვარს ამოფარებული... ერთიც უნდა ითქვას, როგორც წესი, მოღალატე უცხოეთშია გამობრძმედილი, პოლიტიკური თუ სამხედრო სკოლაგამოვლილი, უცხოეთის მზაკვრული დიპლომატიის ქვაბში გადახარშული და მათი სულისკვეთებით გაჟღენთილი; ამის გამო მისთვის სამშობლო, ეროვნული ცნობიერება და კულტურა ისეთივე უცხო ხილია, როგორც ღორისთვის ობოლი მარგალიტი.

საერთოდ, პატარ-პატარა ცთუნებებით იწყება ღალატი. ის წააგავს ქალს, რომელიც ჯერ ხელს მოგათათუნებინებს, მერე გაკოცნინებს, შემდგომ ქალიშვილობასაც შემოგწირავს და, ბოლოს, თუ სხვასთანაც გადაინაცვლებს, როგორც იტყვიან, ხელიდან წავა... წავა და წავა. ღალატიც ასეა: ჯერ საკუთარ პრინციპს უღალატებ, მერე ოჯახს გაწირავ, მერე ძმას და მეგობარს უმუხთლებ, შემდგომ რწმენას შეიცვლი და, ბოლოს, საკუთარ ხალხსა და სამშობლოს ოცდაათ ვერცხლად დაახურდავებ და ჩადენილი დანაშაულისთვის სინდისის ქენჯნასაც არ იგრძნობ, რადგან შენში მოხდა ზნეობრივი გადაგვარება, რაც დაფუძნებულია უკეთურებასთან თანდათანობით შეგუების პრინციპზე.

ახლა მივუბრუნდეთ მთავარ სათქმელს. ის, რაც 90-იანი წლების საქართველოში მოხდა, იყო საუკუნის ღალატი, თავზარდამცემი და გონით მოუაზრებელი. მავანი შეიძლება არ დამეთანხმოს და თქვას, ღალატი ღალატია და, თუ მას ერისათვის დამღუპველი შედეგები მოაქვს, მისი განსაკუთრებულობის ნიშნით გამიჯვნა მხოლოდ ემოციას აყოლილი პუბლიცისტის ილუზიაო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ისიც უდაოა, რომ წაკითხული სხვაა და საკუთარი თვალით ნანახი და განცდილი – კიდევ სხვა. ეტყობა, ამ განცდილის სიმძაფრე მაფიქრებინებს, რომ ჩვენ თვალწინ დატრიალებული ტრაგედია მართლაც განსხვავდებოდა სხვა ამგვარი ცოდვათდაცემისაგან და ის თავისი მასშტაბურობით საყოველთაო ხასიათს ატარებს.

დიახ, XX საუკუნის დასასრულს დატრიალებული ტრაგედია იმითაც არის გამორჩეული, რომ ამ დროს ღალატმა საყოველთაო, ტოტალური ხასიათი მიიღო, რაც ერთობ დამაფიქრებელია. მაგრამ განსაცვიფრებელი არაა, რადგანაც დამპყრობელი — ჩვენი „უფროსი ძმა", ამისათვის სამოცდაათი წელი გვამზადებდა. მუშაობდა სახელმწიფო მანქანა, რომლის ერთადერთი მიზანი იყო შეექმნა მოღალატე მანქურთი, ეროვნულობის გრძნობისგან სავსებით რომ იყო დაცლილი. მიზნის მისაღწევად სხვადასხვა მეთოდებს იყენებდნენ. ისინი, ვინც მოღალატის მოდელს ვერ მოერგნენ, უბრალოდ ფიზიკურად გაანადგურეს, დიდ ნაწილს „გულაგის არქიპელაგის" წვრთნა გაატარეს და თუ სულიერად ვერ გატეხეს, ფიზიკურად ისე დააუძლურეს, რომ ამბოხის ძალი აღარ შესწევდა. არანაკლებ იყენებდნენ წახალისების მეთოდსაც, უღირსებს და უნიჭოებს აწინაურებდნენ, სახელით და დიდებით მოსავდნენ, დაუმსახურებელ პატივს მიაგებდნენ. ასე და ამგვარად შექმნეს წითელი ინტელიგენცია, რომელიც საკუთარი იდეოლოგიის რუპორად აქციეს. ჩამოაყალიბეს მორჩილთა კასტა, რისთვისაც სხვადასხვა ასაკობრივ მომზადებას გაედიოდით: ჯერ უნდა გაგვეველო პიონერთა რიგები, მერე კომკავშირში გვესახელა თავი და ბოლოს პარტიულობის მანდატით ვაღებდით ყველა სასურველი საგანძურის საკეტს.

ამასთანავე, არ ავიწყდებოდათ უმთავრესი — ადამიანში უნდა ჩაეკლათ უფლის რწმენა, რომელიც ზნეობრივი ცხოვრების ძირითადი საყრდენი იყო. ამიტომაც ჯერ დაიწყეს ეკლესიების ნგრევა და მერე მათი წაბილწვა, თავისი აგენტების სამღვდელოებაში დამკვიდრება, რათა ამ უკანასკნელთ საჭირო ჟამს თავისი ანტიქართული სიტყვა ეთქვათ...

ადამიანის გასატანების ამ ბოლშევიკური მოძღვრების ძირითადი მიზანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის იყო, რომ ადამიანის ცნობიერებაში ჩაეკლათ ეროვნული გრძნობები და წინ წამოეწიათ ინტერნაციონალური, კოსმოპოლიტური თვალთახედვები, უმთავრესი იყო პროლეტარიატის სოციალური ლოზუნგებით გაერთიანება და არა ეროვნული მრწამსით დარაზმვა. პირუკუ, ეს ერთობა საძრახის და საშიშ მოვლენად იყო მიჩნეული. ამ იდეოლოგიას ახორციელებდნენ ე. წ. შემოქმედებითი ინტელიგენციის შემწეობით და თუკი ვინმე პიროვნუ-

ლი ხასიათის და საკუთარი თავგანწირვის წყალობით ხმას აიმაღლებდა ერის სადიდებლად, ის უდავოდ განიცდიდა დევნა-შეკიწროებას და რეპრესიებს...

ყოველივე ზემოთქმულს თუ გავითვალისწინებთ, მაშინ მარილაც არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ რატომ შებღალა ერის ერთმა ნაწილმა ასე იოლად ეროვნული ინტერესები, რატომ დაემონა მხოლოდ ბიოლოგიურ, პირადულ ინსტინქტებსა და გრძნობებს და რატომ ჩააფურთხა ასე უღმერთოდ სამშობლოს სულში.

მაგრამ მოვიდეთ პირველსავე სიტყვას. დღეს ყველამ, მათ შორის ბავშვმაც კი იცის, თუ რა უბედურება დატრიალდა საქართველოში, ვინ დაატრიალა ეს უბედურება და რატომ დაატრიალეს უკუღმა ქვეყნის ბედის ჩარხი! თუმცაღა მაინც ვეკითხებს ამის გახსენება: XX საუკუნის დასასრულს საბჭოთა იმპერია ინგრევა, დაპყრობილ რესპუბლიკებს დამოუკიდებლობის მოპოვების შანსი ეძლევათ; პირველი ამას ახერხებს საქართველო. ჭეშმარიტი ეროვნული ძალები, რომელსაც სათავეში უდგას ორი თავდადებული მამულიშვილი — ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა, ახერხებენ მშვიდობიანი გზით კომუნისტური რეჟიმის დამხობას და ამ ურჩხულის ნამსხვრევებზე აგებენ დემოკრატიულ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს. მთავარი ის არის, რომ საქართველო იბრძვის სრული დამოუკიდებლობისათვის და ფაქტობრივად ახერხებს ამას, იწყება ამ ფაქტის დე-იურე აღიარებაც!

რა შეიძლება ამაზე ღირსშესანიშნავი მომხდარიყო ერის ცხოვრებაში?! ეფიქრობთ, არაფერი! მაგრამ მტერი არ მომკვდარა, ის მხოლოდ გალურსულია, იმკვდარუნებს თავს, კბილებს აღრჭიალებენ ჯერ გორბაჩოვი, მერე ელცინი. ე. წ. „დემოკრატიული“ რუსეთი, რომელსაც სურს მსოფლიოს ახალ ამპლუაში წარუდგეს, აშკარა აგრესიის გზას ვერ ადგება. ამიტომ მზაკვრულ გეგმას ბლანდავს, სურს რევანშის აღება. ეძებს თანამზრახველებს. უპირველეს ყოვლისა, თავად ქართველებში და პოულობს კიდეც სულგაყიდულ და გადაგვარებულ ეარსქენებს, ცქირებს, შადიმანებს, ბერბიჭაშვილებს, ორჯონიკიძეებს და მისთ...

კაგებე გულდაგულ მუშაობს. არჩევს შესაფერის კანდიდატურებს, რომლებიც მოღალატის სქემას ზუსტად ესადაგები-

ან. როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი ვარსქენი, რომელსაც დაეკისრება საქართველოს ნანატრი თავისუფლების ჩაწიხელა და მისი საბოლოოდ მოსპობა? ის უნდა ყოფილიყო, უპირველეს ყოველისა, ერწმენო, ნაწრთობი ბოლშევიკური იდეოლოგიის ქურაში. მერმე ის უნდა ყოფილიყო კარიერიზმით დაავადებული, კომკავშირულ-პარტიული თანამდებობრივი საფეხურები წარმატებით რომ ქონდა გავლილი; ამასთანავე, მას რუსეთში ცხოვრებისა და მუშაობის გარკვეული სტაჟი უნდა ქქონოდა, რათა საბოლოოდ განწმენდილიყო ყოველგვარი ნაციონალობისგან. მოჩვენებით ის პატრიოტიც უნდა იყოს, მწიგნობარიც, კაცთმოყვარეც და დემოკრატიც, მაგრამ სულის სიღრმეში უნდა იყოს მოძულე თავისი სამშობლოსი, წიგნიერებისა და, საერთოდ, ადამიანისა და ყოველგვარი სათნოებისა. ამავე დროს, მას სახელიც უნდა ქქონოდა გაგდებული მსოფლიოში და იმავდროულად ქვისმთლელთა საიდუმლო მოძღვრებასაც უნდა ყოფილიყო ნაზიარები, რათა ახალი მსოფლიოს წესრიგის არქიტექტორებისათვის ხელი არ შეეშალა და დინების წინააღმდეგ არ დაეწყო ცურვა...

უბადრუკი ვარსქენი და სხვანი

მეოცე საუკუნის დასასრულს ამ თვისებების მატარებელი, ძვირფასო მკითხველო, მხოლოდ ერთი კაცი გვეგულება. ალბათ, ყველა მიხვდით, ვინც არის იგი. ჰოდა, ამ პატივმოყვარე ადამიანს, უსაქმოდ რომ იყო დარჩენილი, შესთავაზეს ვარსქენის როლი. და ისიც სიხარულით დათანხმდა და დაადგა იუდას გზას. მაშ ასე, ქართველთა წინააღმდეგ ამ ბოროტ შეთქმულებას სათავეში ჩაუდგა ე. შევარდნაძე, ბერლინის „კედლის დამანგრეველი“ და საქართველოს საბოლოოდ დამაქცეველი. შემზარავია და წარმოსადგენად ძნელი, თუ რა ზრახვებით ბრუნდება ის საქართველოში, რა მიზნები ასაზრდოვებს. ვგონებ, დედით ქართველ შაჰ-აბასსაც არ აწუხებდა ასეთი ბნელი აზრები და არც ჩაუდენია ის, რაც დღეს საქართველოში ტრიალებს: მიზანდასახული გადაგვარება ქართველი ერისა, ეროვნული ცნობიერების მოსპობა. აი, უმთავრესი ამოცანა, რომელიც ვარსქენმა უნდა განახორციელოს! მაგრამ რენეგატს დამხმარე ძალა ესაჭიროებოდა, ისიც ეძიებს დასაყრდენს

საქართველოში და ახერხებს „უკმაყოფილო ელემენტების“ გადაბირებას. ვინ არიან ეს „მარკოზაშვილის დარბაზელნი“? უპირველესად, ეროვნულ მოძრაობაში იმთავითვე კაგებეს მიერ ნათესლილნი, რომელთა უმთავრესი მისია სწორედ ამგვარი შეთქმულების მოწყობა იყო; მერე, პრეზიდენტით განაწყენებული და გაბორიტებული პირები, რომლებიც ყურ ელირსნენ სასურველ თანამდებობას თუ სხვა ზრახვებს; მერმე დამარცხებული კომუნისტი ფუნქციონერები, ერთბაშად რომ დაკარგეს დაუმსახურებელი შეღავათები და ნებიერი ცხოვრება; შემდგომ უნიჭო საბჭოთა ინტელიგენცია, ყალბი დიდება და სახელი რომ გამოეცალათ ხელიდან. აქვე უნდა ვთქვათ „შავების“ შესახებაც, რომელთაც ყოველთვის აწყობდათ არეულობა, რათა მღვრიე წყალში თევზი დაეჭირათ და, დასასრულს, დაბნეული ახალგაზრდობის ნაწილი, „ღირსეულმა“ „ინტელიგენტმა“ მამებმა გონება რომ აუმღვრიეს.

უადგილო არ იქნება, თუ უფრო კონკრეტულად შევეხებით „მარკოზაშვილის დარბაზელთ“. ვინ ითავა უშუალოდ ქალაქის და ქვეყნის დანგრევა, ვისი ბრძანებით გავარდა თოფი ქართველის გასაგმირავად? ვინ იყო ის სახელოვანი სარდალი, ვინც დაიწყო უზენაესი საბჭოს შენობის შტურმი?!

ხუტლუ-ბუღა

თენგიზ კიტოვანი, ხელმოცარული მხატვარი და საქმოსანი, რომელიც წიგნის კითხვით თავს არ იწუხებდა და არც სამშობლოს სიყვარულით უთენებია ღამეები. ისეთი ჟამი იდგა, ყვარყვარე უნდა მოვლენოდა ქვეყანას. აკი, მოეელინა კიდეც – გვარდიის სარდალი, გენერალი კიტოვანი, რომელსაც ისე გაეგებოდა სამხედრო საქმისა, როგორც ვირს ხურმის. მაგრამ, რადგანაც იარაღი აიღო ხელში, მინისტრობაც მოინდომა. არ დანიშნეს, განაწყენდა და ვითარცა მონღოლთა დროს ვერაგობით აღზევებულმა, სადუნ მანკაბერდელის შვილმა ხუტლუ-ბუღამ გაწირა დემეტრე თავდადებული იმის გამო, რომ მეფემ ათაბაგობა არ უწყალობა, ასევე ჩვენმა ხუტლუ-ბუღამაც უმუხთლა ხვიად გამსახურდიას და ტყეში გაიჭრა თავისი „ჯიგიტებით“... შემდგომ კი, რუსეთის მხარდაჭერით გა-

გულისებულმა, ჯიქურ შეუტია ეროვნულ ხელისუფლებას და ზარბაზანიც ესროლა საქართველოს გულში... შემოქმედებითი ჟინი დიდ მხატვრულ ტილოებს რომ ვერ შეალია, რუსთაველის გამზირზე გამოფინა თავისი ნახელავი, რომლისთვისაც პირობითად შეიძლება გვეწოდებინა „თემურ-ლენგის განავარდება თბილისში". ახლა დადის ეს ჩვენი ხუტლუ-ბუღა და იმით იწონებს თავს, რომ მსოფლიო ისტორიაში თურმე მას უსვრია პირველად ქალაქში ზარბაზანი. დიახ, ეს მე ვარ პირველი მეზარბაზნეო, აი, ასე ამაყობს ჩვენი უნიათობით და უსუსურობით გადიდგულებული. თანაც დასძენს, ხომ არ დაგავიწყდათ, მე რუსული ორიენტაციის გენერალი ვარო. არა მგონია, სიტყვა ეკუმენიზმისა არ იყოს, დიდად ესმოდეს ორიენტაციის არსი... უბრალოდ, რუსთა ქვეშევრდომობა და მორჩილება ურჩევნია თავისი თავის დროებით გადასარჩენად და დასაცავად. მაგრამ არ უწყის, როგორც პოეტი ბრძანებს, „რა ხანმოკლეა მისი ზაფხული"... მას ავიწყდება, რომ „ვინც ადამიანის სისხლს დაღვრის, ადამიანის მიერვე დაიღვრება მისი სისხლი..."

ეს წერილი კარგა ხნის დაწერილი იყო, როცა თ. კვეტოვანი ვირის აბანოში წააბრძანეს. ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა შაეი ფიქრები უტრიალებს მას თავში... ეგება, კიდევაც ნანობს ახლა თავის „ნავაუკაცარს"... მაგრამ გასროლილ ტყვიას ლულაში ვეღარ დააბრუნებ... ისიც კარგად მესმის, რომ პატიმრის გაკილვა არაა საკადრისი ქცევა და გადავწყვიტე ამ ნაწილის ამოღება. მაგრამ მოვლენები ისე ვითარდება, რომ ასე თუ მოვიქცევი, წერილის დაბეჭდვამდე პერსონაჟთაგან თითქმის აღარცერთი შემომრჩება...

ცრუ თენგიზი

რუსთა შეთქმულების სული და გული იყო მეორე თენგიზი, რომელიც საქართველოს ისტორიაში დამკვიდრდება როგორც ცრუ თენგიზი. რა არ იკადრა ამ, მართლაც რომ, ცრუ ინტელიგენტმა: როგორ ურცხვად აცხობდა სიცრუეს სიცრუეზე, როგორი გულწრფელობით დასტიროდა ზოოპარკის უცოდველ ბინადართ, რომელთაც, თურმე, პრეზიდენტმა თავის დასასვენებელ რეზიდენციაში დაუდო ბინა. თმებს იგლეჯდა მა-

თი სიკვდილის გაჩო. მაგრამ როცა აუცილებელი ქართველი ხალხი მის რეზიდენციას მიადგა რამდენიმეგზის, ჯერ წყალი შეასხურა შუა ზამთარში ამ ბაბაჯანამ, მერე კი ტყვიებიც არ დაიშურა... წარბიც არ შეუხრია, როცა გაიგო, ცირკთან 17 წლის უცოდველი ქართველი ყმაწვილი მამუკა ტერიშვილი მოკლესო. ის ბავშვი ხომ ზეიადისტი იყო, ზეიადის დროშა ეპყრა ხელთ და, აბა, რა დასანანი იყო!..

აგერ, უკვე რა ხანია, ქართველი ხალხი ელოდება „იანაევის ოქმს", რომლის გამოქვეყნებასაც დაგვპირდა ცრუ თენგიზი. ზეიად გამსახურდიას გატაცებული ოქროების დაბრუნებასაც სულმოუთმენლად ველით, რადგანაც უფულობის გამო „გაზი" გაგვითიშეს და სიცივით ვითოშებით. მაგრამ რა გინდა?! არც ერთი ჩანს და არც – მეორე. მხოლოდ ცრუ თენგიზის რიხიანად და დამაჯერებლად ნათქვამი სიცრუეღა შემორჩა ყურს.

საერთოდ, პრემიერა ერთხელ იმართება. ჩვენი თენგიზი კი ორჯერ არის ნაპრემიერალი. ამიტომაც ბორგავს, ვერ ისვენებს, დღესაც ყელყელაობს, „უტყუარ ფაქტებს" იშველიებს. მაგრამ მისი უკვე აღარავის არც სჯერა და არც სწამს. საქართველო ცრუთა და ფარისეველთა წყალობით უკვე გაყიდულია. ფარისეველური ვიშვიშით საქმეს არ ეშველება. მხოლოდ ნამდვილი მონანიება შეგვიმსუბუქებს ცოდვებს... ისიც ღრმად მწამს, რომ ფარისეველთა და ცრუთა ბედის კუდიანი ვარსკელავი არც როდის აკიაფდება საქართველოს ცაზე...

ჯაბინ გუნდი

რობინ ჰუდივით ტყეში არასოდეს გასულა, არც სხვათა მსგავსად დახტოდა კურდღელივით აქეთ-იქით. იმთავითვე გამოკვეთილი მტერი იყო ზეიად გამსახურდიასი და სძაგდა იგი. როგორც იტყვიან, ნაბან წყალს ბავშვიც გადააყოლესო, მანაც პრეზიდენტის სიძულვილს საქართველოც შესწირა. ახლა ტაბელური იარაღით ასხმული თავისი ჯიგიტებით იქ გამოჩნდება, სადაც შევარდნაძეს უჭირს. ამიტომაც შეარქვეს მათ, ალბათ, „მაშველთა კორპუსი". კი, ნამდვილად ე. შევარდნაძეს შველიან, საქართველოს – ვერა! ?

ერთი თვისებაც ახასიათებს ჯაბა იოსელიანს – რასაც ფიქრობს, იმასვე აცხადებს ხმამაღლა. ამიტომ მის გულწრფე-

ლობაში ეჭვი არ შეგეპარვია, როცა გაკუწყა, რომ დემოკრატია ლობიობა არ არისო. ხოლო სხვა დროს კიდევ ბრძანა, თუ დემოკრატიის აშენება და მშვიდობის დამყარება გსურდა, ორასამდე ზვიადისტი უნდა დაგვეხვრიტა და საქმე დამთავრდებოდაო. თეთრ მელას მის ამგვარ გულწრფელობაზე ეღიმება. ისიც ამგვარად ფიქრობს, მაგრამ ამას სხვათა გასაგონად არ იტყვის. პირიქით, შეგაქებს, გაგიცინებს, ალერსით დაგახრჩობს და მერე დამხრჩვალი კატასავით მოგისერის. მაგრამ ახლა ისევ ზვიადისტების მოსპობას მივუბრუნდეთ. არაფერია ამ აზრში უცნაური და განსაცვიფრებელი, ერთი შეხედვით რომ ჰგონიათ მავანთ. სხვა საქმეა, რა მიზნობრივი მიზეზი უდევს საფუძვლად შენს მოღვაწეობას. თუ გსურს სამშობლოს საბოლოო განადგურება და ერის მოსპობა, მაშინ ისინი უნდა დახოცო უპირველესად, ვისაც თავისი ერი და სამშობლო უყვარს ჭეშმარიტად. სხვაგვარად ეს საქმე არაფრით არ გამოვა, ყველამ იცის ეს და გულშიც უტრიალებთ. მაგრამ ამის გაცხადებას მხოლოდ ერთი ბედავს.

ახლა დაქრიან ერთ დროს შავები, უკვე ტაბელურიარაღასხმული ჯაბისტები და მხედრიონული შემართებით მღერიან: „ჯაბა, ჯაბა... ჯაბა, ჯაბა“. დაკოდილი ბუღასი არ იყოს, ჩვენ ხომ ჩვენი ჭკუისა დაგვემართა, მაგრამ „თუ თქვენ მაგ სიმღერით სოფელს ააშენებთ, თქვენც შეიტყობთ“.

ილია ივერიელი

საქართველოს ამჟამინდელი მტერი თავს მხოლოდ იარაღის ყღარუნით იწონებს. მსოფლიოში მან სახელი ოდენ იმით გაითქვა, რომ სხვათა ერების დამპყრობი იყო. აი, ამ საქმეში კი გაიწაფა და ჩინებულად დაოსტატდა. რუსეთმა კარგად იცოდა, რომ, თუ ერის საბოლოო გადაგვარება და მოსპობა გინდა, უპირველეს ყოვლისა, მას რწმენის საძირკველი და სულიერების საყრდენი უნდა დაუნგრიო. ამიტომაც შეუტია ეკლესიას – ეროვნულად მოაზროვნე მღვდელთმსახურთ მუსრი გააველო და თავისი აგენტებით, რუსეთში გამოზეკილი მღვდელმთავრებით დააკომპლექტა ის. საქართველოს ამჟამინდელი კათალიკოსიც რუსთა ეველებსაა ნაზიარები. იქ გამოზეკილი გამოზეკებული ივერიელია, რომელსაც ლომის წი-

ლი მიუძღვის იმ უბედურებაში, ჩვენ სამშობლოს რომ დაუტრიალდა. მართალია, იგი არ მოქცეულა ისე, ვითარცა მეხუთე საუკუნის ქართლის ეპისკოპოსი მიქაელი, რომელმაც ვახტანგ გორგასალს წიხლი ჩასცხო, რატომ გაბედე და სპარსელებს აუჯანყდიო; არც მეთვრამეტე საუკუნის იმერეთის კათალიკოსის ბესარიონის მსგავსად გადაბარგებულა აშკარად იმ მოჯანყეთა ბანაკში, სოლომონ პირველს რომ აუმბოხდნენ. მაგრამ, ჩვენი აზრით, ილია II მხარს უჭერდა და თანაუგრძნობდა „დემოკრატიული რევოლუციის“ მონაწილეებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დეკემბრის 21-სა და 22-ში პირადად მე და კიდევ რამდენიმე ადამიანი პრეზიდენტის დავალებით მივედით მასთან, რათა როგორმე აგვეცილებინა ქართველთა სისხლისღვრა. მან კი ჩვენი მოსმენა არ ისურვა, თავი მოიავადმყოფა და არც კი მიგვიღო. ამაზე მეტყველებს მისი მოღვაწეობის მთელი შემდგომი პერიოდიც. რომელი ერთი გავიხსენოთ: როგორი აღტყინებით შეხვდა ის მეამბოხეთა გამარჯვებას, როგორ მოძღვრავდა იგი პუტჩის შემდგომ ხალხს, როგორ ჩაეხუტა ის თავის სულიერ ძმას – სუკის გენერალს ე. შევარდნაძეს, ახლა მისივე წყალობით გიორგი სახელით რომ მოგვეველინა, როგორი სახოტბო ოდა უძღვნა და როგორ დაგვიხატა ლამის წმინდანად ადამიანი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე დაუძინებელი მტერი იყო ქართული ეკლესიისა. და, დასასრულს, როგორ იწონებს ის იმ ანტიეროვნულ პოლიტიკურ კურსს, რომელსაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვა და რუსეთის მონობის უღლის დადგმა ჰქვია და სხვა არაფერი. ასე რომ, იგი აშკარად თანამონაწილეა ეშმაკთა შეთქმულებისა. ეს არც არის გასაკვირი, რადგანაც ის, ალბათ, ასრულებდა იმ დაწესებულების დავალებას, რომელმაც მას მეტსახელად „ივერიელი“ უწოდა, ხოლო მის ნათლულს გენერლობა უბოძა.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ის პიროვნება, ვინც უნდა იყოს დამცველი ქართული სულიერებისა და ზნეობისა, თავად ებრძვის და ანგრევს მას. გულს უჭირს, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ საერთოდ ქართული ეკლესია, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტები თუ დაწესებულებანი, ამორალობის ჭაობშია ჩაფლული. ის მეტად იღწვის ეკონომიკური დოვლათის მოსახვეჭად, ვინემ ქართველთა სულის ასამაღლებლად და გადასარჩენად. ამის

მი'ს'ეზი საქართველოს მღვდელთმთავრის ანტიეროვნ'ელი მსოფ-ლმხედველობაც გახლავთ.

ახლა ორ ეპიზოდს გავიხსენებ ახლო წარს'ულიდან და მერმე თავად განსაჯეთ, ვინ ვინ არის და რა გვჭირს!

1923 წ'ლის 19 მაისს ჩეკას ბრძანებით დახვრიტეს ჭეშმარიტი მამ'ელიშვილები: კ. აფხაზი, ა. ანდრონიკაშვილი, გ. წ'ულუკიძე, რ. მუსხელიშვილი, გ. ხიმშიაშვილი, ელ. გულისაშვილი, ალ. მაჭავარიანი და სხვ., რომლებიც ამზადებდნენ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას. მთელი საქართველო გლოვობდა მათ. ციხიდან ახლად გამოშვებ'ულმა საქართველოს კათალიკოსმა ამბროსი ხელაიამ გადაწ'ყვიტა წირვა გადაეხადა ქაშუეთის ეკლესიაში.

უამრავმა ხალ'ხმა მოიყარა თავი. როგორც კი სულიერი მამა გამობრძანდა, მრევლმა მ'უხლი მოიდრიკა და აქვითინდა. ქართველთა გოდების შემხედვარე კათალიკოსი ძალ'ზე აღელვებ'ულა. ერთი წამოუძახია, ვინ სთქვა, რომ „ქართველმა ხალ'ხმა რწმენა დაკარგაო" და გ'ულიც წასვლია... მოს'ულიერებ'ულს წირვა მაინც დაუსრ'ულებია, მრევლის ქვითინის და ტირილის თანხლებით... სხვათა შორის, ამ ეპიზოდს სოლომონ ზალდასტანიშვილი ასე ამთავრებს: „ქართველ ერს სანუგეშოდ მხოლოდ ეს სულიერი მეთაურიღა შერჩა და, როგორც შვილი, მშობლისაგან ნუგეშს ელოდა... ანუგეშა კიდეც, მაგრამ თავად სიცხიანი დაბრ'უნდა სახლ'ში, ლოგინად ჩავარდა და მალე გარდაიცვალა გან'უსაზღვრელი რწმენით და სამშობლოსადმი დიდი სიყვარ'ულით. დაობლდა მთლიანად ქართველი ერი და საქართველოში გაძლიერდა რუსების პარპაში"...

ახლა 1993 წლის 14 მაისი გავიხსენოთ. ოთხვარსკელავიანი სასტ'უმრო „მეტეხის" გაჩახჩახებ'ული დარბაზი. გაქნილი საქმოსანი ბადრი ნინუა, რომელიც ამჟამად თაღლითობის გამო გაქცეულია და იმალება, დაბადების დღეს იხდის. გ'ულუხვად გაშლილ ს'ეფრებს სხვადასხვა ჯ'ურის ადამიანი ამშვენებს: მებრძოლები, შავები, ინტელიგენტები, ფუნქციონერები და სხვანი. ბადრი ნინუა თავისი სახელობის პრემიას ურიგებს შემოქმედებით ინტელიგენციას, სპორტსმენებს, რელიგიის მსახ'ურთ, თანაც დიდი თანხით ასაჩ'ექრებს მათ. არის საერთო აღფრთოვანება, ხითხითი, ოპტიმისტ'ური განცხადებები, საქართველოსაც მოევლინა თავისი მფარველი, რომელიც ნობელის პრემიას ამკვიდრებსო...

ამ ლრეობას არ გამოელებია საქართველოს პატრიარქი ილია II. ისიც, გახარებული იმით, რომ ეკლესიასაც ერგო ეს „მადალი“, „სახელოვანი“ ჯილდო და სოლიდური თანხა, ვერ მალავს თავის კმაყოფილებას. გვერდით მსხდომ ორ გრაციას ემასლაათება და თანაც მორცხვად თვალი გაურბის ქეთი დოლიძის გამამიზიანებლად წინწამოსრდილი, ჩათქვირებული და ლამის ქიპამდე მოშიშვლებული მკერდისაკენ. აქვე ისიც უნდა ვაღიარით, რომ უწმინდესის თვალის გაპარება ქეთი დოლიძის აქტიურობისა და ხუნცულის ბრალიცაა, წმინდანსაც კი აცთუნებდა მისი ჟინისაღმძვრელი მკერდის ბოშური შეთამაშება.

და ეს ხდებოდა იმ დროს, როცა აფხაზეთში უცოდველი ქართველი ყმაწვილები იღუპებოდნენ...

ასეთი „სულიერი მეთაური“ საქართველოს ნუგეშად ვერ მოევლინება! მღვდელთმთავარი, რომელიც ოთხასაციან მეფურ ლხინს გამართავს მაშინ, როცა მრევლი შიმშილობს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, სასოებას ვერ მოჰგვრის ქართველ ხალხს. კათალიკოსი, რომელიც მართლმადიდებლობას ეროვნული სულით არ აღვივებს, რუსეთისკენ იმზირება და მის საქართველოში გაპარპაშებას ხელს უწყობს, ქართველთა სულიერ მოძღვრად ვერ გამოდგება. ეს მან კარგად უნდა უწყოდეს და სათანადო დასკვნები გამოიტანოს!

„მარკოზაშვილის დარბაზელნი“

ძვირფასო მკითხველო, ვიცი თავი შეგაწყინე გაუთავებელი წერით, მაგრამ გამყიდველთა გალერეა ისეთი მდიდარი და მრავალრიცხოვანი პორტრეტებითაა დამშვენებული, რომ მათი აღქმით მიღებულ შთაბეჭდილებებს ასე იოლად ვერ შეელევა კაცი. ამიტომაც ზოგიერთი პორტრეტის წინ დიდხანს თუ არ შეეჩერდებით, ნაუცბათევად მაინც უნდა შეავლოთ თვალი, თორემ თავად ეს შთამბეჭდავი ფიგურებიც გაგვინაწყენდებიან და ვერც ისტორიის წინაშე ვიქნებით მთლად მართალნი.

ეი, თქვენ, „მარკოზაშვილის დარბაზელნო“, ახლა ერთ ხაზზე გამწკრივდით და ყური კარგად მიგდეთ! ბუნდუნს შეეშვით, ჯერ ხემი სათქმელი კარგად შეისმინეთ და მერე, თუ გსურთ,

ყველა-ყორნებივით ერთად ანხაელებულხართ, მანამდე მ�ა გიცხოხდეთ, სანამ ყური აღარ მოგიგდოთ. მაშ, სწორდით, დეპუტატებო, მწერლებო, მხატვრებო, რეჟისორებო, მსახიობებო, მეცნიერებო, საქმოსნებო, ფუნქციონერებო, შაევებო, ბნელებო და ეიღაც-ეიღაცეებო! სმენა იყოს და გაგონება, შეწყდეს ყოველგვარი ჩურჩული!.. ერიჰა, ეს რა გრძელი რიგი დამდგარა, თანაც რა ჭრელი!.. მიჭირს კიდეეაც და ვერ გადამიწყვეტია, საიდან დავიწყო. ჯობს ისევ ეროვნული მანტიით დამშვენებულ ორგზის დეპუტატებს მივმართო, თანაც პირველობა ვაუა ადამიას ეკუთვნის, გნებავთ, ანბანის მიხედვით და, გნებავთ, ამბოხში აქტიური მონაწილეობის გამო.

ბატონო ვაუა, გთხოვთ, ნუ გვიალმასებთ მაგ ავადმობრიალე თვალებს! რას ერჩოდით პრეზიდენტს? ზედმეტი ძალაუფლება აქვს, ესაო და ისაო. კეთილი, ეთქვათ, ჰქონდა! ეთქვათ, ყური არ დაუგდო თქვენს „რჩევას"... მერე, ამისათვის თოფი უნდა აგელოთ ხელში და „ბეტეერები" ჩაგეყენებინათ საკუთარ ეზოში?! განა ამის გამო ლენინის მოედანზე (მაშინდელ თავისუფლების მოედანზე) უნდა გამაგრებულიყავით და ავტომატი გესროლათ მოძმისთვის?! განა ღირდა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად უფროსი მეგობრის, ქართველი ხალხისა და სამშობლოს განადგურება?! – გეკითხებით თქვენ და თქვენ რაზმელებს. კეთილი, იქნებ მართლაც ვერ იტანთ ძალაუფლების უზურპაციას. თუ ასეა, მაშ, ახლა რაღამ დაგაბეჩავათ?! განა მსოფლიოში გეგულებათ მეორე ადამიანი, როგორიც შევარდნაძეა, ასე ურცხვად რომ ჩაეგდოს მთელი ძალაუფლება ხელში?! იგი ხომ თქვენი წყალობითაც გახდა ქვეყნისმპყრობელი დიქტატორი! თუ მაშინ აიღეთ იარაღი, დღეს რაღა დაგემართათ, ოდენ საპროტესტო ტექსტის ლუღლუღით რომ კმაყოფილდებით?! იმიტომ ხომ არა, რომ იცით, საკადრის პასუხს მიიღებთ?! საქართველოს დაღუპვაში მიგიძღვით თუ არა წელილი?! გამეცით პასუხი. როგორ? არ მესმის!

* * *

ბატონო თედო, ჰო, თედო პაატაშვილო თუ პაატა თედოშვილო, ცხვირი ჩრდილოეთისკენ ნუ წაგიგრძელებიათ, მე მოიმხედეთ! თქვენ, დემოკრატიის ტოროლავ, რაო, რას უწუნებ-

დით პრეზიდენტს – განათლებას თუ აღზრდას?! ენების ცოდნას თუ კულტურას, ქრისტიანობას თუ კაცთმოყვარეობას?! ჰო, მართლა, „იმიჯი“ არ უვარგაო, არიქა, თავი გვეჭრება მსოფლიოშიო, პოლიტიკას სწორად ვერ წარმართავსო. მიკროფონს რომ ჯიქურ მიეჭრებოდით პაპაამოიღლიავებული და ცალხელჯიბეშიჩადებული, დემოკრატიის პოსტულატებით რომ გვმოძღვრავდით, რაო, დაგვიყენეთ ნანატრი წუთი?! ხომ ჩამოიყვანეთ სახელმწიფო მეთაური – პოლიგლოტი, ფრიად განათლებული, არისტოკრატიული წარმომავლობის ადამიანი და იმიჯიანი პოლიტიკოსი! ხომ ვეწიეთ ბედნიერებას მისი სწორი პოლიტიკის წყალობით, შევედით ესენგეში და რუსეთის ყმები გავხდით! ვიცი, ვიცი, ახლაც იმიჯისათვის ყელყელაობთ და დაუნჯებელ ოპოზიციონერად მოგაქვთ თავი, მაგრამ შველის კი ახლა ეგ თქვენი კეკლუცობა საქმეს?! მაინც რა გინდოდათ, დემოკრატია თუ, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, საგარეო საქმეთა მინისტრობა? მიიღეთ ან ერთი, ან მეორე?! შეეშვით ჩრდილო-დასავლეთისკენ მონაცვლეობით მზერას, მიპასუხეთ!

* * *

კარდენახელო ლუიზავ, შაკიაშვილის ქალო, რას ერჩოდით ეროვნულ ხელისუფლებას და იმ პიროვნებას, დობას რომ ეფიცებოდით? რა გაწუხებდათ! პარლამენტარის გასვრილი სავარძელი? თუ კიდევ სხვა რამ?! ჩახლეჩილი ბარიტონით, ნაბახუსევი კაცის ხრიალს რომ ჰგავდა, რად გაჰყვიროდით – ძირს ჩაუშესკუო?! იმ შენ ყოფილ საფიცარს რას უჩხიკინებდი და, როს დატოვა ქალაქი, სიხარულით რას აჩხაკუნებდი მაგ შენს გაუთლელ ფანდურსა? თანაც ველური აღტყინებით რომ როკავდი! (უკაცრავად შენობით რომ გესაუბრები, უბრალო კახელი გოგო ხარ და ეგრე უფრო უხდება საქმესა!) იქნებ ვინმემ გაწყენინა კიდეც, მაგრამ ამისთვის ღირდა სამშობლოს გაწირვა, ძველი მეგობრების ნაცვლად პარტიულ ფუნქციონრებთან დამეგობრება, საკუთარი მრწამსის დახურდავება?! იმ ღვთისმოსავს რომ უყვიროდი ჩაუშესკუო – ახლა ვინ განაგებს ქვეყანას, იქნებ გვიპასუხო! შენ დობილ მაია წუნეთელს გაფიცებ, გამეცი პასუხი!

* * *

ქალბატონო თამარ, რეზოს ასულო, სიძულვილმაც და სიყვარულმაც ერთიანად რომ დაგრიათ ხელი და მძაფრ განცდათა გამო სულ დაილიეთ, ერთი მითხარით, რა დაგიშავეთ მერაბის უპირველესმა მეგობარმა და ქრისტესმიერმა ძმამ, რომ ასე გამეტებით ქოლავდით და წყევლიდით მას?! განა შეიძლება პიროვნულმა სიძულვილმა ისე დაგაბრმავოთ, რომ ორი თებერვლის მიტინგის მასობრივი დახვრეტა საქვეყნოდ გაამართლოთ ტელევიზიით?! განა შეიძლება ისე გაბოროტდეთ, რომ შევარდნაძეს მიაძახოთ – შე ზვიადისტოო. ეგ ხომ იგივეა, ფილიპე მახარაძეს უთხრა – შე ილიელოო! ერთი მითხარით, გეთაყვა, სიძულვილმა ისე როგორ დაგიხშოთ გულის თვალი, რომ შევარდნაძის ჩამოსვლას მიესალმეთ საქვეყნოდ, ამ პოლიტიკოსის ავტორიტეტი საქართველოს გადაარჩენსო! მიესალმეთ იმას, ვინც, სხვა რომ არაფერი ვთქვა, წლობით აწამა თქვენი მეგობარი მერაბი! ახლა გვიანღაა თითზე კბენანი. თქვენი საპროტესტო კნავილიც მხოლოდ სუსტი ექოა, ველურთა გნიასს რომ ვერ ახშობს. აღიარება იმისა, რომ საქართველო დაიღუპა, არ არის საკმარისი! გთხოვთ გვიპასუხოთ, თქვენ რა წვლილი მიგიძღვით, ნებსით თუ უნებლიეთ, მის დანგრევაში?

* * *

ქალბატონო ირინა, მართალი გითხრათ, თქვენ და თქვენ მეუღლეს ცალკე თავი გეძღვნებოდათ ამ წერილში, მაგრამ მიზეზთა გამო ეს ნაწილი ამოვიღე და, საერთოდ, არ ეაპირებდი ამჯერად თქვენთან საუბარს, რადგანაც მწუხარე და მგლოვიარე ქალბატონთან პაექრობა დიდი ვერაფერი ზნეობაა. მაგრამ თქვენმა ბოლო გამოსვლამ „პარლამენტში“ გადამაწყვეტინა რამდენიმე სიტყვით მაინც შეგხმიანებოდით. თავიდანვე მინდა დაგარწმუნოთ, რომ, რაც ბრძანეთ, ყველაფერში გეთანხმებით. სავსებით მართალი ხართ, როცა აღნიშნავთ, რომ საქართველო დაიქცა, ჩვენში ყველაფერი, ქურდული კანონებიც კი, თავდაყირაა. ისიც სწორია, რომ თოფიანი ყაჩაღები ჰალსტუხიანმა ყაჩაღებმა შეცვალეს. წყალი არ გაუვა იმასაც, რომ ე. წ. სახელმწიფო მეთაურის ყოველი „მგზნებარე“ სიტყვა სიცრუეა და მეტი არაფერი, რომ მისი ერთადერთი საყრდენი მაფიაა და ა. შ. ეს ყოველივე ჭეშმარიტებაა!..

მაგრამ ერთი მითხარით, გეთაყვა, ვის დაამკვიდრა ეს გაუსაძლისი ძალმომრეობა საქართველოში, იმთავითვე ვინ ააგორა განხეთქილების ვაშლი ეროვნულ მოძრაობაში, ვინ ანგრევდა ახლადფეხადგმულ ეროვნულ სახელმწიფოს, ვინ იწვევდა პროვოკაციული მიტინგებით და ქმედებებით დესტაბილიზაციას, ვინ ეახლა ე. შევარდნაძეს მოსკოვში საიდუმლო სერობაზე, ვინ ნამოიყვანა იგი, ვინ ეფარებოდა მკერდით მის ყოველ ანტიეროვნულ ნაბიჯს, ვინ აალოკინა მისი გადაფურთხებული ქართველთა ერთ, უღირს ნაწილს, ვინ იყო მისი სიყალბის „რუპორი"?.. კმარა! რომელი ერთი შეგახსენოთ?! ყოველივე ეს თქვენი დამსახურებაა და ახლა, როცა თქვენ მიერ დამკვიდრებული სახელმწიფო ტერორი თქვენვე მოგიბრუნდათ, ვითომ გაბედული გამოსვლებით ეელარაფერს უშველით... საქართველოში კომუნიზმის აჩრდილი დაძრწის და ის მრავალ ბოროტებას დაატრიალებს კვლავაც. ამ აჩრდილის ერთ-ერთი მთავარი შემქმნელი თქვენც ხართ და ამაზე დაფიქრება გმართებთ!

* * *

ბატონო ნოდარ, რას აგიფარებიათ გაზეთი? რაო, სინათლე თვალს მჭრისო? კარგი, ბატონო, აიფარეთ, მაგრამ სიმართლის სხივს სად გაექცევით?! თქვენ არ იყავით, ქუჩა-ქუჩა რომ დაძრწოდით – გამსახურდიამ სამოცი ახალგაზრდა ამოწყვიტა შავნაბადაზეო?! რატომ ავრცელებდით ამ მკრეხელურ ჭორს, რა გწადდათ – დემოკრატიის გამარჯვება, თუ პრეზიდენტის საკარძელი?! მერე, მოიპოვეთ ან ერთი, ან მეორე? ვინ-ვინ და თქვენ ხომ იცით ჭეშმარიტების ყადრი (კანტი და ჰეგელი წაგიკითხავთ მაინც!). რატომ გაჰკიოდით გაუგონარ სიცრუეს და მაშინ, როცა თქვენმა ხელდასხმულმა ხელისუფლებამ არაერთგზის მართლაც დახოცა მშვიდობიანი მომიტინგეები, რატომ არ ამოიღეთ თუნდაც ერთხელ ხმა?! ხომ მოხდა თქვენი მეგობრისა და შემწეს ედუარდის წყალობით ქვეყნის დესტაბილიზაცია, დეზინტეგრაცია, დეზორგანიზაცია, დეზოქსიდაცია და მსოფლიოს დეზინფორმაცია. ახლა წამდაუწუმ იყვირეთ – მოვახდინოთ მიღებული გადაწყვეტილების დეკავუირებაო. არაფერიც აღარ გამოგივათ, სახელმწიფო მანქანა თქვენ წინააღმდეგ მუშაობს და შესაძლოა ისეთი ბრალ-

ღებებიც შეგითითხრონ. საქართველოს დამოუკიდებლობა კი არა, საკუთარი თავისუფლებაც მოგანატრონ! გულზე ხელი დაიდეთ და მიპასუხეთ, გრძნობთ თუ არა სინდისის ქენჯნას, როცა ქართველი ხალხის უბედურებას იაზრებთ?

* * *

ბატონო აკაკი, ეი, თქვენ, ასათიანო, სად მიიპარებით! ეტყობა, ახლაც ისევე გინდათ გაძვრეთ, როგორც დეკემბრის სუსხიან დღეებში... გული აიტკივეთ, პატრონი მიატოვეთ და შავ ზღვას მიეცით თავი... მერე სოფელ-სოფელ დადიოდით, მიტინგებს ატარებდით, ხმამაღლა გაპყვიროდით — დამშვიდდით, ხალხო, პრეზიდენტს არაფერი უჭირს, თქვენ თავი არ შეიწუხოთო. რატომ იქმოდით ამას, იქნებ დღეს მაინც გაგვაგებინოთ!.. კი მაგრამ, თქვენ არ იყავით, რომ ირწმუნებოდით, ზვიადი მამაა ჩემი, მისი დარი პრეზიდენტი მსოფლიოში არ არისო?! მერე რა ჭირი შეგეყარათ, რატომ ჩაეცით მახეილი ზურგში მამას, ვითარცა კონსტანტინე მირზამ?! ამაზე დიდი უზნეობა ვის უნახავს?! თქვე კაი დედ-მამის შვილო, განა შეიძლება კარიერას შესწიროთ ყოველივე?! 24 ივნისის „ედუარდ-შოუს“ შემდგომ რომ განაცხადეთ, ეს აქცია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და ერთიანობის (?!) წინააღმდეგ არის მიმართულიო, მართლაც ასე ფიქრობდით, თუ ძალზე „შორსმხედველი“ ხართ?! თქვენ უღალატეთ საკუთარ თავს, საკუთარ მამას და საკუთარ სამშობლოსაც. განა ასეთს რას შეგპირდნენ?! დეპუტატის სავარძელს თუ კაპიტალის შენარჩუნებას?! თუ ერთსაც და მეორესაც?!

„დეპუტატად“ კი დაგტოვეს, მაგრამ, თუ თქვენს სიტყვებს ვერწმუნეთ, კუპონების შემყურეს ისე გაგჭირვებიათ, კეთილი ნათესავები და მეზობლები რომ არა, თურმე შიმშილით სული ამოგხდებოდათ. რას კადრულობთ, ყმაწვილო?! ყველამ კარგად იცის, ვინ ვისით სუნთქავს, ვის რა უვის ფარაში... ასე რომ, ამაო არის თქვენი თავის კატუნი და ცუნდრუკი. კარგად შეიგნეთ, რომ სამშობლო, დედის ძუძუ სხვაზე არ გაიცვლების და ვინც გაცვალა, ამაოება მოიმკო მხოლოდ და კიდევ — ქარის დევნა. ახლა თქვენ რაც უნდა კოჭი უგოროთ შეევარდნაძეს, რაც უნდა „შეეკრათ“ ედპ-ს თუ მოქალაქე-მოღალატე-

ია კავშირს, მაინც არაკის გესდობათ ბოლომდე, რადგანაც მოდალატე კაცის სახელი გქვიათ.

გირჩევთ ცოდვანი გულწრფელად მოინანიოთ და გვიპასუხოთ — რატომ გაწირეთ სამშობლო და უღალატეთ თქვენს მამობილს?

* * *

ბატონო წერეთელო, სიკეთილსაც დავიწყებიხართ! თქვენ, ეგონებ, ერთადერთი ხართ. რომელმაც მართლაც შეიგნეთ თქვენი შეცდომა ქვეყნისა და ერის წინაშე (თქვენს ზოგიერთ საჯარო გამოსვლას რომ ვიხსენებ, იქნებ არც კი გაგითავისებიათ!), მაგრამ რა გამოვიდა, სიტყვით ერთს ამბობთ, საქმით კი — მეორეს. სადღაა თქვენი რადიკალიზმი, ეროვნული ხელისუფლების ზეობის ჟამს რომ იჩენდით?! ახლა რატომ ლიბერალობთ, რატომ არ დგახართ მყარად იმ პოზიციაზე, სადაც ჭეშმარიტი მამულიშვილი უნდა იყოს?! რატომ მერყეობთ? ე. შევარდნაძემ რომ საქართველო დაღუპა, ეს თქვენგან არაერთხელ გვსმენია, მაგრამ თავად რა წვლილი მიგიძღვით ქვეყნის დანგრევაში, იქნებ გაიხსენოთ და გული გადაგეშალოთ?

* * *

ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, დროის თუ ადგილის სიმცირის გამო ყველას ვერ გავესაუბრე, ვინც თავი გამოიჩინა „დემოკრატიული რევოლუციის" დროს-მეთქი. მაგრამ გული ნუ დაგწყდებათ, „გმირნო მამულის მადიდნო", მოვა დრო და თქვენთვისაც მოიცლიან. ახლა კი მინდა სახელოვან საბჭოთა ინტელიგენციას, ანუ, როგორც თავის თავს უხმობენ, ერის ნაღებს ვუთხრა ორიოდ სიტყვა: ეი, თქვენ, საბჭოთა ინკუბატორში გამოყვანილნო, ინტელიგენტებად სახელდებულნო, ერთ ჯიშად მოქცეულო ადამიანებო, თქვენ მოგმართავთ: მწერლებო, მეცნიერებო, მხატვრებო, მოქანდაკეებო, რეჟისორებო, მსახიობებო, მუსიკოსებო და სხვანო!.. დიახ, თქვენ, ნიჭიერნო თუ უნიჭონო, წიგნიერნო თუ უწიგნურნო, ჩინიანნო თუ უჩინონო, სახელოვანნო თუ უსახელონო, თუმც განსხვავებულნო უნარითა და ცოდნით, მაგრამ მაინც ერთფეროვანო, წითელო ინტელიგენციავ! თქვენ ყველას ეროად მოგმართავთ და ცალ-ცალკე სახელთა ჩამოთვლით თავს და მკითხველსაც

არ გადაეღლი, – რამ გაგაწირინათ ასე თქვენი სამშობლო?! ყველამ ხომ კარგად უწყით, რომ რაც დღეს უბედურება ტრიალებს საქართველოში, ამაში ლომის წილი თქვენ მიგიძღვით! რაო, ჭეშმარიტებას უფრო მაღლა აყენებდით, ვიდრე სამშობლოს?! რაო, მსოფლიო ასპარეზს ეძებდით, საკუთარი ქვეყანა არ გყოფნიდათ და არად აგდებდით?! რაო, შემოქმედებით აღმაფრენას გიხშობდნენ?! რაო, გამოგეცალათ ასპარეზი იოლად მუცლის ამოყორეისა?! რაო, დესპოტმა და დიქტატორმა ჩაგიხშოთ სელის დემოკრატიული გაფურჩქვნა და თავისუფლება?! თუ რა ხდება, ერთი გვითხარით, თქვე კეთილშობილნო! რატომ გძაგდათ და დღესაც გძაგთ პრეზიდენტი?! იმიტომ ხომ არა, რომ კორუმპირებული ინტელიგენცია შეგარქვათ?! აბა, რა უნდა ეწოდებინა იმ მწერლისთვის, რომელიც ადამიანს ხელს გაუმართავს და ამისათვის ფულს ააღლიტავს?! რა უნდა უწოდო იმ მეცნიერს, რომელიც გამოცდების დროს ქრთამს იღებს?! რა უნდა უხმო იმ რეჟისორს, რომელიც ე. წ. „ცეხავიკებთანაა“ საქმით დაკავშირებული?! როგორ უნდა მონათლო ის დირიჟორი, რომელიც ქურდს გაიხდის ნათლიმამად და, საერთოდ, რა უნდა უწოდო იმ ფენას, რომელიც საბჭოთა იმპერიის მიერ მთლიანად მოსყიდული იყო (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) და თავი რომ გამოეკვება და გადაერჩინა, ყველაფერს კადრულობდა: ახლობელს აბეზღებდა, აპატიმრებინებდა და ახვრეტინებდა?! ერთი მითხარით, ადამიანი რომ განსხვავებული აზრის გამო კოლეგაზე იტყვის, ის ხალხის მტერია, დაიჭირეთ და დახვრიტეთო, თანაც სიამოვნებისგან თითებს მოიფშვნეტს, კორუმპირებულზე უარესი არ არის? საერთოდ, სიტყვა კორუფცია, როგორც მოგეხსენებათ, ნიშნავს თანამდებობის პირთა თუ მოღვაწეთა მოსყიდვას. ჰოდა, თქვენ მოღვაწეებიც ხართ და თანამდებობის პირნიც, რომლებიც ადრე კომუნისტმა შევარდნაძემ მოგისყიდათ, ახლა კი – დემოკრატმა შევარდნაძემ ხაზინიდან მოპარული თანხებით და კრედიტებით მოგათბობინათ ხელი, სანაცვლოდ კი ისე გაცეკვებთ და გათამაშებთ, როგორც მას სწადია. არა, მაინც რატომ იყავით ასე ამრეზილი პრეზიდენტზე? იმიტომ ხომ არა, რომ ცრუ, საბჭოთა ინტელიგენციას გიწოდებდათ?! კი მაგრამ, რა არის აქ უმართებულო, განა ჩვენ ყველა საბჭოეთმა არ გამოგვზარ-

და. ბოლშევიკური იდეოლოგიის ძუძუ არ გეაწოვა, ცრუ იდეებსა და რწმენას არ გეაზიარა?! განა ჭეშმარიტი ინტელიგენტური სული შეგნებულად არ მოსრა საბჭოთა ტანკმა თუ ტრაქტორმა, რათა შემდგომ საკუთარ თარგზე მოჭრილი ისეთი ინტელიგენცია გამოეზარდა, თავის მშობლისა და სამშობლოს ღალატით და გაწირვით რომ იამაყებდა?! განა ყოველივე ამის შედეგი არ არის ის, რომ უბედურებით, რაც თქვენი წყალობით დატრიალდა საქართველოში, დღესაც თავი მოგწონთ და ყელყელაობთ?! განა ამის შედეგი არ არის ის, რომ თქვენ, რომელთაც უპირველესად უნდა დაგეცვათ კალმით თუ ფუნჯით სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ავტომატებით ჩაახშეთ იგი?! განა ამის შედეგი არ არის, რომ საკუთარ სამშობლოს რუსეთის შავეთის იმპერია ანაცვალეთ?! განა ამის შედეგი არ არის, რომ საკუთარი ხალხი შეიჯავრეთ და უცხოტომელებს ეთაყვანებით?! რაო, თქვე მართლაც სამშობლოს მოგლეჯილო კოსმოპოლიტებო, რა მიიღეთ სამშობლოს გაყიდვის სანაცვლოდ – ფუჭი სახელი და ფუჭი დიდება, თუ პირადი კეთილდღეობა და უცხოეთში დაბანდებული კაპიტალი? თქვენ გავიწყდებათ, არკი უნდა გაეიწყდებოდეთ, რომ ეს სიმდიდრე დაიკარგება და შვილნი თქვენნი ისევ შიშველნი დაბრუნდებიან, როგორც მოვიდნენ დედის მუცლიდან. თქვენ კარგად უწყით, რომ „ამაო არის ყველაფერი", მაგრამ მაინც ვერ დაგიმარცხებიათ პატიემოყვარეობის ჭია და ამპარტავნობას მიცემულ ილუზიასა და ქარს დასდევთ! ნება თქვენია „მამულის მადიდნო", როგორც გენებოთ, ისე ინავარდეთ, მაგრამ ნურც იმას დაივიწყებთ, რომ „მზის ქვეშეთში მკვირცხლთა ნებაზე არაა რბოლა"... რადგან დრო და შემთხვევა განაგებს ყველაფერს... ვაი, რომ ჟამი მალე შეიცვლება და განკითხვის დრო დაგიდგებათ!

თუმც თქვენი გარდასახვის თუ გათეთრების იმედი არა მაქვს, ფერად წითელო, გულით წითელო, სულით წითელო ინტელიგენციავ, მაგრამ მაინც დაფიქრდით, იქნებ ოდნავ მაინც შეგაწუხოთ სინდისის ქენჯნამ და თუკი თქვენში ოდნავ მაინც გაიღვიძებს სირცხვილის გრძნობა, მაშინ გვიპასუხეთ უბრალოდ – განა რა დემოკრატია მოიპოვეთ, რომ სამშობლოს თავისუფლება ისე წააკალით ზედ, როგორც ქათამი ინდაურს?

* * *

ახლა კომუნისტებმა მიგდონ ყური: ეი, თქვენ, ბოლშევიკებო, გაუმაძღარნო სისხლითა! ნუთუ აღარ დაოკდით, რაც თქვენ სისხლი დაღვარეთ ქართველი ხალხისა?! რით ვერ გაძღა თქვენი მუცელი, თქვე მართლაც შავარდნაშვილებო! რაც დახარით, ღმერთმა შეგარგოთ! მაგრამ მახრამაც იცის თავისი ზომა, თქვენ რა, მუცლის მაგივრად ცარიელ ქვევრს ატარებთ, თუ რაშია საქმე?! გახსოვთ, როცა არჩევნები წააგეთ, როგორ გაიტრუნეთ, თავი მოიქართველეთ, საქართველოა ჩვენი პარტიაო — ურცხვად აცხადებდა ზოგიერთი თქვენგანი, ახლა კი რუსეთის მზეს ფიცულობთ, აბა, ურუსეთოდ საქართველო როგორ იარსებებსო!.. თავს იკატუნებთ და ეგ მეტ-ნაკლებად თბილი სკამები რომ შეინარჩუნოთ, რას არ სჩადიხართ: სხვის გადაფურთხებულს ლოკავთ, სატანას უჩოქებთ, ხელ-ფეხს უკოცნით და, საერთოდ, საკუთარ ოჯახს ანაცვალებთ მაგ თქვენ კარიერისტულ ზრახვებს!.. თუკი თავისთავში ჩაღრმავების უნარი არ გაგაჩნიათ, სარკეში მაინც ჩაიხედეთ და ნახავთ, რომ მხოლოდ ღიპიან მუცლად ქცეულხართ, რომლის იქითაც მზერას ვერ აწვდენთ. გიჯობთ, დროზე გონს მოეგოთ, ეი, თქვე ფუნქციონერო ბოსებო, თქვე მართლაც ბოსებო! ღირსების ნატამალი თუ შემოგრჩათ, კაცობა გამოიჩინეთ, თქვენს საკუთარ თავს, მეუღლეებს, შვილებს, მშობლებს და, ბოლოს, სამშობლოს ოცდაათ ვერცხლად ნუ ყიდით! მაგრამ ვიდრე თქვენთვის ესოდენ ძნელ საქმეს იქმოდეთ, გვიპასუხეთ, რუსეთის ემისრებთან ალიანსის წყალობით როგორ დაამხეთ საქართველოს ეროვნული ხელისუფლება და როგორ გაყიდეთ სამშობლო, თუკი ასეთი საერთოდ გაგაჩნიათ? რატომ? გეკითხებით თქვენ! ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ დაკარგული სალაფავი და სახრავი კვლავ გეგდოთ ხელში და მუცელი დაგეტიკნათ?!

... დაბოლოს, მინდა მივმართო მამათაგან ცთუნებულ ახალგაზრდობას, წითელი ინტელიგენციის მიერ გზასაცდენილ ადამიანებს, შავებსა თუ თეთრებს, ყოველ შემთხვევაში არა წითლებს, სამხრეებიან თუ უსამხრებო თანამშრომლებს, სუკ-ის გაცხადებულ თუ გაუცხადებელ აგენტებს, ქორვაჭრებს, საქმოსნებს და ე. წ. ბიზნესმენებს, ერთი სიტყვით, ყველას, ვისაც ერის დაღუპვაში მეტ-ნაკლებად მიუძღვის წილი, — რამ გაიძუ-

ლათ ფეხი ჩაგედგათ ისეთ მძიმე ცოდვაში, რომლის ზიდვაც თქვენ კი არა, თქვენ შთამომავლობასაც გაუჭირდება?

იქნებ დროების ქარს ისე შეუგნებლად აჰყევით, როგორც ღეროს მოწყვეტილი შემოდგომის ფოთოლი? იქნებ კეთილდღეობის ილუზიამ გაცთუნათ? იქნებ გენერლის სამხრეები გეზმანებოდათ? იქნებ საზღვარგარეთ ეოიაუმა და იქ ნებიერად ცხოვრების ცრუ წარმოსახვამ დაგიბინდათ გონება? ამის შესახებ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ის კი მტკიცედ მწამს, რომ დიდი უგუნურებაა ყოველივე, რაც ჩაიდინეთ.

სამშობლოს და მშობლების ტრადიციებს მოწყვეტილი და უცხოეთში გახიზნული ყმაწვილი ფრთებგაუშლელ იმ ბულბულს ჰგავს, რომელიც უდროოდ გაფრინდა ბუდიდან ისე, რომ ფრენაც არ უსწავლია და სად მოადენს ზღართანს, მხოლოდ ღმერთმა უწყის... არადა ის უდავოდ განწირულია!.. ამაო არის თქვენი გარჯა და ეიშეიში წამიერი კეთილდღეობისათვის, ამ ქვეყნად არაფერი შეგრჩებათ, რაც უზნეობით მოიხვეჭეთ. მოვა ჟამი და მას სხვა დაეპატრონება. ხოლო იმ ქვეყნად შიშველი წახვალთ, ოდენ ცოდვილი სულით დამძიმებული... ნურც დროებითი წარმატება გახარებთ, ყველაფერს უდგას თავისი ჟამი. დადგება ჟამიც ქვების სროლისა... ნურც ძალაუფლების ჟინით ნეტარებთ!.. ისიც მხოლოდ საპნის ბუშტია ადამიანთა ხელში... ახლა თქვენ რომ სხვას წიხლავთ, დრო დადგება და თქვენ ჩაგწიხლავენ!..

კარგად შეიგნეთ ეს ყოველივე და ისიც უწყოდეთ, რომ მოღალატეს მოღალატური სიკვდილი ელის. მას ან განგების მსახვრალი ხელი მოსრავს, ანდა ჩასაფრებული მკელელისა, სწორედ იმ მზაკვართა მიერ მოგზავნილისა, ვინაც უბიძგა მუხანათობისაკენ. ამის დამადასტურებელი მაგალითები მრავლადაა, რომელი ერთი გაგახსენოთ: კიროვი, ორჯონიკიძე, ბერია, 37 წლის ჩეკისტები და აგერ უკვე ჩვენი უკანასკნელი ჟამის ჩაკლულ-ჩახოცილი ახალგაზრდები თუ ძველგაზრდები (გვარებს შეგნებულად აღარ ჩამოვთვლი).

ეს ყოველივე გაისიგრძეგანეთ, თქვენ, დროების სიოს აყოლილო, მოქანქარე, სხვათა ნებას დამყოლო ადამიანთა ჭრელო ფენავ, და ცოდვათა გამოსასყიდად გიჯობთ გვიპასუხოთ: რატომ უმუხთლეთ თქვენ საკუთარ ქვეყანას, სადაც თქვენი წინაპრების ძვლები ასვენია და სადაც, წესის მიხედვით, თქვენც უნდა დაიმარხოთ?

* * *

მკითხველი ალბათ მიმიხვდა, რომ ჩემს ერთგვარ რიტორიკულ შეკითხვებს პასუხი (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით) ვერ მოჰყვებოდა, ამიტომაც ამ ცოდვით სავსეთა პასუხის ნაცვლად მრავალწერტილი დაესვი... არა მგონია, მკითხველთა შორის ვინმე ისეთი მიამიტი იყოს, რომ იფიქროს, ჩემს ოპონენტებს სინდისის ქენჯნა შეაწუხებს და ქოქოლას არ დამაყრიან. არა, ბატონებო, მოღალატის კომპლექსი უმთავრესად მაშინ პოულობს გახსნას, როცა იგი თავად სხვას ადანაშაულებს და ბრალს სდებს ღალატში. ამიტომ მინდა დავასწრო ჩემ აღშფოთებულ ოპონენტებს და წინასწარვე მოკლედ ვუპასუხო იმ ბრალდებებზე, აქეთ რომ წამომიყენებს ყველა ერთად თუ ცალ-ცალკე. მავანს გაუკვირდება კიდეც, როგორ შეიძლება იმაზე კამათი, რაც ჯერ არ თქმულა და არ დაწერილაო. მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჩემი წერილის „გმირებმა" იმაზე მეტიც თქვეს, რაც უნდა ეთქვათ თავიანთი „დემოკრატიული რევოლუციის" გასამართლებლად და, ვგონებ, ახალს ეეღარაფერს წაამატებენ საკუთარ ბრძნულ განსჯას...

აქვე იმასაც დავსძენ, რომ ამის შესახებ უკვე ბევრი დაიწერა და ითქვა კიდეც, მეც არაერთგზის მიმსჯელია ამ პრობლემებზე, ამიტომაც აქ ძალზე მოკლედ შევეხები ზოგიერთ მათგანს.

„მარკოზაშვილის დარბაზელნი", უპირველეს ყოვლისა, იმით ამართლებენ ერის წინააღმდეგ მიმართულ თავიანთ შეთქმულებას, რომ, თურმე, მათ დაამხეს დიქტატორული რეჟიმი და განდევნეს ტირანი. როგორი დიქტატურა სუფევდა მაშინ და როგორი ტირანი იყო ზვიად გამსახურდია, რა დემოკრატია მოვიპოვეთ და რა დემოკრატი გვიზის ახლა სათავეში, ეს ყველასთვის, თუნდაც ძალისძალად თვალდათხრილთათვისაც, ცხადია. ასე რომ, დღეს ამაზე სერიოზული მსჯელობა და პარალელების გავლება მხოლოდ ღიმილისმომგვრელი იქნება. აბსურდული იყო მათი თეორიული ბაზისიც, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერდა: ჯერ დემოკრატია უნდა მოვიპოვოთ და მერე ეროვნული თავისუფლებაო. ჯერ პიროვნულად უნდა განვთავისუფლდეთ მონობისაგან და შემდეგომ ვიზრუნოთ ერის თავისუფლებისთვისო. აბსურდულია იმიტომ, რომ

დღემდე ისტორიას არ ახსოვს დამონებული ქვეყანას დემოკრატიული მმართველობა და წყობა შეექმნას, მონის ფსიქოლოგია ძალიან შორსა დგას დემოკრატიული თვალთახედვისგან და, თუკი დაპყრობილ ქვეყანას ამის პრეტენზია უჩნდება, ის მხოლოდ სასაცილო ვითარებაში აღმოჩნდება. აბა, მითხარით, როგორ უნდა დაამკვიდრო დემოკრატიული მმართველობა, როცა ეს უკანასკნელი სხვის ნებასა და სურვილზეა დამოკიდებული?! თანაც ისეთი დესპოტი და მჩაგვრელი იმპერიის ნებაზე, როგორიც არის რუსეთი! განა შეიძლება ვუწოდოთ დემოკრატიული იმ ქვეყანას, რომელიც სხვისი ბატონობის ქვეშ სულს ღაფავს და სხვათა ნებით თუ ძალით არის მართული?! ამგვარად ნაკარნახევი და ნაბრძანები დემოკრატია მხოლოდ ბუტაფორიაა სხვათა თვალის ასახვევად. აი, ისეთი, დღეს რომ ყვავის საქართველოში.

ახლა, რაც შეეხება პიროვნებისა და ერის თავისუფლებას. საერთოდ, ყოველი ადამიანი (და არა მარტო ადამიანი!) ქვეცნობიერად მიდრეკილია თავისუფლებისაკენ. ეს არის მისი თანდაყოლილი მოთხოვნილება. მაგრამ ადამიანის ამ მისწრაფებას მრავალი ფაქტორი ზღუდავს: დაწყებული აკვნის არტახებით და დამთავრებული საზოგადოებრივი მსჯავრითა და სახელმწიფო კანონებით. გავიხსენოთ სენეკას სიტყვები: სრული თავისუფლება მხოლოდ სიკვდილის შემდგომ მოიპოვებაო. ამიტომაც არის ხოლმე, რომ ადამიანი იქმნის თავისუფლების ილუზიას. აბა, როგორ შეიძლება საკანში დამწყვდეული კაცი თავისუფალი იყოს?! მან შეიძლება დაირწმუნოს თავი, რომ თავისუფალია, მაგრამ, როცა არავითარი შესაძლებლობა არა აქვს თავისი ნება გამოხატოს, თავისუფლად იმოქმედოს და თუნდაც შინაგანად მოპოვებული რწმენა თავისუფლებისა საქვეყნოდ დაამტკიცოს, ეს თავისუფლება კი არა, მისი სუბიექტური წარმოსახვაა... ზუსტად ასევეა დამონებული ერის შვილების ფსიქიკაც, ის მხოლოდ თავისუფლების ილუზიით იკვებება. აბა, როგორ შეიძლება საბჭოთა წყობის დროს, რომელიც მანქურთების და მონების ინსტიტუტს ეფუძნებოდა, ადამიანს მოეპოვებინა პიროვნული თავისუფლება, მით უმეტეს ჩვენს ქვეყანაში, რომელიც მონობის ორმაგ უღელს ატარებდა: სისტემისა და უცხო ქვეყნისა, ერთი სიტყვით, სოციალ-პოლიტიკურს და ეროვნულს. ამიტომაც, ჩემი ღრმა რწმენით,

ეიდრე არ დაიმსხვრეოდა ზემოხსენებული მონობის ეს ორმაგი უღელი, ყოველგვარ პიროვნულ თავისუფლებაზე საუბარი მხოლოდ ფუჭსიტყვაობა იყო... ასე რომ, „მარკოსა შვილის დარბაზელთა“ ყალბი თესა ჯერ პიროვნული თავისუფლებისა და მერე ერის განთავისუფლების შესახებ, კრიტიკას ვერ უძლებს. უფრო მეტიც, ეს არის „ჭეშმარიტების“ შეგნებული გაყალბება. ეს კი არ ეკადრებათ განსაკუთრებით იმ მოღვაწეებს, რომლებიც სამშობლოზე მაღლა აყენებენ ჭეშმარიტებას და ამით ერთგვარად ფილოსოფიურად კეკლუცობენ კიდეც. ბარემ აქეე შეეეხოთ ამ თეზისის უსაფუძვლობასაც. ჭეშმარიტების კატეგორია შეიძლება სხვადასხვაგვარად მოიაზროს ადამიანმა რელიგიურ, მეცნიერულ, ფილოსოფიურ, ხელოვნების და სხვა სფეროებში. მას არაერთგვაროვნად ხსნიან და ამასთანავე განსხვავებულია მასთან ზიარების გზებიც. მარტივად რომ ვთქვათ, რელიგიური ჭეშმარიტება არ ესადაგება ფილოსოფიურ თუ მეცნიერულ ჭეშმარიტებას. ეს უკანასკნელნი არ ესატყვისებიან ესთეტიკური ღირებულების ჭეშმარიტებას და ა. შ. ერთი სიტყვით, რელიგიის სფეროში იმთავითვე აღიარებულია აბსოლუტური ჭეშმარიტება, რომელთანაც რელატიურ მიმართებაში მტკიცდება ჭეშმარიტების სხვადასხვა პოსტულატები. ხოლო აბსოლუტური ჭეშმარიტების, ანუ ღმერთის შეცნობა და აღიარება გონების საშუალებით შეუძლებელია. ის ოდენ გულის თვალით უნდა იხილო და იწამო. ფილოსოფოსთათვის (ასევე მეცნიერებისათვის) ჭეშმარიტება ბუნებაში თავისთავად არსებული კატეგორიაა, რომლის აღმოჩენაც და დამტკიცებაც მხოლოდ მეცნიერული მცდელობითა და ფილოსოფიური განსჯით შეიძლება. საესებით სხვაგვარად მოიაზრება, თუ შეიძლება ასე ითქვას, ესთეტიკური ჭეშმარიტება. ის მხოლოდ მიმართებითი, დიალოგური ხასიათისაა და მის აღსაქმელად გულიც საჭიროა და გონებაც, სხვაგვარად, ის არის ესთეტიკური განცდის გონებრივი დაფიქსირება და დაუნჯება... სამშობლოს და მამულის ცნება გაცილებით ფართოა და ვერცერთ ზემოხსენებულ სიბრტყეზე ცალ-ცალკე ვერ თავსდება, თუმცაღა ყოველ მათგანში აქვს ფესვები გადგმული და კიდევ მრავალ სფეროშიც არის განტოტვილი. ამ გრძნობას ასაზრდოებენ ქვეცნობიერი და ცნობიერი შრეები ჩვენი ფსიქიკისა. ის თანდაყოლილი ინსტინქტური განცდაც არის

და აღზრდის, სულიერი დახვეწისა და გონებრივი სიმწიფის ნაყოფიც... სიტყვას ადარ ვაკეთებ და მოკლედ ვიტყვი: სამშობლოს სიყვარული და გათავისება მოითხოვს ფაქიზ გულსა და გამჭრიახ გონებას, ესთეტიკურ გემოვნებას და ფილოსოფიური განსჯის უნარს, მშობლიური ენის, ლიტერატურის და ისტორიის, კულტურის ღრმა ცოდნას, წინაპართა ტრადიციების და მშობელთა ადათ-წესების ცოდნა-პატივისცემას, ბუნების სილამაზის განცდას, საკუთარ მიწაზე აღზრდას, რელიგიისა და რწმენისადმი ერთგულებას, ზნეობას, კაცთმოყვარეობას, გენეტიკური კოდის სიწმინდეს და მისთ... ამიტომაც, ჩემი აზრით, ნებისმიერი ჭეშმარიტების დაპირისპირება სამშობლოს ცნებასთან უმართებულოა თუნდაც იმიტომ, რომ თავად ის არის სრულყოფილი, ყოელისმომცველი ჭეშმარიტება, რაც ღმერთს ბუნებრივად, თუმცაღა აუცილებლობის პრინციპით გაუჩენია ადამიანისათვის. კაცი, რომელსაც სამშობლოს სიყვარულის განცდა არ აქვს, არ გახლავთ სრულქმნილი არსება, თუკი, რა თქმა უნდა, ამქვეყნიურ ცხოვრებას და მოღვაწეობას რაიმე აზრს ანიჭებს. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ ყოველგვარი შემეცნებითი გზა იწყება ამქვეყნიურობის შესწავლითა და აღქმით, მაშინ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი ცნობიერებაც ჩამოყალიბებას იწყებს იქ, სადაც ფეხს ვიდგამთ. გარემო და აღზრდა, ცხადია, გენეტიკასთან ერთად დიდად განსაზღვრავს ჯანსაღი ადამიანის ფსიქიკას. ასე რომ, ჭეშმარიტებას პატივი უნდა მივაგოთ, მაგრამ სამშობლოს ორმაგი პატივისცემა გემართებს, რადგანაც მამულის ცნება თავისთავად გულისხმობს ჭეშმარიტების სიყვარულსა და პატივისცემას... ეს ერთი. და მეორეც, ჭეშმარიტების კატეგორია და მამულის ცნება ისეთი სიდიდეებია, რომ მათი ერთ დონეზე განლაგება და ურთიერთშეპირისპირება უმართებულოც არის და მიზანშეუწონელიც. მათი შედარება საჭიროების და სიყვარულის თვალსაზრისით ისეთივე უხერხულია, როგორც, ვთქვათ, ცხენისა და ქალის. ადამიანს შეიძლება ცხენი უფრო უყვარდეს ქალზე, მაგრამ თუკი ამას თავისი მსჯელობის არგუმენტად იყენებს, მას ავიწყდება ელემენტარული ჭეშმარიტება: ქალის სიყვარული მნიშვნელობით და მიზნობრივი დანიშნულებითაც სხვაა და ცხენის – სხვა. ისევე როგორც არ შეიძლება ამ მხრივ ღუმე-

ლისა და მაცივრის შეპირისპირება, რადგანაც ისინი საგანებით განსხვავებული დანიშნულების საგნებია: ერთი ათბობს, მეორე აცივებს. ერთიც აუცილებელია და მეორეც, ოღონდ გაანალიზებას. და თუკი მაინც ვინმეს სწადია აღმატებით ხარისხში წარმოადგინოს სხვადასხვა კატეგორიების ურთიერთმიმართება, ეს იქნება მხოლოდ მისი სუბიექტური განცდის არაადექვატური და უმართებულო შედარება და არა ობიექტური რეალობის ასახვის შედეგი. აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, იმ ფილოსოფოსს, ვისაც ჭეშმარიტება ერჩივნა სამშობლოს, ერთი ძარღვიც არ ჰქონდა ქართული და ისევე იყო დაცლილი სამშობლოს სიყვარულის გრძნობისაგან, როგორც ზაფხულის პირს ამოხაპული ქვევრი...

დასასრულს, იმ კოსმოპოლიტ ფილოსოფოსებს, რეჟისორებს, მუსიკოსებს, მწერლებსა და სხვ., ვისაც შემოქმედებითი ასპარეზისთვის და ნიჭის გასაფურჩქნად საკუთარი სამშობლოს საზღვრები ეპატარავებათ და მსოფლიო ასპარეზს ესწრაფვიან, შევახსენებ ანბანურ ჭეშმარიტებას: საკუთარი ერის, კულტურის, ტრადიციების უარმყოფელი შემოქმედი, რომელიც კოსმიურ სიმაღლეებს ეპოტინება, ან უკეალოდ დაიკარგება „შავ ხვრელებში", ანდა საკუთარი მოდგმის დამწუნებელს, ღამურას ბედი ეწევა უეჭველად!..

ახლა ვიცი, მისაყვედურებენ, სამშობლოს სიყვარულს გვასწავლის, თავად კი ხელს უშლის ქართული სახელმწიფოს მშენებლობას, ჩვენში განხეთქილების თესლს თესავსო. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ ფარისეველთ ადრეც არაერთგზის გამოუთქვამთ ამგვარი საყვედური ჩემს მიმართ. ფარისეველთა ამ სისინს ასე უნდა ეუპასუხო ორიოდე სიტყვით: აგერ უკვე სამი წელი გიყურებთ და თქვენი აშენებული ვერაფერი ვნახე, დანგრეული – გაგიხარიათ, იმდენი! ალბათ თქვენ სახელმწიფოს მშენებლობა თქვენი სავარძლების დაცვა და გამაგრება გგონიათ. აბა, სხვაგვარად როგორ აგხსნათ ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ, რაც ხელისუფლების სადავეები მოიგდეთ ხელთ, ქართული სახელმწიფოს საძირკვლებს ანგრევთ სხვათა კარნახით. მართლაც და, ისე დაშალეთ, დაანგრიეთ და გაანანაგეთ ჩვენი ბედკრული სამშობლო, რომ ძნელი წარმოსადგენია როდის და როგორ მოხერხდება მისი აღდგენა!..

რაც შეეხება ერთობას, ენდა გითხრათ, საქართველო სწო-

რედ იცან დაღუპა, რომ სამოცდაათი წლის განმავლობაში ერთმანეთში იყო აღრეული ტყეილ-მართალი, პატიოსანი და უპატიოსნო, ჯიშიანი და უჯიშო, ბრიყვი და ჭკვიანი, ნიჭიერი და უნიჭო, ჭეშმარიტი მამულიშვილი თუ გამყიდველი. ეს უბედურება გრძელდება დღესაც. ამიტომაც თქვენ ერის გამთლიანება კი არ გინდათ, არამედ ზნეობისა და უზნეობის აღრევა, მოღალატისა და ჭეშმარიტი ერისშვილის გაიგივება, რასაც ყოველ წამს ამტკიცებთ თქვენი მოღვაწეობითა და ცრუ აგიტაციით. ისე, უნდა დაგამშვიდოთ და გითხრათ, რომ გაერთიანება უკვე კარგა ხანია განხორციელდა: ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომელთაც მხოლოდ სამშობლოს გადარჩენის სურვილი ასულდგმულებთ, ერთად არიან, ხოლო მოღალატე ფარისეველნი, სამშობლოს ოცდაათ ვერცხლად გამყიდველნი – ერთად! მათი აღრევა ურთიერთში ისევე შეუძლებელია, როგორც – თაფლისა კუპრში. მხოლოდ ცოდვათა გულწრფელმა მონანიებამ, განსაწმენდელში გავლამ შეიძლება დაგვაახლოვოს ერთადერთი მიზნით – როგორმე ვუშველოთ დაქცეულ საქართველოს!

დაბოლოს, დარწმუნებული ვარ, ქოქოლას დამაყრიან – შენ ვინა გდიხარ ჩვენი განსჯა-განკითხვა რომ აგიღია თავზეო!.. ნუ შფოთავთ, თქვენი გამკითხველი მხოლოდ ერი და ღმერთია! მე ამ უდიდეს მისიას ვერ ვიკისრებ. ოღონდაც, როგორც ყველა ქართველს, მეც მაქვს უფლება საკუთარი აზრი და პოზიცია გამაჩნდეს ამა თუ იმ მოვლენაზე და ეს ხმამაღლა განვაცხადო, თუნდაც ამისთვის ულირსთა რისხვა დავიმსახურო. ამიტომაც თამამად გავუვირი, ყველა, ვინც კი პირადი ინტერესები მამულზე მაღლა დააყენა, ვინც დაამსხვრია მისი მთლიანობა, ვინც გაასხვისა მიწები, ვინც გაანადგურა ეკონომიკა, ვინც დაამდაბლა ზნეობა და ვინც დააკარგვინა თავისუფლება, მოღალატეა, რომელიც ერის ნებითა და გადაწყვეტილებით მკაცრად უნდა დაისაჯოს! უნდა დაისაჯოს დღესვე, ვიდრე გვიან არ არის და მთლიანად არ დაგვრევია ღალატის სენი და მთლიანად არ დაუსნეულებია ჩვენი სული.

ხოლო ვიდრე ერი შეიკრიბება და თავის განაჩენს გამოიტანს, მანამდე ნება მიბოძეთ ჩემი მსჯავრი შემოგთავაზოთ:

უპირველეს ყოვლისა, ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან უნდა ამოვძირკვოთ მოღალატეობის ინსტიტუტი. ყოველ-

გვარი, თუნდაც უკიდურესი ზომებით უნდა ვებრძოლოთ მოღალატის სინდრომს, ამოვშანთოთ ის ქართველი კაცის ცნობიერებიდან – ფიქრიდან და გონებიდანაც კი. ეს არ გახლავთ იოლი საქმე, რადგანაც ეს სენი საუკუნეთა, განსაკუთრებით კი ბოლო სამოცდაათი წლის განმავლობაში გამჯდარია ქართველის ორგანიზმში. ამიტომაც მთელი ერი უნდა აღდგეს მის წარსაკვეთად; გამუდმებით და ყოველდღიურად უნდა აღმოვაჩინოთ მოღალატის ბაცილით დაავადებული ადამიანები, ვამხილოთ ისინი, დავგმოთ და, თუ საჭიროება მოითხოვს, მოვიკვეთოთ. განსაკუთრებით დიდი ადგილი უნდა დაეთმოს ამ პრობლემის გაშუქებას მოზარდთა აღზრდისას. მათ უნდა შეიგნონ, რომ მშობლებისა და ერის მოღალატე ადამიანი წყეულია და განდევნილია სამშობლოდან. შეჩვენებულია არა მხოლოდ ის, ვინც ჩაიდინა ღალატი, არამედ მთელი მისი შთამომავლობა და ჯილაგი. ერთი სიტყვით, ყველა მოღალატე თავისი შთამომაელებითურთ უნდა გაიკრას სამარცხვინო ბოძზე და მთელი ქართველი ხალხი აფურთხებდეს მათ...

მავანი გაიკვირვებს – სადღაა თქვენი დიდსულოვნება და მიმტევებლობაო, განა შეიძლება კაცის და მისი მონაგარის ასე გამეტებაო?! ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, ყველაფერი მიეტევება ადამიანს, გარდა სამშობლოს ღალატისა! სამშობლოს მოღალატეს დანდობა არ უნდა ჰქონდეს!..

ახლა ისიც ვთქვათ, როგორ განვიკითხოთ ის პირნი, ვისაც უშუალოდ მიუძღვის წვლილი დღეანდელი საქართველოს დანგრევა-დაქცევაში და მის რუსეთის იმპერიის სატელიტად ქცევაში.

ვინც უნებლიეთ ცთუნდა, ახლომხედველობის გამო ვერ განჭვრიტა ქვეყნის მომავალი უბედურება და ახლა გულწრფელად ნანობს, მივუტევოთ!

ვინც სხვათა წყალობით იყო ცთუნებული და ახლა გააცნობიერა, თუ რა ჩაიდინა, მივუტევოთ!

ვინც ფიქრობდა, რომ ამ გზით შეიძლებოდა საქართველოს ხსნა და თავის ამ ილუზიებს სხვასაც ახვევდა თავს, მაგრამ ამჟამად გულწრფელად ნანობს და ინანიებს ცოდვებს, მივუტევოთ!

ვინც ყოველივე კარგად უწყოდა და მაინც შეგნებულად, თავის პირადი კეთილდღეობისათვის, საკარძლისათვის თუ მი-

ᲩᲣᲥᲐᲠ სიამეთა გამო გაეყიდა საქართველო, უღალატა მას და დღესაც ᲯᲘᲣᲓᲘ ფარისეველობით ამტკიცებს თავის „სიმართლეს“, მოიკვეთოს!

ანათემას გადაეცეს ისიც და მისი შთამომავალიც!

აეკრძალოს ქართულ მიწაზე ფეხის დადგმა მასაც და მის შთამომავალსაც!

ამოიბუგოს მისი სახლ-კარი!

მის ნასახლარზე არ დასახლდეს ძე-ხორციელი! ᲭᲝᲢᲘᲡᲐ და ᲑᲣᲡ საბუდრად იქცეს მისი სახლ-კარის ნგრეულეთი!

არ დაიმარხოს ქართულ მიწაზე არც ის და არც მისი შთამომავალი!

ყველა ქართველი წყეულა-კრულვით იხსენიებდეს მის ᲯᲘᲨᲡᲐ და მოდგმას!

დიახ, ასეთ განაჩენს გამოვიტანდით და „ასე მოვიქცეოდით, უეჭველად, ჩვენ, თუკი ეს ჩვენზე იქნებოდა დამოკიდებული“ (პლატონი, სახელმწიფო, III, 399).

ᲑᲝᲚᲝᲗᲥᲛᲐ: მკითხველს კიდევ ერთხელ უნდა მოვუბოდიშო ამ ვრცელი, დაუსრულებელი წერილის გამო. მიზანი ამ წერილისა, როგორც თავადაც ხვდებით, ის იყო, რომ მოგვეაზრებინა რა უბედურება დაატყდა თავს ჩვენს ქვეყანას, რატომ დაატყდა და ვის კისერზეა ეს ცოდვა-ბრალი. წარსულის გასიგრძეგანებას და ცოდვის შეხსენებასაც მაშინ აქვს გამართლება, როცა დასკვნები სამერმისოდ გამოგვადგება და ის, რაც მოხდა, მომაეალში არ გამეორდება... ამიტომაც აუცილებლად მიგვაჩნია ღალატის ფენომენის გამო დავარისხოთ ზარები და ისე, ვითარცა შუა საუკუნეებში წინ წამოწევდნენ ყოველწამიერად სიკვდილის ცნებას, რომელიც მოკვდავთათვის ერთგვარი განგაშის ნიშანი იყო და ზნეობრიობისკენ მოწოდების ერთ-ერთი საშუალება, ისევ გვმართებს საზოგადოებრივი აზრის გამძაფრებით და მიზანდასახული წარმართვით ქართველები ვიხსნათ ამ დამღუპველი სენისგან. ჩვენი განაჩენის სიმკაცრეც მხოლოდ იმით არის გამართლებული, რომ როგორმე ქართველი კაცის ცნობიერებიდან და საქციელიდან ამოიძირკვოს ეს უსნეობა. აქვე ისიც წარმოვიდგინოთ, როგორი განაჩენი გამოაქვს მაღლითმხედს მოღალატეთათვის, რა დაუნდობელია განკუბის მსახურალი ხელი მათ მიმართ. გა-

ეიხსენოთ თუნდაც უახლესი ორი წლის განმავლობაში რა დატრიალდა და ვის თავზე დატრიალდა!.. ეს ყოველივე ავწონ-დავწონოთ და მერე განესაზღვროთ, ღირს თუ არა ამ წუთისოფელში წამიერი კეთილდღეობისა თუ პიროვნული აღზევებისთვის მოყვასისა და სამშობლოს, ჩვენი წინაპრების სისხლ-ხორცითა და სულით რომ არის შექმნილი, ღალატი!

მერწმუნეთ, ბატონებო, ამ ცოდვით სავსე ქვეყანაზე ჩვენი ისედაც ცოდვილი სულის ყველაზე დიდი ცოდვით დამძიმება გვარგუნებს ერის მუდმივ წყევლა-კრულვას ჩვენც და ჩვენს შთამომავლობასაც!

ამიტომაც ხმამაღლა ვიმეორებ, გავყვირი ზეგარდამომავალ კრულვას – წყეულიმც იყოს აწ და მარადის ის, ვინც თავის ერსა და სამშობლოს ღალატობს ახლაც და მომავალში ღალატს გაივლებს გულში!..

1995 წელი

ყველამ უნდა იცოდეს — ესაა შევარდნაძის დემოკრატია!

საქართველო რომ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში ჯამბაზებისა და ოინბაზების სათარეშო არენად იქცა, ვგონებ, ამაში ეჭვი აღარაფის ეპარება. მაგრამ ოინბაზობაც არის და ოინბაზობაც!.. ჩვენთან საგანმა თუ სულიერებამ თავისი არსი და სახელი დაკარგა. ყველაფერი უკუღმა დატრიალდა: პატრიოტს ერის მოღალატე დივერსანტად აცხადებენ, ბანდიტს — თავდადებულ მამულიშვილად, კაცთმოყვარე ქრისტიანს დიქტატორად სახავენ, ურჯულო ტირანს კი მორწმუნე დემოკრატად წარმოგვიჩენენ; ქურდულ სამყაროსთან შესისხლხორცებულ ადამიანს ინტელიგენტად მიიჩნევენ, ჭეშმარიტ ინტელიგენტს კი — კრიმინალად.

სწორედ ამის დამადასტურებელია თბილისში გახსნილი საერთაშორისო ფორუმი „კულტურათა დიალოგი სოლიდარობისათვის, აგრესიულობისა და ძალმომრეობის დასაძლევად". აბა, სხვაგვარად როგორ უნდა გავიგოთ ის, რომ ქვეყანაში, სადაც ძალმომრეობა და აგრესია ზენიტს აღწევს, ხოლო ეროვნული კულტურა აბუჩად და მასხრად არის აგდებული, ტარდება ამ თემისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმი, რომლის ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელია საქართველოს კულტურის უდიდესი მეცენატი და მფარველი, ჰუმანიზმისა და კაცთმოყვარეობის ქომაგი, უპირველესი შემწყნარებელი და მიმტევებელი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთგული დარაჯი ბატ. ედუარდ-გიორგი შევარდნაძე. ამჯერად დიდმა პოლიტიკოსმა ფორუმზე თავისი სიტყვა უამრავი მითოლოგიური თუ ფილოსოფიური წიაღსვლებით გადატვირთა. იგი, ალბათ, საკუთარ კულტურულობასა და კულტურტრეგერობას უმტკიცებდა იმ უცხოელ სტუმრებს, რომლებიც, მისივე სიტყვები რომ გავიმეოროთ, „პრომეთეს ცეცხლის დასანთებად" იყენენ მობრძანებულნი საქართველოში. დიდი პო-

ლიტიკოს-კულტურტრეგერი ადრე პარიზში ცდილობდა ესთეტიურ-ფილოსოფიურ დონეზე გაერკვია კულტურის ეროულესი პრობლემა, როცა ბრძანებდა – სილამაზემ უნდა გადაარჩინოს მსოფლიო თუ მსოფლიომ – სილამაზე-ო. ამჯერად კი თბილისის ფორუმზე არ დაიზარა და გაიხსენა თავისი ორი წლის წინანდელი სხარტი გამოსათქვამი: გადავარჩინოთ კულტურა და კულტურა გადაგვარჩენს ჩვენო!!! სამწუხაროდ, ცნობილი კულტურტრეგერის ეს სენტენცია არ გამართლდა და მან ვერც კულტურა გადაარჩინა და საქართველოსაც ბოლო მოუღო. მაგრამ ეს ფრიად კულტურული ადამიანი ისტორიის სფეროშიც შეიჭრა. კერძოდ, აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების ფაქტი, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში დედაქალაქის მე-40 და საბოლოო განადგურებად არის მიჩნეული, უარყო და მრავალმნიშვნელოვნად დასძინა, რომ დედაქალაქის 41-ე აოხრება სულ ახლახანს, ჩვენს თვალწინ მოხდაო. და ამას წარმოთქვამდა ისეთი სიდინჯით, გეგონებოდათ, ამ აოხრების ინსპირატორი თავად კი არ ყოფილიყოს, არამედ აბჯარასხმული, პატარა კახივით დახვედროდეს მომხედურთა ურდოებს...

როგორც ჩანს, დიდ პოლიტიკოსს პატივმოყვარეობის ჭია ღრღნის. ამიტომაც რიხით განაცხადა – მე და ასევე ჩემს მეგობრებს – კოლს, ბუშს, შულცს, ბეიკერს, გენშერს და სხვ. კულტურა დაგვეხმარა, რომ ბერლინის კედლის დანგრევამდე ჩვენს შორის აღმართული კედელი დაგვენგრიაო. ეტყობა, კულტურა ისეთი საამო რამ არის, რომ არა მარტო ბერლინის კედელს, არამედ ადამიანის ფსიქიკასაც ანგრევს. სწორედ ამ დანგრეული ფსიქიკის წყალობით დაიქცა დღეს საქართველო, აგრერიგად რომ ეამაყება ბატ. ედუარდ-გიორგის და მის ხელდასხმულ ინტელიგენციას.

დასასრულ, ედუარდ-გიორგი შევარდნაძემ, როგორც არაერთხელ, ამჯერადაც აღნიშნა ქართველი „ინტელიგენტების" შეუპოვარი ბრძოლა ნაციონალური ტირანიისა და დესპოტიზმის წინააღმდეგ და ხაზი გაუსვა მათ დიდ ღვაწლს ჭეშმარიტი დემოკრატიის დამკვიდრებაში.

მოგეხსენებათ, თუ როგორ ყვავის საქართველოში დემოკრატია. შემწყნარებლობაც როგორ ზეიმობს. ალბათ, ამიტომაც დიდი პოლიტიკოს-კულტურტრეგერის მეგობარმაც, იუ-

ხესკოს მდივანმა ფრედერიკო მაიორმა ერთხელ კიდევ შეგვახსენა: „შემწყნარებლობა სწორედ ის არის, რომ აზრთა სხვადასხვაობა ასატანი იყოს“-ო. მაგრამ ბატ. ედუარდ-გიორგისა და მის მონა-მორჩილ „ინტელიგენციას“ რატომღაც ხშირად ავიწყდებათ ეს და განსხვავებული აზრის ადამიანებს დევნიან, აპატიმრებინებენ, აწამებინებენ, უკანონოდ ასამართლებინებენ და სასიკვდილოდაც იმეტებენ. ახლა მოგვიტევოს მკითხველმა, რომ სიმაღლეთა მონაცველეობა მომიწევს და უფალი ფრედერიკო მაიორის შემდეგ პირდაპირ შიდა ქართლის გუბერნატორთან – ბადრი ხატიძესთან მოგვიხდება შეხვედრა. მაგრამ სხვაგვარად ვერ წარმოვაჩენთ საქართველოში გაფურჩქნული დემოკრატიის სურათს, რომლის დამსურათხატებლებიც ბატ. მეთაურის მიერ ხელდასხმული გუბერნატორები ბრძანდებიან.

ამა წლის 7 ივლისს გორის საფეიქრო ქარხნის კლუბში ქალაქის საზოგადოება უნდა შეხვედროდა ქართველ საზოგადო მოღვაწეებს, ბატონებს მუხრან მაჭავარიანს, ვახტანგ ბოჭორიშვილს, ირაკლი გოცირიძესა და ელიზბარ ჯაველიძეს. საღამოს შესახებ გორში აფიშებიც გამოიკრა და ადგილობრივი ტელევიზიითაც გადაიცა ინფორმაცია. ამ თაეზარდამცემმა ელვა-ცნობამ საგონებელში ჩააგდო შიდა ქართლის გუბერნატორი ბადრი ხატიძე, რომელმაც იმავე ღამით შეკრიბა გორის „დემოკრატიული აქტივი“. მაგრამ, მიუხედავად სერიოზული სჯა-ბაასისა, გადაწყვეტილება მაინც ვერ მიიღეს. ამიტომ გუბერნატორი იძულებული გახდა სასწრაფოდ დალაპარაკებოდა „მამა-შეფს“. ჩვენ არ ვიცით ამ „ექსკლუზიური“ საუბრის შინაარსი, მაგრამ ფაქტი ერთია: მეორე დღეს გორის ყველა შესასვლელი კარიბჭე საგულდაგულოდ გადაკეტეს პოლიციელებმა და სპეცნაწილის ჯარისკაცებმა. ქალაქში გამოაცხადეს საპასპორტო რეჟიმი და საბუთის შეუმოწმებლად არავის უშვებდნენ. განცვიფრებული მგზავრების შეკითხვას – რა ხდება? – ასე პასუხობდნენ: მუხრან მაჭავარიანის ხალხი დაიძრა თბილისიდან და გორი რომ არ აგვიწიოკონ, ამიტომ ფხიზლად ვიცავთ ჩვენი ქალაქის კარიბჭეებსო. ამასთან ერთად სამხარეო პროკურორმა ამირან ნოზაძემ და გორის უშიშრიების უფროსმა თამაზ ჩუტკერაშვილმა დაიბარეს გორის

კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების თავმჯდომარე ტარიელ ჭუმბურიძე, რომელიც ორგანიზაციას უწევდა ამ შეხვედრას და მოუწყვეს ხანგრძლივი დაკითხვა-გამოძიება, თუ საიდან გაუჩნდა „ხალხის მტრებთან" შეხვედრის ეს მოღალატური აზრი.

როგორც ჩანს, გუბერნატორი მაინც ვერ ენდობა პოლიციის ეროგულ გუშაგებს და დამატებით ზომებსაც მიმართა. კლუბი, სადაც უნდა გამართულიყო შეხვედრა, სწრაფი რეაგირების სახანძრო რაზმმა დაიკავა და იმ მიზეზით, რომ ადვილი შესაძლებელი იყო ხანძარი გაჩენილიყო და „ძვირფასი სტუმრები" დაშავებულიყვნენ, პომპიერებმა კლუბის კარები აჭედეს და სექტემბრამდე დალუქეს(?!).

აჟიოტაჟი გორის შემოგარენში მეორე დღესაც გაგრძელდა: როცა თბილისიდან, ახლა უკვე ზესტაფონისკენ, დაიძრა მუხრან მაჭავარიანის „ნაციონალისტური ლაშქარი", კასპისა და გორის საგუშაგოებთან მათ გზა გადაუღობეს, შეუმოწმეს საბუთები, შეადგინეს სია და მკაცრად გააფრთხილეს, გორისკენ არ გადაეხვიათ, თორემ „გორის ციხეში" ამოაყოფინებდნენ თავს.

მართალია, „მაჭავარიანის პროვინციელმა ფაშისტებმა" ზესტაფონს მშვიდობიანად მიაღწიეს და გამგებელმა ჯემალ გორგოძემ მათ შეაგება „პაჟალუსტა", მობრძანდითო, მაგრამ მან, გორელი კოლეგისაგან განსხვავებით, ბრძოლის უფრო დახვეწილი მეთოდი გამოიყენა: საგულდაგულოდ გადამალა ზესტაფონის ყველა კინოთეატრის თუ კლუბის დირექტორები და დარბაზების კარებიც საიმედოდ გადაარაზვინა. ზესტაფონის მილიციის უფროსს, ოლეგ ნაცელიშვილს, რომელიც, ჩანს, ახალგაზრდობისას შაქრიან ღვინოს ეძალებოდა და ამიტომაც თურმე ხშირი „თავის ბრუალი" დასჩემდა, თურმე წინადღით განუცხადებია – ძლიეს გავწმინდე ზესტაფონი კრიმინალური ელემენტებისაგან და ახლა მუხრან მაჭავარიანს ავარეევინებ ქალაქსო?! – თანაც ხალხს დაჭერით დამუქრებია, თუკი ისინი სტუმრებს შეხვდებოდნენ.

მაგრამ შეხვედრა მაინც შედგა ღია ცის ქვეშ, პარკში, სადაც ზესტაფონლებსა და სტუმრებს შორის გულთბილი დიალოგი გაიმართა. ოღონდაც სამართალდამცავმა ორგანოებმა სულ ეყურადღებოდაც არ მიატოვეს დაუპატიჟებელი სტუმრე-

ბი. ისინი ზეციდან სუპერრეაქტიული შეეულმყრენებით თავს დასტრიალებდნენ მათ. ალბათ შიშობდნენ, სტუმრები არ გაგვისხლტნენ ხელიდან და ზესტაფონის ხიდი არ აგვიფეთქონო.

აი, ასეთი რამ ხდება დღეს „დემოკრატიულ" საქართველოში. რაოდენ სამწუხარო თუ სასიხარულოა, რომ ეს მხოლოდ საქართველოში შეიძლება მოხდეს, და ისიც დიდი დემოკრატის წყალობით. აი, რისთვის ჭირდება ბატ. ედუარდს სამხარეო გუბერნატორები, რომლებიც ხედმიწევნით ზუსტად ასრულებენ მის მითითებებს და კრიმინალებისგან იცავენ საკუთარ სამფლობელოებს.

ვაი, უბედურო საქართველოვ, ასეთი დემოკრატი, ჰუმანისტი, შემწყნარებელი პატრონის ხელში! ვაი, იმ საქართველოს, სადაც მუხრან მაჭავარიანს სდევნიან და ხატიძეებსა თუ გორგოძეებს აღაზევებენ!.. თუმცა სხვა რა უნდა მოთხოვო მონად დაბადებულ ადამიანებს, რომელთაც მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ — ფეხები აულოკონ თავიანთ პატრონს.

სირცხვილი ფურთხილოკია, გადაგვარებულ ქართველებს!

1995 წელი

„საიქიოდან დაბრუნებული“ შევარდნაძე პრეზიდენტობისათვის იბრძვის

რაც საქართველომ თავისუფლებისათვის ბრძოლა დაიწყო, მას შემდეგ დიდი მეგობარი რუსეთის წყალობით არც ტექტონიკური მიწისძვრები დაკლებია, არც ეკონომიკური აფეთქებები, არც პოლიტიკური დივერსიები და არც აშკარა ექსპანსია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ უცხო ძალა ვერას გვაენებდა, შიგნით რომ ერთობა გვქონოდა და ურთიერთი გამეტებით არ გვეძიძგნა, როგორც სვავებს...

დღეს საქართველოს ჭირს ვერვინ მოთვლის... მაგრამ უდიდესი ცოდვა, რომლითაც დაღდასმულია ჩვენი ერი, ეს კაცთაკვლაა... კაცის სიცოცხლე ჩირად არ ღირს დღევანდელ საქართველოში. ადამიანს ისეთი სიამოვნებით კლავენ, გეგონებათ საკალანდო ღორი ყოფილიყოს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ კაცისკვლისთვის არავინ ისჯება – არც სამართლებრივად და, წარმოიდგინეთ, არც მორალურად. სწორედ ამან განაპირობა ის თავაშვებული ტერორი, რომელიც დღეს საქართველოში ბატონობს და რომელმაც მრავალთა სიცოცხლე შეიწირა.

* * *

და აი, ნაღმი აფეთქდა იმელის ეზოში, შეტორტმანდა შენობა, ჩაიმსხვრა მინები, მსუბუქად დაიჭრნენ ბატ.შევარდნაძე, მისი ყმადშეფიცულები: რჩეულიშვილი, მამრაძე და სხვანი. როგორც სამართალდამცავი ორგანოები გვაუწყებენ, ეს იყო ტერორისტული აქტი, მიმართული დიდი პოლიტიკოსის სიცოცხლის ხელსაყოფად... სულ რამდენიმე წუთში ტელეეკრანზეც ვიხილეთ თავად შევარდნაძე მხოლოდღა მაისურის ამარა, მოშიშვლებული მკლავებით (ჩანს, უფრო ტრაგიკული ეფექტის მოსახდენად, თორემ ესთეტიკურად ასეთი პოზა, დამეთანხმებით, წამგებიანი იყო), შუბლზე სისხლის წინწკლებით, ოდნავ შეშფოთებული და დამფრთხალი. ოღონდაც დაბ-

ნეული არ ჩანდა და ნეული რიხით მიმართავდა მაყურებელს: ამ უბედურებს (გულისხმობდა ტერორისტებს) ჩანაფიქრის განხორციელების თავიც არა აქვთ (რა გასაოცრად დაემთხვა მისი სიტყვები ოდესღაც მსგავს სიტუაციაში მყოფი დე გოლის მიერ წარმოთქმულ ფრაზას!). ეს არის ტერორისტების ბოლო აქტი, საქართველო ბრძოლას გამოუცხადებს ტერორიზმს და ბოლოს მოუღებს მას-ო...

უზნეობაა ასეთ დღეში ჩავარდნილ კაცს შეეკამათო და უადგილო კითხვებით მიმართო, მაგრამ თავს ვერ ვიკავებთ და მაინც გვსურს ვიკითხოთ:

დღემდე რამდენი ადამიანი შეიწირეს ტერორისტებმა. ნუთუ მათი სიცოცხლე ბატ.მეთაურს იმად არ უღირდა, რომ ტერორიზმთან ბრძოლა დაეწყო?! ნუთუ პირადად მას უნდა შეხებოდა სიკვდილის მანქანა, რომ ამ აზრამდე მისულიყო?! ნუთუ ეს შემზარავი ფაქტიც, რომელიც უმსხვერპლოდ დამთავრდა, მას სხვა მიზნებისთვის სჭირდება?! მაგრამ მოდით ნუ გადავღლით, როგორც თავად ბრძანა, „საიქიოდან დაბრუნებულ“ პოლიტიკოსს და მივყვეთ მოვლენათა განვითარებას.

* * *

ეს უკვე მერამდენედ შემაშფოთებელი რამ ჩაიდინეს. ამ აფეთქებით ადამიანი გაწირეს, ადვილი შესაძლებელია, გაიმეტეს თავად ის, ვისაც ღილაკზე თითი დააჭერინეს. ასე თუ ისე, ბატ.მეთაური ამ ჯერადაც გადარჩა, როგორც ამბობენ, ღვთისა და უფლის შეწევნით... იქნებ თავად ბოროტმოქმედის წყალობითაც... იქნებ მას დიდი პოლიტიკოსის სიკვდილი სრულიადაც არ სურდა, იქნებ მას სხვა მიზნები ასულდგმულებდა?! იქნებ ამ ტრაქტის განხორციელების ჩანაფიქრიც სხვა რამ იყო, ვიდრე ტრაგიკული აღსასრული?! ვინ იცის?!

ფაქტი ერთია – ყოველივე კეთილად დასრულდა. კეთილი დასასრული, როგორც წესი, კომედიას უფრო ესადაგება, ჩანაფიქრი კი ტრაგიკულ განვითარებას მოითხოვდა. ამიტომაც უმალ დაიწყო მოვლენის დრამატიზება, ფერთა გამუქება, ფსიქოზის გაღვივება, ზღვრული სიტუაციის ხელოვნურად შექმნა: ქალაქის ქუჩები ოპერატიულად გადაიკეტა, გამორინდნენ ტანკები, რომლებიც „აფეთქებულ“ პარლამენტს იცავდნენ: ქუ-

ჩები გაივსო სამხედროებით, ქალაქის პოლიციელებით. ერთი სიტყვით, სრული საომარი მზადყოფნა გამოცხადდა. გაისმა ხმები, რომ მოსალოდნელია სამხედრო გადატრიალება. მერე ამ საშიშროების შესახებ უკვე დარწმუნებით ისაუბრეს პარლამენტარებმა... დაბეჯითებით მოითხოვდნენ საგანგებო წესების შემოღებას... ყველასთვის ადვილი მისახვედრი იყო, თუ რა მოჰყვებოდა ამას... ყველაფრიდან ჩანდა, რომ ამ ეიფორიას ემოციები არ კვებავედა, არამედ რაღაც უფრო დიდი ჩანაფიქრი და განზრახვა...

* * *

დაფაცურდა პროკურატურა. შეიქმნა სპეციალური საგამომძიებლო ჯგუფი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა გენერალური პროკურორი... დალუქეს იმელის მიმდებარე შენობები, თავად იმელის შენობის ოთახები... რა არ აღმოჩნდა ჩვენს სახელოვან პარლამენტში: მორფის ამპულები, უცხოური ვალუტა (რუსული რუბლი, ფუნტი სტერლინგი, დოლარი), ავტომატები, პისტოლეტები, ასაფეთქებელი ნივთიერებანი და სხვ. ერთი სიტყვით, ყველაფერი აღმოაჩინეს, გარდა მარქსისტული წიგნებისა... ალბათ ამასაც მოიძიებენ, თუკი საჭირო შეიქნა და „ორთოდოქსი კომუნისტების“ დადანაშაულება განიზრახეს... ჯერჯერობით ლიფსიტები დაიჭირეს: ბატ.მეთაურის დაცვის თანამშრომლები, მისი სახელმწიფო მრჩეველი და მისთ. მალე ალბათ ღლაევებსაც მიადგებიან...

* * *

პროკურატურას პოლიცია ხომ არ ჩამორჩებოდა? მათ გადაკეტეს დედაქალაქში შემოსასველელი თუ გასასველელი ყველა ბილიკი და პროფილაქტიკური ღონისძიებები ჩაატარეს. ცხადია, ამჯობინეს დაბალ ღობეს მისდგომოდნენ. ამიტომაც დაიარეს ზვიადისტების ოჯახები და ვინც შინ შეისწრეს, ყოველგვარი მობოდიშების გარეშე განყოფილებებში მიაბრძანეს. ამ განუკითხაობის შედეგად დილეგში ამოაყოფინეს თავი და მთელი ღამე იქ აყურყუტეს: ქალბატონი ნუცა გელბახიანი (პოლიციელები ალბათ ვარაუდობდნენ, რომ ის ხელმძღვანელობდა ტერორისტთა ჯგუფს!), პროფ.ლერი გოგოლაძე (ჩანს,

ის ჯაუფორგად მიიჩნიეს), გუჯა დრიაშვილი (დაზვერვის უფროსი, ალბათ) და მრავალი თავზეხელაღებული ტერორისტი: ქეთევან უგულავა, ლევან დაუშვილი, ლალი კოსტავა, ნუგზარ ცერცვაძე, ზურაბ ხორავა, ეკატერინა გელენიძე, ისაია ფიფია ბავშვითურთ, თამაზ მამაგეიშვილი და სხვა მრავალი. საბოლოოდ, პოლიციას ხელიდან გაუსხლტა ორი ყველაზე საშიში დამნაშავე: ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი გოგი ხოშტარია და პროფ.ნაპო კვარაცხელია...

პოლიციელებთან ერთად აქტიურობდა ზოგიერთი მოქალაქე „მოქალაქეთა კავშირიდან". ასე, მაგალითად, კულტურის მინისტრის მოადგილე რეზო ამაშუკელი, რომელსაც თავის დროზე მოხდენილად უწოდეს კომკავშირში დავაუკაცებული რესტორნის სალახანა და სამორინელი კინტო, ღამის სამ საათზე გალეშილი მთვრალი შეიჭრა ვაკის პოლიციის განყოფილებაში და იქ ისედაც უდანაშაულოდ დაკავებულ პიროვნებებს აგინა, ლანძღა და ოჯახის ამოწყვეტით დაემუქრა. ამ მხდალმა და ბაკებცანცარა კურდღელმა ყოველივე ეს იმიტომ ჩაიდინა, რომ კულტურის მინისტრის სავარძელს ესწრაფვის, ხოლო დღეს ამ მიზნის მისაღწევად კულტურა და განათლება კი არ ესაჭიროება კაცს (როგორც ამბობენ, რ.ამაშუკელს თავიდან ბოლომდე ერთი წიგნიც არა აქვს წაკითხული!), არამედ ეროვნული ძალების – ზვიადისტების სიძულვილის გამომჟღავნება. ამიტომაც ნაბახუსევი აშუღი „ალიონში" გამოვიდა და პირდაპირ „მრგვალებს" დაადო ხელი. თუ სამართალია ქვეყნად, ამ ცილისწამებისთვის ის პასუხისგებაში უნდა გადაეცეს. მაგრამ ჩვენთან კანონს ვინ დაეძებს, როცა შევარდნაძის ხვაშიადს ასრულებს კაცი და თანაც შ.კვირაია და ჯ.ბაბილაშვილი მეგობრად ეგულვის.

ახლა თავი დავანებოთ მ'ესრანის ღვინის ქარხნის პრივატიზაციის თავმჯდომარეობით გულ- თუ ხელგამთბარ რეზო ამაშუკელს და პოლიციელებს ვკითხოთ: როდემდე უნდა გაგრძელდეს თქვენი თავხედური და უკანონო ქმედებანი? როდემდე უნდა იჭერდეთ და კლავდეთ უდანაშაულო ხალხს? ამით თქვენ ხომ დათვურ სამსახურს უწევთ „მომავალ პრეზიდენტს", ამ თავაშვებული უკანონობით აზიზღებთ მის თავს უბრალო ადამიანებს, და ასეთი საქციელით ხომ თავადვე ტერორიზმის

მარცელებს თესავთ?! ნუთუ ამას არ უფიქრდებით, თუ შეგნებულად ირჯებით ასე?! ერთი ცხადია, ეს უკანონობა მალე მოგეკითხებათ!..

* * *

ყველაზე გვიან ხელი გამოიღო უშიშროების სამსახურმა. მაგრამ მას უნიათობასა და არაოპერატიულობას ვერ დაეაბრალებთ. პირიქით, ამ ფაქტთან დაკავშირებით მოსკოვიდან სასწრაფოდ გადმოფრინდნენ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იგორ გიორგაძე, სამხედრო მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე და გრაჩოვის მოადგილე (ძალიან გვაინტერესებს რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს რა ესაქმება, კერძოდ ამ ფაქტთან და, საერთოდ, რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენებთან?!). ჰოდა, სწორედ იმას მოგახსენებდით, რომ ი.გიორგაძე დილის ოთხ საათზე ჩამოფრინდა და უკვე ექვს საათზე ათკაციანი შეიარაღებული ჯგუფი დააკავეს; ვინაობას ჯერ არ გვიმხელენ, მაგრამ, როგორც ამბობენ, მათ შორის ზვიადისტებიც არიან, ტელევიზიითაც გვაჩვენეს ზურგით მდგარი ორი ადამიანი. უნებლიეთ გვახსენდება ერთი ანეკდოტი: ზარმაცი სტუდენტი ზოოლოგიის გამოცდას აბარებდა. პროფესორმა მუჭში მომწყვდეული ჩიტის კუდი აჩვენა და ჰკითხა: ეს ფრინველი რომელ გვარს ეკუთვნისო. სტუდენტმა ვერ გამოიცნო, რისთვისაც ორიანი დაიმსახურა. მასწავლებელს ნიშნის გაფორმება სურდა და მას გვარი ჰკითხა. მაშინ სტუდენტმა საჯდომი მიუშვირა და უთხრა: ახლა შენ გამოიცანი რა გვარის ვარო. ასე იყო ამჯერადაც, ორი კაცი ზურგით გვაჩვენეს, შენ კი წადი ახლა, გაიგე, მათ ააფეთქეს თუ სხვებმა?! მაგრამ უფრო კომიკური იყო ფარატინა ფურცლებზე ნაჩხაპნი იმელისა და კრწანისის რეზიდენციის სქემები, რომლებიც ვითომცდა ამ ჯგუფის ერთ-ერთ წევრს აღმოუჩინეს. ეს ამბავი ზუსტად იმას გვაგონებს, ლანჩავამ რომ ერთ გაუბედურებულ ჩეჩენს „ნუ პაგადის“ ნახატი აღმოუჩინა და მერე ამტკიცებდა, ეს ნახატი სადივერსიო სქემა არისო. ლანჩავა ლენჩავაა, მაგრამ, ბატონო იგორ, თქვენ პროფესიონალი ხართ და ასეთი დაბალი დონის პროპაგანდა რად დაგჭირდათ? თუ თქვენც გგონიათ, რომ ხალხი ისეთი ბრიყვი და უმეცარია, არ იცის რას ნიშნავს სქემის შედგენა?! ეს ერთი.

და მეორეც, თქვენ თუ ორ საათში აღმოაჩინეთ ამფეთქებლები, ჩანს, ყოველივე უწყოდით და აცალეთ მათ დივერსიის ჩადენა. ნუთუ ამან შაინც არ დაგაფიქრათ?!..

ასეა თუ ისე, ძალიანმიერი უწყებები ისე დაფაცურდნენ და ისე ცდილობენ შეფს ერთგულება დაუმტკიცონ, რომ არ არის გამორიცხული უახლოეს ხანში ტერორისტთა სამი ჯგუფი აღმოაჩინონ ცალ-ცალკე – პროკურატურის, უშიშროების და პოლიციის მიერ დაკავებული.

აბა, ჰე, თქვენ იცით, სამართალდამცველნო!

* * *

უფალს შევცოდავთ, თუ ცალკე არ აღვნიშნავთ ტელევიზიის თავდაუზოგავ მუშაობას და ოპერატიულობას. ტელეოპერატორები ლამის მოელენებს ესწრებდნენ წინ, ლამის აფეთქებამდე გადაიღეს დატრიალებული ტრაგედია.

უპირველესად ნატო ონიანი გამოჩნდა ეკრანზე, თვალცრემლიანი, შეშფოთებული და აღელვებისაგან ისეთი ფერმკრთალი ჩანდა, გეგონებოდათ ფრანგული დიეტა ახალი დამთავრებული ჰქონდა...

მერე ქალაქის პოლიციის უფროსი, თვალცრემლიანი გენერალი ალუღლუღდა – ეს რა უბედურება დაგვატყდა თავსო. ჩვენ შეფს რამე რომ დამართოდა, ამას აჯობებდა ატომური ბომბი ჩამოვარდნილიყო და ყველა ერთად დავხოცილიყავითო(?!).

არანაკლები აღტყინებით გვესაუბრებოდა დაზარალებული, შუბლძარღვგაწყვეტილი და მინით ყელგამოჭრილი ვრჩეულიშვილი: შევარდნაძის აფეთქება მთელი საქართველოს აფეთქებაა(?!).

მერე ეკრანზე გამოლაგდნენ და მიკროფონს ურთიერთს ხელიდან ჰგლეჯდნენ შევარდნაძის ფინიები: ყვანიები, ბარამიძეები, ჩიხრაძეები და სხვები... მაყურებლებს არწმუნებდნენ, ამაზე დიდი უბედურება საქართველოს თავს არ დასტეხია და ახლავე ერთად თუ არ აღვსდექით და დაუნდობელი ბრძოლა არ გამოვუცხადეთ ყველა ჯურის „ოპორტუნისტებს“, შავად წაგვივა საქმე. ამიტომაც მოუწოდეს სრულიად საქართველოს მოსახლეობას რესპუბლიკის მოედანზე მიტინგი გავმართოთ და ჩავქოლოთ ტერორისტებიო.

თქმა არ უნდა, ნებისმიერი ადამიანის, მით უმეტეს, პოლიტიკური მოღვაწის მკვლელობა დასაგმობია, მაგრამ ვერავითარი ჰიპერბოლიზაციით ვერ გაეამართლებთ მაეანთა ავადმყოფურ წარმოსახვას, თითქოს შევარდნაძის სიკვდილი საქართველოს დაღუპვას ნიშნავდეს. ეს ბოლშევიკური პროპაგანდა, რაც დაახლოებით ასე ჟღერდა: სტალინის და ლენინის სიკვდილით მთავრდება კაცობრიობა, ძველზე ძველია და ყაელგასული!..

ტელევიზიამ მომხდარი ფაქტის ტრაგიკულობა გაამძაფრა უცხოეთიდან მოსული დეპეშებით. ვის გვარს არ გაიგონებდით ეკრანიდან – ეს ელცინიო, ის ბეიკერიო, ეს გენშერი, ის მეიჯორიო, ეს ალიევი, ის დემირელიო და მისთ. ყველა გამოთქვამდა წუხილს მომხდარი ფაქტის გამო და ეს ბუნებრივიცაა. ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთ ვითარებაში დიპლომატიური ეტიკეტიც მოითხოვს ამგვარ გამოხმაურებას. მაგრამ როგორც არაერთხელ მომხდარა, ეს ფაქტიც იმის საპროპაგანდოდ გამოიყენეს, რომ ხალხი დაერწმუნებინათ, ბატ. მეთაურის ბადალი სახელდებული მეორე კაცი არ დაიარება დუნიაზეო.

* * *

ბუნებრივია, გაიმართა პარლამენტის საგანგებო სხდომაც, რომელიც სპეციალურად მიეძღვნა ტერ.აქტის შეფასებას. მართალია, სხდომა საგანგებო იყო, მაგრამ ჩვენთვის უკვე ნაცნობი და ძველი სცენარით მიმდინარეობდა: აქეთ ჩამწკრიედა შევარდნაძის ერთგული კოჰორტა, რომელიც შედგებოდა როგორც ჯერ დამწყებ, მაგრამ ერთი საქმისთვის უკვე თავგასაპნულ ჭაბუკთაგან (გ. ბარამიძე, ლ. მამალაძე), ასევე მლიქვნელობაში გამობრძმედილ და არაერთგზის თავგასაპნულ, შუახანს მიტანებულ კაცთაგან (ზ. ჟვანია, გ. ჟორჟოლიანი) თუ ბეხრეკი, ჩამოსაწერად გადადებული და უკანასკნელად თავგასაპნული ბერებისა და დედაბრებისაგან (რ. მიმინოშვილი, მ. გიგინეიშვილი, ი. ორჯონიკიძე და მისთ.), იქით – მოწინააღმდეგის მცირე რაზმი, უკვე არაერთგზის ნაცემ-ნაბეგვი, დასჯილი და დატუქსული თავიანთი „კადნიერებისათვის" (ი. წერეთელი, თ. ჩხეიძე, ლ. შაკიაშვილი, ჯ .იოსელიანი და მისთ.).

შევარდნაძისტები მათთვის ჩვეული „შეუვალობით" ამტკი-

�ebdnen, rom ubenebsebuli teraqtit iwyeboda sakelmwifo gadatriialeba, rasac turmu garda uvalad mokvebda qveynis dalupva. da am mosalodnel uburebas isuetis aRwiotebit gaakiodnen. kaci iyiqrebda, mat savsebit daavifudat guSindeli dRe, roca samxedro gadatriialebas tavkacobdnen. kanonieri xelisufleba daamxes da qveyana uflkruliSi gadaiyxes! amjeradac mat mturmi mimartuli iyo im kalebis winaaRmdeg (i.giorgaZe, j.iosilianni), romelic am bolo droos aiovalisfuna da miZanSi amoiRo matma didma mtavarsardalma.

umciresobas SeZlebisdagvarad iyeriebda mat tavaSvebul yiyins. t.ckhvedis, ir.fereTlis, l.SaiaSvilis da sxvata pirit mravali martali sityva itqva, romlebic udabnoSi qarma gaJfantu, magram „araakeTilmosurne“ gamomsvelelta ramdenime fraza maincc Semorcha msmenelis yurs. irina sariSvilma gaNacxada: „me vtvli, rom e.Sevardnaze yvela teroristuli aqtis – guSindeli ter.aqtis cnatvlit – TanamonawilebaS“... da bolos dasdina: es kaci mTel eris uflkruliSi gadasaiyxad miaqanebs. xolo jaba iosilianma, romelic am dRes afeTqebis Sedegad SoqurI mdgomareobaSi imyofeboda, mravalmniSvnelovnad iqitxa: „vis awyobs yvelaferi es, rac moxda da rac dRes aq xdeba?!“ magram vidre am saintereso TvalsazRisis da kiTxvas pasuxs gavcemdet, orioRe sityvit unda SeeeXoT am „tragediis“ finalsi... finali ki grandiozuli, masobrivi scena unda yofilyo!..

* * *

pirdapir unda vTqvat, rom finali cavarda: verc grandiozuli gamoeida da verc im miZnis miaRwia, romlitac maeurebis kaTarzisi unda momxdariyo.

resPublikis moedanze TavisnebiTa Tu survilit misuli sul rameniime asewli (eTqvat, samasi, oTxasi) kaci iyo, danarCeni sastumroda iZulebiT camoyrili lTolvilebi, samisaxurida midenili mosamsaxurenI, raionebida avtobusebiT camoyvanili „sunianebi“ da erTgvli policiis mufaqebi iyvnen. aRtyinebac da entuziasmi

ასმიც ნაკლებად ეტყობოდა ნახირივით ძალით შეყრილ ხალხს... გამომსვლელთა რიხიან მოწოდებებს მკვდარი დუმილით ხვდებოდნენ მომიტინგენი...

თავად ე.შევარდნაძის გამოსვლასაც აქა-იქ კანტი-კუნტად, ისიც მოქალაქეთა კავშირის წევრები თუ უკრავდნენ ტაშს... ერთი სიტყვით, უკვე მერამდენედ, ჩანაფიქრი ჩაიფუშა...

მაგრამ ამ „ჩავარდნილმა" ფინალმა მაინც ბევრ რამეს მოჭ-ფინა ნათელი. ღმერთო ნუ გვიწყენ, თურმე ამ ტრაგედიის განვითარებას ერთადერთი მიზანი ასულდგმულებდა – არჩევნები!

დიახ, ამ მიტინგზე დიდმა პოლიტიკოსმა პირველად საჯაროდ განაცხადა, რომ ამ უბედურების შემდეგ მან გადაწყვიტა პრეზიდენტად იყაროს კენჭი. კი მაგრამ, საჯაროდ რომ არ გაემჟღავნებინა საიდუმლო, ვითომ ხალხმა არ იცოდა მისი გულის ხვაშიადი? განა მისი ყოველი ნაბიჯი თუ ფრაზა ამას არ ამხელდა? მაგრამ დიდი პოლიტიკოსის ეს განზრახვა საგანგებო სიტუაციაში უნდა გამჟღავნებულიყო, რათა რაც შეიძლება მეტი რეზონანსი და ჟღერადობა შეეძინა!..

ფიქრობ ამის შესახებ და შიშნარევი ეჭვი გიპყრობს – ნუთუ ეს ტრაგიკული სპექტაკლიც იმიტომ დაიდგა, რომ საარჩევნო ბატალიებში მოწინააღმდეგეთა ანგარიშსწორებას შედგომოდნენ?! ეს შემაშფოთებელი ეჭვი უფრო გეუფლება, როცა გაიხსენებ ამ ცოტა ხნის წინ დადგმულ ედუარდ-შოუებს: არჩევნების წინ გაგრის ჩაბარებას და ბატ. მეთაურის მიერ იმის ქადაგებას, რომ სოხუმსაც იგივე ბედი ელოდა, თუკი აფხაზეთში არჩევნები არ ჩატარდებოდა; ანდა დაგომისის ხელშეკრულების წინა დღეს ტელევიზიაში დატრიალებულ ტრაგედიას...

თუმცა მაშინ სხვა ადამიანთა სიცოცხლე ეწირებოდა, ვიტყოდით, ჩაფიქრებული ავანტიურის განხორციელებას, ახლა კი საკუთარ თავს იგდებდა საფრთხეში! ნუთუ ამ ნაბიჯზედაც წავიდოდა?! მაგრამ დავანებოთ თავი ამ უსიამოვნო ფიქრებსა თუ სათუო ეჭვებს და უფრო სერიოზულად ჩავუკვირდეთ მოვლენის არსს!

* * *

თავისთავად იბადება რამდენიმე კითხვა: ვინ ჩაიდინა ეს ტერორისტული აქტი, რატომ და რა მიზნით, ვის წისქვილზე

ასხამს განხორციელებული აქტის შემდგომ განვითარებული მოვლენები და, საერთოდ, რა უდევს საფუძვლად ტერორიზმის აყვავებას საქართველოში?

ყოველ ამ კითხვაზე მოგვიწევს მოკლე პასუხების გაცემა.

* * *

— ეს ტერორისტული აქტი შეეძლოთ განეხორციელებინათ ყარე ძალებს (რუსეთის კაგებეს თუ დასავლეთის სადაზვერვო სამსახურებს), ანდა საქართველოს ძალისმიერ სტრუქტურებს (უშიშროების სამსახურს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სამხედრო სამინისტროს); ის შეეძლოთ განეხორციელებინათ შეიარაღებულ ჯგუფებს (მაგ., მხედრიონს), მაფიოზურ კლანებს, შევარდნაძის მრევლში მყოფ ე.წ. პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს და, ბოლოს, თუ გავითვალისწინებთ აფეთქების დეტალებს და მის შედეგს, რაც უნდა მკრეხელობად გვეჩვენოს, თავად შევარდნაძეს!

ყველა ეს შეტ-ნაკლებად სარწმუნო ვარაუდი შეიძლება „დეტექტივთა" ძიებაში ერთ-ერთ ვარიანტად აღმოცენდეს. მაგრამ ამის ძიება უფრო კომპეტენტურ პირთათვის დაგვითმია. ჩვენ უფრო გვაინტერესებს ის, თუ საითკენ მიჰყავთ სამართალდამცავ ორგანოებს, შევარდნაძის ერთგულ ყმებს და თავად შევარდნაძეს საზოგადოებრივი აზრი: იკვეთება ორი დამნაშავე — ეს არის უშიშროების სამსახური და მისი ხელმძღვანელი ი.გიორგაძე, რომელთანაც რატომღაც აკავშირებენ მამამისს — პანტელეიმონ გიორგაძეს, და „მხედრიონი" მისი თავკაცით — ჯაბა იოსელიანით. ამ ეტაპზე თავად შევარდნაძემ გამორიცხა ზვიადისტები და მათი „დანაშაულებანი" მომავლისთვის საგულდაგულოდ შემოინახა.

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რატომ გამოიკვეთა „დამნაშავეთა" ეს კლანი. უნდა პირდაპირ ვთქვათ, რომ ისინი დღეს ყველაზე სერიოზულ ძალას წარმოადგენენ, რომელთაც ხელეწიფებათ დაუპირისპირდნენ შევარდნაძეს როგორც პოლიტიკურად, ასევე იარაღის ძალითაც. ამავე დროს, მათ შესწევთ უნარი �კონტროლონ მომავალი არჩევნები და არ დაუშვან მისი გაყალბება, აგრეთვე სერიოზული კონკურენცია გაუწიონ არჩევნებში შევარდნაძისტულ ფრთას. ყოველ შემთხვევაში, დღემდე ჩატარებულ არჩევნებში შევარდნაძემ წმინდად წააგო „მხედრიონთან" შერკინება.

* * *

ახლა ისიც მოვიაზროთ, რა მიზნით გასხორციელდა ეს აფეთქება? ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი შევარდნაძის ფიზიკურ განადგურებას არ ისახავდა მიზნად, თორემ პროფესიონალებს ასე იოლად ვერ დაუსხლტებოდა ხელიდან. აფეთქების ტალღაც უფრო მეოთხე სართულისკენ იყო მიმართული (ამის გათვლა კი ძალზე იოლია), ვიდრე შევარდნაძის მანქანისაკენ, რომელსაც იმელის კედელი ეფარებოდა.

თუ ჩვენი ვარაუდი დასაშვებია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ან იგი გარკვეულმა ძალებმა მკაცრად გააფრთხილეს, ანდა თავად მან „გაიფრთხილა" თავი.

ყოველ შემთხვევაში, ამ აქტის შედეგი მხოლოდ შევარდნაძის წისქვილზე ასხამს წყალს. მან დაიწყო ტერორიზმთან ბრძოლა და მალე ნამოიშორებს ყველა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეს; დაიწყება რეპრესიები, განსხვავებულად მოაზროვნეთა, მის მოწინააღმდეგეთა დევნა-შევიწროება, დაპატიმრება, რათა გაყალბებული არჩევნებით (სხვაგვარად იგი ვერ ეწევა მიზანს) დაიმკვიდროს მისთვის ესოდენ საოცნებო პრეზიდენტის სავარძელი.

ამგვარი ტენდენცია უკვე აშკარად ჩანს და ამ ტალღის შეჩერება ძალიან გაჭირდება.

* * *

დაბოლოს, რატომ აყვავდა ამ ბოლო ოთხ წელიწადში, მას შემდეგ, რაც შევარდნაძე დაბრუნდა საქართველოში, ტერორიზმი? რატომ ადრე, ვთქვათ, ჯუმბერ პატიაშვილის, გივი გუმბარიძის და ზვიად გამსახურდიას მმართველობის დროს არ მომხდარა არცერთი ტერორისტული აქტი?! ნუთუ ეგი მართლაც, როგორც გასაცხადა ი.სარიშვილმა, ყველა ტერორისტული აქტის თანამონაწილეა?!

სამწუხაროდ, ი.სარიშვილი ამჯერად მართალია და, აი, რატომ:

შევარდნაძემ თბილისში დაბრუნების პირველსავე წუთებში შეაქო ინტელიგენცია, რომელიც იარაღით იბრძოდა და ამით გზა გაუხსნა ტერორიზმს.

შევარდნაძის ხელდასხმით ხორციელდებოდა ყველა ის ტე-

რორისტული აქტი, რომელიც მშვიდობიანი მოქალაქეების და მანიფესტანტების წინააღმდეგ იყო მიმართული.

შევარდნაძე იწონებდა ყველა იმ ტერორისტულ აქტს, რომლებიც სამეგრელოში განხორციელდა ოთხგზის.

შევარდნაძე დუმილით ანდა, უკეთეს შემთხვევაში, მორცხვებითი აღშფოთებით შეხვდა იმ ტერორისტულ აქტებს, რომლებმაც პუტჩის შემდგომ მრავალი გახმაურებული პიროვნების სიცოცხლე შეიწირა (ეს სია ძალიან გრძელია და მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა!).

შევარდნაძის მიდაპოლიტიკის ბრძნული კურსის წყალობით ტერორიზმი საქართველოში სახელმწიფო რანგში ავიდა და მივიღეთ უპრეცენდენტო შემთხვევა: თავად სახელმწიფო, მისი სტრუქტურები მოგვეველინნენ ყველაზე დიდ ტერორისტად. ამიტომაც არის ალბათ, რომ დღემდე გაუხსნელია ყველა ტერორისტული აქტი (თუ არ ჩავთვლით ძალისძალად შეკოწიწებულ, ხილიანის აფეთქების ფაქტს)!

ყოველივე ეს კი იმას ნიშნავს, გარდაუვალად დაიღუპება საქართველოც და ქართველი ერიც!..

* * *

ხსნა მხოლოდ ერთადერთია: უნდა განვიკურნოთ ამ ყოველად დასაგმობი და დამღუპველი სენისაგან. მაგრამ განკურვნა უნდა დავიწყოთ თავიდან. სანამ უკანონობა ზეიმობს უკანონოთა ხელდასხმით, მანამ შეუძლებელია წინ აღუდგე მეოცე საუკუნის ყველაზე საშიშ სენს — ტერორიზმს.

უფალი მაღლითმხედია და მოწყალეც: თუ შევარდნაძე „გადაარჩინა", არც საქართველოს გაწირავს, ოღონდაც ყველამ ერთად ხმა უნდა ავიმაღლოთ სიმართლისა და კანონიერების დასამკვიდრებლად!

1995 წელი

საქართველოს მომავალი სასწორზეა შეგდებული

ეროვნული დილემა

ყველა ხვდება, რომ რაც დღეს საქართველოს სჭირს, ავ სიმსივნეზე უარესია, ოღონდაც როგორ მოვიშოროთ იგი?! აი დილემა, რომლის წინაშეც აღმოვჩნდით ყველა.

დღეს ეროვნულ ნიადაგზე მეტ-ნაკლებად მდგომი ხალხი ორად არის გაყოფილი: არჩევნებისა და ბოიკოტის მომხრეებად. არსებულ განხეთქილებას ასაზრდოებს ძირითადად ორი მიზეზი: ერთი – სუბიექტური თვალთახედვა, რომელიც კონცეფციად უყალიბდება ინდივიდს და შეუვალ ჭეშმარიტებად მიიჩნევა, და მეორე – გარედან ნაკარნახევი აზრი, სხვადასხვა ინსტანციებში რომ მუშავდება და იძულებით თავს ახვევენ პიროვნებას. პირველ შემთხვევაში სუბიექტის გადარწმუნება ძალზე ძნელია, მაგრამ მაინც შესაძლებელი. მეორე შემთხვევაში შეუძლებელია, რადგან ეს უკანასკნელი კოდირებულია და ვიდრე ცენტრი არ შეცვლის სიგნალს, იგი რობოტივით ასრულებს მას.

დღევანდელ კრიზისულ სიტუაციაში არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობა პიროვნულ ხასიათს სცილდება და იგი ზოგად საფეხურამდე მაღლდება, რადგანაც საქართველოს ყოფნა-არყოფნა ბევრწილად ამ არჩევანზეც არის დამოკიდებული. ამიტომ ყველას მოქალაქეობრივი ვალია გააცხადოს თავისი პოზიცია და მერმე, შედეგის მიხედვით, პასუხი აგოს ქვეყნისა და ერის წინაშე. ეს პასუხისმგებლობა, უპირველეს ყოვლისა, უნდა შეიცნონ იმ პიროვნებებმა, რომლებიც პოლიტიკური ბატალიების ისეთ ცეცხლს აღვივებენ, რამაც შეიძლება საქართველო მთლიანად შთანთქას.

ახლა მოკლედ არჩევნების უგულვებელყოფისას თუ რა არსებით არგუმენტაციას მოიხმობენ ბოიკოტის მომხრენი:

ა) ეს ხელისუფლება უკანონოა და მისი დანიშნული არჩევნებიც — უკანონო;

ბ) არჩევნებში მონაწილეობით ჩვენ ვაღიარებთ ფაქტობრივ ხელისუფლებას, ვაკანონებთ მას და მსოფლიო საზოგადოებისთვის ლეგიტიმურს ვხდით;

გ) სისხლიანი ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა უზნეობაა;

დ) პარლამენტში გაყვანილი რამდენიმე ოპოზიციონერი დეპუტატით პოლიტიკურ ამინდს ვერ შევცვლით და ამ დეპუტატებს ბინძური, ანტიეროვნული ქმედებების უნებლიე თანამონაწილედ ვაქცევთ;

ე) შევარდნაძეს ახლა სჭირდება სისხლის გადასხმა და ამ არჩევნებით მას სისხლს განვუახლებთ;

ვ) ამიტომაც არ უნდა მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა, ბოიკოტი გამოვუცხადოთ და ჩაშალოთ იგი. ისე უნდა გავისარჯოთ, რომ შევარდნაძემ ვერ გაბედოს არჩევნების ჩატარება;

ზ) დასასრულს, ჩვენ უნდა დავამხოთ ფაქტობრივი ხელისუფლება, აღვადგინოთ კანონიერი უზენაესი საბჭო, რომელმაც უნდა დანიშნოს არჩევნები და მხოლოდ ამის შემდეგ გვაქვს მორალური უფლება მივიღოთ მონაწილეობა ამ მარათონში.

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ ზემოჩამოთვლილ არგუმენტთაგან თითქმის ყველა (ზოგიერთის გამოკლებით) ჭეშმარიტებად და ანგარიშგასაწევ აზრად მიმაჩნია, თუმცა აქვე ისიც მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს გახლავთ დიაგნოზი, რომელიც მართებულად გამოუტანეს ავადმყოფს, მაგრამ ვერ ვხედავ მისი განკურნების გზებს.

ვამხილოთ, რომ უკანონო ხელისუფლება გვყავს? ვამხილეთ, თანაც არა ერთგზის და ორგზის!.. მაგრამ რას მივაღწიეთ? ყურსაც არავინ იბერტყავს არც ჩვენში და არც უცხოეთში. მერმე, ჩვენ ვაღიარებთ თუ არ ვაღიარებთ, ეს სისხლიანი ხელისუფლება ფაქტობრივად არსებობს; გვარბევს, გვიჭერს, გვხვრეტს ისე, რომ პასუხსაც არავინ სთხოვს, თანაც ხელფასებს გვირიგებს, სამაოხოეროდ პურს გვაჭმევს, ხანდახან სინათლესაც გვაწვდის. არცთუ იშვიათად მივმართავთ მათ თხოვნით თუ პეტიციებითა და პროტესტებით. გამოდის, რომ, გვინ-

და თუ არა, ეაღიარებთ მას! მართლაც, როგორ მოვიქცეთ? ჩვენს წინ უსარმაზარი კედელია აღმართული, ჩვენ კი დავინემოთ, არ არსებობსო და შუბლით მივეხალოთ მას? კი, ბატონო, მაგრამ შუბლით კედელს რომ ვერ გავარღვევთ და მხოლოდ თავს დავიზიანებთ, ესეც ხომ ცხადია?!

ახლა რაც შეეხება დაკანონებას და ლეგიტიმურობას. თავს ნუ ვიტყუებთ, ბატონებო. ამ ხელისუფლებამ უკვე კარგა ხანია დაიკანონა თავი, როცა „იმედის" არჩევნები ჩაატარა, და მსოფლიომაც ჯერ კიდევ მანამდე ნება-ნება აღიარა, მიუხედავად იმისა, რომ კარგად უწყოდა, თუ რა დატრიალდა საქართველოში. ამიტომაც ლეგიტიმურობაზე ყოველგვარი საუბარი შეგნებულად თავის გაცურებაა ოდენ. ჩვენი სურვილისამებრ ამ ბინძურ მსოფლიოს რომ ვერ გავაპატიოსნებთ, ესეც უნდა გვესმოდეს კარგად!

უდავოდ მიმაჩნია ის, რომ პუტჩის გზით მოსული ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა უზნეობაა წმინდა მორალური ასპექტით. მაგრამ ამ თვალსაზრისით ჩვენი ქმედება ხვალაც უზნეო იქნება და ათი წლის შემდგომაც. უზნეო იქნება მანამ, სანამ კანონიერი ხელისუფლება არ აღსდგება, რაც ამ უახლოეს მომავალში განუხორციელებელი ჩანს და რეალობას მოკლებული. არჩევნებზე უარის თქმა კი ნებისმიერი ეროვნულ-პოლიტიკური ძალის დასამარებას ნიშნავს. მაშ ასე, ან პოლიტიკაზე უნდა ვთქვათ საერთოდ უარი, ან არადა ისეთი ნაბიჯი გადავდგათ, რომელიც მავანთა თვალსაზრისით დასაგმობია, მაგრამ სინამდვილეში სწორედ ყველაზე დიდი უზნეობისა და ბოროტების ამოსაძირკვად არის გამიზნული. აბა, მითხარით, რომელი უფრო დიდი უზნეობაა: გულხელდაკრეფილმა, განზე გამდგარმა, აქაოდა ჭუჭყი არ გამეკაროსო, გულგრილად უყურო შენი ქვეყნის დაღუპვას, თუ მის გადასარჩენად იღვაწო ჭაობში ჩამდგარმა?!

არც ისაა ჭეშმარიტებისაგან შორს, რომ ათი თუ ოცი დეპუტატი პარლამენტში ამინდს ვერ შექმნის. მაგრამ თუ ისინი ჭეშმარიტი მამულიშვილები იქნებიან, მათი მოღვაწეობა უეჭველად გამოიღებს სასურველ შედეგს. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ.

შევარდნაძეს მართლაც აღარ ჰყოფნის ჟანგბადი, იგი საჭიროებს სისხლის გადასხმას, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ იგი

„ცისფერსისხლიანი არისტოკრატია“, ჩვენ კი პროვინციელნი, რესუსუარეოფითი სისხლის მქონენი. ამიტომაც გაგვირბის, გვიფრთხის, როგორც სიკვდილს, ჩვენი სისხლის შერევით მას სისხლი შეუდედდება მხოლოდ. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, როგორღაც, ნებისმიერი საშუალებით და ხერხით მისი „სისხლის გადასხმის“ პროცესში აქტიურად ჩავებათ.

ახლა ვიყოთ გულწრფელნი და ვაღიაროთ ისიც, რომ შევარდნაძე არჩევნების ჩატარებას გაბედავს კი არა, ისეთ უკანონობას სჩადის, ღვთისა და ერის მიერ კარგა ხნის დასჯილი უნდა იყოს, მაგრამ ბევრ რამესაც ჰბედავს და გასდის კიდეც. მაგალითების მოხმობა შორს წაგვიყვანდა. ამ არჩევნებსაც ისე ჩაარიკრიკებს, როგორც გაუხარია, ჩაატარებს არაობიექტურად და უდიდესი გაყალბებებით. ამიტომაც გვმართებს აქტიური ბრძოლა, რათა აღვუდგეთ დაგეგმილ სიყალბეს, თორემ მას გარდუვალად მოჰყვება საქართველოს დაღუპვა.

დაბოლოს, უმთავრესი საკითხი: როგორ ვეწიოთ სანუკვარ მიზანს და რა გზით აღვადგინოთ კანონიერება?

მოდით, რეალურად ვიმსჯელოთ და ვაღიაროთ:

ასი ათასიან მიტინგებს ვმართავდით, მაგრამ გვარბევდნენ, გვსრესდნენ, გვხოცავდნენ. ყველაფერს გავუძელით, თუმცა მიზანს ვერ მივაღწიეთ...

ასი ათასობით ადამიანი პრესის საშუალებით ითხოვდა უზურპატორის გადადგომას. არც უფიქრია. მიზანს ვერ მივაღწიეთ.

„იმედის“ არჩევნებს ბოიკოტი გამოვუცხადეთ, გააყალბეს და მაინც ჩაატარეს. მიზანს ვერ ვეწიეთ.

სახალხო ლაშქარი გეყავდა. რუსის ჯარს უხმეს, საქართველო ააწიოკეს და ხალხს სულში ჩააფურთხეს, სავარძლები კი შეინარჩუნეს.

საქართველოს ძირძველი მიწები გასცეს, გაასხვისეს. ვყვიროდით და ვყვიროდით, ვერაფერი გავაწყეთ...

თავისუფლება წაგვართვეს, „ესენგეში“ გვიკრეს თავი. გულს ვასკდებით, ვერაფერს ვაწყობთ...

მაშ, რა ვქნათ, ქართველნო, გულზე ხელი დავიკრიფოთ და მშვიდად ვუმზიროთ საქართველოს დასამარებას?!

არა, ბატონებო, უნდა ვიბრძოლოთ! მაგრამ როგორ? იარაღით? არც სასურველია და ვერც შედეგს მივაღწევთ!..

ისევ დაგვრჩა ერთადერთი ცივილიზებული გზა – არჩევნე-

ბი. აი, სწორედ ის გზა, ზვიად გამსახურდიამ და მისმა თანამებრძოლებმა რომ განელეს პირნათლად.

მავანი მეტყვის, არჩევნებში „მონაწილეობა“ ბოიკოტის გზითაც შესაძლებელია, რასაც გარკვეულ ეტაპზე (მაგალითად, მარტის არჩევნებში) ზვიად გამსახურდიამ მიმართაო. კეთილი, ბატონო! მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როცა ზვიად გამსახურდია მარტის არჩევნების გადადებისთვის იღვწოდა, იმავდროულად ფარულად ემზადებოდა კიდევაც მისთვის, იმუამად მან თავისი დეპუტატების სიაც წარადგინა და იბრძოდა მათ გასაყვანად. ეს ერთი. და მეორეც, არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ რაოდენ ღვიოდა მაშინ ეროვნული თვითშეგნება და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წყურვილი. ახლა საესებით განსხვავებული ვითარებაა: არსაიდან ხმა, არსით ძახილი...

დღეს ბოიკოტს ვერ განვახორციელებთ. ბოიკოტის გასატარებლად ათასი კაცის ენთუზიაზმი არ კმარა. სხვა მექანიზმია საჭირო, რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია. ამუამინდელ ხელისუფლებასაც ის უნდა, რომ ეროვნული ძალები თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. მიდგებიან და როგორც მოესურვებათ, ისე გააყალბებენ არჩევნებს. ჩვენ კი ამ სიყალბის პასიური მაყურებლები ვიქნებით და უკმაყოფილებას კნავილით გამოვხატავთ ოდენ.

დასასრულს, რაც მთავარია, რას მოგვიტანს ბოიკოტი? ვთქვათ, საუკეთესო შემთხვევაში ჩაეშალეთ არჩევნები. მერე რა ეფექტს გამოიღებს იგი? თუ ჩვენ გვსურს ამით განვაცვიფროთ მსოფლიო, არ გამოგვივა, რადგანაც არჩევნებისადმი ინტერესი ევროპის მრავალ ცივილიზებულ ქვეყანაში ისეთი დაბალია, რომ ეს ფაქტი ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება. მე იმის თქმა მინდა, რომ ბოიკოტის განხორციელებით ვერავის დაარწმუნებთ ეროვნული ძალების უპირატესობაში და ამით არსებული რეჟიმისადმი კეთილ დამოკიდებულებას ვერ შეაცვლევინებთ. მეორეც, არჩევნების ჩაშლა იმიტომ უნდა გვაწყობდეს, რომ რამდენიმე თვეში სიტუაცია ჩვენი, ანუ ეროვნული ძალების სასარგებლოდ შეიცვლება. მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, პირიქით მოხდება, უფრო გაუარესდება, გაუსაძლისი გახდება და ეროვნული ძალაც, რაც დრო გავა, მით უფრო დაჩიავდება. თანაც, რაც არსებითია, არჩევნების ჩაშლის შემთხვევაში იგი ორი თვის შემდგომ კვლავ გაიმართება, ოღონდაც არა

„50–ს"-ის წესით. ვოქვათ, განმეორებითი არჩევნებიც ჩაეშალეთ, დაინიშნება კვლავაც ახალი და ასე უსასრულოდ ხომ არ გაგრძელდება?! ასეთი „პერმანენტული ჩაშლა" მხოლოდ შევარდნაძეს აწყობს, იქნება თავისთვის ნება-ნება და რაც მოეპრიანება, იმას იქმს! მამხილებელიც არავინ ეყოლება. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე ბოიკოტი ყოველგვარ აზრს კარგავს და მხოლოდ მოჩვენებით ფახიფუხად აღიქმება.

მაშ, რაღა ექნათ?

ნები ლომა რწმენით, ჩვენ ერთიანი ძალისხმევით რაც შეიძლება მეტი ჭეშმარიტი მამულიშვილი უნდა გავიყვანოთ პარლამენტში, რათა იგი არ გადავაქციოთ ფსევდოპატრიოტ ნაძირალათა თავშესაფრად. ბოიკოტობანას თამაშს კი მოჰყვება ის, რომ პარლამენტი შეივსება მოქალაქეთა კავშირის კარიერისტებით, ორთოდოქსი კომუნისტებით, ფსევდოეროვნული ძალებით, ანტიეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი პოლიტიკოსებით (მაგალითად, ედპ-ის წევრებით) და ა. შ. ერთი სიტყვით, მივიღებთ ისეთ პარლამენტს, რომ დღევანდელი თეინიერებით სახელგანთქმული „უმრავლესობა" მასთან შედარებით შეუპოვარ ოპოზიციად და „ჭეშმარიტ მამულიშვილებად" მოგვეჩვენება.

ახლა კელავაც გამიმეორებენ, პარლამენტში რამდენიმე ადამიანის გაყვანით ამინდს ვერ შეეცვლითო და მაგალითად მომიყვანენ დღევანდელ „ოპოზიციონერებს", რომლებმაც ვერაფერი გააწყეს ბატ. მეთაურის წინააღმდეგ. მაგრამ, ჯერ ერთი, ამჟამინდელი პარლამენტის უმცირესობა მოჩვენებით თამაშობდა ოპოზიციონერობას. მეორეც, მათგან უმეტესობას სისხლში ჰქონდა ხელი გასვრილი და კორუმპირებული იყო. ამიტომაც ისინი შევარდნაძის დაკრულზე ცეკვავდნენ და, დასასრულს, რაც ყველაზე მთავარია, მათ საესებით არ ჰქონდათ ხალხის მხარდაჭერა. ისინი უქარწოდ დარჩენილ ქარის წისქვილებს ჰგავდნენ.

სიტყვა გამიგრძელდა, მოკლედ მოვჭრი:

დღევანდელ ეტაპზე საქართველოს ხსნის გზა ასე მესახება: ჩვენ თავდაუზოგავად უნდა ვიბრძოლოთ (პიროვნულად იყრი თუ არა კენჭს, ამას არა აქვს მნიშვნელობა), რათა პარლამენტში გავიყვანოთ ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელნი, რომლებიც იქ ჩვენი კონცეფციის გამტარებლები იქნებიან. პარლამენტი უნდა იქცეს ჭეშმარიტ ოპოზიციის ოფი-

ციალურ ტრიბუნად. ბუნებრივია, რომ ამ სიტუაციაში დიდი და ჯანსაღი ნაწილი დარჩება გარეთ. ეს იქნება ერთგვარი რადიკალური ფრთა, რომელიც იმოქმედებს პოლიტიკური სიტუაციისდა მიხედვით. აი, ამ ორი ძალის სინთეზითა და ერთიანობით, როცა პარლამენტარი ატარებს გარეთ დარჩენილი ეროვნული ძალების სებას და, ამასთანავე, „ქუჩის" ოპოზიცია უმაგრებს მას ზურგს, ამ ეტაპზე შესაძლებელია ზეგავლენის ბერკეტების ხელთჩაგდება და ეროვნული ძალების ოფიციალურ-საზოგადოებრივ სტრუქტურებში დამკვიდრება-განმტკიცება, რაც ამზადებს მყარ ნიადაგს კანონიერებისა და ეროვნული ხელისუფლების დასაბრუნებლად. სხვაგვარად წარმატების მიღწევა ძალზე გაძნელდება. როგორც ეროვნული მოძრაობა პარლამენტის გარეშე განწირულია დასაკნინებლად, ასევე ოპოზიციონერი პარლამენტარები ზურგის ქარის გარეშე დაემსგავსებიან კალის ჯარისკაცებს, ვიღაცის ნებისა და სურვილისამებრ რომ ათამაშებენ.

არსებობს ერთი საშიშროებაც, როცა ასეთი ძალმომრეობა ბატონობს, როცა ენითუთქმელი უსახსრობა გეჭირს, როცა თავად ეროვნულ ძალებში არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით განხეთქილება, შეიძლება ჩვენმა რჩეულებმა მარცხი განიცადონ და ვერ დაძლიონ 5%-იანი ბარიერი. მაგრამ ეს იქნება ბრძოლაში დამარცხება და არა ლოგინში ლუარსაბისდარი კოტრიალით სულის განტევება. ამავე დროს უნდა გავიაზროთ ისიც, რომ საარჩევნო კამპანიის დროს არსებობს დიდი შესაძლებლობა მიძინებული ქართული ცნობიერების გასაღვიძებლად.

ეს ყოველივე კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ და ისე გავისარჯოთ, როგორც ჩვენს მამულს წაადგება. ამჩატებული დედაკაცების წკვიტინი და ჭკუადაუმჯდარი კაცების ყოველგვარი ხვიხვინი იმის შესახებ, რომ დღეს არჩევნებში მონაწილეობა ღალატის ტოლფასია, მხოლოდ შეეარდნაძისა და სუკ-ის წისქვილზე ასხამს წყალს.

საქართველოს მომავალი სასწორზეა შეგდებული. ასეთ ზღვრულ სიტუაციაში პოზიორობა და პოლიტიკური კეკლუცობა არაეის ეპატიება. ვიყოთ მართალი ჩვენს თავთანაც და სამშობლოს წინაშეც!

1995 წელი

ურემი გადაბრუნდა, გზა მაინც არ ჩანს

სიცივეს კაცი მოუკლავს

დღეს უბედურება ადამიანში კათარზისს ვეღარ იწვევს. სიკვდილიც ისე გაგვიშინაურდა, რომ დაუპატიჟებელ სტუმრადაც აღარ აღვიქვამთ. მაგრამ ამასწინ ტელევიზიით ნანახმა სცენამ შემზარა: ზორბა, მხარბეჭიანი ადამიანი გაშხლართულიყო შუა ბაზარში, სიცოცხლეს ეთხოვებოდა. ეგდო უპატრონოდ. იქვე ყოფითი წვრილმანებით გონებადაბინდული ადამიანები ფუსფუსებდნენ და იქაურობას გულგრილად ეცლებოდნენ. ფიქრები ამეშალა: ვინ იყო ის უბედური, საიდან მოდიოდა და საით მიდიოდა?

უსიამოვნო, ხრინწიანმა ხმამ გამომაფხიზლა. ერთი როყიო გულგრილად გვიხსნიდა: ამის გადასვენებას თხუთმეტი ლარი უნდა. აბა, ამდენს ვინ გაიღებსო!

ეს დღეც ხომ გაგვითენდა. უპატრონოს კი არა – საკუთარ მკვდრებს ვეღარ ვპატრონობთ, სხვათა საფლავების თხრასა და კუბოების მოპარვას მივყავით ხელი... ამაზე დაბლა ადამიანი ვეღარ დაეცემა! რას იზამ! უკიდურესმა სიღატაკემ ადამიანს კაცის სახე დააკარგვინა.

ვითარცა რომაელები ქრისტიანებს

ფიქრი თუ აგორდა, ზვავად იქცევა და ვეღარ შეაჩერებ; ისე ჩაგითრევს, თავს ვერ დააღწევ.

ღმერთო, შენ შეგცოდე და, ეს გაფუყული მსოფლიო ერთ დიდ ბაზრად წარმომიდგა, ხოლო იმ მიგდებულ მიცვალებულში საქართველო ვიცანი, თავის შვილთაგან განწირული, დამზრალი და გაყინული, გარეშე თუ შინაურ მტერთაგან ჩაწიხლული, ასე უჭირისუფლოდ მიტოვებული, ძერათა და სვავთა საკორტნად და საჯიჯგნად გამეტებული.

დიახ, აგერ უკვე ხუთი წელი გასრულდა, რაც ვაიქართველნი საკუთარი ხელით ყელს უღადრავენ, სისხლს სწოვენ, ასამარებენ მამულს. ის მამულიშვილნი კი, ვისაც ღირსებისა და სამშობლოს სიყვარულის გრძნობა ჯერაც შერჩენიათ, ოდენ გულხელდაკრეფილნი, ჭირისუფლის პოზით მჯმუნვარედ მოთქვამენ. ვერც გაამტყუნებთ, ისეთი ჟამიანი ჟამი დგას: ვინც კი შეეცადა სამშობლოს გადარჩენას, უტიფრად ზედ წააკლეს; ვინც სიტყვა დაძრა მის დასაცავად, ენა ამოაძრეს და დილეგში ჩააგდეს; ვინც კი იფიქრა მისი ხსნა, აზრი დაუშრიტეს, გონი დაუშთეს, წელში გატეხეს...

მხოლოდ იობის ძალითა და მოთმინებით თუ გაუძლებს კაცი ამ ბედუკუღმართობას, როცა სამშობლოს სიყვარულის გამო გდევნიან და გაწამებენ ისე, ვითარცა რომაელები – პირველ ქრისტიანებს...

გაუხარელი შობა-ახალი წელი

რა ხანია გაუხარელი შობა-ახალი წელი გვიდგება. ქართველს გულით აღარ ეცინება, სულით ვერ ლაღობს... სევდა ღრღნის... ერთი აღმოსავლელი პოეტის არ იყოს: დარდი თავზე საყრელი, თანამედარდე ძნელად საპოვნი.

ახალი წელი უმანკო ბავშვივით შემოგვიღებს კარს, დაპირებებით აგვავსებს: შუქიც გექნებათ და გაზიცო, პურიც გექნებათ და შაქარიცო, ხელფასსაც მოგიმატებთ და სიიაფესაც დაგიყენებთო, დაკარგულ-გასხვისებულ მიწებსაც დაგიბრუნებთ და თავისუფლებასაც მოგაპოვებინებთო... მაგრამ დაპირება დაპირებად რჩება. თავად კი მოძველდება და კბილებჩაცვენილი ბებერივით ჩუმად გაიპარება ხოლმე, ჩვენ კი გვიტოვებს სიღატაკეს, სიცივეს, გათითოკაცებულ ადამიანებს, გულგრილობას, გაუტანლობას, დაუნდობლობას... ჰოდა, რა გასაკვირია, რომ დღეს ქართველებს აღარც შობა-ახალი წელი ედღესასწაულებათ, აღარც აღდგომა და აღარც მარიამობა თუ გიორგობა. ან კი რა უნდა უხაროდეთ, როცა შიმშილით სულს ღაფავენ და მერმისშიც საიმედოს და სასიკეთოს ვერაფერს ჭვრეტენ.

სხეულს უჭირს... სული ნეტარებს

როცა სხეულს უჭირს, მაშინ სული ნეტარებს... სხეულის ბევმა სულის ამაღლებას ასაზრდოებს. ჰოდა, ნეკნც, ფიზიკურად ვეებერელ ქართველებს, ისღა დაგვრჩენია, სულიერ საზრდოს მიეტანოთ. მაგრამ ვაი, რომ ის სულიერი წყარო, რომლითაც იკვებებოდა ქართული ცნობიერება, შეგნებულად დაშრიტეს და ამოკირეს.

კარგა ხანია აღარ იქმნება ჭეშმარიტი პოეზია, არ იწერება ჭეშმარიტი პროზა, არც ისეთი ჰანგები გვესმის, ქართულ სულს რომ აღაფრთოვანებდეს და ვერც ფერწერული ქმნილებები ატკბობს ქართველთა მზერას. თითქოს ჩაქრა ქართველთა შემოქმედებითი ცეცხლი, მიიფერფლა და ჭეშმარიტი, სულის აღმაზვებელი ხელოვნება შეცვალა მდაბალმა, უხამსმა, ქუჩის ფოლკლორმა. აბა, გაიხსენეთ, თბილისის „დამამშვენებელი" აფიშები: „ხოხმა", „ბლატნოი სიმღერების საღამო", „გალიაში ბულბულები ზიან" და მისთ.

რა არის ეს? გემოვნების გადაგვარება თუ მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, რომელიც იყო და არის ქართული ცნობიერების ქვაკუთხედი, შეგნებული მოშლა? ვფიქრობ, ერთიც და მეორეც. როცა ჯოჯოხეთის ცეცხლი გიზგიზებს ირგვლივ, როცა ზნეობის საძირკველი მორღვეულია, მაშინ სილამაზეც კარგავს თავის დანიშნულებას და მისი აღქმაც გაუკულმართებულია. ირგვლივ გაბატონებულ სიბინძურეში ამოგანგლული, ფრთებდამტვრეული ქართული სული კი აწყდება ფერთა სამყაროს, ეძიებს უფერო სავანეს და იქ დავანებას ლამობს...

ეკლესიასაც ეშმაკები დაეპატრონენ

როგორ აღვიდეს უფეროთა საუფლოში სული, როგორ დაუბრუნდეს თავის პირველად სამშობლოს, როგორ შეისხას ასაფრენად ფრთები? და ისიც, ვითარცა ბუდიდან ჩამოვარდნილი ბარტყი, ამაოდ ცდილობს დაუბრუნდეს საბუდარს, იღვწის, იბრძვის, ეძიებს და ბოლოს მიაშურებს ეკლესიას, რათა აქ მაინც განიწმინდოს ათასი ცოდვისაგან, ბინძური ქვეყნიდან რომ აყოლია, და მოიკრიბოს ძალი ამაღლებისა...

მაგრამ ვაი, რომ დღეს ქართული ეკლესია აღარ არის გან-

საწშენდელი ადგილი, სადაც დაკასებული სული შეიძლება აღიესოს ზეშთაგონებით და ეზიაროს ღვთის ნათლის ხილვის საიდუმლოებას. ფარისეველობა და მზაკვრობა დასადგურებულა აქაც, ეშმაკი დაპატრონებია ეკლესიას. აბა, როგორ აუხსნათ ის, რომ ამ ოთხიოდე წლის წინ ქაშუეთის ეკლესიიდან ესროდნენ ქართველებს?! დღეს კი გლდანის ეკლესიიდან განდევნეს ჭეშმარიტი ღვთის მოშიში მამა ბასილი და ძალისძალად წამოასკუპეს ისეთი მღვდლები, რომლებიც შამპანურს წრუპავენ ეკლესიაში და დღედაღამ ღრეობენ?! რად ღირს თუნდაც ის, რომ ამ მღვდლებმა პოლიციელთა მეშვეობით განდევნეს მორწმუნე მრევლი და მათ მიერვე აგებულ ეკლესიას ახლოს აღარ აკარებენ! რა ეუწოდოთ ისეთ ღვთისმსახურს, რომელიც ხატს მოისვრის და ჯვარს მუხლზე გადაიმსხვრევს?! რა – სატანას მოციქული თუ ანტიქრისტე?! რა სახელი მოვუძებნოთ იმას, რომ საპატრიარქოს წმიდათაწმიდა ეზოში ღორებს აშენებენ, რომელთა ღრუტუნი ფარავს ქართულ საგალობლებს?! ანდა რა ეუწოდოთ იმას, რომ, როცა ქართველთა უდიდესი ნაწილი შიმშილობს და მათხოვრებით გავსებულია ქუჩები, საპატრიარქოში ოთხას-ხუთასკაციანი ტრაპეზები იმართება?! ანდა საქართველოს ისტორიაში როგორ აუხსნათ ის ფაქტი, რომ, როცა ქართველებს ურთიერთს აჟლეტინებდნენ, მაშინ ქართული ეკლესია დუმდა და, მის მესვეურთა თქმით, „პოლიტიკურ ორომტრიალში არ ერეოდა“; ახლა კი, ანტიეროვნული ძალების აღზევების შემდგომ, არცერთ საერო-პოლიტიკურ ღონისძიებას არ აკლდება და ამით ყელყელაობს კიდეც?!

– ბატონებო, დღეს ჭეშმარიტი მორწმუნე ქართულ ეკლესიას გაურბის, რადგან ის ფარისეველთა, მეტიც, სუკ-ის აგენტთა საკრებულოდ მიაჩნია და ამიტომაც არის ასე გზააბნეული, ვერ მიუგნია ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი გზისთვის...

–

ოდენ საღათას ძილი

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე უნდა ვაღიაროთ, რომ ისეთი ტრაგიკული ჟამია, როცა ცალკეული ქართველის ფიზიკური და სულიერი გაჩანაგება გულთან ეეღარ მიგვაქვს, რადგან მთელი ერის მოსპობისა და სიკვდილის მომსწრენი გავხდით. კაცის სულის ამოხდომას ვინც შესწრებია, დამე-

ოასხმება, რომ ის ერთობ დამორგუნველია, მაგრამ საზარელი და გაუსაძლისი ყოფილა მთელი ერის გარდაცვალება! ათასგზის უფრო აუტანელი და თავზარდამცემია, როცა უმზერ, თუ როგორ დაფავს სულს შენი სათაყვანებელი ერი და მის საშველად ძალა არ შეგწევს!

რიგორ მოვიქცეთ, ქართველნო! საკუთარი ხელით დავასამაროთ სამშობლო და ვითმინოთ ფარისეველთა მზაკერული მოთქმა, რომელიც ოდენ საკუთარ კეთილდღეობაზე წუწუნია, თუ ხელი გამოვიღოთ და ვინემ მთლად არ ჩაგვიდია მიწაში და არ დაგვისაფლავებია, შევეცადოთ მის ფეხზე წამოყენებას?! იქნებ, ჩვენ რომ სიკვდილი გვგონია, ოდენ საღათას ძილია და ძალზე ადრე ჩავიქნიეთ ხელი?! იქნებ სწორედ დღეს წყდება ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი და ჩვენი სასოწარკვეთით? გულგატეხილობით ახლა ვასამარებთ უდროოდ მას?! იქნებ დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს მხნეობა, ერთად დარაზმვა და მოთქმის ნაცვლად ომახიანი ქართული სიმღერის დაქუხება: „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!"

მაგრამ ვიდრე ხმალზე ხელს წავიელებდეთ, უპრიანია გავიხსენოთ რა გვჭირს, გავიცნობიეროთ – რატომ გვჭირს და გავიაზროთ – როგორ განვკურნოთ სამშობლო იმ შავი ჭირისაგან, ასე რომ მძვინვარებს ირგელივ აგერ უკვე ხუთი წელია...

უიმედობა, სასოწარკვეთა...

რა არის ჩვენი ერის უბედურების თავი და თავი? – იკითხავ თუ არა, მაშინვე ჭეშმარიტი მამულიშვილი მოგიგებთ: ხალხის მიერ დემოკრატიულად არჩეული ხელისუფლების იარაღის ძალით დამხობა! შეუძლებელია გონიერი ადამიანი ამ პასუხს არ დაეთანხმოს. ისტორიული კანონზომიერებაა – როცა ერი თავისუფლებას და დემოკრატიულობას კარგავს, როცა მას დამპყრობლები თრგუნავენ, იწყება მისი ზნეობრივი გადაგვარება და ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური კატასტროფა, რასაც ჩვეულებრივ მოჰყვება ხოლმე სულიერი დეპრესია, უიმედობა, სასოწარკვეთა. ეს კი ძლიერ ზეგავლენას ახდენს ქვეყნის მომავალზე.

ამ ბოლო შვიდი წლის განმავლობაში იყო ჩვენი სულის აღზევებაც და დაცემაც. მაგრამ დიდი გამჭრიახობა და გან-

სჯა არ არის საჭირო იმის სარწმუნოდ, რომ ისტორიის ამ მონაკვეთში ჩვენს შორის უსასოობის განწყობილება გაცილებით ჭარბობს აღტყინებას და იგი ადექვატურია ეროვნული თვითშეგნების გამოხატვისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გზისა.

დიდი ღამის ტრაგიკული წამები

ამ საუკუნეში, 1991 წლის 22 დეკემბრიდან მოყოლებული, საქართველოს ბედის ჩარხი მეორედ დატრიალდა უკუღმა. უბედურებას უბედურება მოსდევს, უკუნეთს – ბნელეთი. ქართველთა სისხლით გაიპოხა ჩვენი მიწა...

ქართველი ერი ვერ შეეგუა საკუთარი ნების აბუჩად აგდებას, იმართება გრანდიოზული მიტინგები და მანიფესტაციები... მაგრამ მოძალადეთა ხროვა სასტიკად უსწორდება მათ... იღუპებიან, სახიჩრდებიან ადამიანები... სახელოვანი ინტელიგენცია, ანუ ელიტა დუმს. დუმს მსოფლიოც. აბა, ვის დაკარგვია ველური ქართველები?! ბრბოს თუ რამდენიმე ადამიანი გამოაკლდება, ამით ვის რა უშავდება?! როცა 1993 წლის შემოდგომით თითქმის მთელ დასავლეთ საქართველოში აღსდგა კანონიერება და სავარაუდო იყო ეს პროცესი მთელ საქართველოშიც გავრცელებულიყო, მაშინ სკამების დაკარგვის შიშით გახელებულმა ხუნტამ და მისმა თავკაცმა რუსეთის არმია იხმეს საშველად და დამპყრობლის ჯარი დაუპირისპირეს კანონიერ ხელისუფლებასა და მის მომხრე ქართველ ერს. ე. წ. ელიტა დუმდა, მეტიც, ხოტბას ასხამდა და დღესაც ასხამს დიდი პოლიტიკოსის ამ „ბრძნულ" პოლიტიკას. არც მსოფლიომ მოიკლა თავი იმ უსაზღვრო უსამართლობის გამო, საქართველოში რომ მძვინვარებდა. ამ დუმილით წაქეზებული ხუნტა ნება-ნება აგრძელებს ძალადობას... ამასაც არ ჯერდება. მისივე ხელდასხმით იქმნება სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებები, საძმოები, ჯგუფები, რომლებიც აწიოკებენ და ძარცვავენ მოსახლეობას, განსაკუთრებით კი ეროვნული ხელისუფლების მომხრეებს. საქართველო ავაზაკთა მიერ გალეწილ კალოდ იქცა. სახელოვანი ინტელიგენცია, ანუ ელიტა კვლავ დუმს, მეტიც, ავაზაკებს გმირებად წარმოაჩენს. მსოფლიო კი სენსაციების შემყურეა...

„რევოლუციის რაინდებმა" ჟინი ვერ დაიოკეს. მეტი მოუვი-

დათ. ერთიერთის ხოცვასაც მიჰყვეს ხელი. უამრავი ახალგაზრდა, ფულის არმად შოვნის წადილს აყოლილი, უაზროდ შეეწირა იარაღის ტრიალს. ხელისუფლებაში მოკალათებულმა პოლიტიკურმა ავანტიურისტებმა და მაფიის ბოსებმა გავლენის სფეროები ვეღარ გაიყვეს. სოკოსავით მომრაველდა ტერორისტული აქტები, რომელთაც პოლიტიკურ მკელელობებთან საერთო არაფერი ჰქონდათ. რეეოლუციამ თავის პირმშოთა მონულება დაიწყო. პუტჩის დანაშაულობათა არაერთი მოწმე ფიზიკურად გაანადგურეს, ხოლო ვისაც ცოტა ხნის წინ გმირად ვეისახავდნენ და გორგასლის ორდენით აჯილდოებდნენ, ვირის აბანოში ამოაყოფინეს თავი. რას იზამ, ასეთია განგების მსახვრალი ხელი! ვინც ბოროტების შემოქმედია, ბოროტებისვე მსხვერპლი ხდება.

დასკვნის ნაცვლად

ის ენითუთქმელი უბედურებანი, რაც თავს დაგვატყდა და რის აღწერასაც მემატიანის რუდუნება ესაჭიროება, ჩემი ღრმა რწმენით, არც ისტორიის განვითარების ლოგიკური შედეგია, არც ობიექტური რეალობითაა განპირობებული და არც ბედის უკულმართობის გამოა შემთხვევით ამოტივტივებული. ეს არის ამჟამინდელი ხელისუფლების წინასწარ, კარგად მოფიქრებული, გეგმაზომიერი მოღვაწეობის ნაყოფი. ყველაფრიდან ჩანს, რომ არსებული რეჟიმი ესწრაფვის საძირკველი მოუშალოს ქართულ სახელმწიფოებრიობას, გადააგვაროს ქართული ცნობიერება, მოსპოს ქართული ტრადიციები, ერს დაავიწყოს ქართული ენა და ამოშანთოს, საერთოდ, ქართული ნაციონალური სულისკვეთება.

ერთი სიტყვით, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დავივიწყოთ რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ. ასეთი დაუნდობელი გალაშქრება ქართველობის ფენომენის წინააღმდეგ კომუნისტური წყობის დროსაც არ გვახსოვს. მაშინ სიტყვით მაინც აღიარებდნენ ქართულ კულტურას და სიტყვით იწოხებდნენ სამშობლოს სიყვარულის გრძნობას, რომელსაც კოსმოპოლიტიზმს უპირისპირებდნენ. ახლა კი კოსმოპოლიტურმა აზროვნებამ შთანთქა ეროვნულ-პატრიოტული სულის მკვირცხლი გამოვლინებაც კი.

ბუნებრივია. ყოველივე ეს დამორგუნველად მოქმედებს ქართველ სულზე, რომელიც სასოწარკვეთილი ძლივს იხარჯებს სიწმინდეს მასობური სიბილწით გაჟღენთილ სამყაროში. ეროვნული თვითშეგნება უაღრესად ეცემა. ქვეითდება, რასაც, თავის მხრივ, აპირობებს თავად ეროვნული მოძრაობის წარმმართველი ძალების სრული უნიათობა, უსუსურობა თუ შეგნებული პასიურობა და, რაც მთავარია, ეროვნულ ძალთა დაქსაქსულობა და გათიშულობა.

ბოიკოტი თუ არჩევნები

აი, ამგვარ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებასა და სულიერ-ზნეობრივ ატმოსფეროში დაინიშნა 1995 წლის ნოემბრის არჩევნები.

ჯერ კიდევ არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ეროვნული ძალები მკვეთრად გაემიჯნენ ურთიერთს ამ პრობლემასთან დაკავშირებით: ერთნი მოწინააღმდეგენი იყვნენ არჩევნებისა და კატეგორიულად მოითხოვდნენ ბოიკოტის გამოცხადებასა და განხორციელებას, მეორენი, პირიქით, არჩევნებში მონაწილეობას ქვეყნის ხსნის ყველაზე ოპტიმალურ საშუალებად სახავდნენ.

იმთავითვე ცხადი იყო, რომ ეს განხეთქილება შეგნებულად ჩამოაგდეს ეროვნულ პოზიციაზე მდგომ ადამიანთა შორის. ეს იყო სუკ-ის მიერ ერთობ შენიღბულად და გეგმაზომიერად ამოქმედებული მექანიზმი. სხვათა შორის, ვინც ეს პრობლემა განზრახ, მაგრამ ფარულად გააშწავა, ის კარგად იცნობდა ქართველთა ბუნებას და აკი შედეგიც სასურველი მოიმკა...

ბოიკოტის მომხრენი თავის თვალსაზრისს ძირითადად ამგვარად აბუთებდნენ: ა) არსებული ხელისუფლება უკანონოა და მის მიერ დანიშნული არჩევნებიც – უკანონო; ბ) სისხლიანი გზით მოსული ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობა უზნეობაა; გ) არჩევნები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვერ ჩატარდება, ამიტომაც იგი არ უნდა ჩავატაროთ; დ) ამ არჩევნებს ხელისუფლება გააყალბებს და მიზანს ვერ მივაღწევთ; ე) არჩევნებში მონაწილეობით ჩვენ ვაღიარებთ ამ ხელისუფლებას და ლეგიტიმურს ვხდით მსოფლიოსათვის; ვ) არსებულ

რეჟიმს დემოკრატიულობის იმიჯისათვის სჭირდება, რომ ეროვნული ძალებიც მოხვდნენ პარლამენტში; ზ) ოპოზიციონერთა მცირე ჯგუფი პარლამენტში ამინდს ვერ შექმნის და მათი მოღვაწეობა სასურველ შედეგს ვერ გამოიღებს; ი) ეროვნული ძალების მონაწილეობა იმისთვის სჭირდება ხელისუფლებას, რომ არჩევნებში ხალხი მიიტყუოს და მისთ., ამიტომაც ჩვენ ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთ არჩევნებს, ჩავშალოთ იგი და მხოლოდ მას შემდგომ, რაც კანონიერ ხელისუფლებას აღვადგენთ, მივიღოთ მონაწილეობა არჩევნებში.

ბოიკოტისტთა ამ მსჯელობაში არის ჭეშმარიტების მარცვალი, რისი ხელაღებული უარყოფა სიბრიყვე იქნებოდა, მაგრამ ასევე შეიძლება ითქვას, გაცილებით მეტი სიმართლეა მათ მხარეზე, ვინც არჩევნებში მონაწილეობას იღებდა. ამიტომაც კიდევ ერთხელ შევაჯეროთ მათი პოზიციები და ქმედების შედეგები.

მცირე ექსკურსი

საერთოდ, ადამიანის გაცნობიერებული მოღვაწეობა ყველა სფეროში ექვემდებარება მთავარ მიზანს (მიზნობრივ მიზანს). ის იქმს და იღვწის ამ მიზნისათვის და ყოველი მისი ნაბიჯი აიხსნება კითხვით – „რისთვის?“ ეს გახლავთ მიზეზ-შედეგობრივი მიმართების წარმოჩენა ტელეოლოგიური თვალსაზრისით. მარტივად რომ ვთქვათ, კაცმა დარგა ვაზი, რომელმაც მოისხა ყურძენი, მერე დაწურა ეს ყურძენი და დააყენა ღვინო. ეს პროცესი ასეთი მიზეზ-შედეგობრივი მწკრივით წარმოდგება: მუშაობა არის მიზეზი, შედეგი – ვაზი. შემდგომ ვაზი თავად გვეველინება მიზეზად, რომლის შედეგიცაა ყურძენი. ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ იქცევა მიზეზად, რომლის შედეგადაც გვეველინება ღვინო. მაგრამ თუ ტელეოლოგიური თვალსაზრისით შევხედავთ კაცის მუშაობას, რომლის მიზანიც იყო ღვინის დაყენება, მაშინ გამოვა, რომ მთავარი მიზანი, ანუ მიზნობრივი მიზანი ყოფილა ღვინო, რაც განსაზღვრავს ადამიანის გარჯას და წინარე მიზეზ-შედეგობრივ მიმართებას.

ამიტომაც არსებითია განესაზღვროთ „რისთვის“ ვიღვწით ჩვენ, რა არის ჩვენი საბოლოო, მიზნობრივი მიზანი. რა არის

უმთავრესი – კანონიერი ხელისუფლების აღდგენა თუ ქვეყნის თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოვება? მაკანი მეტყვის, ეგ ერთი და იგივეაო. არა, ბატონებო, კანონიერი ხელისუფლება გვყავდა, მაგრამ დამოუკიდებლობის მწველარეალისაკენ ამაკალ ციცაბო კლდეზე თოკი გადაუჭრეს და უფსკრულში ჩაჩეხეს. ჭკუათმყოფელთათვის, ბუნებრივია, მთავარი მიზანია ქვეყნის განთავისუფლება, ხოლო კანონიერება ერთი საფეხურია ამ მიზნისკენ მიმავალი გზისა, რომელსაც რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით შეიძლება გვერდი აუარო მიზანთან მისასვლელად. ე. ი. ის არ არის მიზანი, რომლის შედეგია თავისუფლება, არამედ, პირიქით, თავისუფლება არის ჩვენი მოძრაობის მთავარი მიზანი და ყველაფერი მას უნდა დავუქვემდებაროთ.

ეს ერცელი ექსკურსი იმიტომ დამჭირდა, რომ ნათლად წარმოვაჩინო ბოიკოტისტების ლოგიკა: ისინი ცნობენ ხელისუფლების შეცვლის და კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მხოლოდ მშვიდობიან მეთოდს – არჩევნებს, ოღონდაც ეს არჩევნები, მათი აზრით, კანონიერი ხელისუფლების მიერ უნდა იყოს დანიშნული. კი, მაგრამ, როგორღა აღვადგინოთ კანონიერება, თუ არა არჩევნებით?! და აი, აღმოვჩნდებით იმ ლაბირინთში, საიდანაც არიადნეს გორგალიც ვერ გამოგვიყვანს: არჩევნებით უნდა აღვადგინოთ კანონიერება, მაგრამ არჩევნებში არ უნდა მივიღოთ მონაწილეობა, სანამ კანონიერება არ აღდგება! ამ თავსატეხს მხოლოდ ერთი პასუხი აქვს – ჩვენ უნდა მივიღოთ მონაწილეობა ნებისმიერი ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებში, რათა კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება აღვადგინოთ. სხვათა შორის, თავის დროზე ვითომ რადიკალები კილავდნენ ზვიად გამსახურდიას იმის გამო, რომ მან კომუნისტების მიერ დანიშნულ არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. დღეს ყველასათვის ცხადია, ვინ აღმოჩნდა მართალი და ვინ – მტყუანი.

დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმ ჭეშმარიტების აღმოსაჩენად, რომ, თუ არა იარაღის გამოყენებით, რასაც ჩვენ კატეგორიულად უარვყოფთ, ვერავითარი სხვა მეთოდით – გარდა არჩევნებისა – ვერ აიძულებ არსებულ რეჟიმს ხელი აიღოს ძალაუფლებაზე. თუკი ეს ასეა, არჩევნებში მონაწილეობა დღეს თუ ხვალ გარდაუვალია. ხოლო ჩემთვის პირადად

სრულიად გაუგებარია. რატომაა დღეს არჩევნებში მონაწილეობა უზნეობა და რატომ იქნება იგი ხვალ ზნეობრივი. როგორც ყოველი ადამიანი დაბადებით ცოდვილია, ისე აწ დანიშნული ნებისმიერი არჩევნები (ვიდრე კანონიერი ხელისუფლება არ აღდგება, ეს კი, როგორც მოგახსენეთ, არჩევნების გარეშე შეუძლებელია) „ცოდვილი" იქნება. ასე რომ, ან ცოდვა-მადლიან პოლიტიკურ ცხოვრებაში უნდა ჩავებათ და „თავისუფლება ვშვათ", ან არადა ქალწულებრივი უბიწობა შევინარჩუნოთ და მონასტერში დავეყუდოთ. ერთი შეხედვით, უფრო ზნეობრივი ჩანს მეორე გზა. მაგრამ თუ ჩვენი მოღვაწეობის მიზნობრივი მიზანი თავისუფლებაა, მაშინ მხოლოდ პირველ გზას – მოძრაობას, ბრძოლას და თავდადებას აქვს გამართლება. თუ შენ მაღალი იდეები გამოძრავებს და შინაგანად სპეტაკი ხარ, ვერავითარი ლაფი და ჭაობი ვერ გაგსვრის, ხოლო თუ ოდენ პირადი კეთილდღეობისათვის გამიზნული აუგი ზრახვა გიღრღნის გულს, ემბაზში განბანვა და მირონცხებაც ვერ გიშველის. ეს უნდა კარგად გვახსოვდეს.

ზემოთ ვახსენე, კანონიერი ხელისუფლების აღდგენა საბოლოო მიზნის მიღწევისათვის ისეთი საფეხურია, რომელსაც შეიძლება გვერდი აუაროთ-მეთქი. ჩასაფრებული ოპონენტების დასამშვიდებლად აქვე უნდა განვაცხადო, რომ თავად კანონიერი მთავრობის წარმომადგენელთა რიცხვს მივეკუთვნები და მისი აღდგენის წინააღმდეგი ვერ ვიქნები. მაგრამ ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, რომ ბუნებაში არსებობს „გარდუვალობის" კატეგორია, რისი გაუთვალისწინებლობაც სიკეთეს ვერ დაგვმართებს. როცა შენობას აპროექტებენ, წინასწარ ითვალისწინებენ, თუ სად, რით და როგორ უნდა აიგოს ნაგებობა. პოლიტიკაც ასეა – თუ ადამიანმა დაკარგა რეალობის გრძნობა, იგი მეოცნებე რომანტიკოსად უფრო იქცევა, ვიდრე რეალისტ პოლიტიკოსად. დღევანდელ მსოფლიო პოლიტიკურ კონტექსტსა და საქართველოში დასადგურებულ ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, თეზამ – უპირველესად აღვადგინოთ კანონიერი ხელისუფლება – დაკარგა თავისი პირველადი მნიშვნელობა, რომელსაც დიდ წონას აძლევდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას არსებობა და პოლიტიკურ სარბიელზე მოღვაწეობა, და იქცა, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, სინამდვილეს მოწყვეტილ, უფრო ზნეობრივ ლო-

ზუნგად. ხოლო ცნობილია, რომ ლოზუნგებისადმი ბრმა თაყვანისცემამ შეიძლება მიზანთან მისასვლელი გზა გადაგვიხერგოს. მთავარია პრინციპს არ ეღალატო, თორემ ლოზუნგების ერთგულებით თავის მოწონება ვერაფერი გონიერებაა. ჩვენი მოღვაწეობის უმთავრესი პრინციპი კი, როგორც ეს არაერთგზის აღვნიშნეთ, სამშობლოს გადარჩენაა, თავისუფლების და დამოუკიდებლობის მოპოვებაა, ჩვენი სიყვარულიც და თავდადებაც კანონიერი ხელისუფლებისადმი ძირითადად ხომ იმით არის განპირობებული, რომ ის უძღვებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კურსს, იღვწოდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, რომელიც ქართველი ხალხის გაცხადებული თუ გაუცხადებელი წადილი იყო და რაც 31 მარტის რეფერენდუმით დადასტურდა კიდეც. ამიტომაც ბრძოლის ამ ეტაპზე უნდა ვეცადოთ არა იმდენად კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის, რაც სასურველია, მაგრამ თითქმის შეუძლებელი, არამედ ეროვნული ძალების გამთლიანებისათვის, დარაზმვისა და ბრძოლის ახალი ეტაპისათვის, რაც მომავალ არჩევნებში ეროვნულ ძალთა გამარჯვებით უნდა დაგვირგვინდეს.

ვის ებრძოდნენ ბოიკოტისტები და რისთვის?

ვეჭვობ, მკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს ბოიკოტისტების მაწყვეარი ვიყო, ბოიკოტიც ბრძოლის ერთ-ერთ ფორმად მიმაჩნია და, რაც უნდა პარადოქსულად ეღერდეს, მას არჩევნებში გამარჯვების ერთ-ერთ საშუალებად ვრაცხ. აკი, მეც ბოიკოტის მომხრე გახლდით და ვიცავდი კიდეც ამ პოზიციას.

მაგრამ მოვლენების განვითარებამ და ანალიზმა დამარწმუნა, რომ ბოიკოტი განუხორციელებელი იყო. მეტიც, ის რომ განგვეხორციელებინა კიდეც, სასურველს მაინც ვერ მოვიმკიდით.

ყველას ახსოვს არჩევნების წინ პარლამენტში გამართული „ბატალიები" პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღების, კონსტიტუციისა და საარჩევნო კანონის მიღების თაობაზე. კინოკადრებივით სწრაფად ჩაიარა ყველაფერმა და თანაც რეჟიმის მეთაურის სასურველი რაკურსით. ამას მოჰყვა ე. შევარდნაძე-

ზე თავდასხმის ინსპირირება, რომლის შედეგმაც „დაზარალებ'ულის" წისქვილზე დაასხა წყალი.

ერთი სიტ'ყვით, ხელოვნ'ურად, უ'ნნეო ხრიკებით და ძალისძალად შეიქმნა ისეთი ატმოსფერო, როცა თავისუფლად სუნთქავდნენ მხოლოდ შევარდნაძის მომხრეები და მისი მონამორჩილი პარტიები. ცხადია, განვლილ ოთხ წელიწადში ხელისუფლების მთელი ძალისხმევა აქეთკენ იყო მიმართ'ული, მაგრამ არჩევნების წინ იგი განსაკ'უთრებ'ული ენერგიით დაიმ'უხტა.

აი, ასეთ სიტ'უაციაში, როცა შევარდნაძისეული ფრთა აღმაფრენას განიცდიდა და მთელი სახელმწიფო მანქანა ამ'უშავდა არჩევნების მოსაგებად, ისედაც დაქსაქს'ულ ეროვნ'ულ ძალებში შემოაგორეს განხეთქილების ვაშლი, რომელმაც კიდევ უფრო დაუპირისპირა ურთიერთს ეროვნული ორიენტაციის ადამიანები. მართლაც, სუკ-მა კარგად უწყის თავისი საქმისა! ძნელი მისახვედრი არაა, რომ, როცა ასეთი დაპირისპირება დასადგ'ურდა „თანამოაზრეთა" შორის, მაშინ ვერც ბოიკოტს ეწერა განხორციელება და ვერც არჩევნებს – წარმატებით დაგვირგვინება.

ბოიკოტი სიკეთეს რომ არ მოგვიტანდა, პირველად მაშინ მივხვდი, როცა უმრავლესობის დაჟინებული მოთხოვნით მიიღეს საარჩევნო კანონი „50+1". უმრავლესობის ეს წარმოუდგენელი „დემოკრატიულობა", რომელიც თითქოს უპირველესად განპირობებული იყო საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ზრუნვით, უფრო შორს გამიზნ'ული მზაკვრობა ჩანდა. ამით მათ იმედის ერთგვარი მარცვალი დათესეს ბოიკოტის მომხრეთა შორის და ისინიც იმ ფიქრით, რომ მათი განზრახვის განხორციელებას რეალური საფუძველი შეექმნა, გაათმაგებ'ული ენერგიით ეკვეთნენ მოწინააღმდეგეებს.

და რაოდენ სამწ'უხარო არ უ'ნდა იყოს, მათი თავდასხმის ძირითადი ობიექტი, არ ვიცი გაუცნ'ობიერებლად, არ ვიცი შეგ'ნებულად, ის ეროვნ'ული ძალები აღმოჩ'ნდნენ, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობდნენ. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ებრძოდნენ არა შევარდნაძის მომხრე პარტიებს, არამედ ბლოკს „XXI საუკ'უნე – კ. გამსახ'ურდიას საზოგადოება – კოალიცია „ერთიანი საქართველო". ისინი აკრიტიკებდნენ არა შევარდნაძეს, არამედ მის რეალურ ალტერნატივას. ისინი კი-

ლაედნენ არა რჩეულიშვილებს, ყვანიებს, კირთაძეებს და სხვ., არამედ გოცირიძეებს, ბოჭორიშვილებს და მისთ. ეს ყოველივე ძნელად სარწმუნოა, მაგრამ ფაქტები ჯიუტად მეტყველებენ ამის შესახებ. ასე მაგალითად, ბოიკოტისტები არც ერთხელ არ დასწრებიან მოქალაქეთა კავშირის წინასაარჩევნო შეხვედრებს, რათა პროტესტი გამოეთქვათ და შეპაექრებოდნენ მათ, მაშინ როცა ბლოკ „XXI საუკუნის" წინასაარჩევნო შეხვედრების ჩაშლა არაერთგზის განიზრახეს. მათ არ უცდიათ ხელი შეეშალათ შევარდნაძის აგიტატორთათვის, რომლებიც გაყალბებით აგროვებდნენ ხელმოწერებს მაშინ, როცა ჩვენს მხარდამჭერთა სიები საჯაროდ თუ მალულად დახიეს ან უკვალოდ გააქრეს. რაღა ბევრი გავაგრძელო, ეროვნულ პოზიციაზე მდგომი ხუთი გაზეთის რედაქციამ („აღდგომა", „აპრილი", „კოლხური კოშკი", „ივერიის გაბრწყინება", „თავისუფალი საქართველო") დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა იმ ეროვნულ ძალებს, რომლებიც არჩევნების გზას დაადგნენ. ამ გაზეთების ფურცლები ეთმობოდა როგორც ავტორიტეტებს, რომლებმაც ლამის ერის მოღალატეებად გამოგვაცხადეს, ასევე სრულიად უსახელო პირებს – მანგული თუ მაგნოლი ხუბუებს, დიდი პოლიტიკოსის პოზიდან რომ გემოძღვრავდნენ (სხვათა შორის, ეს პერსონა დღესაც აგრძელებს პროვოკაციულ მოღვაწეობას. ერთობ საინტერესოა, ვის დავალებას ასრულებს). საქმეში ჩართეს მშვიდი ცხოვრების მაძიებელი თუ იძულებით გადახვეწილი პოლიტემიგრანტები, რომლებმაც იმის შიშით, არჩევნებში ეროვნული ძალების გამარჯვებით სიმყუდროვე რომ არ დარღვეოდათ, ქოთქოთი ატეხეს, მაგრამ რა ქოთქოთი!

მე კარგად მესმის მათი, ვინც დაპატიმრების თუ ფიზიკური მოსპობის შიშით სამშობლოდან იძულებით გადაიხვეწა და ახლა უცხოეთში მოუთმენლად ითვლის დღეებს, თუ როდის ელირსება უკან დაბრუნება. არა მგონია, ასეთ პიროვნებებს დაეგმოთ ჩვენი მცდელობა – არჩევნების გზით შეგვეცვალა საქართველოში დასადგურებული პოლიტიკური ყოფა! მაგრამ ვერ გამიგია მათი, ვისაც პუტჩის შემდგომ ერთი დღეც არ უცხოვრია საქართველოში, ვისაც არც დასაჭერად დასდევდნენ და არც არავინ ერჩის, ვისი არსებობაც არავის ახსოვს და მაინც, ევროპაში კეთილად დასახლებულნი, ახლა ნირვანას ნეტარებით გემოძღვრავენ იქიდან, ჩვენს ნაბიჯს პოლიტიკურ შეცდო-

მად მიიჩნევენ, თუმცაღა დიდსულოვნად გვინდობენ კიდეც! საგანგებოდ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული გაზეთები ფინანსურ კრიზისს განიცდიდნენ და რეგულარულად ვერც კი იბეჭდებოდნენ. მაგრამ არჩევნების წინა პერიოდში ერთ-ერთმა მათგანმა პერიოდულობა გაზარდა – ყოველკვირეული გახდა, მეორე – 16 გვერდიანიც, ნაცვლად 8-ისა, მესამე – თითქმის უფასოდ რიგდებოდა ორი თვის განმავლობაში, მეოთხე კი, თვეობით რომ არ ჩანდა, არჩევნების წინ თითქოს მკვდრეთით აღსდგაო. არჩევნების მომხრე ეროვნული პოზიციის გამომხატველი რედაქციები კი ძლივს ახერხებდნენ გაზეთების ბეჭდვას, რადგანაც ხელისუფლება შეგნებულად უქმნიდა წინაღობებს.

საინტერესოა, საერთოდ, ვინ აფინანსებდა ბოიკოტის პროპაგანდას და მის სააგიტაციოდ გამომავალ გაზეთებს მაშინ, როცა ჩვენ წინასაარჩევნო ტურნესთვის ბენზინის საყიდელი სახსრები არ გვქონდა და ერთი რიგიანი პლაკატიც კი ვერ დავბეჭდეთ?! ბოიკოტისტებს, როგორც ირკვევა, სოლიდური თანხები გაუჩნდათ. როგორ, რა გზით? ამას, ალბათ, თავადვე უნდა უპასუხონ!

მაგრამ ეს შეკითხვა რიტორიკულ ხასიათს დაკარგავს, თუ გავიხსენებთ, რომ წინასაარჩევნო პერიოდში არჩევნებში მონაწილე ეროვნული ძალები დაუფარავად ებრძოდნენ შევარდნაძის რეჟიმს და არას ამბობდნენ ბოიკოტის მომხრეთა წინააღმდეგ, ხოლო ბოიკოტისტები კი, პირიქით, დაუნდობლად ილაშქრებდნენ ეროვნული ძალების, კერძოდ ბლოკ „XXI საუკუნეს“ წინააღმდეგ და კრინტსაც არ ძრავდნენ არც შევარდნაძის, არც მოქალაქეთა კავშირის და არც ძმათა მათთა საქმიანობის შესახებ!

რა ეუწოდოთ ასეთ საქციელს? დასკვნა თავად მკითხველისთვის მიგვინდვია. მე კი მსურს დავსძინო, ბოიკოტის მომხრეთა შეცდომა ის კი არ იყო, რომ ბოიკოტის პოზიცია აირჩიეს. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, თუ ბოიკოტს გონიერულად წარმართავ, მას დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს არჩევნების ობიექტურად ჩატარებას. შეცდომა ის იყო, რომ მათ ბოიკოტი ძირითადად ეროვნული ძალების და არა ოდიოზური პიროვნებებისა თუ მარიონეტული რეჟიმის წინააღმდეგ წარმართეს.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს „ბოიკოტი“ გარკვეული ძალების მიერ იყო ინსპირირებული და მართული. ყოველ შემთხვევაში, ბოიკოტისტებს უნდა სცოდნოდათ, რომ შეეარდნაძეს და მის მომხრეებს ერთ ხმასაც ვერ წაართმევდნენ და თუ ვინმეს დააზარალებდნენ, ისევ ეროვნულ ძალებს. ასეც მოხდა!

თავგადაკლული ბოიკოტისტები აქეთ შემოგვიტევენ და გვეტყვიან, რომ არჩევნებში სწორედ ეროვნული ძალების მონაწილეობამ გახადა შეუძლებელი ბოიკოტის განხორციელება. მაგრამ ახლა, როცა ურემი გადაბრუნებულია, ყველაფერი ცხადზე უცხადესია. ვთქვათ, ორასი ათასი ამომრჩეველი (ჩვენი ბლოკის მომხრეთა დაახლოებითი რაოდენობა) არ გამოცხადებულიყო საარჩევნო ყუთებთან. რა, ეს ჩაშლიდა არჩევნებს?! გარდა ამისა, ყველას გვახსოვს, „XXI საუკუნეს“ რომ არ დაეძლია 5%-იანი ბარიერი, ხელოვნურად როგორ გაიზარდა ერთ საათში ამომრჩეველთა რაოდენობა 250 ათასით. ყველა არსებული ოქმი ამ ყალბად გაზრდილ რიცხვზე მეტყველებს. მერე და რა, ყურად იღო ეს ვინმემ?! თუკი საჭირო იქნებოდა, ეს რიცხვიც გაორმაგდებოდა. ასე რომ, იმ მექანიზმითა და ორგანიზებით, რომელიც ბოიკოტისტებს ჰქონდათ, არჩევნებს ვერ ჩაშლიდნენ. ამასთანავე, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ ბოიკოტისტებიც ორად იყვნენ გათიშულნი – „პასიური“ და „აქტიური“ ბოიკოტის მომხრეებად, ზემოთქმული თვალსაზრისი უფრო სარწმუნო გახდება.

მაგრამ უმთავრესი ეს არ გახლავთ. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ბოიკოტს ამ შემთხვევაში ლოგიკური გაგრძელება არ ექნებოდა და მას ჩიხში შევყავდით. საერთოდ, ბოიკოტს პერმანენტულ მოელენად ვერ ვაქცევთ. მას მაშინ ექნებოდა დატვირთვა, თუკი მომდევნო არჩევნებში მოწინააღმდეგეებთან შედარებით უკეთეს პოზიციაში აღმოვჩნდებოდით. მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ დროის ბორბალი ჩვენს საწინააღმდეგოდ ბრუნავდა და მოწინააღმდეგეთა, კერძოდ კი, შევარდნაძის მომხრეთა სასარგებლოდ მუშაობდა. ასე რომ, ამ თვალსაზრისითაც მას გამართლება არ გააჩნია. დასასრულ, როგორც უკვე ვთქვით, ბოიკოტის მომხრეებმა დააზარალეს არა ანტიეროვნული, არამედ ეროვნული ძალები. არსებულ ხელისუფლებასთან ერთად მათი „დამსახურებაცაა“, რომ დღევანდელ პარლამენტში ჭეშმარიტი ეროვნული სულისკვეთების

ერთი ადამიანიც არ ჭაჭანებს. ეს კი რაოდენ დამღუპველია ქვეყნისთვის, ვგონებ, ყველა საღად მოაზროვნემ კარგად უწყის. არჩევნებამდე კარგა ხნით ადრე ვწერდი: „ჩვენ უნდა ერთიანი ძალისხმევით რაც შეიძლება მეტი ჭეშმარიტი მამულიშვილი გავიყვანოთ პარლამენტში, რათა იგი არ გადავაქციოთ ფსევდოპატრიოტ ნაძირალათა თავშესაფრად. ბოიკოტობანას თამაშს მოჰყვება ის, რომ პარლამენტი შეივსება მოქალაქეთა კავშირის კარიერისტებით, ორთოდოქსი კომუნისტებით, ფსევდოეროვნული ძალებით, ანტიეროვნული სულისკვეთებით გაჟღენთილი პოლიტიკოსებით და ა. შ. ერთი სიტყვით, მივიღებთ ისეთ პარლამენტს, რომ დღევანდელი თვინიერებით სახელგანთქმული „უმრავლესობა“ მასთან შედარებით შეუპოვარ ოპოზიციად და ჭეშმარიტ მამულიშვილებად მოგვეჩვენება“ („სამრეკლო“, 1995, №32). სამწუხაროდ, ჩემი ვარაუდი ახდა: ჩვენივე მცდელობით ხელთ ისეთი პარლამენტი შემოგვრჩა, რომ საქართველოს დაუძინებელი მტრებიც უკეთესს ვერ ინატრებდნენ.

ახლა კვლავ გარდასულ მოვლენებს დავუბრუნდეთ: ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ არჩევნების რეალური და არა გაყალბებული შედეგები გაცხადდა. ბლოკმა „XXI საუკუნემ“ მართლაც მიიღო 4,28%. საფიქრალია, რომ ბოიკოტისტების წყალობით დაახლოებით ამდენივე დაეკარგეთ. ამას დაეუმატოთ ის ხმები, რომლებიც მიიღო ჩვენმა თანამებრძოლმა ბლოკმა „ზვიადის გზამ“ და სხვა ოპოზიციურმა პარტიებმა, რომლებიც შევარდნაძის რეჟიმს უპირისპირდებოდნენ, და ადვილად მივხვდებით, რომ ეროვნულ ძალებს შეეძლოთ პარლამენტში გადამწყვეტი ხმები მოეგროვებინათ. მავანი შემახსენებს, რომ არსებული რეჟიმი გააყალბებდა მონაცემებს, ჩამოგვაჭრიდა ხმებს ისევე, როგორც ბლოკს – „XXI საუკუნე“ – და არ დაუშვებდა ეროვნულ ძალებს პარლამენტში. ეს აზრი არაა უსაფუძვლო, მაგრამ, თუკი ყველა ეროვნული ძალა დაირაზმებოდა და იმ ენერგიას, რაც ბოიკოტის აგიტაციისათვის გაიხარჯა, მიმართავდა არჩევნების ობიექტურად წარმართვისათვის, ეჭვგარეშეა, გაცილებით ნაკლები მასშტაბით შეძლებდა რეჟიმი შედეგების გაყალბებას და ჩვენც დიდ წარმატებას მივაღწევდით. სხვა რომ არაფერი, მეთვალყურეები მაინც გვეყოლებოდა ყველა უბანში.

ასეა თუ ისე, დღეს რაც გვჭირს, საკუთარი უთაობით გვჭირს. ახლა ისღა დაგვრჩენია, შეცდომები გავაანალიზოთ და მომავალზე ვიფიქროთ. მაგრამ იმის ნაცვლად, რომ საღად ვიმსჯელოთ, კვლავაც ჩვენი მისამართით გაისმის საფუძველმოკლებული საყვედურები.

ურემი გადაბრუნდა... გზა მაინც არ ჩანს

როგორც მოსალოდნელი იყო, არსებულმა რეჟიმმა ნებანება, თავისი წადილისა და სურვილისამებრ ჩაატარა არჩევნები. ბრძოლის კიდევ ერთი რაუნდი წავაგეთ. ბოიკოტისტებიც პირში ჩალაგამოვლებულები დარჩნენ და ჩვენც, არჩევნებში მონაწილე ეროვნული ძალები. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ჩვენმა მარცხმა კიდევ უფრო გააიოლა საქართველოს საბოლოო გადაშენება და გადაგვარება. დღევანდელ ხელისუფლებას, რომელიც აშკარად ანტიეროვნულ კურსს ატარებს, ხელფეხი გაეხსნა და შესაძლებლობა მიეცა აუგი ზრახვანი ისე განახორციელოს, რომ წინააღმდეგობასაც არავინ გაუწევს. სამწუხაროდ, შემზარავი უბედურების მომკელთა შორის ისინიც არიან, ვინც, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი შეუწყო ასეთი პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევას.

ახლა ისიც ვთქვათ, საბოლოოდ რა წავაგეთ არჩევნებში მონაწილეობით და რა მოვიგეთ პოლიტიკური თუ პრაქტიკული თვალსაზრისით.

პირველი. აზრი იმის შესახებ, რომ ეროვნული ძალების მონაწილეობით ეს არჩევნები კანონიერი და ხელისუფლება კი ლეგიტიმური გავხადეთ, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, სრულიად მოკლებულია დამაჯერებლობას. ე. წ. იმედის არჩევნებში, რომელიც ასევე იარაღის ძალითა და გაყალბებულად ჩაატარეს, არ მიგვიღია მონაწილეობა, მაგრამ იგი კანონიერად ცნო მსოფლიოს ყველა ქვეყანამ და ამის წყალობით დღევანდელი ხელისუფლების ლეგიტიმურობაც სხვა ქვეყნების მთავრობებმა აღიარეს. 5 ნოემბრის არჩევნებში არცერთ ქართველს რომ არ მიეღო მონაწილეობა და მხოლოდ არაქართველები მისულიყვნენ საარჩევნო ყუთებთან, იგი მაინც კანონიერად ჩაითვლებოდა. ასე რომ, არჩევნებში მონაწილეობით საქმე არ გაფუჭებულა.

მეორე. არც ისაა სარწმუნო, რომ თითქოს ბოიკოტის გზით მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დაფიქსირდა ძალა, რომელიც არ ცნობს შევარდნაძის ხელისუფლების კანონიერებას. ჯერ ერთი, ასეთი ძალა კარგა ხანია დაფიქსირებულია საქართველოს უზენაესი საბჭოს სახით და ამის შესახებ კარგად უწყის მსოფლიომ. მეორეც, ფაქტობრივი ხელისუფლების არსებობა რეალობაა, იგი შეიძლება უკანონოდ მიიჩნიოთ, მაგრამ მას, ნებსით თუ უნებლიეთ, ანგარიშს უწევთ, რადგანაც მასზე დამოკიდებულია ჩვენი ყოფის ბევრი მხარე, ხოლო ფაქტობრივი ხელისუფლების უკანონობის დასამტკიცებლად მრავალი გზა და საშუალება არსებობს და მათ შორის ერთ-ერთი, და არა ერთადერთი, შეიძლება იყოს ბოიკოტი. მესამეც, წინასაარჩევნო ვოიაჟების დროს ეროვნული ძალების წარმომადგენლები ხომ მხოლოდ არსებული რეჟიმის უკანონობას ამტკიცებდნენ და თავისი აქტიური ქმედებითა და აგიტაციით უფრო მეტად აუხილეს თვალი საქართველოს მოსახლეობას, ვიდრე ბოიკოტისტებმა. ასე რომ, ამ მხრივაც არჩევნებში მონაწილეობით არაფერი წაგვიგია.

მესამე. უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს საქართველომ ფაქტობრივად დაკარგა ტერიტორიები, სადაც არჩევნები, როგორც წესი, უნდა ჩატარდეს მას შემდეგ, როცა მათ უკან დაეიბრუნებთ. მაგრამ დღევანდელი რეჟიმის ხელში ამის იმედი არ უნდა გვქონდეს. ხოლო მოძალადე რეჟიმის შეცვლა, როგორც უკვე ითქვა, მხოლოდ არჩევნებით შეიძლება. ფაქტია, გვსურს თუ არ გვსურს, არჩევნები უნდა ჩავატაროთ. ეს ერთი, და მეორეც, ზემოხსენებული მოტივით არჩევნები საერთოდ უნდა დაგვეგმო და ჩაგვეშალა და არა მასში ეროვნული ძალების მონაწილეობა, რადგანაც ეს ფაქტი, როგორც უკვე მოგახსენეთ, არჩევნების საერთო ბედს ვერ გადაწყვეტდა. გამოდის, რომ ამ მხრივაც არჩევნებში მონაწილეობით არაფერი წაგვიგია.

მეოთხეც. უკვე საბოლოოდ გაცხადდა, რომ შევარდნაძეს არავითარი დემოკრატიული იმიჯის შექმნისთვის არ სურდა ეროვნული ძალების ყოფნა პარლამენტში. ის კი არა, მან ერთი კაციც, მაგალითად, ნოდარ ნათაძე, არ შეუშვა პარლამენტში, რათა ამ უკანასკნელს არ დაერღვია მოქალაქეთა კავშირის მყუდროება და სიმშვიდე. ხელისუფლება არც იმას

დაგიდეედა, მიეიდოდა თუ არა ხალხი არჩევნებზე. პირიქით, რაც უფრო ნაკლები იქნებოდა მიმსვლელი, მით უფრო ნაკლები ხელისშემშლელი ეყოლებოდა. ამიტომაც არავითარი სატყუარა რომელიმე ბლოკის სახით მას არ ესაჭიროებოდა. ასე რომ, ამ მხრივაც არჩევნებში მონაწილეობით არაფერი წაგვიგია.

ბოიკოტისტებმა შეიძლება სხვა არგუმენტებიც დაგვისახელონ, მაგრამ, ეფიქრობ, რაიმე არსებითს ვერარ დაუმატებენ, რომ საწინააღმდეგო თვალსაზრისი დაგვიმტკიცონ. მეტიც, ზემოთ მოხმობილი მათი არგუმენტები იმ შემაძრწუნებელ შედეგთან შედარებით, რაც დიდწილად მათმა პოზიციამ განაპირობა, უსუსურია და უცოდველი ბავშვის ტიტინად აღიქმება.

ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი მართებული პოლიტიკური ნაბიჯი იყო ერთიანი ძალისხმევით არჩევნებში მონაწილეობა, რასაც უთუოდ მოჰყვებოდა შთამბეჭდავი გამარჯვება და, მიუხედავად იმისა, რომ ასე არ მოხდა და ჩვენ დავმარცხდით, მაინც მწამს, არჩევნებში მონაწილეობა უფრო სასიკეთო იყო ქართული ეროვნული ცნობიერებისა და სულიერების ასამაღლებლად, ვიდრე ბოიკოტი თავისი ბუნდოვანი პერსპექტივით.

მართალია, უხეშ ძალასა და უსამართლობასთან ბრძოლისას ამჯერად ჩვენ დავმარცხდით, მაგრამ მოვიპოვეთ მორალური გამარჯვება, რომელიც თავისი ფსიქოლოგიური შედეგით სამერმისოდ არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე პოლიტიკური ბატალიის, კერძოდ, არჩევნების მოგება.

ჩვენ ისიც გვქონდა გაცნობიერებული, რომ ასეთი უსამართლობის ჟამს, როცა შავი თეთრად შეუძლიათ გამოაცხადონ, როცა ჩვენს შორისაც განხეთქილება სუფევდა და ეროვნული ძალები ურთიერთს უპირისპირდებოდნენ, როცა სრულიად უსახსრონი ვიყავით, მოსალოდნელი იყო ჩვენი დამარცხება. ამის შესახებ ეწერდი კიდეც. მაგრამ, ჯერ ერთი, დაცემული ქართული სულის ასამაღლებლად და მიძინებული ეროვნული ცნობიერების გამოსაღვიძებლად არჩევნებში მონაწილეობა იყო საუკეთესო წინაპირობა.

საშუალება მოგვეცა გამოგვეყენებინა პრესა. რადიო, ტელევიზია და ხალხთან უშუალო კონტაქტები. ამაზე უკეთესს დღევანდელი ტოტალიტარიზმის პირობებში კაცი ვერ ინატ-

რებდა. ამიტომაც ყოველივეზე უარის თქმა, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, სრული პოლიტიკური სიბეცე იყო. მეორეც, ჩვენმა წინასაარჩევნო კამპანიამ დიდი გამოცოცხლება და გამოძახილი ჰპოვა ქართველ ხალხში. ხალხი ამოძრავდა, მათ დაუბრუნდა ოპტიმიზმი და, რაც მთავარია, რწმენა, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დანთქმული, შეიძლება ბრძოლა და ძალების მოსინჯვა. დაბოლოს, ქართველმა მოსახლეობამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მისთვის ეროვნული სულისკვეთება ყველაზე სისხლხორცეულია და იგი ყოველთვის მხარს დაუჭერს მას, ვინც უანგაროდ იბრძვის საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

თუმცა გარეგნულად „მოქალაქეთა კავშირმა“ ეფექტურ წარმატებას მიაღწია, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ეს იყო არა მისი გამარჯვება, არამედ გაყალბების სისტემის ე. წ. ამერიკული მეთოდის შედეგი და იარაღის ჟღარუნისა თუ ძალის ზეიმი. ასე რომ, ამგვარი გამარჯვება, რომელსაც მყარი საფუძველი არ გააჩნია, საპნის ბუშტივით გასკდება და ილუზიონისტის დროებით წარმატებას უფრო ჰგავს.

ახლა მავანი იმის გამოც გვისაყვედურებს, რომ არჩევნებში მონაწილეობამ ჯერ აღტყინება გამოიწვია ქართველებში, ხოლო მერე, მარცხის გამო – დეპრესია და ამიტომაც არ ღირდა მასში მონაწილეობაო. მაგრამ ასეთ ლოგიკას რომ მივყვეთ, მაშინ გამოდის, არც 1990 წლის არჩევნები უნდა ჩაგვეტარებინა, არც რეფერენდუმი და არც ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოგვეცხადებინა. საერთოდ, ბრძოლაზე უარი უნდა გვეთქვა, რადგან ამ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წარმატებას, როგორც წესი, მარცხი მოჰყვა. ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, არჩევნებში მონაწილეობა მართებული ნაბიჯი იყო, რომელმაც ამჯერად მორალური გამარჯვება მოგვიტანა. ამან კი სამომავლოდ შედეგი უნდა გამოიღოს.

დასკვნა

ურემი გადაბრუნდა, გზა მაინც არ ჩანს, არც გამოჩნდება, ვიდრე თვალდათხრილები ვიელით თავისუფლებისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკზე;

ვიდრე უგუნურობას ვამჯობინებთ გონიერებას;

ვიდრე ლაფში ჩაფლული ურემი შინ მიტანილი გვეგონება;

ვიდრე მტრის ნაცვლად მოყვარეს ვუშენთ ქვებს;

ვიდრე სხვისი სიკეთის გამო წუხილს არ შევეშვებით;

ვიდრე სხვათა დაუმსახურებელ ლანძღვა-გინებას თავს არ დავანებებთ;

ვიდრე ურთიერთგატანას და სიყვარულს არ ვისწავლით;

ვიდრე საკუთარ თავზე მაღლა სამშობლოს არ დავაყენებთ;

ვიდრე არ გავიცნობიერებთ, რომ ერის კეთილდღეობის გარეშე პირადი ბედნიერება შეუძლებელია;

ვიდრე მონობაში კუჭის სიმაძღრეს სახელოვან სიკვდილს არ ვამჯობინებთ;

ვიდრე თავისუფლების ჭეშმარიტ ყადრს ვერ შევიცნობთ;

ვიდრე სხვათა მაამებლობას და ლიქნს არ შევეშვებით;

ვიდრე სამარცხვინო ლაქიას ვამჯობინებთ ერისათვის თავდადებულ რაინდს;

ვიდრე წინაპრების და ტრადიციების ყადრი არ გვეცოდინება;

დაბოლოს, ვიდრე სიკეთის წყურვილით ყველა ერთად არ დავირაზმებით და ბოროტებას არ შევუტევთ.

დიახ, ბატონებო, დღეს წარსულში მზერის და დანაშაულთა ქექვის დრო არ არის. დღეს მომავალისკენ მზერა გვმართებს, მხოლოდ ხვალინდელ დღეზე ფიქრით წარსულის ანალიზი გვაძლევს ხელს.

ღრმად მწამს, ყოველგვარი გათიშულობა დამღუპველია. მხოლოდ ერთად ყოფნა, საერთო ენის გამონახვა, ერთიანი ძალისხმევა იხსნის საქართველოს.

მაღლითმხედია ჩვენი მფარველი!

1996 წელი

მახვილითვე დაიღუპება?!

ორ წელზე მეტი გავიდა, რაც ბედის უკუღმართობამ საქართველოს მომწყვიტა და უცხოეთში გადმომხიზნა. თუმცა გულისყური დღე და ღამ სამშობლოსკენ მაქვს მიპყრობილი, მაგრამ, მის წიაღს მოშორებულს, ყრუდ მესმის მაჯისცემა ჩემი ხალხისა. უკვე მოძველებული გაზეთებით და კანტი-კუნტად ჩამოღწეული ხმებითღა ვიგებ მისი გაუსაძლისი ყოფის შესახებ. მაგრამ ეს მწირი ინფორმაციაც მარწმუნებს, რომ ქვეყანას უკეთესობისკენ პირი არ უქნია, პირუკუ, ეკონომიკური ქაოსი და განუკითხაობა, სულიერი დაცემა და გახრწნა უფრო მასშტაბური და შთამბეჭდავი გამხდარა. სამწუხაროდ, საქართველოს მტრებმა ანტიეროვნული ძალების მეშვეობით შეძლეს მისი სულიერი და ფიზიკური დაჩაჩანაკება, გადაგვარების ზღურბლამდე მიყვანა. შუა საუკუნეების ერთი არაბული ანეკდოტი ძალზე ესადაგება საქართველოს დღევანდელ ყოფას, ამიტომ ეკადნიერდები და კვლავაც ვიხსენებ: მიცვალებულს მიასვენებდნენ, ჭირისუფალი კი ასე მისტიროდა: ჩემო დაუვიწყარო, შენ მიჰყავხართ იქ, სადაც არც წყალია, არც ცეცხლი, არც სინათლე, არც სასმელ-საჭმელი, არც სამოსი და არცარა.

ამის შემსწრე და გამგონე პატარა ჯუხას მამისთვის უთქვამს: მამა, ეგონებ, ამ მიცვალებულს ჩვენს ქოხში მოასვენებენო. ღმერთო, მომიტევე და, ამ ანეკდოტის გახსენებისას მუდამ ასეთი აზრი მებადება: ჯუხას რომ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა სცოდნოდა, უეჭველად ასე იტყოდა: მამი, ეგონებ, ამ ცხუდარს საქართველოში მიასვენებენო...

ჩვენდა საეალალოდ, ანეკდოტამდე და აბსურდამდე დასული საქართველოს დღევანდელობა სხვა ფიქრს ვერ აღუძრავს ადამიანს, გარდა იმისა, რომ საქართველო იქცა მხარედ, სადაც „მკვდრები თავიანთ მკვდრებს მარხავენ“ ოდენ.

დიახ, თუ ილიას დროს საქართველოს ეძინა საღათას ძილით, ახლა ამას ძილს ვერ დავარქმევთ. დიახ, თუ ილიას ეპოქაში ლაფსა და ტალახში იყო ჩაფლული საზოგადოების

ერთი ნაწილი, ახლა ამას ვერც ლაფსა და ტალახს ვეწოდებთ და ვერც მხოლოდ საზოგადოების ერთ ნაწილს. თუ ილიას უამს საზოგადოებრივი აზრი დასნეულებული იყო, ახლა ამას სუნს ვერ ვეტყვით. დღეს რაც გვჭირს, გაცილებით თავზარდამცემი და შემაძრწუნებელია: უკუნეთ წყვდიადში ჩანთქმული ხალხი ვერ ხედავს სიწმინდის და სინათლის ლამპარს, მზერა რომ მიაპყროს და თავი იხსნას. ამიტომ ის ხელების ფათურით აწყდება არარაობის უფსკრულს და ვითარცა ცხვრის ფარა, რომელსაც კეთილი მწყემსი მოუკლეს და სატანა მიუჩინეს, თანდათან ირეხება ამ ქვესკნელში...

მაგრამ დიდი უმადურობა და უსინდისობა იქნება ქართველ ხალხს უსაყვედურო: რას ჰგავხარ, ეს რა დაგმართნიაო?! პირუკუ, თავად მე აღფრთოვანებული ვარ მისი სულიერი სიმტკიცით და ვფიქრობ, რომ ამგვარ გაჭირვებასა და უბედურებას ძნელად თუ გადაიტანდა სხვა ერი.

ალბათ, დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის შესაცნობად, რომ ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება სტიქიური არ არის და წინასწარ დაგეგმილი მზაკვრული ზრახვების განხორციელებაა, რომელსაც მხოლოდ ერთი მიზანი უდევს საფუძვლად: გადაგვარდეს ქართული ჯიში და ჯილაგი, აღიგავოს ქართველთა მოდგმა პირისაგან მიწისა!..

ქართველთათვის ასეთი მზაკვრული ზრახვანი არც ახალია და არც მოულოდნელი... ვის არ უცდია ჩვენი გადაშენება: სპარსსა თუ არაბს, მონღოლსა თუ თურქს, რუსსა თუ ათასგვარი ჯურის გადამთიელს. გადიოდა საუკუნეები, ურთიერთს ენაცვლებოდნენ მტრები, რომლებიც არც თუ იშვიათად მეგობრის ნიღაბსაც ირგებდნენ. შესაბამისად იცვლებოდა გეგმა-ზრახვანიც, თანდათან უფრო რთულდებოდა და ძნელად ამოსაცნობი ხდებოდა. მაგრამ უცვლელი იყო და არის მიზნობრივი მიზანი ქართველთა მოსპობისა და განადგურების!

ეს მიზანი და შესაბამისი გეგმა დღესაც არსებობს, ოღონდაც უფრო ფართომასშტაბიანია და შორსმიმავალი, როგორც ეს მსოფლიო მასონურ არქიტექტონიკას ეგების და წალეკვით ემუქრება არა მხოლოდ ქართულ ეროვნულ ცნობიერებას, არამედ სხვა ერების თვითობას და თავისთავადობასაც. ეს სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის წინააღმდეგ გალაშქრება. „ახი-

ლი მსოფლიოს" არქიტექტორებს განუსრახავთ ააშენონ ბაბილონის გიდოლი, სადაც ცნობიერებადაკარგული, გენეტიკური კოდისგან დაცლილი, ეროვნულ-ტრადიციულობა წართმეული, ინდივიდუალურ ფსიქოლოგიზმს მოკლებული რობოტიადამიანები იცხოვრებენ და მორჩილად აღასრულებენ უმაღლესი „მაგისტრის" ნებას. თუმცა, ჩემი ღრმა რწმენით, ამ გეგმას აღსრულება არ უწერია, მაგრამ იგი დღეს ამოქმედებულია, კიბოს მეტასტაზიეთ მოსდებია მთელ მსოფლიოს და იქ ღვიედება, სადაც ეროვნული სულის „იმუნიტეტია" დაკარგული. სწორედ, უპირველეს ყოვლისა, სულიერი სიმტკიცის მოსპობისათვის იყო გამიზნული ის უსაზღვრო უბედურება, რომელიც ქართველ ხალხს დაატეხეს. მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ მოგახსენებთ...

ყოველგვარი პათეტიკის გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის წამი დგას, ის სულს ღაფავს, მომაკვდავის აგონიაშია. ამიტომაც დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს ჭირისუფლის სიფხიზლე, შემართება და თაედადება. დიახ, დღეს სრულად თუ არა, უმეტესწილად ჩვენზეა დამოკიდებული ეროვნული თავისთავადობის გადარჩენა.

რას ვიქმთ, როგორ მოვიქცევით? დავყვებით მკვდარი თევზებივით ამ ბინძურ ნიაღვარს, მსოფლიოს რომ წალეკვით ემუქრება, სრულად გადავგვარდებით, ვიქცევით ე. წ. მსოფლიო მოქალაქეებად, რომლებსაც გამოცლილი აქვთ ეროვნული ცნობიერების ნიადაგი და მხოლოდ ერთი საზრუნავი აწუხებთ – პირადი კეთილდღეობა და მუცლის ამოყორვა?! ერთი სიტყვით, არისტოტელეს ნათქვამი რომ გავიმეორო, „მუცლის მონებად" ვიქცევით, რაც, ჩემი აზრით, უმდაბლესი და უსაზიზღრესი ფორმაა მონობისა.

თუ შევუდგებით დინების საწინააღმდეგო ცურვას, ვითარცა ეს მოიმოქმედა ღირსეულმა ჩეჩენმა ერმა, ამგვარად გადავირჩენთ თავსაც და ქართულ ცნობიერებასაც?

ამთავითვე უნდა ვიცოდეთ, რომ ურთულესი და უმძიმესი ბრძოლა გველის. ურჩხული, რომელსაც უნდა შევერკინოთ, ძნელი დასამარცხებელია, მაგრამ არც უძლეველია! ბოლოს და ბოლოს, ყოველივე ჩვენი ნების სიმტკიცეზეა დამოკიდებული. ჰოდა, ვევედროთ უფალს, რათა განამტკიცოს ქართველ-

თა ნება და ბრძოლის ყინი გაუძლიერის! მაგრამ ოდენ ვედრება და ლოცვა რომ საკმარისი არ არის, ეს, ვგონებ, ყველასათვის ცხადია. უპირველესად მეობის და ეგოცენტრიზმის მოთოკვა და საკუთარი თავის ერის სამსხვერპლოზე მიტანაა საჭირო, რაც ერთობ ძნელია დღევანდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როცა დაკარგულია ყოველგვარი ზნეობრივ-ეთიკური იდეალი, მეტიც, როცა დაწყებულია ადამიანის გადაგვარების პროცესი, რაც არ არის ლოკალური ხასიათის და მხოლოდ ქართული სინამდვილისთვის დამახასიათებელი.

პრობლემას თუ მსოფლიო კონტექსტის ჭრილში განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ ამ მხრივ მრავალრიცხოვან და ე. წ. განვითარებულ ერებში, ვთქვათ, გერმანელებში, ჰოლანდიელებში და ა. შ. უარესი და კატასტროფული მდგომარეობაა, ვიდრე ჩვენში. ტექნიკის გაუგონარმა განვითარებამ, კაპიტალის დაგროვების დაუნდობელმა კანონებმა, დღევანდელი ცივილიზაციისთვის დამახასიათებელმა ულმობელობამ ადამიანს მოუშალა ის საძირკველი, რომელსაც ეფუძნებოდა მისი ზნეობრივი თუ სულიერი მრწამსი. ელვის სისწრაფით მოხდა ადამიანის დემორალიზაცია.

თუ შუა საუკუნეებში და მოგვიანებითაც ადამიანის ცნობიერების პირამიდის სათავეში აბსოლუტური ჭეშმარიტება, ანუ ღმერთი იყო მოქცეული და მასთან მიმართებასა და შესაბამისობაში იკვეთებოდა ყველა დანარჩენი ღირებულება თუ სოციალურ-მორალური კატეგორია, ახლა ღმერთის ცნება სავსებით უგულებელყოფილია და მის ადგილს იჭერს ფული, რომელსაც, ვითარცა ოქროს ხბოს, ბრმად ემორჩილება თანამედროვე ადამიანი. ფული განაპირობებს მის კეთილდღეობას თუ პრივილეგიურ ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამიტომაც მის მოსაპოვებლად დასაშვებია ყოველგვარი უზნეო ხერხი, ხოლო მისი მფლობელი კი სრულყოფილი ადამიანის ხატად ისახება ამჟამინდელ ცივილიზებულ სამყაროში.

თანამედროვე საზოგადოებრივი აზრი ისეა მომართული. რომ ადამიანს ღირსებად არ ეთვლება ნიჭიერება, მშვენიერების აღქმის უნარი, განათლება, სათნოება, ლმობიერება, მოყვასის სიყვარული, მიმტევებლობა, რწმენა, სულის სიმტკიცე, ერთგულება, მეგობრობა, სამშობლოს სიყვარული და მისთ. პირიქით, ყოველი ზემოჩამოთვლილი კატეგორია დაცინვის

და გაკილეის საგნად ქცეულა, პირდაპირ თუ არა, შეფარვით მაინც!

ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც სულიერებასთან არის დაკავშირებული და რაც ადამიანს ცხოველისგან განასხვავებს და ჭეშმარიტ ადამიანად აქცევს, უგულებელყოფილია და წინწამოწეულია ინსტინქტურ-ცხოველური შეგრძნებები. დღეს განუსაზღვრელად ბატონობს ზოოლოგიური და ბიოლოგიური საწყისი. მთავარია იყო მაძღარი და ჟინდაოკებული, ხოლო სულიერ სრულყოფას რას დაეძებ! მთავარია მხოლოდ შენ გრძნობდე კარგად თავს და სხვა დანარჩენი წყალს წაუღია! ამას შეიძლება ვუწოდოთ ცხოველური ეგოცენტრიზმი. თუ უწინ ადამიანის სრულყოფა ნიშნავდა ცხოველურ საწყისებზე ამაღლებას და იგი სულიერ დახვეწას ეფუძნებოდა, ახლა პირიქით ხდება – ადამიანი მდაბლდება ცხოველამდე, დაწყებულია კაცის გაცხოველების პროცესი. მაგრამ დიდად სამწუხაროა, რომ ეს არ ხდება სტიქიურად, არამედ ცნობიერად. უფრო საგანგაშო ის არის, რომ ეს პროცესი მართვადია და შემადგენელი ნაწილია იმ სისტემისა, რომელიც, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, კაცობრიობის მონა-ცხოველად გადაქცევას ისახავს მიზნად.

კაცის ამ გადამგვარებელ მანქანას დღეს ემსახურება ყველა ინსტიტუტი, რომელიც ადამიანის ცნობიერებას და საზოგადოებრივ აზრს აყალიბებს.

მიმდინარეობს განათლების სისტემის დეჰუმანიზაცია და ვიწრო ტექნიკური სპეციალიზაცია. შეგნებულად მიჩქმალულია ერის სულიერი ღირებულებანი, რაც ეროვნული ცნობიერების და ტრადიციების საფუძველთა საფუძველია. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, დღეს გერმანიაში, რომელიც გახლავთ ჰეგელის და კანტის, გოეთეს და რილკეს, ბეთჰოვენის და მოცარტის... სამშობლო, მეტი რომ აღარაფერი ვთქვა, მწირია ფილოსოფიური აზროვნება, თითქმის სავსებით მივიწყებულია კლასიკური მუსიკა, პატივით არ ეკიდებიან პოეზიას. განსაკუთრებით ეს ითქმის ახალგაზრდობაზე, რომლის ინტერესებიც შეგნებულად დასაზღვრეს ოდენ საკუთარი ხორცისა და ჟინის დაამებითა თუ დაოკებით.

ადამიანის ცხობიერების ამ გაუკულმართებაში უდიდესი დამსახურება ინფორმაციის საშუალებებს. განსაკუთრებით კი ტე-

ლევიზიას მიუძღვის. აქაური სატელევიზიო არხები თითქმის სრულიად არ უწყობენ ხელს უმდიდრესი გერმანული კულტურული ტრადიციების გავრცელებას. ყავლგასული კარნავალების ჩვენება (დაახლოებით ჩვენებური „თბილისობა“ რომაა) და ფოლკლორული საღამოების იშვიათი გადაცემები წეთია ზღვაში იმ ანტიგერმანულ საქმესთან შედარებით, რომელსაც ტელევიზია ახორციელებს. ტელევიზიით შეგნებულად ამკვიდრებენ მუცლის და სექსის კულტს. გაუთავებლად საუბრობენ სასმელ-საჭმელზე. არადა, ეს რომ საქართველოში ხდებოდეს, სადაც ადამიანის გამოკვების პრობლემა მწვავედ დგას, არ გაუკვირდებოდა კაცს, მაგრამ აქ ხომ სოციალურად დაუცველი ადამიანი თითქმის არ არსებობს. თუმცა სოციალური პრობლემა როდი აინტერესებს გერმანული პროპაგანდის მანქანას. მისი უმთავრესი მიზანი ხომ მუცლის გაღმერთებაა! კიდევ უფრო დიდი ადგილი ეთმობა პათოლოგიური სექსის აგიტაციას. დღეს გერმანული ტელევიზია და პრესა ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალგაზრდებმა ბუნებრივ, ჩვეულ მოვლენად აღიქვან პათოლოგიური გადახრები, ვთქვათ, ქალის ქალთან ცხოვრება, კაცის კაცთან დაქორწინება, დაძმისა თუ მამა-შვილის სქესობრივი კავშირი და სხვა ათასი უმსგავსობა. მესმის, რომ არსებობენ ავადმყოფი ადამიანები, რომელთაც მკურნალობა ესაჭიროებათ, მაგრამ პათოლოგიური გადახრების აფიშირება და იმის ქადაგება, რომ ეს ბუნებრივი და მისაღებია საზოგადოებისათვის, თანაც ამაზე სიამაყით საუბარი, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: ერის „დეგენერაციას“ და გადაგვარებას.

აღარას ვიტყვი იმის თაობაზე, თუ როგორ იწონებენ თავს „გათხოვილი“ მამაკაცები, მაგრამ აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ამისა და სხვა პათოლოგიის აგიტაცია ძირითადად არღვევს ოდითგანვე არსებულ ტრადიციულ შეხედულებებს ოჯახზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ყოველ ნაბიჯზე ცდილობენ ნორმალური ოჯახის ინსტიტუტის მოსპობას, რასაც აპირობებს ის ფაქტი, რომ ის (ოჯახის ინსტიტუტი) გახლავთ საზოგადოებრივი უჯრედი, სადაც, უპირველეს ყოელისა, ყალიბდება მოზარდის ცნობიერება, მისი მორალურ-ზნეობრივი მრწამსი, ტრადიციებისადმი პატივისცემა და ეროვნული იდეალები. ბუნებრივია, რომ ზნეობრივად ჯანსაღ ოჯახში მორალურად გახ-

რწნილი ადამიანი ვერ აღიზრდება, ამგვარი ადამიანების არსებობა კი მხოლოდ აფერხებს კაცის გაცხოველების პროცესს.

სიტყვა გამიგრძელდა, ამიტომ აღარ შევეხები ნარკომანიას, რომელიც ლაღად იფურჩქნება გერმანიაში და ანგრევს ისედაც გზააბნეული ახალგაზრდების ფსიქიკას. არც უცხოტომელების მოზღვავებაზე შევჩერდები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ დღეს გერმანიაში უამრავი უცხოელი მკვიდრობს, რომლებიც არც კი ფიქრობენ საკუთარ სამშობლოში დაბრუნებას (მაგალითად, მხოლოდ თურქი ეროვნების 2 მილიონი მოქალაქეა). ამგვარ ტენდენციასაც შეგნებულად უწყობენ ხელს. ხდება გენეტიკური აღრევა. მართალია, საბოლოო ჯამში ყველა ეს უცხოელი გერმანულად ამეტყველდება, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული, მტკიცე ტრადიციებისა და რელიგიის მქონე მუსლიმი ხალხების „გაგერმანელება" ასე იოლი როდია! ბოლოს ვღებულობთ ერთგვარ ჰიბრიდს, რომელიც არც გერმანელია და არც თურქი, არც სპარსელი, არც ევროპელია და არც აზიელი, არამედ ეროვნული კოდისა და გენისაგან დაცლილი არსება, რომელიც კოსმოპოლიტური აზროვნების მოდელისათვის ზედგამოჭრილია.

მთავარი მაინც ის არის, რომ ყოველივე ეს, ანტიქრისტეს ნამოქმედარს რომ გვაგონებს, ხორციელდება დემოკრატიის სახელით და, როგორც ვთქვი, მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება: შექმნან უსამშობლო ადამიანი, რომლის ეროვნულობაზე ყოველგვარი საუბარი ზედმეტია. შეიძლება ეკადნიერდები, მაგრამ მაინც ვიტყვი, რომ მრავალ მიწად დაყოფილ და დაშლილ გერმანიას ნაკლებად აწუხებს ერთიანობის პრობლემა. მეტსაც მოგახსენებთ, დღეს არ არსებობს ჭეშმარიტი გერმანული პატრიოტიზმი, ეროვნული თვითშეგნება და სიამაყე. დღეს აქ ბავშვის გაუპატიურებისა და ადამიანის მოკვლის გამო ისე მკაცრად არ სჯიან კანონით, როგორც ნაციონალური გრძნობების აგიტაციისთვის. ამიტომაც პატრიოტიზმი მხოლოდ ფეხბურთის დონეზე ელინდება, ანდა თავს იჩენს სხვა ეროვნებათა სიძულვილში, რაც საესებით გასაგებია, თუკი გავითვალისწინებთ მმართველი წრეების მიერ შეგნებულად შექმნილ იდეოლოგიურ ატმოსფეროს.

ამერიკაზე რომ აღარაფერი ვთქვა, დაახლოებით ამგვარი, თუ უარესი არა, ვითარებაა სხვა ევროპულ ქვეყნებშიც. ერთი

სიტყვით, ასეთია დღეს ერების გაერთიანების, უფრო მართებულად, გადაგვარების მსოფლიო პოლიტიკა, რომელსაც ახორციელებს მისი უდიდებულესობა „მასონური დემოკრატია“. მაგრამ ეს გახლავთ ღვთისა და ერის ნების წინააღმდეგ მიმართული მცდელობა, რომელსაც, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, აღსრულება არ უწერია. ყველა ერს გააჩნია თავის გადარჩენის თუნდაც ინსტინქტური მექანიზმი, რომელიც ხღერულ სიტუაციაში იწყებს მოქმედებას. ამჟამად ჯერჯერობით სოციალურმა პრობლემამ იჩინა თავი და არჩეენებშიც (მაგალითად, ინგლისში, საფრანგეთში) სოციალისტები იმარჯვებენ. მაგრამ შორს არ უნდა იყოს ის დრო, როცა ეროვნული თვითშეგნება წინ წამოიწევს (ამაზე მეტყველებს თუნდაც საფრანგეთის დღევანდელობა) და ხელისუფლების სათავეში მოგვევლინებიან ეროვნული ძალები, ე. წ. ნაციონალისტები, რაც დღეს სალანძღავ სიტყვად უქცევიათ ვითომცდა ადამიანის თავისუფლებაზე მოფიქრალ „დემოკრატებს“.

სიტყვა გამიგრძელდა მსოფლიო სატკიეარზე, მაგრამ იმიტომ, რომ ყოველივე ამან უფრო მძლავრად ჩვენი მცირერიცხოვანი ერის ცხოვრებაში იჩინა თავი. რა ხდება დღეს საქართველოში, ჩემზე უკეთ შენ უწყი, ძვირფასო მკითხველო, მაგრამ მაინც გაგახსენებ ზოგიერთ მომენტს:

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება, რომელიც ჭეშმარიტად იღვწოდა საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის, „ახალი მსოფლიოს“ არქიტექტორთა გეგმებს სრულიად ეწინააღმდეგებოდა. ამიტომაც ბუშებმა თუ ნაბუშრებმა პრეზიდენტი გამოაცხადეს პოლიტიკოსად, რომელიც დინების წინააღმდეგ მიცურავდა. საქართველოს დამოუკიდებლობა მახვილივით ესობოდა „მეგობარ“ რუსეთსაც. ასე რომ, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს აშკარად თუ მალულად შეუტია რუსეთმაც და „დემოკრატიულმა“ მსოფლიომაც, საქართველოს ჭეშმარიტად დემოკრატი პრეზიდენტი გამოაცხადეს დიქტატორად და მოღალატე ქართველთა მეშვეობით იარაღის ძალით დაამხეს ხალხის ნებით არჩეული ხელისუფლება. ასე დაიწყო საქართველოს დაქცევისა და გადაგვარების პროცესი, რომლის მართვაც მიანდეს სხვათა ნების გამოცდილ შემსრულებელს, „დიდ დემოკრატ“ ე. შევარდნაძეს.

ალბათ, ამ მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად უკეთეს კანდიდატურას ვერც ინატრებდა კაცი!.. საქართველოს ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მეორე პიროვნება, რომელსაც ასე თავგამოდებით და მაამებლურად შეესრულებინოს საქართველოს მტრების დავალება და რომელსაც საკუთარი ძალაუფლებისა თუ კეთილდღეობის შესანარჩუნებლად ესოდენ დიდი უბედურება დაეტეხოს თავისი ხალხისთვის.

მან ხომ პირნათლად აღასრულა ის მითითებანი, რისთვისაც განაწესეს საქართველოში, ყოველ შემთხვევაში, მისი დამსახურება უნდა იყოს შემდეგი:

ა) უპირველეს ყოელისა, მისი ინსპირაციითა თუ უშუალო ხელმძღვანელობით პუტჩი წარმატებით განხორციელდა 1991-92 წლებში.

ბ) ამის შედეგად ქვეყნად დასადგურდა ქაოსი და განუკითხაობა, რასაც თავაშვებული ყაჩაღობა მოჰყვა და ფაქტობრივად წლების განმავლობაში ქვეყანას განაგებდნენ შეიარაღებული ყაჩაღები, რომლებიც რევოლუციის გმირებად გამოცხადდნენ. ამ განუკითხაობამ კი შიშის გრძნობა გააჩინა მოსახლეობაში და შეარყია მისი ფსიქიკა.

გ) გატარდა საქართველოს დაქუცმაცების და კუთხეებად დაშლის პოლიტიკა. ერთი კუთხე მეორეს გადაჰკიდეს, მზაკვრულად გაჩაღდა ანტიმეგრული კამპანია, რასაც მოჰყვა სამეგრელოს არაერთგზის აოხრება.

დ) აფხაზეთში გააჩაღეს სამოქალაქო ომი, რასაც შეეწირა ოცდაათ ათასზე•მეტი ქართველის სიცოცხლე, სამას ათასამდე ადამიანი კი თავისსავე სამშობლოში ლტოლვილად იქცა.

ე) დავკარგეთ საქართველოს ტერიტორიები, კერძოდ, შიდა ქართლი და აფხაზეთი.

ვ) ე. წ. სახ. მეთაურის დიდი მცდელობით საქართველო გააწევრიანეს ესენგეში, რითაც ფაქტობრივად ბოლო მოეღო მის დამოუკიდებლობას.

ზ) საქართველოს შიდაპოლიტიკური პრობლემების მოსაგვარებლად მარიონეტულმა ხელისუფლებამ მოუხმო რუსეთის ოკუპანტებს და მათი თვითმფრინაეებითა და ტანკებით მოაოხრა ისედაც დაქცეული საქართველო, კერძოდ, სამეგრელო.

თ) რუსეთის არმიას მოუხსნეს ოკუპანტის სტატუსი და ქვეყანა მათი სამხედრო ბაზებით აიესო.

ი) გაჩანაგდა სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. თავისუფალი ბაზრის ნაცვლად შექმნეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ნომენკლატურული ბაზარი". მართვის უმაღლეს ეშელონებში მოკალათდნენ კორუმპირებული, მაფიოზური დაჯგუფებანი. მეტიც, ე. წ. „შევარდნაძის სახ. ფონდი" იქცა მაფიოზურ ორგანიზაციად, რომელიც, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, გარდა იმისა, რომ ათასგვარი უკანონო გზებით იძენდა კაპიტალს, მიმართავდა დაშინების და იძულების მეთოდს. შეიარაღებული პირები იარაღის მუქარით ძალავდნენ სხვადასხვა ბიზნესმენებს თამასუქებს, რომელთა მიხედვითაც მათ (თამასუქის გამცემთ) „შევარდნაძის ფონდისთვის" ვითომდაც ათეულ და ასეულ ათასობით დოლარი ემართათ.

კ) საქართველოს მოსახლეობას შიმშილით სული ძვრება. ის უკვე რამდენიმე წელია უხელფასოდ ცხოვრობს და არა აქვს რაიმე სახსარი არსებობისა. დღეს შიმშილი მხოლოდ მას არ აწუხებს, ვინც მარიონეტული რეჟიმის მორჩილი მონაა.

ლ) ე. შევარდნაძე მოქმედებს პრინციპით: „მე ვარ სახელმწიფო, მე ვარ კანონი!" ამიტომაც საქართველოში არ არსებობს იურიდიული ნორმა თუ კანონი. პროკურატურა, სასამართლო და პოლიცია ასრულებს მხოლოდ „მამა-მარჩენალის" ნებას ისე, რომ კოდექსებში არც კი იცქირება.

მ) საქართველო „განუკითხაობის კალოდ" იქცა, სადაც ილახება და იხშობა ადამიანის ნებისა და პიროვნების თავისუფლების უმცირესი გამოვლინებაც კი. ციხე-კოლონიები აიესო პოლიტპატიმრებით, რომლებმაც გადაიტანეს უსაშინლესი წამება.

ნ) „დემოკრატიის მამამთავარმა" ეროვნული მოძრაობა გამოაცხადა პროვინციულ ფაშიზმად და ბრძოლა გამოუცხადა ყოველგვარ პატრიოტულ შემართებას.

ო) ჭეშმარიტი მამულიშვილები, რომლებიც ერის გადასარჩენად იღვწოდნენ, ან ფიზიკურად მოსრეს, ან ციხეში ამოაყოფინეს თავი, ან აიძულეს საქართველო დაეტოვებინათ. დღეს საქართველოდან გაქცეულია მილიონზე მეტი ქართველი, მეტიც, საქართველოში ყველას ეცხოვრება, ქართველის გარდა.

პ) გაირყვნა და წახდა ახალგაზრდობა, რომელიც მმართველი რეჟიმის „დიდი მზრუნველობის" წყალობით ნარკომა-

ნიის ჭაობში ჩაეფლო, საქართველო კი ნარკოტიკების ტრანზიტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტრასა გახდა.

ე) თითქმის ყველა საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც იყო ქართული სულის საყრდენი, ანტიეროვნულ დაწესებულებად იქცა. სადაც ყველაფერი კეთდება ეროვნული ცნობიერების მოსასპობად: გაიხრწნა სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, უნივერსიტეტები. დამშეულ პროფესორ-მასწავლებელთა დიდ ნაწილს საესებით აღარ აწუხებს ქვეყნის ხვალინდელი დღე, მეტიც, ეს დაწესებულებები იქცა მექრთამეობისა და ანტიეროვნულობის კერებად, სადაც ცინიზმით საუბრობენ საქართველოსა და ქართულზე. უარესი მდგომარეობაა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში. მეცნიერთა მთავარი საზრუნავიც თავის გამოკვებაა, ოღონდ როგორმე შიმშილისგან სული არ გაძვრეთ და რას დაგიდევენ სამშობლოს მაღალ იდეალებს, ზნეობრივ სიწმინდესა და შეუვალობას, ჭეშმარიტ მეცნიერს რომ უნდა ამშვენებდეს. მათი უმრავლესობა, მცირედის გამოკლებით, ერთი კაცის სამსახურში ჩამდგარა და ტაშს უკრავს მავანთა ანტიეროვნულ საქმიანობას.

ამ მხრივ განსაკუთრებით თავი გამოიჩინა მწერალთა კავშირმა (ცხადია, მას არც სხეა შემოქმედებითი კავშირები ჩამორჩებიან). ადამიანის სულის ქურუმებს, რომელთაც გულთან უნდა მიეტანათ საქართველოს დაქცევის თუ არდაქცევის პროცესი, თითქოს ლიბრი გადაეფარათ თვალზე და ყური დაეხშოთ, თითქოს ვერაფერს ამჩნევენ და არაფერი ესმით, არც სურთ რეალობა დაინახონ და ხალხის კვნესა გაიგონ. მეტიც, მწერალთა უდიდესი ნაწილი საქართველოს დამანგრეველს ქებათა-ქებას უძღვნის. მართალია, ასეთი ქმედება არაა გასაკვირი „ნაკამო-რალ", ნაჩეკისტარ, ნაბუდიონარ მწერლისგან, მაგრამ მრავალი ნიჭიერი შემოქმედისგან (გვარებს შეგნებულად არ ვასახელებ) მართლაც გასაკვირია და გულდასაწყვეტი! მწერალთა ერთი ნაწილი კი გვერდით გამდგარა და, აქაოდა პოლიტიკაში არ ვერევიო, ჯიუტად დუმს. მაგრამ რა დროს დუმილია, როცა ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას?! და მხოლოდ მცირედნი ასრულებენ საკუთარ მოვალეობას ერისა და ქვეყნის წინაშე: თავისი სიცოცხლისა და კეთილდღეობის ფასად სიმართლეს ღაღადებენ. ქართული სულის მინავლებულ ნაკვერჩხალს აღვივებენ და ამით დიდი ილიას, ვაჟას და აკაკის გზას აგრძელებენ. ახლა

მათზე ბევრწილადაა დამოკიდებული, ნაკრები თუ არა საბოლოოდ საქართველოს სულის სანთელი.

ქართული ცნობიერების გაუკუღმართებასა და რეალობის გამრუდებულ ასახვას დიდად უწყობს ხელს საქართველოს ტელევიზია და პრესა, რომლებიც „დიდ დემოკრატს" საკუთარი თავის განდიდებისა და მხოლოდ სიცრუესა და უზნეობაზე დაფუძნებული იდეოლოგიის რუპორად უქცევია. თუ რა წვლილი მიუძღვის ქართულ პრესასა და ტელევიზიას ერის გადაგვარების საქმეში, ეს ცალკე თემაა და ახლა დაწერილებით ვერ შევჩერდები. მხოლოდ დაესძენ, ე. შევარდნაძემ შეძლო მისი ისეთი მოთვინიერება და გაშინაურება, რომ თითქმის ყველა გაზეთი (ზოგიერთის გამოკლებით. ტელევიზიის შესახებ საუბარიც არ ღირს) მის კულტს ნერგავს, აფეტიშებს მას და ისეთ აზრს ამკვიდრებს ქართველ ხალხში, რომ მხოლოდ ის არის მამა-მარჩენალი და ის რომ არა, საქართველო ვერ შეინარჩუნებდა იმ ვაინაჩრულ და საეალალო მდგომარეობასაც, სადამდეც, თურმე ნუ იტყვით, მიგვიყვანა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეამ. ამიტომ ყოველი მისი ანტიეროვნული ქმედება (თუნდაც სოხუმის ჩაბარება, ანდა ტერიტორიების გაცემა თუ დამოუკიდებლობის დაკარგვა) ინათლება, როგორც დიდი პოლიტიკოსის ბრძნული ნაბიჯი, ქვეყნის გადასარჩენად გადადგმული. მართლაც, საოცრად აღვირახსნილი პროპაგანდით ქართულმა პრესამ და მისი წყალობით მსოფლიო პროპაგანდის მანქანამ მოახერხეს დიქტატორისა და უზურპატორისაგან გამოეჩორკნათ „დიდი დემოკრატის" ხატი. მაგრამ არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა (მათე 10, 26). ხელოვნურად შეკოწიწებული ეს მითიც მალე გაქარწყლდება და წარმოჩინდება „კეთილისმყოფელის" ნამდვილი სახე.

რ) „დიდი დემოკრატის" ყველაზე „დიდი დამსახურება" ის არის, რომ მან შეძლო ქართველი ხალხის ფიზიკური და სულიერი გაჩანაგების ზღვარამდე მიყვანა. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ქართველი ხალხის ესოდენი ეკონომიკური გაპარტახება, მისი დაბეჩავება და, შეიძლება ითქვას, გამათხოვრება არ ყოფილა სოციალური განვითარების გარდუვალობით (ვიქვათ, სისტემის შეცვლით) და ამ სფეროში

დაშვებული უნებლიე შეცდომებით გაპირობებული, არამედ წინასწარ კარგად გააზრებული და უკვე ცნობილი, ნაცადი პეგმით განხორციელდა. როცა ადამიანს შიმშილით სიკვდილი ემუქრება, ის ვეღარ ფიქრობს სულიერი და მორალური ღირსებების შენარჩუნებაზე და მისი მთავარი საზრუნავი, ნებსით თუ უნებლიეთ, ლუკმა-პურის მოპოვებაა. შიმშილით დასნეულებულ კაცს ნაკლებად აღელვებს სამშობლოს დამოუკიდებლობა და თავისუფლება. მეტიც, მას აღარც ქართველობის შენარჩუნება და გადაუგვარებლობის პრობლემა აწუხებს. არსებული „ეკონომიკური პროგრამა", რომელმაც ჯერ თოფით და მერე „საბანკო სისტემით" რამდენიმეგზის უკანასკნელ კაპიკამდე გაძარცვა ქართველი ხალხი და ყოველგვარ სახსარს მოკლებული გამოუვალ მდგომარეობაში ჩააგდო, სწორედ ამ ეფექტის მისაღწევად იყო უპირველესად გამიზნული. შედეგმაც არ დააყოვნა:

დღეს მათ, რომლებსაც ფული მრუდე გზით იშოვნეს და ეკონომიკურად კარგად გრძნობენ თავს, ე. ი. შევარდნაძისტებს, სწორედ პირადი კეთილდღეობისთვის რომ გაწირეს საქართველო, სამშობლოს და პატრიოტიზმის ხსენებაც კი აღიზიანებთ და მოსვენებას უკარგავთ. ქართველობის უდიდეს ნაწილს, რომლისთვისაც სამშობლოს გრძნობა უცხო არ არის, ისე გაუხადეს საქმე, სულიერად და ეკონომიკურად ისე დააუძლურეს, რომ ერის გადარჩენისთვის ბრძოლის ჟინი და უნარი დაუკარგეს. ხოლო ის თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები, რომლებიც მიუხედავად დიდი შეჭირვებისა, მაინც განაგრძობენ ბრძოლას ეროვნული იდეალებისთვის, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ ქმნიან იმ ჯებირს, რომელზედაც წაიფორხილებს და დაიმსხვრევა ის ანტიხალხური და ანტიეროვნული პოლიტიკა, დღევანდელი ხელისუფლება რომ ატარებს.

„დემოკრატების" და მათი თავკაცის დამსახურების წერილად აღწერას ტომები დასჭირდება, ამიტომ უკვე თქმულს დავჯერდები. ერთი სიტყვით, დღეს ყველაფერი კეთდება იმისათვის, რათა საქართველო მხოლოდ გეოგრაფიულ არედ იქცეს, სადაც უსამშობლო, ეროვნულობადაკარგული მოქალაქეები იცხოვრებენ და შექმნიან მოქალაქეთა კავშირებს, რომლებიც თავისი ცხოველურ-ბიწიერი ზრახვებითა და ქმედებით ახალი მსოფლიოს არქიტექტორთა წისქვილზე დაასხამენ წყალს.

და აი, ამ ახალი მსიფლიოს „მშენებელს“ თურმე თავს დაესხნენ და მისი „მოკელა“ მოისურვეს საქართველოს „მოღალატე ძალებმა“ (?!).

როგორც მოსალოდნელი და განზრახულიც იყო, ამ აქტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. მამა-მარჩენალს ესროლესო, ატყდა, მაგრამ რა ატყდა, ზოგმა ლამის „ბიკინები“ შემოიძარცვა და ჟინდაუმცხრალი დედაკაცის აღშფოთებით, მაგრამ არტისტული პოზით, იწიელა: „საშინელი ტრაგიკული დღე გამოვიარეთ, ვიღაცა ყველას ერთად გვწირავდა. პრეზიდენტს გვიკლავდნენ, გესმით?! აღშფოთებული კი არა, გულგახეთქილი ვარ“ (გაზეთი „გაუხმაურებელი ფაქტები“, 1998, № 7). ზოგმა კიდეე დინჯად და მისთვის ჩვეული ყალბი პატრიოტული პათეტიკით წარმოთქვა: სწორედ იქ, სადაც 200 წლის წინათ საქართველოს დიდი ხელმწიფე, მეფე ერეკლე მეორე აღამაჰმად-ხანის ურდოს იგერიებდა – სწორედ იმ ადგილას-მეთქი, სადაც გასაოცარი ხმალთაკვეთებით დაეცნენ და დაერიენენ სამასი არაგველნი – დღეს ტყვიას უშენენ თვით ამჟამინდელი საქართველოს უზენაეს ხელისუფალს!“ (გაზეთი „სამსჯავრო“, 1998, № 1). ზოგმა სახელგანთქმულმა პოეტმა ამ ფაქტს სახელდახელო „ელეგიაც“ კი უძღვნა, რომელიც, თუ არ ვცდები, ასე ჟღერს:

„პრეზიდენტის კეთილებო,
ამ შეკითხვას ვსვამ ლექსით:
კრეტინებო, დებილებო,
თუ არ კვდება, რას ესვრით?!“

ახლა მე ვკითხულობ, ამ შედევრის შემქმნელს დიაგნოზი რომ დაუსვა, საჭიროა ვითომ ზურაბაშვილობა?! აღარ ვიცი, რა ვქნა: ე. შევარდნაძე „დავიტირო“, თუ მისთვის გულდათუთქული და გულგახეთქილი აქტრისა, მემატიანე და პოეტი დავამშვიდო? ხუმრობა იქით იყოს და მეც შემძრა ამ ფაქტმა. მართლაც რომ მოეკლათ, სად მიდიოდი მერე? – გამიელვა ფიქრმა. განა შეიძლება ისეთი უნიკალური პიროვნება, როგორიც შევარდნაძეა, ტყვიისთვის გაიმეტო კაცმა?! სიკვდილი ხომ მხოლოდ შვება იქნება მისთვის?! არა, ბატონებო, იგი, როგორც მოღალატე, უნდა სამაგალითოდ გაასამართლოს ქართველმა ხალხმა და მიუსაჯოს წამების ყველა ის ფორმა, რაც მისი წყალობით დამკვიდრდა საქართველოში.

პოლიტიკურ ბრძოლაში ტერორიზმი და, საერთოდ, იარაღის გამოყენება რომ დასაგმობია, ამაზე დღეს მგონი ორი აზრი არ არსებობს... პირადად ჩემთვისაც სავსებით მიუღებელია ძალისა და იარაღის გამოყენებით რაიმე პრობლემის მოგვარება, მაგრამ ყოველგვარ ქმედებას აქვს მიზანი და, ამის შესაბამისად, პოლიტიკური და მორალური ასპექტი. ასე რომ, როცა თუნდაც ტერაქტებზე ვმსჯელობთ, უნდა განვსაზღვროთ, თუ ვის წინააღმდეგაა იგი მიმართული, რატომ და რისთვის, მერე კი გამოვიტანოთ საბოლოო მსჯავრი!

მაშ ასე, თავს დაესხნენ შევარდნაძეს, ამჟამინდელი საქართველოს ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც, ჩემი დაკვირვებით, ტერორიზმის ქარიშხლის თუ არა, სიოს დამბერავი მაინც არის საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვაღიაროთ, რომ არც ვ. მუჟანაძის, არც ჯ. პატიაშვილის, არც გ. გუმბარიძის და არც ეროვნული ხელისუფლების დროს არ მომხდარა არც ერთი ტერორისტული აქტი, ხოლო შევარდნაძის მმართველობის ჟამს ადრეც (გავიხსენოთ თუნდაც პატარიძის საეჭვო დაღუპვა) და ახლაც დაუსრულებლად გრძელდება თავდასხმებისა და მკვლელობების სერიალი; რომელი ერთი ჩამოთვალოთ: ქურდაძე თუ ქუთათელაძე, სვანაძე თუ ვეფხვაძე, ყურაშვილი (ბუღა) თუ კეკელიძე, გულუა თუ მხეიძე, დათუაშვილი თუ ყარყარაშვილი, სანიკიძე თუ ჯავახაძე, ჭანტურია თუ ხაბეიშვილი და სხვ. ჩანს, შევარდნაძის მმართველობა ხელს უწყობს ტერორიზმის დამკვიდრებას. ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ყველა ეს ტერაქტი პირდაპირ თუ არა, მოიარებით მაინც მის სახელს უკავშირდება. მეტიც, ყოველივე ამის სულის შთამბერავი თავად ხდება თავდასხმის ობიექტი. უფრო მართებულად კი, თამაშდება ისეთი სცენები, როცა თითქოს მასაც ესხმიან თავს, სასიკვდილოდ იმეტებენ, მაგრამ ის ყოველთვის „ღვთის წყალობით“ (!) უვნებელი რჩება, ხოლო ამ ტერაქტებს მისთვის პოლიტიკურ სარბიელზე მომგებიანი ქულები მოაქვს. როგორც ირკვევა, შევარდნაძის პოლიტიკური ბრძოლისათვის ტერორიზმი უცხო ხილი არ არის. ასეთ ვითარებაში კი, როცა ტერორიზმი იფურჩქნება ქვეყანაში, არავინ – თავად მისი შემოქმედნიც კი, დაზღვეულნი არ არიან ხელყოფისაგან. ასე რომ, თუ შევარდნაძეზე მართლაც მოხდა თავდასხმა, ეს მხოლოდ და მხოლოდ მის მიერვე შექმნილი

ატმოსფერის და პოლიტიკური მორალის შედეგია! ხომ გაგიგონიათ ანდაზა: რაც მოგიყვა დავითაო, ყველა შენი თავითაო!

აქვე ისიც გავიხსენოთო, თუ რატომ, რა მიზეზით გახდა ქვეყნის „მამა-მარჩენალი" თავდასხმის ობიექტი. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ოდენ ბოროტებას და ძალმომრეობას თესავს. მისი სურვილით თუ მითითებით უამრავი პატიოსანი ქართველი დააპატიმრეს, აწამეს და სიკვდილითაც დასაჯეს; მისი წყალობით უამრავი ქართველი დედა ძაძით შეიმოსა, თანაც უნდა გვახსოვდეს, რომ ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად მან იარაღით აღჭურვა უამრავი არამზდა, ხოლო 1992 წელს, თბილისში დაბრუნებულმა, თეთმფრინვის ტრაპიდან შეუქო ე. წ. ინტელიგენციას იარაღის ჟღარუნი. მახვილის აღმართვა მოუწონა თავის „ერთგულ" მიმდევრებს. მას დააეწყდა სახარებისეული ჭეშმარიტება: ვინც მახვილს აიღებს, მახვილითვე დაიღუპება!

დაბოლოს, ისიც ვიკითხოთ, რატომ, რა მიზეზით სურდათ მისი განადგურება? რა ამოძრავებდა იმ ჯგუფს, რომელმაც ეს ნაბიჯი გადადგა? ისინი ხომ საკუთარ სიცოცხლეს აშკარად საფრთხეში იგდებდნენ?! ამ კითხვას ერთგვაროვანი პასუხი ვერ დაეძებნება. ერთი, ეს იყო დაქირავებული ჯგუფი, რომლის დაფინანსებაც ძალზე დიდ თანხას საჭიროებდა; მეორე, ესენი იყვნენ შევარდნაძის მიერ გაბოროტებული ადამიანები, შურისძიების გრძნობას აყოლილნი; მესამე, ესენი იყვნენ პატრიოტები, რომლებიც ამ რისკზე საქართველოს გადასარჩენად მიდიოდნენ. ნურც იმას გამოვრიცხავთ, რომ ისინი შეიძლება იყვნენ შურისძიებას აყოლილი პატრიოტები.

მთავარი მაინც ის არის, თუ ვინ დაგეგმა ეს აქცია და რა მიზნები ამოძრავებდა მას, და არა ის, ვინ განახორციელა. თუ ეს ჩაიდინეს საქართველოს მტრებმა, უნდა ვთქვათ დასაგმობი და აღმაშფოთებელია. როცა შენი ქვეყნის საშინაო პრობლემების მოსაგვარებლად იყენებ შენივე ქვეყნის მტრის ძალას, ეს სხვა არაფერია, თუ არა ერისა და ქვეყნის სამარცხვინო ღალატი! ასეთ საქციელს გამართლებას ვერა და ვერ დაუძებნით. თუმცა თავად შევარდნაძემ ეროვნული ძალების დასათრგუნად რუსეთის ჯარს უხმო, ბალტინს პირზე კოცნით და დიდი ზარზეიმით შეეგება. ამდენად, ამ ყოელად დასაგმობმა და მიუღებელმა ნაბიჯმა მხოლოდ შევარდნაძის პოლი-

ტიკური მრწამსით და მორალით შეიძლება ჰპოვოს გამართლება. თუმცა მან ისიც კარგად იცის, რომ ასეთი მოღალატური ქმედება ხალხის დიდ აღშფოთებას იწვევს.

ამიტომაც მან და მისმა იდეოლოგიურმა მანქანამ უმალვე შექმნეს მითი, რომ ეს ტერაქტი რუსეთის მოწყობილია, რომელმაც „პროვინციული ფაშისტები" – ზვიადისტები გამოიყენა. ამას ამტკიცებდნენ მთელი სერიოზულობით მანამდე, სანამ აკრძალულ ზონას არ გადააბიჯეს და რუსეთმა თითი არ დაუქნია თავის ყმადნაფიცს. რისთვისაა გამიზნული ასეთი ვერსიის გავრცელება? ე. შევარდნაძეს, როგორც ქვეყნის მმართველს, ჩადენილი ანტიეროვნული საქმეების მისაჩქმალად და მომავალშიც მათი წარმატებით განხორციელებისათვის უცილობლად ესაჭიროება იმ აზრის დანერგვა ხალხში, რომ ის თავდადებული პატრიოტია, რომელიც იღვწის ერის გადასარჩენად, მაგრამ საქართველოს გარეშე თუ შინაური მტრები ამის შესაძლებლობას არ აძლევენ. გავიხსენოთ თუნდაც აფხაზეთის ომი და ის კომიკური ეპიზოდი, როცა მას თითქოს საჰაერო ბრძოლა გამოუცხადა რუსეთის ორმა სამხედრო ვერტმფრენმა და იგი სასწაულებრივ გადარჩა. ამ ყოველად უნიჭოდ შეთითხნილი ეპიზოდის შესახებ დიდხანს მსჯელობდნენ და შევარდნაძე ლამის პოკრიშკინად გამოაცხადეს. საერთოდ, შექმნეს სახე თავდადებული მამულიშვილისა, რომელიც თავგანწირვით იბრძოდა სოხუმის გადასარჩენად სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. სინამდვილეში კი სწორედ მან განაიარაღა ქართველები და, როგორც ჩანს, უკვე აღთქმული ფიცით სოხუმი გადაულოცა აფსუებს, უფრო მართებულად, რუსებს. ხოლო ეს თავისი მოღალატური ნაბიჯი (სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ) ისევ და ისევ ეროვნულ ძალებს გადააბრალა!

ახლა მე ვკითხულობ: თუ რუსეთი გვებრძოდა აფხაზეთში (ამაში, ვგონებ, დღეს ეჭვი არავის ეპარება), თუ რუსეთის ვერტმფრენები დაესხნენ შევარდნაძეს და თუ იგი მართლაც საქართველოს ინტერესებისთვის იღვწოდა, მაშინ რატომღა გადაარჩინეს ის რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა, რატომ გამოაპარეს ეს გმირი ვაჟკაცი მელიასავით აფხაზეთიდან? მაგრამ რუსეთმა გადაარჩინა თავისი მორჩილი ნაცვალი, რომელმაც პირნათლად შეასრულა დავალება და აფხაზეთი ხონჩით მიართვა მას.

ახლაც ანალოგიურ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. რუსეთი თურმე შევარდნაძეს, როგორც „ანტირუსული“ პოლიტიკის გამტარებელს, უწყობს ტერაქტს. მაგრამ იგივე ოფიციალური რუსეთი, ვთქვათ, კულიკოვი, აფრთხილებს თარგამაძეს მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ! ჩვენ ისიც გვესმის, რომ რუსეთი ერთგვაროვანი არ არის და ნავთობსადენის ტრასამ შეიძლება მაფიოზური კლანების ინტერესთა შეჯახება გამოიწვიოს. ასეთ შემთხვევაში კი უნდა ვივარაუდოთ, რომ შევარდნაძე, როგორც ერთ-ერთი მაფიოზური დაჯგუფების აქტიური წევრი, ბუნებრივი მსხვერპლია მაფიოზთა დაუნდობელი ბრძოლისა, ხოლო რაც შეეხება ოფიციალურ რუსეთს, იგი მას არასოდეს გაწირავს და, აი, რატომ:

1. ის არის საწყისი და საყრდენი ყოველგვარი ანტიეროვნული ქმედებისა, რაც რუსეთის პოლიტიკური ინტერესების განხორციელების ბერკეტია;

2. ის არის უკვე ათასგზის გამოცდილი, ნაწრთობი, სხვათა ნების უსიტყვოდ აღმსრულებელი მსახური, რომელიც უყოყმანოდ განახორციელებს რუსეთის თუ სხვა გარეშე ძალის მზაკვრულ მითითებებს;

3. ის ვერასოდეს დაუპირისპირდება სხვის ინტერესებს საქართველოს გამო, რადგანაც მას არ გააჩნია სამშობლოს სიყვარულის გრძნობა;

4. შევარდნაძის ტრაგედია ის არის, რომ იგი ერთდროულად „ორი ბატონის მსახურია“. მას არ შეუძლია ერთს ზურგი შეაქციოს და მეორეს ემსახუროს. ის მაშინ გრძნობს თავს ლაღად, როცა რუსეთისა და დასავლეთის ინტერესები (ვთქვათ, ქართველთა გადაშენებასთან დაკავშირებით!) ემთხვევა ერთმანეთს. ხოლო როცა ეს ინტერესები (მაგალითად, ნავთობსადენის ტრასის გაყვანა) ერთგვაროვად უპირისპირდება ურთიერთს, მაშინ ტყავიდან ძერება, ბეწვის ხიდზე გადის, რათა არც ერთ ბატონს აწყენინოს და არც მეორეს. „ორი ბატონის“ მსახურება არის შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის ღერძი, ამიტომაც თქმა იმისა, რომ მან ზურგი შეაქცია რუსეთს და დასავლეთისკენ იბრუნა პირი, რის გამოც ის გაწირა რუსეთმა, სხვა რომ აღარაფერი ვთქვა, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს;

5. შევარდნაძეს ჯერჯერობით ბოლომდე არ შეესრულებია

თავისი საიდუმლო მისია. ვიდრე ბოლომდე არ მიიყვანს საქმეს, მას მათგან საფრთხე არ ემუქრება. მერე კი, რა თქმა უნდა, ისე მოისპრიან, როგორც თავად ისვრის ხოლმე უკვე გამოყენებულ „ერთგულებს“.

6. თუკი რუსეთი მოინდომებს შევარდნაძის მოშორებას, მას ამისათვის საკმაო ძალა გააჩნია საქართველოში (ისევ და ისევ შევარდნაძის წყალობით) და ადვილად აისრულებს წადილს სხვადასხვა გზით. მით უმეტეს, იგი ამის განსახორციელებლად არასოდეს ენდობა ზვიადელებს – ე. ი. ეროვნულ ძალას. ასე რომ, ოფიციალური რუსეთის და საქართველოს ეროვნული ძალების მალული ალიანსი ამ ტერაქტის დაგეგმვა-აღსრულებაში აბსურდი და უაზრობაა. ამ მითის გასაბათილებლად (შეიძლება ამიტომაც შეთითხნეს იგი შევარდნაძისტებმა) რუსეთმა საჭიროდ სცნო განეცხადებინა, რომ მას არა აქვს არც სურვილი და არც საფუძველი ზვიადელებს მფარველობდეს. მერე კი ამ განცხადებას მოაყოლა ანტიდემოკრატიული, მისთვის ჩვეული ნაბიჯი: დაარბიეს საქართველოს კანონიერი ხელისუფლების პრესცენტრი, დააპატიმრეს ამ ხელისუფლების წარმომადგენლები და მიართვეს შევარდნაძეს...

ასეა თუ ისე, დღეს „გაცხადდა“, რომ ეს არ ჩაუდენია გარეშე „მტერს“, რაც თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ აქ საუბარი ფულსა და დაქირავებულ ძალაზე გამორიცხულია. მაშ, რა გამოდის? უნდა ვივარაუდოთ, თუ ასეთი თავდასხმა მართლაც განხორციელდა და არ იყო მორიგი „შოუ“, შესაძლებელია იგი ჩაიდინეს პატრიოტებმა, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ შევარდნაძის სიკვდილით იხსნიდნენ საქართველოს! რაღა დაგიმალოთ და პირადად მეც ასე მეგონა, რომ შევარდნაძის მოღვაწეობის შეწყვეტით და პოლიტიკური სიკვდილით (პოლიტიკური სიკვდილი-მეთქი, თორემ მისი ცოდვილი სული ვის რად უნდა?!) დაიწყებოდა საქართველოს გადარჩენა... და თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ ის ხალხი, ვინც ეს ჩაიდინა და ვისაც ამოძრავებდა ერთადერთი მიზანი – საქართველოს გადარჩენა, ტერორისტებად კი არ უნდა მოვნათლოთ, არამედ პატრიოტებად, რომლებმაც სამშობლოს საკეთილდღეოდ თავიანთი სიცოცხლე სამსხვერპლოზე მიიტანეს! აქვე იმასაც დავსძენ, რომ, თუ ადამიანს სამშობლოს

მსახურება დაუსახავს მიზნად და არა საკუთარი თავის კეთილდღეობა,. იგი უკვე ხნეობრივად ამაღლებულია და სამშობლოს გადასარჩენად გადადგმული მისი ყოველი ნაბიჯი, თუნდაც ამას ადამიანის სიცოცხლე შეეწიროს, კპოვებს გარკვეული თვალსაზრისით, თუნდაც პატრიოტულ-მორალურით, გამართლებას. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში, სადაც შევარდნაძისეული მორალი და პოლიტიკა ბატონობს, ყველაფერი თავდაყირა დგას: პატიოსანი უპატიოსნოდ ინათლება, მართალი – ცრუდ, პატრიოტი – გამცემად, გმირი – მტრად, დიქტატორი კი – დემოკრატად! ამიტომაც არის, რომ ქვეყნისთვის მრავალი თავდადებული ქართველი ერის მტრად და მოღალატედ არის გამოცხადებული, ნამდვილი ტერორისტები და კაცის მკვლელები კი – ღირსეულ მამულიშვილებად!

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ავადმოსაგონარ ტერაქტს. ღმერთო, შენ შემინდე და, სულ ეჭვი მღრღნის, ეს ტერაქტიც მისი ხელშეწყობით ხომ არ განხორციელდა?! შევარდნაძემ თავისი მოღვაწეობის მანძილზე უკვე იმდენი სპექტაკლი დაგვიდგა უნიჭოდ, რომ „დედა ენა“-ში მოხმობილი მოთხრობის – „ცრუ“-ს მწყემს ბიჭუნას გვაგონებს, თანასოფლელებს რომ ატყუებდა, მგელი დამეცა თავსო. ხოლო როცა მართლა საფრთხე დაუდგა, მრავალჯერ მოტყუებულმა ხალხმა ყური აღარ ათხოვა და არ დაუჯერა... მეც აღარ მჯერა მისი და ეჭვის თვალით ვუყურებ იმ „აფეთქებებს“ თუ „თავდასხმებს“, მის წინააღმდეგ რომ არის მიმართული. მართლაც, დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმის შესამჩნევად, რომ შევარდნაძე „ბატალური სცენების“ დადგმის დიდოსტატია. მართალია, ეს პროვოკაციები – „თავდასხმები“, „გადატრიალებები“ თუ „ამბოხებები“ სხვადასხვა ხასიათისა და მასშტაბის იყო, თეთრზე შავით იყო ნაბლანდი და ადვილად ამოსაცნობი მახვილი თვალისათვის, მაგრამ მაინც აღწევდნენ გარკვეულ მიზანს და „მამა-მარჩენლის“ პოლიტიკურ წისქვილზე წყალს ასხამდნენ. აბა, გავიხსენოთ, „ტელევიზიის აღებას“ მოჰყვა ზვიადელთა დაპატიმრება, ფიზიკური განადგურება და, რაც მთავარია, სოჭის ხელშეკრულების ხელმოწერა; „გადადგომის“ ინსცენირებას – გაპარპაშებული მხედრიონის ერთგვარი მოთოკვა და სოხუმის დაკარგვა, ესენგეში შესვლა და სამასი ათასი ქართველის უსახლკაროდ დატოვება; იმელის შენობასთან „აფეთქებას“ კი – საარჩევნო

კამპანიის დაწყება და ამ არჩევნებში ანგარიშგასაწევი ძალების: მხედრიონის, უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის და მის მომხრეთა თამაშიდან გამორიცხვა, არჩევნების საოცარი გაყალბება, რაც სხვა შემთხვევაში გაჭირდებოდა. და ამ გზით „გამარჯვება“ და მისთ. და მისთ.

ერთი სიტყვით, სავსებით არ არის გამორიცხული, რომ ეს ტერაქტიც შევარდნაძის „ხელშეწყობით“ განხორციელდა. ამ თვალსაზრისის სასარგებლოდ მეტყველებს რამდენიმე გარემოება:

ჯერ ერთი, შევარდნაძემ აშკარად იცოდა მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ, ამიტომაც საფიქრებელია, რომ იგი არ იჯდა იმ მანქანაში, რითაც ჩვეულებრივ მგზავრობს, წინააღმდეგ შემთხვევაში ასე უენებლად, ერთი ნაკაწრიც რომ არ ჰქონდა, ვერ გადარჩებოდა.

მეორეც, ძალზე საეჭვოა, რომ ოცამდე შეიარაღებული კაცი ასე ლაღად და თავისუფლად მოქმედებდა თბილისის ლამის ცენტრში, მით უმეტეს, რომ სათანადო ორგანოები გაფრთხილებულნი იყვნენ ამ თავდასხმის შესახებ.

მესამეც, ჯერ არ გაგონილა, რომ ტერორისტი ოპერაციის შესრულების დროს ჯიბით პასპორტს და ლამის საბინაო წიგნაკს ატარებდეს.

მეოთხე, არც ის გაგონილა, ტერორისტებს ვიდეოთი გადაეღოთ თავიანთი ნამოქმედარი, რათა მერე ხელისუფლებისთვის ჩაეგდოთ ხელთ.

მეხუთე, მთელმა საქართველომ იცის, რომ შევარდნაძე ჯავშნიანი „მერსედესით“ დაბრძანდება და ასეთი აქტის განმახორციელებელთ არ ეცოდინებოდათ განა?!

უამრავი ასეთი ეჭვი აღეძრებათ ჭკუათმყოფელ ადამიანებს, როცა ზემოხსენებული „თავდასხმის“ დეტალებს გაეცნობიან. ასეთი ეჭვი, არც თუ უსაფუძვლოდ, აღეძრა მსოფლიო პოლიტიკური საზოგადოების გარკვეულ ნაწილსაც...

საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიებანი ამ ეჭვების გასაფანტავად. უპირველეს ყოვლისა, აღმოაჩინეს „დამნაშავეები“, რომლებიც, რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიას მომხრე პატრიოტები იყვნენ. ბუნებრივია, დაკავებულთ წამების ჯერაც გაუგონარი მეთოდებით გამოძალავდნენ „აღიარებას“. მაგრამ „ბორიტმოქმედთა“ აღმოჩენა, როცა საყოველთაოდ ცნობილია,

თუ როგორ ხდება დღეს საქართველოში „დამნაშავეთა დადგენა", საკმარისი არ იყო.

და აი, ხდება მეორე „ტერაქტი", რომელიც, ალბათ, გამიზნული უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ როგორმე ეხსნათ ე. წ. სამართალდამცველთა ბრჭყალებიდან უდანაშაულო ადამიანები, რომელთაც თავდასხმა ბრალდებოდათ.

ახლა დანამდვილებით ვერ გეტყვით, სტიქიური იყო თუ დაგეგმილი გაეროს წარმომადგენელთა მძევლებად აყვანა. ყოველ შემთხვევაში, იგი ახსნილ იქნა როგორც პირველი ტერაქტის ბუნებრივი გაგრძელება. ვერც იმას მოგახსენებთ დარწმუნებით, ამ ჩანაფიქრის სულისჩამდგმელი იყო თუ არა თავად შევარდნაძე. მაგრამ დღეს უდავოა, რომ ამ აქციის მონაწილეთა შორის მრავალად იყვნენ მოლალატენი, ე. ი. სპეცსამსახურების მალული მსტოვრები და მისი განვითარებაც შევარდნაძისთვის სასურველ კალაპოტში წარიმართა.

ჯერ ერთი, გაეროს წარმომადგენელთა მძევლებად აყვანის ფაქტმა მსოფლიო საზოგადოების თვალში გაფანტა ის ეჭვები, რომლებიც აღიძრა შევარდნაძეზე თავდასხმასთან დაკავშირებით.

მეორეც, მავანთათვის გაცხადდა, რომ ამ ტერაქტის ჩამდენნი არიან ეროვნული ძალები, ანუ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მიმდევრები. ყოველ შემთხვევაში, ამაზე მიუთითებდა მათი ზოგიერთი მოთხოვნა. იმის ნაცვლად, რომ მათ მხოლოდ ერთი მოთხოვნა წამოეყენებინათ: უდანაშაულო ადამიანების (ანუ თავდასხმაში ეჭვმიტანილების) უპირობო გათავისუფლება, მათ მოითხოვეს აგრეთვე კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა და შევარდნაძის შეხვედრა, რაც მხოლოდ ამ უკანასკნელს აძლევდა ხელს და აი, რატომ: ამ მოთხოვნით, ნებსით თუ უნებლიეთ, ორივე ტერაქტი დაუკავშირდა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ მომხრეებს, რომლებსაც მსოფლიოს პოლიტიკურ წრეებში, შევარდნაძის პროპაგანდის მეშვეობით, ტერორისტობის იარლიყი ჰქონდათ ისედაც მიწებებული. ყოველ შემთხვევაში, ასეთი მოთხოვნა ამ თვალსაზრისის მტკიცების საშუალებას აძლევდა დღევანდელი რეჟიმის მესვეურთ. შედეგმაც არ დააყოვნა: დაარბიეს მოსკოვში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელთა ადგილსამყოფელი, დააპატიმრეს ყოვ-

ლად უდანაშაულო კაცი ამ საქმეში, გურამ აბსანძე. მაგრამ ამით როდი ამოიწურა ის საეალალო შედეგები, რომლებიც ამ აქციამ გამოიღო... ამ აქციის ჩამდენთ, რომლებმაც მსოფლიოში სახელი გაითქვეს როგორც უსეეულო ტერორისტებმა, მძევლებს რომ აქეიფებდნენ და ღვინის ყანწებით „აჯარიმებდნენ", უნდა სცოდნოდათ, რომ შევარდნაძესთან არავითარი მოლაპარაკება არ შეიძლება, რადგანაც მისთვის არ არსებობს პირობის თუ ფიცის გაუტეხელობის ზნეობრივი პრინციპი. ასეც მოხდა. მან მსოფლიოს დაანახა, რომ დაპირებისამებრ გაუშვა თავდამსხმელები, მერე კი პოლიციელთ მუხანათურად მოაკვლევინა ამ ჯგუფის ხელმძღვანელი, შეუვალი გოჩა ესებუა (შვილმკვდარ დედას უკანასკნელი ნუგეში, მეორე ეაჟიც მოუკლეს!), ხოლო მის დაკრძალვას რაც მოჰყვა, ეს უკვე კაგებეს „ფსიქოლოგიითაც" ძნელი ასახსნელია და უფრო მუშნი ზარანდიას ოხრანკისეულ მზაკვრობას გვაგონებს (საფიქრალია, მავანი ხანდაზმულობისას გაეცნო შალვა ამირეჯიბის შემოქმედებას!). გოჩა ესებუას დაკრძალვისას პროცესიას თავს დაესხნენ და მოკლეს ხუთი ახალგაზრდა, ათზე მეტი კი დაჭრეს. ამ შემაძრწუნებელ ფაქტს, რომელსაც დედამიწის ზურგზე ანალოგს ვერ დაუძებნით, მსოფლიოს საინფორმაციო საშუალებათაგან თითქმის ყველა გამოეხმაურა, თუმცაღა მათ, როგორც მოსალოდნელი იყო, შეფასებისაგან თავი შეიკავეს, მაგრამ საქართველოს ოფიციალურმა საინფორმაციო საშუალებებმა მათთვის ჩვეული უტიფრობით დაიწყეს მტკიცება იმისა, რომ ეს ყოვლად გაუმართლებელი საძაგლობაც ჩაიდინა ზვიადისტების შეურიგებელმა ფრთამ, რომლებმაც ვითომც არ აპატიეს მოღალატე თანამებრძოლებს გოჩა ესებუას სიკვდილი და შური იძიეს. ასეთი მზაკვრობა უკვე ადამიანის შესაძლებლობას აღემატება და ის მხოლოდ სატანას გონში შეიძლება დაიბადოს! როგორც ირკვევა, ყოველივე ეს სისაძაგლე – გოჩა ესებუას სიკვდილით დაწყებული (ამას დაჟინებით ამტკიცებდნენ – გოჩა ესებუა ზვიადისტებმა მოკლესო!) და პროცესიის დახვრეტით დამთავრებული – ისევ ეროვნულ ძალებს ბრალდება და ამგვარად, „ბოროტმოქმედთა" ძალმომრეობის ფონზე იკვეთება ერისთვის „თავდადებული", „დემოკრატი", მშობლიურ ქვეყანასა და თავის ხალხზე „დაფიქრებული" „ბრძენი მოხუცის" სახე, ვინც ცდილობს ერის გაერთია-

ნებას, ზვიადელთა შემორიგებას, მაგრამ „პროვინციელი ფაშისტები“ ამის საშუალებას არა და არ აძლევენ.

ამ ტერაქტის ერთადერთი რეზონანსი, რამაც შევარდნაძისთვის, ერთი შეხედვით, უარყოფითი შედეგი გამოიღო, ის იყო, რომ პოლიტიკურ წრეებში შეირყა დამკვიდრებული აზრი საქართველოში სტაბილური მდგომარეობის შესახებ. გაირკვა, რომ ქვეყანაში არც ისეთი იდეალური ვითარებაა, როგორც ამას წარმოგვიჩენენ. მაგრამ რაც უნდა მკრეხელობად ჩამომართვან, მე მაინც ვფიქრობ, რომ ამგვარი აზრის გავრცელებაც ისევ და ისევ შევარდნაძეს აძლევდა ხელს. კი მაგრამ, შევარდნაძეს, რომელიც „თავგამოდებით იბრძვის“, რათა ნავთობსადენმა საქართველოში გაიაროს და ამით საქართველოს დანგრეული ეკონომიკა ერთგვარად აღადგინოს, რატომ აძლევდა ხელს ამ აზრის დამკვიდრებაო? – იკითხავს დაბნეული მკითხველი.

აი, ძაღლის თავიც აქ მარხია. რუსეთისთვის სავსებით მიუღებელია ნავთობსადენის საქართველოზე გავლა, რაც მას ართმევს როგორც დასავლეთზე, ასევე კავკასიაზე პოლიტიკურ-ეკონომიკური ზემოქმედების ერთ-ერთ ბერკეტს. ბუნებრივია, ის ამის წინააღმდეგია და ამის შესახებ ფიქრსაც უკრძალავს თავის ნაცვალს. მაგრამ როგორ მოიქცეს „დამოუკიდებელი“ ქვეყნის მმართველი შევარდნაძე? როგორ იმართლოს თავი ქართველი ხალხის, განსაკუთრებით კი დასავლეთის წინაშე, რომელსაც ამ შემთხვევაში რუსეთის პრეტენზიები აღიზიანებს?!

და აი, „თავს ესხმიან“ შევარდნაძეს, მერე მძევლად აჰყავთ გაეროს წევრები, მერე კი ხდება მკელელობათა სერია, რომელიც, ალბათ, მომავალშიც გაგრძელდება. ყოველივე ამის ჩამდენნი კი არიან ზვიადელები, რომლებიც ქვეყანაში შევარდნაძის მიერ „მარგალიტივით აწყობილ“ წესრიგს ანგრევენ და ქმნიან დესტაბილიზაციას. ასეთ ვითარებაში, რა თქმა უნდა, ნავთობსადენის გაყვანაზე ყოველგვარი საუბარი ზედმეტია (აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს მაფიოზურ კლანთა ინტერესები, რაც შევარდნაძისთვის სისხლხორცეულია). ჰოდა, რა ქნას ქვეყნის სიკეთისთვის ხელებდაკაპიწებულმა, მუხლჩაუხრელად დამაშვრალმა მამა-მარჩენალმა? და მეორდება და კვლავაც გამეორდება სავალალო დასკვნები: მას კი სურდა აფხა-

ზეთის გადარჩენა, მაგრამ ზვიადისტებმა უგანეს და ბრძოლა წააგებინეს! მას კი სურდა ქვეყნის დამოუკიდებლობა, მაგრამ ზვიადისტებმა აიძულეს ესენგეში შესულიყო! მას კი სურდა ნავთობსადენის გაყვანა, მაგრამ ისევ და ისევ ზვიადისტებმა შეუშალეს ხელი! ასე და ამგვარად, თუკი საქართველოში რაიმე ხდება ერისა და ქვეყნის საწინააღმდეგო, ისევ და ისევ ეროვნული ძალების წყალობით!

ცხადია, მსგავსი პროვოკაციული აზრების დამკვიდრებით შევარდნაძეს სურს, ერთი მხრივ, სახელი გაუტეხოს და დაადანაშაულოს ის ძალა, რომელიც ჭეშმარიტად იბრძვის ერის გადასარჩენად და ამით საბოლოოდ მოსპოს ეროვნული სულის შემართება. მეორე მხრივ კი, საკუთარი გამყიდველობა და ღალატი ერის წინაშე შებუროს, მიჩქმალოს და დაამკვიდროს აზრი, რომ ის და მისი ავტორიტეტი თუღა გადაარჩენს ზვიადისტებისაგან წამხდარ ქვეყანას. ეს სსრკ-ის კაგებეში დამუშავებული, ცნობილი მეთოდებია და ბოლოს ყოველივე გაირკვევა. მაგრამ საიდუმლო, როგორც წესი, შეიტყობა მხოლოდ მაშინ, როცა ურემი გადაბრუნდება და ხალხს მოიყოლიებს. ამიტომაც შევარდნაძე უმალვე იყენებს შედეგს და სავსებით არ აინტერესებს, რას იტყვიან ხვალ და როგორ შეაფასებენ უკვე ჩადენილ მზაკვრობას.

აქვე ისიც მინდა დავსძინო, რომ მე, მშვიდად მოკალათებულს, არ მაქვს სურვილი შეურაცხყოფა მივაყენო იმ ადამიანებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის ფასად იღვწიან ქვეყნისა და ერის გადასარჩენად, მაგრამ ძალიან ხშირად, ჩვენდა უნებურად, აღმოვჩნდებით ხოლმე წინასწარ დაგებულ ისეთ ხაფანგში, რომ მტრისკენ შემართულ მახვილს მოყვასს ვაძგერებთ და მხოლოდ მოგვიანებითღა შევიცნობთ ჩადენილ „ცოდვას“.

გავიხსენოთ თუნდაც ე. წ. ტელევიზიის აღება და „გადატრიალების“ მცდელობა. განა ამ აქციაში მრავალი ღირსეული მამულიშვილი არ მონაწილეობდა, რომელთაც ეწადათ კანონიერი ხელისუფლების აღდგენა?! მაგრამ ეს აქცია, როგორც ჩანს, დიდი ხანია მზადდებოდა, თავიდანვე ინსპირირებული იყო შევარდნაძისა და მისი მომხრეების მიერ, რათა საბოლოოდ გასწორებოდნენ ეროვნულ ძალებს. მართალია, შევარდნაძემ ჩანაფიქრი სრულად ვერ განახორციელა, მაგრამ სასურ-

ველ ეფექტს მიაღწია. ამიტომაც ცქმუტავდა და ვერ მალავდა სიხარულს. იგი ფიქრობდა, რომ ამ პროვოკაციით ეროვნულ ძალებს საბოლოოდ მოუგრიხა კისერი.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ხშირად თავად კი არ აწყობდნენ პროვოკაციას, არამედ უკვე ჩაფიქრებულ და წამოწყებულ აქციას საკუთარი მსტოვრების წყალობით სასურველ კალაპოტში აქცევდნენ და მათთვის სასარგებლოდ წარმართავდნენ ისე, რომ არავინ უწყოდა ამის შესახებ. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ადამიანმა თავის თავს მოუწყოს თავდასხმა (თუმცა შევარდნაძისგან ყველაფერია მოსალოდნელი), მაგრამ ისიც აშკარაა, რომ შევარდნაძემ უცილობლად იცოდა ორივე თავდასხმის შესახებ, მაგრამ კი არ აღკვეთა ისინი, არამედ მშვიდად ელოდა „სიკვდილს". ბუნებრივია, იბადება კითხვა, რატომ? იმიტომ, რომ ამ აქციების მონაწილეთა შორის იყვნენ მისი მსტოვრებიც, რომლებიც ყოველგვარ ინფორმაციას აწვდიდნენ მას. ამასთანავე, იგი დარწმუნებული იყო, რომ უვნებლად გადარჩებოდა. ამიტომაც „ტერაქტების" აღსრულებას, რომელთაც მისთვის პოლიტიკურ სარბიელზე სხვადასხვა დადებითი შედეგი უნდა მოეტანა, ხელს არ უშლიდა. პირიქით, გარკვეული თვალსაზრისით ხელს უწყობდა კიდეც და, თუ ეფექტის გასაძლიერებლად ამ აქციებს რამდენიმე კაცის სიცოცხლე შეეწირებოდა, სავსებით არ ანაღვლებდა.

როგორც უკვე დაიწერა, ანდროპოვის კაბინეტში შეიქმნა გეგმა, რომელიც სოციალისტური წყობის დანგრევას და „ველური კაპიტალიზმის" დანერგვას ითვალისწინებდა, რათა დამშეულ და გაჩანაგებულ ხალხს ნოსტალგია გასჩენოდა კომუნიზმისა და მოეხდინა სოციალიზმის რესტავრაცია. ასე რომ, მზაკვრობის ამ ლაბირინთში, რომლის შესაქმნელადაც მთელი ინსტიტუტები მუშაობდნენ და მუშაობენ დღესაც, გზის გარკვევა ძალზე ძნელია და ხანდახან არიადნეს ძაფიც კი არ შველის. ერთი სიტყვით, ჩვენ თვალწინ იდგმება სპექტაკლები, რომლებსაც უჩინარი რეჟისორი ჰყავს და თავის ნებითა და სურვილით წარმართავს მას. ამ სპექტაკლებში მონაწილეთა ერთმა ნაწილმა ყოველივე კარგად უწყის და მშვენიერად ასრულებს მოღალატის როლს, ხოლო მეორეს ჰგონია, რომ რეალურ ცხოვრებაში არის ჩაბმული, თავგამოდებით იღვწის

და იბრძვის ერის საკეთილდღეოდ და სამსხვერპლოზეც მიაქვს თავი. მაგრამ მის ნამდვილ თავგანწირვას, თუნდაც სიკვდილს, როგორც კინოხელოვნებაში ხდება ხოლმე, რეჟისორი მხოლოდ თავისი სცენური ეფექტის მისაღწევად იყენებს. ასეთია ცხოვრების მწარე სინამდვილე და ამას ვერსად გაექცევით.

ასეა თუ ისე, უკვე ნათელია, რაც მოჰყვება ამ „ტრაქტს". ერთი, აღსრულდება რუსეთის ნება (ასევე ერთ-ერთი მაფიოზური კლანის წადილი) და ნავთობსადენი აღარ გაიელის საქართველოში. ყოველ შემთხვევაში, კარგა ხნით დამუხრუჭდება ეს საქმე.

მეორე, სასიკვდილოდ გაწირავენ ან დააპატიმრებენ უამრავ უბრალო ადამიანს, ღირსეულ მამულიშვილს და ტერორიზმის ბრალდებით უკრავენ თავს ციხეში, სადაც წამებით სულს ამოხდიან. ამით კიდევ უფრო შესუსტდება ეროვნული ძალების წინააღმდეგობა.

მესამე, უფრო ძლიერ გაითიშებიან და ურთიერთს დაუპირისპირდებიან ეროვნული იდეალებისათვის მებრძოლი ადამიანები.

მეოთხე, უფრო ამაღლდება „დემოკრატიის მამამთავრის" ჰუმანიზმით აღსავსე პიროვნება და მიწასთან გაასწორებენ „ერის მოღალატე, ტერორისტ" ზვიადელებს, რომლებიც არ აძლევენ საშუალებას ამ „ბრძენ პოლიტიკოსს" ქვეყანა გამოიყვანოს ეკონომიკური ჩიხიდან.

მეხუთე, კიდევ ერთხელ ააგორებენ იმ აზრს, რომ შევარდნაძის გარეშე საქართველო დაიღუპებოდა. ამით კი ჯიუტად ამკვიდრებენ რწმენას, რომ დღეს შევარდნაძის შემცვლელი არ მოიპოვება.

მეექვსე, არ არის გამორიცხული, რომ ერის „მამა-მარჩენალმა" უფრო რადიკალური ნაბიჯი გადადგას და „ესენგეს" ნაცვლად „სამთა კავშირში" ამოაყოფინოს თავი საქართველოს.

ერთი სიტყვით, დატრიალდება იდეოლოგიური მანქანა და ყველაფერი გაკეთდება, რათა მაქსიმალურად განმტკიცდეს შევარდნაძის რეჟიმი, რაც, ფაქტობრივად, საქართველოს საბოლოო დაცემასა და განადგურებას ნიშნავს...

სიტყვა ძალიან გამიგრძელდა ქვეყნის მართვის შევარდნა-

ძისეულ ხელწერასა და მეთოდებზე. ჩემი ვარაუდების უტყუარობას ვერ დავიჩემებ, თუმცაღა მაინც ვფიქრობ, რომ ისინი სარწმუნო და ანგარიშგასაწევია, მაგრამ ერთი რამის უეჭველად მწამს: შევარდნაძე უკვდავი არ არის და ის ადრე თუ გვიან ან თავისსავე დაგებულ ხაფანგში გაებმება, ან უფალი ინებებს სამუდამო სავანეში მის წაბრძანებას. და აი, ეს „უბედურება" რომ დატრიალდეს, არიან კი მზად ეროვნული ძალები სახელმწიფოს სათავეში მისასვლელად? სამწუხაროდ, უნდა ვაღიარო, რომ – არა! ის, რაც დღეს ეროვნულ მოძრაობაში სუფევს – ურთიერთდაპირისპირება, ქიშპი, ლანძღვა, გაუტანლობა, სასიკეთოს არაფერს გვიქადის. მაგრამ ეს სხვა მსჯელობის თემაა და ამაზე, ალბათ, სხვა დროს მოგახსენებთ.

გოტინგენი
1998 წელი

გადავარჩინოთ ქართული ცნობიერება, ქართული გენი, საქართველო!

ამას წინათ საქართველოს ისევ გადაუარა ენებათაღელვის ტალღამ... მოულოდნელად ქარიშხალი რომ დაატყდება თავს კუნძულს, მილეწ-მოლეწავს იქაურობას და მერე საშიშად გაყუჩდება, აი, ასე ატყდა აზრთა ჭიდილი, შეხლა-შემოხლა, შეიძრა ქართველი საზოგადოება, მერე კი საეჭვოდ და ავისმომასწავებლად გაილურსა.

ამჯერად არც ომი გაუსაღებიათ, არც ტელევიზიის შენობა აუღიათ, არც ანძა აუფეთქებიათ, არც ამბოხი წამოუწყიათ, არც დივერსიული აქტი ჩაუდენიათ და, რაც მთავარია, არც შეეარდნაძის მოკელა და აფეთქება უცდიათ.

მაშ, რამ ააფორიაქა „ქართული ელიტა", ასე მწარედ რამ ააკაკანა? ძილქუშისკენ მიდრეკილი ქართველი საზოგადოება ასე რამ ააღელვა? მრავალჭირგადატანილი და დღეს სასიკვდილოდ განწირული ქართველი ხალხი ასე რამ აღაშფოთა?

ერთი შეხედვით უბრალო „ბიუროკრატიულ-სამართლებრივმა" საკითხმა – დაბადების და პირადობის მოწმობებიდან და პასპორტიდან ეროვნების რეკვიზიტის და მამის სახელის ამოღებამ, რაც საქართველოს „სახელოვანმა" პარლამენტმა დაადგინა.

თითქოს ჩიტი არ ღირს ბრდღვნად... რა მნიშვნელობა აქვს, საბუთებში გეწერება თუ არა ეროვნება, მთავარია ცნობიერად ქართველი იყო! და მაშინ, როცა საქართველოს ყოფნა-არყოფნის და ქართველთა გადაგვარების საკითხი მთელი სიმწვავით დგას, იქნებ სჯობდეს, უფრო სერიოზული პრობლემების გადასაჭრელად ვიმტვრიოთ თავი?! ასე ფიქრობს მრავალი, გნებავთ, ერის ბედის გამო მოწუხარი ქართველი.

მაგრამ საქმეც ის გახლავთ, რომ ეს სწორედ ქართული ცნობიერების მოსაშთობად გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველი ხალხის და საქართველოს ბედთან, მის დღევანდელ სავალალო მდგომარეობასთან და ერთ-ერთი საბოლოო რგოლია იმ

უბედურებათა ჯაჭვისა. ასეთი მოხდომებით რომ შემოარტყა ერს დღევანდელმა ანტიეროვნულმა ხელისუფლებამ.

ამიტომაც ვფიქრობ, რომ ეს არ გახლავთ შემთხვევით ამოტივტივებული საკითხი, მას აქვს კოსმოპოლიტურ აზროვნებაში ღრმად გამჯდარი ფესვები და კიდევ უფრო შორს მიმავალი სამომავლო ზრახვანი. ასე რომ, მასზე გვმართებს დაკვირვება თუნდაც იმიტომ, რომ გავარკვიოთ, რა სურთ და რა ამოძრავებთ იმ პოლიტიკანებს, რომლებიც „ევროპული სტანდარტების" მიხედვით სახელმწიფოს აღმშენებლობას იბრალებენ, სინამდვილეში კი ანგრევენ და აჩანაგებენ ქართულ სახელმწიფოს.

სამწუხაროდ, საქართველოს, **ქართველი ერის განადგურების მიზეზ-მიზანი არ გახლავთ ლოკალური ხასიათისა და მხოლოდ მისი დღევანდელი ანტიეროვნული ხელისუფლების სურვილით და მზაკვრობით ნასაზრდოები. პრობლემა გაცილებით უფრო რთულია და საყოველთაო, შეიძლება ითქვას, მსოფლიო მნიშვნელობისაა. იგი წარმოშობილია ორი განსხვავებული მსოფლჭვრეტის – კოსმოპოლიტიზმის და პატრიოტიზმის შეპირისპირება-შეჯახებისგან და საფუძვლად უდევს ორი, ერთი შეხედვით, ურთიერთსაპირისპირო გრძნობა – სამშობლოს სიყვარული და მთელი მსოფლიოს სიყვარულის პრეტენზია.**

როგორც მოგეხსენებათ, პრობლემა ძველია, არ ახალია. ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნეში ერთი ბერძენი ფილოსოფოსი აცხადებდა: მე ათენის კი არა, მსოფლიოს მოქალაქე ვარო, და ამით, რა თქმა უნდა, თავისი აზროვნების მასშტაბურობას უსვამდა ხაზს. მერეც, რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში არაერთგზის წამოჭრილა საკითხი ამა სოფლის თუ ზეშთა სოფლის, მიწისა თუ ზეცის, მშობლიური მხარის თუ საღვთო საუფლოს პრიორიტეტის შესახებ. მაგრამ არასდროს სამშობლოს სიყვარული არ ყოფილა საძრახი და დასაგმობი. მხოლოდ XX საუკუნეში მასონურ-კოსმოპოლიტურმა აზროვნებამ ეს გრძნობა აბუნად აიგდო, მას დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა და ლამის დაასამარა კიდეც... პატრიოტული გრძნობისადმი ასეთ უდიერ დამოკიდებულებას კიდევ შეეგუებოდა კაცი, რომ მას არ მიეღო ისეთი კონცეფციურ-პროგრამული ხასიათი, რომელიც „ახა-

ლი წესრიგის“ მიხედვით მსოფლიოს გადანაწილებას, მსოფლიო ხალხთა ახალ „სელექციერებას“, ერების შეჯვარება-გადაჯიშებას და, საერთოდ, ადამიანის გადაგვარება-გარდაქმნას ისახავს მიზნად.

მსოფლიოს „ახალი წესრიგის“ არქიტექტორთა ეს ერთამოძულე, სატანისეული ზრახვანი უკვე საუკუნეებს ითვლიან და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფორმით იჩენენ თავს. მაგრამ, თუ აქამდე ისინი ერთგვარ გასაიდუმლოებულ ხასიათს ატარებდნენ, დღეს უკვე საყოველთაოდ გაცხადებულნი არიან და, „დემოკრატიისა“ და „თავისუფლების“ საბურველში გახვეულნი, ამერიკისა თუ ევროპის უმეტესი სახელმწიფოების პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი კონცეფციის საფუძველს ქმნიან.

სამწუხაროდ, ღვთის წინააღმდეგ მიმართულ ამ გეგმას, რომელიც მსოფლიო ხალხთა ეროვნულ-ეთნიკური წარმომავლობისა და ამა თუ იმ ერისათვის ნიშანდობლივი, სპეციფიური თვისებებისა თუ ტრადიციების მოსპობას ისახავს ძირითადად მიზნად, ჯერჯერობით გეგმაზომიერად, წარმატებით ახორციელებენ სწორედ ის ხელისუფალნი, მასონური „ოკულტურ-პოლიტიკური“ სექტების წყალობით და ხელშეწყობით რომ მოექცნენ სახელმწიფოს სათავეში.

სახელმწიფო აშენების და მოწყობის „თანამედროვე სტანდარტები“, რომლითაც თავს ასე იწონებენ ქართველი „სოფლის მაშენებელნი“, სწორედ ზემოხსენებული კონცეფციით არის შემუშავებული. ხოლო თანამედროვე დასავლეთის ცივილიზაციას ზიარებული ადამიანის მორალურ-ეთიკური თუ პოლიტიკური მოღვაწის სახეს მთლიანად აპირობებს ზნეობისგან დაწრეტილი, ცხოველურ საწყისამდე დამდაბლებული ცხოვრების ყოველდღიური პრაქტიკიზმი.

„მასონური მისიონერების“ უმთავრესი მიზანი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, მსოფლიოს ახლებური „გადალაგებაა“, მისი ზონებად დაყოფა და „მოწესრიგებული“ დედამიწის ზურგზე სრული გაბატონებაა. მათ სურთ მთელი მსოფლიოს მართვის სადავეები ხელთ იგდონ და თავის ნებაზე განაგონ იგი. მოგეხსენებათ, ეს არ გახლავთ იოლი საქმე და დიდ დროსა და ენერგიის გახარჯვას საჭიროებს. ამიტომაც ისინი დიდი მოთმინებით და რუდუნებით იღვწოდნენ და იღვწიან დღესაც თავისი ზრახვის განსახორციელებლად. ადრე თუ სოციალური

თანასწორობის ლოზუნგის წინ წამოწევით აწყობდნენ რევოლუციებს და სპობდნენ ყველაზე მყარ და ტრადიციულ მეფობის ინსტიტუტს, დღეს უკვე იშვიათად მიმართავენ დიდ სისხლისღვრებს (თუმცა, თუ საჭიროებამ მოითხოვა, ამასაც არ ერიდებიან!) და მშვიდობიან გზას ირჩევენ – კაპიტალის დაბანდებით, საფინანსო სისტემათა თუ ეკონომიკის მთლიანი მონოპოლიზაციით ძირს უთხრიან მათთვის არასასურველ რეჟიმს და „თავისუფლების" და „დემოკრატიის" სახელით ცდილობენ ქვეყნების დაპყრობას. მათი ბრძოლის მთავარი ტაქტიკა – ჯერ მსოფლიო კაპიტალის ხელში ჩაგდება და მერე მისი საშუალებით მსოფლიოზე გაბატონება – დღეს დიდი წარმატებით ხორციელდება.

მაგრამ „ახალი მსოფლიოს" აშენება, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს დღემდე არსებული „ძველი მსოფლიოს" ნგრევას, მისი კულტურის, რელიგიათა, ფილოსოფიის, მორალის, ტრადიციების მოსპობას და მათ ადგილას ახალ, „ცივილიზებულ ფასეულობათა" შექმნას.

სწორედ ამან გამოიწვია ის უსაზღვრო ნიჰილიზმი წარსული ფასეულობებისადმი, ასე რომ მოიკიდა ფეხი დღევანდელ დასავლეთში. მეტიც, თანამედროვე მასონური იდეოლოგია დაფუძნებულია ანტითეზურ პრინციპზე და არსებული კატეგორიების უარყოფას წარმოადგენს ძირითადად: ქრისტე – ანტიქრისტე, ღმერთი – ანტიღმერთი (ფული), ანგელოსი – ანტიანგელოსი (სატანა), რწმენა – ანტირწმენა (ურწმუნოება), სულიერება – ანტისულიერება (მატერიალიზმი), მორალი – ანტიმორალი (უზნეობა), სიყვარული – ანტისიყვარული (ოდენ ცხოველური ჟინი), სექსი – ანტისექსი (გაუკუღმართებული სექსი, სექსუალური გადახრები), სიკეთე – ბორიტება, კაცთმოყვარეობა – კაცთმოძულეობა, სამშობლოს სიყვარული – სამშობლოს მოძულება, პატრიოტიზმი – კოსმოპოლიტიზმი, ნაციონალიზმი – ინტერნაციონალიზმი, ეროვნულობა – ანტიეროვნულობა, ეროვნული სახელმწიფო – ზეეროვნული სახელმწიფო, მართლმადიდებლური, კათოლიკური ეკლესიები – ეკუმენიზმი, ზნეობრივი ადამიანი – ცხოველი და მისთ.

ერთი სიტყვით, ცდილობენ კაცობრიობის მიერ შემუშავე-

ბულ ფასეულობათა გადაფასებას და დღემდე მოღწეული მორალურ-ესთეტიკური კრიტერიუმების წაშლას. ხოლო მათ ნაცვლად ისეთ კატეგორიებს გვთავაზობენ, რომელთა მეშვეობითაც პიროვნება თანდათან შორდება ადამიანურ საწყისს და დადის ცხოველის დონემდე.

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ შევეხოთ ორ ცნებას – თავისუფლებას და დემოკრატიას, რომლებსაც საფიცარი ხატივით გამუდმებით მიმართავენ ევროპის სახელმწიფოთა დღევანდელი ხელისუფალნი და თავისი მოღვაწეობის უმთავრეს დეკიზად აცხადებენ.

დავიწყოთ თავისუფლებით, რომელიც თავისთავად დიდად კეთილშობილური ცნებაა. ის ადამიანის თანდაყოლილი თვისებაა, ბუნებრივი მოთხოვნილებაა და ყველა ადამიანი და, თუ გნებავთ, ერიც, როგორც ადამიანთაგან შექმნილი ცოცხალი ორგანიზმი, ესწრაფვის მას, ვითარცა ველის ყვავილი – მზეს. ამიტომაც არის, რომ ხშირად ადამიანი ბუნების თუ საზოგადოებრივი კანონების არტახებს ვერ ეგუება, ებრძვის ამ „დასაზღვრულობას“ და უჯანყდება მას. მაგრამ ადამიანი მაინც საზოგადოებრივი არსებაა, მას ურთიერთობა უხდება სხვა პიროვნებებთან, იგი ცხოვრობს გარკვეულ საზოგადოებაში და, სურს თუ არა, ანგარიში უნდა გაუწიოს იმ შეხედულებებს, ნორმებსა თუ წესებს, რაც ზოგადად მოწონებული და შემუშავებულია ისევ და ისევ ადამიანთა მიერ. მოკლედ, მორალურ-ეთიკური ნორმები ერთგვარად ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას, მაგრამ იმავე ნორმების აღსრულებით იგი განსხვავდება ცხოველთა სამყაროსგან, სადაც არ არსებობს ზნეობრივი მიჯნა და მორალური აკრძალვა.

მასონური იდეოლოგია, შეიძლება ითქვას, ახალ ცხოველურ თავისუფლებას ქადაგებს: ძლიერს ყველაფერი მიეტევება, ქვეყანა ბრძოლაა არსებობის შენარჩუნებისათვის, ამიტომ ვეფხვმა უნდა მიირთვას შველი, შველი კი ბალახის ციცქნას დასჯერდეს და ეცადოს როგორმე თავი გადაირჩინოს... ასეთია ადამიანის ცხოვრების პანორამაც: ძლიერისთვის ყველაფერი დასაშვებია, არ არსებობს შეზღუდვა, მორალური ნორმა. „მორალი, ეს მორალია უძლურთა“, – თავის დროზე აცხადებდა ნიცშე, რომელმაც ღმერთის სიკვდილი აუწყა კაცობრიობას და ახალი საუკუნის მიჯნაზე ისედაც რწმენაშერყე-

ულ ადამიანს კიდევ უფრო უბიძგა უზნეობის ჭაობისკენ. მასვე ეკუთვნის ფრთიანი ფრაზა: „არაფერია ჭეშმარიტი, ყველაფერი დასაშვებია“, და თუ კაცს არ მოეკოვება ჭეშმარიტების კრიტერიუმი, რწმენის ობიექტი და იდეალი, მისთვის ყველაფერი მართლაც დასაშვებია.

თანამედროვე დასავლური იდეოლოგიაც სწორედ იქითკენ ისწრაფვის, რომ ყოველგვარი ეთიკურ-ზნეობრივი ორიენტირი დაუკარგოს ადამიანს. მისთვის ძლიერი პიროვნებაა არა სულით უტეხი, მორწმუნე მწირი, ანდა ფიზიკურად უძლეველი რაინდი, არამედ მდიდარი, ფულიანი ადამიანი. თუ ადრე ღმერთი იყო საყოველთაო ჭეშმარიტება და მასთან რელატიურ მიმართებაში დგინდებოდა ჭეშმარიტების თუ სიმართლის გრადაცია, დღეს ფულია დასავლელი ადამიანის ცნობიერების პირამიდის უმაღლეს საფეხურზე და იგი განსაზღვრავს მორალურად გამარჯვებულსაც და დამარცხებულსაც, მართალსაც და მტყუანსაც.

ზნეობრივი ორიენტირის ასეთმა მსხვრევამ კი გამოიწვია ადამიანის სულიერი დეგრადაცია! ყველა ის ესთეტიკურ-ზნეობრივი პრინციპი, რომელიც ადამიანის სულის განსაწმენდლად იყო მიმართული და მას ცხოველის დონიდან ზეციური იერარქიისკენ წარმართავდა, დაგმობილ იქნა. მეტიც, დღეს ირონიით ლაპარაკობენ ისეთ ადამიანურ ღირსებებზე, როგორიც არის რწმენა, ერთგულება, სიყვარული, გაჭირვებულთა შემწეობა, მეგობრობა, კაცთმოყვარეობა, მშობლების და წინაპართა პატივისცემა, ერისა და ქვეყნის სიყვარული და მისთ.

ერთი სიტყვით, ღმერთის სიკვდილმა განაპირობა ურწმუნოება; ურწმუნოებამ წარმოშვა ამორალობა, ამორალურობამ განაპირობა აღვირახსნილობა, აღვირახსნილობამ კი – ძალმომრეობა და ბოროტება. ხოლო ძალმომრეობა და ბოროტება ადამიანური ღირსებების გათელვაა! ადამიანი დავიდა ცხოველამდე, შეიძლება უფრო დაბლაც, რადგანაც ცხოველს არ გააჩნია ცნობიერება, მას არ ძალუძს სხვაგვარი ქმედება. კაცმა კი, რომელმაც ფული გაიფეტიშა და გააღმერთა, შეგნებულად უარყო სულიერი და მორალური უბიწოება, ჩაწიხლა და მუცლის ამოყორვა და სექსუალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება გაიხადა მთავარ მიზნად.

ამიტომაც იღვწის, ყოველგვარი უკეთური გზებით შოუ-

ლობს ფულს. რათა მერე ეწიოს „უმაღლეს ნეტარებას“ – კუჭის სიმაძღრეს და ეინის დაოკებას. განა ცხოველის ბუნებრივი ინსტინქტებიც ამით არ იფარგლება?!

მაშ, რაღად ვეინდა იმის გახსენება, რომ ჩვენ ადამიანები ვართ და არა ცხოველები?! არადა, ამის აღიარება არ უნდა „თანამედროვე“, „ცივილიზებულ“ ადამიანს, პირიქით, მას პრეტენზიებიც აქვს „ზეადამიანობაზე“. ის თავის მსჯელობას დაახლოებით ასე აგებს:

ადამიანის უმთავრესი ატრიბუტია აზროვნება, ხოლო აზროვნების იმპერატივით დგინდება მორალური ნორმები, რომლებიც ცვალებადია და სხვადასხვა ხალხებს, ტრადიციების შესაბამისად, განსხვავებულად წარმოუდგენიათ. ამიტომაც ის, რაც მორალურად მისაღები იყო ძველი ბერძნებისა თუ რომაელებისთვის, არ იყო მოსაწონი ქრისტიანისათვის, ხოლო ის, რასაც შუა საუკუნეების ქრისტიანები სრულყოფილებად სახავდნენ, ჩვენთვის, XX საუკუნის ადამიანებისთვის, სავსებით არ არის მისაღები. ამიტომაც ჩვენი აზროვნების უმაღლესი ნაყოფია თავისუფლება, რადგანაც ის არის უპირველესი შინაგანი მოთხოვნილება ადამიანისა. თავისუფალი ადამიანი – აი, ჩვენი იდეალი. ასე რომ, ის, რაც ადამიანის თავისუფლებას ზღუდავს, ჩვენთვის მიუღებელია. ამიტომ მორალურ-ეთიკურ ნორმებსაც, საუკუნეების განმავლობაში რომ შეიმუშავა საზოგადოებამ, უკუვაგდებთ, როგორც დრომოჭმულსა და მოძველებულს.

ნიცშე ამბობდა: „ჩვენ უნდა განვთავისუფლდეთ მორალისაგან, რათა შევძლოთ მორალური ცხოვრება“.

სამწუხაროდ, ამ შეგონების მხოლოდ პირველი ნაწილი აიტაცა „თანამედროვე ადამიანმა“, მეორეს კი, სადაც კვინტესენციაა მოცემული, შეგნებულად ზურგი აქცია.

„თავისუფალი წყობის“ ადამიანებს არ ესმით ან, უფრო მართებულად, არ სურთ გაიგონ, რომ თავისუფლება, უპირველესად, სულიერი მონაპოვარია. თუ პიროვნება სულით მონაა, ცნობიერებით დამონებულია, ის თავისუფლების კუნძულზე მარტოც რომ დასვა, თავისუფალი ვერ იქნება. ხოლო სულით უტეხი, დაუმონებელი კაცი, გინდაც ცხრაკლიტულში გამოამწყვდიო, მაინც თავისუფალია. სხვაგვარად, ოდენ ფიზიკური თავისუფლება ცხოველთა ხვედრია, ხოლო ადამიანი ჯერ სუ-

ლიერ თავისუფლებას უნდა ეზიაროს, ხოლო მერე ფიზიკურს; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მაღლდება ის სრულყოფილი თავისუფლების საფეხურამდე.

მაგრამ სულით თავისუფალი ადამიანი არ შეიძლება იყოს ზნეობისგანაც თავისუფალი. პირიქით, სწორედ ზნეობრიობა, სიწმინდე, კეთილშობილება და რწმენა ამაღლებს მის სულს ჭეშმარიტ თავისუფლებამდე. ამიტომაც დღევანდელი „თავისუფალი ადამიანის" თავისუფლება ეს არის აღვირახსნილობა, ნადირთა და ცხოველთა თავაშვებულობა, რომელსაც ჭეშმარიტი თავისუფლების ცნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ავიღოთ, თუნდაც, თანამედროვე სექსუალური ცხოვრება. ეს არის მთლიანად გაშიშვლებული, ცხოველურ საწყისამდე დაყვანილი, ყოველგვარ ამაღლებულ გრძნობას მოკლებული სქესობრივი აქტი. მეტიც, ხდება სექსუალური ცხოვრების გამრუდება და მისი შეგნებული აგიტაცია. ამის გამოა, რომ დღეს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამენ და კანონითაც დაშვებულია კაცის კაცთან ქორწინება, ქალის ქალთან ცხოვრება, მამის მიერ შვილის და შვილის მიერ დედის გაუპატიურება, და-ძმის სექსუალური კავშირი. ამიტომაც არის, რომ დღეს მრავალი ცნობილი ამერიკელი ვარსკვლავი ვერ გარკვეულა: ვინ არის მისი დედა, ვინ – და, ვინ – მამა და ვინ – ბაბუა (მაგ., ქალი ჯეკ ნიკოლსონს, მთელი სიცოცხლე თავის დად რომ მიაჩნდა, მისი დედა ყოფილა, დედად რომ მიაჩნდა, ის ბებია ყოფილა, ხოლო ბაბუად რომ მიიჩნევდა, იმავდროულად მამაც ყოფილა).

ასეთი სექსუალური გადახრები, ალბათ, ადრეც ხდებოდა, და ეს იყო ავადმყოფობა, შემზარავი და ამაზრზენი. მაგრამ დღეს იგი შეგნებულად ნორმალურ მოვლენად ცხადდება და დაუღალავი აგიტაციით ცდილობენ ამგვარი გადახრები საზოგადოებისათვის ბუნებრივი და მისაღები გახადონ. მთავარი მაინც ის არის, რომ ამ ცხოველურ აღვირახსნილობას ამართლებენ ყბადაღებული ცნებით – თავისუფლებით, დღეს რომ ასე მოსწონთ საქართველოშიც.

აი, ასე ესმით „მასონთა მისიონერებს" და მათი წყალობით დასავლეთის „ელიტას", თავისუფლება. ეს გახლავთ მიზანმიმართული მცდელობა ადამიანის გადაგვარებისა. უფრო სწო-

რედ, ეაცხოველებისა, როცა შეგნებულად უგულებელყოფენ იმ სულიერ ღირებულებებს, რომლებიც ადამიანს ადამიანად აქცევს, და წინ წამოწევენ იმ ბიოლოგიურ საწყისებს, მას რომ ცხოველამდე ამდაბლებს.

ბუნებრივია, ასეთ „თავისუფალ ადამიანს" არაფერი ესაქმება მსოფლიო კულტურის მონაპოვართან, მას არ აინტერესებს ფილოსოფიური მემკვიდრეობა, არ ხიბლავს მხატვრული შედევრები, აფრთხობს კლასიკური მუსიკა, რომლის ჰარმონიაც ამაღლებს სულს და სიკეთისკენ წარმართავს, ის ეტანება რეპს და ჰიპ-ჰოპს, ადამიანს რომ ათაყვანებს და ოდენ პირველყოფილი რიტმის შეგრძნებას აღძრავს. ერთი სიტყვით, ეს გახლავთ ამორალური, ესთეტიკურ გრძნობას მოკლებული არსება, რომლის განათლებაც ჟურნალ-გაზეთებისა და ტელევიზიის ინფორმაციით ამოიწურება, თუმცა შეიძლება მას გააჩნდეს ვიწრო სპეციალობის ღრმა ცოდნაც. დიახ, ასეთად ესახება „სრულყოფილი ადამიანის" იდეალი მასონურ იდეოლოგიას და, გნებავთ, თანამედროვე ევროპის ზედმეტად თავისუფალ საზოგადოებას. ყველაფერი თავდაყირა დგას: იდეალური, ამაღლებული – დამიწებულია, ცინიკურადაა აბუჩად აგდებული, ხოლო მიწიერი, ცხოველური – ამაღლებული და გაღმერთებული...

ამიტომაც დიდად არ მიკვირს, რომ ქართველი საზოგადოების „ელიტური" თუ „ბნელიტური" ნაწილი, რომელიც ბოლშევიკური „გარდაქმნის მანქანამ" მოსწყვიტა ქართულ სულიერებას, ცნობიერებას, ტრადიცია-ჩვეულებს და კულტურას და წიგნიერ მანქურთად აქცია, ასე ბრმად ეთაყვანება ყოველგვარ დასავლურს თუ ამერიკულს.

მით უმეტეს, არ არის ეს გასაკვირი „თავისუფლების ინსტიტუტის" „თავისუფლად" მოაზროვნე თაეკაცის ლ. ბერძენიშვილისგან, რომელიც თავის დროზე სუკმა „დისიდენტის" სახელით მონათლა, მერე ციხეში „ნასედკად" მიუჩინა დასახერეტად განწირულ ძმებ ივერიელებს და ბოლოს კი „დიდი ოპოზიციონერის" და „პოლიტიკური მოღვაწის" სახით მოუვლინა ქართველ საზოგადოებას. აბა, იმ ადამიანისაგან, რომელიც ზერელედაც არ იცნობს ქართულ მწერლობას, არ ჩასწვდომია აკაკის, ვაჟას, ილიას დიდ სულს და მათთან მხოლოდ სკოლის პროგრამის ცუდი ცოდნით ამყარებს კონტაქტს,

რა გასაკვირია, რომ ილიას აუგად იხსენიებს. ხოლო ჭეშმარიტ ქართველთათვის ყველაზე ღირებულ ცნებებს – ენას, მამულს, სარწმუნოებას – მოდიდან გადასულად, მოძველებულად მიიჩნევს, „ევროპული სტანდარტებით დასტანდარტებული", მორალთან მწყრალი ამ პოლიტიკანის განათლება მხოლოდ გაზეთების, დასავლეთის რადიოს, ტელევიზიის ინფორმაციებით და კიდევ გაეროს დადგენილებებისა თუ რეზოლუციების გაცნობით ამოიწურება. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ მავანი და მავანი მას წარმოგვიდგენს როგორც ერთობ ერუდირებულ პოლიტიკოსს.

ჰოდა, ეს მეტად „განათლებული" პოლიტიკოსი, ტუჩებზე დუქმომდგარი რომ გაიძახის „თავისუფლების მოყვარულთა" ფორუმზე: ნაცისტებს, კომუნისტებს და ნაციონალისტებს ვერ ვიტანო, ძალზე მაინტერესებს, სად მოიძია ამ ჩემი ცოდვით სავსემ ნაცისტები საქართველოში? მეორეც, მისი „განათლების" პატრონმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ ნაციონალისტი საგინებელი სიტყვა არ არის და უწოდებენ იმ პიროვნებას, ვისაც თავისი ხალხი, ერი უყვარს და მას არავითარი საერთო არა აქვს ნაცისტთან თუ კომუნისტთან. ხოლო მათი ერთ საგინებელ ქვაბში ჩაყრა ოდენ ზღვარგადასული დემაგოგიაა. დაბოლოს, ამ ჩვენს „დემოკრატს" თუ ასე სძაგს კომუნისტები, მაშინ რატომღა დასუნსულებს გატიკნილი ციყვივით იმ წრერკალში, რონელიც ნაცადმა ბოლშევიკმა, ბუნებით წითელმა, მაგრამ ჟამთა ვითარების გამო გათეთრებულმა ე. შევარდნაძემ შემოუხაზა?!

საერთოდ, ამერიკას მიიჩნევენ თავისუფლების სამშობლოდ, მაგრამ, ვგონებ არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ყოველგვარი აღვირახსნილობა, ამორალობა, სიბილწე და უკეთურობა დღეს სწორედ იქიდან მოდის. ამერიკელებს არ გააჩნიათ „ისტორიული მეხსიერება", რადგან თითქმის არა აქვთ ისტორია – „უისტორიოდ კი ცხოველი ცხოვრობს!" (ნიცშე). მათ არა აქვთ კულტურული ტრადიციები, რადგან არ გააჩნიათ დროში ხანგრძლივად განვითარებადი კულტურა. უკულტურო არსება კი ცხოველს უტოლდება! მათ არ აქვთ ეროვნულობის შეგნება, რადგანაც ამერიკელი ერი, როგორც ასეთი, არ არსებობს. ამერიკელებს არ ამშვენებს სულიერება, რადგან ხორციელი მათთვის უმთავრესია. ეს არის სახელმწიფო, რომელიც შექ-

მნეს ათასი ჯ'ურის და ეროვნების ადამიანებმა, თავზეხელაღებულმა კოვბოებმა, თოფიანმა ყაჩაღებმა, ნაცადმა თაღლითებმა, თავგადასავლის მაძიებლებმა, „ფსონის" მოყვარულებმა, ამიტომაც ნაქები ამერიკული თავისუფლება იმთავითვე ეფუძნებოდა უზნეობას, ძალადობას, იარაღისა და ფულის კულტს. აბორიგენი ტომების მომსვრელ ამ ყაჩაღებს არ ესმოდათ სულიერ ფასეულობათა მნიშვნელობა და მატერიალური სიმდიდრე მიანდათ კაცობრიობის უმაღლეს მონაპოვრად და ღირებულებად. ასე რომ, თუ არ გაეკადნიერდებით, ამერიკული „თავისუფლება" და „ბედნიერება" შეიძლება შეეადაროთ მდელოზე ლაღად მოკუნტრუშე ჯოგის თავაშვებულობას და წამიერ კმაყოფილებას, მხოლოდ ბალახის ძოვით და თავის ნებაზე მიშვებით რომ არის გამოწვეული!..

ამიტომაც, ამერიკული დოლარებით გონებადაბინდულები, ნუ მოვუწოდებთ ლოზუნგებით თუ რეკლამებით – „ჩავწვდეთ ამერიკულ სულს"-ო, რადგანაც ეს მოწოდება კომიკურ ელფერს იძენს: **არ შეიძლება ჩაწვდე იმას, რაც არ არსებობს! ამერიკას კი ყველაფერი თავზესაყრელი აქვს, სულის გარდა. მე რომ მკითხოს კაცმა, ამ ლოზუნგს, ისევ და ისევ ამერიკის პატივსაცემად, ჩამოვხსნიდი და ამ ქვეყნის ბრმა თაყვანისმცემელთა დასამშვიდებლად ასეთ მოწოდებებს გამოვკიდებდი: „ისწავლეთ ამერიკული ბიზნესი და ფულის შოვნა!" ან „ამერიკელებისგან ისწავლეთ „დემოკრატიის" იარაღით დამკვიდრება" და ა. შ.**

არ ვიცი, შენ რას ფიქრობ, ჩემო მკითხველო, მაგრამ მე მგონია, ასეთი თავისუფლება, უფრო მართებულად, აღვირახსნილობა, ქართული მენტალიტეტისათვის საერთოდ მიუღებელია. მას ეტრფიან და ეტანებიან მხოლოდ ის გადაგვარებულ-გაევროპელებული ელიტის თუ ბნელიტის წარმომადგენლები, რომელთაც, მიუხედავად ეკონომიკური თუ სხვა საშუალებებისა, საბედნიეროდ, მაინც არ შესწევთ უნარი, მოწამლონ ქართველთა ღვთით ბოძებული გონიერება.

ახლა ორიოდე სიტყვით შევეხოთ ამ ყბადაღებულ „დემოკრატიასაც", რომელსაც ისე ხშირად და ბავშვური აღტყინებით მიმართავენ დღევანდელი პოლიტიკოსნი და ხელისუფალნი, გეგონებათ, იშვიათი ან ახლად მოწეული ხილი იყოს. არადა, ეს ტერმინიც ისე ძველია, როგორც „ეს ბებერი ქვეყანა". მისი

შინაარსიც ყოველთვის როდი ჟღერდა დადებითად! ყოველ შემთხვევაში, კაცობრიობის აზროვნების ორი წყალგამყარი მწვერვალი – პლატონი და არისტოტელე, რომლებმაც პირველად მოგვცეს სახელმწიფოთა წყობის სქემა, დემოკრატიას საუკეთესო „მმართველობად“ არ მიიჩნევდნენ, თუმცა უკვე გვაძლევენ ამ წყობის განმსაზღვრელ ნიშნებს და წინ წამოწევენ როგორც მის დადებით, ასევე უარყოფით მხარეებსაც.

რადგანაც ამერიკა ითვლება დემოკრატიის გოდოლად, ისევე მოგვიწევს ამერიკულ დემოკრატიაზე საუბარი და მისი, როგორც მოდელის, აე-კარგის შეფასება.

არისტოტელეს განმარტებით, სახელმწიფო წყობა – ეს არის „განწესება სახელმწიფოებრივი თანამდებობებისა ორგანიზაციის სფეროში, საერთოდ, და პირველ ყოვლისა, უმაღლესი ხელისუფლებისა“. აქედან გამომდინარე კი, „დემოკრატიულ სახელმწიფოში უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს, ოლიგარქიულში კი პირიქით, უმცირესთა ხელშია“. მერე ამ განსაზღვრებას ფილოსოფოსი უფრო აზუსტებს და მიდის იმ დასკვნამდე, რომ მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ოლიგარქიასა და დემოკრატიას შორის მაინც ქონებრივი სხვაობაა – სიღარიბე და სიმდიდრე. „აი, ამიტომაც იქ, სადაც ხელისუფლება ეფუძნება – არა აქვს მნიშვნელობა, უმცირესობას და უმრავლესობას – სიმდიდრეს, ჩვენ ოლიგარქიასთან გვაქვს საქმე. ხოლო სადაც მართავენ უპოვარნი, იქ გვაქვს დემოკრატია“. სხვაგვარად, დემოკრატიული წყობის დროს „უმაღლესი ხელისუფლება ეკუთვნის თავისუფალშობილთ“, ხოლო ოლიგარქიული წყობისას, ის ეკუთვნის მდიდართ“. გარდა ამისა, დემოკრატიული წყობის არსებითი ნიშნებია:

ა) არჩევითობა. როცა არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა მოქალაქე, განურჩევლად ქონებრივ-სოციალური მდგომარეობისა, და ისინი თავიანთი ნებით ირჩევენ ხელისუფლებას.

ბ) სრული თავისუფლება, გულწრფელობა და შესაძლებლობა საკუთარი სურვილისამებრ მოქმედებისა; ასევე ცხოვრების შენ ნებაზე მოწყობისა: მას ახასიათებს ჩვევათა სიჭრელე, როგორც მოჩითულ ნაჭერს (პლატონი).

გ) თანასწორობა ტოლთა და არატოლთა. უგულებელყოფა მუდმივი სოციალური სტატუსისა, ანუ არ აინტერესებს „რა

საკმაოდ გადადიხარ სახელმწიფო მოღვაწეობაზე" (პლატონი). ამასთანავე, არც მდიდარსა და არც ღარიბს არა აქვს რაიმე უპირატესობა. უმაღლესი ხელისუფლება არცერთს არ ეკუთვნის. არამედ ნებისმიერს შეუძლია მიიღოს სახელმწიფო მმართველობაში მონაწილეობა (არისტოტელე).

დ) ქვეყანაში უნდა ყვაოდეს სამართლიანობა, რომელიც ერთვავარ თანასწორობასაც გულისხმობს და მას უნდა განაგებდეს არა პიროვნება, არამედ კანონი (არისტოტელე).

აი. ის არსებითი ნიშნები, რომლებითაც ადრეც ხასიათდებოდა ეს წყობა და დღესაც ამავე სპეციფიურობას ინარჩუნებს. ყოველ შემთხვევაში, უნდა ინარჩუნებდეს... ცხადია, არსებობს კიდევ მრავალი ნიუანსი, დემოკრატიის ცნებას რომ ავსებს, მაგრამ ამაზე აღარ შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას.

როგორი წყობაა დღეს ამერიკაში? თუ კლასიკური განსაზღვრებიდან ამოვალთ, ის არ არის ტიპიური დემოკრატიული და უფრო ოლიგარქიულისკენ იხრება – ხელისუფლება აქ უმცირესთა, თანაც მდიდართა ხელშია. უპოვარი ხელისუფლებაში ვერ მოვა. მაგრამ უპოვარს აქვს შესაძლებლობა გამდიდრებისა. ამიტომაც აქ ადამიანი „გადაჭარბებულად აფასებს ფულს". მას ეთაყვანება და მისთვის ორი ცნებაა მთავარი: „სიმდიდრე და მდიდარი". ხოლო მისი ცხოვრების უმთავრესი მიზანი „მომხვეჭელობაა" (პლატონი). ეს კი უფრო „ოლიგარქიის წარმომადგენლის ბუნებაა, ვიდრე დემოკრატი ადამიანისა". ასე რომ, დღევანდელი ამერიკის სახელმწიფო წყობას შეიძლება ვუწოდოთ ოლიგარქიულ-დემოკრატიული. ხოლო მომხვეჭელობისკენ მიდრეკილი ამერიკელებიც „ოლიგარქიული" ბუნებისა უფრო არიან, ვიდრე დემოკრატები. ბუნებრივია, თავისთავად ეს ფაქტი მეტყველებს არა იმდენად ამერიკის სახელმწიფო წყობის განსაზღვრაზე, რამდენადაც დემოკრატიის ცნების მათეულ გაგებაზე. ამერიკის სახელმწიფო ექსპანსიის ძალით არის დაფუძნებული. ხიზნებმა დაიპყრეს კონტინგენტის აბორიგენი ტომები, წაართვეს ყოველგვარი ადამიანური უფლებები და გამოამწყვდიეს რეზერვაციებში, ვითარცა ნადირები გალიაში. ხოლო ამას დემოკრატიას ვერ ეუწოდებთ. ასე რომ, „ამერიკული დემოკრატია" ისევე როგორც „ბოლშევიკური". იმთავითვე აღმოცენებულია ძალმომრეობაზე.

რა არის ამერიკული „თავისუფლება“, ამაზე უკვე ზემოთ მოგახსენეთ. ამიტომ დაწერილებით აღარ შევჩერდები, მხოლოდ აღვნიშნავ, რომ ის უფრო თავაშვებულობა და აღვირახსნილობაა, როცა ზღვარგადასული ვნება, ბიოლოგიური საწყისი ბატონდება სულსა და გონზე, როცა სირცხვილი სისულელედ ინათლება, გონიერება – სიმამაცის ნაკლებობად, ზომიერება და მომჭირნეობა – სოფლურ უმეცრებად, როცა განადიდებენ თავხედობას, აღვირახსნილობას, თავაშვებულობას, უსირცხვილობას და როცა თავხედობას უწოდებენ განათლებულობას, აღვირახსნილობას – თავისუფლებას, გარყვნილებას – დიდებულებას, უსირცხვილობას – სიმამაცეს (პლატონი).

მორალის ასეთი ქაოსი და განუკითხაობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დღეს ამერიკული დემოკრატიული თავისუფლების სახელით არის მონათლული.

მაგრამ არსებითი მაინც ის არის, რომ დღევანდელი ამერიკული აზროვნება ხელოვნურად ქმნის ისეთ სათბურებს, სადაც სწორედ ცხოველური, ბიოლოგიური საწყისები ღვივდება, ყველა ადამიანში რომ არის დაბადებითვე ჩაბუდებული, მაგრამ გონიერებისა და აზროვნების მარწუხებით მოთოკილი. უფრო მართებულად, „ამერიკული თავისუფლება“ შლის იმ ზნეობრივ მარწუხებს, „აკრძალვას“, რაც ადამიანს ადამიანურობის მიჯნას უდგენს. ამ მიჯნას გადაბიჯებული ადამიანი კარგავს ადამიანურ სახეს და მთლიანად ცხოველური ბუნებით შიშვლდება. პლატონს ასეთი ადამიანი აგონებს „ძილში გამოღვიძებულს, რომლის სულის გონიერი და თვინიერი საწყისი თვლემს და ველური და ცხოველური — ყალყზე დგას. ის ყოველგვარ სიბილწეს ჩაიდენს, დედამისთანაც თანაიცხოვრებს, ღმერთებთანაც და ცხოველებთანაც. იგი წაბილწავს თავს სისხლისღვრით თუ ყოველგვარი საკვებით. ერთი სიტყვით, უსირცხვილობასა და განუსჯელობას მიცემული, არ ერიდება არაფერს“.

თუ გავიხსენებთ ფროიდის სიზმრისა და ლიბიდოს თეორიას, აღმოვაჩენთ, რომ იგი ახლოს დგას პლატონისეულ თვალსაზრისთან. ოღონდაც, პლატონი ცხოველური საწყისის აღზევებას ცუდი აღზრდითა და ზედმეტი თავაშვებულობით ხსნის, მაშინ როცა ფროიდი ლიბიდოს ადამიანის ქმედებისა და მოღ-

ვაწეობის წარმმართველ, ქვეცნობიერ ძალად გვისახავს. ამერიკული „დემოკრატიული თავისუფლება“ ეწოდება როგორც „დემოკრატიულ აღზრდას“, ზედმეტ თავისუფლებას რომ ქადაგებს, ასევე ლიბიდოს გამოცხადებას ცხოვრების მთავარ მამოძრავებელ ძალად. ამიტომაც იგი ქვეცნობიერი საფეხურიდან აყვანილია „ცნობიერების“ და, თუ გნებავთ, „მორალის“ დონეზეც...

ასეთი „დემოკრატიული აღზრდის“ შედეგია ის, რომ მასწავლებელს ეშინია მოწაფეების, მაშინ, როცა მოწაფეები არაფრად აგდებენ თავის აღმზრდელებს... ისევ და ისევ თავისუფლების მომიზეზებით. ისინი ყურს არ უგდებენ მშობლებსაც, პატივს არ მიაგებენ მათ. ის კი არა, შეიძლება ხელიც აღმართონ მათზე. ხოლო ის, ვინც მშობელს გაიმეტებს, არც სამშობლოს დაინდობს, კიდევაც დაიპყრობს მას და დაიმონებს (პლატონი). ასე რომ, ის, რაც დღეს ციფილიზებულ დასავლეთში ხდება, თანაკლასელების თუ თანატოლების ხოცვა (დღე არ გავა, რომ ამერიკელმა ბავშვმა არ მოკლას თანატოლი!) მშობლების თუ პირიქით, შვილების ტყვიაზე გამეტება და, რაც მთავარია, საკუთარი სამშობლოს, ერის ინტერესების გაყიდვა და ღალატი – ამის ფესვები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ მათეულ „თავისუფლებასა“ და „დემოკრატიულ“ აღზრდაში უნდა ვეძებოთ. მით უმეტეს, რომ ყველაფერი ხორციელდება სახელმწიფო დონეზე იმისათვის, რომ ადამიანში ცხოველური ინსტინქტები გაღვივდეს და ის ცხოვრების ლამის უმთავრეს მიზნად და იდეალად გამოცხადდეს. და ეს შემთხვევითი არ გახლავთ. ეს არის მიზანმიმართული, ღრმად გააზრებული პროგრამა კაცობრიობის გადამზადებისა „ახალი წესრიგისათვის“.

ცხადია, დემოკრატიაც კარგია და მისი განმსაზღვრელი თავისუფლებაც, მაგრამ უკიდურესობამ შეიძლება უკუშედეგი გამოიღოს. სავსებით მართებულად შენიშნავს პლატონი: „ზღვარგადასული თავისუფლება შესაძლებელია როგორც ცალკეული ადამიანისათვის, ასევე სახელმწიფოსთვის უკიდურეს მონობად იქცეს“. სწორედ ასეთმა თავაშვებულობამ ადამიანი დაუმონა მეცელსა და ცხოველურ ჟინს და იგი ფულის და მატერიალური სიმდიდრის ბრმა მონად აქცია. ხოლო აღვირახსნილობა, თავაშვებულობა, უკანონობის გაბატონება. სულ-

მეტ თავისუფლებას რომ მოაქვეს ხოლმე. ქვეყანაში ტირანიის დამკვიდრებას აპირობებს.

მაგალითისათვის ჩვენი სამშობლოც გამოგვადგება. საქართველოში პუტჩის შემდგომ გაბატონებულმა აღვირახსნილობამ და თავაშვებულობამ განაპირობა ის, რომ ქართველმა ხალხმა ტიპიური ტირანი, ხებსით თუ უნებლიეთ, თავზე დაისვა...

მართალია, ამერიკულ დემოკრატიას აქვს დადებითი მხარეებიც, ასე, მაგალითად, მისი მოსახლეობის უმეტესობა საშუალო დონის მაცხოვრებელია, რომლის ყოფის პირობები საკმაოდ ადამიანურ მოთხოვნებს. ასევე ის, რომ ამერიკის სახელმწიფოში ბატონობს კანონი, მას ეკუთვნის გადამწყვეტი ხმა და არა ცალკეულ პიროვნებებს და თანამდებობის პირთ, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა წყობილების დროს და რასაც დღესაც აქვს ადგილი საქართველოში. მაგრამ კანონს, როგორც ისტორიიდანაა ცნობილი, ძლიერნი ამა ქვეყნისანი, ვითარცა ქოთანს, საიდანაც უნდათ, იქიდან აბამენ ყურს და მას თავის სასარგებლოდ წყვეტენ ხოლმე.

მთავარი მაინც ის არის, რომ ამერიკას, როგორც „დემოკრატიის", „თავისუფლების" და „სამართლიანობის" აღიარებული სიმბოლოს, პრეტენზიები გაუჩნდა, რომ თავისი „დემოკრატიული სამართლიანობა" და „თავისუფლება" მთელ მსოფლიოს მიახვიოს თავს. ის თითქოს კეთილშობილურ მისიას კისრულობს, სამართლიანი წყობის დამკვიდრებას ლამობს სხვადასხვა ქვეყნებში, სინამდვილეში კი იქ გაბატონებას და თავისი პოლიტიკური კონცეფციის დანერგვას ცდილობს. ამიტომ გვეველინება მსოფლიო ჟანდარმად, რომელიც მხოლოდ დემოკრატიის, თავისუფლების და სამართლიანობის მქადაგებლის მასონურ სამოსშია გახვეული და დიდად არ განსხვავდება ბოლშევიკური რუსეთისგან, ამასვე რომ სჩადიოდა მსოფლიო პროლეტარიატის ბედით შეწუხებულის პოზით და სოციალური თანასწორობის დევიზის წინ წამოწევით.

ამერიკული „დემოკრატიის" ჭეშმარიტი ბუნების გასაგებად ზოგიერთი საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის გახსენებაც კმარა: ამერიკას დღემდე აღაშფოთებს გერმანული ნაციზმი, რომელმაც მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. განსაკუთრებით აღელვებს ის უსამართლობა, რაც ნაცისტებმა ებ-

რაული ხალხის მიმართ ჩაიდინეს. მაგრამ სავსებით არ აღელვებს და ბუნებრივად მიიჩნევს იმ ბიროტებას, რაც თავად მან ამერიკის აბორიგენი ტომების მიმართ მოიმოქმედა. არც იმის გამო ქენჯნის სინდისი, რომ იაპონიას ატომური ბომბები ჩაუყარა და მილიონობით უდანაშაულო ადამიანი ამოხოცა. დღეს ეს შეგნებულად დაივიწყა ყველამ, მაშინ როცა ებრაელთა შემუსვრის გამო ყოველდღიურად ისე მოთქვამენ, რომ გეგონებათ, მეორე მსოფლიო ომში მხოლოდ ისინი დახოცილიყვნენ და სხვა არავინ...

ამერიკული „დემოკრატიული საზოგადოება" აღაშფოთა პრეზიდენტ კლინტონის სამიჯნურო თუ სექსუალურმა ურთიერთობამ მონიკა ლევინსკისთან. მსოფლიო ინფორმაციის საშუალებები დღე და ღამ ამას გვაუწყებდნენ. როგორც დემოკრატიულ წყობას შეეფერის, პრეზიდენტი რამდენიმეგზის დაკითხეს და იმპიჩმენტის პროცესიც წამოიწყეს. ამას რა შედეგი მოჰყვა, არ არის საინტერესო. მთავარია, დემოკრატიული ფარსი გათამაშდა და ამერიკელს კანონიერების გრძნობის ილუზია გაუჩნდა. მაგრამ „დემოკრატიულ ამერიკას" სავსებით არ ეჩოთირება ერაყში სამხედრო ლაშქრობა, მის საშინაო საქმეებში ურცხვად ცხვირის ჩაყოფა და უდანაშაულო ხალხის ხოცვა. ამას ისინი ამერიკის დემოკრატიის გამარჯვებისათვის აუცილებელ ნაბიჯად მიიჩნევენ.

პრეზიდენტი კლინტონი აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ ორმა ამერიკელმა ახალგაზრდამ ერთი „ცისფერი" მიბეგვა და ღობეზე მიაბა, რითაც მისი სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდო. ადამიანის უფლებების ხელყოფით გადარეული პრეზიდენტი კანონის გამკაცრებას მოითხოვს. ხედავთ, როგორ ადარდებს ამერიკის პრეზიდენტს ნებისმიერი ადამიანის, მითუმეტეს, ჰომოსექსუალის ბედი! მაგრამ ადამიანის ბედზე ასე დაფიქრებული კლინტონის უშუალო გავლენით ნატო იწყებს სერბეთის (სხვათა შორის, სხვა ქვეყნებისაც) დაბომბვას, აფეთქებს ხიდებს, სამოქალაქო მატარებლებს, საავადმყოფოებს, ინფორმაციის ცენტრებს, უამრავი მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლეს იწირავს. მაგრამ ეს სავსებით არ ადარდებს არც ამერიკის „დემოკრატ" პრეზიდენტს და არც მის „დემოკრატიულ" საზოგადოებას. ადარდებს კი არა, პირიქით, თავს იწონებენ და სამართლიანობისა და დემოკრატიის დამცველად მოაქვთ

თავი. თითქოს ისინი დანაგრული უმცირესობის -- კოსოვოელი ალბანელების, სულ ცოტა ხნის წინათ რომ ტერორისტებად ნათლავდნენ, დამცველებად და მფარველებად გეველინებიან. სინამდვილეში კი რაც ხდება, ეს ბავშვისოვისაც არის ცნობილი. იმას, რასაც დემოკრატიის აკვნის, ამერიკის კარნახით დღეს „ნატო“ ბალკანეთში ჩადის და, თანაც, დემოკრატიის სახელით, ადამიანურ ენაზე ჰქვია მთელი ჰუმანური მსოფლიოს სულში ჩაფურთხება. ამ „დემოკრატებმა“ მთელი სერბი ხალხის ამოხოცვა მოინდომეს, უპირველესად, გავლენის სფეროს გასაფართოებლად და, მეორეც, იმიტომ, რომ სერბებს სურთ დამოუკიდებელი, ეროვნული სახელმწიფო ჰქონდეთ, ხოლო ამ საქმის განმახორციელებლად ეგულებათ ეროვნული ინტერესების გამომხატველი პრეზიდენტი მილოშევიჩი, რომელიც, როგორც ჩანს, მარიონეტული იდეოლოგიის გამტარებელი არ გახლავთ. კიდეე უფრო განსაცვიფრებელი ის არის, რომ სერბეთის მოსასპობად წარმართულ ამ ბრძოლას ამერიკელები ამართლებენ ისევ და ისევ თავიანთი ჰუმანიზმით, ურცხვად ამტკიცებენ, თითქოს ისინი ებრძვიან არა სერბ ხალხს, არამედ მათ დიქტატორ პრეზიდენტ მილოშევიჩს. ზოგჯერ მათი დემაგოგია ზღვარდაუდებელი ცინიზმის სახეს იძენს... ასე მაგალითად, დაბომბეს სერბეთის ტელევიზია, ჩახოცეს უამრავი ჟურნალისტი და მშვიდობიანი მოქალაქე და ისევ დიქტატორ მილოშევიჩს ადანაშაულებენ, ტელევიზია თავის რუპორად აქცია (არა, ამერიკას დაუწყებდა ქებას!) და თანამშრომლებს ტანჯავდა, სამ წყებად ამუშაებდაო (დამიხედეთ ამათ ჰუმანურობას! აწუხებთ ადამიანთა შრომით გადატვირთვა, მათი ამოხოცვა კი სამართლიანობად და დემოკრატიის გამარჯვებად მიაჩნიათ). ამ ამბებთან დაკავშირებით ამერიკის მექალთანე პრეზიდენტის უტიფარი და ურცხვი ახსნა-განმარტებანი უფრო ამაზრზენ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე მისი ამასწინანდელი საჯარო მტკიცება, რომ მონიკა ლევინსკისთან მას სექსუალური კი არა, ორალური კავშირი ჰქონდა. ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მასონური ძუძუთი გამოზრდილი „დემოკრატიის რაინდები“ – ამერიკელი კონგრესმენები, თავიანთი სისხლიანი დანაშაულის დასამალად მოითხოვენ მილოშევიჩის გასამართლებას. მას აბრალებენ ეთნოკონფლიქტის გაჩაღებას და ეთნიკურ წმენდას, მაშინ, რო-

ცა ამ სისხლისღვრის შემოქმედნი თავად არიან. თუმცა „მსოფლიოს არქიტექტორები“ ამ ბარბარისულ ბრძოლას ასეთ იდეოლოგიურ გამართლებას უძებნიან: ერთ მხარეს არიან სერბები, რომლებიც იბრძვიან დამოუკიდებლობისათვის, ნაციონალური სახელმწიფოს შექმნისათვის, ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის, რასაც ეწირება ეთნიკური უმცირესობის უფლებები და ყოველივე ამას ახორციელებს ნაციონალისტი დიქტატორი მილოშევიჩი. ხოლო მეორე მხარეს არის მოწინავე ევროპა, რომელიც იღვწის ინტეგრაციისათვის, ევროპის გაერთიანებისათვის, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის დამკვიდრებისათვის და ამას ახორციელებს „ნატო“. (ბუტროს ბუტროს გალი)

რა ხდება?! „მოწინავე ევროპა“ იარაღის ძალით ებრძვის ქვეყნის სუვერენიტეტს, ეროვნული სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, ანგრევს მის ტერიტორიულ მთლიანობას და ძალისძალად ამკვიდრებს დემოკრატიის და ინტეგრაციის პროცესს. გაგონილა, ძალმომრეობით მოეხვიოთ დემოკრატია რომელიმე სახელმწიფოსათვის?! გაგონილა, ბატონებო, გაგონილა! გავიხსენოთ, რაც მოხდა საქართველოში და მიხვდებით, რომ ეს ყოველივე „მოწინავე დასავლეთის“ და ამერიკის „ჰუმანიზმისთვის“ ბრძოლის ბუნებრივი ხელწერაა!

აი, ასეთია ამერიკული დემოკრატიის „სამართლიანობა“, „კაცთმოყვარეობა“ და „ჰუმანიზმი“, რაც ევროპის სახელმწიფოების ხელისუფალთა მოწონებას იმსახურებს, მაგრამ პატიოსანი მოსახლეობის დიდი ნაწილის აღშფოთებას იწვევს.

მაგრამ თავი გავანებოთ ბალკანეთის პრობლემას და ჩვენ ბედკრულ ქვეყანას მივუბრუნდეთ.

ამერიკული „დემოკრატიის“ ნამდვილი ბუნება კარგად წარმოჩნდა 1991 წელს საქართველოში დატრიალებულ მოვლენებთან დაკავშირებით. ეგონებ, საკამათო აღარ არის ის აზრი, რომ საქართველოში პუტჩის მომზადებასა და განხორციელებაში რუსეთთან ერთად ლომის წილი მიუძღვის სწორედ ამერიკის „დემოკრატიულ ძალებს“, რომლებმაც ხალხის რჩეული და სათაყვანებელი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დიქტატორად (!!!) გამოაცხადეს და საინფორმაციო საშუალებებით მთელი მსოფლიო დაარწმუნეს ამ გაუგონარ სიცრუეში. სამწუხაროდ, ეს აბსურდი, რომელიც საქმეში ჩახედული კაცის

ღიმილს იწვევს, მათი ძლიერი საინფორმაციო ქსელის წყალობით სიმართლედაა გასაღებული და დღესაც მუსირებს.

მას შემდეგ, რაც მოამზადეს იდეოლოგიური ფოხი და ზვიად გამსახურდიასგან ტირან-დიქტატორის სახე შექმნეს, საქართველოში არსებულ მეხუთე კოლონას, ერთ მუჭა ნაძირლებს რუსი ავანტიურისტების უშუალო მონაწილეობით დაამხობინეს კანონიერი ეროვნული ხელისუფლება და პრეზიდენტი.

დიქტატორობა რომ არაფერ შუაში იყო, ეს დღეს ბავშვმაც იცის. მათ ზვიად გამსახურდია განდევნეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის მკვდარი თევზივით არ დაჰყვა „მასონურ დინებას" და მის წინააღმდეგ დაიწყო ცურვა. რაში გამოიხატებოდა „დინების წინააღმდეგ ცურვა"?

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთადერთი დანაშაული ის იყო, რომ იგი აშენებდა ქართულ ეროვნულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოს. გავიხსენოთ „ბრძენი" ბუშის მიერ კიევში ნათქვამი სიტყვები: „თავისუფლება იგივე არ არის, რაც დამოუკიდებლობა". მერე მისი ქარაგმები „დამღუპველ ნაციონალიზმსა" და „ადგილობრივ დესპოტიზმზე" და ნათელი გახდება, თუ საიდან იღებს სათავეს საქართველოს უბედურება...

ერთი სიტყვით, მათ დაამხეს „არგამასონებული" პრეზიდენტი, ქრისტიანი, კაცთმოყვარე ზვიად გამსახურდია, როგორც „ადგილობრივი დიქტატორი" და დამღუპველი „ნაციონალიზმის" მქადაგებელი და მის ადგილას დასვეს „ბერლინის კედლის დამანგრეველი", „დიდი დემოკრატი" და, როგორც ირკვევა, მასონური ლოჟის საპატიო წევრი ე. შევარდნაძე. ასეთია თანამედროვე „დასავლური დემოკრატიის მართლისმოყვარეობა" — ცას მიწად ნათლავენ, დედამიწას — ზეცად, დესპოტს და სისხლით დაუოკებელს — დემოკრატ ჰუმანისტად წარმოგვიდგენენ, ხოლო სათნოს, კეთილს და მოყვასის მოყვარულს — დიქტატორად. განმკითხავი კი ქვეყნად არავინ არის!

ცნობილია, რომ ე. შევარდნაძე ადრეც, როცა პირველ კომუნისტად მოჰქონდა თავი, და ახლაც, „დემოკრატიის" გაფურჩქვნის უამს, როცა „პირველ დემოკრატად" წარმოგვიჩენს თავს, გამოირჩეოდა და გამოირჩევა „პატრონის" „დაეალების" უბადლო შემსრულებლობით. ახლაც, მისთვის ჩვეული ენერგიითა და რუდუნებით შეუდგა მასონური „დაეალების" შეს-

რულებას: ქართველთა გადაგვარება-გადაჯიშებას და ქართული სახელმწიფოს ნაცვლად „თავისუფალი ზონის“ ან, თუ გნებავთ, დერეფნის შექმნას. სადაც ქართველები კი არა, უერიოვნებო მოსამსახურე პერსონალი იცხოვრებს. მას რომ ჰკითხოთ, ახლა იგი ხელებდაკაპიწებული დღე-ღამეს გარჯით ასწორებს. მართლაც და, დიდად ირჯება, მაგრამ არა ქართული სახელმწიფოს ასაშენებლად...

რა „დამსახურება“ მიუძღვის დღევანდელ რეჟიმს ქართველი ერის და ქართული სახელმწიფოს წინაშე, ამაზე უკვე ბევრი დაიწერა და მეც არაერთგზის გამომითქვამს ჩემი აზრი. ამიტომ ამჯერად ამ დამანგრეველი მრუდის მხოლოდ მნიშვნელოვანი ეტაპობრივი მომენტების გახსენებას დავჯერდები:

ა) მან გააჩაღა შუღლი ქართველთა შორის. განსაკუთრებით გაიმეტეს სამეგრელო, რომელიც ბარბაროსულად რამდენიმეგზის დალაშქრეს, ამავე დროს, იდეოლოგიურ ბრძოლას აწარმოებდნენ მის წინააღმდეგ. ამ რეგიონის დათრგუნვა დღესაც გრძელდება, რომლის აშკარა გამოხატულებაა მურმან ლებანიძის ლექსები – შემკეთიც და შემსრულებელიც გაცხადებულია: ყოფილი მილიციონერი ასრულებს მილიციის ყოფილი შეფის ნებას. მათი მიზანიც ნათელია!

ბ) აფხაზეთში დაიწყეს ყოვლად გაუმართლებელი ომი, რასაც მოჰყვა საქართველოს ამ ძირძველი რეგიონის ფაქტობრივი დაკარგვა. შიდა ქართლიც გასხვისებულია. ჯავახეთში სწორედ ე. შევარდნაძის დროს დაიწყო სეპარატისტული მოძრაობა. ყველაფერი კეთდება აჭარის პროვოცირებისთვისაც. მიზანი ნათელია – საქართველოს ერთიანი სახელმწიფოს დაშლა „ჯუჯა-ჯუჯა“ სახელმწიფოებად.

გ) ქართველი მოსახლეობის მორალურად და სულიერად დათრგუნვა, რაც პირნათლად შეასრულეს ჯერ სხვადასხვა „საძმოებმა“, მხედრიონელებმა და გვარდიელებმა, მერე კი ფორმიანმა ყაჩაღებმა.

დ) გაიყიდა და გაჩანაგდა საქართველოს მატერიალური თუ სულიერი სიმდიდრენი – რისი გაზიდვაც შეიძლებოდა, გაზიდეს, რისიც არა – ადგილზე გაყიდეს. როცა აღარაფერი დარჩა, მოინდომეს ქართველი ერის სულიერი საგანძურის გატანა საზღვარგარეთ, კერძოდ ამერიკაში. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა მოჰყვება ამ მზაკვრულ ჩანაფიქრს.

ე) მიზანმიმართულად დაანგრიეს სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. უმუშევრობამ ისეთი საყოველთაო ხასიათი მიიღო, რომ საფრთხის წინაშეა ხალხის სიცოცხლე. მოსახლეობა თვეობით ელოდება პენსიებს თუ ხელფასებს.

ვ) გამიზნულად და გეგმაზომიერად გაძარცვეს ქართველი მოსახლეობა. ჯერ შემნახველი სალაროების, მერე სახელმწიფო თუ კერძო ბანკების მეშვეობით ისე გაღლიტეს ხალხი, რომ უკანასკნელი კაპიკიც არ დაუტოვეს.

ზ) ამ ფიზიკური თუ ეკონომიკური დაბეჩავებით გამოიწვიეს ქართველი კაცის მორალურ-სულიერი დეგრადაცია. მხოლოდ ერთეულთა ხვედრია ხორციელების დათრგუნვით და ფიზიკურის გვემით სულიერების შენარჩუნება და რწმენის განმტკიცება. როგორც წესი, ადამიანი დიდი ეკონომიკური შეჭირვების ჟამს ცთუნდება და უზნეობის ჭაობში ეფლობა. მით უმეტეს, როცა ამისკენ უბიძგებს ხელისუფლება, „რჩეული ინტელიგენცია“ და ხელისუფლების ხელში მყოფი პროპაგანდის თითქმის ყველა საშუალება.

ერთი სიტყვით, საქართველოს დღევანდელი ხელისუფალნი ყოველნაირად ცდილობენ ფიზიკურად დაბეჩავებული ქართველი კაცი სულიერადაც გატეხონ, წაბილწონ მისი სამყარო, შეურყიონ რწმენა, დააკარგვინონ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანის სახე და გათქვიფონ ეკუმენიზმის, ვითომცდა, პროგრესულ მიმდინარეობაში, რომელიც სინამდვილეში მასონურ–პოლიტიკურ ზრახვათა რელიგიური საბურველი გახლავთ. ხოლო ეს ყოველივე მიმართულია ქართული ეროვნული ცნობიერების მოსაშთობად, ქართული ტრადიციების მოსასპობად, ქართულ სულიერ ღირებულებათა გასანადგურებლად და ქართული სულის დასამდაბლებლად, რასაც საბოლოოდ უნდა მოჰყვეს ქართველი ერის და საქართველოს მოსპობა!

ამიტომაც არის, რომ დღეს საქართველოს ე. წ. ხელისუფალნი თავგამოდებით ებრძვიან ქართული ეროვნული გრძნობების ყოველგვარ გამოვლენას; აბუჩად იგდებენ ქართულ ცნობიერებას, პროვინციულ ფაშიზმად აცხადებენ პატრიოტულ შემართებას; მეტიც, სამშობლოს სიყვარულს დანაშაულად უთვლიან ადამიანებს, მათ საპყრობილეში ჰყრიან და, რაც ერთობ საგულისხმოა, საქართველოს მტრობას, ქვეყნის მოღა-

ლატეობას, ტერორისტობას და კიდევ ათასგვარ სისულელეს აბრალებენ. ერთი სიტყვით, ერის მოძულენი და დამაქცეველნი ჭეშმარიტ პატრიოტებს და მამულიშვილებს სამშობლოს ღალატის ბრალდებით ასამართლებენ. ეს უკვე არც სასაცილოა და არც სატირალი! ამ გაუკუღმართებას, ალბათ, გონება ვერ შეაფასებს, ენა ვერ იტყვის, კალამი ვერ აღწერს!

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი: პუტჩის შემდგომ ყველაფერი გაკეთდა, რათა ქართველი თავისსავე სამშობლოში ლტოლვილად ქცეულიყო, თავისი საცხოვრისი და ქვეყანა დაეტოვებინა და უცხოეთში გადასახლებულიყო, ეკონომიკურად გაჩანაგებულიყო; სულიერად და მორალურად დაბეჩავებულიყო; თავისი ეროვნება დაევიწყებინა, ქართველობაზე ხელი აეღო; საქართველოს სახელმწიფო დაშლილიყო, აღგვილიყო პირისაგან მიწისა...

ჩვენი ქვეყნის ისტორიული გზა ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი. უარეს და უმძიმეს დღეშიც ვყოფილვართ, მაგრამ, ეგონებ, პირველი შემთხვევაა, როცა ხელისუფლება საკუთარ ხალხს საკუთარი ხელით შეგნებულად და განზრახ ყელს სჭრიდეს, მეთოდურად ანგრევდეს და სპობდეს სახელმწიფოებრიობის საძირკვლებს.

ქართველთა გადაგვარების, გადაჯიშების და ქართული სახელმწიფოს ნგრევის პროცესი შემთხვევითი არ გახლავთ, იგი მართულია და წარმოადგენს აუცილებელ შემადგენელ ნაწილს იმ მასონური გენერალური გეგმისა, რომელიც „ახალი წესრიგის“ მიხედვით მსოფლიოს გადანაწილებას წარმოადგენს. ამიტომაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ეს არ გახლავთ ლოკალური, ოდენ საქართველოს „აღშენებისთვის“ დამახასიათებელი სპეციფიკა, იგი მსოფლიო ხალხების გადაჯიშების, ერთ მასად ჩამოყალიბების თეორიას წარმოადგენს და „მსოფლიო არქიტექტორთა“ დიდი გარჯის წყალობით „ახალი მსოფლიოს“ განვითარებას უდევს საფუძვლად.

აკი, დაწყებულია კიდეც ევროპულ სახელმწიფოთა ინტეგრაცია, გაერთიანება: აღარ არსებობს საზღვრები, შემოდის ფულის ერთიანი ერთეული, უნდა შემოიღონ ერთმმართველობა; ეს უკვე მაუწყებელია იმის, რომ ევროპის სახელმწიფოების ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების პროცესი სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. დროთა განმავლობაში ენობრივი ბარიე-

რის მოსახსნელად გამოცხადდება ერთი სახელმწიფო ენა, თანდათან მოისპობა ამა თუ იმ ხალხის ეროვნული ცნობიერება, მათი ტრადიციები, ნაციონალური კულტურა, სულიერ სამყაროთა თავისთავადობა და ნაცვლად გერმანიისა, საფრანგეთისა, ესპანეთისა, ინგლისისა და სხვა ქვეყნებისა, შეიქმნება ერთი ევროსახელმწიფო, რომლის მცხოვრებნიც გერმანელები, ფრანგები, ესპანელები, ინგლისელები კი არ იქნებიან, არამედ ერთიანი ევროპული სახელმწიფოს მოქალაქეები. აქედან კი ერთი ნაბიჯია მსოფლიო მოქალაქეობამდე, რომელიც თანამედროვე „დემოკრატიული აზროვნების და მორალის“ საუკეთესო შედეგს წარმოადგენს და იდეალური ვარიანტია „ახალი წესრიგის“ განსაზორციელებლად.

დღევანდელი გაგებით მსოფლიო მოქალაქე, უპირველეს ყოვლისა, გაფილტრულია ეროვნული გრძნობებისაგან, მისთვის უცხოა სამშობლოს ცნება. მას არ გააჩნია ეროვნული გრძნობა, ტრადიციებისადმი ერთგულება, წინაპართა პატივისცემა. ყველაფერს უყურებს მომხმარებლის თვალით, ეაჯრის სული ბატონობს მასში; არად დაგიდევთ მოყვასის და, საერთოდ, ადამიანის სიყვარულს; მას არ აქვს რწმენა უფლისა, ერთგულება სჯულისა; მისთვის უმთავრესია მატერიალური დოვლათი და ფული; ამავე დროს ის „დემოკრატიული თავისუფლებით“ ირჯება. იგი თავისუფალი პიროვნებაა, მისთვის უცხო ხილია ყოველგვარი ზნეობრივი ნორმა. იგი ფლობს ეშმაკის კვერთხს – ფულს და რაც სწადია და როგორც სწადია, იმას ისე იქმს. ის არის ურჯულო არსება, რომელსაც არც კი გაეგება – რა არის ადამიანის უმთავრესი ღირსება. მოკლედ, მსოფლიო მოქალაქე შეგნებულად იეიწყებს იმას, რაც ადამიანს ადამიანად აქცევს და ეთაყვანება იმას, რაც მას ცხოველთან აიგივებს.

ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: ვის რად სჭირდება ადამიანის ასეთი გადაგვარება თუ გაცხოველება?

ის სჭირდებათ „დემოკრატიულად მოაზროვნე“, მსოფლიოს ახალ ბატონებს, რომლებსაც სურთ მსოფლიო ერთ დიდ საეაჯრო მოედნად აქციონ. ასეთი მოქალაქეები მათ ხელს ვერ შეუშლიან მსოფლიოს საეაჯრო ბაზრად გადაქცევაში. პირიქით, ხელსაც შეუწყობენ, რადგანაც მათი მთავარი მიზანი ფულის შოვნაა, ამისათვის კი ყველაზე სასურველი ადგილი

ბა'ხარია. ამასთანავე, გაცხოველებული ადამიანი ძალზე ადვილი საბართავია და თუკი მას გაწვრთნი, ჩაიდენს ნებისმიერ სისაძაცლეს.

ყოველივე ის, რაც მოგახსენეთ, დღეს რეალობად არის ქცეული და ის ძალაც გაცხადებულია, ვინც ამ ეშმაკისეულ ექსპერიმენტს, ღმერთის წინააღმდეგ ბრძოლას ახორციელებს.

სხვათა შორის, ერების გათქვეფის, ერთ რასად გადაქცევის ტენდენცია ადრეევე შეიმჩნეოდა. თავის დროზე ფრიდრიხ ნიცშე აღნიშნავდა, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას, წიგნიერ და წერილობით ურთიერთობას, უმაღლესი კ'ულტ'ურის ერთიანობას, საცხოვრებელი ადგილისა და სახლების სწრაფ ცვლას, „მომთაბარე" ცხოვრებას – ყველა ამ პირობას გარდა'უვლად მიეყავართ ნაციების დასუსტებისა და, საბოლოოდ, მათი მოსპობისაკენ. ასე რომ, ყოველი მათგანის მ'უდმივი შეჯვარების შედეგად უნდა წარმოიშვას ევროპული რასა – რასა ევროპელი ადამიანისა... ხოლო ამ მიზნის მიღწევას, ცნობიერად თუ გა'უცნობიერებლად, ეწინააღმდეგება ნაციების განკერძოება ნაციონალური მტრობის გაღვივებით... ამასთანავე, ფილოსოფოსი აღნიშნავს, რომ „ებრაელების პრობლემა" მხოლოდ ნაციონალ'ურ სახელმწიფოთა ფარგლებში იჩენს თავს, რადგანაც მათი აქტიურობა და მაღალი ინტელიგენტობა, გონების კაპიტალი და ნებისყოფა იწვევს შურს და სიძ'ულვილს. ამიტომაც მიიჩნევენ მათ შინა თუ გარე უბედურების მიზეზად, აქცევენ განტევების ვაცად და სჯიან. ხოლო როცა გვექნება არა „ნაციების კონსერვაცია", არამედ შეიქმნება ახალი შერე'ული რასა, ებრაელობაც ისეთივე სასურველი და საჭირო ინგრედიენტი იქნება, როგორიც სხვა ნაციონალ'ური ნაშთი.

ფრიდრიხ ნიცშეს ამ მსჯელობიდან აშკარაა, რომ, ჯერ ერთი, ერების გაერთიანების ტენდენცია ადრეევ გამოიკვეთა და იგი შეგნებ'ულად, ხელოვნ'ურად იყო შექმნილი. მეორეც, ამ გაერთიანების ტენდენციის ძირითადი ხელის შემშლელი იყო ნაციონალიზმი, რომელიც ასევე „ლახავდა" ებრაელების ინტერესებს. და ბოლოს, ახალი „რასის" შექმნა ხელს აძლევდათ „დაჩაგრულ" ებრაელებს, რათა მომხდარიყო „ზეეროვნ'ულ", ახალ რასაში მათი სრულფასოვანი დამკვიდრება.

აქედან ძნელი არ არის გავიგოთ, თუ ვის აწყობდა ეროვნე-

ბათა გადაჯიშების პროცესი და ვინ წამოიწყო ეს ანტიეროვნული ლაშქრობა.

დღეს კი, როცა ამ ძალებმა მკვიდრად მოიკიდეს ფეხი სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებში და ხელთ იგდეს მსოფლიო კაპიტალის უდიდესი ნაწილი, ათასგვარი მაქინაციებით თუ ფულის უხვი დაბანდებით მათთვის სასურველ პირთ ჩააბარეს მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს მმართველობა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სამხედრო პოსტები, ეკონომიკურ-ფინანსური ბერკეტები, საინფორმაციო საშუალებანი. მათ გაუჩნდათ მსოფლიოზე გაბატონების პრეტენზია და მისი ახლებურად გადაწყობა-გადანაწილების სურვილი. ეს არის, ასე ვთქვათ, სხვადასხვა მასონურ ლოჟებსა და ოკულტურ-პოლიტიკურ სექტებში მოკალათებულ იუდეველთა ლაშქრობა ღვთით შექმნილი ერების წინააღმდეგ. ეს გახლავთ ანტიქრისტეს მოვლინება დედამიწაზე და მისი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა ქრისტიანობისა თუ სხვა სარწმუნოების წინააღმდეგ: ან ქვეყნად დარჩებიან ერები და სამყარო ათასგვარი ფერით იციალებს, ან აშენდება ბაბილონის გოდოლი და ერთი შაეი ფერი გაბატონდება. რას დავარქმევთ ასეთ ქვეყანას – თავისუფლების თუ დემოკრატიის სავანეს, – აღარ ექნება მნიშვნელობა, რადგან იგი ძირშივე ანტიდემოკრატიული, თავისუფლებისა და თავისთავადობის, ბუნების ბუნებრიობის შემმუსვრელი გახლავთ.

და რადგანაც ანტიქრისტეს მხედართა ამ ბოროტისეულ ლაშქრობას, მათი ვერაგული ჩანაფიქრის განხორციელებას ყველაზე მეტად ხელს უშლის ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი, ამიტომაც დღეს ეს ცნებები გამხდარა განქიქების და საშინელი ლანძღვის ობიექტი. მეტიც, პატრიოტულ გრძნობას, სამშობლოს სიყვარულს ნაციზმის, ფაშიზმის სახელით ნათლავენ და დანაშაულად უთვლიან ადამიანს. ამ ანტიეროვნულმა პროპაგანდამ იმ მასშტაბებს მიაღწია, პატიოსანი ადამიანი იმ ზომამდე მიიყვანა, რომ მას ეშინია სამშობლოს სიყვარულზე გულწრფელად საუბარი, იგი მალავს ბუნებრივ სიამაყეს თავისი ერის მდიდარი კულტურისა და სულიერ ფასეულობათა გამო. მაგალითად, დღეს გერმანიაში ჭეშმარიტი ინტელიგენტი გერმანელები უფრთხიან ამ თემაზე საუბარს, ეშინიათ ფაშისტობა და ნაცისტობა არ დააბრალონ. ეს არც

არის გასაკვირი, რადგანაც ასეა მიმართული პროპაგანდის ბორბალი. მეტიც, იქ დღეს მკირეწლოვანის გაუპატიურებისა და მოკვლისთვის ისე არ იდევნება კაცი, როგორც პატრიოტული გრძნობის გამოვლენის გამო. აი, სადამდე დავიდა გოეთეს და ბეთჰოვენის საშობლო!..

ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ დღეს საქართველოში მასონობაზე დამყნობილი და გახარებული „ხეები" ეროვნულ-პატრიოტულ გრძნობებს ფაშიზმად ნათლავენ, პატრიოტებს ქვეყნის მოღალატეებად აცხადებენ, აბუჩად იგდებენ მდიდარ ქართულ კულტურას და ტრადიციებს, თაკილობენ ყოველგვარ ქართულს და ბრმად ეთაყვანებიან ევროპულსა თუ ამერიკულს, „თანამედროვე სტანდარტებით" აზროვნებენ და აშენებენ ისეთ სახელმწიფოს, უფრო მართებულად, ისეთ ზონას, სადაც „მსოფლიო მოქალაქეები" იცხოვრებენ და არა ქართველები. მათ სურთ უქართველო საქართველოს შექმნა, მაგრამ, რადგანაც უქართველო საქართველო ერთგვარი ნონსენსია, ამიტომაც მალე სახელს გადაარქმევენ და ოდენ „მოქალაქეთა კავშირს" უწოდებენ.

დაბადების და პირადობის მოწმობებსა თუ პასპორტში ეროვნების რეკვიზიტის და მამის სახელის ამოღებაც სწორედ ამ სატანური ზრახვით არის ნაკარნახევი და ის ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს დემონტაჟის ერთ-ერთი ბოლო რგოლია, ერთი ჭანჭიკი, რომლის მოხსნაც აუცილებელია ქვეყნის სრული ნგრევისათვის. და თუ ამ, ერთი შეხედვით უმნიშვნელო პრობლემას ზემოთ წარმოდგენილი მსჯელობის ფონზე განვიხილავთ, ის არც თუ უმნიშვნელო აღმოჩნდება. ის კიდევ ერთხელ ნათლად ამჟღავნებს დღევანდელი ხელისუფლების ანტიეროვნულ პოზიციას და ქმედებას.

ყოველივეს, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი მიზანდასახულობით და გეგმაზომიერად ახორციელებენ: ჯერ წაგვართვეს ტერიტორიები, უფრო სწორად, ისინი გაგვისხვისეს, მერე წაგვართვეს სარჩო-საბადებელი, მერე – ფიზიკური ჯანმრთელობა, ამის შემდგომ – სულიერება, სათნოება, ზნეობა, რწმენა. გვართმევენ ეროვნებასაც და შორს აღარ არის ის ჟამი, როცა წაგვართმევენ ენას და, საერთოდ, მამულსაც!

სამწუხაროდ, ქართველთა ეს სავალალო პერსპექტივა უარყოფით ემოციებზე კი არ არის აღმოცენებული, არამედ არც

თუ შორეული წარსულის, გარდასული მოვლენათა ობიექტური ანალიზისა და მომავლის ფხიზლად ჭვრეტის შედეგია.

ახლა ისიც გავიაზროთ, თუ ვინ უჭერს მხარს ეროვნული რეკვიზიტის გაუქმებას და როგორ ამართლებენ ისინი თავიანთ პოზიციას.

ის ფაქტი, რომ ამ იდეას მხარს უჭერს წითელი ინტელიგენცია, უფრო მართებულად, „ელიტური ნაღები" (ასე უწოდებენ საკუთარ თავს!), თავისთავად ბევრის მთქმელია. სწორედ მათ მოამზადეს იდეოლოგიურად სამხედრო-კრიმინალური გადატრიალება (რა თქმა უნდა, გარეშე ძალების კარნახით) და დაამხეს ეროვნული ხელისუფლება. ამას კი რაც მოჰყვა, დღეს ყველასათვის ცხადია: მოისრა და დაიქცა მთელი საქართველო. ფიზიკურად და სულიერად განადგურდა ქართველი ხალხი. იმ ახალგაზრდებმა, ვისაც თოფი ასროლინეს, არც კი იცოდნენ, რას სჩადიოდნენ და რა მოჰყვებოდა ამ „ჯიგიტობას". მაგრამ ამ სულგაყიდულებმა ყოველივე კარგად უწყოდნენ, მათ, ვითომცდა „დემოკრატიის" დამყარების მიზნით, დაანგრიეს ეროვნული, დამოუკიდებელი სახელმწიფო და ამიტომაც ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ისინი არიან სისხლის სამართლის დამნაშავენი და თავიანთი სამშობლოს გამყიდველნი.

დიახ, ისინი საბჭოეთის მიერ კარგად გაწვრთნილი, სკვნის ტაკიმასხარები და „კალმოსნები" არიან, რომელთა მთელი შემოქმედება და ნააზრევი მხოლოდ სხვათა დაკვეთის აღსრულება, სხვათა დაკრული სალამურზე მანჭვა-გრეხვაა. და სწორედ ჩვენი საზოგადოების ეს მართლაც გამორჩეული წარმომადგენლები — ჭაბუა ამირეჯიბი, კახი კავსაძე, ნანა ჯორჯაძე, ნონა გაფრინდაშვილი, ილიანე ხაინდრავა, ლევან ღვინჯილია, ლადო ჭანტურია, ლევან ალექსიძე, გია მურღულია, მიხეილ ნანეიშვილი, მარიამ ლორთქიფანიძე, მერაბ კოკოჩაშვილი, თემურ ბაბლუანი და სხვ. შეკრებილან და „შამულიშვილური" პოზიციებიდან დაუწყიათ ამ პრობლემების გარშემო მსჯელობა („ახალი თაობა", №14, 1999, 13 თებერვალი).

გადააელეთ თვალი ამ ჩამონათვალს და დარწმუნდებით, რომ ყველა ეს პიროვნება (იშვიათი გამონაკლისის გარდა) მართლაც გამორჩეულია სწორედ თავისი ანტიეროვნული პოზიციით, გამორჩეულია ქართველი ხალხის სიძულვილით, გა-

მორჩეულია „პუტინისტობით“, გამორჩეულია იმითაც, რომ სისხლის კალო დააყენეს საქართველოში. სწორედ მათი დიდი უარჯით დაიწყო საქართველოს ნგრევა და ახლა მათივე დიდი მცდელობით გეირგვინდება ჩვენი ქვეყნის დედამიწის პირისაგან აღგვის პროცესი.

თავისთავად ცხადია, თუ რა პოზიციას დაიჭერდნენ „გამორჩეულთა შორის გამორჩეულნი“. იმთავითვე ერთი ნათელი იყო – ისინი ერის სასიკეთოს არაფერს გადაწყვეტდნენ. და აი, გამოსულა ჭაბუა ამირეჯიბი და მისთვის ჩვეული ბრიყვული თვითდაჯერებულობით უბრძანებია, რომ პირადობის მოწმობაში ეროვნულობის შეტანა წმინდა წყლის პოპულიზმი და ბნელეთის მოციქულების წამოწყებული კამპანიაა.

და ამას აცხადებს ადამიანი, რომლის ქცევასაც უმეტეს შემთხვევაში სწორედ ეშმაკი წარმართავს. აბა, სხვაგვარად როგორ ავსხნათ მისი ცხოვრების ის „გამორჩეული“ ფაქტები, რომლებიც საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია, მაგრამ მაინც მსურს აქ გავიმეორო:

„ქართველმა კლასიკოსმა“ იმ ქართველს, რომელმაც დააპურა, გაათბო და ფეხი დაბანა, თავში რკინა უთავაზა, გააგორა და თავად მისი საბუთები მიითვისა.

ეშმაკი შეჩენიაო, იტყვის ქართველი კაცი ასეთ ადამიანზე.

ამ „ქართველმა დისიდენტმა“ წერილობით დაასმინა ჭეშმარიტი დისიდენტი ალეკო მელაძე და, ფაქტობრივად, სასიკვდილოდ გაიმეტა. თანაც მაშინდელი ცკ-ის მდივნისადმი მიწერილ საჩივარში იმის შეხსენებაც არ დაავიწყდა, რომ მისი სახელის გახმაურება საქმეს არ წაადგებოდა...

ეშმაკი შეჩენიაო, იტყვის ქართველი ასეთ ადამიანზე...

„ქართველი მწერალი“ სხვის ნაწარმოებს ითვისებს და თავისად აცხადებს. ცხოვრებაში კი ამ ნაწარმოების მთავარი გმირის ანტიპოდად გვეელინება, ანუ ყველა იმ ზნეობრივ ნორმას უგულებელყოფს, რითაც გამშვენიერებულია გმირის სული...

ეშმაკი შეჩენიაო, იტყვის ქართველი ასეთ ადამიანზე...

საქართველოს ეკონომიკის, უფრო მართებულად, საკუთარი აგარაკის აღშენების ქომაგი თავგამოდებით იცავს ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანის იდეას, სავსებით არ ადარდებს, რა უბედურებას უქადის კავკასიონის კიდევ ერთი გაბურღვა საქართველოს ბუნებას თუ დამოუკიდებლობას. იცავს და თავსაც იწონებს.

ეშმაკი შეჩენიაო, იტყვის ქართველი ასეთ ადამიანსე...

ეს „ქართველი პატრიოტი" იდეოლოგიურად ამზადებს სამხედრო გადატრიალებას, ფაქტობრივად, ასრულებს საქართველოს მტრების ნებას და სხვებთან ერთად მონაწილეობს დამოუკიდებელი საქართველოს დაქცევაში, სისხლისღვრასა და ქართველთა ამოწყვეტაში.

მეორე „სახელოვან ქართველს" ნიდარ ლომოურსაც საინტერესო „სიბრძნე" გადმოუფრქვევია. თურმე, ნუ იტყვით, „რეკვიზიტის ჩაწერა ეროვნული სეპარატიზმის (!) აღორძინებას შეუწყობს ხელს და ამით სხვა ეროვნების წარმომადგენლებს სტიმული მიეცემათ, რათა განსაკუთრებულ პოზიციაში იგრძნონ თავი".

ასეთ კაცზე იტყვიან, როგორც ჭრის, ისე კერავსო: ჯერ ერთი, ნ. ლომოურს, როგორც ისტორიკოსს, უნდა მოეხსენებოდეს, რომ ნაციონალური სეპარატიზმი ეროვნების რეკვიზიტის ჩაწერა-ჩაუწერლობით კი არ ღვივდება, არამედ იმ სახელმწიფოთა ხელშეწყობით, რომელთაც ის ემსახურება და მლიქნელობის ენით ლოკავს.

მეორეც, ეთნიკური უმცირესობანი დღეს საქართველოში მართლაც „განსაკუთრებულ პოზიციაში" არიან და არა იმიტომ, რომ მათ პასპორტსა თუ პირადობის მოწმობაში ეროვნება უწერიათ, არამედ დღევანდელი ხელისუფლების ანტიეროვნული და ზედმეტად ინტერნაციონალური პოზიციის გამო.

დღეს საქართველოში ქართველი იჩაგრება მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველია, ხოლო სხვა ეროვნების წარმომადგენლები უპირატესობით სარგებლობენ მხოლოდ იმიტომ, რომ უცხოტომელები არიან. მსგავს ვითარებას დედამიწის ზურგზე ვერსად ნახავთ. მოწინავე, ევროპული ქვეყნები მკვეთრად მიჯნავენ მკვიდრი და არამკვიდრი მოსახლეობის უფლებებს და ამ უკანასკნელთა ქმედების არენას მკაცრად ზღუდავენ. ისე, ნ. ლომოურს, როგორც საბერძნეთის ისტორიაში ჩახედულს, შევახსენებ, რომ ჯერ კიდევ პლატონი და არისტოტელე ხაზს უსვამდნენ უცხო ტომელის შეზღუდული უფლებების სამართლიანობას. დღევანდელ საქართველოში კი ყველაფერი თავდაყირა დგას ისევ და ისევ ნ. ლომოურის და მის მსგავსთა წყალობით. ახლა კი იმ მიზნით, რომ ეს გაუგონარი მკრეხელობა დამალონ, „ევროპული სტანდარტების" მოშველიებით ლამობენ ეროვნული განსხვავების მოსპობას.

მაგრამ სხვას რას უნდა ელოდე ნ. ლომოურისგან?! – „თავისუფალი მორალის“ ადამიანისგან, რომელმაც არ იცის, რომ მეხობლის და მეგობრის ცოლს ხელი არ უნდა ახლო; მედროვე მეცნიერისგან, რომლის მეცნიერული „ობიექტურობა“ წინასწარ არის განსაზღვრული ხელისუფლებისაგან; მკაცრი და შეუვალი პარტკომისგან, რომელიც სასმახურიდან დათხოვნით ემუქრებოდა ყველას, ვინც მიტინგებში მიიღებდა მონაწილეობას; ისტორიკოსისაგან, რომელიც ქაქუცა ჩოლოყაშვილს ლანძღავდა და ყანაღად აცხადებდა; „დემოკრატისაგან“, რომელიც მოუწოდებდა იარაღით დაემხოთ ერთვნული ხელისუფლება; დირექტორისაგან, რომელმაც გაანიავა ქართული ხელოვნების საგანძური; მოღვაწისაგან, რომელიც ნიადაგ ანტიეროვნულ პოზიციაზე იდგა სიტყვით თუ საქმით! თუმცა რატომ გვიკვირს ეს ყოველივე, ის ხომ ხორცით კომუნისტია, ხოლო სულით – ქართველთა მოძულე.

დადგება დრო და სამართალი პურს ჭამს. ნ. ლომოურს ქართველები გაასამართლებენ, როგორც მეცნიერს, რომელიც პოლიტიკური კონიუნქტურის გამო აყალბებდა საქართველოს ისტორიას და ანტიქართულ იდეებს ყალბი მეცნიერული ობიექტურობით ამტკიცებდა; გაასამართლებენ, როგორც მუზეუმის დირექტორს, რომელმაც გაყიდა ერის კუთვნილი საგანძური; გაასამართლებენ, როგორც „პუტჩის“ ერთ-ერთ სულისჩამდგმელს, საჯაროდ რომ მოუწოდებდა ახალგაზრდებს იარაღი აეღოთ და დაემხოთ კანონიერი ხელისუფლება... ეს მან თავადაც კარგად იცის, ამიტომაც ცდილობს, ტყავიდან ძვრება, რომ როგორმე მოაშთოს ეროვნული ცნობიერება, პატრიოტული შემართება, „პროვინციულ ფაშიზმად“ რომ გამოაცხადა მისმა „დამპურებელმა“ შევარდნაძემ.

კიდევ მრავალ „გამორჩეულს“ უსახელებია თავი ამ შეკრებაზე: „მწვანეების“ მოყვარულ იურისტ ლორიას უბრძანებია, რომ, თურმე, „სახელმწიფო არ აძლევს ეროვნებას. იგი აძლევს მოქალაქეობას. ეროვნული დიფერენციაცია არ შეიძლება. მოქალაქეობა ხელს შეუწყობს იმას, რომ ყველა ეროვნება, რომელიც საქართველოში ცხოვრობს, დაუმორჩილოს საქართველოს სახელმწიფო კონსტიტუციას და კანონს!“ როგორც ჩანს, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს მწვანე გადაეფარა თვალებზე და გონებაზეც, თორემ როგორ დავიჯერო, რომ ასეთ ტიტუ-

ლოვან კაცს საკუთრებით არ გააჩნია ლოგიკური მსჯელობის უნარი: ერთი, სახელმწიფო რომ ეროვნებას არ აძლევს ადამიანს და აძლევს მოქალაქეობას, ეს საკუთრებით ბუნებრივია. მაგრამ სახელმწიფომ არც ეროვნება უნდა წაართვას ადამიანს. ასე რომ, არავინ სთხოვს სახელმწიფოს ეროვნება მიანიჭე მავანსო, არამედ, პირუკუ, ღვთით ბოძებულ ეროვნებას ნუ წაართმევ. და, უბრალოდ, აღუნიშნე, რა ეთნიკური წარმომაველობის არისო. ამაზეა საუბარი და არა რაღაც ეროვნებათა მიცემ-მინიჭებაზე, რაც თავისთავად აბსურდია. მეორეც, საკუთრებით გაუგებარია, რას გულისხმობს იგი, როცა ამბობს, „ეროვნული დიფერენციაცია არ შეიძლება". თუ გულისხმობს იმას, რომ ეროვნების მიხედვით ადამიანები და ხალხები არ უნდა განსხვავდებოდნენ ურთიერთისგან, ეს არის მკრეხელური აზრი, რომლის გამოც ღვთისა და ერის წინაშე „სამართალმცოდნემ" პასუხი უნდა აგოს. ხოლო თუ სხვაგვარ დიფერენციაციას გულისხმობს, რასაც ერთი ნაციონალობის მიერ მეორეს ჩაგვრა მოჰყვება, ასეთი რამ დღევანდელ დასავლეთში უნდა ეძებოს და არა საქართველოში, სადაც, როგორც უკვე მოგახსენეთ, ქართველები უფრო შევიწროებულნი არიან, ვიდრე უცხოტომელნი. ხოლო თუ ის დაჩაგრული ქართველების გამო ზრუნავს, მაშინ ეროვნების რეკვიზიტის ჩაწერა-არჩაწერაზე კი არ უნდა იმტვრიოს თავი, არამედ არსებული რეჟიმის შეცვლაზე. დაბოლოს, მას, როგორც იურისტს, უნდა ესმოდეს, რომ დღეს ყველანი, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, განურჩევლად ეროვნებისა, უნდა დაემორჩილოს საქართველოს კონსტიტუციას და კანონს. და თუ ამას არ იქმნიან, ისინი დამნაშავეებად უნდა გამოცხადდნენ და მოიკვეთონ ქვეყნიდან.

კიდევ ერთ „გამორჩეულთა" შორის „რჩეულ" ქართველს, ივლიანე ხაინდრავას ისტორიული ექსკურსისათვის მიუმართავს და დაუიმედებია ქართველი ხალხი: „ქართველობა, როგორც ეროვნება, შეეინარჩუნეთ მონღოლების, სპარსელების ბატონობის დროს. მაშინ ეროვნება არ იყო ჩაწერილიო". ჯერ ერთი, იგი ცრუობს. მაშინ პასპორტი, მართალია, არ იყო, მაგრამ საეკლესიო წიგნში ყოველთვის იწერებოდა ადამიანის ეროვნება. მეორეც, მაშინ ეროვნება ჩაბეჭდილი იყო ქართველთა ცნობიერებაში, რის მოშთობასაც დღეს ლამობენ მისნაირი ვაიქართველები. მესამეც, მაშინ მტერი გაცხადებული იყო და

მას ებრძოდა მთელი ქართველობა. ახლა კი მტერი შეფარვით მოქმედებს და მას ხელს უწყობენ გამყიდველი ქართველები, რომლებიც საკმაოდ მომრავლდნენ ამ ბოლო დროს და, რაც მთავარია, მაშინდელი უზენაესი ხელისუფალნი დიდად განსხვავდებოდნენ დღევანდელი მოღალატე და ანტიეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლებისგან, რომლებიც თავიანთი პირადი კეთილდღეობისათვის ყოველ ნაბიჯზე ჰყიდიან ქართველი ხალხის ინტერესებს. ასე რომ, ამ ისტორიული ექსკურსით დემოკრატმა რესპუბლიკელმა ვერ დაგვამშვიდა. ამ პრობლემის გადასაჭრელად არც იმას აქვს მნიშვნელობა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას სხვა ეროვნების ხალხმაც დაუჭირა მხარი (ეს უფრო ქართველთა ტოლერანტულ ბუნებაზე მეტყველებს!). ბატონ ივლიანეს აქვე „სრულიად სასაცილოდ და უაზროდ მიაჩნია" არა თუ ეროვნების ჩაწერა, არამედ პარლამენტის დადგენილება იმის თაობაზე, რომ იგი ქართველად არ მიიჩნიონ!..

კი მაგრამ, რა აცინებს ბატონ ივლიანეს. ის რომ ნამდვილი ქართველი არ არის, ამას პარლამენტის დადგენილება რად სჭირდება?! ის ხომ დედით ებრაელია, ხოლო ებრაელთა ადათის მიხედვით, დედით ებრაელი ებრაელად ითვლება. თუ ჩემი არ სჯერა, ჩავიდეს ისრაელში და თავად დარწმუნდება, სასწრაფოდ რომ უბოძებენ მოქალაქეობას...

როგორც ჩიტკორესპონდენტი თამარ ნინიძე გვაუწყებს, რომლის ტვინის უჯრედებს კოსმოპოლიტური ბაცილა მოსდებია, ასეთ პოზიციას გამოხატავდა „გაფართოებულ სხდომაზე მოწვეული საზოგადოების უმეტესი ნაწილი".

და ეს სავსებით გასაგებია, რადგანაც აქ სწორედ ის „გამორჩეული საზოგადოება" იყო, რომლის ერთადერთ დამსახურებად ქართული სახელმწიფოს დანგრევა და ეროვნული ცნობიერების მოშთობა შეიძლება მივიჩნიოთ მხოლოდ.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა „გაფართოებული სხდომის" „გამორჩეული საზოგადოების" შესახებ, მაგრამ ამჯერად ამის საჭიროებას ვერ ეხედავ. თუმცა ზემოგანხილული ინფორმაციის ავტორის თამარ ნინიძის „ბრძნულ" დასკვნაზე მაინც უნდა ვთქვა ორიოდ სიტყვა: მედროვე ჟურნალისტი „ობიექტური" პოზიციებიდან მოძღვრავს არა მარტო თავის კოლეგებს, არამედ მთელ ქართველ საზოგადოებას:

„საბოლოო ჯამში ქართველთა ცნობიერებაში ნეოფაშისტურმა მისწრაფებებმა კი არა, არამედ ცივილიზებულმა დამოკიდებულებამ უნდა გაიმარჯვოს“.

ახლა მას რომ ავეხსნა, რა არის ფაშიზმის და ნეოფაშიზმის არსი, მაინც ვერაფერს გავაგებინებ, რადგანაც ეს სერიოზული საკითხია, ხოლო იგი, ჩანს, ამისათვის ჯერ უმწიფარია. ისე კი, ამ „გამორჩეული საზოგადოების“ გასაგონად ვიტყვი: **ნეოფაშიზმი ის კი არ არის, რომ ღვთით გაჩენილმა ერებმა თავიანთი ეროვნულობის შენარჩუნებისათვის იღვაწონ, რაც არის უკეთილშობილესი გრძნობა საკუთარი ერის სიყვარულისა. ნეოფაშიზმი, თანაც ყველაზე უარესი, ის გახლავთ, როცა ხალხს ეროვნებას ართმევ და ამით მთელ ერს დამარხვას უპირებ ცოცხლად.** ფაშისტები ცალკეული ნაციის წარმომადგენლებს კი ხოცავდნენ, მაგრამ მათ არც ერთი ერი ცოცხლად არ დაუმარხავთ. დღეს ამას „დემოკრატიის“ სახელით იქმს მასონური იდეოლოგია და მისი არქიტექტორი ანტიეროვნული ძალები!

კიდევ ვინ იკლავს თავს ამ იდეის ხორცშესასხმელად?

ვინა და – „სუკ“-ის მიერ ხელდასხმული ცრუ დისიდენტები და ცრუ მამულიშვილები, დრო და დრო მოჩვენებით პატრიოტულ გრძნობებს რომ აფრქვევენ და ხალხს ჭეშმარიტ მამულიშვილებად აჩვენებენ თავს, სინამდვილეში კი ანტიეროვნულ ძალებთან ფარულად არიან გარიგებულნი. ახლა ერთ-ერთი ასეთის, სუკის ნაცადი „დისიდენტისა“ და მეცნიერის გურამ მამულიას ნააზრევს უნდა შევეხო, რადგანაც იგი, სხვებთან შედარებით, ფართოდ მსჯელობს და თანაც „მეცნიერულ დონეზე“ ცდილობს პრობლემის ახსნას („დრო“, 1999, №37).

იგი „სიბრძნის“ იმდენ „მარგალიტს“ აბნევს და თანაც ისეთი თვითდაჯერებულობით, რომ ძალიან ადვილად უბნევს გონებას ფართო მკითხველს. მაგრამ საკმარისია მისეულ „მეცნიერულ ლოგიკას“ ფხიზელი თვალით შევხედოთ, რომ უმალვე დავრწმუნდებით მის აბსურდულობაში. უპირველეს ყოვლისა, ის აცხადებს, რომ ადრე, შუა საუკუნეებში „ეროვნება რელიგიური თემის კუთვნილების მიხედვით ისაზღვრებოდა, ანუ ქართველად ითვლებოდა ის, ვინც მცხეთის ეკლესიაში მოინათლებოდა. შემდეგ ცნება „ქართველი“ გაფართოვდა და მან კათოლიკე და მაჰმადიანი ქართველებიც მოიცვა“. და ასე მომ-

ხდარა 1909 წელს (!!!). როცა უდის ეკლესიაზე წარწერით დააფიქსირეს, რომ აღმშენებელთაგან 525 მუსლიმი ქართველი ცხოვრებულა... ცოტა ქვემოთ კიდევ, კორესპონდენტის კითხვაზე, „რა არის ერი", ის პასუხობს: „ერის განსაზღვრა, კონკრეტულად გამოჰყო, თუ მას ნიშნად რა უდევს, რთულია, მაგალითად, სომეხი გეტყვის, სომეხი ის არის, რომელიც გრიგორიანულ ეკლესიას ეკუთვნის. სხვა აღმსარებლობის პირს, თუნდაც წარმოშობით სომეხს, სომხად არ თვლის (!). ასევე ფიქრობენ ბერძნებიც, ამიტომაც არის, რომ საბერძნეთში მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიაა (?!)".

როცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ამგვარ მსჯელობას კითხულობს კაცი, უპირველეს ყოვლისა, აოცებს მისი უმეცრება და მსჯელობის უსუსურობა, მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით მის ლოგიკას, დაერწმუნდებით, რომ ეს უფრო საიდუმლო დაწესებულებებში საიდუმლოდ გამოწრთობილი „დისიდენტი მეცნიერის" ვირეშმაკობა და მზაკვრობაა, ვიდრე გულუბრყვილობა და უცოდინარობა.

ჯერ ერთი, დავიჯეროთ, რომ ისტორიკოსს, მეცნიერებათა დოქტორს უჭირს ერის ძირითადი ნიშნების გამოყოფა და წარმოდგენა არა აქვს მათზე? მას შეიძლება მიხაკო წერეთლის ნაშრომები არ ჰქონდეს წაკითხული, მაგრამ მისი ბუნების კაცს რომ სტალინის ჩანაწერები არ ჰქონდეს გადაკითხული, ამას ვერ ვირწმუნებ. საქმე ის გახლავთ, რომ მას ხელს არ აძლევს ამ ნიშნებზე საუბარი. წინააღმდეგ შემთხვევაში, თავისი მთავარი აღმოჩენა „სახელმწიფო ერის" შესახებ ჰაერში გამოკიდებული რჩება. მეორეც, ის აშკარად ცრუობს, როცა გვაუწყებს, რომ სომხობას – გრიგორიანული ეკლესიის კუთვნილება, ბერძნობას – მართლმადიდებლობა განსაზღვრავს და არა წარმოშობაო. სომხები და ბერძნები უძველესი ისტორიის ხალხებია და მათი „ეროვნულობა" გაცილებით ადრე ჩამოყალიბდა, ვიდრე ისინი „გრიგორიანობას" და „მართლმადიდებლობას" ეზიარებოდნენ. გ. მამულიას მსჯელობით გამოდის, რომ დიდი სომხეთის სახელმწიფო სომეხთა არ ყოფილა, ხოლო სოკრატეს, პლატონს და არისტოტელეს ბერძნები ბერძნებად არ თვლიან. მეტიც, თუ ბერძნები ეროვნულობას ოდენ მართლმადიდებლობით განსაზღვრავენ, მაშინ ქართველებიც ბერძნები ყოფილან და კიდევ აოასგვარი სულელური

აზრი შეიძლება მოიყვანეს მამულიასეულ „აღმოჩენას“. გარდა ამისა, დღეს ხომ ასიათასობით სომეხი თუ ბერძენი რელიგიურობით არ გამოირჩევა, მაგრამ, აბა შეუძახოს მათ გ. მამულიამ, არ ხართ ბერძნები და სომხებიო და რასაც გამორჩება, მერე თავის თავს დააბრალოს.

მან, როგორც ისტორიკოსმა, კარგად იცის, ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდეს, რელიგია (ანდა მხოლოდ რელიგია) არასოდეს ყოფილა ეროვნების ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი (ერთგვარ გამონაკლისს შეიძლება წარმოადგენდნენ ებრაელები, რომლებმაც თავიანთი ეთნიკური თვითმყოფადობა რელიგიის აღმსარებლობას დაუკავშირეს). ცეცხლთაყვანისმცემლობის, ბუდიზმის, ქრისტიანობის, ისლამისა და სხვა რელიგიების ისტორიის მცირედი ცოდნაც არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ მამულიასეული „თეზა“ გავიზიაროთ. ბერძნებს, ქართველებს და რუსებს, მიუხედავად იმისა, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ, ერთ ერად არასოდეს შეუცვნიათ თავი, არც არაბებს, სპარსელებს და თურქებს დაუკარგავთ ეროვნება, თუმცა ბრმად მორჩილნი იყვნენ ისლამისა. მით უმეტეს, არც ჩინელების თუ იაპონელების ეროვნულ თავისთავადობას გაჩენია ბზარი ბუდიზმის გამო. ეს გახლავთ ისეთი ჭეშმარიტება, რომ მასზე ყურადღების შეჩერება არც კი უნდა გვიხდებოდეს.

მაგრამ ახლა მიეუბრუნდეთ გურამ მამულიას მთავარ დასკვნას: „ქართველად ითვლებოდა ის, ვინც მცხეთის ეკლესიაში მოინათლებოდა“. ვგონებ, მას იუმორის გრძნობა არა აქვს, მაგრამ მაინც მინდა ეკითხო: რაო, ბოლნისის სიონში მონათლულნი ქართველებად არ ითვლებოდნენ?! გ. მამულიას უნდა მოეხსენებოდეს, რომ კაცის მონათვლა ქრისტეს გზაზე დადგომას ნიშნავდა ყოველთვის და არა ეროვნების აღიარებას. თვით ჰაგიოგრაფებიც, რომელთა უმთავრესი მიზანი იყო რელიგიური აგიტაცია და მოწამის იდეალის შექმნა, ქართველ მოწამეთა გალერეაში მოხვედრილ წმინდანებსაც არ უკარგავდნენ ეროვნებას. იაკობ ხუცესი მოწამე შუშანიკის შესახებ ხაზგასმით წერს, რომ იგი იყო „ასული ვარდანისი, სომეხთა სპასპეტისაი“. ხოლო იოვანე საბანისძე არაერთგზის აღნიშნავს, რომ ჰაბო იყო „უცხო უცხოითა შჯულითა, არაბიელთა თესლი, მამულად და დედულად“. ცხადია, ადრეულ

შუა საუკუნეებშიც კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ეროვნულობა რელიგიური ნიშნით არ განისაზღვრებოდა და ეროი და იგივე სარწმუნოება სხვადასხვა ერებს შეიძლება ჰქონოდათ. იგივე იოვანე საბანისძე წერს: „რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოება ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩვენცა. შორიელთა ამათ მკვიდრთა“.

ასე რომ, ერის განმსაზღვრელი უმთავრესი ნიშანი სწორედ ეთნიკური წარმომაველობა იყო. ხოლო, რაც შეეხება 1909 (!) წლის უდეს წარწერას, რომლის შემდგომაც მოხდა თურმე, მამულიას მტკიცებით, „ეროვნულობის განმსაზღვრელი რელიგიური ნიშნის“ მოშლა და „ჩვენი ეროვნული კონსოლიდაცია არა რელიგიური ნიშნით, არამედ კულტურულ-ისტორიული პროფილით“ წარიმართა. ამიტომაც „უდეს მოვლენა“ ჩვენი ეთნიკური განვითარების დიდი წარმატებაა“. უნდა შევნიშნოთ, რომ „უდეს მოვლენა“ ისე არ უნდა აცვიფრებდეს ქართულ საზოგადოებას, როგორც თავად გ. მამულიას „მოვლენა“, თავისსავე მოჩმახულ სისულელეებზე რომ აგებს საკუთარ „რკინისებურ“ მსჯელობას და თავადვე რჩება აღტაცებული!

ჯერ ერთი, როგორც უკვე აღვნიშნე, ქართველთათვის მხოლოდ რელიგია არც როდის ყოფილა ეროვნულობის განმსაზღვრელი, თუმცა ქრისტიანობა დიდად ადგებოდა ქართველებს ქართველობის შენარჩუნებაში, მაგრამ ისიც უდავოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი მართლმადიდებელი იყო თუ „რჯულშეცვლილი“ კათოლიკე, ქართველი ერისთვის ყოველთვის ქართველი იყო და ქართველად დარჩება. ასევე საყოველთაოდ ცნობილია, რომ სპარსეთში გადასახლებულმა ფერეიდნელმა ქართველებმა, მიუხედავად იძულებითი გამუსლიმებისა, საუკუნეთა განმავლობაში შეინარჩუნეს ქართველობა, ქართული სული და ხასიათი და ისინი ჩვენთვის ყოველთვის იყვნენ და დარჩებიან ქართველებად. აღარას ვამბობ აჭარლებსა და თურქეთში მცხოვრებ გამუსლიმებულ ქართველებზე, რომლებიც თავიანთი ცნობიერებით გაცილებით უფრო ღირსეული ქართველები არიან, ვიდრე „სუკელი ისტორიკოსი“. თუმცა გ. მამულია შემეპასუხება და მეტყვის, მეც „უდეს მოვლენით“ სწორედ ამიტომ ვარ „აღფრთოვანებულიო“. მაგრამ შევახსენებ, რომ მისი აღტყინება ცრუა, რადგანაც იგი ისტორიის შეგნე-

ბულ გაყალბებაზეა აღმოცენებული. თუ რატომ იქმს ამას ერის „ბედზე დაფიქრებული მეცნიერი“, ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ. ოღონდ აქვე დავსძენ, რომ ადამიანის სიბეცესაც აქვს საზღვარი. ისტორიკოსმა ის მაინც უნდა იცოდეს, რომ „უდეს წარწერა“ გადმოგვცემს იმ თვალსაზრისს, რაც მანამდე უკვე ძალზე დიდი ხნის წინათ არსებობდა საქართველოში და არა ამ წარწერის შემდგომ (თითქოს იგი კონსტიტუციური დადგენილება იყოს!) დაიწყო ქართველი ერის კონსოლიდაცია „ისტორიულ-კულტურული პროფილით“. ქართველი ერის ჩამოყალიბება დასაბამიდანვე ისტორიულ-კულტურულ ჭრილში ვითარდებოდა. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რელიგიაც ხომ ამ ჭრილში მოიაზრება. განა შეიძლება ჭკუათმყოფელმა ეს ფაქტი საეჭვოდ და საკამათოდ გახადოს?! მაგრამ გურამ მამულია მართლაც რომ გამორჩეული მოელენაა და „აღმოჩენებიც“ გასაოცარი აქვს.

კიდევ ერთი აღმოჩენა: „ჩვენ აღზრდით ვართ ქართველნი და არა რელიგიური ნიშნით ან დაბადებითო“, – აცხადებს გ. მამულია თავმომწონედ, თუმცა ამ აზრის ნოვატორობას ის ვერ დაიჩემებს! რელიგია რომ ეროვნების განმსაზღვრელი ძირითადი ნიშანი არ არის, ამაზე უკვე მოგახსენეთ. ეს გ. მამულიას სცოდნია, მაგრამ ჩვენ ისტორიას ყალბად იმიტომ წარმოგვიჩენდა, რომ იმდროინდელ ქართველთა ეროვნული ცნობიერების დაბალი დონე ეჩვენებინა. მაგრამ „უდეს წარწერის“ შემდგომ ქართველები გონს მოსულან და განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასულან. დღეს კი სასურველია უფრო მაღალ საფეხურზე ავინაცვლოთ. საჭიროა უფრო ევროპულად მივუდგეთ ამ პრობლემას. ამიტომაც მნიშვნელობა არა აქვს ჩვენს წარმოშობას, გენეტიკურ წარმომავლობას, ვისი გორისანი ვართ. ჩვენ დაბადებით კი არ ვართ ქართველნი, არაძედ აღზრდით. ჩანს, იგი სავსებით უარყოფს გენეალოგიას, გვარიშვილობას, ჯიშს, ოჯახიშვილობას და ა. შ. მისი მოსაზრებით, დედა შეიძლება ებრაელი გყავდეს, მამა – სომეხი, ანდა პირიქით, მაგრამ საკმარისია, ქართულად გაიზარდო და სრულყოფილი ქართველი იქნები. მართალია, აღზრდას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ცნობიერების ჩამოყალიბებისათვის, ის, თუ რა გარემოში იზრდები და რა კულტურას ხარ ნაზიარები, ბევრად განსაზღვრავს ადამიანის თვისება-

ხასიათს. მაგრამ კაცი ხომ იმ გენეტიკურ წრედში ტრიალებს, შეიაბომბავლობით რომ შიიღო. ის, მისდაუნებურად, ამ გენეტიკური კოდის მარეარებელია. ამიტომაც ზანგი, რაც უნდა ქართულად აღზარდო, ზანგად დარჩება. ვერც კანის ფერს შეიცვლის. ვერც სპეციფიკურ სუნს, ვერც თანდაყოლილ ფიზიკურ მონაცემებს და გონებრივ შესაძლებლობებს. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ქართველი რომ იყო, უპირველესად ქართველად უნდა დაიბადო, მერე კი ქართველად აღიზარდო. ეს არის მარადიული ჭეშმარიტება, რომელსაც ვერავითარი პოლიტიკური მანიპულაციებით ვერ შებღალავ! სომეხად დაბადებული და ქართველად აღზრდილი კაცი არც სომეხია და არც ქართველი, გაორებული, დაკომპლექსებული პიროვნებაა, ბუნება რომ ერთს კარნახობს, ხოლო გონება – მეორეს. ასევე ქართველად დაბადებული და სხვა ტომთა მიერ გადაჯიშებული, ვთქვათ ისეთი, როგორიცაა გ. მამულია, დაბადებით ქართველი, მაგრამ არაქართული ცნობიერებით აღზრდილი, კიდევ უფრო უარესია. ასეთი პიროვნებები კი ყველაზე საშიშნი არიან, სიცრუის მორევში ჩაფლულნი, რა დროს რას მოიმოქმედებენ, არავინ უწყის...

განა გურამ „სუკელმა" არ იცის, რომ ეროვნებას და, საერთოდ, წარმომავლობას ადამიანისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი, ალბათ, ვერ უარყოფს ცხოველის ჯიშს, ვერ უარყოფს მცენარის სახეობას, მაშ, ადამიანის და ერის გენეტიკურ წარმომავლობას რატომღა უარყოფს?! ძაღლის თავიც აქ მარხია. ჯერ ერთი, მასონური იდეოლოგიის მთავარი მიზანი სწორედ ის არის, რომ შექმნას „ახალი ადამიანი", რომელიც გენეტიკურ-ეთნიკურ ფესვებს მოწყვეტილი იქნება და მოკლებული ყოველგვარ „ისტორიულ მახსოვრობას". ერთი სიტყვით, მათ უნდათ უჯიშო, უეროვნებო ადამიანის გამოძერწვა, რომელიც ინკუბატორში გამოყვანილი სახეობა იქნება. ამიტომაც ცდილობენ ერთგვარი „სოციალური პრიუტები" შექმნან და იქ თავისი იდეოლოგიით აღზარდონ მოზარდნი.

მეორეც, მამულიას უმთავრესი მიზანიც სწორედ ის არის, რომ ეროვნების და, თუ გნებავთ, ერის განმსაზღვრელი არსებითი ნიშანი – ეთნიკური წარმომავლობა, რადაც არ უნდა დაუჯდეს, მიჩქმალოს, მიაფუჩეჩოს, რათა თავის „ახალ თეორიას ახალი ტიპის ეროვნების" შესახებ, რომელსაც იგი „სა-

ხელმწიფო ერის ეროვნების" უწოდებს, გაამართლება მოუძებნოს. მაგრამ იგი სამჯერაშვილია და არა ქრისტე, მკედარი რომ გააცოცხლოს...

თუმცა, დავუბრუნდეთ გ. მამულიას „მეცნიერულ განსჯას". მისი ფიქრით, „დღევანდელი ცივილური (!) ერები"... ევროპა და, უპირველეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატები, მეცხრამეტე საუკუნიდან ყალიბდებოდნენ როგორც სახელმწიფო ერები. მამულიას „აღმოჩენით", დაახლოებით ამ დროსვე განათებიათ გონება ქართველებსაც და ერის ცნების გაგების ახალ საფეხურზე ასულან!!!

კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს „სახელმწიფო ერი"?

მარტივად შეიძლება გავიგოთ ისე, რომ ეს არის ერი, რომელსაც საკუთარი სახელმწიფოებრიობა აქვს. მაგრამ ნუ აეჩქარდებით, ასე მარტივად არ სჯის გ. მამულია. მისი განმარტებით, „სახელმწიფო ერი" ნიშნავს იმას, რომ პიროვნებისთვის ეთნიკურ წარმომაელობას მნიშვნელობა არა აქვს. მისთვის სახელმწიფოებრივი მრწამსია მთავარი, ანუ რომელ სახელმწიფოს ეკუთვნის". და ამ საინტერესო „აღმოჩენას" ბუნებრივად მიეყავართ კიდევ უფრო განმაცვიფრებელ ახალ „აღმოჩენამდე" – მსოფლიოში „ახალი ტიპის ეროვნება" – „სახელმწიფო ერის" ეროვნება იბადება. ეს კი სხვას არაფერს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ „ქართველი" არის ქართველი არა ეთნიკურად, არამედ – პოლიტიკურად. მარტივად რომ ვთქვათ, მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას – რუსი ხარ, სომეხი თუ აზერბაიჯანელი, მთავარია, საქართველოს სახელმწიფო კანონებს და პოლიტიკას იზიარებდე და შენ უკვე არა მარტო საქართველოს მოქალაქე ხარ, არამედ „ეროვნებითაც" ქართველი – ახალი ტიპის ქართველი ბრძანდები.

ამ აბსურდული აზრის დასამტკიცებლად გ. მამულიას ღიმილისმომგვრელი მაგალითი მოჰყავს: ფეხბურთში მსოფლიოს ახალი ჩემპიონის – საფრანგეთის ნაკრებში ეთნიკური ფრანგი სულ რამდენიმე ყოფილა. „მაგრამ საფრანგეთის დიდებისათვის განა სენეგალელმა ზანგმა ნაკლები გააკეთა, ანდა არაბმა ზიდანმა?" – კითხულობს იგი და იქვე პასუხობს: „ისინი საფრანგეთის პატრიოტები არიან, პოლიტიკურად არიან ფრანგები" (საფრანგეთის ნაკრების ფეხბურთელები, უპირველეს ყოვლისა, პროფესიონალები არიან. მათ ნაკრების წევ-

რობისათვის სოლიდური თანხა ეძლევათ და ამიტომ იკლავენ თავს და არა „პოლიტიკური მრწამსის“ გამო! ისე კი, ბატონ მამულიას ამ ნაკრების წევრის ჯორკაევის სატელევიზიო გამოსვლისათვის რომ მოესმინა, მაშინ შეიძლება ერწმუნა, თუ რიგორ უყვარს მას სომხეთი და როგორი პატრიოტია თავისი სამშობლოსი!).

ახლა მე ვკითხულობ, ჰგავს ყოველივე ეს მეცნიერის მსჯელობას, ანდა თუნდაც ნორმალური ადამიანის აზროვნებას? ეფიქრობ, არა. მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ის „პოლიტიკურ დაავალებას“ ასრულებს და, რადაც არ უნდა დაუჯდეს, ცდილობს შეაკოწიწოს ისეთი ეროვნულობის ცნება, რომელსაც ყველაფერი შეიძლება უწოდო, გარდა ეროვნულობისა. ამიტომ იძრომიალა ისტორიის წიაღში, არ მოერიდა ფაქტების გაყალბებას, თავისივე გამოგონილი სიცრუის საძირკველზე ტყუილის ლოდები დაახვავა, რათა აეგო ისეთი უაზრო ხუხულა, რომელიც სხვა, დამშვიდებულ დროსა და დაწყნარებულ ქვეყანაში ოდენ ღიმილს მოგვრიდა კაცს. მაგრამ ახლა, როცა საქართველოს უმოწყალოდ ანგრევენ, ის ყურითმოთრეული და ყალბი არგუმენტებით ცდილობს ამ ნგრევას იდეური გამართლება მოუძებნოს. აი, ესაა საგანგაშო. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რას გვაუწყებს ის: „ადრე ეროვნების განმსაზღვრელი რელიგია იყო (!!!), შემდეგ ეს ცნება გაფართოვდა, სხვა აღმსარებლობები მოიცვა (!!!), ახლა კი პროცესი უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა, ანუ ჩვენ, როგორც პოლიტიკური ერი ვყალიბდებით... სომეხი, აზერბაიჯანელი, ქურთი... მოვიდეს, ჩემს სამშობლოს ემსახუროს, მოქალაქეობას მივცემ და ის პოლიტიკური ქართველი გახდება“.

ძნელია, მასინი „სუკელი არქიტექტორის“ მიერ შეგნებულად გაყალბებულ ლაბირინთში გზის გაგნება, მაგრამ, თუ მივუხვდი ზრახვას, მას სურს:

ა) სახელმწიფოს და ერის ცნებები გააერთმნიშვნელიანოს, უფრო მართებულად, გააერთიანოს ისე, რომ ერმა დაკარგოს მნიშვნელობა და თავისთავადობა;

ბ) ეროვნულობას და მოქალაქეობას შორის იგივეობის ნიშანი დასვას, როცა სახელმწიფოს მოქალაქეობა სავსებით უგულებელყოფს ნაციონალურ წარმომაელობას;

გ) პოლიტიკური მრწამსით შეცვალოს ეროვნული ცნობიე-

რება, როცა ამა თუ იმ სახელმწიფოს ცხოვრებაში მონაწილეობა და მისი კანონებისა თუ პოლიტიკური კურსის გაზიარება უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ შენ ამ სახელმწიფოს ძირეული ერის წარმომადგენელი ხარ;

დ) გენეტიკური, ეთნიკური წარმომაველობა სავსებით უგულებელყოს და იგი სახელმწიფოს წარმომადგენლობით და პოლიტიკური თანამოაზრეობით შეცვალოს.

სხვა რომ აღარაფერი ვთქვა, ეს არის ყოველივეს თავდაყირა დაყენება და შეგნებული აღრევა, როცა ცნებებს თავის პირველად მნიშვნელობას აცლიან და ხელოვნურად ახალ გაგებას ანიჭებენ. მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც უკვე ვთქვი, ეს აბრაკადაბრა ბრიყვული აზროვნების ნაყოფი კი არ არის, არამედ თანამედროვე მსოფლიო მასონური დემოკრატიის სახელმწიფოებრივი არსის ამსახველია. გ. მამულია ამ შეკვეთის მხოლოდ შემსრულებელია. მართალია, უნიჭო, მაგრამ თავგამოდებული და ტიპიური. ამიტომაც ურიგო არ იქნება, თუ ერცლად განვიხილავთ მისეული ლოგიკის საყრდენებს.

უპირველეს ყოვლისა, ის ვთქვათ, თუ რა არის ერის განმსაზღვრელი არსებითი ნიშნები.

ერი არის რთული „ცოცხალი ორგანიზმი", რომელიც წარმოიშობა და ევოლუციურად ვითარდება გაერცობილ დროში, მრავალ საუკუნეს რომ ითვლის, მაგრამ ერთიან, გარკვეულად დასაზღვრულ „სივრცეში". იგი წარმოიქმნება „ეთნიკურ-გენეტიკურად" მონათესავე ტომების გაერთიანების ხანგრძლივი პროცესის შედეგად, რასაც საერთო „ისტორიული" ცხოვრება აპირობებს: იქმნება საერთო მატერიალური თუ სულიერი ფასეულობანი, ყალიბდება საერთო ტრადიციები და ზნე-ჩვეულებანი, ფეხს იკიდებს საერთო საკომუნიკაციო ფენომენი — ენა, რომელიც სპეციფიკური აზროვნების ჩამოყალიბებას ედება საფუძვლად და თანდათან იქმნება ერთი საერთო „კოლექტიური" ცნობიერება, ეროვნულ ცნობიერებად რომ აღვიქვამთ. და აი, ეს გენეტიკური თუ სისხლისმიერი ერთიანობა, ერთიანობა სულისა, ამოზრდილი საერთო რწმენის, კულტურისა და ზნეობიდან, ერთიანობა ისტორიისა, როცა ათასგვარი ქარცეცხლი ერთად გაქეს გამოვლილი; ერთიანობა ტერიტორიისა, სადაც ცხოვრობდნენ შენი წინაპრები, სადაც ცხოვრობ შენ და სადაც იცხოვრებენ შენი შთამომავალნი; ერთიანობა

ადაი-ჩვეულებისა. ზნეობრივი პოსიციისა აყალიბებს საბოლოოდ განსაზღვრულ ეროვნულ ხასიათს, მოდელს, რომელსაც შეტ-ნაკლებად ესადაგებიან ეროვნული ინდივიდები. იმ"შავებს საერთო „კოლექტიურ", ეროვნულ ცნობიერებას, მახსოვრობას და ეროვნულ გრძნობას, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის სიყვარული.

ცხადია, ერის, ეროვნული ცნობიერებისა და გრძნობის ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს რელიგიასაც და სახელმწიფოსაც, როგორც სტრუქტურულ წარმონაქმნებს, რადგანაც ისინი ხელს უწყობენ (ყოველ შემთხვევაში, უნდა უწყობდნენ) და განსაზღვრავენ ეთნიკური კონსოლიდაციის და გაერთიანების პროცესს. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნე, არც რელიგია და არც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არ შეიძლება ერის განმსაზღვრელ უმთავრეს ნიშნად მივიჩნიოთ, თუნდაც იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ადვილი შესაძლებელია, ერთი ეროვნების ადამიანები სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები იყვნენ და, მეორეც, განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე ერმა შეიძლება დაკარგოს სახელმწიფოებრიობა, მაგრამ როგორც ერი, განაგრძობს არსებობას და იარსებებს მანამ, ვიდრე თავის ეთნიკურ ფესვებს არ მოწყდება, არ დაივიწყებს ენას, არ მოიშთობს ეროვნულ ცნობიერებას, არ დაინლუნგებს ისტორიულ მახსოვრობას და უარს არ იტყვის თავის სულიერ ფასეულობებზე. ამის სარწმუნოდ თუნდაც სომხეთის ისტორიის გახსენება კმარა, რომელსაც გვიანდელ შუა საუკუნეებში არ გააჩნდა სახელმწიფო, მაგრამ არ დაუკარგავს ეროვნულობა და, როგორც ერი, განაგრძობდა სიცოცხლეს.

ახლა ორიოდე სიტყვით ისიც ვთქვათ, თუ რა არის სახელმწიფო. სახელმწიფო წარმოშვა ადამიანთა ცხოვრების საჭიროებამ, როცა მათ შეიცნეს, რომ ამა თუ იმ პრობლემის გადაჭრას ერთობით შეძლებდნენ (პლატონი). ის არის – არისტოტელეს სიტყვები რომ გავიმეოროთ – „თავისებური ურთიერობა – ორგანიზებული სიკეთისთვის". მაგრამ არსებობს ურთიერთობის სხვადასხვა დონეები – დაწყებული ინდივიდების და დამთავრებული სოფლებისა თუ დასახლებათა კავშირებით. სახელმწიფო კი არის ყველაზე მნიშვნელოვანი და მაღალი რანგის ურთიერთობა, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა სხვა ურთიერიობებს. სხვაგვარად, ჩვენ გვაქვს ადამიანთა სხვადასხვა სახის ურთიერთობანი, საზოგადოებე-

ბი. კავშირები... ხოლო ყველა ამ საზოგადოებას თუ კავშირს აერთიანებს სახელმწიფო, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ კავშირს.

სახელმწიფო, რომელსაც საფუძველად უდევს „პოლიტიკური ურთიერთობა" (არისტოტელე). ცდილობს, უპირველეს ყოველისა, მოაწესრიგოს ეს ურთიერთობანი და მას კანონიერი სახე მიანიჭოს. ის იცავს მცხოვრებთა უფლებებს, მაგრამ ასევე ზღუდავს მათ მოქმედებებს დადგენილი წესებით და კანონის ენით ამყარებს წესრიგს... გარდა ამისა, მას ევალება საშინაო თუ საგარეო ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარება, ადამიანთა ფიზიკური და სულიერი აღზრდა, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, უცხო ქვეყნებთან ურთიერთობა, თავისი ტერიტორიებისა და ხალხის ინტერესების დაცვა და ა. შ.

ამ ელემენტარული ჭეშმარიტების გახსენება იმიტომ მოგვიხდა, რომ ევროპუმეთათვის შეგვეხსენებინა: ერი საესებით სხვა წარმონაქმნია, სახელმწიფო – საესებით სხვა და მათი ერთ სიბრტყეზე განხილვა, მითუმეტეს, „გაერთმნიშენელოვნება" ავადმყოფური აზროვნების შედეგია. ხომ არ შეიძლება ეირი და ვეფხვი ერთი სახეობის ცხოველად გამოაცხადო იმიტომ, რომ ორივეს ოთხი ფეხი აქვს?! ასევე საესებით განსხვავებული ცნებებია: მოქალაქეობა და ერისშვილობა: თუმცა მოქალაქეს ეროვნებაც აქვს და პირუკუ, ნებისმიერი ეროვნების კაცი შეიძლება გახდეს ნებიმსმიერი სახელმწიფოს მოქალაქე, მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ამ ცნებებს პირველადი მნიშენელობა გამოვაცალოთ და ურთიერთში აღეურიოთ. არც პოლიტიკური მრწამსი ყოფილა როდესმე ეროვნული მსოფლმხედველობის იდენტური. შესაძლებელია ეროვნული ინტერესები და სახელმწიფოებრივი თუ პოლიტიკური თვალსაზრისები ურთიერთს დაემთხვეს, როცა ეროვნულ სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, მაგრამ შეიძლება პირიქითაც მოხდეს, სახელმწიფო ებრძოდეს ეროვნულ ინტერესებს. ამის მაგალითად დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოც გამოდგება. ასე რომ, სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მრწამსი თუ აზროვნება სხვაა, ეროვნული მსოფლმხედველობა და ცნობიერება კი სხვა!

საესებით ბუნებრივია, რომ ყველა ერს აქვს თავისი სა-

ხელმწიფოებრივ-პოლიტიკური ინტერესი, რომელსაც დროებისა და ვითარების შესაბამისად აყალიბებს, მაგრამ პოლიტიკურ ინტერესებს ეროვნება შეექმნას და პიროვნების ეროვნება განსაზღვროს – ეს დღემდე არავის სმენია! ამიტომაც ქართველად გამოაცხადო სხვა ეროვნების კაცი მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს რესპუბლიკის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებაში იღებს მონაწილეობას, სხვა რომ აღარაფერი ვთქვა, ანომალიაა...

არადა, რაზე გვიხდება საუბარი! ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ერთი პოლიტიკური მრწამსით და იდეით გაერთიანებული ადამიანები, მიუხედავად თავიანთი ეთნიკური წარმომაელობისა, ქმნიან პარტიებს და საზოგადოებებს. ცხადია, პარტია შეიძლება ეროვნული ინტერესების გამომხატველიც იყოს, მაგრამ ამ პარტიის წევრობა თავისთავად ვერ იქნება ეროვნულის განმსაზღვრელი. ეროვნება სხვაა, პარტია – სხვა, „შუა უზის დიდი ზღვარი". ხოლო სახელმწიფო, როგორც სხვადასხვა პარტიათა და ორგანიზაციათა უმაღლესი გაერთიანება, ვერასოდეს იკისრებს ადამიანის ემბრიონის კლონირებას და ამ მეთოდით ახალი ეროვნების შექმნას... თუმცა სულ ახლო წარსულში ამის მცდელობა გვქონდა: საბჭოთა კავშირი ცდილობდა შეექმნა ახალი ადამიანი, საბჭოთა მოქალაქე, რომლის ეროვნული თვითშეგნება უნდა შეეცვალა პოლიტიკურ მრწამსს. მართალია, მათ ვერ შეძლეს ახალი „ეროვნების" მატარებელი საბჭოთა მოქალაქის გამოყვანა, მაგრამ ის კი მოახერხეს, რომ ადამიანს სული დაუმახინჯეს და ადამიანური სახე დაუკარგეს, რის დასტურადაც თავად გ. მამულია და ძმანი მისნი გამოდგებიან.

და ის, რაც ვერ შეძლეს ბოლშევიკებმა, დღეს მის დაგვირგვინებას ლამობენ ჩვენი „დემოკრატები". მათ სურთ ააშენონ ისეთი ანტიეროვნული სახელმწიფო, სადაც მთლიანად წარეცხილი იქნება ეროვნება, დაშანთული იქნება ეროვნული ცნობიერება და მათ ნაცვლად გაბატონდება მოქალაქეობა და პოლიტიკური მრწამსი. ერთი სიტყვით, მათ სურთ ისეთი „საქართველოს" აშენება, სადაც ქართული ეთნოსი კი არ იცხოვრებს, არამედ – პოლიტიკურად გაერთიანებული სხვადასხვა ჯგუფის მასა, რომელსაც წარმართავს არა ეროვნული სული და ცნობიერება, არამედ პოლიტიკური მრწამსი და ვითარება.

ასე რომ, გ'ურამ მამ'ულიას „ახალი თეორია" „სახელმწ'იფო ერის ეროვნების" შესახებ არც ახალი და არც „ახალი ეროვ-ნების" შექმნის ახლებ'ური გაგების მომცველია; არამედ საკ-მაოდ ძველი, ოდითგანვე არსებ'ული ერების გადაშენების მ'საკ-ვრული მცდელობაა. ხოლო ტერმინი „სახელმწ'იფო ერის ეროვ-ნება", ანუ, როგორც გ'ურამ სუკელი ნათლავს: „პოლიტიკურ-ად ქართველი", რომლითაც იგი არარსებ'ული ცნების გად-მოცემას ცდილობს, იმიტომ არის შეკოწ'იწ'ებული, რომ „გაა-კეთილშობილოს", უფრო მართებულად, დამალოს ამ „თეორი-ის" ჭეშმარიტი ანტიეროვნ'ული არსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ის მოჩ'ენებით წ'ინ წ'ამოწ'ევს სიტ'ყვას – ეროვნება, როცა სინამდვილეში ამ ცნების ჭეშმარიტ შინაარსს თუ გაგებას უგულებელყოფს. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს მიზნად ისა-ხავს ქართველი ხალ'ხის დაბნევასა და გაცურებას.

ახალი მსოფლიოს მაშენებელთა ზრახვანიც ძნელი მისახ-ვედრი არ არის: პოლიტიკურ მრწ'ამსს ადამიანი ადვილად იცელის, ხოლო ეროვნ'ული თვითშეგნება საუკ'უნეების ქარტე-ხილებში გამოწ'რთობილი, ეროვნ'ული სისხლით და სულით ნასაზრდოები ისეთი კატეგორიაა, რომელსაც ადამიანის და თუ გნებავთ, ერის „გულ-გონებიდან" ერთობ ძნელად წ'არეც-ხავ. მოკლედ, იოლია ადამიანს შეუცვალო პოლიტიკური მრწ'ამ-სი და შენს ნებაზე წ'არმართო, მაგრამ მოთოკო, სასურველ კალაპოტში მოაქციო მისი ეროვნ'ული გრძნობა, – ძალზე ძნე-ლია, რადგან მისი ფესვები გ'ულსა და სულშია განტოტვილი. გარდა ამისა, „მოქალაქედ" მოქცეული კაცი ყველგან კარგად გრძნობს თავს, სადაც კი პირად კეთილდღეობას გამორ'ჩება, ჭეშმარიტ მამ'ულიშვილს კი მხოლოდ თავის სამშობლოში ეცხოვრება. ამიტომაც მას უჭირს მოსწ'ყდეს მშობლიურ მი-წ'ას. ეს კი სავსებით არ აწ'ყობთ ახალი წ'ესრიგის შემოქმედთ. მათ ბაბილონის გოდოლის ასაშენებლად სჭირდებათ მოძრავი ელემენტები, არამდგრადნი და არამყარნი.

ახლა, თუ იმ ჭეშმარიტებას გავიზიარებთ, რომ მოქალაქე-ობა ვერასოდეს შეცელის ეროვნებას, მეტიც, იმ აზრობრივი დატვირთვით, რასაც ამ სიტ'ყვას დღეს ანიჭებენ, ის ეროვნ'ულ-ის ანტითეზას წ'არმოადგენს. მაშინ საკ'ბარი „ერის კოხსო-ლიდაციის პროცესზე", გ'ურამ მამ'ულია რომ გვისინინებს, ოდენ აზრგამოშიგნ'ული სიტ'ყვების რაკ'უნია.

ასევე გაუგებარია, ეროვნულობის რეკვიზიტის შენარჩუნება რატომ ნიშნავს სხვა ეროვნების ადამიანების გამორიცხვას „სახელმწიფოებრივი პროცესიდან“ და მათი პასუხისმგებლობის შესუსტებას ჩვენი სახელმწიფოს წინაშე. ყველა პიროვნება, მიუხედავად თავისი ეროვნებისა, თუ ის საქართველოს მოქალაქეა, უნდა იღებდეს „სახელმწიფოებრივ პროცესში“ მონაწილეობას და უნდა გრძნობდეს პასუხისმგებლობას. ჯერ კიდევ არისტოტელე გვარწმუნებდა, ყველა „მოქალაქის დამოკიდებულება სახელმწიფოსადმი ისეთი უნდა იყოს, როგორც ნაწილის მთელთან“. ხოლო ვინც ამის აუცილებლობას არ ცნობს, „ის უკვე აღარ არის სახელმწიფოს ელემენტი“.

და თუკი დღევანდელ საქართველოში ამგვარი მოვლენები ინერს თავს, ეს იმის ბრალი კი არ არის, რომ ოსს, სომეხს თუ აზერბაიჯანელს პირადობის მოწმობებსა თუ პასპორტში ეროვნება უწერიათ არამედ ეს გახლავთ შედეგი იმისა, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, არ გაგვაჩნია ქართული სუვერენული სახელმწიფო, სადაც კანონის უზენაესობას აღიარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჯავახეთში სომხეთის რესპუბლიკის დროშის ფრიალს არ დაუშვებდნენ, რადგანაც ეს გახლავთ სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვა და შეურაცხყოფა, რაც საერთაშორისო კანონებითაც განიკითხება. ამიტომაც არავის გაკვირვებია ის ფაქტი, რომ ინგლისის ხელისუფლებამ რამდენიმე ესპანელს ციხეში ამოაყოფინა თავი, კუთვნილ ტეროტორიაზე ესპანეთის დროშის აღმართვის გამო.

სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ გურამ მამულიას ერთ „მარგალიტს“ მაინც უნდა შევეხო: მას თურმე სავსებით არ აინტერესებს „მოქალაქის პატრიოტული ლექსები“. ამას ის ისეთი კატეგორიულობით აცხადებს, გეგონებათ პლატონი იყოს და პოეტების რესპუბლიკიდან გაძევებას ითხოვდეს. მისთვის მთავარი ყოფილა, ვინ „როგორ ავითარებს მეურნეობას და რა გადამხდელია გადასახადის“, მეტიც, მისი აზრით, „ყველაზე დიდი პატრიოტი ის არის“, „ვინც წარმოებას ქმნის და ვისაც ბიუჯეტში ყველაზე დიდი გადასახადი შეაქვს“.

ამ ბრიყვული მსჯელობით ნათლად მეღავნდება მამულიას „მასონური კოსმოპოლიტიზმით“ გახარწნილი ბუნება. მას არ აინტერესებს პოეზია, მიოუმეტეს, პატრიოტული ლექსები, რადგან ისინი ეროვნულ ეგრძნობებს აღვივებენ. მას, ალბათ, საერ-

თოდ, არ აინტერესებს სულიერი ფასეულობანი, რადგან ისინი ეროვნულ ცნობიერებას ასაზრდოებენ, ეს კი მის მსოფლმხედველობრივ მრწამსს ძირშივე ეწინააღმდეგება.

სახელმწიფოსოვის მართლაც დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოების განვითარებას და ამ გზით ბიუჯეტის შევსებას, მაგრამ რომ იტყვიან: სად ერეკლე, სად ჯონჯოლის ხეო! სად პატრიოტიზმი და სად წარმოება, სად ეროვნული გრძნობა და სად – ფული?! ახლა ვინმე გონებადამჯდარი ადამიანი მისაყვედურებს, რამდენი ბრიყვი რამდენ სისულელესაც წამორიოშავს, განა ყველაფერს ყური უნდა უგდოო?! მაგრამ, ბატონებო, გურამ მამულიას სიტყვები კარგად გადმოგვცემს დღევანდელი „დემოკრატიული საზოგადოების“ ყოფას და მიზანსწრაფვას: პირველ არს ფული, მერმე მუცელი და ასო, დანარჩენი მეწყერსაც წაუღია! სამწუხაროდ, ასეთია დღევანდელი დასავლელი თუ ქართველი მუცელკაცუნების მორალურ-სნეობრივი მრწამსი!

დაბოლოს, გურამ სუკელს „კეთილშობილური“ სურვილი აწუხებს, მას სურს ქართველების ორი თაობა „არენდის ფორმით“ 60 წლით ამერიკას ჩააბაროს, რათა მათ დაკარგონ ლუარსაბ თათქარიძის თვისებები... ამის ძალა რომ შესწევდეს, ის მართლაც აყრიდა ქართველებს ქართული მიწიდან და ამერიკის გზას გაუყენებდა, რათა საბოლოოდ დაეკარგათ ეროვნული სახე. ვაი, ბენიავი ქართველების ავბედითობას: ნიკიტუშკა „დურაჩოკი“ ციმბირში გადასახლებას გვიპირებდა, მაგრამ გურამ სუკელჩიკი კი – ამერიკაში! რა წყალში ჩავვარდე, აღარ ვიცი!

ვიცი, როგორ არ ვიცი, გურამ სუკელი და ძმანი მისნია „პანლურის“ კერით უნდა გავაგდოთ ამერიკაში, ისინიც მოისვენებენ და საქართველოც შვებას პოვებს ამ სულგაყიდულთა გაძევებით!

კიდევ ვინ უჭერს მხარს ეროვნების რეკვიზიტის ამოღებას?

ვინ და, უკაცრავად პასუხია, კოსმოპოლიტური ნეხვისგან ახალგამომცხვარი პოლიტიკოსები, რომელთაც „სწავლა-განათლება“ უცხოეთში გაუგრძელებიათ და თავი მოაქვთ იმით, რომ ევროპულ-ამერიკულ სკოლასაც ეზიარნენ. დღემდე მრავალი რუსეთუმე გვაბეზრებდა თავს, ახლა „მოჭარბდნენ“ ევროპუმეები თუ ამერიკუმეები, ქართული არაფერი რომ არ მოსწონთ. იმის შინით, რომ მავანმა „პროვინციელად“ არ მი-

ისნიოს, თაკილობენ ქართულს და ბრმად ეთაყვანებიან ყოველივეს, რასაც თუნდაც ამერიკული ოფლის სუნი ასდის. ამიტომაც ისინი თავისი მწირი ცოდნით და „დასავლეთის სტანდარტებით" შემუშავებულ მოდელებს გეთავაზობენ და ამ თარგზე, როგორც პროკრუსტეს სარეცელზე, ჭრიან მდიდარ და თავისთავად ქართულ სამართლებრივ ნორმებს თუ სახელმწიფო მოწყობის სტრუქტურებს...

სამწუხაროდ, დღეს ასეთი ტიპის პოლიტიკოსები მრავლად არიან ასპარეზზე. აი, თუნდაც იუსტიციის უკვე ყოფილი მინისტრი და ამჟამად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე – ლადო ჭანტურია, რომელმაც, სხვათა შორის, განათლება ქალაქ გოტინგენში გაასრულა. მისი განათლების დიაპაზონის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ თავისი მსჯელობით „დაუდეგელი" იურისტის შთაბეჭდილებას ტოვებს თუნდაც იმ მცირე ინტერვიუთი, რომელიც „ალიამ" გამოაქვეყნა (იხ. „ალია", 1999, 26-27, I).

იუსტიციის ყოფილი მინისტრი იმ ფაქტს, რომ ქართველთა დიდმა ნაწილმა რეკვიზიტის ამოღებას მხარი არ დაუჭირა, ასე ხსნის: „როგორც ჩანს, ჩვენ არ ვართ მზად გავითვითცნობიეროთ, რომ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს ვაშენებთ".

აბა, საიდან ვიქნებით მზად ასეთი რთული საკითხის გასააზრებლად, ლადო ბატონო, ჩვენ ხომ გოტინგენში არ გვისწავლია და ახალი „მსოფლიო წესრიგის" საიდუმლოს არ ჩავწვდომივართ. მაგრამ, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯერ ყოფილ სტუდენტს და შემდგომში პროფესორს, ამჟამად კი გოტინგენში მცხოვრებს, რამდენიმე კითხვა დამებადა და, თუ არ განმირისხდებით, უნდა მოგახსენოთ:

როდის აქეთ გახდით „დამოუკიდებელი სახელმწიფოს" მოქალაქეები და როდის აქეთ აშენებთ „დამოუკიდებელ სახელმწიფოს"?!

მას აქეთ ხომ არა, რაც კანონიერი, ხალხის არჩეული ხელისუფლება იარაღის ძალით დაამხეთ, საქართველოს მოძულეთა კარნახით თუ უშუალო ჩარევით მოახდინეთ პუტჩი და ახლადფეხადგმული დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს საძირკვლის ნგრევას შეუდექით?!

თქვენ თუ მართლაც გსურთ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს" მშენებლობა, ამ კრიმინალური გადატრიალების შეფა-

სება უნდა მოითხოვოთ, უპირველეს ყოვლისა, როგორც სამართალდამცავმა, და არა პასპორტის „ევროპული“ ყაიდით გამართვის თეორიას გვთავაზობდეთ!..

მაგრამ, როგორც ჩანს, თქვენ ამისი დიდი სურვილი არ გაგაჩნიათ. მეტიც, უფრო დიდი უბედურება ის არის, რომ, რასაც თქვენ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ შენებას უწოდებთ, სწორედ ის არის „დამოუკიდებლობის“ გაცამტვერება. ეს ერთი, და მეორეც, თუ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ აშენებისთვის ეროვნების რეკვიზიტის ამოღება საკმარისია, მაშინ ჩვენ, დაბალი ცნობიერების მიუხედავად, ამ გრაფას შეველეოდით. მაგრამ თქვენ კარგად უწყით, მით უმეტეს, ამ „იდეის“ შემოქმედი ბრძანებულხართ, თუ რისთვის არის გამიზნული ეს „სამართებლივი“ ღონისძიება და რა შედეგები მოკყვება მას. თუმცა, თავს იკატუნებთ და ერთგვარი პატრიოტული შემართებით აქეთ გვამუნათებთ: „ეს მხოლოდ სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მიზნით გაკეთდა, რომ ჩვენ ძლიერი, დამოუკიდებელი ქვეყანა გვქონდეს. ქართული სიამაყე ჩემთვის, იცით, რას ნიშნავს? როცა სხვას ტოლფასოვნად ელაპარაკები“.

ეს რომ „სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მიზნით“ კეთდება, ამაში შეიძლება ნაწილობრივ დაგეთანხმოთ. მაგრამ თავი და თავი ის არის, თუ როგორ სახელმწიფოს ვაშენებთ. დამოუკიდებელ ქვეყანას, ეროვნულ სახელმწიფოს თუ იმ ტიპისას, რომელიც მოკლებულია ეროვნულობას, დამოუკიდებლობას და თავისთავადობას და ტერიტორიული თუ ზონალური პრინციპით გამოყოფილ გეოგრაფიულ სივრცედ გვეელინება?!

ახალგაზრდა იურისტი აშკარად ტყუილს კადრულობს, როცა გვარწმუნებს, რომ იგი „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ აღშენების მომხრეა და სურს ძლიერი, დამოუკიდებელი ქვეყანა გექონდეს. ამასთანავე, იგი „ქართული სიამაყით“ აღსავსეა, როცა „სხვას ტოლფასოვნად ელაპარაკება“...

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ეტყობა, ევროპულ განათლებას ზიარებულს, გადაავიწყდა, რა არის „დამოუკიდებელი ქვეყანა“ და, საერთოდ, დამოუკიდებლობა. მდაბიოთა ენაზე, ე. ი. იმათ ენაზე, ვისაც უცხოეთში არ გვისწავლია, ეს მარტი-

ვად ნიშნავს იმას, რომ ადამიანი, საზოგადოება, ერი თუ სახელმწიფო არ არის დამოკიდებული სხვაზე არანაირი ფორმით და თავის თავს ეყრდნობა. დღევანდელი საქართველო კი, ისევ და ისევ ჩვენს კოსმოპოლიტურად მოაზროვნე ხელისუფალთაგან დაკაბალებული, ისეა სხვათა შემყურე, რომ პირადობის მოწმობას თუ პასპორტსაც სხვათა კარნახით და მითითებით აფორმებს. ეს არის სწორედ ერთი ჩვენი უბედურება! დამოუკიდებლობის გრძნობა დავკარგეთ: ხან რუსეთს შევეცინებთ და ხან დასავლეთს, მათგან ველით მითითებებს, გვაკიწყდება, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის"!.. ასე რომ, ეროვნების, კერძოდ – ქართველობის აღნიშვნით ჩვენ სწორედ ჩვენს თავისთავადობას, დამოუკიდებლობას და ეროვნულობას ვუსვამთ ხაზს და არა – პირუკუ, როგორც ამას ჭანტურია გვსაყვედურობს.

მერმე, სხვას რომ „ტოლფასოვნად" ელაპარაკები, კი მგერის ერთგვარ სიამაყის გრძნობას, მაგრამ ამის ხაზგასმა აქ რა შუაშია?! რა, პასპორტში ეროვნება რომ გვეწეროს, ეს ხელს შეგვიშლის ვითომ სხვა ქვეყნებთან ტოლფასოვანი დიალოგის გამართვაში?! რაღაც არა მგონია.

გარდა ამისა, ტოლფასოვნების შეგრძნება, ასე რომ ეამაყება მას, საკუთარი არ ესადაგება, მეტიც, ძირშივე გამორიცხავს სხვათა, თუნდაც მოწინავე ევროპული ქვეყნების ბრმა მიმბაძველობას...

მაგრამ ევროპუმეებს და ამერიკუმეებს სხვანაირად აქვთ გონება მოწყობილი, ისინი „საერთაშორისო სტანდარტებით" აზროვნებენ, მათთვის უცხოეთია სათაყვანებელი ხატი! უცხოეთში კი, როგორც ლადო ჭანტურია გვაუწყებს, „ამ ეთნიკურ ჩანაწერს არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და ყურადღებასაც არავინ აქცევს. ეს საერთაშორისო სტანდარტებია. თუ გვინდა ნორმალური სახელმწიფო, მაშინ საკითხი ისე უნდა დადგეს, როგორც სხვა ნორმალურ ქვეყნებშია ეს მიღებული".

ლადო ჭანტურია სხვაგანაც სოფისტობს, როცა მართებულად წერს, რომ „სახელმწიფო მოქალაქის და სახელმწიფოს კავშირია", მაგრამ იქვე დიდ სიცრუეს გვაპარებს და დასძენს: „მით უმეტეს, თუ ეროვნული სახელმწიფოა, აქ გადამწყვეტი სწორედ მოქალაქეობის ნიშანია".

ჯერ ერთი, მან საუკეთესოდ უწყის, რომ დღეანდელი საქართველო არ არის ეროვნული სახელმწიფო, თუ შეიძლება მას, საერთოდ, სახელმწიფო ვუწოდოთ. ქვეყანას, სადაც ყოველგვარი ეროვნული გრძნობა იწიხლება, სადაც ეროვნული ცნობიერების ადამიანები იდევნებიან და ისჯებიან სამშობლოს სიყვარულისთვის, სადაც ადამიანთა ცნობიერებას კოსმოპოლიტური შხამით წამლავენ და ტრადიციებს აბუჩად იგდებენ, ყველაფერი შეიძლება უწოდო, გარდა ეროვნულისა!..

მეორეც, საქართველო თუნდაც სომხეთივით და აზერბაიჯანივით მონოეთნიკური ქვეყანა რომ იყოს, მაშინ კიდევ შეიძლება „მოქალაქეობის ნიშნის" წინ წამოწევა, მაგრამ ისეთ ურთულეს დემოგრაფიულ ვითარებაში, როგორიც დღეს საქართველოშია გვაქვს, ამ „იდეის" განხორციელება ქართველთა გადაშენებას უწყობს ხელს, რაც, როგორც ირკვევა, დღევანდელ კოსმოპოლიტ-დემოკრატ პოლიტიკოსთა საბოლოო მიზანიც არის.

ოღონდაც მათი მზაკვრობა ის არის, რომ თავიანთ ანტიეროვნულ მოღვაწეობას ეროვნულ საბურველში ახვევენ. მათ კარგად იციან, რომ როცა ეთნიკურ წარმომავლობას უგულებელყოფენ და მოქალაქეობის ნიშანს წინ წამოწევენ, ამით სწორედ ეროვნულობას, ეროვნულ სახელმწიფოს და დამოუკიდებლობას აცლიან ნიადაგს, მაგრამ ამის გაცხადება საჯაროდ არ სურთ. ამიტომაც ხშირად უადგილოდ ეპოტინებიან სიტყვა ეროვნულს და ერთგვარ საბურველად იყენებენ მას...

ჩვენი განსჯის ობიექტიც ასე ირჯება. თუმცა „ძლიერი და დამოუკიდებელი ქვეყნის" მაშენებელს „საერთაშორისო სტანდარტებიც" არ ავიწყდება და ბრძნულად გვაუწყებს: „უცხოეთში თურმე „ამ ეთნიკურ ჩანაწერს არავითარი სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და ყურადღებასაც არავინ აქცევს. ეს საერთაშორისო სტანდარტებია. თუ გვინდა ნორმალური სახელმწიფო, მაშინ საკითხი ისე უნდა დადგეს, როგორც სხვა ნორმალურ ქვეყნებშია ეს მიღებული".

მაინც რომელი „ნორმალური ქვეყნები" აქვთ მხედველობაში „სოფლის მაშენებელთ"?

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ამერიკა და მერე დასავლეთის სხვა ქვეყნები: ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ესპანეთი...

დავიწყოთ იმით, რომ ამ შემთხვევაში ამერიკა ყველაზე ცუდი მაგალითია: ჯერ ერთი იმიტომ, რომ, როგორც უკვე აღვნიშნე, ბუნებაში არ არსებობს ამერიკელი ერი. აშშ შექმნეს ათასი ჯურისა და ეროვნების ადამიანებმა, რომლებმაც დაიპყრეს ეს ტერიტორია და აბორიგენი მოსახლეობა ამოწყვიტეს ან რეზერვაციებში გამოამწყვდიეს. ამიტომაც ამერიკამ შეგნებულად უარყო ეთნიკური წარმომავლობა და წინ წამოწია მოქალაქეობის პრინციპი. ამით მას სურდა მკვიდრი ერის პრიორიტეტის მიჩქმალვა და იმ არეულობის თავიდან აცილება, რაც შესაძლებელია მოჰყოლოდა ახალჩასახლებულთა ეთნიკურ სიჭრელეს. ამერიკის მოსახლეობა ერად რომ ჩამოყალიბდეს, ამას ალბათ მრავალი საუკუნე დასჭირდება! გარდა ამისა, ამერიკა გახლავთ სწორედ აკვანი იმ იდეოლოგიისა, რომლის მთავარი მიზანია არა უძველესი ერის თავისთავადობის შენარჩუნება, არამედ, პირიქით – მათი გადაშენება და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გადაერება. ამიტომაც ამერიკა საერთოდ უგულებელყოფს ეროვნებას, გმობს მას, ებრძვის ეროვნული ტიპის სახელმწიფოებს (გავიხსენოთ საქართველო, სერბეთი) და მის ნაცვლად გვთავაზობს სახელმწიფოს აგების საკუთარ მოდელს, რომელშიც მოქალაქეობის პრიორიტეტი ფიგურირებს მთლიანად.

რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნებს – ინგლისს, საფრანგეთს, ესპანეთსა და მისთ., მათ პასპორტში ეროვნების რეკვიზიტის აღმნიშვნელად უწერიათ ინგლისური სიტყვა: nationality (natslonali, t t), რაც ნიშნავს როგორც ეროვნულობას, ასევე მოქალაქეობასაც. ამიტომაც, თუ ჰკითხავთ ნებისმიერ ფრანგს, ესპანელს თუ ინგლისელს ამ სიტყვის მნიშვნელობას, ის მაშინვე უყოყმანოდ გიპასუხებთ, რომ ეს ეროვნების მაუწყებელია. მეტიც, ყველა ის ადამიანი, რომელიც დაიმსახურებს ზემოხსენებულ სახელმწიფოთა მოქალაქეობას (ამის დამსახურებისათვის კი საჭიროა რთული პროცედურის რამდენიმე საფეხურის გავლა!), მექანიკურად უკვე ბრიტანელად, ფრანგად, გერმანელად თუ ესპანელად გვეელინება, მიუხედავად თავისი ეთნიკური წარმომავლობისა, ეს კი სხვა არაფერია, თუ არა – დიდი, მრავალრიცხოვანი ერის მიერ მის ტერიტორიაზე მცხოვრები მცირე ეთნიკური ხალხების შეწოვა-ასიმილაცია. განა სპარსელები, ოსმალები თუ რუსები იმისათვის

არ იღვწოდნენ, რომ როგორმე შეეწოვათ ისეთი მცირერიცხოვანი ერები, როგორიც, მაგალითად, ქართველები არიან?! განა ასეთი ქმედება მოსაწონია?!

მაგრამ დავანებოთ ახლა ამას თავი. თუ ჩვენ „დემოკრატებს“ სურთ საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ეთნიკური წარმომადგენლების გაქართველება, მაშინ, მიუხედავად იმისა, რომ პირადად მე ასეთი ასიმილაციის წინააღმდეგი ვარ, მაინც ავუბამ მხარს, რადგან სამომავლოდ ეს შეიძლება საქართველოს წაადგეს. მაგრამ „დიდი დემოკრატები“ სხვა ეთნიკური ელემენტების გაქართველებას ფაშიზმად ნათლავენ და მართლებიც არიან. ასე რომ, მათ სურთ ქართველთა გადაქართველება, გადაჯიშება და, უბრალოდ, პოლიტიკურ ცხოველებად – მოქალაქეებად გადაქცევა. კი მაგრამ, როგორ ჰგონიათ, მთელ ხალხს რომ ეროვნებას ართმევ, ეს ფაშიზმზე უარესი არ არის?! დიდად ბნელა, თუ რა ხდება მათ კოსმოპოლიტურ თავებში?!

ვთქვათ, მოხდა სასწაული და მათ მართლაც სურთ ქართული საქმისათვის გაისარჯონ. ასეთ შემთხვევაში ხომ უნდა ეყოთ გონება და განსაზღვრონ, რომ ის, რაც სხვა ერისთვის სიკეთის მომტანია, შესაძლებელია საქართველოსთვის დამღუპველი აღმოჩნდეს, და, აი, რატომ:

ჯერ ერთი, ჩვენ არ ვართ მრავალრიცხოვანი ერი, რომელიც შესძლებს ადვილად „მოინელოს“ უცხო ეთნიკური ელემენტი. ადვილი შესაძლებელია, ამ აღრევამ მთლად გადააჯიშოს ქართული რასა და ქართველმა დაკარგოს ქართველთათვის დამახასიათებელი თანდაყოლილი სპეციფიკური თვისებახასიათები. ისტორიული ექსკურსები, კერძოდ, დავით აღმაშენებლის პერიოდის გახსენება დღევანდელი ჩვენი ყოფისათვის სავსებით შეუფერებელია.

მეორეც, ჩვენ არ ვართ მონოეთნიკური ქვეყანა. მეტიც, თუ დღევანდელ დემოგრაფიულ მდგომარეობას გავიხსენებთ, სავალალო სურათი წარმოგვიდგება: მკვიდრ, აბორიგენ მოსახლეობას უცხოტომელები სჭარბობენ. ასეთ ვითარებაში ეთნიკური წარმომაელობის უგულებელყოფას შეიძლება ერისთვის გამოუსწორებელი ტრაგედია მოჰყვეს.

მესამეც, ჯერ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს საძირკველიც არ ჩაგვიყრია: რაც გვქონდა, ისიც დავანგრიეთ: არ

პაპაკისია ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციური საფუძვლები. საქართველო დაშლილია რამდენიმე პოლიტიკურ ერთეულად. ასეთ ვითარებაში სახელმწიფოს ერთიან პოლიტიკურ ინტერესზე საუბარი ყოველგვარ აზრს მოკლებულია. მით უმეტეს, ხელს არ გვაძლევს იმის დავიწყება, რომ საქართველო სწორედ რომ ქართველთა ქვეყანაა.

დასასრულს, თუ ევროპის „ნორმალური ქვეყნები" ნიადაგ მისაბაძ მაგალითად გვესახება, რატომ ვღალატობთ არსებულ გზას და არ ვიქმთ იმას, რაც ამ ქვეყნებში დაწერილი თუ დაუწერელი კანონებით ხორციელდება: ვთქვათ, მაგალითად, თუ გერმანულ ენას სრულყოფილად არ ფლობ, არ იცი მისი ისტორია და კულტურა, მოქალაქეობას არავინ გიწყალობებს. მოქალაქეობას კი არა – ზედაც არავინ გიყურებს. ხოლო, თუ მოქალაქე არ ხარ, არ გაქვს უფლება სახელმწიფოს, გნებავთ, პოლიტიკურ, გნებავთ, ეკონომიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა მიიღო. ეს დაწერილი კანონი გახლავთ. დაუწერელი კი ის არის, რომ თუ მკვიდრი გერმანელი, უარეს შემთხვევაში, გაგერმანელებული არ ხარ, ნორმალურ სამსახურს ვერ ეღირსები. მაშინ, როცა გერმანელი საათში 40 მარკად არ კადრულობს მუშაობას, ჩამოსულ უცხოტომელს რვა-ათ მარკად ამუშავებენ... ეს არის რეალობა, რომელთანაც უხდება შეხება ყველას, ვისაც გერმანიაში უცხოვრია.

ახლა მე ვეკითხები „საერთაშორისო სტანდარტებით" მოაზროვნე პოლიტიკოსებს: **რატომ არ გამოაცხადებენ ქართულ ენას სახელმწიფო ენად, რომლის ცოდნის გარეშე უცხოტომელს არ უნდა მიეცეს საქართველოს მოქალაქეობა?! როდემდე უნდა ავიგდოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი ღირსება მასხრად?! მაშ, რა დავარქვათ, ბატონებო, იმ ფაქტს, რომ საქართველოში საუკუნეების მანძილზე მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა, სომხებმა, ოსებმა, რუსებმა თუ სხვებმა ერთი სიტყვა ქართული არ იციან?! რა არის ეს, თუ არა ქართული სახელმწიფოს უპატივცემულობა, მეტიც, აბუჩად აგდება?!** ვთქვათ, ადრე ჩვენს თავს არ ვეყუდნოდით, კეთილი, მაგრამ დღეს, როცა „საერთაშორისო სტანდარტებით" „ვაწყობთ" ქვეყანას, ხელს რაღა გვიშლის?!

რატომ არის ქართველი ყველაზე უფრო დაჩაგრული საქართველოში და მას უფრო ნაკლები ყურადღება ექცევა. ვიდ-

რე უცხოტომელს?! დამისახელეთ თუნდაც ერთი ისეთი „ნორმალური ქვეყანა“, სადაც მკვიდრ მოსახლეობას ასე ულიერად ექცეოდნენ!.. ვერ დამისახელებთ, რადგანაც ასეთი ქვეყანა. საქართველოს გარდა, დედამიწის სურგზე არ არსებობს!..

ეს ყოველივე და კიდეე მრავალი ერისთვის სასიცოცხლო პრობლემა სავსებით არ აფიქრებთ „ახალი საქართველოს“ მაშენებელთ! არ აფიქრებთ იმიტომ, რომ საქართველოს ბედი თავის კეთილდღეობას და სავარძლებს ანაცვალეს. ულეთოდ გაყიდეს მამული, გაყიდეს მისი მიწები და ტერიტორიები, გაყიდეს მისი ხორცი და სული. გაყიდეს მისი ზნეობა და რწმენა; ახლა კი სურთ: ქართველობა, როგორც ეროვნება, გაყიდონ... ძნელი დასაჯერებლია, მაგრამ ფაქტი ჯიუტია: ეროვნებას ყიდიან, ეტყობა, სოლიდურ თანხად!

მაგრამ ლადო ჭანტურია ჩვენ აზრს არ გაიზიარებს, ის აქეთ შემოგვიტევს და გვეტყვის: ჩვენ რასაც ვიქმთ, საქართველოს სიყვარულით ვიქმთ, ეროვნების რეკვიზიტის ამოღებაც ამ გრძნობას ემსახურებაო. ის ასე მსჯელობს: „ჩვენ სახელმწიფოს საქართველო ჰქვია (მართლაც რომ ჰქვია და სხვა არაფერი! მახსენდება, ახალგაზრდობის ჟამს ერთ სიმღერას ვმღეროდით: საქართველო რუსეთია, საქართველო ისე ჰქვიაო! – ე. ჯ.), ხოლო საქართველოს გარეთ რომ გადიხარ, საქართველოს პასპორტი გაქვს და უცხო ენაზე ჩაწერილი სიტყვა „საქართველოს მოქალაქე“ პრაქტიკულად „ქართველის“ იდენტურია. ამას საზღვარგარეთ რამე მტკიცება არ სჭირდება, რადგან უცხოელებს ეს სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ. ეროვნების ჩაწერით საქართველოში ეთნიკურ ზოოპარკს ექმნით“.

ეტყობა, საბჭოური სკოლის გაელენას ისე ღრმად გაუდგამს ფესვები მასში, რომ ევროპული განათლება ვეღარ შველის. გოეთეს, ჰაინეს თუ რილკეს პოეზიას მაიაკოვსკის ლექსის ზემოქმედება ვერ შეუნელებია, თორემ ასე ძლიერად „პასპორტის პატრიოტიზმი“ არ ინენდა თავს. ალბათ, ყველას გახსოვთ, როგორ ამუნათებდა ვ. მაიაკოვსკი „საზღვარგარეთელ მეგობრებს“: აი, ჩემი წითელი პასპორტი, წაიკითხეთ, შეგშურდეთ: „საბჭოთა კავშირის ვარ მოქალაქეო“!

ყველაფრიდან ჩანს, რომ ლადო ჭანტურიას ეროვნული სიამაყეც ამ დონეზეა გაცხადებული. უფრო მართებულად, იგი

უცხოელთა წინაშე ევროპული ყაიდით დაბეჭდილი ქართული პასპორტით იწონებს თავს...

კი მაგრამ, ნეთუ ასეთი არსებითი მნიშვნელობა აქვს დღეს საქართველოსთვის, თუ რას იფიქრებენ უცხოეთში პასპორტის ნანაწერის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკის მაცხოვრებლებზე?!

მეორეც, საქართველოს მოქალაქეს პასპორტში ქართველი რომ ეწეროს, ამით ვითომ რა დაშავდება?! გარდა იმისა, რომ „ქართველს" წინწკლები მოეხსნება და ქართველად წარმოჩინდება, ხოლო სომეხი – სომეხად, ორივე კი საქართველოს მოქალაქეებად აღიქმება.

მესამეც, თუ „უცხოელებს" „სხვანაირად ვერ წარმოუდგენიათ" და „საქართველოს მოქალაქეობა" „ქართველობის" იდენტურია, მაშინ აღარც იმას ექნება მათთვის მნიშვნელობა, გვექნება თუ არა პასპორტში ეროვნების რეკვიზიტი...

ერთი სიტყვით, „საერთაშორისო სტანდარტებით" მოაზროვნეთა არგუმენტები ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. მათ მსჯელობას ლოგიკური დამაჯერებლობა არ გააჩნია და უფრო თითიდან გამოწოვილის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე ღრმა ანალიზით მიღებული დასკვნისა.

მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ დღევანდელ „სოფლის მაშენებელთ" მხოლოდ უცხოური სტანდარტები ეზმანებათ, სიხარულით ჟღურტულებენ ევროპული თუ ამერიკული ნებისმიერი „საზომის" გაგონებაზე, მათ არ აინტერესებთ იმის გარკვევა, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ, რანი ვიქნებით; არც ის აწუხებთ, თუ რას ფიქრობს, საერთოდ, ქართველი ხალხი. მთელი თავისი გულისყური დასავლეთისკენ აქვთ მიპყრობილი; ისინი „მასონი დემოკრატების" ყურმოჭრილ მონებად ქცეულან და მათ ნებას დაყოლილნი, იმ საძირკველს ანგრევენ, რაზეც ქართული ცნობიერება და, საერთოდ, ქართველობაა დაფუძნებული...

ვატყობ, ამჯერადაც გამიგრძელდა სიტყვა, მაგრამ იუსტიციის აწ ყოფილი მინისტრის ერთ მკრეხელურ განცხადებას, რომელიც ვერც ზნეობრივ და ვერც იურიდიულ ჩარჩოში თავსდება, მაინც უნდა შევეხო. იგი სოფისტური „კატეგორიულობით" აცხადებს, „ეროვნების ჩაწერით საქართველოში ეთნიკურ ზოოპარკს ვქმნითო"...

ახლა თავი დავანებოთ იმას, რომ ამგვარი განცხადება შეურაცხმყოფელია დედამიწაზე მცხოვრები ყველა ერისათვის და ამის გამო პასუხი უნდა აგოს ნებისმიერმა პიროვნებამ, მით უმეტეს, კანონის სადარაჯოზე მდგომმა...

ამჟამად ჩემთვის საინტერესოა არა იმდენად ზემომოხმობილი განცხადების „სამართლებრივი შინაარსი“, რამდენადაც „მხატვრული აზროვნების“, კერძოდ, შედარების სპეციფიკურობა, რითაც უნებლიეთ მჟღავნდება ავტორის შინაგანი განწყობა საერთოდ ეროვნებისადმი...

რა ხდება? ჭანტურიას და მის დართა მოძღვარმა თავის დროზე, ვიდრე საქართველოს დატოვებდა, დაგვმოძღვრა, საქართველო ინტერნაციონალური შეჯვარების ლაბორატორიად უნდა ვაქციოთო!.. სხვაგვარად, მთელი საქართველოს საჯიშე თუ სანაშენე მეურნეობად გადაკეთება მოინდომა. როგორც უთქვამთ, „მოწაფე მოძღვარზე მეტი არ არის“ და ამიტომაც მოძღვრის იდეის განსახორციელებლად მან საუკეთესო ვარიანტი შემოგვთავაზა. ალბათ, ბატონმა ლადომ იფიქრა, ზოოპარკის პირობებში უფრო ადვილია შეჯვარების ცდების ჩატარებაო... თუმცა იმას ანგარიში ვეღარ გაუწია, რომ ერთგვარად დაამდაბლა მოძღვრის „ჰუმანური იდეა“... თითქოს მოწაფეს და მოძღვარს შორის ბზარი გაჩნდა. მაგრამ ნუ აღელდებით, ეს არ გახლავთ ისეთი აზრობრივი დაპირისპირება, პლატონსა და არისტოტელეს შორის რომ წამოიჭრა. მათი სხვაობა ოდენ გამოხატვის თავისებურებაშია განფენილი, თორემ მსოფლმხედველობა საესებით იდენტურია. ირკვევა, ქვეცნობირად არცერთს არ უყვარს ქართველი ერი და მისი გადაშენება სწადია: ერთს – ინტერნაციონალური შეჯვარების გზით, მეორეს – „ევროპულ-მასონური სტანდარტებით“...

რიტორიკაში თუ არ ჩამომართმევთ, მსურს ვიკითხო: ქვეყნად ღვთით გაჩენილი ეროვნებები და ეთნიკური მრავალფეროვნება, რომელიც ამა სოფლის განუმეორებელ სილამაზეს ქმნის, შეიძლება ერიშვილმა ზოოპარკს და ზოოპარკის ბინადართ შეადაროს?!

მაგრამ ის ჯერ ყმაწვილია, თავის ნებაზე რომ მიუშვა, შეიძლება უარესიც თქვას. ბრალი მას მიუძღვის, ვინც ჯერაც ყმაწვილებს საპასუხისმგებლო პოსტებს აბარებს. მაგრამ კიდევ უფრო მეტად ბრალეული ის არის, ვინც მათ დამნიშვნელთ დამნიშვნელის უფლება უბოძა.

კიდევ ვინ უჭერს მხარს ამ „იდეის“ განხორციელებას? ეს არის ის საზოგადოებრივი ინსტიტუტები თუ ორგანიზაციები, რომლებიც „მეხუთე კოლონის“ როლს ასრულებენ საქართვე-

ლოში. ერთი შეხედვით, მათ კეთილშობილური მისია აკისრიათ, სინამდვილეში კი ძირს უთხრიან ქართულ სახელმწიფოს და, საერთოდ, ქართველობას. ასეთია, მაგალითად, „სოროსის ფონდი", რომელიც თითქოს საქართველოს მომავალ თაობაზე ფიქრობს. აფინანსებს მათ და საზღვარგარეთ სასწავლებლად თუ სამეცნიერო მივლინებებში გზავნის. მაგრამ ისინი საგულდაგულოდ არჩევენ ისეთ ახალგაზრდებს, რომლებშიც სამშობლო და მისი სიყვარული მხოლოდ ირონიულ ღიმილს იწვევს, დასავლეთში, „მასონურ ქურებში" მათგან აყალიბებენ კოსმოპოლიტებს, სხვაგვარად, „მოქალაქეებს" და ისინი „ახალი საქართველოს არქიტექტორებად" გვიბრუნდებიან უკან. სამწუხაროდ, ყველაზე საშიში ეს „ევროპუმელი" ახალგაზრდები არიან. სწორედ მათ უნდა იტვირთონ ქართველი ერის გადაშენების საბოლოო მისია.

ირკვევა, ამავე მიზნით არის შექმნილი საქართველოში „თავისუფლების ინსტიტუტი". ის ვითომცდა დემოკრატიის იდეებისა და თავისუფლების დამკვიდრებისთვის იბრძვის, სინამდვილეში კი მისი მთავარი მიზანია ჩანასახშივე მოაშთოს ეროვნულის ყოველგვარი გამოვლინება. ისინი ხელისუფლებასთან შეთანხმებით მოქმედებენ და მათი ანტიეროვნული მოღვაწეობის ერთგვარი საფარიც არიან და, ამავე დროს, მათი აუგი ზრახვების ცხოვრებაში დემოკრატიის სახელით გამტარებელნი. ეს ადამიანები გაცილებით საშიშნი არიან, ვიდრე საზღვარს მომდგარი მტერი, რადგანაც ფარისეველთა ეს „მოდგმა" შეფარვით გვებრძვის და ხშირად დისიდენტის თუ მამულიშვილის ნიღაბსაც ირგებს. ამიტომაც ქართველ ხალხს უნდა ეყოს ჭკუა და ის კარნავალები, რომლებსაც ისინი აწყობენ კუბოების თრევით თუ ფიტულების დაწვით, რათა საზოგადოების ყურადღება არსებითი მოვლენიდან მეორეხარისხოვანზე გადაიტანონ, ჯეროვნად შეაფასოს და „ბერიკაობის" დამდგმელთ საკადრისი ადგილი მიუჩინოს, თორემ „დემოკრატიის" სახედარზე უკუღმა შემომსხდარ ამ სახეგაბადრულ „რაინდებს" შეუძლიათ დიდი ზიანი მოუტანონ ჩვენს სამშობლოს.

საერთოდ, არ იქნება ურიგო, თუკი ღირსეული მამულიშვილნი „თავისუფლების ინსტიტუტის" არცთუ თავისუფალ მსახურთ ლაღად გაშლილ ფრთებს მოკვეცავენ, ხოლო ადგილობრივი „სოროსის ფონდის" ღირსეულ წარმომადგენლებს მათ დამფინანსებელთა ვიწრო და ბნელ სოროში შეაძურენენ!

ვფიქრობ, ასე სჯობს საქართველოსა და მათიანე ცოდვილი სულის გადასარჩენად!

დასასრულს უნდა აღვნიშნო, რომ მაშინ, როცა საქართველოს ცა და ჩვენ ჭერი თავზე გვემხობა, ამ საკითხის აღძვრა არ იყო შემთხვევითი. ჩვენთან შემთხვევით არაფერი ხდება: არც „აფეთქებები", არც „ტერაქტები" და არც „სამხედრო ამბოხი". თუ ფხიზელი თვალით შევხედავთ ამ ინციდენტების წარმოშობის პირობებს, ადვილად მივხვდებით, რომ ისინი თავად ხელისუფალთა მიერ დაგეგმილ-მართული აქციებია, რომლებიც, როგორც წესი, განსაზღვრულ დროს, კერძოდ, საარჩევნო კამპანიის წინ ვითარდება.

მაინც რატომ მოინდომა პარლამენტმა საბუთების „საერთაშორისო სტანდარტებით" დაბეჭდვა? ნუთუ ამისთვის სცხელა მას?!

ჯერ ერთი, „დემოკრატიულად" მოაზროვნე ჩვენ პარლამენტს სურდა დასავლეთის „ნორმალური ქვეყნების" „ნორმალურ" ხელისუფალთა გულის მოგება, მათ წინაშე თავის მოწონება, აქაოდა ჩვენც „საერთაშორისო სტანდარტებით" ვაშენებთ ქვეყანასო. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან – კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირო. მეტიც, უფრო სარწმუნოა, რომ ეს გაკეთდა მსოფლიოს „ახალი წესრიგის" „არქიტექტორთა" კარნახითა და მითითებით.

მეორეც, როგორც უკვე ითქვა, ამით ქართველებს კბილები მოუსინჯეს; შეამოწმეს – ხალხს, რომელიც ფიზიკური ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე ლასლასებს, აქვს თუ არა კიდევ იმის თავი, რომ ეროვნების შენარჩუნებაზე იფიქროს...

მესამეც, არ არის გამორიცხული, რომ პარლამენტის ამ ნაჩქარევ ნაბიჯს სოციოლოგიურ-ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდეს. მას სურდა, ადამიანთა ყურადღება გაუსაძლისი ეკონომიკური მდგომარეობიდან გადაეტანა სულიერ-ეროვნულზე. ქართველ ხალხს უკვე რა ხანია არ მიუღია პენსიები, ხელფასები. ის შიმშილით სულს ღაფავს, სოციალური აფეთქება დღე-დღეზეა მოსალოდნელი და აი, ამ დროს ისეთი საკითხი შემოაცურეს, რომ მას შიმშილი გადავიწყებოდა, ხორცსე აღარ ეფიქრა, სული გადაერჩინა!

მეოთხეც, ახლოვდება არჩევნები. ბუნებრივია, შევარდნაძე პრეზიდენტის სავარძელს ვერ ელევა. არჩევნების წინ, მოგეხსენებათ, მასში პატრიოტული გრძნობები იღვიძებს, მას სურს

ჭეშმარიტი მამულიშვილის იმიჯი. ამიტომაც ისეთ პოზას იჭერს, თითქოს დიდად ადარდებს ქართველთა მომავალი ბედი, თითქოს ანგარიშს უწევს თავისი ხალხის აზრს და ისე გვიჩვენებს თავს, თითქოს ის ამ რეკვიზიტის ამოღების წინააღმდეგი იყოს.

ხალხიც გულუბრყვილო ბავშვის თვისებებს ავლენს ხოლმე: „მსოფლიო პოლიტიკოსს" ერის ინტერესების ღალატს რომ აბრალებენ, არც ისე ყოფილა საქმე, მას კიდევ შერჩენია პატრიოტიზმიო, ფიქრობს და ისევ მასზე ამყარებს იმედს.

მაგრამ როდემდე, ხალხო, ეს მიამიტობა, ეს თავის მოტყუება?! რას ფიქრობთ, შევარდნაძემ ამ პროექტის შესახებ არაფერი იცოდა?! მისი ნებართვის გარეშე ბუზს არ აფრენს პარლამენტი და ამ საკითხს გადაჭრიდა, თანაც ასეთ დროს?!

რა თქმა უნდა, იცოდა! მეტიც, ვფიქრობ, ეს იდეაც მისი ხელდასხმულია, როგორც თავის დროზე კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმებისა. მაგრამ მაშინ ქართველი ახალგაზრდობის სიმტკიცის და თავდადების გამო პირში ჩალაგამოვლებული დარჩა. თუმცა არც მაშინ დაბნეულა, ახალგაზრდების ეს გამარჯვება თავისად წარმოაჩინა. დღესაც ამგვარ თამაშთან გვაქვს საქმე.

მაგრამ ახლა მე სულ სხვა რამ მადარდებს: ეს პრობლემა დღეს თითქოს ყველამ მიივიწყა. პარლამენტი კი თავის დადგენილებას არ ცვლის, ახანებს, ფიქრობს, დრო ყველაფრის მკურნალიაო. და ასე თანდათან, ნება-ნება ახორციელებს იმ მზაკვრულ გეგმას, რომელიც ქართული ეროვნული სახელმწიფოს დემონტაჟს და მის ნაცვლად „ზეეროვნული", უფრო მართებულად, უეროვნებო, უქართველო „საქართველოს" „აშენებას" ისახავს მიზნად.

და ვიდრე ჩვენი ქვეყნის სათავეში ეროვნების მოძულე, კოსმოპოლიტი „დემოკრატები" იპარპაშებენ, ყოველწამიერად უნდა ველოდეთ ამდაგვარ და კიდევ უფრო უარეს ანტიეროვნულ ნაბიჯებს. ამიტომაც ქართველ ხალხს უნდა ეყოს გონიერება და ისინი კანონიერი გზით მოიშოროს თავიდან მანამ, სანამ მთლად არ დაუქცევიათ საქართველო და ქართველთა სახსენებელი მთლად არ მოუსპიათ, სანამ სულ არ გაუყიდიათ ქართველთა სისხლი და ჯიში!..

ისე, კოსმოპოლიტიზმის ღრუბლებზე მოფარფატე ამ პოლიტიკოსებმა უნდა შეიგნონ, და თუ ვერ შეიგნებენ, უნდა როგორმე შევაგნებინოთ, რომ ქართველები არასდროს შეეგუ-

ებიან უქართველო საქართველოს, არასოდეს ისურვებენ იმ სახელმწიფოში ცხოვრებას, რომელიც ქართველთა საცხოვრისი კი არა, ეროვნებაწართმეულ მოქალაქეთა უბრალო თავშესაყარი და პოლიტიკური კავშირი იქნება!

ასეულ საუკუნეებში გამოტარებული ჭეშმარიტება გახლავთ ეს!

ოღონდაც დღეს, როგორც არასდროს, გვმართებს ერთად დგომა, შეკავშირება, ერთიანი ძალისხმევით თავგანწირული ბრძოლა, რათა გადავარჩინოთ:

ქართული ცნობიერება!

ქართული რასა!

საქართველო!..

გოტინგენი
1999 წელი

P. S. დასავლეთის ბრმა, მონურმა თაყვანისცემამ ისე გამაღიზიანა, რომ ზოგჯერ სათქმელი შეიძლება ვერ მოვზომე. ამიტომაც ვშიშობ, მკითხველმა ისე არ გამიგოს, თითქოს წინააღმდეგი ვიყო ევროპასა თუ ამერიკასთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კონტაქტებისა თუ კავშირისა. რა თქმა უნდა, ასეთი პოზიცია პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა, მაგრამ კავშირი, კონტაქტი და „ტოლფასოვანი" დიალოგი სხვაა, უსიტყვო, მონური მორჩილება, ბრმა თაყვანისცემა და უაზრო მიმბაძველობა – სხვა.

ჩვენ უნდა ავითვისოთ ის, რაც კარგი აქვს დასავლეთს, რაც ქართველობას წაადგება, და ზურგი ეაქციოთ იმას, რაც საძრახია და უვარგისი ჩვენი ერისთვის. ის კი არა, რუსეთთანაც, რომელიც საქართველოს ყველაზე საშიში და დაუძინებელი მტერია, უნდა გვქონდეს ურთიერთობა, როგორც მეზობელ, თანასწორუფლებიან „პარტნიორთან" და არა როგორც ბატონ-პატრონთან. ეს კი მოხერხდება მაშინ, როცა არცერთი რუსის ჯარისკაცი აღარ იქნება ჩვენს მიწაზე.

მთავარი მაინც ის არის, რომ ინტეგრაციის პროცესის დროს ზღვარს არ გადავაბიჯოთ და საკუთარი სახე და მეობა არ დაეკარგოთ. მოკლედ, ქართველები ქართველებად უნდა დაერჩეთ, სხვაგვარად ჩვენი ყოველგვარი მოღვაწეობა თუ ბრძოლა აზრს კარგავს!

ღია წერილი ბატონ ნოდარ ლომოურს

ღრმად პატივცემულო ბატონო პროფესორო!

მივიღე თქვენი „ღია წერილი". უნდა გამოგიტყდეთ, მსგავსი ბარათები ხშირად მიმიღია, პასუხი კი არ გამიცია, რადგან ამ გართულებულ და აშლილ ცხოვრებაში ეპისტოლარული ჟანრისათვის ველარ ვიცლი. მაგრამ ამჯერად გადავწყვიტე თქვენთვის პასუხი გამეცა და, აი, რატომ: ჯერ ერთი, თქვენ ჩემზე ასაკოვანი ბრძანდებით და რომ არ მეპასუხა, ვაითუ, უზრდელობით აგეხსნათ. მეორეც, ძალზე „აღშფოთებული და შეშფოთებული" ბრძანებულხართ და თუმც მოგვიანებით, მაგრამ მაინც იქნებ როგორმე დაგამშვიდოთ. მესამეც, მიუხედავად იმისა, რომ ახლოს გიცნობთ, თქვენმა თვითდაჯერებულობამ და ამბიციურობამ, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა. მეოთხეც, თქვენს წერილში გამოთქმულ ზოგიერთ, ვიტყოდი, ბრალდებას რედკოლეგიის წევრების, რედაქტორისა და რედაქციის მიმართ, სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, ცილისწამების სუნი უდის. მეხუთეც, თქვენი წერილი რომ არ დაგვებეჭდა, ტენდეციურობას დაგვწამებდით (როგორც ჩანს, ისედაც კარგი თვალით არ უყურებთ რედაქციას). ამიტომაც გამოვაქვეყნეთ და პასუხიც გაახლეთ, რათა თქვენს ბარათს მკითხველთა გარკვეული ნაწილი არ დაებნია.

ახლა კი, ნება მიბოძეთ, უშუალოდ თქვენი ბარათის შინაარსს მივუბრუნდე. თქვენი აღშფოთებისა და შეშფოთების მიზეზი ყოფილა ჩვენი გაზეთის 11 მაისის და „ახალგაზრდა ივერიელის" მე-12 ნომერში გამოქვეყნებული „მთელი დასტა წერილებისა, რომლებიც კოტე მახარაძის განქიქებას, არსებითად მის ლანძღვას ისახავდა მიზნად". „ტონიც და შინაარსიც ამ წერილებისა", თქვენი აზრით, „სრულიად შეუწყნარებელია".

ახლა უნდა შეგახსენოთ, რომ, როცა რაიმე ბრალდებას ვუყენებთ ვინმეს და, განსაკუთრებით კი რედაქციას, მეტი სიზუსტე მოგვეთხოვება მსჯელობისას. „დასტა წერილებისა“ გამოქვეყნდა „ლიტერატურულ საქართველოში“, ხოლო „ახალგაზრდა ივერიელში“ – მხოლოდ ერთი წერილი. თუმცა, ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარი სხვაა. „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებულ წერილებში თუკი თქვენ შეძლებთ მოძებნოთ კოტე მახარაძის სალანძღავი ან შეურაცხმყოფელი თუნდაც ერთი სიტყვა (გნებავთ, გურამ პეტრიაშვილის საპასუხო წერილსაც გადააველეთ თვალი), მაშინ რედაქცია საჯაროდ ბოდიშს მოიხდის. თუ არადა, კეთილი ინებეთ, უმისამართოდ ნასროლი სიტყვები დააზუსტეთ და ისე მოგვმართეთ. თქვენი დიდსულოვნება რომ ვიცი, ზედ ბოდიშსაც თუ მიაყოლებთ, არ იქნება ურიგო.

მაგრამ თქვენ ამას არ დასჯერდით, უკაცრავად და, „აკრძალულში გადახვედით“. თქვენი დამოკიდებულება „გ. პეტრიაშვილის ციკლისადმი მკვეთრად უარყოფითი“ რომ არის, ამას თავადვე ბრძანებთ. მაგრამ აქვე იმასაც აცხადებთ, რომ თქვენს პოზიციაზე დგას ყველა თაობის და პროფესიის ადამიანი: „მე არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც სხვა აზრის იყოს“, – რიხით გვაუწყებთ და ამ აზრს წერილში მრავალგზის იმეორებთ: „ყველა წრეში, ყველა თაობის წარმომადგენელთა შორის... პირადად მე არ შემხვედრია სხვა პოზიციაზე მდგომი ადამიანი“-ო. თანაც ხაზს უსვამთ, რომ ეს ადამიანები ნამდვილი ინტელიგენტები და ინტელექტუალები არიან, ამასაც მრავალგზის იმეორებთ და თქვენთვის ჩვეული თვითდაჯერებულობით მოგვმართავთ: „არ შემიძლია დავიჯერო, რომ ისინი (რედკოლეგიის წევრები – ე. ჯ.) და მით უმეტეს თქვენ პირადად რამენაირად გამართლებულად თვლიდეთ გ. პეტრიაშვილის პოზიციას და არ ხედავედეთ, რომ ამ პოზიციის მოწინააღმდეგენი განათლებით, ცოდნით, ინტელექტით სულ სხვა დონეზე დგანან, ვიდრე მომხრენი“. ბატონო პროფესორო, ვისვის და თქვენ უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ამგვარი მსჯელობა, ყალბ პათოსს და შიშველ განცხადებებს რომ ემყარება, დამაჯერებლობას სავსებით მოკლებულია. ზუსტად არ ვიცი, თქვენ რა წრეში ტრიალებთ, იქ რაზე და როგორ მსჯელობთ, მაგრამ ისე, „სალონებსა“ და სხვადასხვა დაწესებულებების

ტალანებში საუბრებს ნემთვის არავითარი ღირებულება არ გააჩნია. აშასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ უთვისტომო კაცი არც მე გახლავართ და ადამიანებთანაც მიხდება ურთიერთობა. თქვენდა „გასაიცებლად და შესაშფოთებლად" უნდა გაუწყოთ, რომ მრავალი მათგანი თქვენგან რადიკალურად განსხვავებული აზრისაა. შორს რომ არ წავიდეთ, დაგისახელებთ თქვენს კოლეგას, აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, სართულზეშოთ მომუშავე ბატონ მაგალი თოდუას, რომლის ფილოლოგიური განათლება, ვგონებ, არც თქვენ დაგაეჭვებთ. ისე კი უნდა შემოგბედოთ და გკითხოთ: მაინც რა კრიტერიუმებით სარგებლობდით, როცა გურამ პეტრიაშვილის მოწინააღმდეგენი „განათლებით, ცოდნით და ინტელექტით" ლამის ცაში აიყვანეთ? ბატონო პროფესორო, განათლებისა და ცოდნის განმსაზღვრელი მანქანა ჯერ კაცობრიობას არ შეუქმნია და ეს ცნებები ძალზე ცვალებადი და შეფარდებითია, ამიტომაც მაკვირვებს თქვენი ასეთი კატეგორიული განცხადება. ან, იქნებ, გონიერებისა და ინტელიგენტობის ასათვლელ საზომად საკუთარი თავი გესახებათ? არა მგონია. მაგრამ, თუკი მართლაც ასე ფიქრობთ, ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ.

თქვენ უფრო შორს წახვედით და ცილი დასწამეთ რედაქციას. შეგახსენებთ რას წერთ: „მე აშკარად დავინახე რედკოლეგიის ტენდენცია, საქმე ისე წარმოაჩინოს, თითქოს გ. პეტრიაშვილის წერილთა გარშემო შექმნილ დავაში ხმები გაიყო. არიან გ. პეტრიაშვილის მომხრენიც, მოწინააღმდეგენიც და, მაშასადამე, აქ არაა რაღაც საგანგებო შემთხვევა, და გ. პეტრიაშვილის მომხრეთა პოზიცია საკვლევით კანონიერია. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რეალური ვითარება არაა ასეთი". რა ეუწოდოთ თქვენს ასეთ მსჯელობას? გაკადნიერებული კაცის ფიქრები თუ უფრო მეტი? თქვე დალოცვილო, „ინტელექტუალებთან" ამაო საუბრისა და ფუჭი ვარაუდების ნაცვლად, შეგეწუხებინათ თავი და დაინტერესებულიყავით სარედაქციო ფოსტით. მაშინ ხომ თქვენს დარწმუნებას საფუძველი გამოეცლებოდა. მართლაც, თუ რედაქციაში შემოსული წერილების მიხედვით ვიმსჯელებთ, „რეალური ვითარება" სხვაგვარია, ოღონდაც არა ისეთი, ბატონო ნოდარ, თქვენ რომ წარმოგიდგენიათ და ლამის დაირწმუნეთ თავი კიდეც. თქვენდა საბუთად, უნდა გითხრათ, რომ მიეიღე 180 წერილი, აქე-

დან აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერს გურამ პეტრიაშვილს, კოტე მახარაძეს კი მხოლოდ... 4 (ოთხი). ახლა, როგორ მოვიქცეთ, ბატონო ნოდარ! სად არიან ის თქვენი განათლებული ინტელიგენტები, რატომ თუნდაც ერთმა არ გამოიდო თავი? სამწუხაროდ, ჭეშმარიტების დადგენას და მისთვის ბრძოლას მშვიდი ცხოვრება ურჩევნიათ. რაღა ბევრი გავაგრძელო, თქვენი რაინდული ბუნების ამბავი რომ ვიცი, ყველავაც მოგიწევთ რედაქციას ბოდიში მოუხადოთ ცილისწამებისთვის...

დასასრულ, თქვენ არ ამართლებთ გურამ პეტრიაშვილის წერილების გამოქვეყნებას. ამასთანავე გვასწავლით, რა არის „სიტყვის თავისუფლება და აზრთა პლურალიზმი". თურმე ეს ცნებები ყველაფრის დაბეჭდვას და გამოქვეყნებას არ ნიშნავს. კონკრეტულად იმასაც გვისაბუთებთ, თუ რატომ არ უნდა გამოგვექვეყნებინა ზემოხსენებული წერილები. კერძოდ, ამას გამოუწვევია „ახალი კონფრონტაცია, ჩვენი საზოგადოების ახალი გათიშვა". იმასაც წუხართ, რომ თქვენც აღმოჩნდით „იმ კონფრონტაციაში ჩათრეული" და „ამ სერიალმა შექმნა ჩვენს შორის დაპირისპირების, ურთიერთშეურაცხყოფის, ბრძოლის კიდევ ერთი კერა", რაც თქვენ ყველაზე მეტად გაშფოთებთ. სწორედ ამ მიზეზით ასევე შეშფოთებით კითხულობთ: „გვჭირდება ჩვენ ეს გაუთავებელი ბრძოლა და ქიშპი?" ხოლო წერილის დასასრულს უკიდურესად შეწუხებული და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფი ადამიანის თავგანწირვითა და ტრაგიკულობით მოგვიწოდებთ: „ხალხო, გონს მოვეგოთ! ახალგაზრდობა დაუზოგავად ურტყამს ერთმანეთს დანას, უშენს ტყვიას, ხოცავს და ასახიჩრებს ერთმანეთს, ერის ტრაგედიად იქცა ეს ყოველივე. ჩვენ კი, წიგნიერნიც და კალმოსანნიც, იგივეს ჩავდივართ, ოღონდ სიტყვითა და კალმით. გვავიწყდება, რომ კალამი და სიტყვა ზოგჯერ უფრო მტკივნეულად კოდავს და უფრო ადვილად კლავს, ვიდრე ხანჯალი და ტყვია". საერთოდ, კაცს ურჩევნია სხვას ასწავლოს ჭკუა, ვიდრე თავად აკეთოს საქმე. მოძღვარი ყოველთვის მომგებიან პოზიციას ფლობს, თუ რამეს აკადრებ, აქეთ შემოგიბრუნდება და გეტყვის: მე კეთილი სურვილით გირჩიე და დაგარიგე ჭკუა, აწი შენი საქმე შენ იციო.

ოდა, სწორედ კეთილი სურვილით მინდა შეგეპასუხოთ

და თუ არ გაგულისხდებით ჩემი „სენტენციების" გამო, იქნებ მოიმისმინოთ:

პირველი – „სიტყვის თავისუფლება აზრთა პლურალიზმი" განუკითხავად ყველაფრის გამოქვეყნებას რომ არ ნიშნავს, ეს თქვენი აღმოჩენა არ არის და თქვენზე უკეთ მოეხსენება რედაქციას. მაგრამ უნდა შეგახსენოთ ერთი ელემენტარული ჭეშმარიტება: თუ წერილის აზრი და იდეა ერისთვის მისაღებია, ის უნდა დაიბეჭდოს, რაც უნდა ნეგატიურ მხარეებს შეიცავდეს (გურამ პეტრიაშვილის წერილების გამოქვეყნების თაობაზე სარედაქციო მინაწერშია თქმული და აქ აღარ შევჩერდები).

მეორე – თქვენ განათლებით ისტორიკოსი ბრძანდებით და უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ ყველა ცივილიზებულ, ნორმალურ საზოგადოებაში იწერებოდა კრიტიკული წერილები. იმასაც შეგახსენებთ, რომ, რაც უნდა დიდი იყოს პიროვნება, განუმეორებელი მისი ღვაწლი ერის წინაშე, იგი არ უნდა ვაქციოთ ისეთ კერპად, რომელიც კრიტიკის მიღმა დგას. ასეთი მოდელი ადამიანის გაკერპებისა ჰქონდათ კომუნისტებს, როცა ლენინის ერთი ნაკლის თუ მისი რომელიმე დებულების კრიტიკა გაუგონარ მკრეხელობად ითვლებოდა. ამგვარმა დოგმატურობამ რა ნაყოფი გამოიღო, ყველასათვის ცნობილია და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ის საზოგადოება, რომელიც აზრთა ჭიდილს და მძაფრ კრიტიკას არ სცნობს, განწირულია სასიკვდილოდ. ესეც ჩემზე უკეთ უნდა უწყოდეთ. ამიტომ, ჯანსაღი კრიტიკა კონფრონტაციას კი არ წარმოშობს, არამედ ააშკარავებს იმ სიბინძურეს, რომელიც ჩვენში წლებისა და საუკუნეების განმავლობაში დაილექა, აღვიძებს ეროვნულ სულს და განვითარების ახალ საფეხურზე აჰყავს იგი. ბატონო პროფესორო, თქვენ მწიგნობარი კაცი ბრძანდებით და თვალს თუ გადააავლებთ XIX საუკუნის ქართულ პერიოდიკას, ნახავთ, თუ რა მწვავე და „დაუნდობელი" კრიტიკული პაექრობა იყო გამართული ჩვენს კორიფეებს შორის. სხვაა, რომ აღარ გაგვაჩნია კრიტიკის ეთიკა. იმის ნაცვლად, პრობლემის გარშემო ვიკამათოთ, ერთმანეთის ნაკლის მხილებასა და პიროვნების შეურაცხყოფას მივმართავთ. მაგრამ მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია. მთავარი ის არის, რომ ჩვენი საზოგადოება გადაეჩვია ჭეშმარიტ კრიტიკულ აზროვნებას. სამოცდაათი წლის განმავლობაში ვაკრიტიკებდით მხო-

ლოდ იმათ, ვისაც „სემოდას“ გმობდნენ და რატომღაც მოწყალების თვალით არ უყურებდნენ ძლიერნი ამა ქვეყნისانი. ამის გამო გავიმეტეთ, სხვაზე აღარ ვიტყვი, ვაჟა-ფშაველა, ხოლო გუნდრუკს ვუკმეედით უმეცართ და უნიჭოთ, თავიანთი მაამებლური ქმედებით ხელმძღვანელი ამხანაგების კეთილ განწყობას რომ იმსახურებდნენ. ამ მისამართაღრეულმა ხოტბა-კრიტიკამ დააბნია საზოგადოება, ხალხი. ის ხშირად პატიეს მიაგებდა და ტაშს უკრავდა იმას, ვინც უღირსი იყო, და პირუკუ, გასაწირავად იმეტებდა ჭეშმარიტ მამულიშვილებს. ეს დაბნეულობა დღეს აც შეინიშნება. ამიტომაც უპირველესი ამოცანა ქართული კრიტიკული აზრისა არის ის, რომ ყველაფერს და ყველას თავისი სახელი დაარქვას. ცხადია, ასეთ უამს ზომიერება და თავდაჭერილობა გვმართებს, იდეამ არ უნდა გაგვიტაცოს, მაგრამ აქეთ რომ უნდა მოვმართოთ ჩვენი მზერა და გულისყური, ეს სადაოდ ვის გაუხდია?!

ბატონ პროფესორს თუ ვერწმუნებით, კრიტიკისაგან ხელი უნდა ავიღოთ და მხოლოდ ხოტბა ვასხათ ერთმანეთს. მართალია, ეს პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ მისი მსჯელობიდან სხვა დასკვნის გამოტანა ძნელდება. ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ, მის აზრით, „ეს გაუთავებელი ურთიერთბრძოლა და ქიშპი (საუბარია გურამ პეტრიაშვილის წერილზე – ე. ჯ.) საზიანოა ეროვნული მოძრაობისთვის, რადგან ‘კონფრონტაციისკენ მიჰყავს საზოგადოება“. კი, მაგრამ, ბატონო პროფესორო, რა შუაშია „ბრძოლა და ქიშპი“?! განა შეიძლება კრიტიკული წერილები, რომელთა დედააზრი და იდეა სრულიად მისაღები და სამართლიანია, ანდა თუნდაც უკიდურესად მწვავე ფორმით წარმართული კრიტიკული პაექრობა, ასე მოვნათლოთ?! ეს ხომ, სხვა რომ აღარაფერი ვთქვა, ახლომხედველობა და ზიანის მომტანი გულუბრყვილობაა! მით უმეტეს, გაუგებარია თქვენი წერილის დასასრული. თქვენი დასკვნა, რაც უნდა აღშფოთებული და აღტყინებული კაცის ეგზალტირებულ განცხადებად მივიჩნიოთ, მაინც უადგილოა და ჭეშმარიტების მარცვალს მოკლებული. კრიტიკული წერილები, თუნდაც უკიდურესად ნეგატიური, კი არ ხოცავს და კლავს ადამიანებს, არამედ პირიქით, აფხიზლებს და აღვიძებს მათ, რადგანაც, ვიმეორებ, ჭეშმარიტი საზოგადოების სიცოცხლეს ჭეშმარიტი კრიტიკა აპირობებს. შესაძლოა, კრიტიკულმა წერილმა ცალკეული პიროვნე-

ბის რისხვა და უკმაყოფილება გამოიწვიოს, მაგრამ, როცა მთელი ერის საჭირბორიტო ინტერესებს ეხება საქმე, ინდივიდების მწვრალი გუნება-განწყობა რა მოსატანია!

ბატონო პროფესორო, თქვენ იმასაც წუხართ, რომ თავადაც აღმოჩნდით ჩარეული კონფრონტაციაში, მაგრამ არ აღნიშნავთ – ვისთან. თუკი ცალკეულ პიროვნებებთან, ამის გამო წუხილი არ გმართებთ, ხოლო თუ ეროვნულ მოძრაობას გულისხმობთ, ეს კონფრონტაცია კარგა ხნის დაწყებულია, ბატონო ნოდარ, და ამას თქვენს ბარათს ნუ დააბრალებთ. ამჯერად ამ თემაზე საუბარს მოვერიდები და სხვა დროისთვის გადავდებ.

დაბოლოს, მსურს ყური მომიგდოთ. თქვენი დამოძღვრის შემყურეს, მეც რომ გამიჩნდეს სურვილი ჭკუა დაგარიგოთ, არ გაგიკვირდეთ. ამგვარი მბრძანებლურ-თვითკმაყოფილი და პარტიულ-პარტკომული ტონი ვერას გარგებთ! ეს დრო, მადლობა ღმერთს, წარსულს ჩაბარდა! თანაც ხომ შეიძლება ვინმეს მოთმინების ფიალა აევსოს და თქვენი მოღვაწეობა თვალწინ ისე „გადაგიშალოთ", რომ „შეშფოთებულსა და აღშფოთებულს" უსიამოვნების გრძნობაც დაგეუფლოთ.

P. S. პროფესორ ნოდარ ლომოურის წერილი პასუხითურთ მზად გვქონდა დასაბეჭდად, რომ მივიღეთ მისი მეორე ბარათი, რომელიც მეტი გაგულისებითა და ზღვარგადასული კადნიერებითაა დაწერილი, ვიდრე პირველი. პროფესორი კვლავ გვსაყვედურობს და ტენდენციურობას გვაბრალებს. კერძოდ, გვწერს: „გამართლდა იმ ხალხის მტკიცება, ვინც მარწმუნებდა, რომ თქვენ ფაქტიურად გ. პეტრიაშვილთან შეკრული ხართ და კ. მახარაძის წერილი დაბეჭდეთ მხოლოდ იმისთვის, რომ მოგეჩვენებინათ ხალხისთვის თქვენი ვითომდა მიუდგომლობა, შემდეგ კი ისე მოპყრობოდით, როგორც მოეპყარით. მე არ ვიჯერებდი ამას, ვერ წარმომედგინა, რომ ქართველი ინტელიგენტი შეიძლებოდა მიმხრობოდა გ. პეტრიაშვილის ინსინუაციებს, თავგამოდებით გიცავდით, მაგრამ ეტყობა აქაც მოეტყუდი".

ბატონო პროფესორო, ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი! ჭარმაგი ადამიანი ბრძანდებით და ყმაწვილკაცობთ, მეცნიერი ხართ და „ძველბიჭობთ", მამაკაცი ხართ და დედაკაცურ ჭორებს აყოლილი. ცდილობთ შეურაცხმყოთ. არც გაზეთს და არც მე, როგორც მთავარ რედაქტორს, საბაბი არავისთვის მიგვიცია,

რომ ჩვენთვის „შეკრულობა“ დაეწამებინათ. ან რას ნიშნავს ეს ჟარგონი? რომელ „სიტყვის კონაში“ მოიძიეთ? რა საკადრისია, საერთოდ, ეს ყოველივე?! არ ვაპირებდი ამის თქმას, მაგრამ იძულებული ვარ განვაცხადო: არ ვიცი, თქვენ ვისთან „შეკრულხართ“, მაგრამ ცხოვრების ნირითა და ა'ზროვნების წესით ისე წ

„რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“...

პასუხის პასუხი პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს

ცა როცა თავზე გვემსობა, თითქოს კინკლაობისთვის არ უნდა მოიცალოს კაცმა. მაგრამ, თუ ღრმად ჩავუკვირდებით ჩემსა და პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანს შორის წამოჭრილ პოლემიკას. აქ უფრო მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევასთან გვაქვს საქმე. ვიდრე მართალ-მტყუანის დადგენასა და „შენ-ჩემობისაკენ“ გადაწონასთან. პრობლემა გაცილებით ფართო მასშტაბისაა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს: ის წარმოაჩენს ადამიანისა და, შეიძლება ითქვას, მთელი ერის ზნეობის დონეს და, თუ გნებავთ, დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებასაც.

ვერ გეტყვით, 1945 წლის 2 აპრილს რა მისწერა გერმანელმა ჯარისკაცმა დედამისს, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჯერ კირკეგორმა გამოაცხადა ღმერთი ავად, ხოლო შემდგომ ნიცშემ – ღმერთი გარდაიცვალაო, ბრძანა. ეს კი კაცობრიობის ზნეობის დაცემას და მთელი მსოფლიოს გადაგვარებას გულისხმობდა. ამ ზნედაცემულ ქვეყანაში არაფერი უნდა გაგიკვირდეს კაცს, მაგრამ არ ვიქნები მართალი, თუ არ ვიტყვი, რომ ერთობ განმაცვიფრა ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანის გაგულისებულმა ტონმა და აგრესიულობამ. პოეტი აშკარად ცდილობს ანგარიშსწორების გზას დაადგეს. ის თეთრით შავზე წერს: „ერთი კი მიკვირს, თქვენ, ბუნკერის მინისტრო, ისევ რომ აქტიურად ლაღობთ, ისევ რომ ზედმეტ უფლებებს აძლევთ საკუთარ თავს, მიკვირს, მაგრამ ეტყობა, ჯერ კიდევ ბევრი არაფერი შეცვლილა“.

როგორც ირკვევა, პოეტს ძალიან უკვირს, თუ დღემდე ასე თავისუფლად და ლაღად რატომ ვგრძნობ თავს. ეტყობა, ისიც უკვირს, როგორ შევბედე რეპლიკის გამოქვეყნება და ძალზე წყდება გული, რომ „ჯერ კიდევ ბევრი არაფერი შეცვლილა“, თორემ რომ შეცვლილიყო, „ბუნკერის მინისტრი“ ვირის აბანოში უნდა მიებრძანებინათ, თუ მეტი არა! მართალია, ეს ბოლო ფრაზა არ უწერია, მაგრამ გულისხმობს. ყოველ შემ-

თხვეეაში, აშკარად იგრძნობა, რომ ამის დიდი სურვილი აქვს. ამიტომაც მიწოდებს „ბუნკერის მინისტრს“ და მასში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. ბუნკერზე სიტყვას სხვაგანაც ჩამოაგდებს: „თქვენზე, მართლა, კარგი წარმოდგენა მქონდა სანამ იქ (ბუნკერში) შეძვრებოდით“-ო.

ვინ-ვინ და პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა კარგად უწყის, რომ მე „ბუნკერის მინისტრი“ კი არ ვიყავი, არამედ ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის წარდგინებით მინისტრთა კაბინეტმა დამნიშნა (რომელსაც, სხვათა შორის, მაშინ ბატონი თ. სიგუა განაგებდა) და ასევე ხალხის მიერ არჩეული უზენაესი საბჭოს სესიამ ჩემი კანდიდატურა დაამტკიცა. მას ისიც კარგად მოეხსენება, რომ ე. წ. ბუნკერში ერთი საათით მივედი, რადგანაც იქ ტარდებოდა მინისტრთა კაბინეტის სხდომა. მაშ, რატომ უსვამს ხაზს ამ გარემოებას? ჩანაფიქრი ადვილი მისახვედრია. ჰუმანისტმა პოეტმა იცის, რომ ამჟამად „ბუნკერში მოღვაწე“ პიროვნებებს ავიწროვებენ, დევნიან კიდეც. ამიტომაც დღეს გავრცელებულ და მიღებულ ლექსიკურ ერთეულს თუ გაიმეორებ, „მიშვებს“, თან ფიქრობს, იქნებ ეს ფაქტი საკმარისი არ იყოსო და უფრო ამძიმებს გარემოებას. მან ისიც კარგად უწყის, რომ დღეს ჩეჩნეთთან ურთიერთობას, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ალმაცერი თვალით უყურებენ. ამიტომაც ჩემს რეპლიკას ერთგვარ მოწოდებად მიიჩნევს, **„იშ“ მხარეს რომ ეხმიანება** და ფართო პოლიტიკურ სპექტრში წარმოაჩენს. ის წერს: „ეს გამოძახილი უფრო შეძახილს ჰგავს, იქითაა გამიზნული, ჩეჩნეთისაკენ“. შემდგომ ჩამოთვლის ბრალდებებს, რომლებიც ჩემი მოქმედების შედეგად თუ არა, მისწრაფებად უნდა მივიჩნიოთ: ა) „მდედრიონის“ მიერ ქართველი მწერლების წიგნების დაწვა და დახვევა; ბ) მწერალთა ყრილობის ჩაშლის მცდელობა იმავე „მდედრიონის“ მიერ; გ) სამეგრელოს რეგიონში არაფორმალური შეიარაღებული ძალების შექმნა; დ) ყოფილი პრეზიდენტის **„შტაბობანას“ და „პრეზიდენტობანას“** თამაში და მისთ.

ერთი სიტყვით, ისეთი პოლიტიკური ვითარებაა დახატული, რომ ოთხი ყური და ოთხი თვალი უნდა გამოვიბათ და დაუნდობელი ბრძოლა გამოვუცხადოთ პრეზიდენტის მომხრეებს, განსაკუთრებით კი „ბუნკერის მინისტრებს“. ქვეყნისათვის ასეთ საორჭოფო მდგომარეობაში მართლაც მიკვირს, თავისუფლად და ლაღად რატომ ვგრძნობ თავს.

თუკი უკვრო მეტი სერიოზულობით მოვეკიდებით საკითხს, არც კი უნდა მიკვირდეს, რადგანაც აბსოლუტურად უბრალოდ ვიუალი თავს. მე მავანი ინტელიგენტივით იარაღი არ ამილია ხელში და არც ძმათამკვლელობისაკენ მიბიძგებია ვინმესთვის. თავის დროზე არც არავინ დამისმენია და არც ახლა ვაპირებ ვინმეს „ჩაშვებას", ხოლო ჩემი აზრის გამოქვეყნებას ვერც ვერავინ ამიკრძალავს და ვერც ჩემი პოლიტიკური პოზიციის გამო დავუჩაგვრინები ვინმეს.

ოღონდაც ძალზე მაოცებს დემოკრატიისათვის მებრძოლი ეს ჩვენი პოეტი, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე თურმე პატიმართა ხსნას შეალია (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანს მისი პასუხიდან), რატომ ლამობს ჩემს „დაჭერინებას"? ცხოვრებას და ჩემს ოპონენტს რომ ვიცნობ, არ უნდა მიკვირდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც გულუბრყვილო ვარ. მავანი მეტყვის, არ ლამობს, უბრალოდ კვიმატი ენა აქვსო. ჰოდა, მეც მანდა ვარ. მისი ენაკვიმატობის გამო ერთი რამ მახსენდება, მაგრამ ვიდრე ამ ფაქტს მოვიგონებდე, ერთი „ბრალდების" გახსენებაც მომიწევს. პოეტი მწერს: „ბატონო ელიზბარ, თქვენმა ერთმა მეგობარმა ქალმა (უთუოდ თქვენმა მეგობარმა) „მდედრიონიდან" წერილი მომწერა: მიხეილ ჯავახიშვილი შენ მოკალიო. ამის მერე რა უნდა გამიკვირდეს?" კარგად მესმის, რომ პოეტში ემოციები ჭარბობს, ოღონდაც პაექრობასაც ხომ აქვს თავისი ელემენტარული ლოგიკა. მავანმა ქალბატონმა პოეტს რაღაც მისწერა და გული მოუკლა, ის კი მე მიტევს. უნდა გამოგიტყდეთ, არ ვიცი ვინ არის წერილის ავტორი, შეიძლება ჩემი მეგობარიც იყოს, პოეტებს გუმანი არ ღალატობთ ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, მისი დიდი სურვილია, ის ქალბატონი ჩემს მეგობრად იგულვოს. თუნდაც აგრე იყოს, მაინც ვიკითხავ: მე რა შუაში ვარ?! ეს ერთი და მეორეც, რაკი ბანოვანმა წერისთვის მოიცალა, ისიც ეცოდინებოდა, რომ, როცა მიხეილ ჯავახიშვილი დახვრიტეს, თქვენ მცირეწლოვანი ბალღი იყავით, ამიტომაც, ალბათ, ამ სიტყვებს პირდაპირი მნიშვნელობით არ მოგწერდათ, რაღაც მოარულ გაგებას გაანივთებდა მასში. ახლა ამის გარკვევას თავი გავანებოთ, არაფერს მოგვცემს. სიმართლე მოითხოვს განვახცადო: ის ამბავი, რომ თქვენ მიხეილ ჯავახიშვილის სიკვდილს გაბრალებენ, ნამდვილად არ გამიგია და არც მსმენია. მაგრამ ამ ბოლო დროს თბილისში ერთი

პოეტი მ'ეხანათ'ურად რომ მოკლეს, შეიქმნა დიდი მითქმა-მოთ-ქმა და ამ აგორებ'ულ ჭორ'ში ჯიუტად ისმოდა თქვენი სახელი, ც'ედ რამეს გაბრალებდნენ, ბატონო ჯანს'ულ! ცხადია, ეს ჭორი გ'ულთან არ გავიკარე. მაგრამ მავანმა და მავანმა თქვენი ინ-ტერვიუ დამისახელა, რომელ'შიც წერთ: „... წავიკითხე რა „საქართველოს რესპუბლიკაში" ვინმე ცირეკიძის წერილი და შე-ვიტყვე, თუ რას უშვებიან ციხეებ'ში ბერიაშვილისნაირ ხალხს, გადავწყვიტე აღარ მეჩივლა. ბევრი დაკონკრეტებას მომთხოვს, განა ისეთს რას უშვებიანო, ასე შეიძლება გაიფიქროს თავად ბერიაშვილმაც, ამიტომაც დავაკონკრეტებ ჩემს ნათქვამს: რას უშვებიან და კლავენ, ან'ु როგორც კახეთ'ში იტყვიან, „კლა-მენ". დიახ, ასეა ეს..." (გაზეთი. „საქართველო", 20. XII. 1991 წ.). გულწრფელად ვაცხადებ, რომ გავრცელებ'ული ჭორის არც ახლა მჯერა და ვერც ვერასოდეს დავიჯერებ. მაგრამ იმას კი ვფიქრობ, ამ ჩვენს პოეტს რა კვიმატი ენა აქვს და თანაც რა წინდაუხედავად ლაპარაკობს-მეთქი. ხოლო, როცა ჩემდამი მოძღ-ვნილი თქვენი ეპისტოლე წავიკითხე, ისიც კი გავიფიქრე, ღმერ-თმა ნუ ქნას, ახლა რაიმე მოეწიოს ჩემს თავს, თორემ კვლავაც „დემოკრატ" შემოქმედს დააბრალებენ ამ უბედურებას. ასეთმა აზრმა გამიელვა, მაგრამ წამსვე უკუვაგდე, რადგანაც ფიქრმა შეიძლება ძალიან შორს შეგიტყუოს და სულის სხივი დაგი'შ-რიტოს.

სწორედ პოეტის სულის სხივის დაშრეტაზე მეტყველებს ის, რომ იგი არ ერიდება აკრძალ'ული ილეთების გამოყენებას ჩემ-თან კამათის დროს. ყურით მოთრეული არგუმენტებით ცდი-ლობს ჩემს დამცირებას, მაგრამ, მისდა სამწ'უხაროდ, მთლია-ნად შიშველდება და თავს წარმოაჩენს ოდენ. ბატონ ჯანს'ულ ჩარკვიანს ანცვიფრებს ერთი გარემოება, – მე, ბატონ ჯ'უმბერ პატიაშვილის უახლოესი მეგობარი, ისე როგორ დავუახლოვდი ბატონ ზვიად გამსახ'ურდიას, რომ სხვათა საქმეების გარკვევა-საც ვლამობდი. მართლაც გასაოცარია, ყველა „პირველი კა-ცის" მეგობარს ორ პიროვნებასთან ჩემი დაახლოება რატომ გაჰკვირვებია! სხვათა შორის, ის გარემოება, რომ ორივეს მე-გობარი ვარ, სხვებმაც წამომძახეს. უნდა პირდაპირ მოგახსე-ნოთ, რომ, თუ ისინი არ თაკილობენ ჩემს ახლობლობას, მე ამით ჩრდილი საკუთარ თავზე არ მადგება, პირიქით. აქვე ისიც მინდა დავსძინო, რომ, ჯერ ერთი, ჩვენი მეგობრობა ბავ'შვობიდან

იღუბს დასაბამს და მავანიცით მათ აღზევების შემდგომ არ დაეახლოვებივარ. მეორეც, ყოველთვის ვფიქრობდი და ახლაც ვფიქრობ, რომ ორიეე ღირსეული მამულიშვილია, თავისი ერის ბედზე ღრმად დაფიქრებული. მეტიც, არ მეგულება მეორე ცეკას მდივანი, ბატონი ჯუმბერიეით რომ ყეარებოდა სამშობლო. ხოლო ჩემს ახლობელ-ნაცნობებში არ მახსენდება ადამიანი (მერაბ კოსტავას გამოკლებით), ვინც ბატონი ზვიადიეით ბავშვობიდანვე შეპყრობილიყოს საქართველოს განთავისუფლების იდეით და მზად ყოფილიყოს ზვარაკად შესწირვოდა ამ კეთილშობილ საქმეს. ეს თვისებები ჩემთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ნებისმიერი პარტიის პოზიცია და ინტერესები. მაგრამ დავანებოთ თავი ახლა იმის გარკვევას, თუ ვინ როგორი მამულიშვილია, ამას ჩვენზე უკეთ დრო დაადგენს. ჩვენ კი ისევ ადამიანის სულის დაცემას მიეუბრუნდეთ. პოეტს სურს ბოლომდე ჩამწიხლოს და ამიტომაც მეგობრის მოღალატედ მხატავს, კარიერის კიბეზე აცოცებისათვის ყველაფერს რომ კადრულობს. ახლა კიდევ ერთი მოზრდილი ციტატის მოხმობა მოგვიხდება: „გადახედეთ თქვენს კარიერას და იქნებ, შეგრცხვეთ კიდევაც ჯუმბერ პატიაშვილის ასე გასხვისება (ვისგან-ვისგან და თქვენგან არ ეკადრება). მწერალთა კავშირის წევრი არ იყავით და ჟურნალ „კრიტიკის“ რედაქტორი გახდით. მწერალთა კავშირის წევრი არ იყავით და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი გახდით. უცებ, მწერალთა კავშირის წევრიც (ასევე უცებ გახდით ჟურნალისტთა კავშირის წევრი – გარედაქტორების გამო) და უცებ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრიც გახდით, აკადემიის წევრ-კორესპონდენტობაც ღმერთმა შეგარგოთ, მაგრამ ძველ მეგობარს არ უნდა უღალატოთ... მე ჩემს ძველ მეგობრებზე უარი არასოდეს მითქვამს, ისიც უნდა შეგახსენოთ, რომ ჩვენს ასაკში ახალი მეგობრები არ არსებობენ, არსებობენ მხოლოდ ძველი მეგობრები“.

რა მეთქმის, მადლობა უნდა შევწირო უფალს, რომ დარდიმანდმა პოეტმა მოიცალა ჩემი ბიოგრაფიის დეტალების შესასწავლად. მაგრამ მისი ეს დემაგოგიური შეძახილი ბევრი მომენტის დაზუსტებას მოითხოვს: ჯერ ერთი, ვინ მოახსენა მას, რომ მე ბატონი ჯუმბერ პატიაშვილი „გავასხვისე“? (დაკვირდით, რა ამაზრზენი სიტყვაა!) იმის აღნიშვნა, რომ თავად პოეტი ემეგობრებოდა ყველა მაღალი თანამდებობის ადა-

მიანს, მათ შორის ბატონ ჯუმბერ პატიაშვილსაც, სავსებით არ ნიშნავს, თითქოს მე იგი „გავასხვისე". მეორეც, პოეტ ჯანსულ ჩარკვიანს აოცებს ის გარემოება, რომ მე დამნიშნეს ჯერ „კრიტიკის" და მერე „ლიტერატურული საქართველოს" რედაქტორად. ამ გაოცების მთავარი მიზეზი არის თურმე ის, რომ იმ დროს მწერალთა კავშირის წევრი არ ვიყავი. ერთი სიტყვით, მომხდარა გაუგონარი რამ. კი მაგრამ, ბატონო პოეტო, როდემდე უნდა იაზროვნოთ კომუნისტურ-საბჭოური შტამპით?! როგორც ჩანს, თქვენთვის მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირების წევრობა დიდად ფასეული რამ არის და დაახლოებით იმას ნიშნავს, რაც ცოტა ხნის წინ კომუნისტური პარტიის წევრობა იყო. ამიტომაც თქვენთვის დამითმია ჟურნალისტთა კავშირის, მწერალთა კავშირისა და მისი პრეზიდიუმის წევრობაც! ღმერთმა შეგარგოთ! თუ არა ასეთი მიდგომა, რატომ უნდა გაგკვირვებოდათ ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ლიტერატურათმცოდნის რედაქტორად დანიშვნა (აქვე იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ თქვენგან ათვალწუნებულ რედაქტორს უკვე მაშინ მრავალი გამოკვლევა ჰქონდა გამოქვეყნებული ქართული ლიტერატურის პრობლემებზე)?! ანდა ჩემი მწერალთა კავშირის წევრობა რა სალაპარაკოა, ბატონო პოეტო, როდესაც თქვენი ხელდასხმით იქ ისეთი „მწერლებია" გაწევრიანებული, რომელთაც ორიოდე ლექსი ან თუნდაც კრიტიკული წერილი არა აქვს გამოქვეყნებული! ისიც მანცვიფრებს, თქვენი ბიოგრაფიის პატრონს, როგორ დაგცდათ ენა ჩემს „კარიერაზე"?! ალბათ, აღგაშფოთათ იმან, რომ ყმაწვილობისას თქვენსავით კომკავშირის ცეკაში არ დამიწყია მოღვაწეობა და მეცნიერების სარბიელზე ვიღეწოდი. დასასრულ, თქვენ ჭკუას მარიგებთ, შთამაგონებთ, რომ „ძველ მეგობარს არ უნდა უღალატო", „მე ჩემ ძველ მეგობრებზე უარი არასოდეს არ მითქვამს"-ო. ჭეშმარიტი სიტყვებია, მაგრამ ეგ თქვენგან მე რომ არ მესწავლება?! განა იმ ადამიანს, ვისაც მეგობარი გაუწირავს სავარძლის დაკარგვის გამო, ანდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის თანამდებობაზე არ დანიშნეს, ეთქმის ეს სიტყვები?! შეიძლება თქვენს სულში ვაფათურებ ხელს, მაგრამ ერთი ძველი, 1985 წელს გამოქვეყნებული ლექსი უნდა გაგახსენოთ:

ღალატი

არა მტერმა და ორგულმა,
არა გადამთიელმა,
ღმერთო ჩემო, შინაურმა
მომკლა, გამატიალა.
მე რომ მკერდში ვიხუტებდი,
ვუკოცნიდი იარას,
სწორედ იმან, სწორედ იმან
მომკლა, გამატიალა.
სანამ იყო, რა მეფერა,
დედა, რა მეტრფიალა!
წავიდა და დამიტოვა
შხამით სავსე ფიალა.
კი, ბატონო, მე გამოეცლი
ამ ფიალას მთლიანად,
ღმერთმა შენ კი შეგარცხვინა
შენი ღალატიანად.

(გაზეთი „კომუნისტი", 18, ივლისი 1985)

ახლა მე მსურს შეგეკითხოთ, რომელ მეგობარს უძღვენით იგი? რატომ, რა მიზეზით? ეს საზოგადოებისათვის უკვე ცნობილია. მაგრამ კიდევ ერთხელ ხომ არ შეგვეხსენებინა? თუ თქვენ დუმილს ამჯობინებთ? ვფიქრობ, ყველაფერი ნათელია — ვინ ვინ არის და ვის შეუძლია მეგობრის ღალატის გულში გავლება.

მივუბრუნდეთ ჩვენი დავის მთავარ მიზეზს. პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი მაბრალებს, თითქოს მე მისთვის ასეთი სიტყვები მეთქვას: „დილით გამსახურდია მირეკავს, საღამოს მანანა არჩვაძე, აღარაფერს ვამბობ „ბეტეერებზე". რა თქმა უნდა, ასეთი რამ არ მითქვამს და ვერც ვიტყოდი, რადგანაც ღმერთისა და ხატის წინაშე შემიძლია დავიფიცო, რომ პრეზიდენტის მეუღლეს, ქალბატონ მანანა არჩვაძეს ჩემთვის ტელეფონით არასოდეს დაურეკავს. მით უმეტეს „ბეტეერებს" საიდან უნდა სცოდნოდათ თ. დოიაშვილის წერილის არსებობის ფაქტი?! ასე რომ, ეს მტკნარი სიცრუეა. მაგრამ ახლა მტყუან-მართლის გარკვევა ამ მეთოდით (რასაც მე ვამბობ, პოეტი უარყოფს, რასაც პოეტი იტყვის, მე უარვყოფ) თითქმის შეუძლე-

ბელია, ამიტომაც ამის შესახებ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მხოლოდ მთა'ში გაგონილს გავიმეორებ – ჩვენს შორის მართალს სიცოცხლის ბილიკი უდროოდ არ შემოკლებოდეს, ხოლო მტყუანი ქვესკნელ'ში ჩავარდნილიყოს!

მკითხველს ისიც უნდა მოვახსენო, რომ ბატონი ჯანს'ულ ჩარკვიანი მლიქვნელობასაც მაბრალებს და მიკიჟინებს: „ლიტერატურის ისტორიის" ინსტიტუტ'ში გამსახ'ურდიას რომ დოქტორობა მიანიჭეს, იმის შემყურესა და უშ'უალო მონაწილეს, ხოტბა და მლიქვნელობა გიკვირთ?" ახლა საქვეყნოდ უნდა განვაცხადო, რომ ბატონ ზვიად გამსახ'ურდიას მეცნიერ'ულ გამოკვლევებზე მე ყოველთვის მაღალი აზრის ვიყავი და ვარ. ჩემი ღრმა რწმენით, იმ ხარისხს ის გაცილებით ადრე იმსახ'ურებდა. როგორც ჩანს, პოეტი იშვიათად ესწრება სამეცნიერო ხარისხების დაცვას, თორემ იმ საბჭოს გადაწყვეტილებას უჩვეულოდ ვერ აღიქვამდა. მაგრამ გულწრფელად მიკვირს, ბატონო ჯანს'ულ, თქვენეული შეფასება გ. გუმბარიძის „პრეზიდენტობისა". აბა, გავიხსენოთ, რას წერდით: „მამ'ულიშვილ'ური გრძნობებით გამსჭვალ'ულ საქართველოს დელეგაციას სათავეში ჩაუდგა საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი გ. გუმბარიძე. მე სხვანაირი ვერც წარმომიდგენია საქართველოს პრეზიდენტი!" (გაზეთი „თბილისი", 26 ოქტომბერი, 1989 წ.) და კიდევ უფრო მიკვირს ის ლიქნა, რომელიც ზოგიერთმა მწერალმა გადმოღვარა მწერალთა კავშირ'ში ე. შევარდნაძესთან შეხვედრის დროს. ასე რომ, ერთმანეთის წამოძახებას თავი გავანებოთ!

ერთ ფრიად დამაფიქრებელ გარემოებას უნდა გაე'უსვა ხაზი. პოეტ ჯანს'ულ ჩარკვიანს იმდენად არ ეყო ტაქტი, რომ ჩემთან კამათის დროს გადასწვდა ჩემი ოჯახის წევრებსაც და ჭორს აყოლილმა, ცილი დაგეწამა. მე რომ ადამიანთა იმ კატეგორიას ვეკ'უთვნოდე, ვინც მიზნის მისაღწევად ყველაფერს კადრულობს, მაშინ შემეძლო ბატონი ჯანს'ულისთვის მისი ოჯახის წევრებზე ზოგიერთი რამ შემეხსენებინა, რაც ერთობ უხერხ'ულ მდგომარეობაში ჩააგდებდა მას. მაგრამ ასეთი რამ არც მიკადრებია და არც არასდროს ვიკადრებ, რადგანაც, უპირველეს ყოვლისა, კაცს კაცობა უნდა ამშვენებდეს.

ბატონი ჯანს'ულ ჩარკვიანი თავისი ეპისტოლეს დასასრ'ულს რიტორიკ'ული ტონით მეკითხება, თ'ე სად ვიყავი მაშინ, როცა

ის დასაჭერთა სიაში მოხვდა, როცა მას დასდევდნენ, ოჯახს უწიოკებდნენ, მის კედლებს ტყვიებით ცხრილავდნენ და მკვლელებს უგზავნიდნენ. მართლაც და, საოცარია, თუ ასეთი რამ სინამდვილეში ხდებოდა და პოეტს ტყვიას ესროდნენ, რატომ არავინ იცოდა ამის შესახებ?! ერთი კია, როდესაც რუსეთის ტელევიზიამ ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი დევნილთა და გადახვეწილთა შორის მოიხსენია, მაშინ მისი ლექსები და ინტერვიუები თავისუფლად იბეჭდებოდა საქართველოს რესპუბლიკის ოფიციალური პრესის ფურცლებზე. ამიტომაც, მართალი გითხრათ, მომკალით და დღესაც არ მჯერა, რომ პოეტი ესოდენ დევნილი და შევიწროებული იყო. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ პირადად მე არაფერი მსმენია. რომ გამეგო, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, გაჭირვებულ ადამიანს გვერდში ამოვუდგებოდი და მავანთა მსგავსად ყელში ხელს არ წავუჭერდი. მაინც სად ვიყავი იმ ძნელბედობის ჟამს? ჩემს გატანჯულ ქვეყანაში, სადაც ბოღმითა და ბოროტებით დაბრმავებულნი ტყვიებს ესროდნენ ერთმანეთს. ვაი-ვაი, რომ ეს ბოღმა და შური კვლავაც ინთხევა და დღესაც ქართველის მახვილი ქართველზეევა შემართული!

დაბოლოს, ხაზი უნდა გავუსვა ერთ ფრიად მნიშვნელოვან აზრს, რომელსაც პოეტური გულუბრყვილობით გვიმხელს ბატონი ჯანსუღ ჩარკვიანი: „... საკითხავია, ნუთუ აღარ დამთავრდა? ნუთუ ისევ ბნელა? ნუთუ იმისთვის ვიბრძოდით, რომ ისევ და ისევ თქვენ, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებმა გელანძღოთ?.. თუ ასეა, მიდით, მიდით, „დიდო ქართველებო!“

აი, თურმე, რა ყოფილა. აი, მიზანი „დემოკრატიისათვის მებრძოლი“ შემოქმედისა. ახლა მახსენდება, თბილისში ხმა დაირხა, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი მხარზე ორლულიანთოფგადაკიდებული ამაყად დააბოტებს ტელეცენტრის წინო. მაშინ მე ვფიქრობდი, დემოკრატიისათვის იბრძვის, „ავტორიტარული რეჟიმის“ დამხობა სურს-მეთქი. ძლიერ შევმცდარვარ. მას, თურმე, ერთი სურვილი ამოძრავებდა: გამარჯვებულის კვარცხლბეკზე ასულისათვის აღარავის უნდა შეებადა კრიტიკული სიტყვა, თუნდაც ეს სიტყვა ობიექტური და მართალი ყოფილიყო. კი, მაგრამ, ღირდა ამად ის უბედურება, რაც ქართველ ხალხს დაატყდა თავს, ბატონო „დემოკრატო“ პოეტო? ნამდვილად არ ღირდა!

მაგრამ „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“, რომ მხოლოდ ეს

ამოძრავებდა „თავისუფლების სიყვარულისთვის“ დევნილ შემოქმედს, თორემ ამის მოგვარება ათასი ხერხითა და საშუალებით უსისხლოდაც შეიძლებოდა!

„რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“, თუ დემოკრატიას ასე გამრუდებულად წარმოიდგენდნენ!

„რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“, თუ დემოკრატია ცალ კარში თამაში იქნებოდა!

„რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“, თუ მართალი სიტყვისთვის (მცირე რეპლიკისათვის) კაცს დასაჭერად გაიმეტებდნენ!!!

ჰოდა, ახია ჩვენზე, უნდა გვცოდნოდა!!!

P. S. ერთი დეპეშა მახსენდება, ს. ორჯონიკიძემ 1921 წლის 25 თებერვალს მოსკოვს რომ აფრინა: „თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

1992 წელი

ვავა, ვავა, ფიფია, შენ!

ფრიად გასაოცარია, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დამაშვრალმა და დღე და ღამ შარაზე ვადებულმა თ. ფიფიამ ასე როგორ მოიცალა, რომ ყოველ ნემს სიტყვას თუ რეპლიკას კუდის ძირამდე ჩაჰყვა და ყოველად მიუღებელი არგუმენტებით, რომლებიც საპნის ბუშტებს წააგვანან, არაეთიკური ხერხებით სურს ჩემი და ბატონ მუხრან მაჭავარიანის „მხილება". არაერთგზის აღმინიშნავს, როცა ქვეყანას უზარმაზარი ჭრილობა გახსნია, საიდანაც განუწყვეტელ ნაკადად იღვრება ქართველთა ზოგადი სატკივარი, კაცმა პიროვნული მართლებისა თუ კინკლაობისთვის არ უნდა მოიცალოს. მაგრამ თ. ფიფიას ორივე წერილი („ივერიაექსპრესი", 1993 წ., აპრილი, №53, №56) ნაყოფია იმ აღვირახსნილი დემაგოგიისა, რაზედაც დაფუძნებულია დღეს გაბატონებული ე. შევარდნაძის რეჟიმი. ამიტომაც, მიუხედავად იმისა, რომ ჩიტი ბდღვნად არ ღირს და ამ შეკოწიწებული პასკვილების დონემდე არ უნდა დაეშვას ადამიანი, მაინც გადაეწყიტეთ კიდევ ერთხელ გაგვეცა პასუხი, რათა ნათლად წამოვაჩინოთ, რა საშიშ და უარყოფით მოვლენასთან გვაქვს საქმე, როცა ამგვარი მოღვაწენი მამულიშვილობას იჩემებენ.

არადა, ეს ერთი შეხედვით უწყინარი, პატარა წერილი საუკეთესო ნიმუშია სოფიზმისა, დემაგოგიის, მიკიბ-მოკიბვის, „ჯორომანიის", მიკერძოების, ცილისწამების, ბეზღობა-„ჩაშვების", საკუთარი თავის განდიდებისა და საკუთარი ერის აბუჩად აგდების. ჩვენც რომ ჩვენი ოპონენტის მსგავსად უსაფუძვლო ბრალდებად არ ჩამოგვერთვას ზემოთქმული, ამიტომ უფრო დეტალურად განვიხილოთ თ. ფიფიას წერილი.

როგორც ცნობილია, ჩვენი ოპონენტი თავის დროზე სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის კომკავშირის მდივანი იყო და, ამდენად, დემაგოგიაში სიყმაწვილიდან გამობრძმედილი პიროვნება გახლავთ. ხოლო დემაგოგისათვის მთავარია კაცს რაიმე დააბრალოს და ცილი დასწა-

მოს, მერე კი სოფისტური ცრუ ლოგიკით მკითხველს თავგზა აუბნიოს და თვალში ნაცარი შეაყაროს. თ. ფიფიას თვალთმაქცური მსჯელობის თავი და ბოლოც ეს გახლავთ: სპეცსამსახურის მიზანია ქვეყნის დაშლა-გათიშვა. გათიშვის ცენტრია სამეგრელო, სადაც მას თავად უნახავს არაერთი უცხო ქვეყნის აგენტი. ჯაველიძე და კომპანია ჩადიან სამეგრელოში და აღვივებენ სეპარატიზმს. ე. ი. ჯაველიძე და კომპანია სპეცსამსახურის დავალებას ასრულებენ. მაგრამ ფილოსოფოსს ავიწყდება – სოკრატე რომ ფრინველთა რიგში ჩარიცხოს, ჯერ უნდა დაამტკიცოს, რომ მას ფრენა შეუძლია.

მთავარი „ბრალდება", რომელსაც თ. ფიფია ჩვენ გვიყენებს როგორც პირველ, ასევე მეორე წერილში, ის გახლავთ, რომ ჩვენ საქართველოს ერთიანობას და გამთლიანებას ხელს ვუშლით და, ამდენად, ქვეყნის მოღალატეები ვართ. მისი მსჯელობის მეთოდი ძველია, გამოცდილი, თუმცაღა – პრიმიტიული. აი, როგორ აგებს თავის მსჯელობას ჩვენი ოპონენტი: თ. ფიფიას აზრით, „სავსებით უეჭველია, რომ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, სპეცსამსახურების ყურადღების ქვეშაა". ამ სამსახურის უპირველესი მიზანი კი „ქვეყნის ერთიანობის მოშლაა, რადგან გათიშულ, დაცალკევებულ ქვეყანაში ძლიერი სახელმწიფოს შექმნა შეუძლებელია".

თავისთავად და ცალკე აღებული, ეს მსჯელობა ჭეშმარიტებაა და კაცი ვერ შეედავება. მაშინაც მართალს ბრძანებს ჩვენი ოპონენტი, როცა აღნიშნავს, რომ „მუდმივი არეულობით გაბეზრებული მოსახლეობა კელავ მიანდობს თავის ბედს სხვა ქვეყანას და სამუდამოდ უარს იტყვის თავისი თავის „ყუდნობაზე"-ო. მაგრამ სრულიად გაუგებარია და ყოველგვარ საფუძველს მოკლებული იქვე მისი რიტორიკული შეძახილი: „ეროვნული ერთიანობა, რომელსაც ასე გულმოდგინედ ანგრევდა ყოფილი პრეზიდენტი თავისი ზეობის ჟამს და რასაც ასევე გულმოდგინედ აგრძელებენ მისი დამქაშები, დღეს ერისთვის უმთავრესი ღირებულებაა". ავტორს ამ მოჩვენებით პატრიოტიზმზე აგებულ და მკითხველის დასაბნევად გამიზნულ მონოლოგში ერთი უმნიშვნელოვანესი დეტალი გაეპარა. მას თუ დავუჯერებთ, „ეროვნული ერთიანობა" მხოლოდ დღეს ყოფილა ერისათვის „უმთავრესი ღირებულება". აი, თურმე რა, ჩვენ კი გვეგონა, რომ ეროვნული მთლიანობის იდეა ქუ-

ჯი-ფარნავაზიდან მოყოლებული, ოდითგანვე და მარადჟამს იყო უპირველესი და უმთავრესი ღირებულება ქართველი ერისათვის. არა გვგონია, იმდენად პრიმიტიული იყოს თ. ფიფია, რომ ეს არ იცოდეს. მაგრამ სოფიოსმს ნაზიარევს, მას სურს გუშინდელი დღე დაგვავიწყოს. თუმცა არც ჩვენ გახლავართ გულმავიწყნი და გვსურს შევახსენოთ მას არც თუ ისე შორეული წარსული, როდესაც ის და მის თანამოაზრეთა მთელი ურდო აუმხედრდა ჭეშმარიტად ეროვნულ, ხალხის მიერ კანონიერად არჩეულ ხელისუფლებას, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ერთიანობის შესანარჩუნებლად მძლაერ იმპერიასთან უთანასწორო ბრძოლაში იყო ჩაბმული. საინტერესოა, ვის წისქვილზე ასხამდა წყალს და რომელი სპეცსამსახურის დავალებას ასრულებდა მაშინ ის ვაიოპოზიციური ძალა, რომელიც ათასგვარი უკანონო და ანტიდემოკრატიული ქმედებით ცდილობდა დესტაბილიზაციის დამკვიდრებას და ქვეყნის მთლიანობის დაშლას უწყობდა ხელს? უფრო მეტად საინტერესოა, რომელი ქვეყნების სპეცსამსახურების დავალებას ასრულებდნენ და რომელი ქვეყნების სამხედრო ძალის დახმარებით დაამხეს ფიფიამ და კომპანიამ ეროვნული ხელისუფლება, დახოცეს უამრავი ქართველი და ბოლო მოუღეს საქართველოს სახელმწიფოებრიობას, რის შედეგადაც მართლაც რომ დაირღვა ჩვენი ქვეყნის მთლიანობა? დღეს ხომ, ფაქტობრივად, დაკარგულია ძირძველი მიწები – შიდა ქართლისა და აფხაზეთის დიდი ნაწილი და არ არის გამორიცხული, რომ მესხეთ-ჯავახეთსაც გამოვეთხოვოთ. ხოლო დღეანდელი რეჟიმის უგუნური და შესაძლოა გაცნობიერებული ქცევითაც მოსალოდნელია, რომ დაიკარგოს საქართველოს ხერხემალი – სამეგრელოც. ახლა მე ვეკითხები ოპონენტს: ვინ დაანგრია ის ფუნდამენტი, რომელზედაც უკვე აშენებული იყო ახალი ქართული სახელმწიფო? ვეკითხები იმიტომ, რომ თავად ბრძანდებიან უკვე აშენებული ეროვნული სახელმწიფოს დამაქცეველნი და დამანგრეველნი და ახლა ამ ნგრეულეთში ძალისმიერი მეთოდებით – ტერორით, ადამიანთა დაპატიმრებით, ხოცვითა და წამებით ლამობენ უპერსპექტივო სახელმწიფოს საძირკვლის ჩაყრას. და რადგანაც იმასაც ხედებიან, რომ მათი გარჯა ამაოა, სურთ საკუთარი მიუტევებელი ცოდვა სამართლიანობისა და კანონიერების მომხრეებს გადმოგვილოცონ. მაგრამ, საბედნიეროდ, შუბი ხალთაში არ დაიმალება.

თ. ფიფიას განსაკუთრებით აწუხებს, რომ „ქვეყნის გათიშვის ტენდენციებმა სამეგრელოში ინინა თავი". მას თურმე ზუგდიდში ყოფნისას არაერთხელ უნახავს უცხო ქვეყნის აგენტურის მოქმედება, რომლის „სტრატეგიული მოქმედება" არის „სამეგრელოს დაპირისპირება დანარჩენ საქართველოსთან". სწორედ ამისთვის სპეცსამსახურის აგენტები თურმე მოხერხებულად იყენებენ „ყოფილი პრეზიდენტის წარმოშობასაც". და ახლა, „როცა – თ. ფიფიას თქმით – ჩვენ თანამემამულეებს კლავენ, აწამებენ, აუპატიურებენ, როცა ქვეყნის მნიშვნელოვან ნაწილში უცხო ტომები ეთნიკურ წმენდას გვიტარებენ, ყოფილი პრეზიდენტის მომხრეთა მოქმედება... სახელმწიფოს და ერის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული... და არ შეიძლება სხვაგვარად შეფასდეს, თუ არა ღალატი".

დავიწყოთ იმით, რომ „მეგრული ფენომენის" წინწამოწევა და მისი ხაზგასმა ზ. გამსახურდიას წარმოშობასთან დაკავშირებით დღევანდელი „ხელისუფლების" შორსგამიზნული და „ბრძნული" პოლიტიკის შედეგია. ჯერ კიდევ პუტჩის დღეებში ეაიოპოზიციის იდეოლოგიური მანქანა ჯიუტად ამცნობდა ქართველ საზოგადოებას, რომ ე. წ. ბუნკერს იცავს ზუგდიდის ბატალიონი, რომ ტყვედ ჩავარდნილ ქართველებს თურმე იქ („ ბუნკერში") განსაკუთრებული სისასტიკით ექცევიან მეგრელები და ა. შ. ეს იყო პირველი მარცვალი, ჩაგდებული სიძულვილისა და შუღლის გასაღვივებლად. ამას მოჰყვა სოფელ აღაიანთან ავტობუსში მძინარე ზუგდიდელი ყმაწვილების უმოწყალოდ ჩახოცვა და მათი გვამების აბუჩად აგდება. ცოტა მოგვიანებით ტელევიზიით ოფიციალურად გაცხადდა, თითქოს პრეზიდენტმა ზუგდიდში ხალხს მოუწოდა აფხაზურ-მეგრული რესპუბლიკის შექმნისა და აღმოსავლეთ საქართველოს დალაშქვრისაკენ. მართალია, ეს აბსურდული სიცრუე მალე გამჟღავნდა, მაგრამ ეშმაკის მიერ ჩაგდებული მარცვალი უკვე აღმოცენდა. ამ მარცვლის ნაყოფს იმქის დღეს თ. ფიფიაც, რომელიც მისთვის ჩვეული დემაგოგიით ამტკიცებს, თითქოს სამეგრელოში სეპარატისტული იდეები ღვიოდეს. ჩვენ კატეგორიულად უნდა განეაცხადოთ – მიუხედავად იმ საშინელებისა, რომელიც, ალბათ, სწორედაც სეპარატიზმის გასაღვივებლად დაატეხეს თავს ამ კუთხეს და არაადამიანურად გათელეს, იავარჰყვეს მის მცხოვრებთა ამაყი სული, ვერავი-

თარი სეპარატიზმისა და კუთხურობის ნატამალს. სანთლი-ოაც რომ ეძებონ ფიფიამ და მისმა თანამოაზრეებმა, ვერ იპოვ-ნიან. მაგრამ მათ სურთ შეგნებულად აღრიონ სხვადასხვა ცნებები და მსჯელობა ერთი სიბრტყიდან სხვა სიბრტყეზე გადაიტანონ. დემაგოგები ლამობენ, რომ სიმართლისთვის და კანონიერებისთვის ბრძოლა მონათლონ სეპარატიზმად, ხო-ლო ჭეშმარიტი მამულიშვილური პოზიცია, რომელიც უპი-რისპირდება კოლაბორაციონისტული ხელისუფლების რენე-გატულ პოლიტიკას, ქვეყნისა და ერის ღალატად გამოაცხა-დონ. ესეც ძველი, კომუნისტური მეთოდია და არახალია. მე-ტიც, ის, რაც, ვიმეორებთ, ამუამინდელი ხელისუფლების უსუ-სური, თუ ეგებ წინასწარგანზრახული პოლიტიკის შედეგია, ის, რაც მათი წყალობით მოვიმკეთ სამაჩაბლოსა და აფხა-ზეთში (ქართველების უმოწყალო გენოციდი და ეთნიკური წმენდა), რაც დამღუპველია ქართველი ერისა და სახელმწი-ფოებრიობისათვის, უპრეცედენტო ლოგიკითა და სიჯიუტით სურთ იმ ხალხს მიაწერონ, ვინც ამ გენოციდისა და ეთნიკუ-რი წმენდის წინააღმდეგ ხმას იმაღლებს და ამხელს ბოროტე-ბის სათავეს. აქვე გვსურს, თუკი არ გაგვირისხდება დიდი მამულიშვილი თ. ფიფია, რამდენიმე კითხვით მივმართოთ: ჯერ ერთი, თუ იგი ასე კარგად იცნობს უცხოეთის სპეცსამსახუ-რების თანამშრომლებს და შეცნობილი და შესწავლილი აქვს მათი საქმიანობა, რატომ არ ამხილა ისინი მისთვის ჩვეული პრინციპულობით და სამშობლო რატომ არ იხსნა დაღუპვისა-გან? ასეთი დაუდევრობა და გულგრილობა კანონიერი ხელი-სუფლების მომხრეს რომ გამოეჩინა, მას უდავოდ სამშობლოს მოღალატედ შერაცხავდნენ (თუმცაღა მისთვის ჩემი და ჩემი კომპანიის მხილებაც საკმარისია, ალბათ!). მეორეც, სად იყო თავისი „ქვეყნისა და კუთხის შვილი", როცა ამ მხარის მკვიდრთ ხოცავდნენ, აუპატიურებდნენ, აწამებდნენ, ძარცვავდნენ და სულში აფურთხებდნენ? რატომ არ ამოიღო თუნდაც ერთხელ ხმა, რატომ არ გაუჩნდა პროტესტის გრძნობა? ეს მით უმეტეს გასაკვირია, თუ გავიხსენებთ მის თვითგანდიდებას, რომელიც ასე გაისმის: „გარკვეული ავტორიტეტი და პატივისცემა მაქვს ჩემს კუთხეში, რადგანაც იგი არასდროს, ყველაზე მძიმე წუ-თებშიც არ მიმიტოვებია". გასაკვირია თუნდაც იმიტომაც, რომ იგი გახლავთ ძმა თორნიკე ფიფიასი, რომელმაც სწორედ ამ

უმსგავსობათა ვერმოთმენისა და პროტესტის ნიშნად ე. წ. „პარლამენტი“ მიატოვა. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც ქათმის სიბრმავე სჭირთ, თავისი საკარძლის და კეთილდღეობის იქით ვერაფერს ხედავენ ან, თუ ხედავენ, ცდილობენ ისე აღიქვან, როგორც მათ აწყობთ.

სწორედ ზემოხსენებული ახლომხედველობითა და ეგოცენტრიზმით ნასაზრდოები ცრუ, სოფისტური ლოგიკით ააგო თ. ფიფიამ თავისი უბადრუკი თვალთახედვის პირამიდა და შემდგომ სათანადო მკაცრი განაჩენი გამოუტანა. ხოლო საბოლოო განაჩენის გამოტანამდე თავისი „ბრძნული“ მსჯელობა იმითაც გაიმაგრა, რომ ქართველები, როგორც ახლა ძალზე მიღებულია ელიტარულ თუ ბნელიტარულ ნაწილში, ორად გაჰყო: „ფსევდო-ეროვნულ სინამდვილეში სოციალურ ტალღაზე მოსულ ნაძირალებად“, „გახელებულ ბრბოდ“, „აშარ, ქალობადაკარგულ დედაკაცებად“, „ოფიციალურ სტრუქტურებში შესულ ყაჩაღებად“, „პლებეებად“ და მისთ. (ყოველ შემთხვევაში, ასე უდიერად იხსენიებს არისტოკრატი თ. ფიფია იმ ადამიანებს, ვინც მის „მამულიშვილურ“ თვალსაზრისს არ იზიარებს) და „ღირსეულ“ მამულიშვილებად, ვინც დღედაღამ გაკრულია საქართველოს გზებზე, რათა ააშენოს ქართული სახელმწიფოებრიობა“. ამ უკანასკნელთა შორის, უპირველეს ყოვლისა, ის თავის თავს გულისხმობს და არც თუ დიდი თავმდაბლობით ხაზს უსვამს ავტორიტეტს და პატივისცემას, შეგნებულ საზოგადოებაში რომ დაიმსახურა. აგრეთვე არ ავიწყდება აღნიშნოს საკუთარი თავგამოდებული გარჯა და ღვაწლი საქართველოს გამთლიანებისთვის ბრძოლაში. ერთი სიტყვით, იშვიათად წამიკითხავს თვითგანდიდების და სხვათა დამცირების სულით გაჟღენთილი ამგვარი „ფილოსოფიური ტრაქტატი“. თუმცა, როგორც ჩანს, ეს „ტრაქტატის“ ავტორის ბუნება-ხასიათია და და ჩვენ მისი ამბიციურობა ნაკლებად გვაღელვებს. ჩვენ მხოლოდ გვსურს, ის ერთი წამით მაინც ჩაუღრმავედეს საკუთარ თავს, მიუგდოს ყური საკუთარი სინდისის ქენჯნას და ნათლად გაარკვიოს ვინ არის „ფსევდოეროვნულ სინამდვილეში ეროვნულ ტალღაზე მოსული ნაძირალა“,“ ოფიციალურ სტრუქტურაში შესული ყაჩაღი“ და ა. შ. და თუ ამას არ ისურვებს, ის მაინც ჰკითხოს საკუთარ „მე“-ს: არისტოკრატ, ინტელიგენტ და თავისი კეთხის ღირსეულ შვილს აქვს

თუ არა უფლება, ასეთი უწმაწური სიტყვებით ლანძღოს და თათხოს უბრალო ქართველი ადამიანი, რომელიც ათგზის ისედაც შეგინებული და გალანძღულია დღეს?! დიახ, ასე მოიქცევა ყველა ჭეშმარიტი ქართველი და ზნეობრივი ადამიანი. მაგრამ თავი გავანებოთ ილუზიებს და კვლავ საბოლოო განაჩენს მივუბრუნდეთ. განაჩენი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთობ მკაცრია. ვითარცა სამართალდამცავი ორგანოების და, კერძოდ, სპეცსამსახურის მუშაკებს სჩვეევიათ (სხვათა შორის, თ. ფიფია რატომღაც გვაბრალებს, თითქოს ჩვენ სპეცსამსახურების თანამშრომლად მოვნათლეთ. ღმერთი-რჯული, ასეთი რამ არ გვიწოდებია, მაგრამ, თუ მის ნიჭსა და მონაცემებს გავითვალისწინებთ და თანაც ასეთ „დაჩემება-სურვილს", არ არის გამორიცხული, რომ იგი ნაზიარები იყოს ამ სამსახურის იდუმალ მისტერიებს, თ. ფიფია გვაშინებს და გვემუქრება. საკუთრივ, ის წერს: „მათაც (ე. ი. მე და მუხრან მაჭავარიანმა) დიდებულად შეასრულეს ერის გათიშვის ფუნქცია. ამის დამადასტურებელი დოკუმენტური მასალა არსებობს, მას გაეცნობა ქართველი საზოგადოება და თვითონვე გააკეთებს დასკვნას, მართლაც ვინ არის „სპეცსამსახურის მუშაკი".

ეგონებ, ვინ ვინ არის, დღესვე გარკვეულია ჭეშმარიტი და პატიოსანი ქართველი საზოგადოებისათვის. ამიტომ არ ღირს ამის გაცნობიერება ისტორიას გადაეულოცოთ, ოღონდაც ბატონ ფიფიას მორიდებით უნდა შეეკადროთ, რომ ნუ გვაშინებს, რადგანაც ჩვენ უკვე კარგა ხნის შეშინებულები ვართ და უფრო მეტად ვეღარ შეგვაშინებს. ამასთანავე, თუ ჩვენი „მამხილებელი" ვერ მოიპოვა, გვთხოვოს და დავეხმარებით, მადლობა ღმერთს, სრულად მოგვეპოვება ვიდეოჩანაწერი, რომლის გამომზეურებითაც ასე გვემუქრება. მერმე, თუ მართლაც აქვს „დამადასტურებელი მასალები", ვურჩევთ კარგად, სათუთად მოუაროს, თორემ ხომ შეიძლება ისიც სადღაც დაიკარგოს, როგორც ეს დაემართა პრეზიდენტის მამხილებელ მასალებს. გავიხსენოთ თუნდაც დაპირებული იანაევის დაკითხვის ოქმი, ორასი თუ შვიდასი მილიონი მანეთი, ორმოცი კილოგრამი ოქრო და მისთ. რომელი ერთი ჩამოვთვალო?!

აქვე იმასაც დავსძენ, რომ პოზიცია და მრწამსი, რომელიც რ ციკალურად უპირისპირდება იარაღით და სისხლით მოსუ ი ხელისუფლებას, არასოდეს დამიმალავს და არაერთგზის

დამიბეჭდავს კიდეც. ასე რომ, ბნელ ოთახში კატის ძებნას შეეშვათ და ნუ შეეცდებით ცრუ დემაგოგიით თვალი აუხვიოთ საზოგადოებას. ამით შეიძლება მხოლოდ რამდენიმე თვით გაიხანგრძლივოთ იმ სავარძელში „ნებიერობა", რომლის ძირიც მომპალია და სულ მალე გამოგეცლებათ.

წერილის დასასრულს თ. ფიფიას სურს განქიქების ქარცეცხლში გამატაროს და მედროვე და ანტიეროვნულ კაცად დამხატოს, ამიტომაც წარსულს ნიშნისმოგებით შემახსენებს. თუ როგორ ეხერხება მას მიკიბე-მოკიბვა, როგორ ემეგობრება სიცრუეს და სიყალბეს, როგორი აბსურდულია მისი მსჯელობის მეთოდი, ნათლად ჩანს დასკვნითი ნაწილიდანაც. ამიტომაც შევჩერდეთ ამ მინიშნებებზე:

1. თურმე მე ეუმტკიცებდი თ. ფიფიას და ძმათა მისთა, რომ „ამაოდ ებრძოდნენ ქარის წისქვილებს". ოპონენტი ციტირებული ფრაზით მიანიშნებს ერთ-ერთ სტატიაზე – „რატომ ებრძვით ქარის წისქვილებს?!", რომელიც „ლიტერატურულ საქართველო"-ში დაიბეჭდა ჩემი რედაქტორობის ჟამს (1988, № 2). ამ წერილში კრიტიკულად იყო შეფასებული ილია ჭავჭავაძის საზოგადების ჩამოყალიბების არადემოკრატიული პრინციპი, მისი პროგრამის ზოგიერთი მუხლი და, რაც მთავარია, მათ მიერ გამოცემული ხელნაწერი ჟურნალის „მოამბის" ლიტერატურული თუ მეცნიერული დონე. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც ვიზიარებ ხსენებულ პუბლიკაციაში გამოთქმულ შენიშვნათა დიდ ნაწილს და მის კრიტიკულ პათოსს, მაინც უნდა ვაღიარო, რომ წერილის გამოქვეყნება ჩემი რედაქტორული მოღვაწეობის „დადებით ფურცლად" არ მიმაჩნია. თუმცა, ნუთუ, ვინმეს ეგულება დედამიწის ზურგზე რედაქტორი, რომელსაც არ დაებეჭდოს მისთვის არასასურველი მასალა?! მაგრამ თ. ფიფიას სურს მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას, თითქოს ეს წერილი მე დამეწეროს, მაშინ როცა ამ პუბლიკაციას მრავალი ავტორი ჰყავს. კერძოდ, ჟურნალ „მოამბეში" აღძრულ საკითხზე თავიანთი აზრი გამოთქვეს მარიამ ლორთქიფანიძემ, გურამ შარაძემ, გურამ ფანჯიკიძემ, კობა იმედაშვილმა, ალბერტ თავხელიძემ, არჩილ სულაკაურმა, პაატა ნაცვლიშვილმა და ირაკლი აბაშიძემ. მართალია, წერილს დართული აქვს შესავალი და ბოლოთქმა, მაგრამ მაინც მსურს ეკითხო თ. ფიფიას, რატომ მიტევს: ოდენ იმიტომ, რომ რე-

დაქტორი ვიყავი მაშინ, თუ უფრო იმიტომ, რომ დღეს რადაც არ უნდა დაუჯდეს, სურს ჩემი გაშავება, რათა თავის „პატრონებს“ ასიამოვნოს? პატრონ-ყმობის ინსტიტუტის განვითარების ისტორიას თუ გავიხსენებთ, ეგ გარჯა მას უდავოდ დაუფასდება.

მეორე აშკარა ცილისწამება ის არის, თითქოს მე ხოტბას ვასხამდი „პერესტროიკის“ შემოქმედს. ეტყობა, თ. ფიფიას ვიღაცაში ვეშლები (საკუთარ თავსა თუ თავის შეფში). ერისა და ღვთის წინაშე ვაცხადებ, რომ ჩემს ცხოვრებაში არც ერთი სახოტბო სიტყვა „პერესტროიკის“ შემოქმედებზე არ დამიწერია. თუკი ჩემი ოპონენტი ერთ ასეთ სიტყვას მოძებნის ჩემს ნააზრევში, მზად ვარ საქართველოდან გადავიხვეწო. თუ არა და, ეს უსნეობაც მის სინდისზე იყოს. თ. ფიფია იმასაც მსაყვედურობს, რომ, თურმე, მე 1989 წელს არ დავბეჭდე ზვიად გამსახურდიას დასაცავი წერილი. მართალი გითხრათ, არ მახსოვს ამ წერილის არსებობა. თუმცა, თუ ამ სიცრუის ძაფს გავყვებით, რომელიც ასე ჩაბლანდულია მის წერილში, მაშინ ამჯერადაც ოდენ ავტორის წარმოსახვასთან უნდა გვქონდეს საქმე. მაგრამ მთავარი აქ სხვა რამაა. განსაცვიფრებელია თ. ფიფიას მსჯელობის მეთოდი. თურმე ნუ იტყვით, როცა ის 1989 წელს ზვიად გამსახურდიას დასაცავ წერილს წერდა, „მაშინ მისი დაცვა ეროვნული მოძრაობის დაცვა იყო“, ხოლო ახლა, როცა ის ლანძღავს და თათხავს ზვიად გამსახურდიას, როგორც ჩანს, ესეც ეროვნული მოძრაობის დაცვაა. აი, საუკეთესო ნიმუში თ. ფიფიას დემაგოგიისა. როგორც იტყვიან, თვითონ ჭრის და თვითონვე კერავს, უფრო მართებულად, საკუთარ წარმოსახვებს ბლანდავს.

დასასრულს, თ. ფიფია ლანძღავს „საქართველოს სამრეწლოს“, რომელიც, თურმე, შავრაზმული გაზეთია, „რეკვნის ეროვნულ ცნობიერებას და დეზორიენტაცია შეაქვს ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის მოსახლეობაში“. მისგან არც ეს ბრალდება გვიკვირს და გვაღელვებს. მოვლენების აღქმას ხშირად აპირობებს ის იდეოლოგია, რომლის ძუძუც გიწოვია. თუ ნეოკომკავშირული, „წითელრაზმული“ პოზიციებიდან შეეხედავთ ჩვენს გაზეთს, შეიძლება ის „შავრაზმულიც“ მოგეჩვენოს. არა გვგონია, თ. ფიფიას ტერმინების ახსნა ესაჭიროებოდეს, მაგრამ მაინც შევახსენებ, რომ „შავრაზმელები“ პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, რომლებიც დაუნდობლად და განსაკუთ-

რებ'ული სისასტ'იკით აწ'იოკებდნენ და არბევდნენ ხალ'ხს. ასე რომ, თ'უ მას მთლად არ წ'ართმევია თვალის ჩინი, ეს კენჭი მეგობარი პოლიციელების და ჯალათების ბოსტან'ში ისროლოს. ასე აჯ'ობებს მისთვისაც და შავრაზმელებისთვისაც, ასეთი გამეტ'ებით და გამხეცებით რომ არბევენ მ'შვიდობიან მანიფესტანტებს. ამასთანავე, ვინ შერყენა და ვინ რყენის ერს თავისი მასონური და კოსმოპოლიტ'ურ-ინტ'ერნაციონალ'ური ცნობიერებით, ეს ჩემზე უკეთ მოეხსენება თ. ფიფიას, რადგანაც იმ წ'რეში იზ'რდებოდა და დღესაც იქ ტ'რიალებს, სადაც ეს ს'ულისკვეთება ბატონობს. რაც შეეხება მოსახლეობის დეზორიენტ'აციას, ესეც თავის ნეოკომკა'შირულ და ნეოკომ'უნისტ'ურ პ'რესას მოჭ'ითხოს, სადაც ყველაფერი სიცრ'უის გამრ'უდებ'ულ სარკეშია ასახული. დღეს თ'უ „საქართველოს სამრეკ'ლოს" მკითხველი ჰყავს და ამ გაზეთის შესაძ'ენად რიგები არ ილევა, სწ'ორედ იმიტ'ომ, რომ იგი ცდილობს სიმართლე უთხ'რას ქ'ართველ საზ'ოგადოებას.

სხვათა წ'არს'ულის „ცოდვების" გამ'კითხავ თ. ფიფიას მს'ურს მისივე სტ'ილით ვუპასუხო და შ'ევახსენო: ამ'ხანაგმა თემ'ურ ფ'ფიამ ყ'ოველთ'ვის იცოდა და იცის, რას აკ'ეთებს: მა'შინაც, როცა ფ'ილოსოფ'იის ფ'აკ'ულტ'ეტის კ'ომკ'ავშ'ირის ხ'ელფ'ასიანი მ'დ'ივანი ი'ყო და თ'ავ'ისი ინ'ტ'ერ'ნაციონ'ალ'ური მ'ოღ'ვაწ'ეობ'ით ახ'ალ'გ'ა'ზ'რ'დ'ებს ბ'ონ'ებ'ას უ'წ'ამ'ლ'ა'ვ'და; მ'ა'შ'ინ'ა'ც, რ'ო'ცა 1990 წ'ლ'ის მ'ა'რ'ტ'ის ა'რ'ჩ'ევ'ნ'ებ'ის დ'რ'ოს ხ'ო'ტ'ბ'ას ა'ს'ხ'ა'მ'დ'ა ბ'ა'ტ'ონ ზ'ვ'ი'ა'დ' გ'ა'მ'ს'ა'ხ'ურ'დ'ი'ა'ს; მ'ა'შ'ინ'ა'ც, რ'ო'დ'ე'ს'ა'ც ე. წ'. კ'ონ'გ'რ'ე'ს'ის თ'ა'ე'ვ'ა'დ'ა'კ'ლ'ულ მ'ომ'ხ'რ'ე'დ' მ'ო'გ'ვ'ე'ვ'ე'ლ'ი'ნ'ა; მ'ა'შ'ინ'ა'ც, რ'ო'ცა 1992 წ'ლ'ის" ი'მ'ე'დ'ის" ა'რ'ჩ'ევ'ნ'ებ'ამ'დ'ე ე. შ'ე'ვ'ა'რ'დ'ნ'ა'ძ'ის „ს'ა'ხ'ო'ტ'ბ'ო" გ'უ'ნ'დ'ში ყ'ვ'ე'ლ'ა'ზ'ე' თ'ა'ვ'გ'ა'მ'ო'დ'ებ'ულ'ი' ა'გ'ი'ტ'ა'ტ'ო'რ'ი' ი'ყ'ო' ა'ხ'ლ'ა'ც' კ'ა'რ'გ'ა'დ' ი'ც'ის' რ'ა'ს' ა'კ'ეთ'ებ'ს, რ'ო'ცა' თ'ა'ვ'ის' პ'ა'ტ'რ'ონ'ს' ე'მ'ს'ა'ხ'ურ'ებ'ა.

ბ'ა'ტ'ონ' თ. ფ'ი'ფ'ი'ა'ს' კ'ი'დ'ე'ე' ე'რ'თ'ხ'ე'ლ' უ'ნ'დ'ა' შ'ე'ე'ვ'ა'ხ'ს'ე'ნ'ო' – ს'ა'ზ'ო'გ'ა'დ'ო'ებ'ამ' თ'ა'ე'ვ'ა'დ' უ'კ'ეთ' 'ე'წ'ყ'ი'ს', ვ'ი'ნ' ვ'ი'ნ' ა'რ'ი'ს', რ'ა'დ'გ'ა'ნ' ხ'ა'ლ'ხ'ურ'ი' ს'ი'ბ'რ'ძ'ნ'ე' მ'ე'ტ'ყ'ვ'ე'ლ'ებ'ს – ს'ი'მ'ა'რ'თ'ლ'ე' კ'ა'ც'ს' ა'რ' დ'ა'ე'კ'ა'რ'გ'ებ'ა'ო.

P. S. რ'ო'გ'ორ'ც' კ'ი' გ'ა'რ'ე'მ'ო' ა'შ'მ'ორ'დ'ა' (დ'ა' 'უ'ნ'დ'ა' გ'ი'თ'ხ'რ'ა'თ', რ'ო'მ' დ'ღ'ეს' ს'ი'მ'ყ'ა'ყ'ი'ს'ა' დ'ა' ს'ი'დ'ა'მ'პ'ლ'ის' ს'უ'ნ'მ'ა' წ'ა'ი'ღ'ო' ს'ა'ქ'ა'რ'თ'ვ'ე'ლ'ო'), წ'ემ'პ'ე-გ'უ'ბ'ურ'ა'ს' მ'უ'დ'მ'ი'ვ'მ'ა' ბ'ი'ნ'ა'დ'რ'ებ'მ'ა' თ'ა'ვ'ი' წ'ა'მ'ო'ჰ'ყ'ვ'ე'ს' დ'ა' ყ'ი'ყ'ი'ნ'ი' ა'მ'ი'ტ'ე'ხ'ე'ს'. ს'ა'ყ'ო'ვ'ე'ლ'თ'ა'ო'დ' ც'ნ'ობ'ილ'მ'ა' ფ'ა'რ'ი'ს'ე'ვ'ე'ლ'ებ'მ'ა' ს'ა'ლ'უ'ქ'ვ'ა'ძ'ე'ებ'მ'ა' დ'ა' ს'უ'ლ'ა'ქ'ვ'ე'ლ'ი'ძ'ე'ებ'მ'ა', კ'ა'რ'ბ'ე'ლ'ა'შ'ვ'ი'ლ'ებ'მ'ა' დ'ა'

ყველაფერაშვილებმა, ფოცხიშვილებმა თუ ცოცხიშვილებმა ლაფის სროლა დაიწყეს. რა იციან ამ ცოდვისშვილებმა, რომ ნასროლი ტალახი მათვე უბრუნდებათ და მათი ლანძღვა ჩემს ზნეობრიობას წარმოაჩენს ოდენ. აი, ჩემი საქმე მაშინ იქნებოდა ცუდად, ამ ვიგინდარების ხოტბისა და ქების ობიექტი რომ გავმხდარიყავი. მაშინ მართლაც შემეპარებოდა ეჭვი ჩემს პოზიციაში. დედამიწა ბრუნავს, დროის ჩარხი ტრიალებს და ყველაფერი მეორდება. ქარავანიც მიდის და მიუხედავად იმისა, რომ ძაღლები უყეფენ, გზას მაინც მიიკვლევს.

1993 წელი

შევარდნაძის ხელისბიჭთა „ბჟუტური“

არაერთგზის მიფიქრია, რომ უგვანოთა და უღირსთ თავი არ უნდა გაუტოლო და მათ დონეზე არ უნდა დაეშვა-მეთქი. მართლაც, როცა შეიძლება ბულბულთა გალობას უსმინო კაცმა, ჭაობის ბინადართა ყიყინს რატომ უნდა მიუგდო ყური?! მაგრამ, სამწუხაროდ, დღევანდელი საქართველო დამსგავსებია აშმორებულ გუბეს, სადაც გომბეშოთა გასკდომამდე ყიყინი ისმის ოდენ. ამიტომაც, ნებსით თუ უნებლიეთ, ადამიანი იძულებულია ეს გულისწამღები გნიასი აღიქვას. დღეს ყველაფერი თავდაყირა რომ დგას, ალბათ, ამის შედეგი უნდა იყოს ის, რომ ვინმე აფთიაქარი ს. სალუქვაძე თურქული პოეტიკის პრობლემებზე მეკამათება, ვინმე თ. მირიანაშვილი ქართული ლიტერატურისა და „კაიკაცობის“ არსს მიხსნის, ხოლო პეტმარ (სახელს დააკვირდით!) აბაიშვილი – ჟურნალისტიკის და რედაქტორობის საიდუმლოებაში მარკვევს. ეს ყოველივე სასაცილოდ არ ეყოფოდა კაცს ადრე, როცა ზნეობა ზნეობდა და კაცი კაცობდა. ახლა კი სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, რადგანაც ამ წერილებში, როგორც სარკის ნატეხებში, არეკლილია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მორალურ-ინტელექტუალური რაობა, მით უმეტეს, რომ ჩემი ოპონენტები ე. წ. სახელმწიფო მეთაურის აპარატის აქტიური თანამშრომლები, შევარდნაძის თანამოაზრენი და თანამებრძოლნი არიან და, ცხადია, მათი „პოლიტიკური სიმწიფე“ გარკვეულწილად სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსზეც ახდენს გავლენას. ჰოდა, სწორედ ამის გამოცაა, რომ უფსკრულისკენ მივექანებით დღითიდღე კი არა – წუთიწუთ...

მკითხველი რომ არ დაიბნეს, უფრო კონკრეტულად მოვახსენებ სათქმელს. ამხ. ე. შევარდნაძისადმი გაგზავნილმა ჩემმა ღია წერილმა, რომლის გამოქვეყნება დაიწყო გაზეთმა „სარანგმა“, დიდი ალიაქოთი გამოიწვია ე. წ. სახ. მეთაურის მიმდევართა ბანაკში, მილიციელ-პოლიციელთა უმალ ჩემს ბინაზე მოხტომასა და „სარანგის“ რედაქტორის დევნა-შევიწრო-

ვებაზე რომ აღარაფერი ვოქვა. წერილის მეორე ნაწილი, სადაც მთავარი აზრია განვითარებული, არც კი იყო დაბეჭდილი. რომ შევარდნაძის ხელისბიჭებმა, რა არის, ვინმემ არ დაკვასწროს „მამა-მარჩენლის" გამოსარჩლებაო, „სეთურის მონებივით" ქვების სროლა დამიწყეს, თანაც ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო დაუნდობლად მესვრის. კი მაგრამ, თუ მართლაც ჭეშმარიტების გარკვევა სურდათ, ჯერ ბოლომდე მოესმინათ სათქმელი და მერე გამოედოთ თავი. მაგრამ მათ ხომ მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებთ – როგორმე დაიმსახურონ „მამა-მერჩენლის" ერთგული ყმის სახელი. ამიტომაც ყველაფერს კადრულობენ: დემაგოგიას, სიცრუეს, ფარისეველობას და კიდევ ვინ მოთვლის, რას არა, მაგრამ უმწიფრობის გამო სოფისტობაც ვერ გამოსდით და საკუთარი დანით იჭრიან ყელს. ცხინვალში დაბადებული და გაზრდილი მირიანაშვილის თუ ამირანაშვილის თუ ოსიშვილის (რას გაიგებს კაცი?) და პეტრე-მარიამის შობილს (პეტმარი ამას უნდა ნიშნავდეს) წერილებს რომ გაეცნობა ადამიანი („შანსი", 10-17 მარტი, 1994 წ.; „საქართველოს რესპუბლიკა", 15 მარტი, 1994 წ.), ძალაუნებურად იფიქრებს, რომ მათ ავტორებს აკვანში წოლისას არტახები წელის ნაცვლად თავზე გადაუჭირეს, რამაც გარკვეულად ტრავმა მიაყენა მათ სააზროვნო ორგანოებს. ახლა კი არსებული სიცარიელის ამოვსება ფარისეველობით მოპოვებული „ჩინ-მედლებით" განუზრახავთ: ე. წ. სახელმწიფო მეთაურის მრჩეველისა და ე. წ. პარლამენტის პრესცენტრის მთავარი სპეციალისტების ტიტულით. მაგრამ ავიწყდებათ ერთი მარტივი რამ – სიცარიელე მხოლოდ ცოდნითა და განათლებით შეივსება და ვერავითარი „ჩინოსნობით" მას ვერ დაფარავ.

ვისაც მოუცლია და მირიანაშვილის საპოლემიკო წერილებს გასცნობია, მისთვის ნათელია, რომ მოკამათე არ ცდილობს თავისი სათქმელის დასაბუთებას. კაცს, ვთქვათ, პატიოსანს, უპატიოსნოს დაარქმევს და სრულიად არ ენაღვლება თავისი „ნაბუტურალის" დასაბუთება. ანდა, თუკი ცდილობს რაღაც დაამტკიცოს, მთლიანად დემაგოგიასა და სიცრუეს ეყრდნობა. ამის საუკეთესო ნიმუშია მისი პასკვილი, რომლითაც „მამა-მარჩენლის" გათეთრებასა და ჩემს გაშავებას ლამობს. მაგრამ, რადგანაც მის გათეთრებას ვერ ახერხებს,

ამიტომ ცდილობს, რადაც ‘ენდა დაუჯდეს, მე ამომსვაროს ტალახ’ში.

ცხინვალელი ინტელიგენტის, მირიანაშვილის თქმით, ჩემი წერილი სავსეა „ყოველგვარ წრეგადასული, აშკარად ხ’ელიგნ’ური გამოთქმებით“ და გაჟღენთილია „პირდაპირ პათოლოგიური სიძულვილით“ წერილის ადრესატისადმი. ახლა იმის მტკიცება რომ დავიწყო, შევარდნაძე გულზე მეხატებამეთქი, არ ვიქნები მართალი, მაგრამ არც პათოლოგიურ სიძულვილს განვიცდი მისდამი, რადგანაც ასეთი რამ, სხვათაგან განსხვავებით, საერთოდ არ მახასიათებს. ისიც არ ვიცი, როგორ ესმით ცხინვალ’ში „ხ’ულიგნ’ური გამოთქმები“. მე კი მირიანაშვილის „მამა-მარჩენლის“ ნაღვაწ-ნამოქმედარს რომ ვაანალიზებ, სხვა ეპითეტები არ მადგება ენაზე. შეიძლება ზოგჯერ გადავაჭარბე კიდეც, მაგრამ ეს სავსებით არ ცვლის საქმის არსს.

მირიანაშვილი, როგორც საერთოდ სჩვეულია, ვერ, ანდა არ გაერკვა ჩემი წერილის მთავარ თეზისში (ან კი როგორ გაერკვეოდა, როცა წერილი არ იყო სრულად დაბეჭდილი). ის „ბრალდებები“, რომელთაც მე ვუყენებ ე. შევარდნაძეს, მარტივად ასე წარმოადგინა: თითქოს მე ვადანაშაულებ შევარდნაძეს იმის გამო, რომ ის იყო პარტიის წევრი და ფ’უნქციონერი. თურმე მისი უმთავრესი ნაკლი ის არის, რომ იგი ქებით იხსენიებს კომპარტიას და მის ლიდერებს. დაბოლოს, კომუნისტების მბრძანებლობის ჟამს მოხდა ბევრი საშინელება, რაც, ჩემი აზრით, თურმე შევარდნაძის ბრალია. აი, ამ სამ თეზისამდე დაიყვანა ჩემი წერილი და მერე მოდგა მათ გაბათილებას. სწორედ ასეთ კაცზე იტყვიან, თავად ჭრის და თავადვე კერავსო. მაგრამ ასეთ ვითარებაშიც ცხინვალელი ინტელიგენტის არგ’უმენტაცია ძალზე პრიმიტიულია. მისი აზრით, „კომპარტიის წევრობა თავისთავად არ არის დანაშაული“. თ’ურმე ოდესღაც კომუნისტები ყოფილან „ჩვენი დროის საქართველოს ყველაზე დიდი გმირი ჟი’ული შარტავა და ჩვენი დროის ყველაზე დიდი მოაზროვნე მერაბ მამარდაშვილი“. მერმე, მართალია ე. შევარდნაძეს „ბევრი საამური სიტყვა უთქვამს იმპერიის ბელადებისათვის“, მაგრამ მეცხრამეტე და მეოცე საუკ’უნის ‘უდიდესი ქართველებიც, ერის მამებიც ხოტბას ასხამდნენ რ’უსეთის ხელისუფალთ. „განა ყველა ისინი მოღალატე-

ები იყვნენ?!" დაბოლოს, თურმე მე არავითარი იურიდიული საბუთი არ უამაჩნია, რომელიც ჩემს „ბრალდებებს" გაამაგრებდა. როგორც იტყვიან, ქვას გახეთქავს მირიანაშვილის მსჯელობა. ჰოდა, ისიც, რადგანაც ფიქრობს, რომ ჩემი თეზისები გააბათილა, მომიბრუნდა და ოსური თავმომწონებით, სიმდის ცეკვისას რომ მზეურდება, პათეტიკურად დამისვა რამდენიმე მომაკვდინებელი კითხვა. კითხვების შინაარსი დაახლოებით ასეთია: 1. თუ ასე მძულდა კომუნისტები და დანაშაულად მიმაჩნდა პარტიის წევრობა, რატომ ვიყავი პარტიის წევრი? რატომ მივდიოდი ხშირად ცეკაში, რატომ ვმეკაცობდი ცეკას მდივნებთან? 2. თუ სამარცხვინოდ მიმაჩნდა კომპარტიის და მისი ლიდერების ხოტბა, რატომ იბეჭდებოდა ალმანახ „კრიტიკისა" და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ყველა ნომერში ამდენი სახოტბო მასალა პარტიაზე, მის ლიდერებზე, იმპერიაზეც? 3. როცა ვხედავდი ასეთ უსამართლობას, რატომ არ ვიმაღლებდი ხმას ამის გამო?

ჩემი ღრმა რწმენით, ყოველივე ზემოთ მოხმობილი ბავშვური ტიტინია და მთხზველიც მხოლოდ იმიტომ ქადაგებს ასე მარტივად, რომ იმედი აქვს, მისი წერილი უპასუხოდ დარჩება. მაგრამ ამჯერად იმედი უნდა გაეუცრუო და მისთვის საკადრის დონეზევე ეუპასუხო.

ჯერ ერთი, მე არ ვადანაშაულებ შევარდნაძეს იმის გამო, რომ იგი ფუნქციონერი და კომუნისტი იყო. სამწუხაროდ, ჩემი წერილი გვარიანად შემოკლებული დაიბეჭდა. სრულად რომ გამოქვეყნებულიყო, მირიანაშვილი მაშინ მაინც მიხვდებოდა (თუმცა ისედაც უნდა მიმხვდარიყო), თუ რას და რატომ ვსაყვედურობ მის „მამა-მარჩენალს". ამიტომაც, იძულებული ვარ წერილიდან მოვიხმო ზოგიერთი ამოღებული პასაჟი, რათა მკითხველმა ირწმუნოს, რომ **სრულიად საპირისპიროს** ვამტკიცებ. ჩემი აზრით, მთავარი ის კი არ არის, თუ რომელ სფეროში მოღვაწეობს კაცი, არამედ „რამდენად თავდადებით და ღირსებით ემსახურება დასახულ მიზანს და რამდენად ადგება მისი ნამოღვაწარი მის ერსა და ქვეყანას". იმასაც აღვნიშნავდი, რომ სტალინისა და ორჯონიკიძის ნამოქმედარსაც აქვს გამართლება, „თუ მართლაც ნამდვილი, ჭეშმარიტი იდეის უანგარო სამსახურთან გვაქვს საქმე". მაგრამ ე. შევარდნაძეს, ვფიქრობ, არასოდეს არ სწამდა იმისი, რასაც საქვეყ-

ნოდ ქადაგებდა. თუ რატომ, ამის შესახებაც მაქვს დამაჯერებელი არგუმენტაცია, მაგრამ ახლა მისი მოხმობა შორს წაგიყვანდა. ერთი სიტყვით, მე ვფიქრობ, რომ ე. შევარდნაძეს არ სწამდა იმ ხატისა, რომელზედაც იფიცებდა. ის იდეას კი არ ეწირებოდა, არამედ იდეას იყენებდა პირადი კეთილდღეობისათვის. სწორედ ამის გამო მას ესაყვედურობდი: „თქვენ იბრძოდით სოციალისტური წყობილებისათვის იმდენად, რამდენადაც ის ქმნიდა თქვენს პიროვნულ კეთილდღეობას. ასე რომ, თქვენ ფიქრობდით საკუთარ თავზე და არა ქვეყანაზე. უფრო მეტიც, თქვენს მიერ განელილი ცხოვრების გზა აშკარად მეტყველებს, რომ თქვენ არაფერზე იხევდით უკან, რათა კარიერის საფეხურებზე ზეასულიყავით, ხელში ჩაგეგდოთ ისეთი თანამდებობა, თქვენს ძალაუფლებისმოყვარე ბუნებას რომ დააკმაყოფილებდა. ერთი სიტყვით, მთელ თქვენს მოღვაწეობას ასულდგმულებდა ერთადერთი მიზანი – თანამდებობის ხელში ჩაგდება. ყოველგვარი მაღალი იდეალები, სახელმწიფო ინტერესები თქვენთვის იყო მხოლოდ საფარი და კარიერისკენ სწრაფვა გასხამდათ ფრთებს. ნუ გეწყინებათ და პირდაპირ გეტყვით: თქვენ ხართ პირწავარდნილი კარიერისტი, რომელიც ყველას და ყველაფერს გაწირავს თავისი სანუკვარი მიზნის, მაღალი პოსტის დასაუფლებლად. კარიერიზმით მრავალია შეპყრობილი, მაგრამ, როცა ის სჭირს სახელმწიფოს თავკაცს, მაშინ ეს ავადმყოფობა საზიანოა, დამღუპველია მთელი ქვეყნისთვის და საეალალო შედეგების მომტანიც“.

ჩემი სიტყვების უტყუარობას ე. წ. სახელმწიფო მეთაურის ბოლოჟამინდელი მოქმედებაც ადასტურებს. მან მხოლოდ იმისთვის, რომ ძალაუფლება არ გასხლტომოდა ხელიდან და „პირველი კაცის“ სავარძელი არ დაეკარგა, გასწირა საქართველოს თავისუფლება, რუსის ჯარს უხმო ქვეყნის დასაპყრობად, რის შესახებაც „პარლამენტის“ ერთ-ერთ სხდომაზე თავადვე წამოცდა.

ერთი სიტყვითა და ორი გაგებით, მე იმას კი არ ვსაყვედურობ შევარდნაძეს, რატომ იყავი პარტიის წევრი და ფუნქციონერი-მეთქი (თუმცა ამას დიდად სანაქებო საქმედ ვერ აღვიქვამ და ახლა შარტავას თუ მამარდაშვილის მაგალითი კი არა. მოტროსოვის, კანტისა და ჰეგელის ავტორიტეტიც რომ

მოიშველიოს ჩემმა ოპონენტმა კომუნისტების გასამართლებლად. ვერაფერს ვააწყობს და იმ ცოდვის ზღვა სისხლში ჩაიხრჩობა. ბოლშევიკებმა რომ დაღვარეს საუკუნის მანძილზე). არამედ კარიერისტობას, რომელსაც ის ყველაფერს ანაცვალებს. მერმე, თურმე შევარდნაძის მთავარ ღალატად ის მიმაჩნია, რომ მას „ბევრი საამური სიტყვა უთქვამს იმპერიის ბელადებისთვის". მხოლოდ ეს რომ ბრალდებოდეს ე. შევარდნაძეს, ვინ არის ხმის ამომღები და გამკითხავი? მაგრამ აქაც აზრის შეგნებულ გაყალბებასთან გვაქვს საქმე: ეს „სახოტბო პოეზიაც" შევარდნაძეს თავისი სავარძლის გასამაგრებლად სჭირდებოდა ოდენ. სხვათა შორის, გოეთეც აქებდა ნაპოლეონს, რადგანაც უდიდეს პიროვნებად მიაჩნდა. არც ის მიკვირს, რომ ქართველ მწერალს სტალინისათვის ხოტბა მიეძღვნა, მაგრამ უკვე გამოლეშებული, დეფეკაციაშეუკავებელი ბრეჟნევის ღმერთკაცად დახატვა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისთვის წასადგომად, არავითარი მორალურ-ეთიკური ნორმებით გამართლებული არ არის. აქვე იმასაც დავსძენ მირიანაშვილის გასაგონად, რომ რაღაც არ მაგონდება XIX საუკუნის ერის მამათ — ილიას, ვაჟას და აკაკის რუსთა ხელმწიფის ქებით მოღლოდეთ კალამი, პირიქით კი...

დასასრულს, თურმე მე არ მომაქვს არავითარი იურიდიული საბუთი, რომლითაც გავამართლებდი ჩემს „ბრალდებებს". უნდა გავკადნიერდე და შევახსენო ჩემს ოპონენტს, რომ პროკურორი არ ვარ და არც არავის ვუპირებ მსჯავრდებას და განაჩენის გამოტანას. მხოლოდ ჩემს საკუთარ აზრს და შეხედულებას გამოვხატავ, რისი უფლებაც, ეგონებ, მაქვს. ხოლო რაც შეეხება საბუთებს, რამდენადაც ვიცი, საკმარისზე მეტია სპეციალური კომისიების მიერ შესწავლილი და გამოკვლეული. ახლა მათი ადგილსამყოფელი რომ გავამხილო, ამჟამინდელი რეჟიმის ამბავი რომ ვიცი, ერთთავად გააქრობენ. ასეც რომ არ იყოს, განა ქართველი საზოგადოებისთვის არ არის ცნობილი, რომ ე. შევარდნაძის ცეკას მდივნობისას მისი ნებისა და სურვილის გარეშე ბუზიც კი ვერ გადაფრინდებოდა?! ამიტომაც მთელი უბედურება, რაც იმჟამად ტრიალებდა, მისგან იღებდა სათავეს. განა ახლაც ასე არ ხდება?! ის ერთპიროვნულად წყვეტს ისეთ პრობლემებს, მთელი ერის გადასაწყვეტი რომაა. გამკითხავი კი არავინ არის. მაგრამ არა

უშავს, ერთი დრო არაეის შერჩენია და განკითხვის უამიც დადგება.

ახლა უნდა ვუპასუხო იმ კითხვებსაც, პირადად მე რომ დამისვა მირიანაშვილმა: თუ რატომ შევედი პარტიაში. ამის შესახებ არაერთგზის მიწერია და აქ აღარ გავიმეორებ. ოღონდაც არასოდეს ეყოფილვარ ფუნქციონერი და ცეკაშიც არცერთხელ არ მივსულვარ მანამ, სანამ რედაქტორად არ დამნიშნეს. ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე და, მირიანაშვილის ირგვლივ იმდენი ცეკას მოღვაწე და ფუნქციონერი ყურყუმალაობს, რომ მიკვირს, ჩემი ცეკაში სიარული რამ გაახსენა! რაც შეეხება ცეკას მდივნებთან ძმაკაცობას: გაქალაქებულ პროვინციელთაგან განსხვავებით, მე ძმაკაცებს კაცობით ვირჩევდი და არა პარტიების და თანამდებობების მიხედვით. სხვათა შორის, „ძველი ბიჭებიც“ მყავდა და მყავს მეგობრები, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მათი საქმიანობა მომწონდეს. ჩემი ოპონენტი აშკარად ცრუობს, როცა წერს, რომ ჩემი რედაქტორობის უამს იბეჭდებოდა „პრაქტიკულად ყველა ნომერში (1986-დან 1889 წლამდე) ამდენი სახოტბო მასალა პარტიაზეც, მის ლიდერებზეც, იმპერიაზეც“. იმას ვერ დავიჩემებ, საკდესის ოფიციალურ მასალას არ ვბეჭდავდი-მეთქი. ვისაც რედაქციაში უმუშავია, მისთვის ცხადია, რომ სხვაგვარად შეუძლებელი იყო. მაგრამ მირიანაშვილი ვერ დამისახელებს ისეთ წერილს, სადაც პარტიის, მისი ბელადების და იმპერიის ხოტბა იყოს და რომლის დაბეჭდვა-არდაბეჭდვაც რედაქტორზე ყოფილიყო დამოკიდებული. სამაგიეროდ, შემიძლია დავუსახელო უამრავი წერილი, სადაც ძირფესვიანად იყო მოთხრილი პარტიაც, მისი ბელადებიც და იმპერიაც, ეს მირიანაშვილმაც ძალზე კარგად იცის, მაგრამ რა ქნას, უჭირს და სიცრუეს კადრულობს. დასასრულ, როცა საქართველოში და საზოგადოდ იმპერიაში ამდენი უსამართლობა ხდებოდა, რატომ არ ვძრავდი კრინტს? იმიტომ, ჩემო ცხინვალელო ინტელიგენტო, რომ სწორედ „ამდენი უსამართლობა“ ხდებოდა და მართალ სიტყვას ვერ დავბეჭდავდი. მაგრამ, სხვათაგან განსხვავებით, სახოტბო წერილები არ მიწერია არც კომკავშირზე და არც პარტიაზე. მეშინია თავის ქებად არ ჩამითვალონ, მაგრამ მაინც ვიტყვი: თუ ვინმე ახერხებდა რაიმეს თქმას, მათ შორის მეც ვიყავი.

ვეონებ. ყველა კითხვას გავეცი პასუხი და მირიანაშვილს გავუქარწყლე ის შიში, გულს რომ უღრღნიდა: „პასუხები მათზე ჯაველიძეს არ შეიძლება ჰქონდესო“.

ახლა წერილის მეორე ნაწილსაც მიეხედოთ. როგორც ზემოთაც გითხარით, ცხინვალელ ინტელიგენტს, უფრო მართებულად, შეკარდნაძის ხელისბიჭს, მიზნად დაუსახავს როგორმე გაათეიოროს თავისი პატრონი და მე გამაშავოს, რადგანაც, ალბათ, ფიქრობს, შავის ფონზე თეთრი უკეთ აღიქმებაო. ამიტომაც უკადრებელს კადრულობს. ასეთ ადამიანებს რაც ემართებათ, ცოტა ხანში თავადაც შეიტყობს. მაგრამ ამჯერად იძულებული ვარ მის ცილისწამებას და კომუნისტურ იდეოლოგიაზე აღმოცენებულ დემაგოგიას გავცე პასუხი.

პირველი. თურმე მე „ცეკაში ჩავაწყე“ ალმანახ „კრიტიკის“ იმჟამინდელი რედაქტორის თ. დოიაშვილის მოხსნა და „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორი გავხდი ადამიანი, რომელიც თურქული ენის სპეციალისტი ვიყავი და ლიტერატურათმცოდნეობასთან არაფერი მაკავშირებდა. როგორც ამბობენ, თავის ნაწერებში ხშირად მწერალი საკუთარ ქეეცნობიერ ბუნებას ავლენს. ყველაფრიდან ჩანს, „ჩალიჩი“ და „ჩაწყობა“ მირიანაშვილის ხელობაა, ამიტომაც სხვაგვარად ვერ წარმოუდგენია ადამიანის თანამდებობაზე დანიშვნა. სინამდვილეში საქმე როგორც იყო, ვინ ებრძოდა „კრიტიკის“ მთავარ რედაქტორს და რატომ გაათავისუფლეს, ეს ყველაზე კარგად თავად თ. დოიაშვილმა იცის და, მადლობა ღმერთს, ის კაცი დღეს ცოცხალია. ვფიქრობ, მირიანაშვილის დონეზე ის არ დაეშვება და სიმართლეს იტყვის. მერმე, მირიანაშვილმა ისიც არ იცის, რომ მე „თურქული ენის სპეციალისტი“ კი არ ვარ, არამედ აღმოსავლური და, კერძოდ, თურქული ლიტერატურის მკვლევარი. ის ფილოლოგი, ვინც ენისა და ლიტერატურის სპეციალისტს ვერ ასხვავებს, ვერც ნეხვსა და ვარდს გაარჩევს ერთმანეთისგან. აკი, ვერც არჩევს კიდეც. მაგრამ თურმე მხოლოდ ეს არ არის ჩემი დანაშაული, უფრო დიდი ცოდვაც ჩამიდენია და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორი გავმხდარვარ კაცი, რომელსაც არ მქონდა გამოქვეყნებული „არც ერთი პროზაული ან პოეტური ნაწარმოები“ და ვიყავი „სამად-სამი წერილის“ ავტორი. ახლა მირიანაშვილმა და მისთა მსგავსმა მისმინონ. ჯერ ერთი, სავსებით უმეცარი უნდა

იყოს კაცი, რომ თუნდაც ლიტერატურული გაზეთის რედაქტორობა „პროზაული თუ პოეტური“ ნაწარმოებების გამოქვეყნებით განსაზღვროს და შეაფასოს. რაღაც არ მაგონდება, რომ თამაზ წიფწიფაძეს პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები ჰქონდეს გამოქვეყნებული, მაგრამ მთავარ რედაქტორობაზე უარი არ უთქვამს. სხვა რედაქტორების გახსენებაც შეიძლება, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. მეორეც, მეცნიერისა და ლიტერატურათმცოდნეს ღირსება წერილთა რაოდენობით კი არ განისაზღვრება, არამედ მისი აზროვნების სიღრმით და ლიტერატურათმცოდნეობის დონით. მესამეც, თუ წერილთა რაოდენობაზე მიდგა საქმე, მე აღმოსავლური ლიტერატურის და, საკუთრივ, ძველი და შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ქართული ლიტერატურის პრობლემებზე იმდენი წერილი, გამოკვლევა და წიგნი მაქვს დასტამბული, რომ მირიანაშვილს წაკითხულიც არ ექნება საერთოდ. რა ექნათ ახლა, მისი უწიგნურობა ინაღველოს მკითხველმა?!

ცხინვალელი ინტელიგენტი ამ ბრალდებითაც არ კმაყოფილდება, უფრო შორს მიდის, ჩემს რედაქტორობას უსინჯავს კბილს. შევარდნაძის ხელისბიჭი მებჟუტურება იმის თაობაზე, თითქოს მე მისი წერილი, რომელიც ყოფილა „პირველი ნიმუში კრემლის პოლიტიკის აშკარა კრიტიკის ქართულ პრესაში“, დაგვიანებით გამომექვეყნებინოს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ „ლიტერატურული საქართველო“ ჩემი რედაქტორობის ჟამს პროოსურ ტენდენციას ავლენდა და თურმე „ოსთა ეროვნულ“ გმირად მიქცევია ვინმე შარლატანი ჩოჩიევი.

კი მაგრამ, მირიანაშვილს ჰგონია, რომ „ჩრდილოეთიდან ამოსული მზე“ მთლიანად აბნელებს საქართველოს და ხალხს მახსოვრობის უნარს უკარგავს, თუ „ლიტერატურული საქართველოს“ ნომრები აღარ მოიძიება ქვეყნად? ახლა არ მოეყვები იმის მტკიცებას, თუ როგორი რედაქტორი ვიყავი და რა პოპულარობით სარგებლობდა მაშინ გაზეთი. ეს მკითხველმა უკეთ უწყის და ისტორიაც თავის სიტყვას იტყვის; არც იმას დავიჩემებ, იმდროინდელი „ლიტერატურული საქართველო“ უნაკლო იყო-მეთქი, მაგრამ ვერავინ დაამტკიცებს, რომ მას ეროვნული პოზიცია არ ეჭირა. ვერც იმას უარყოფენ, რომ აფსუა და ოსი სეპარატისტების წინააღმდეგ თავგამოდებით

იბრძოდა და სწორედ იმიტომ, რომ არღვევდა შევარდნაძის დანატოვარ „ინტერნაციონალურ“ მემკვიდრეობას, მას ნაციონალისტურ, ანტიპარტიულ გაზეთად ნათლავდნენ როგორც ჩვენთან, ცეკას ბიუროზე, ასევე აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქში. იმყამინდელი სეპარატისტული პრესა ხომ მხოლოდ „ლიტერატურულ საქართველოს“ უტევდა! გარდა ამისა, ჩოჩიევი და კულუმბეგოვი ვინ გახადა გმირებად, ეს ყველამ კარგად უწყის და „სახელმწიფოს მეთაურის“ მრჩეველს ისე რამ დაუხშო სასმენელნი, რომ არა სმენია ამის შესახებ?! ვაი, რომ სმენია, მაგრამ რა ქნას, თეთრი როგორ გააშავოს, ან შავი როგორ გაათეთროს?! როგორ ასიამოვნოს „ეროვნული სულით აღზევებულ“ გიორგის?! ეჰ, ძნელია ხელისბიჭობა და ლაქიობა, თუ შუბლის ძარღვი მთლიანად არ გაქვს გაწყვეტილი!..

მაგრამ ცხინვალელი ინტელიგენტი ამასაც არ სჯერდება, მე „კარიერისტად“ მნათლავს და ჩემს ოპოზიციონერობას, ანუ, მისი გაგებით, „ზვიადისტობას“ იმით ხსნის, რომ კარგა ხანს „ნეიტრალური პოზიცია“ მეჭირა და ეელოდი ხუნტისაგან თანამდებობას. „მაგრამ ეს არ მოხდა, – წერს იგი, – და მხოლოდ ამის შემდგომ – 1992 წლის შემოდგომიდან, როცა უკვე სრულიად აშკარა გახდა, რომ ახალი ხელისუფლება არ აპირებდა პოლიტიკური მოწინააღმდეგეებისათვის ანგარიშის სწორებას (!!!), განაწყენებული მოულოდნელად მოგვეელინა ისტერიულ ზვიადისტად“.

როგორც იტყვიან, ღმერთმა ამ სიმართლით ატაროს მირიანაშვილიც და მისი პატრონიც. მეუხერხულება, მაგრამ კიდევ ერთხელ იძულებული ვარ სიმართლე ვუთხრა ქართველ ხალხს, რათა საბოლოოდ წარმოვაჩინო სიცრუის ჭაობში ჩაფლული ხელისბიჭის „კაიკაცობა“ და ობიექტურობა.

მაშ, ასე:

1. 1992 წლის 4 იანვარს მოვიწვიე განათლების სამინისტროს საერთო კრება, სადაც, სიტყვით გამოსულმა, დავგმე მცდელობა იარაღის ძალით ხელისუფლებაში მოსელისა და იგი შევაფასე როგორც სამხედრო გადატრიალება, პუტჩი. ამასთანავე აღვნიშნე, რომ ასეთ „ხელისუფლებასთან“ თანამშრომლობა არ შეიძლება-მეთქი (იხილეთ ოქმი: 4/I. 1992 წ.).

2. როცა ე. შევარდნაძე 1992 წლის 7 მარტს, თავისი მეულ-

ლის დაბადების დღეს, თბილისში ჩამოვიდა და მას ქართველი მწერლები და მათი გაზეთის რედკოლეგია აღფროთოვანებით შეხვდნენ, მე „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციაში გაეგზავნე წერილი, რომელშიც ამ აღფრთოვანებას არ ვიზიარებდი და ვწერდი: „ე. შევარდნაძე საქართველოში სისხლიან კვალს მოპყვება ხოლმე. იგი ჩამობრძანდა 1989 წლის 9 აპრილის შემდგომ და ახლაც საქართველოში დატრიალებული დიდი ტრაგედიის – ძმათამკვლელობის შემდეგ ჩამოვიდა. როგორც თავად არ მალავს, ამ ძმათამკვლელი ომის ერთ-ერთი ინიციატორი ყოფილა. ჩემი ღრმა რწმენით, ვინც ამ საშინელ აქციაში მონაწილეობა მიიღო, არა აქვს არც მორალური და არც იურიდიული უფლება საქართველოს ხელისუფლების სათავეში მოექცეს... მან ქართველ ინტელიგენციას საჯაროდ მოუწონა ავტომატის ხელში აღება კანონიერი ხელისუფლების დასამხობად. ცხადია, ისეთი პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც კალამს ავტომატს ამჯობინებს, დემოკრატიას ვერ დაამყარებს საქართველოში, ამიტომაც მე მის ჩამობრძანებას და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნას ვერაფრით მოვიწონებ და ვერც გავამართლებ“. სამწუხაროდ, ეს წერილი არ დაბეჭდეს, მაგრამ ის ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში და დიდი მოწონებითაც სარგებლობდა.

3. 1992 წლის 25 მარტს გამართულ მწერალთა ყრილობაზე მუხრან მაჭავარიანმა, ენვერ ნიჟარაძემ, ნოდარ წულეისკირმა და მე ერთობლივად განვაცხადეთ (სხვათა შორის, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, განცხადების ტექსტი ჩემი შედგენილია), რომ ვგმობთ სამხედრო გადატრიალებას და გაეედით მწერალთა კავშირიდან („ლიტერატურული საქართველო“, № 12, 3. IV. 1992 წ.).

4. 1992 წლის აპრილში გაზეთმა „კაბადონმა“ დაბეჭდა ჩემი წერილი „რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ“, რომელშიც ვამხილე „დემოკრატ ინტელიგენტთა“ ჭეშმარიტი ზრახვანი და „დემოკრატიისათვის ბრძოლას“ ვუწოდე საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაბრუნება („კაბადონი“, № 13, 30. IV. 1992 წ.).

5. 1992 წლის 15 მაისს გაზეთ „რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა ჩემი ინტერვიუ, სადაც დავგმე ხალხის ნების უგულვებელყოფა და მის მიერ არჩეული ხელისუფლების დამხობა იარაღის ძალით („რესპუბლიკა“, № 11, 15. V. 1992 წ.).

6. 1992 წლის მაისის თვის გაზეთ „აღდგომაში" დაიბეჭდა ხელმი ვრცელი წერილი „უკუნეთი", სადაც მოქმედი მოვლენების ანალიზი იყო და ყველაფერს თავისი სახელი ერქვა („აღდგომა", № 4, 24. V. 1992 წ.).

7. 1992 წლის სექტემბერში მივეცი ინტერვიუ, რომლის გამოქვეყნებამ მხოლოდ იმიტომ დაიგვიანა, რომ ვინც შემიკვეთა, იმ გაზეთის რედაქტორმა, ველარ გაბედა გამოქვეყნება („საშუალო ფენა", № 2, 3. IX. 1992 წ.).

შეიძლება სხვა მაგალითების მოხმობაც, მაგრამ, ეგონებ, საკმარისია. მე პირველივე დღიდან ვიმაღლებდი ხმას ხუნტის წინააღმდეგ და ეს ყველამ კარგად იცის, გარდა ხელის მიმინოსი. თუმცა რა მისი ბრალია, მას ხომ თვალებახვეულს გეშავდნენ.

აქვე უნდა გავაქარწყლო მირიანაშვილის ერთი უტიფარი სიცრუეც. თითქოს 1992 წლის შემოდგომაზე სრულიად აშკარა გახდა, რომ ხელისუფლება პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ანგარიშის გასწორებას არ უპირებდა. საყოველთაოდ ცნობილია, პუტჩის პირველი დღიდან მოყოლებული დღემდე როგორ დევნიან, როგორ აპატიმრებენ და აწამებენ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს, როგორ უსწორდებიან მათ ფიზიკურად. ამაზე მირიანაშვილმა სიტყვაც რომ არ დაძრას, თავად ფაქტები და ციხეები ღაღადებენ. მკითხველს აღარ შევაწყენ თავს იქის ახსნით, თუ როგორ მექცევა სხვებთან ერთად მეც ამყამინდელი ხელისუფლება, მაგრამ მირიანაშვილის მსგავსმა, კარიერიზმით დაავადებულმა ვაი ერისშვილებმა უნდა იცოდნენ, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, სულიც რომ ამომხადონ, გარეწართა აღლუმებში მონაწილეობას არ მივიღებ. ამიტომაც მშვიდად ბრძანდებოდნენ თავიანთ თბილ სავარძლებში მოკალათებულნი და ნეტარებით დატკბნენ საქართველოს დაქცევითა და დაშლით!.. მათი თვალი ხომ პირადი კეთილდღეობის გარდა ვერაფერს ხედავს!

თუ მირიანაშვილი მაინც ახერხებს სათქმელს როგორმე თავი მოუყაროს, ამ მხრივ პ.-მ. აბაიშვილს ცუდად აქვს საქმე. მის წერილში ისეთი ჭრიჭინი და ხრაშახრუში ისმის, რომ გეგონებათ ვიღაც მარნეულში შეძენილი ლაქის ფეხსაცმელებით ახლად დაფიფქულ მშრალ თოვლში მიაბოტებსო. პირადად მე ამ პიროვნების გვარი და სახელი არ მსმენოდა. არადა,

ისე მეღლაბუცება, შეიძლება სადღაც შემხვედრია კიდეც. როგორც ჩანს, მან გადაწყვიტა მატროსოვიეით დაიცვას მკერდით თავისი მფარველი და ამის გამო მე მიწევს საკამათოდ, თანაც დასძენს: „თუ მაინც და მაინც ხელები გექავებათ, აგერ ეარ მე – თქვენზე არც მეტი და არც ნაკლები. ეიშაიროთ და ეიშაიროთ. ხალხსაც გავამხიარულებთ ნაცარქექიობით და იქნებ ჰონორარსაც გამოვკრათ ხელი“... ჩანს, ძალზე გაუკადნიერებია მის ტიტულს: როგორც თავად გვაუწყებს, ის არის „პარლამენტის პრესცენტრის მთავარი სპეციალისტი“. ზემოთ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ – ამ „მთავარი სპეციალისტის“ არაფერი წამიკითხავს, ისე კი გამიგია, რომ რამდენიმე გაზეთიდან ფეხი უკრავთ „ხელის გამოკვრისა“ გამო (ცხადია, „ჰონორარის ხელის გამოკვრის“ გამო ეს არ მოხდებოდა). ასე რომ, ნაცარქექიობას ტყუილად იჩემებს, კარგად გამოწვრთნილი მაამებელი ჩანს. სხვათა შორის, ამპარტავნობა არ მჩვევია, ბავშვთათვისაც გამიყადრებია თავი, თუკი ამას საჭიროება მოითხოვდა, მაგრამ ვერასოდეს ვეგუებოდი ზრდადასრულებულთა უმეცრებს. არადა, მისი წერილის წაკითხვის შემდგომ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ჩემი ოპონენტი ყმაწვილკაცივით თავს იწონებს სწორედ უმეცრებითა და უცოდინრობით. კიდევ მას აქვს ისეთი „ფსიქოენერგეტიკული“ გამოხდომები და შედარებები, რომ აშკარად აწუხებს ლიბიდო. ფროიდისთვისაც ყური მოუკრავს, მაგრამ მისი ცოდნით თავს არ იტკივებს. ერთი სიტყვით, გაუგია ალია მომკედარაო და ისეთ რაღაცეებს წამოროშავს, ცხონებული ზიგმუნდი ცოცხალი რომ ყოფილიყო, ყველაფერს დაიბდღვნიდა. ამიტომაც ის პარლამენტის პრესცენტრის „მთავარი სპეციალისტი“ კი არა, მთლად „სკიპერიც“ რომ იყოს (ეტყობა, მოწადინებულია კაცი და ამასაც მიაღწევს...) ავტორიტეტულ სიტყვას ვერ იტყვის ჟურნალისტიკის სფეროში. აქედან საესებით ბუნებრივია, რომ მისეული შეფასება ოპოზიციური და სხვა გაზეთებისა, მართლაც და, ნაცარქექიას გულუბრყვილო ზმანებებს მაგონებს და ახლა მას რომ სერიოზულად ვეკამათო, ცუდად ყოფილა ჩემი საქმეც...

ასე და ამრიგად, მე მასთან საუბარს მოვრჩი... და ისღა დამრჩენია, მივუმღერო: გუდბაი, მოი მალჩიკ, გუდბაი, კორიდონ!

დასასრულს, მაინც შეშფოთებით უნდა დავსძინო, რომ ე. წ. სახელმწიფოს მეთაურის აპარატში იმდენ მუშაკს მოუყარეს თავი, რომ პრესცენტრის მთავარი სპეციალისტის ადგილიც გამოუძებნიათ, ქვეყნის უკიდურესი ეკონომიკური სიღატაკის მიუხედავად. როგორც იტყვიან, ღმერთმა უმრავლოს მას „ბრძენი" მრჩევლები და „მთავარი სპეციალისტები", ეს მე არ მადარდებს, სხვა რამ მაწუხებს: ნუთუ, საქართველოში მთლად მოისპო ნორმალური, გონდამჯდარი ადამიანები, შევარდნაძეს თავის ამალაში რომ უხმოს?! მაგრამ არა, ეტყობა, მის „სვიტაში" რომ მოხვდე, ამისათვის, უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად, უნდა იყო მისი ზრახვების ბრმა მიმდევარი, ყურმოჭრილი მონა, კერპთაყვანისმცემელი და მისი ნების უსიტყვო აღმსრულებელი. თუ ამ პირობას აკმაყოფილებ, ასეთ შემთხვევაში არავინ დაგიდევს ვინ ხარ შენ: კარიერისტი, მექრთამე, ბრიყვი, უცოდინარი, დამნაშავე თუ, რაც გნებავს. პირუკუ, ასეთი თვისება-ხასიათები, ეტყობა, მოსწონთ კიდეც, რადგანაც პიროვნული „ამბოხის" უამს მას თვალწინ აუფრიალებდნენ დანაშაულთა ნუსხას. ასეთ მიდგომას კი რა შედეგი მოჰყვება, უფრო მართებულად, მოჰყვა, ყველასათვის ისედაც ნათელია.

აი, ეს არის ფრიად საწუხარი!..

1994 წელი

ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება

ქართული ესთეტიკურ-ფილოსოფიური აზრის განვითარებას წრიულად თუ წარმოვიდგენთ, რაც ძალზე მიღებული და გავრცელებული იყო შუა საუკუნეებში, მაშინ ბუნებრივად და თავისთავად მის ცენტრში აღმოჩნდება შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი", რომლისკენაც მიემართება და რომლისგანაც გამოდის ყველა ის მსოფლმხედველობრივი ნაკადი, ქართულ პროგრესულ აზრს რომ შეუქმნია თავისი განვითარების მთელ მანძილზე. შოთა რუსთაველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართველი პლატონია, რომელმაც არა ოდენ ქართული, არამედ მთელი მსოფლიოს ცივილიზებული აზრი შეისისხლხორცა, გაითავისა და მერე მისეული მხატვრული ინტერპრეტაციით გამოასხივა და მიაწოდა ქართველ მკითხველს. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია ის დიდი ინტერესი და ყურადღება, რომელსაც ავლენს ქართული კრიტიკული აზრი მისი ფენომენისადმი. არ დარჩენილა თითქმის არცერთი მოაზროვნე, ვისაც ძალუძს კალმის ხელში აღება, თავისი თვალთახედვა რომ არ გამოეთქვას დიდი ქართველი პოეტის შესახებ. ამგვარ ვითარებაში, როცა დაგროვდა ზღვა სამეცნიერო ლიტერატურა, პროფესიულ თუ მოყვარულ დონეზე დაწერილი, თითქოს შეუძლებელი ჩანდა ისეთი მეორეხარისხოვანი პრობლემის მოძიებაც კი, რომელიც სრულიად შეუსწავლელი და ხელშეუხებელი იყო.

ზვიად გამსახურდიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან არა თუ მეორეხარისხოვანი, არამედ კარდინალური და უმთავრესი პრობლემა (უფრო მართებულად, პრობლემები), რომელიც დღემდე მეცნიერული აზრის მიღმა დარჩა, მოაქცია თავისი კელეკის არეში და მოგვცა უაღრესად საყურადღებო

რუსთველოლოგიური გამოკვლევა, რომელსაც გვერდს ვერ აუვლის ქართული სულიერი კულტურის სფეროში მოღვაწე ვერცერთი სერიოზული მკვლევარი.

მიმდინარე წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოსცა ზვიად გამსახურდიას მონოგრაფია „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება", რომელშიც მკვლევარი მხატვრული აზროვნების ურთულეს შრეს – ალეგორიულ-სიმბოლურს განიხილავს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს კარდინალური პრობლემა საუსებით შეუსწავლელი იყო დღემდე, არადა შუასაუკუნეების იმ ტიპის ნაწარმოების სტრუქტურულ ორგანიზმში, როგორიც „ვეფხისტყაოსანია", სიმბოლურ-ალეგორიული პლანის შესწავლა და ანალიზი არის უმთავრესი და საშური საქმე. ეს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მკვლევარს და საანალიზო პრობლემისადმი მისი ინტერესი შემთხვევითი როდია. ის, ჯერ კიდევ საუსებით ახალგაზრდა, მეთოდურად იკვლევდა იმ საკითხებს, რომელთა ძიების გზაც ბუნებრივად და თავისთავად მიიყვანდა სარეცენზიო ნაშრომის დაწერამდე.

თავიდანვე უნდა განვაცხადოთ, რომ მეცნიერის რუსთველოლოგიურ ძიებათა წარმატებანი (არადა ეს წარმატებანი საუსებით ცხადია) გაპირობებულია, თუ მთლიანად არა, დიდწილად კვლევის მართებული მეთოდოლოგიური პრინციპებით. ზვიად გამსახურდიას, განსხვავებით მრავალი რუსთველოლოგისაგან, არ ავიწყდება, რომ „ვეფხისტყაოსანი" არის შუასაუკუნეების ტიპიური ნაწარმოები, რომლის მხატვრული სისტემა მთლიანად ეფუძნება იგივეობის ესთეტიკას. ამიტომაც მისი შესწავლა უნდა მოხდეს ისტორიულ კონტექსტში, სწორედ იმ დროს გაბატონებული ესთეტიკური პრინციპების და ფილოსოფიური კატეგორიების გათვალისწინებით. მხატვრული ტექსტის ექსტრატექსტული ბუნებაც, მისი დეკოდირებაც შესაძლებელია მხოლოდ იმ კოდური გასაღებით, რომელსაც კარგად ფლობდა შუასაუკუნეების ფართო მკითხველი და რომელიც, სამწუხაროდ, საუსებით უცნობია თანამედროვე განათლებული საზოგადოებისთვისაც კი. ასე რომ, ამგვარი გამოკვლევების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს სწორედ პოეტის მიერ თავის დროზე განზრახ გასაიდუმლოებული და დაშიფრული კოდის მართებული წაკითხვა. ეს კი თავისთავად გულისხმობს მხატვრული ნაწარმოების სიმბოლურ-ალეგორი-

ული პლანის, რომელიც ყოველგვარი მხატვრული სტრუქტურის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი საფეხურია, ამოკითხვას და დღევანდელობასთან მიმართებაში სწორ, შეძლებისდაგვარად ობიექტურ ინტერპრეტაციას.

საერთოდ, ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს შუასაუკუნეების ესთეტიკური აზრის თავისებურებას, მისთვის ცხადია, რომ ყველა დიდტანიან პოეტურ ქმნილებას, სხვაგვარად, პოემას, როგორც წესი, წინ უძღოდა პროლოგი, რომლის დაწერის მკაცრად დადგენილი წესები არსებობდა. ის (პროლოგი) წარმოადგენდა პოეტის მსოფლმხედველობის ერთგვარ კონცეფციურ ტრაქტატს, მოკლედ და ხატოვნად რომ წარმოაჩენდა იმ უმთავრეს თემებს, პრობლემებს და ესთეტიკურ-ზნეობრივ თუ რელიგიურ-ფილოსოფიურ თვალსაზრისებს, რომლებიც შემდგომ მხატვრულად და, ამასთანავე, ესთეტიკისთვის საერთოდ დამახასიათებელი პირობით და გაცნობიერებული, გამიზნული შეფარვით იყო გაშლილი ნაწარმოებში. ერთი სიტყვით, პროლოგი იყო ერთგვარი გასაღები, რომლის მართებული გაგებითაც ხერხდებოდა მხატვრული ქმნილების დედაარსისა და მწერლისეული მსოფლმხედველობრივი პოზიციის სწორი ინტერპრეტაცია. ამიტომაც ბუნებრივი იყო, რომ ჯერ კიდევ საუსებით ახალგაზრდა ზვიად გამსახურდიამ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის" პროლოგის უმთავრესი პრობლემების გამოწვლილვითი შესწავლა და თავისი ფრიად მნიშვნელოვანი, მეტად ორიგინალური და შორსმიმავალი დასკვნა-თვალსაზრისები საბოლოოდ ჩამოაყალიბა მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე" (თბილისი, 1984). აქვე დავძენ, რომ ეს მონოგრაფია ჭეშმარიტად ახალი სიტყვა იყო რუსთველოლოგიაში, ხოლო მისმა ავტორმა არაორდინალური თვალსაზრისებით, დიდი ერუდიციითა და აზროვნების სიღრმით იმთავითვე მიიქცია სამეცნიერო საზოგადოების ისეთი დიდი ინტერესი, ერთგვარ განცვიფრებასთან რომ იყო წილნაყარი.

ამჯერად ზემოხსენებული მონოგრაფიის ღირსება-ნაკლოვანებებზე სიტყვას ვეღარ გავაგრძელებთ, ოღონდაც მივუთითებთ მეცნიერის იმ დასკვნებზე, რომლებმაც, ჩვენი აზრით, შეამზადა ნიადაგი „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველების" აღმოცენებისათვის.

ჯერ ერთი, ზვიად გამსახურდიამ პროლოგის რამდენიმე სტროფის ანალიზით საუსებით სარწმუნო ჰყო თითქოსდა ის

უდაოო და ამანამდეც გამოთქმული აზრი (საერთოდ, ძრავალი მკვლევარის მიერ შერყვნილი და გამრუდებული), რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მართლმადიდებელი ქრისტიანია და მისი მსოფლმხედველობაც მთლიანად ქრისტიანულ-თეისტურია.

მეორეც, როგორც მართებულად ამტკიცებს მკვლევარი, შოთა რუსთაველის ინტერპრეტაციით პოეზია განეკუთვნება საღვთო სიბრძნის სფეროს და მისი მთავარი მიზანია, ადამიანის გულისყური მიმართოს ღვთიური ჭეშმარიტებისაკენ.

მესამეც, პოეტისათვის საღვთო და ადამიანური მიჯნურობა ერთი მთლიანობაა, გამიჯნურებული პოეტი შემოქმედებითი ზეშთაგონების გზით მიდის სულის ლხენისაკენ. „სულის ლხენაში“ კი იგულისხმება სულის ღვთისაკენ ზეაღსელა. აი, ამრიგად ჰბაძავენ „ხელობანი ქვენანი“ „პირველ მიჯნურობას“ („ეფეფხისტყაოსანი ინგლისურ ენაზე“, გვ. 93). შეიძლება ამ ჭეშმარიტი თვალსაზრისის სხვაგვარად გადმოცემაც: საყოველთაოდ ცნობილია, რომ შუასაუკუნეების ესთეტიკურ-ფილოსოფიურ სისტემაში სიყვარულის რამდენიმე გვარი იყო მოაზრებული. ამ გვართაგან უმაღლესად ითვლებოდა საღვთო სიყვარული (ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა), რომელიც ადამიანთა, მოკვდავთა ენაზე ძნელად გამოსაგები იყო (ძნელად სათქმელი, საჭირო გამოსაგები ენათა), მასზე საუბარი პირდაპირ თითქოს შეუძლებელი იყო, რადგანაც „ჭკვიანი“, ანუ ამა სოფლის ხალხი მას ვერ ჩასწვდებოდა. ამიტომაც პოეტი გვიხატავს ადამიანურ სიყვარულს (ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვდებიან), რომელიც, თუკი იდეალურ სიბრტყეზე იქნება გააზრებული, ასახავს და მოიცავს ღვთიურ სიყვარულსაც. სიყვარულის ასეთი წარმოსახვა გულისხმობდა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის საფეხურებრივ ამაღლებას და სულიერ თვითგანწმენდას, რასაც „შემეცნებითი“ სიყვარულის წყალობით საბოლოოდ განღმრთობის უმაღლეს საფეხურამდე უნდა აემაღლებინა გნოსტიკოსი მიჯნური.

ამ გზით წარმართულმა კვლევამ, რომელიც აღმოსავლეთის თუ დასავლეთის რელიგიურ-ფილოსოფიური და მხატვრული აზროვნების ანალიზს ეყრდნობოდა, მეცნიერი მიიყვანა ერთ უცილობელ დასკვნამდე, რომ „რუსთაველის თვალსაზრისით, როგორც მიჯნურობის, ისე შაირობის უმაღლესი

მიზანია ადამიანის ღმერთთან ახლოება კათარზისის გზით. შემთხვევითი როდია, რომ როგორც მიჯნურობის, ისე შაირობის უმაღლეს ფორმებზე საუბრისას ხაზგასმულია მათი საღმრთო ხასიათი" („ვეფხისტყაოსანი" ინგლისურ ენაზე, გვ. 97).

და თუ ეს თვალსაზრისი მართებულია, ჩვენი აზრით კი ის სავსებით ჭეშმარიტია, მაშინ ასევე მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ შოთა რუსთაველის უმთავრესი მიზანი იყო განწმენდა ადამიანის სულისა, ზნეობრივად სრულეყო ის და უმაღლესი ღვთიური მშვენიერების ხილვამდე აემაღლებინა, რაც განღმრთობის საფეხურს წარმოადგენდა. ხოლო რადგანაც სულის ამაღლებაზე მხოლოდ გადატანით, ალეგორიით შეიძლებოდა საუბარი, ამიტომაც „ვეფხისტყაოსანში" აღწერილი და იდეალურ პლანში ინტერპრეტირებული ადამიანური სიყვარული უნდა გაგვეგო როგორც ღვთიური სიყვარულის სიმბოლური გადმოცემა.

ახლა იმასაც თუ გავიხსენებთ, რომ შუა საუკუნეების თეოლოგიურ, ფილოსოფიურ თუ მხატვრულ აზროვნებაში წამყვანი და უმთავრესი ადგილი უკავია სიმბოლოს ცნებას, რომელიც გვეელინება ერთგვარ მაკავშირებელ ხიდად სოფლისა და ზეშთასოფლისა, რეალური და იდეალური სამყაროსი, ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობისა, მაშინ კიდევ უფრო სარწმუნო გახდება, რომ შუა საუკუნეების მხატვრული ქმნილების — „ვეფხისტყაოსნის" დეკოდირება უმთავრესად სწორედ სიმბოლურ დონეზე უნდა მოხდეს.

საერთოდ, ვინც მეტ-ნაკლებად იცნობს შუა საუკუნეებს, მისთვის აშკარა და ცნობილია, რომ ყოველი მხატვრული ძეგლის წაკითხვა ხდებოდა, როგორც წესი, სულ ცოტა სამ პლანში: რეალურ, მეტაფორულ და სიმბოლურ დონეებზე. მეტიც შეიძლება ითქვას, შუა საუკუნეების შემოქმედნი ითვალისწინებდნენ თავიანთი ეპოქის სხვადასხვა დონის მკითხველს და ამიტომაც შეგნებულად ქმნიდნენ ისეთ ნაწარმოებებს, რომელთა წაკითხვაც შეიძლებოდა სხვადასხვა თვალთახედვით და განსხვავებულ სიბრტყეზე. შემოქმედის გამარჯვებად ითვლებოდა ისეთი მხატვრული ძეგლის შექმნა, რომელსაც სხვადასხვა დონის მკითხველი თავისი ცოდნის შესაბამისად სხვადასხვაგვარად წაიკითხავდა. ერთი სიტყვით, შუა საუკუნეების მხატვრული სისტემის სპეციფიურობას, მასში გაბატონებულ კონცეფციებს თუ გავითვალისწინებთ, უდავოდ უნდა

შიკისნიოთ ის ჭეშმარიტება, რომ ყველა ტიპის მხატვრულ ქმნილებას – იქნება ის საერო თუ სასულიერო ხასიათისა – აუცილებლად აქვს, სულ ცოტა, ორი ასპექტი – ყოფითი-ვარეგნული და შინაგან-მისტიური, რომლებიც დიალექტიკური მთლიანობით ქმნიან ძეგლის ექსტრატექსტულ ფენომენს.

ასე რომ, სავსებით ბუნებრივია და აუცილებელიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" სახისმეტყველება წაკითხულ იქნეს არა მხოლოდ რეალურ, არამედ სიმბოლურ პლანშიც. ჩვენი აზრით, სწორედ სიმბოლური პლანის შესწავლა არის უმთავრესი ამოცანა და მიზანი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობისა, რადგანაც მხატვრული ფენომენის ჭეშმარიტი ბუნება, მისი ხარისხი და ღირსება, მთლიანად თუ არა, ძირითადად სიმბოლურ-მეტაფორულ დონეზე ვლინდება ხოლმე. პირადად მე არ შემიძლია არ დავეთანხმო ზვიად გამსახურდიას, რომელიც წერს: „დიდი და სერიოზული პოეზია და მწერლობა ყოველთვის ალეგორიულია, ალეგორიას მოკლებული პოეზია და ლიტერატურა კი შიშველი ფაქტოლოგიაა, რომელსაც არ გააჩნია კერძოს განზოგადოების უნარი და ამის გამო ვერ სცილდება ემპირიულ სინამდვილეს" („ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება", გვ. 299).

როგორც უკვე ითქვა, სწორედ სიმბოლური, უფრო მართებულად, ნაშრომის ავტორის სიტყვები რომ გავიმეორო – მითიურ-ალეგორიული პლანის ანალიზს ეძღვნება წინამდებარე გამოკვლევაც, რომლის მნიშვნელობაც ძნელად თუ განისაზღვრება ქართული სულიერი კულტურის მხოლოდ ერთი რომელიმე კონკრეტული სფეროთი.

რადგან მეცნიერმა მიზნად დაისახა ამ ურთულესი პრობლემის შესწავლა, ის, უპირველეს ყოვლისა, ცდილობს ეჭვმიუტანელი გახადოს თავისი კვლევის მეთოდი და მიზანი. ამიტომაც ჯერ იგი გამოთქვამს, ჩვენი აზრით, სავსებით სწორ თვალსაზრისს ანტიკური და შუასაუკუნეების ესთეტიკური აზრის შესახებ. კერძოდ, ის წერს: „ანტიური და შუასაუკუნოებრივი ესთეტიკისათვის დამახასიათებელი იყო ხელოვნების გაგება, როგორც მორალური ჭეშმარიტების გრძნობადი ასახვისა, როგორც ალეგორიისა, ანუ გამოხატვის ისეთი სახეობისა, რომლის გრძნობად ფორმაშიც იმალება ფილოსოფიური და ეთიური საზრისი" (გვ. 18). მერე კი დიდი გულისყურითა და რუდუნებით, ზღვა

მასალის მოხმობით გვიმტკიცებს წამოყენებული თეზისის ჭეშმარიტებას. პრობლემას აშუქებს დიაქრონულ ჭრილში, გადმოგვცემს ალეგორიული მეთოდის ჩასახვას, მის ევოლუციას და შუასაუკუნეების სინამდვილეში გაბატონებას. იგი იწყებს მითოსისა და მისი არქეტიპების კვლევით და ნათლად გვიჩვენებს ალეგორიის მეთოდის გამოყენების მნიშვნელობას ანტიკურ ეპოქაში. შემდგომ გადმოგვცემს, თუ რა დიდი ადგილი ეჭირა ალეგორიის კატეგორიას ქრისტიანულ ღვთისმეტყველებასა და სხვა რელიგიების თეოლოგიური ხასიათის ტრაქტატებში. დაწვრილებით აანალიზებს მისი გამოყენების სპეციფიურობას შუასაუკუნეების მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკურ სისტემაში, რომელიც გავრცელებული იყო და ბატონობდა იმდროინდელ ქართულ სინამდვილეშიც.

ერთი სიტყვით, მეცნიერი ფართო ისტორიულ ასპექტში, ამასთანავე დიაქრონულ ჭრილში წარმოაჩენს პრობლემის ისტორიას და მას შემდეგ, რაც საესებით საფუძვლიანად ამტკიცებს ალეგორიისა და ალეგორიული მეთოდის საყოველთაოდ გავრცელებულობას და ყოველ სფეროში მის ბატონობას, გადადის მეორე მნიშვნელოვან პრობლემაზე, კერძოდ, ის აშუქებს ქალის კულტის ჩასახვისა და ამ კულტის გავრცელების ისტორიას.

მკვლევარი ქალის კულტის აღმოცენების ფესვებს შორეულ წარსულში ეძებს. ის მას, უპირველეს ყოვლისა, უკავშირებს სულიწმიდას, რომელიც გაგებული იყო როგორც დედრობითი ასპექტი, „ქალი, ღვთაებრივი დედაა" (გრიგოლ ნოსელი); ამასთანავე ის გაგებულია როგორც განმახორციელებელი სიყვარულის აღმავალი და დაღმავალი ლტოლვისა და მიდრეკილებისა. მისგან „მომდინარეობს როგორც ღვთის სიყვარული ქმნადობისადმი, ასევე ქმნადობის სიყვარული ღვთისადმი". ამავე დროს, „ხარების მარიოლოგიურ ასპექტში" ის აკავშირებს ღმერთს „მისტიურ სხეულთან, ხოლო ქალწული მარიამი, როგორც მისი მიწიერი გამოხატულება, პირველი წევრია ამ მისტიური სხეულისა" (გვ. 67). ამგვარად, მეცნიერის აზრით, სულიწმიდა და ღვთისმშობელი მარიამი ის საწყისია, საიდანაც იღებს სათავეს ქალის კულტი. მომდევნო ეტაპზე ხდება წმინდა სოფიას სახის გააზრება, როგორც სულიწმიდისა და ღვთისმშობლის სიმბოლოსი. იქმნება მდიდარი სოფიოლოგიური ლი-

ტერატურა, რომელიც ერცელდება ქართულ სინამდვილეშიც. ზვიად გამსახურდიას აზრით, „ეკეზხისტყაოსანიც სოფიოლოგიური ლიტერატურის ძეგლია, რომელიც ალეგორიულად გადმოსცემს ბიბლიურ კონცეფციას მამის, ძისა და სულიწმიდის მიერ კაცობრიობის ხსნის შესახებ"... (გვ. 69)

მაგრამ ქალის კულტის ევოლუცია სოფიოლოგიით არ სრულდება. ის გარკვეული იერსახით ვითარდება შუასაუკუნეების სხვადასხვა რელიგიურ თუ ფილოსოფიურ მოძღვრებაში. კერძოდ, ძალზე საყურადღებოა შარტრის პლატონური სკოლა და მასში შემუშავებული ქალწული „ნატურას" ცნება, რომელიც მოიაზრებოდა როგორც „ბუნების დიდი დედა, მარადქალური საწყისი", გენეტიკურ ნათესაობას რომ ავლენდა როგორც ეგვიპტის და საბერძნეთის უძველეს მისტერიებთან, ასევე ღვთისმშობელ მარიამთან თუ წმინდა სოფიას სიმბოლიკასთან. გარდა ამისა, მკვლევარი დიდ ყურადღებას უთმობს ტრუბადურელთა „Midons"-ისა და კურტუაზიული „Dame"-ს სახის ინტერპრეტაციასა და მათი გენეტიკური ხაზის ძიებას. ამასთანავე, საესებით მართებულად ხსნის შუასაუკუნეების როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის სამიჯნურო პოეზიის რაობას, მიზანსა და მათ სიმბოლურ-ალეგორიულ სემანტიკას. მაგრამ, რაც მთავარია, მდიდარი ლიტერატურის ეს ანალიზი მეცნიერს სჭირდება მხოლოდ ტიპოლოგიური შეჯერებისთვის, რათა რაც შეიძლება ნათლად წარმოაჩინოს „ეზეფხისტყაოსნის" მიჯნურობის კონცეფცია. ამავე მიზნით წიგნის ავტორი მიმოიხილავს აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულ რელიგიურ-ფილოსოფიურ მოძღვრებას – სუფიზმს, რომლის მსოფლმხედველობრივ ქვაკუთხედს წარმოადგენს სიყვარული, მიწიერი საწყისებიდან რომ იწყება და ღვთიურ საფეხურამდე მაღლდება.

არ შემიძლია აქვე საგანგებოდ არ აღვნიშნო სუფიზმის ის ღრმა ცოდნა, რომელსაც ზვიად გამსახურდია ავლენს. მართალია, ზოგიერთი მისი თვალსაზრისი შეიძლება სათუოდ მიიჩნიო, მაგრამ მისი მთავარი და ძირითადი დასკვნები საესებით სწორი და ეჭვმიუტანელია. კერძოდ, წიგნის ავტორის დაკვირვებით, „სუფისტურმა (მართებული იქნებოდა გვეხმარა – სუფიურმა და, საერთოდ, სუფი, სუფიური, სუფიობა და ა. შ. – ე. ჯ.) ასკეტიზმმა, რომელიც აღმოცენდა არაბეთის ქრისტიანი

ბერების გაელესინით, შექმნა ეროტიული პოეზია, სადაც მიჯნური არის სიმბოლო ღვთისა, საღვთო სიბრძნისა და მისადმი ენება ალეგორიულად გასახიერებს სულის მისტიურ შერთვას ღმერთთან, ანუ რუსთველის თქმით, „შერთვას ზესთ მწყობრთა მწყობისა“ (გვ. 104). ეს დასკვნაც, რომელსაც არ შეიძლება აღმოსავლურ პოეზიაში და საკუთრივ სუფიზმში გაცნობიერებული მეცნიერი არ დაეთანხმოს, ასევე დიდ მნიშვნელობას იძენს შოთა რუსთაველის „ეეფხისტყაოსნის“ სიყვარულის თეორიის გასაგებად.

ასეთი ყოველმხრივი და გამოწვლილვითი ანალიზით, რომელიც ეყრდნობა დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის მითოლოგიის, ფილოსოფიის, რელიგიის, ეზოთერულ თუ ეგზოთერულ მიმართულებათა, ესთეტიკური და მხატვრული აზროვნების ტიპოლოგიურ შესწავლას, მიდის ზვიად გამსახურდია თავის მთავარ სათქმელამდე. დიახ, მხოლოდ ამ საოცრად დიდი და ჯაფატევადი სამუშაოს ნატარების შემდგომ ის იწყებს XII საუკუნის საქართველოს და მისი მეფეთამეფის თამარის ისტორიულ-რეალური ყოფა-ცხოვრების გადმოცემას. შემდგომ აღწერს ქართულ ცნობიერებაში ამ ისტორიული პიროვნების გაიდეალებას, მის დეეფიკაციას. მერმე გვინვენებს თამარ მეფის კულტის გენეტიკურ საწყისებს, მის მიმართებას ღვთიურ საწყისთან და მხატვრულ გარდასახვას „ეეფხისტყაოსნის“ მთავარ პერსონაჟად.

მკვლევარი მდიდარ მასალაზე დაყრდნობით სარწმუნოდ ხდის იმ აზრს, რომ თამარ მეფე ქართველთა მიერ გაიაზრებოდა ღვთის მეოთხე ჰიპოსტასად და ის გენეტიკურად მჭიდროდ უკავშირდებოდა როგორც სულიწმიდასა და ღვთისმშობელ მარიამს, ასევე მათ მიწიერ სიმბოლოს – სოფიას. აქვე აღსანიშნავია მკვლევარის შტუდიები „თამარიანის“ ოდების შესწავლის სფეროში და მათი ტიპოლოგიური შეჯერება „ეეფხისტყაოსანთან“. ერთობ საყურადღებოა და ანგარიშგასაწევი ის დასკვნები, რომლებიც გამოიტანა მეცნიერმა პრობლემის კვლევისას. მისი აზრით, ზემოხსენებულ ქმნილებებში „აირეკლა აღმოსავლეთის ეკლესიის მამათა პნევმატოლოგიიდან გამომდინარე კონცეფცია ღვთის ფემინური ჰიპოსტასის, სულიწმიდის (პარაკლეტის) შესახებ, რომელიც ძის განკაცების შემდეგ მოევლინება კაცობრიობას, ვითარცა სული ხსნისა და ჭეშმარიტებისა და ახორციელებს მესსიის ახალ აღთქმას დაკარგული სამოთხის კელავ მოპოვებით.

კაცობრიობისათვის ღვთაებრივი ცნობიერების კვლავ დაბრუნებით და თეოზისით"... ასე რომ, მკვლევარის დაკვირვებით, „თამარიანიც" და „ვეფხისტყაოსანიც" „ქართული სოფიოლოგიის ძეგლებია, სადაც შექებულია საღვთო სიბრძნის პერსონიფიკაცია, სოფია, იგივე სულიწმიდა, თამარ მეფის სახით მოვლენილი, „თამარიანში" უშუალოდ, ხოლო „ვეფხისტყაოსანში" ალეგორიულად" (გვ. 155).

„ვეფხისტყაოსანი" ადამიანური მიჯნურობის ალეგორიით („ბაძვით") უმღერის საღვთო მიჯნურობას, სულიწმიდის (თამარ მეფის) მადლს. სულიწმიდის მოვლინებას ისტორიულ პლანში ორივე ნაწარმოები ხედავს თამარ მეფის სახეში, რომელიც ახორციელებს თეოკრატიულ და სინარქიულ სოციალურ იდეალს საქართველოს სამეფოს განმტკიცებით, რომელიც მოწოდებულია დაიცვას და განავრცოს ქრისტეს სჯული, თამარის სჯული, განახორციელოს მესსიის ახალი აღთქმა და მით იხსნას კაცობრიობა და აზიაროს უზენაეს ღვთაებრივ იდეალს" (გვ. 156).

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მკვლევარის ეს აზრები რამდენადაც თამამია და ძნელად გასააზრებელი, იმდენად უფრო მიმზიდველია, სასურველი და სარწმუნო. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ისინი მხოლოდ მკვლევარის საკუთარი და თამამი ფანტაზიის (რაც საავსებით არ არის უგულებელსაყოფი) შედეგად კი არ არიან მიღებულნი, არამედ ზღვა ემპირიული მასალის კვლევის, დიდი რუდუნებისა და ღრმა ანალიტიკური აზროვნების ნაყოფნი არიან.

ზვიად გამსახურდია თავის მონოგრაფიაში დიდ ადგილს უთმობს აგრეთვე წმინდა გიორგის კულტის გენეტიკური ფესვების ჩვენებას. ამჯერადაც იგი მისთვის ჩვეული სკრუპულოზობით იკვლევს პრობლემას. წმინდა გიორგის არქეტიპად ის მიიჩნევს მთავარანგელოზ მიქაელს, რომელიც იყო არქისტრატეგოსი ღვთის ზეციური მხედრობისა. ამავე დროს, მეცნიერის დაკვირვებით, წმინდა გიორგი მაკროკოსმიურ განზომილებებში განასახიერებს „ღვთისგან მომდინარე სიკეთის გამარჯვებას ბოროტებაზე, მზის ნათლის გამარჯვებას ბნელზე". ხოლო თუ მას მიკროკოსმოსის ასპექტში განვიხილავთ, ის „სიმბოლოა ინიციაციისა, ანუ სულის განწმენდისა, საღვთო განათლებისა და ღვთაებასთან შერთვისა". ამ თვალთახედვით კი,

როგორც მართებ'ულად ფიქრობს ზვიად გამსახ'ურდია, „წმინდა გიორგი სიმბოლოა ქრისტიან'ული ინიციაციისა, იგი საწ'ყისია რაინდობის ინსტიტ'უტისა, რომელიც განვითარდა თითქმის ერთდროულად დასავლეთის ქრისტიან'ულ ქვეყნებ'ში და საქართველოში, თუმც განსხვავებული ნიუანსებით" (გვ. 164).

სწორედ ამ „განსხვავებულ ნიუანსებზე" ამახვილებს მკვლევარი ყურადღებას. მეცნიერს ის უფრო აინტერესებს, თუ როგორ დამკვიდრდა ეს კ'ულტი ქართულ სინამდვილე'ში, როგორი ასპექტით წარმოჩინდა ქართულ მითოლოგიასა და ფოლკლორ'ში და როგორ შეავსო მისი სიმბოლური მნიშვნელობა ქართულმა რელიგიურმა აზროვნებამ. ჩემი აზრით, სავსებით მისაღებია მეცნიერის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ „ქართ'ული რელიგიური ცნობიერებისათვის წმინდა გიორგი გაცილებით უფრო ყოველისმომცველი და ღრმა სიმბოლოა, ვიდრე ისტორიულად არსებ'ული მხედართმთავარი დიოკლეტიანესი, რომელიც წამებ'ულ იქნა მის ეპოქა'ში". მკვლევარის მართებ'ული დაკვირვებით, წმინდა გიორგი ქართველთათვის სიმბოლოა მებრძოლი ქრისტიანობისა, სიმბოლოა თავად ღვთისა ბოროტების დამთრგ'უნველ ასპექტ'ში. ამიტომაც მოზღვავებ'ულ მტერთან მუდამ მებრძოლი ქართველი ხალხის სულისთვის ეს სიმბოლო განსაკ'უთრებით ახლობელი და მისაღები იყო. „ბოროტების შაებნელ ძალებთან ბრძოლა'ში ქართველ ხალხს ამხნევებდა შარავანდით მოსილი სახე თეთრ ტაიჭზე ამხედრებ'ული შუბოსანი წმინდა რაინდისა, იგი გამოხატავდა არა მარტო მის იდეალს, არამედ მის ყოველდღიურ ცხოვრებასაც" (გვ. 172).

სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა წმინდა გიორგის კ'ულტის საოცარი პოპ'ულარობა შუასა'უკ'უნეების ქართ'ულ სინამდვილე'ში. მკვლევარი გადმოგვცემს ამ პოპ'ულარობის მასშტაბებს და სავსებით ლოგიკ'ურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ წმინდა გიორგის კ'ულტი უნდა ასახ'ულიყო „ეეფხისტყაოსან'ში". ის ფიქრობს, რომ სამსახოვანი წმინდა გიორგის ელემენტები აირეკლა შოთა რ'უსთაველის პოემის სამ მთავარ გმირ'ში. „კერძოდ, ტარიელის სახე უფრო ენათესავება დადიანესეული ვერსიის წმინდა გიორგის სახეს თავისი დევ-გმირობით, ზებ'უნებრივი ძალმოსილებით და შემართებით. ავთანდილის სახე უთ'უოდ ენათესავება გიორგი ცხოველს, ანუ ხიზრს (ხიდრს)... რაც შეეხება ფრიდონის სახეს, იგი 'უნდა 'უკავ'შირ-

დებოდეს წმინდა გიორგის, როგორც ჩვეულებრივ გმირს, გიორგი მხედარს, თავდადებულს, ერთგულს, ბოროტებასთან მებრძოლს. პლანეტარულად კი ეს სამი სახე უნდა უკავშირდებოდეს მზეს იუპიტერის ასპექტში (ტარიელი), მზეს მერკურის ასპექტში (ავთანდილი) და მთვარეს (ფრიდონი)" (გვ. 188).

ასე არაორდინალურად იაზრებს მკვლევარი „ვეფხისტყაოსნის" მთავარ გმირთა ისტორიულ, რელიგიურ თუ მითოლოგიურ საწყისებს. მხატვრულ სახეთა არქეტიპების და გენეტიკური ხაზის წინ წამოწევით ხსნის ის სიმბოლურ მნიშვნელობებს, რითაც დატვირთულნი არიან ისინი პოემის სახისმეტყველებაში. ბუნებრივია, რომ გამოკვლევის ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ტარიელის სახის გააზრებას; იწყებს მისი სახელის ეტიმოლოგიით. ძალზე საინტერესოდ ხსნის ვეფხვებთან და ლომებთან ბრძოლის სიმბოლურ მნიშვნელობას. ასევე საყურადღებოა ვეფხის ტყავის სამოსის მნიშვნელობის ინტერპრეტაცია. ამავე დროს ტარიელის სახის ახსნისას არ ივიწყებს არც მის ისტორიულ პროტოტიპს – დავით სოსლანს. ერთი სიტყვით, ტარიელის სახე-სიმბოლოს სარეცენზიო წიგნის ავტორი მრავალ ასპექტში აანალიზებს და გამოაქვს მეტად თამამი და საყურადღებო დასკვნა: „ამრიგად ტარი-ელ ეზოტერული სახელია ღმერთკაცისა, ვეფხისტყაოსანი პირველკაცისა და პირველმეფისა, პანტოკრატორისა, რომლის ძალისმიერი ასპექტი გამოვლენილია მიქაელ-გიორგის სახეში და მოიცავს მის როგორც ქრისტიანობამდელ, ისე ქრისტიანული ეპოქის ასპექტებს. როგორც ასტრალური სიმბოლო, წმ. გიორგი, ცხენზე ამხედრებული, დრაკონის (ბნელის) განმგმირველი, თავისი შუბით (სხივით) არის იგივე სულიერი მზე, Sol invectus, აგრეთვე სული სხეულის (ცხენის) მფლობელი, დრაკონზე და მატერიაზე გამარჯვებული ღვთაებრივი „მე" ადამიანისა. ამავე დროს ტარიელი სიმბოლოა საქართველოსი, მართლმადიდებლური ეკლესიისა, ლომ-ვეფხზე, ე. ი. პოლიტიკურ ისლამზე გამარჯვებულისა" (გვ. 202).

ამ თავისთავად მომხიბვლელმა, უაღრესად საინტერესო მიგნებამ და საოცარმა ფანტაზიამ, რაც ელინდება ტარიელის სახის სიმბოლური ინტერპრეტაციით, შეიძლება შეაკრთოს კიდეეაც მკითხველი, მაგრამ მკვლევარის ლოგიკის უჩვეულო ძალა და ანალიზის ენარი მას სარწმუნოდ და ყველა რესთვე-

ლოლოგისათვის ანგარიშგასაწევ თვალსაზრისად აქცევს. განსაკუთრებული ყურადღებას იმსახურებს სარეცენზიო ნაშრომის ის თაკი, სადაც გახსნილია „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა სახელების სიმბოლიკა. მკვლევარს მართებულად მიაჩნია, რომ საერთოდ შუასაუკუნეების მხატვრულ ქმნილებათა მთავარი პერსონაჟები სახე-იდეებია და არა სახე-ხასიათები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნაწარმოების პერსონაჟები ამა თუ იმ იდეას თუ ფილოსოფიურ-რელიგიურ კატეგორიას განახორციელებდნენ და ამ იდეათა თუ კატეგორიების ერთგვარ კოდირებულ სახე-სიმბოლოებს წარმოადგენდნენ, რომელთა სწორი წაკითხვაც დიდად გვეხმარება ნაწარმოების საერთო დედააზრის გაგებაში. ამიტომაც მოქმედ გმირთა სახელდება არ არის შემთხვევითი. ასე რომ, „სახელის შერჩევა ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირისათვის, უთუოდ ითვალისწინებდა მის მისტერიალურ სემანტიკას, რომელიც პოემის დედააზრთან, მის თაურ იდეასთან არის დაკავშირებული“ (გვ. 247). თუ ამ თეზისის სისწორეში ეჭვი არ გვეპარება (ვფიქრობ, არც უნდა გვეპარებოდეს), მაშინ უნდა გავიზიაროთ ზვიად გამსახურდიას კვლევის მეთოდიც. ის, უპირველეს ყოვლისა, სწავლობს „ვეფხისტყაოსნის“ ონომასტიკას, იკვლევს თითქმის ყველა პერსონაჟის სახელების თავისებურებებს და მერე ცდილობს ახსნას მათი იდეურ-სიმბოლური მნიშვნელობა. ამ შემთხვევაშიც ავტორი მისთვის ჩვეული რუდუნებით ჯერ გვიჩვენებს ალეგორიული მეთოდის გავრცელებულობას იმდროინდელ საქართველოში, კერძოდ, გელათის აკადემიაში, და მერე მდიდარი მასალის მოხმობით და საინტერესო, თუმცა ხშირად სადავო ეტიმოლოგიური ძიებებით მიდის მთავარ თუ მეორეხარისხოვან პერსონაჟებში კოდირებული იდეური კონცეფციების ახსნამდე. ამ გზით, ვიტყოდი, დამაჯერებლად გააზრებულია ავთანდილი სარწმუნოების სიმბოლოდ, ფრიდონი – სასოებისა, ტარიელი – სიყვარულისა, თინათინი – გონებისა, ნესტანი – საღვთო სიბრძნისა, დავარი – შავი მაგიისა და სხვა. წიგნის ავტორის კვლევის არეში ექცევა თითქმის ყველა პერსონაჟი პოემისა, ის გვაძლევს გასაღებს არა მარტო მათი იდეური დატვირთულობის, არამედ მათი ცალკეული ქმედებებისა თუ იმ საკრალური ნივთებისა, პოემაში რომ გარკვეული სიმბოლური აზრით იტვირთებიან. ასე შრეებრივად, უფრო მართე-

ბულად. საკვლევრებრივად თანდათან მაღლდება ზვიად გამსახურდია ვეფხისტყაოსნის სულის შემეცნებამდე. მეცნიერის უპირველესი ამოცანაა, მოიპოვოს ნაწარმოების სიმბოლურ-ალეგორიული პლანის წაკითხვის გასაღები, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალბათ, თავის დროზე გასაგები იყო შუასაუკუნეების მკითხველისათვის, მაგრამ დროთა განმავლობაში დაიკარგა და თანამედროვე მკითხველისათვის სრულიად უჩვეულო და გაუგებარი გახდა. ხოლო ასეთ ვითარებაში, როცა არ გვესმის „ვეფხისტყაოსნის" სიმბოლურ-ალეგორიული პლანი, რაც უმთავრესია ამ ძეგლის მხატვრული თუ აზრობრივი სპეციფიურობის შესაცნობად, ჩვენ ვემსგავსებით იმ ჯერაც უმწიფარ ბავშვებს, რომელთაც კითხვა კი ხელეწიფებათ, მაგრამ წაკითხულიდან აზრის გამოტანის ძალა არ შესწევთ.

როგორც უკვე ვთქვით, ზვიად გამსახურდია შეეჭიდა ამ ურთულესი, მაგრამ ქართული კულტურისთვის სასიცოცხლო პრობლემის გადაჭრას. მან პოემის ალეგორიულ-სიმბოლური პლანის მრავალმხრივი და ორიგინალური ანალიზით გვიჩვენა, თუ რა არის შოთა რუსთაველის პოემის იდეა, რა არის მისი გასაიდუმლოებული, სულიერი შრე. ამ პოემის სიმბოლური შინაარსის ზვიად გამსახურდიასეულ ახსნას ახლა სრულად ვერ მოვიხმობ, რადგანაც სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა, მაგრამ იგი მოკლედ ასე შეიძლება გადმოიცეს: ეს არის ბიბლიური მოდელი სულის დაცემისა, შემდგომ ინიციაციის გზით მისი ზეაღსვლისა და ღვთიურ საუფლოში დაბრუნებისა, რომელზედაც აგებული იყო, როგორც წესი, შუასაუკუნეების თითქმის ყველა საერო თუ სასულიერო მხატვრული ქმნილება. ბუნებრივია, შოთა რუსთაველის მხატვრულ სისტემაში ეს მოდელი თავისებურად არის გააზრებული და გაშლილი, რის დეტალურ ანალიზსაც შეიცავს სარეცენზიო ნაშრომი.

ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება" კიდევ მრავალ საინტერესო პრობლემას აღძრავს, რაც უთუოდ იმსახურებს ყურადღებას, მაგრამ მათზე ვეღარ შევჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ რუსთველოლოგიას შეემატა ნაშრომი, რომელიც ავსებს ამ სფეროში არსებულ დიდ ხარვეზს და შესრულების მაღალპროფესიული დონით თამამად უსწორებს თვალს თანამედროვე მეცნიერების მაღალ მოთხოვნილებებს.

ზემოთ უკვე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, რომ სარეცენზიო ნაშრომში გამოთქმული ზოგიერთი თვალსაზრისი შეიძლება საკამათო იყოს, ავტორის ზოგიერთი მოსაზრება არ გაიზიაროთ კიდეც, მაგრამ შეუძლებელია არ მოგხიბლოთ და განგაცვიფროთ მეცნიერის აზროვნების სიღრმემ და მასშტაბურობამ, აზრის გამოთქმის სითამამემ და გაბედულობამ და, რაც მთავარია, იმ ახალმა მეცნიერულმა კონცეფციებმა, რომელთაც გვთავაზობს იგი და რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საერთოდ ქართული სულიერი ცხოვრებისათვის. და მაინც, კონკრეტულად რით გვხიბლავს ესოდენ ეს ნაშრომი?

უპირველეს ყოვლისა, კვლევის სწორი მეთოდოლოგიით, რომელიც ეფუძნება უაღრესად დიდ ერუდიციას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის დიდი განათლება და სამეცნიერო ლიტერატურის ღრმა ცოდნა, რასაც ავლენს ავტორი და რაც უთუოდ განპირობებულია იმით, რომ ის სრულყოფილად ფლობს მრავალ ენას. ეს კი საშუალებას აძლევს დედანში გაეცნოს მდიდარ ემპირიულ მასალას და ანალიზისას ტიპოლოგიური შეპირისპირების მეთოდის გამოყენებით გამოიტანოს ერთობ საყურადღებო და არაორდინალური დასკვნები. ასევე შესაშურია მკვლევარის ინტუიციური ალღო, დახვეწილი გემოვნება და მეცნიერული აზროვნების ისეთი ფართო გაქანება, რომელიც ზეშთაგონების საფეხურს აღწევს. აუცილებლად ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი აღმაფრენითა და შთაგონებით შექმნილი შრომები არ იწერება მხოლოდ ცივი გონებით, მას გულის ცეცხლიც უნდა დაჰყვებოდეს. ასე რომ, ზვიად გამსახურდია ამგვარ ნაშრომს ვერ შეექმნიდა, დიდ ინტელექტუალურ განათლებასთან ერთად მორწმუნე სული რომ არ გააჩნდეს, რომელიც, საფიქრებელია, მისტერიების ინიციაციასაცაა ზიარებული.

დაბოლოს, ერთსაც დავძენ. ვინც ამ ნაშრომს წაიკითხავს გულისყურით და ვისაც შესწევს ელემენტარული უნარი, რაც უნდა შურითა და ბოღმით იყოს დაბრმავებული, მან არ შეიძლება გულში მაინც არ აღიაროს სარეცენზიო ნაშრომის ავტორის მაღალნიჭიერება და ღრმა განსწავლულობა, რაც ასე აკლიათ ჩვენს ლიტერატურათმცოდნეებს.

1991 წელი

ერისა და ერისკაცის მისია

საერთოდ, ადამიანი, როგორც მოაზროვნე არსება, ცდილობს გააცნობიეროს თავისი სიცოცხლის არსი და მიზანი. მას აწუხებს კითხვა: რატომ და რისთვის გაჩნდა ამ ქვეყანაზე და რა ელის მომავალში. ეს კითხვა უფრო მომავლისკენ არის გამიზნული, მაგრამ იგი ეფუძნება წარსულის გამოცდილებასაც. ერთმა დიდმა აღმოსავლელმა პოეტმა ამ მარადიულ პრობლემას ლაკონიური ახსნა მოუძებნა: „ალაჰიდან მოვდივართ ჩვენ და ალაჰსვე ვუბრუნდებით". მართლაც და, ადამიანი ღვთის გაჩენილია და ღვთისავე საუფლოს უნდა დაუბრუნდეს საბოლოოდ!.. მაგრამ მას ცხოვრება უხდება გარკვეულ საზოგადოებაში, ის არის „საზოგადოებრივ-პოლიტიკური არსება", რომლის ინდივიდუმი ყალიბდება განსაზღვრულ ისტორიულ ვითარებაში. ერთი სიტყვით, ადამიანი განუყოფელი ნაწილია იმ ხალხისა, ერისა, რომლის მატერიალურ თუ სულიერ წიაღშიც ჩამოყალიბდა მისი ცნობიერება. ამიტომაც ის ცდილობს გაერკვევა არა მხოლოდ საკუთარი ინდივიდის, არამედ მთელი იმ საზოგადოებისა თუ ერის რაობაში, რომლის ნაწილადაც მიიჩნევს თავს. ასე რომ, ყოველ ჭეშმარიტ მამულიშვილს აღეძრება ფიქრი იმის შესახებ, თუ რანი ვიყავით, რანი ვართ და რანი ვიქნებით.

ამ პრობლემის გარკვევას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით იმ მცირერიცხოვანი ხალხებისათვის, რომლებმაც დროთა უკუღმართობის გამო დაკარგეს თავისუფლება და რომელთაც ნაციონალური ჩაგვრის უღელი ერგოთ ხვედრად.

ანტაგონიზმი, მალული თუ აშკარა ბრძოლა ყოველთვის არსებობს მჩაგვრელსა და ჩაგრულს შორის. მჩაგვრელი ცდილობს ნაციონალურ ნიადაგზე აღმოცენებული ეს წინააღმდეგობა დაძლიოს და ამ მიზნით ის ყოველგვარი ხერხებით ებრძვის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ეროვნულ მეხსიერებას. მას სურს, ჩაგრულ ერს დააავიწყოს თავისი წარსული და ტრადიციები, ანუ „რანი ვიყავით", რადგან ხედება, რომ ერის

ისტორიასა და წარსულს მოგლეჯილი კაცის გადაგვარება გაცილებით იოლია (სხვათა შორის, ეს საკითხი ძალზე კარგად ასახა ყირგიზმა მწერალმა ჩინგიზ აიტმატოვმა!).

ისტორიული წარსულის სიამაყედაკარგული ადამიანი ძალზე ადვილად შეიძლება დაარწმუნო, რომ მისი ერი უუნარო და უქნარაა, მას არ ძალეძს დამოუკიდებლად არსებობა და იგი განწირულია დასაღუპავად. ასეთ შემთხვევაში დამპყრობი ერის მჩაგვრელად და მტარვალად კი არ გვეელინება, არამედ უფროს მეგობრად, მხსნელად და გადამრჩენად. და შენც მას მადლიერებით უნდა უკმიო საკმეველი, რათა მან ზურგი არ შეგვაქციოს და ბედის ანაბარა არ მიგვატოვოს...

აი, ამას გვიჩიჩინებდნენ რუსეთის იმპერიის ერთგული მსახურნი ორასი წლის განმავლობაში; აი, ამაში გვარწმუნებდნენ ინტერნაციონალისტი ბოლშევიკები სამოცდაათი წლის განმავლობაში; აი, ამას გვიქადაგებს დღეს რუსეთის იმპერიის ყურმოჭრილი მონა, მარიონეტული ნეობოლშევიკური ხელისუფლება, რომელმაც რუსეთის იარაღის დახმარებით ხელთ იგდო საქართველოს მართვის სადაველები. აი, ამ „რუსეთუმეთა“ მოღვაწეობა და „რუსეთუმეობის“ ქადაგება, ერთი შეხედვით რომ „უცოდველობით“ არის აღბეჭდილი, ჩემი ღრმა რწმენით, უფრო საგანგაშო და საშიშია, ვიდრე ეკონომიკური ბლოკადითა თუ რუსული ტანკებით ერის ფიზიკური მოსპობა და განადგურება, რადგანაც პირველი გზა უმტკივნეულო და თანამედროვე „მსოფლიო წესრიგის“ მასონურ გეგმებს მორგებულია, მეორე გზა კი ყველას მიერ დაგმობილია და თანაც სახიფათო, რაც დასტურდება ჩეჩნეთის მაგალითითაც...

ყოველივე ეს კარგად უწყოდა ზვიად გამსახურდიამ. ამიტომაც მისი უპირველესი მიზანი იყო გაეღვიძებინა მთლიანად მიძინებული ქართული ცნობიერება, აღევსო იგი ისტორიული წარსულის სიამაყით და განესაზღვრა ის მისია, რაც მას აკისრია მსოფლიო ხალხების წინაშე და რითაც იგი სხვათაგან გამორჩეულია, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა. ერთი სიტყვით, ბატონმა ზვიადმა განიზრახა გაერკვია რანი ვიყავით და საიდან მოვდივართ, რანი ვართ და რანი უნდა ვიყოთ მომავალში, ანუ საით წარემართოთ ჩვენი ძალისხმევა, სხვაგვარად, რა ადგილი ეჭირა ქართველ ერს უძველეს მსოფლიო ცივილიზაციაში, განვითარების რა საფეხურები განელო მისმა ცნობიერებამ და რა სულიერი მისია

აკისრია მას. როგორც ღვთით რჩეულ ერს. ეს უაღრესად რთული და ძნელად დასაძლეელი პრობლემაა და მისი გააზრებისათვის საჭიროა ფრიად დიდი განათლება და ერუდიცია. აი, სწორედ ისეთი, ზვიად გამსახურდიას რომ ქქონდა.

ზვიად გამსახურდიას მართებული აზრით, მარქსისტული მეცნიერება შეუნიშნულად უგულებელყოფდა ქართველი ერის ცივილიზაციის მდიდარ ისტორიას; საბჭოთა მეცნიერება ცდილობდა ქართველი ხალხისათვის შთაენერგა არასრულფასოვნების კომპლექსი, რაც, სხვათა შორის, დღესაც დიდი მონდომებით ინერგება ჩვენში. მომავალ პრეზიდენტს კი სულ სხვა ფიქრები ამოძრავებდა. მას სურდა ქართველს თავი ქართველად გაეცნობიერებინა და ამით ერთგვარი სიამაყეც დაუფლებოდა. ამიტომაც მკვლევარი იწყებს ქართული ცივილიზაციის ძირების კვლევას და შეისწავლის უძველეს პერიოდს. ის იზიარებს მსოფლიოში ცნობილი მეცნიერის ვილჰელმ ჰუმბოლდტის თვალსაზრისს და ფიქრობს, რომ „სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქთონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა", რომელსაც „უწოდებდნენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა" (ზვიად გამსახურდია, საქართველოს სულიერი მისია, 1990 წ., გვ. 8). ასეთი შორსმიმავალი დასკვნები უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს როგორც ცივილიზაციის წარსულის შესასწავლად, ასევე მისი მომავლის გააზრების თვალსაზრისითაც. ამასთანავე მას არა მხოლოდ კულტურის ისტორიისათვის აქვს ღირებულება, არამედ მსოფლიოში დამკვიდრებული სტანდარტების დასანერგად და პოლიტიკური ცხოვრების წარმართვისთვისაც. მაგრამ დავუბრუნდეთ წამოჭრილ საკითხს.

მეცნიერთა აზრით, „პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის, მისი ზეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან მესამე ათასწლეულამდე" (გვ. 10). მერე იწყება მისი დაკნინება. ამ რასასთან არის დაკავშირებული პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსური, კოლხური და მისთ... ასევე მათ უკავშირდება პელაზგური კულტურა, რომელიც წინ უსწრებდა ძველბერძნულს და წარმოადგენდა პროტოიბერიული კულტურის ერთ-ერთ განშტოებას.

საერთოდ, ზვიად გამსახურდია ფიქრობს, რომ პროტოიბერიული მოდგმა და მისი კულტურა უფრო უძველესია, ვიდრე ინდოევროპული და ძველი ბერძნული ცივილიზაცია.

განვითარების ადრეულ პერიოდში მოხდა ამ ცივილიზაციების ერთგვარი შეჯახება და დაპირისპირება, რაც, როგორც ჩანს, აირეკლა როგორც მითოლოგიურ შრეებში, ასევე უძველეს ბერძნულ ისტორიულ წყაროებსა თუ მხატვრულ ქმნილებებში.

უფრო მეტიც. მკვლევარის მტკიცებით: „ტროას ომის უდიდესი გმირი – აქილევსი წარმოშობით პელაზგია, ე. ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენელია, ხოლო აგამემნონი და მენელაოსი არიან წმინდა ელინური წარმოშობის ადამიანები... აქ არის აშკარა კონფლიქტი ელინურ სამყაროსა და პროტოქართულ სამყაროს შორის. ტროა – ეს არის პროტოქართული სამყარო, ელინური სამყარო კი აქაველებია“ (გვ. 11).

მართალია, ამგვარი თვალსაზრისი შეიძლება ვინმეს სარწმუნოდ არ მოეჩვენოს და განცვიფრდეს კიდეც, მაგრამ იგი ეყრდნობა არსებული მდიდარი მასალების შესწავლა-გადააზრებას და თანაც ისეთ შემოქმედებით აღმაფრენას, რომელიც ღვთითშთაგონებულ ადამიანებს ასაზრდოებს ოდენ.

აქედან გამომდინარე, ზვიად გამსახურდია ფიქრობს, რომ ძველბერძნული მითების ჭეშმარიტი შემოქმედნი პელაზგები არიან, ხოლო ელინები მითების ინტერპრეტატორებად გვევლინებიან მხოლოდ. ეს თეზისიც, რომლის სასარგებლოდაც მრავალი არგუმენტი მეტყველებს, უაღრესად საყურადღებოა და მითოსური სამყაროს შესწავლის ისტორიას საესებით ახალი კუთხით წარმოაჩენს.

მაგრამ მკვლევარის მიზანი არ გახლავთ ახალ-ახალი აღმოჩენებით განაცვიფროს მკითხველი, ის ისწრაფვის შეძლებისდაგვარად სრულად წარმოაჩინოს მსოფლიო ცივილიზაციის განვითარების ჭრილში ქართული კულტურის ფენომენი, განსაზღვროს მისი ადგილი და რაობა. ამიტომაც იგი მითების უძველეს შრეებს მიაპყრობს მზერას და მისთვის ჩვეული სიღრმით და მომეტებული სილაღით წარმოაჩენს ამ საიდუმლოებით მოცული სამყაროს შუქ-ჩრდილებს. ბუნებრივია, ყველა საკითხს, რომელსაც მკვლევარი წამოჭრის თავის ნაშრომში, ჩვენ ვერ შევეხებით. მაგრამ ძალზე საინტერესოა მისეული ინტერპრეტაცია პრომეთეს მითისა, რომელიც, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია კავკასიასთან. მეცნიერის მართებული აზრით, მითოსის პერსონაჟთა „სულიერი რაობა“ განი-

საბლვრებიდა მაი) სახელებში განიცოებული შინაარსით. ანდა, პირუკუ, სახელები იქმნებიდა გმირის „არსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე". ამ თვალსაზრისით საინტერესოა, თუ რას გადმოგვცემს სიტყვა პრომეთე. ძველბერძნულად ეს სიტყვა წინასწარმეტყველურ აზროვნებას ნიშნავს, ხოლო ეპიმეთე, რომელიც იყო მისი ძმა — ნიშნავს განსჯისმიერ აზროვნებას. აქედან გამომდინარე, ზვიად გამსახურდია ფიქრობს, რომ „პრომეთე არის ზენა სამყაროს, სულიერი სამყაროს ძე, ანუ წინასწარმეტყველური აზროვნება", ხოლო ეპიმეთე სიმბოლურად გადმოგვცემს ინტელექტუალურ აზროვნებას (გვ. 13).

მოგეხსენებათ, მითის ინტერპრეტაცია, როგორც წესი, რამდენიმე დონეზე ხდება. ზვიად გამსახურდიას გააზრებით, პრომეთეს მითის სემანტიკის უმთავრესი ახსნა ის არის, რომ გადმოგვცემს იმ ეტაპს, როცა ადამიანის აზროვნება მიეჯაჭვა ფიზიკურ სხეულს მას შემდეგ, რაც სული ფიზიკურ სხეულში შთასახლდა. ხოლო კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთეს განთავისუფლება არის განთავისუფლება აზროვნებისა სხეულებრივი საწყისისაგან. ასე რომ, პრომეთე ამ შემთხვევაში ასახავს განთავისუფლებულ წინასწარმეტყველურ აზროვნებას. სხვაგვარად, მითი გვაუწყებს სულის განთავისუფლებას მატერიისაგან. ეს გახლავთ „სპირიტუალური, ფილოსოფიური" ასპექტი ზემოხსენებული მითისა. მაგრამ მას გააჩნია აგრეთვე ეთნოლოგიური ასპექტიც. კერძოდ, მკვლევარის აზრით, პრომეთე არის სიმბოლო იმ მოდგმისა, იმ ხალხისა, რომელმაც უნდა განავითაროს მისტერიათა კულტურა... და ყოველივე ის, რაც მას უკავშირდება. ხოლო ზეესი განასახიერებს იმ მოდგმას, რომელიც გვიან მოვიდა საბერძნეთში და ძალისძალად ამკვიდრებს თავის კულტს, რაც აისახა პრომეთეს კავკასიონის ქედზე მიჯაჭვის ეპიზოდში.

როგორც მიღებულია, პრომეთე ისჯება იმის გამო, რომ მან ადამიანებს მისცა ცეცხლი, ანუ სიმბოლურ დონეზე თუ გავიაზრებთ, მან ადამიანს დაუბრუნა ცნობიერი მეობა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის განვითარებისათვის.

მიჯაჭვული პრომეთე, როგორც ცნობილია, გაანთავისუფლა ჰერაკლემ, რომელიც, ზვიად გამსახურდიას ახსნით, არის ინიციაციის „ახალი კულტურა", „ნებელობითი ინიციაცია",

„ჰეროიკული ინიციაცია“ და წინასახეა ქრისტიანული ინიციაციისა. ამასთანავე, ჰერაკლეს სხვადასხვა გმირობა სიმბოლურად გადმოგვცემს სულიერი განვითარების სხვადასხვა საფეხურს, რომლის უმაღლესი საფეხურია პრომეთეს განთავისუფლება, ანუ „აზრის განთავისუფლება ფიზიკური სხეულის ტყვეობისაგან და კაცობრიობის გამოხსნა“ (გვ. 16).

შეიძლება ამ მითის კიდევ სხვა კუთხით ახსნა. ის გადმოგვცემს განთავისუფლებას იმ მოდგმისა, „რომელიც ზევსის, ანუ ინდოევროპული მოდგმის მიერ იქნა მიჯაჭვული, ანუ ლოკალიზებული კავკასიაზე. ე. ი. პრომეთეს მითში აირეკლა აგრეთვე პროტოქართული მოდგმის, პროტოიბერიული მოდგმის წარსული და მომავალიც...“ (გვ. 16)

პრომეთეს მითის ზვიად გამსახურდიასეულ ინტერპრეტაციას იმიტომ დავუთმეთ შედარებით დიდი ადგილი, რომ აქ ჩანს ავტორის მისწრაფება ქართული ცივილიზაციის, ქართველი ერის სულიერი მისიის უძველეს მითოსურ წიაღში აღმოჩენისა და წინ წამოწევისა, რაც, ჩემი აზრით, მიმართულია არა იმდენად წარსულის განსადიდებლად, რამდენადაც თანამედროვე დაბეჩავებული და დათრგუნული ქართული სულის აღსატყინებლად. ცხადია, ზვიად გამსახურდიას ეს სწრაფვა არ უნდა ავხსნათ მისი ულტრანაციონალიზმით, როგორც ამას დღეს გვიხატავს ზოგიერთი გადაგვარებული ქართველი. პირუკუ, ჭეშმარიტ ერისკაცს სურს გაუფანტოს ქართველ ხალხს ეროვნული არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელსაც დიდი მონდომებით უნერგავდნენ მაშინ და ასევე დიდი ხალისით უნერგავენ დღესაც. ზვიად გამსახურდიასთვის ქართველი ერის წარსულის შესწავლა არის ერთგვარი საშუალება არსებულ უსამართლობასთან ბრძოლისა და ამ ბრძოლისათვის ქართველი ხალხის მომზადებისა. მან კარგად უწყის, რომ კაცი ვიდრე მახვილს მოჰკიდებს ხელს, სულიერად უნდა გამხნევედეს და განმტკიცდეს. სხვაგვარად, ეს იყო სულიერი მომზადება პოლიტიკური ბრძოლისათვის.

მაგრამ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ. ზვიად გამსახურდია ოდენ მითების სამყაროს კელეეით არ იზღუდება. ის ამ სამყაროს ძალზე ბუნებრივად უკავშირებს ქრისტიანულ კულტურას და მრავალ საერთოს აღმოაჩენს წარმართულ და ქრისტიანულ ინიციაციებს შორის. იგი დაწვრილებით განიხილავს

არგონაუტების ლაშქრობას და ოქროს საწმისის მოტაცებას, დამაჯერებლად ხსნის მათ სიმბოლურ მნიშვნელობას და გადადის ქრისტიანულ პერიოდზე და უპირველესად ეხება მიქაელ მთაწმიდელს, რომლის მიწიერი ასპექტიც არის წმინდა გიორგი და რომელიც, მკვლევარის აზრით, ყველაზე მახლობელი იყო ქართველობისათვის, რადგანაც ჩვენში ოდითგანვე დამკვიდრებული იყო ეროვნული ღვთაების — თეთრი გიორგის კულტი, მიწათმოქმედებასთან რომ იყო მჭიდროდ დაკავშირებული.

ბუნებრივია, მკვლევარი ყველაზე დიდ ადგილს უთმობს წმინდა გიორგის მიწიერი და ზეციური ასპექტების შესწავლას, მისი კულტის დამკვიდრებას საქართველოში. როგორც მართებულად აღნიშნავს მეცნიერი, „გიორგი გახდა უმთავრესი წმინდანი ქართველი ერისა და არა მხოლოდ წმინდანი, არამედ ქრისტიანული ღმერთის სახე" (გვ. 21). ღვთისმეტყველებაში გავრცელებულია ღვთის სხვადასხვა ასპექტები. ერთ-ერთი სახე გამოხატულია, როგორც თეთრტაიჭოსანი ზეციური მხედარი, დრაკონს რომ განგმირავს. ეს უნდა იყოს წმინდა გიორგის წინასახე.

როგორც ცნობილია, უნივერსალური გველის, ანუ დრაკონის განგმირვა სიმბოლურად გადმოგვცემს ზოგადად მატერიალიზმის, ბოროტების დათრგუნვას და სულიერი აზროვნების განვითარებას და ამ გზით კაცობრიობის ხსნას. ამიტომაც ქართულ სინამდვილეში წმინდა გიორგის კულტი და ფრესკული გამოსახულება ყოველთვის გაგებულია, როგორც ბოროტების და უსამართლობის დაძლევისა და სულიერი ამაღლების სიმბოლო.

მეორე მხრივ, ზვიად გამსახურდიას არ ავიწყდება, რომ საქართველო არის წილხვედრი ქვეყანა ღვთისმშობლისა, რომელშიც სულიწმიდა მყღაენდება, როგორც სამების მდედრობით ასპექტში, ხოლო სულიწმიდის მისია დაკავშირებულია ღვთისმშობლის მისიასთან, რომელმაც უნდა განახორციელოს კაცობრიობის განწმენდა და მხილება. აი, ამ ორ ასპექტთან: მიქაელ-გიორგისთან და ღვთისმშობელთან მიმართებაში, მკვლევარის აზრით, გაცხადებულია საქართველოს სულიერი მისია, რაც ორიოდე სიტყვით შეიძლება ასე გადმოიცეს: ქართველები უძველესი ცივილიზაციის და კულტურის ერია, რომელიც

ფლობს უძველეს მისტიურ საიდუმლოებას და ეს ყოველივე აისახა როგორც მითოლოგიურ შრეებში, ასევე ქრისტიანულ რელიგიურ თუ საერო ლიტერატურაში. მას, როგორც ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას, მიქაელ-გიორგის კულტის მატარებელ ერს, აკისრია უდიდესი მისია კაცობრიობის წინაშე. მან უნდა ამხილოს და განწმინდოს ცოდვით დაცემული ერები და იხსნას ისინი ბოროტებისაგან, აამაღლოს სულიერად და ამგვარად გადაარჩინოს კაცობრიობა. ასეთია ქართველი ერის სულიერი მისია (მას აკისრია პოლიტიკური მისიაც, რაზეც ცოტა ქვემოთ მოგახსენებთ!), რომელიც მან უნდა იკისროს ადამიანთა მოდგმისათვის უმძიმეს ვითარებაში და საყოველთაო კატასტროფის მოახლოების ჟამს.

სწორედ ქართველი ერის განსაკუთრებული სულიერი მისიის წყალობით უნდა აიხსნას ის დიდი ინტერესი, რომელსაც იჩენდა მისადმი ძველი ბერძნული თუ შუასაუკუნეების ქრისტიანული სამყარო, რაც არაერთგვაროვნად აირეკლა მრავალ ლეგენდასა თუ თქმულებაში, ოქროს საწმისსა თუ წმინდა გრაალის სფერულ ბარძიმს რომ უკავშირდება.

ქართველი ერის ამ ღვთიურ მისიაზე ასევე დაბეჯითებით მეტყველებს ძველი ქართული თეოსოფიური ძეგლი „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი". იოანე-ზოსიმეს ამ ესქატოლოგიური ძეგლის შესახებ მრავალი საინტერესო გამოკვლევა დაიწერა, რომელთა განხილვას აქ არ შეეუდგებით. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს ხსენებული ძეგლისადმი ზვიად გამსახურდიას დაკვირვებანი.

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ ძველი ქართული ენის საუკეთესო ცოდნა, თეოსოფიური ძეგლების და, საერთოდ, სამეცნიერო ლიტერატურის სრულყოფილი ფლობა, ზეშთაგონებული აღტყინება და ამავე დროს მეცნიერული სიდინჯე — ყოველივე ეს ზვიად გამსახურდიას მსჯელობას უაღრესად დიდ დამაჯერებლობას და მომხიბველელობას ანიჭებს. მკვლევარის მიგნებანი ენისა და ერის იდენტურობის შესახებ, ანუ აზრი იმის თაობაზე, რომ „ქებაი" ეხება არა მარტო ქართულ ენას, არამედ ქართველ ერს, ქართულ ეთნოსს, აგრეთვე იოანე მოციქულის, ლაზარეს და ქართული ენის იდენტიფიცირებას, ასევე დაკვირვება სიყვარულის სახეობის „ფილეო"-სის სპეციფიკურობის, იოანეს და ქრისტეს ნათლისღების სხვაო-

ბის შესახებ. აგრეთვე ახსნა გამოთქმისა „ოთხისა დღისა მკუდარი“ თავისთავად დიდად საგულისხმო თვალსაზრისებია, რომელთა ურთიერთშეჯერებით და განზოგადებით ზვიად გამსახურდია მიდის ერთობ საყურადღებო დასკვნებამდე: „ქართული ეროვნება და მისი ენა (ქართველი ერი) შენარჩუნებული იქნება მისი (ქრისტეს) მეორედ მოსვლის დღემდე, რათა მან სწამოს (ქრისტესთვის), რათა ყოველი ერი ღმერთმა ამხილოს ამ ერის მეშვეობით“ (გვ. 44-45). ამასთანავე, მკვლევარი არ იზღუდება მხოლოდ საკვლევი ძეგლის შესწავლით. იგი გამოწვლილვით აანალიზებს მდიდარ ეთნოლოგიურ, ენათმეცნიერულ და მითოლოგიურ მონაცემებს და მათი განზოგადებით კიდევ უფრო თამამ და, ერთი შეხედვით, განსაცვიფრებელ თვალსაზრისს გვთავაზობს: „ამრიგად, „ქებაის“ ავტორი იგივეს გვამცნობს ქრისტიანული ტერმინოლოგიით, რასაც ანტიური მისტერიებიდან გამოსული მითი: ოდესღაც აღზევებული და მძლავრი ქართული მოდგმა და მისი ენა ოთხი ათასი წლის განმავლობაში დამდაბლებულია და დაწუნებული, მაგრამ ეს დამდაბლება მისთვის ქრისტიანული ნათლისღებაა სიკვდილისა და დაფლვისა (ამით იგი არის „ოთხისა დღისა მკვდარი“), რასაც გარდუვალად მოსდევს აღდგომა და ამაღლება. ქართული მოდგმაც აღდგება ამ ოთხდღიანი ნათლისღების შემდეგ, ხოლო მეორედ მოსვლისას კვლავ დაიბრუნებს უნივერსალური სულიერი ლიდერისა და კაცობრიობის მსაჯულის პოზიციას, როგორიც გააჩნდა მას წარსულში. **ყოველივე ამას ქართულ მოდგმას დაუბრუნებს ის, ვინც აღადგინა და განადიდა ლაზარე. ამიტომაც არის ქართული მოდგმა ლაზარესთან შედარებული.** თანაც ის როდია ნათქვამი, რომ ქართული მოდგმა მეორედ მოსვლამდე დამდაბლებული, დაწუნებული და მკვდარი იქნება, არამედ ის, რომ იგი ოთხდღიანი (ოთხათასწლიანი) სიკვდილისა და დაფლვის პერიოდის შემდეგ აღდგება ლაზარეს მსგავსად. გაცილებით ადრე ქრისტეს მეორედ მოსვლამდე იგი სწამებს ქრისტესთვის, მისი ისტორია იქნება ქრისტესთვის არნახული მოწამეობა, ხოლო მეორედ მოსვლისას იგი ამხელს ცოდვილ კაცობრიობას“ (გვ. 70).

და ეს მხილება მოხდება ქართული ენით, რომელიც პირველადი მისტერიული ენაა და „ღმერთებთან ურთიერთობისათვის შექმნილი“. ამიტომაც არის იგი ლაზარე, გამორჩეული

ყოველ ენათა შორის და თავისთავში მოიცავს მისტერიების „ყოველ საიდუმლოს“.

მაშ ასე: ჩვენ წინ იშლება ქართველი ერის უკვდავების საიდუმლო, მისი მარადიული სულის განვითარება, რომელიც იწყება პრეექსისტენციური პერიოდიდან და მიემართება უსასრულობისაკენ, რათა ღვთიური ნება აღასრულოს მეორედ მოსვლის ჟამს. ამავე დროს ქართველთა მოდგმას ეკისრება უაღრესად დიდი მისია – ბოროტებისაგან განწმინდოს კაცობრიობა, უფრო მართებულად, გაასპეტაკოს ადამიანის სული, მოწყვიტოს იგი მატერიას, ფიზიკურ სხეულს და აამაღლოს იგი ღვთიურ საუფლომდე, ანუ წარმართოს ის ამასოფლიდან ზეშთასოფლისაკენ. მაგრამ ეს მისია მოწამეობრივი გზით ეითარდება. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ქრისტესეული გზა, ეს არის ლაზარეს გზა. ამიტომაც მოხდება მისი დაცემა, დაკნინება, დაფვლაც. მაგრამ ამას უეჭველად მოჰყვება აღდგინება, აღდგომა. აი, ეს გახლავთ საქართველოს სულიერი მისია, რომლის სრულყოფილი წარმოსახვით და სამიწიერო მტკიცებითაც ზვიად გამსახურდია შეგნებულად უღვიძებს ქართველ ერს სიამაყის გრძნობას და მას მომავლის დიდ იმედს უსახავს!

აქვე უნდა საგანგებოდ დაესძინოთ, რომ ამ ურთულესი პრობლემის შესწავლის დროს ზვიად გამსახურდია თუმცა ეხება მრავალ რელიგიურ პრობლემას და თავისებურად ხსნის მათ, მაგრამ ბნელეთისა და სუკ-ის მოციქულ-მოძღვართა გასაგონად უნდა განვაცხადოთ, რომ მკელევარის მიზანი ამჯერად არ არის თეოლოგიურ პრობლემათა ახსნა და განმარტება. და თუკი მათზე უხდება საუბარი, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მეტი დამაჯერებლობა შესძინოს თავის შორსგამიზნულ მამულიშვილურ გარჯას. ასე რომ, სუკელ ორთოდოქსებს ძალზე გაუჭირდებათ ამ ნაშრომის მიხედვით მეცნიერის კონფესიური კრედოს ხელოვნური გაყალბება, რასაც ასე ჯიუტად და გამალებით ცდილობენ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს უფრო ერის შვილის, მეცნიერის და პოლიტიკოსის დასკვნა გახლავთ, რომელიც სამომავლოდ არის გამიზნული და ქართველი ერის პოლიტიკურ მერმისს აცისკროვნებს.

მაგრამ ქართველ ერს, გარდა სულიერი მისიისა, აკისრია

პოლიტიკური მისიაც, რომელ'სედაც არაერთგზის მიგვანიშ-ნებს ზეიად გამსახ'ურდია. ამგვარი გააზრების გასაღებს გვაძ-ლევს ის უძველესი მითოლოგიურ-მისტიკური წყაროები, რო-მელ'სედაც საუბარი ზემოთ უკვე გექონდა. გავიხსენოთ კავკა-სიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთე, რომელსაც აწამებს ზევსის არწივი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, პრომეთე სიმბოლოა ქარ-თველთა მოდგმისა, რომელმაც ბოროტებისგან უნდა იხსნას კაცობრიობა. ზევსმა პრომეთე იმიტომ დასაჯა, რომ მან კა-ცობრიობას მისცა ცეცხლი, ანუ სიმბოლურად ის უბრუნებს წართმეულ მეობას ადამიანებს. მეობის დაბრუნება კი სხვას არაფერს ნიშნავს კაცთათვის, თუ არა თავისუფლების მინი-ჭებას, რამეთუ ცნება თვითება თავისთავად გულისხმობს თა-ვისუფლებას და მის გარეშე წარმოუდგენელია. როგორც ირ-კვევა, ზევსი, რომელიც ამ შემთხვევაში ასახიერებს დამთრგუნ-ველ, დამპყრობელ ძალას, პრომეთეს სჯის იმის შიშით, რომ ამ უკანასკნელმა თავისუფლება და ცნობიერება არ მოუტა-ნოს ადამიანთა მოდგმას (შეადარეთ ადამის სამოთხიდან გა-მოძევების ამბავი!). აქვე გავიხსენოთ რისი სიმბოლოა არწივი, რომელიც კორტნის კავკასიის ქედზე მიჯაჭვულ პრომეთეს. ის, ერთი მხრივ, გადმოგვცემს სულიერ აღმაფრენასა და შე-მეცნებას, ხოლო, მეორე მხრივ, ასახავს იმპერიულ ძალმომ-რეობას. მოვიგონოთ ისიც, თუ რა ფუნქცია აკისრია ჰერაკ-ლეს. მან უნდა გაანთავისუფლოს პრომეთე, ანუ ამ შემთხვე-ვაში ქართველთა მოდგმა, და მას დაუბრუნოს საკუთარი მეო-ბის, ანუ თვითების ღირსება, რათა ამ უკანასკნელმა აღასრუ-ლოს თავის მისია – დაუბრუნოს თავისუფლება კაცობრიობას. სწორედ ამ მიზნით ჰერაკლე სჩადის სხვადასხვა საგმირო საქმეებს, რომლებიც უნდა გავიაზროთ როგორც სულიერი განწმენდის და ამაღლების საფეხურები.

თუ ყოველივე ამას დღევანდელობის ჭრილში გავიაზრებთ, რის უფლებასაც გვაძლევს მითოლოგიური ინტერპრეტაციის ტრადიციები, მაშინ ასეთ ისტორიულ-პოლიტიკურ სურათს მი-ვიღებთ:

ქართველი ერი უძველესი კულტურისა და მისტერიულ საიდუმლოებას ზიარებული ერია, რომელსაც აკისრია დიდი საღ-ვთო მისია. ამიტომაც საუკუნეთა განმავლობაში აღზევებული ბოროტების იმპერიები ლამობდნენ მის დაპყრობასა და გა-

ნადგურებას, ზოგჯერ ახერხებდნენ კიდეც მის დამდაბლებასაც. აკი მიაჯაჭვეს კავკასიის ქედს პრომეთეს მსგავსად, მაგრამ ჰერაკლე მისი ბედის მუდმივი თანამდევი იყო და ისიც ლაზარეს დარად ყოველთვის ახერხებდა მკვდრეთით აღდგომას, რითაც მტკიცდებოდა ერთი ღვთიური ჭეშმარიტება – უფლის ნებით ქართველი ერი რჩეული და უკვდავი ერია!

მაგრამ ბუნებრივია, რომ ბარბაროსი და ღვთიურობას მოწყვეტილი იმპერიები ამ საიდუმლოებას ვერ ჩასწვდებოდნენ, ამიტომაც ისინი კვლავაც და კვლავაც ლამობდნენ ქართველი ხალხის დამონებას, განსაკუთრებით ბოლო ორასი წლის განმავლობაში. რუსეთის იმპერია, რომელიც ხან ცარისტული რუსეთის აუგი ზრახვების განმახორციელებლად ორთავიან არწივად გვევლინებოდა და ხანაც სისხლმოწყურებული ბოლშევიკების დაუოკებელი აგონიის სიმბოლოდ – ნამგალად და უროდ, ყოველგვარად ცდილობდა კავკასიის ქედზე მიჯაჭვული პრომეთესათვის თვალები ამოეკორტნა, რათა არ ღირსებოდა იგი თავისუფლების მზის ამობრწყინების ხილვას. რუსეთის იმპერიის ორთავიანმა არწივმა და ბოლშევიკურმა სატანამ ისიც კარგად იცოდა, რომ ქართველი ხალხის დამონება და დაბეჩავება, მთელი კავკასიელი ხალხის დაპყრობასაც ნიშნავდა. ამიტომაც თავდაუზოგავად ცდილობდა, რაც შეიძლება მაგრად მიეჯაჭვა პრომეთე და მერე ეჯიჯგნა, ეჯიჯგნა ქართველი ამირანი, სულ მთლად დაეკორტნა ის, რათა მას, თვალებდათხრილსა და ბნელში შთენილს, უჯიგროსა და უსისხლოს, არათუ სხვათა, არამედ საკუთარი გადარჩენის სურვილიც აღარ ჰქონოდა.

მაგრამ გამოჩნდა ჰერაკლე, ჰეროიკული ინიციაციის მფლობელი, თავად სულიერად განწმენდილი და ამაღლებული და თავისი მოწამეობრივი გზით დაანახა მატერიას და კეთილდღეობას მიჯაჭვულ ადამიანებს, თუ რა არის ნამდვილი ბედნიერება. – ეს არის არა ბნელეთის მონობა, არამედ თავისუფლება და თავისუფლებისათვის სიკვდილი. გამოფხიზლებული, სულიერად აღტყინებული და ამაღლებული ხალხი აღსდგა. განთავისუფლდა პრომეთე, რომელსაც უნდა ეხსნა და გაეთავისუფლებინა ჯერ მთელი კავკასია და მერე მსოფლიოს სხვა ჩაგრული ერები!..

თუმცაღა აღმოსავლეთიდან (არა ჩრდილოეთიდან) ამობ-

რწყინებული მზის ნათებამ დააფრთხო მთელი მსოფლიოს ბნელეთის მოციქულნი, წამოიშალნენ, ხელები დაიკაპიწეს, შუხილობითა და ყერაგობით ისევ შეიპყრეს პრომეთე და კავკასიას მიაჯაჭვეს. კვლავ ბნელეთი დასადგურდა... ჰერაკლემ გაცლა ამჯობინა, გაუჩინარდა. ახლა ლაღობენ ბნელეთის მოციქულნი, გამარჯვებას ზეიმობენ. მაგრამ მათი ზეიმი ნაძალადევია, სხვათა გულის მოსაკვლელად და სხვათა თვალის ასახვევად გამიზნულია ოდენ, რადგან კარგად უწყიან, რომ ლაზარე კვლავაც აღსდგება მკვდრეთით, კვლავაც ამხელს მათ, კვლავაც სწამებს ქართული ენითა ქრისტესთვის მეორედ მოსვლის ჟამს... ახლა მრავალს ჩამოეხსნა ფარისეველობით შეკოწიწებული ნიღაბი, მაგრამ სულ მალე ყველა გაშიშვლდება, ვინც რომ პრომეთეს უმტრო, ვინც რომ ქართველთა ღირსება დაამდაბლა...

მამულიშვილნო, მორწმუნენო, ნეტარი იყავით, რადგანაც ახლოვდება ჟამი ამირანის სამუდამო განთავისუფლებისა, გვიახლოვდება ჟამი სიკეთის გამარჯვებისა და ბოროტის ძლევისა, მოდის თეთრ ტაიჭზე ამხედრებული ჭაღაროსანი ზეციური მხედარი, რომელმაც უნდა განგმიროს დრაკონი, საქართველოს დროებით რომ დაპატრონებია, უნდა განდევნოს სატანა და მოგვილოცოს ქრისტეს აღდგომა და საქართველოს განთავისუფლება!

ფარავდეს უფალი ქართველ ერსა და ერისკაცებს, რათა მათ პირნათლად შეასრულონ კაცობრიობის წინაშე ღვთით დადგენილი მისია – ამხილონ, განაწმინდონ, აამაღლონ და ბოროტისაგან იხსნან ადამიანთა მოდგმა.

აღდგომა გვიახლოვდება, აღდგომა გარდუვალია!..

1994 წელი

„სახელი ჩემი არ გახდება არასდროს უტყვი“

ფიქრები მუხრან მაჭავარიანის პოეზიაზე

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, მრავალი წყევაკრულვიანი პრობლემით რომ არის გართულებული, პიროვნების გვარ-სახელმა თითქოს დაკარგა ოდინდელი მნიშვნელობა და ერთგვარად გაფერმკრთალდა. დეგრადირებული საზოგადოების წიაღში აღზრდილი, ინდივიდუალობადაკარგული, მრავალ „სხვაში“ გათქვეფილი და ნიველირებული „პიროვნების“ სახელი არაფრის მთქმელია კულტურული გარემოსათვის და შინაარსისგან დაცლილ, როგორღაც შემორჩენილ ტრაფარეტულ სიმბოლოს წარმოადგენს. ასე არ იყო ადრე, გვარ-სახელი ადამიანის გენეტიკური კოდის მატარებელი იყო და პიროვნების ინდივიდუალური ღირსების მაუწყებელიც. სახელსაც მაშინ არქმევდნენ ადამიანს, როცა ქრისტეს რჯულზე მოექცეოდა, ანდა რაიმე საგმირო საქმეს ჩაიდენდა. თუმცაღა ისტორიულ ჭრილში პიროვნების გვარ-სახელი მისი ნაღვაწის გასიგრძეგანებით იძენს ხოლმე სრულყოფილ მნიშვნელობას და შარავანდედს. ამიტომაც ის მიმართებით ხასიათს ატარებს და, როგორც წესი, ერთი და იგივე სიმბოლო-სახელი სხვადასხვა შინაარსით იტვირთება და მისი გაგებაც კულტურულ საზოგადოებაში სხვადასხვაგვარია. ხომ არ შეიძლება ოდნავ განსწავლული ადამიანისთვის ერთნაირად ჟღერდეს, ეთქვათ, შოთა რუსთაველი და შოთა სიკინჭელაშვილი თუ შოთა შინჯიკაშვილი? ცხადია, არა! მაგრამ ასეც ხდება ხოლმე, გვარ-სახელის ბგერათა შემადგენლობა ისეთი „არაესთეტიურია“, რომ სახელდებულის დიდი ღვაწლიც ვერ აკეთილშობილებს მას. ამის გამოა სწორედ, რომ არც თუ იშვიათად შემოქმედი იძულებულია გამოიცვალოს იგი და ისეთი ზერქმეცა მოინახოს, რომელიც მის ესთეტიკურ გემოვნებას და მსოფლმხედველობრივ თვალსაწიერს აკმაყოფილებს.

ეს მოკლე ექსკურსი ონომასტიკაში იმიტომ დამჭირდა, რომ აღშენიშნა – ჩემი ხედვის თვალსაწიერში იშვიათად შემხვედრია პიროვნება, რომელსაც ისე ამშვენებდეს გვარ-სახელი, როგორც მუხრან მაჭავარიანს. თითქოს განგებამ ისურვა ბუნებით პოეტისაივის ასეთი პოეტური სახელი ებოძებინა. პოეტურიო, ვამბობ და, უპირველეს ყოვლისა, ვგულისხმობ იმას, რომ შემოქმედის სახელი და გვარი ურთიერთთან ფონემურ დონეზე ისეთ ჟღერად სინტაგმურ წყვილს ქმნის, რომლის გახლეჩაც რთულდება. აბა, დააკვირდით ამ სიტყვათა მიმართებას – მუხრან მაჭავარიანი და არ შეიძლება, თუკი ოდნავ მაინც გესმით პოეზიის ბგერწერისა, არ აღიქვათ ამ დაწყვილებული სიმბოლოების ეუფონია. ერთი სიტყვით, პირადად ჩემთვის მუხრან მაჭავარიანის როგორც გვარ-სახელი, ასევე მისი პიროვნება და მისი შემოქმედება დაუნაწევრებელია და გამთლიანებულია ერთ განუყოფელ და ამაღლებულ ცნებაში, რასაც ჭეშმარიტი პოეზია ჰქვია. საინტერესო ის არის, რომ ეს განცდა მქონდა მაშინაც, როცა ყმაწვილი ვიყავი და მის პოეზიას კარგად არ ვიცნობდი, იგივე განცდა გამიძლიერდა, როცა მის პოეზიას ჩავუღრმავდი, თავად მას კი არ ვიცნობდი, და იგივე განცდა გამიათკეცდა, როცა საფუძვლიანად შევიცანი თავად პოეტიცა და მისი პოეტური ნაღვაწიც. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი: მუხრან მაჭავარიანი თხემით ტერფამდე პოეტია. სხვაგვარად, შემოქმედის ღვთითმომადლებული ნიჭი და მოწოდება ჰარმონიულად არის შერწყმული მის ადამიანურ ბუნება-ხასიათთან. ამის აღნიშვნა იმისთვის დამჭირდა, რომ არც თუ იშვიათად ცხოვრებაში ვხვდებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გახლეჩილ" შემოქმედებას, როცა პიროვნებას, საბედნიეროდ, ამშვენებს მომადლებული შემოქმედებითი ნიჭი, მაგრამ, სამწუხაროდ, სავსებით არ ესადაგება მის უარყოფით ადამიანურ ბუნება-თვისებებს. ამ თვალსაზრისით, მარტივად რომ ვთქვათ, გვაქვს რამდენიმე ვარიანტი: ნიჭიერი შემოქმედია და კაცად არ ვარგა, ანდა პირიქით, კაცად ვარგა და უნიჭობით არის დაღდასმული, ანდა კიდევ უარესი, როცა არც კაცად ვარგა და არც შემოქმედად. ხოლო, როგორც აღვნიშნე, მუხრან მაჭავარიანი ის ბედნიერი გამონაკლისია, როცა მაღალი პოეტური ნიჭიერება არანაკლები ჭეშმარიტი ადამიანური ღირსებებით არის გაჯერებული, რაც

უდავოდ ანგარიშგასაწევია ამა თუ იმ შემოქმედის ნაღვაწის შესწავლისას. ყოველ შემთხვევაში, სადავო არ უნდა იყოს, რომ შემოქმედის ფსიქოლოგიური დონე, მისი გასუმეორებელი მეობა და უარყოფითი თუ დადებითი თვისებები ქვეცნობიერად თუ ცნობიერად აირეკლება, როგორც წესი, მის ნაღვაწ-ნაფიქრალში.

ამ თვალთახედვით თუ შეეხედავთ მუხრან მაჭავარიანის პოეზიას, მისი ბუნებიდან გამომდინარე, აპრიორულად შეიძლება დავასკვნათ: მისი პოეტური აზროვნების ერთი უაღრესად საყურადღებო ნიშანდობლიობა არის ის, რომ იგი სავსებით დაცლილია მოჩვენებითი, ყალბი პოეტური ნოტებისაგან და წინა პლანზე წამოწეულია უტყუარობა და ჭეშმარიტი განცდა, რასაც მოკვდავთა უბრალო ენაზე „სინაღდე" ეწოდება. სწორედ ამიტომაც არის, რომ მუხრან მაჭავარიანის ესთეტიკური მსოფლგანცდისათვის ყველაზე უფრო დამახასიათებელია მარტივისა და უბრალოს კატეგორია, რომლებიც, შეიძლება თამამად ითქვას, მისი მხატვრული აზროვნების ქვაკუთხედს ქმნიან. უმთავრესი, ჩემი აზრით, მაინც ის არის, რომ მუხრან მაჭავარიანის ესთეტიკური თვალთახედვა, როგორც უკვე ითქვა, მის ბუნება-ხასიათში ჰპოვებს დასაბამს. ამიტომაც იგი (პოეზია) ოდენ მხატვრულ-ესთეტიკური კონცეფციის გააზრებით შემუშავებული ხელოვნური პოზა კი არ არის, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, არამედ ადამიანური თვისების ბუნებრივი რეალიზაცია მხატვრულ ნაზრევში. ეს კი იმთავითვე გამორიცხავს პოზიორობას და იმ ძალისძალად შექმნილ ხელოვნურობას, რომელიც სიყალბის ზღვარს ებჯინება.

საერთოდ, თუ მხატვრული აზრის განვითარებას გადავავლებთ თვალს, დავრწმუნდებით, რომ მარტივისა და სადას ცნებები, როგორც ესთეტიკური კატეგორიები, ოდითგანვე უცხო არ იყო ცივილიზებული საზოგადოებისთვის. უკვე წარმართულ ფილოსოფიაში მათ დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ხოლო ნეოპლატონიზმის მამამთავრის – პლოტინის ესთეტიკურ თვალსაწიერში კი მარტივს ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი უჭირავს მშვენიერის აღქმა-შემეცნების და გამოხატვის იერარქიულ სისტემაში. რელიგიური აზროვნებისთვისაც ნიშანდობლივი იყო სისადავე, როგორც გამოხატვის პლანის არსე-

ბითი კონცეფციური თვისება: მაგრამ მაინც შუასაუკუნეების მხატვრულ სისტემაში მეტაფორული და სიმბოლური აზროვნების პრიმატი აშკარაა და ეჭვმიუტანელი. თუმცაღა ჩვენთვის საინტერესო კატეგორიების მოქმედების არეალი ისტორიული ეპოქებისა და კონტექსტების მიხედვით იცვლებოდა და მისი ქმედითობის სიხშირის ტალღაც ხან მინიმუმამდე დადიოდა, ხანაც ზენიტს აღწევდა.

XX საუკუნის ესთეტიკური ცხოვრება ამ მხრივ რაიმე ახალსა და ორიგინალურს არ გვთავაზობს. ამ ეპოქის მხატვრულ-ესთეტიკური კანონის მიხედვით შემუშაებულ სისტემაშიც „მარტივის" და „სადას" კატეგორიას ყოველთვის ჰქონდა გარკვეული ადგილი დათმობილი. ხოლო მისი აღქმის სიმძაფრე, როგორც წესი, დამოკიდებული იყო გაბატონებულ ტრადიციულ ფონზე. რაც უფრო კონტრასტული იყო კულტურული ცხოვრების კონტექსტი, მით უფრო მძაფრი იყო აღმქმელი სტრუქტურის რეაგირება.

ყოველივე ამის თქმა იმისთვის დამჭირდა, რომ, როცა მუხრან მაჭავარიანმა ქართული პოეზიის კარიბჭე შემოაღო, მაშინ ჩვენს პოეტურ ფერწერაში უფრო პატივდებული იყო რთული სახისმეტყველება, რომელიც ძირითადად ნატიფ მეტაფორათა და ორიგინალურ შედარებათა სისტემას ეფუძნებოდა. პოეზიის ენაც და, საერთოდ, მხატვრული სიტყვაც, გამშვენიერებული არქაიზმებით და ბიბლიური ლექსიკით, ცდილობდა ერთგვარი თავმოწონებით ამაღლებულიყო უბრალო სამეტყველო ენაზე და ამ გზით შეექმნა მხატვრული დისციპლინა, რომელიც თავისი გამიზნული სისტემურობით ემოციურ დატვირთვას იძენდა. ცხადია, მხატვრული განსხეულების ამგვარი მეთოდი საძრახი როდია, თუკი, რა თქმა უნდა, მწერალს არ ღალატობს ზომიერების გრძნობა და იმავდროულად აქვს თანდაყოლილი ნიჭი მშობლიური ენის ათვისება-გაშინაგანებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში შემოქმედი ემსგავსება იმ მანდილოსანთ, რომელთაც საკუთარი თანდაყოლილი სიმახინჯის გამშვენიერება სწადიათ ათასგვარი ზიზილ-პიპილოთი.

საერთოდ, ენა მწერლისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია და მეტად ღირებული, ვიდრე უბრალო საშუალება, რომლითაც თავის ნააზრევს გამოხატავს ხოლმე. ენა შემოქმედის აზროვნების განუყოფელი ნაწილია, უფრო მართებულად, მი-

სი აზროვნების ქვაკუთხედი, რადგანაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, არ არსებობს ცივილიზებული აზროვნება, რომელიც მთლიანად აბსტრაგირებული იყოს და მჭიდრო კავშირს არ ამყარებდეს ენასთან. ამავე დროს, ენა, როგორც შემოქმედის აზროვნების განუყოფელი ნაწილი, აქტიურად ერევა თავად შემოქმედებით პროცესში და, როგორც ესთეტიკური პროცესის შექმნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღი, მკვეთრად გამოხატავს მწერლის ესთეტიკურ კონცეფციას. ამიტომაც ჭეშმარიტი შემოქმედი დიდი სერიოზულობით ეკიდება ენის პრობლემას, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მის შესწავლა-დაუფლებას, რაც ნიჭთან ერთად დიდ შრომასაც მოითხოვს და ამავე დროს ცდილობს ქართული ენის ბუნებრივი სალარო ინდივიდუალური, საკუთარი ნაღვაწით გაამდიდროს. ასე რომ, ყოველი ჭეშმარიტი მწერალი დიდად არის დავალებული მშობლიური ენისგან, უფრო მართებულად, მისი ნახელავის მხატერულ ღირსებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ენის ცოდნა და ალღო. მაგრამ თავადაც არ რჩება ვალში და გარკვეული წვლილი შეაქვს მის გამდიდრება-განვითარებაში.

მუხრან მაჭავარიანს ყოველივე ზემოთქმული კარგად აქვს გაცნობიერებული. ის განსაკუთრებული გულისხმიერებითა და რუდუნებით ეკიდება მშობლიური ენის შესწავლას.

გასაოცარია ის შრომისუნარიანობა და მეცნიერული სკრუპულოზობა, რომელსაც ავლენს ლაღი სულის პოეტი ენათმეცნიერული შტუდიების დროს. ამ სფეროში მისი მეცნიერული მონოგრაფია „რამდენიმე სიტყვა“ (თბ. 1990) უაღრესად დიდ ყურადღებას იმსახურებს. მაგრამ ამჯერად მასზე არ შევჩერდები, რადგან ჩვენი დამოკიდებულება ამ ნაშრომის მიმართ უკვე გამოვთქვით (იხ. შ. გაბესკირია, ე. ჯაველიძე, ქართული სიტყვის კვალდაკვალ, „ლიტერატურული საქართველო“, 1990, № 17).

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი: მუხრან მაჭავარიანი ქართული ენის საუფლოში ისე გრძნობს თავს, ვითარცა ჭეშმარიტი რაინდი მორიგი ბრძოლის გამარჯვების შემდეგ. მაგრამ არ ვიქნებით მართალი, თუ პოეტის მშობლიურ ენასთან დამოკიდებულებას ამ ორიოდე სიტყვით დავასრულებთ. ჩემი ღრმა რწმენით, პრობლემის სრულყოფილი გაშუქებისთვის უნდა აღინიშნოს, რომ მუხრან მაჭავარიანს სხვა-

თაგას გასსნვა�, გასსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ქართულ ენასთან. გავუსწრებ ა'ზრთა მსვლელობას და ახლავე ალვსი'ნსავ ერთ უდავო ჭეშმარიტებას: მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების უმთავრესი იდეალი, მისი ყოველგვარი ქმედების მი'ზნობრივი მი'ზანი არის საქართველო და ქართველობა. შეიძლება ითქვას, რომ პატრიოტი'ზმი მის ნააზრევში რწმენის დონეზეა გაგებული. ამიტომაც ის თავისი ერის ისტორიას, შეიძლება ითქვას, რელიგიური დროის საშანებში აღიქვამს და მოიაზრებს ერთ რეალურ მთლიანობაში, სადაც წარსული, აწმყო და მომავალი მხოლოდ პირობითი გაგებით იტვირთება. ამ სულიერი მთლიანობის და დაუნაწევრობის განცდა-მოაზრება კი ეფუძნება, უპირველეს ყოვლისა, სულის უხრწნადობას, უკვდავებას და მისი მარადიული ეროვნული ნათესაობის სიმბოლოდ გაგებას, ასევე ქართველთა ძარღვებში მჩქეფარე სისხლის, როგორც ქართული გენისა და ჯიშის მეტაფორულ მოაზრებას და, ბოლოს, ქართულ ენას, ვითარცა ჩვენი ერის კულტურული ცხოვრების, ცივილიზაციის უწყვეტი მთლიანობის ხატს. თავს ნებას მივცემ, გავიხსენო პოეტის ძალზე გახმაურებული ლექსი:

შენ -
სისხლო ჩემო — სად არ დაღვრილო...
შენ -
სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, -
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.

პოეტის ღრმა რწმენით, ამ დაღვრილი და მრავალტანჯული სისხლის წყალობით მოვიდა დღემდე ქართველობა, ამ სისხლის წყალობითვე მოაღწია ჩვენმა ცივილიზაციამაც, რომლის ეროვნული თვალთახედვით შემეცნებაც თავის მხრივ გვაფიქრებინებს, რომ ქართული გენეტიკური კოდი განსაკუთრებული ამაღლებულობით და მდგრადობით ხასიათდება, რაც თავისთავად უკვე მეტყველებს ქართველთა მოდგმის უკვდავებაზე.

თუ მოხმობილი ლექსი კონტრასტულ ფერთა შეჯერებით და ოპტიმისტური განწყობით, მაყორული ინტონაციით გვაუ-

წყების ქართველი კაცის ჯიშის ვერ ამოძირკვაზე და უკვდავებაზე. სხვა ლექსში უკვე საუბარია ქართული ციელი ხეების ასრის, სვენი ერის კულტურული ცხოვრების გარდაუვალ სეალსველიაზე, რაც ქართული სიტყვის ძალისხმევით არის გაცხადებული:

სიტყვებს, -
წინაპართ მიერ გახედნილთ, -
დიდი რუსთველის უღელში ნაბამთ, -
შობილთ
კლარჯეთით,
ქართლით,
კახეთით, -
ერთად შეკრიბა რომელნიც საბამ,
ვეალერსები, ვითარცა ყვავილთ,
სიცოცხლეც მარტო იმიტომ მინდა,
რომ ჩემს საფლავზე
ყაყაჩოსავით
ჰყვაოდეს სიტყვა, ქართული სიტყვა.

მუხრან მაჭავარიანის ესოდენ დიდი მოწიწება მშობლიური ენისადმი, მისი უზომო სიყვარული, როგორც უკვე ვთქვით, უმთავრესად იმით არის განპირობებული, რომ მას ენა მოაზრებული აქვს როგორც ქართული სულიერი ცხოვრების, მისი თავისთავადობის, განუმეორებლობის, სპეციფიკურობის, მეტიც, ერის გამამთლიანებელი და „გამაერთმნიშვნელიანებელი" ფენომენი.

ქართული მარტო ენაა?! -
ქართული ქართველთ რწმენაა!
ღმერთია!
ბედისწერაა!
ზღვა როა! -
იმოდენაა!

პოეტის ეს სიტყვები ლიტონი ვანცხადება როდია! შემოქმედის მშობლიური ენისადმი ერთგვარი კერპთაყვანისმცემლური გრძნობა ყოველ სტრიქონში იგრძნობა და გამოსჭვივის. სავსებით ბუნებრივია, როცა ასეთი რელიგიური ვანცდა ეუფლება პოეტს. მის პოეტურ ფერწერაში ბატონდება ამაღლებული სტილიც, რომელიც, როგორც წესი, აძშვენებს რი-

ტუალურ ხელოვნებას. მაგრამ მუხრან მაჭავარიანი აქაც არ დალატობს თავის თავს. მისთვის, როგორც ადამიანისთვის უცხოა ყოველგვარი ხელოვნური და არაბუნებრივი. ამიტომაც ამაღლებული სტილისთვის პრიორიტეტის მინიჭება თავისთავად ნიშნავდა თავის თავზე ძალდატანებას, სიყალბესთან წილნაყარი ხელოვნურობის წინწამოწევას, რაც საბოლოოდ თავს იჩენდა მის მხატვრულ ნააზრევშიც. პოეტს ისიც კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ მისი მხატვრული კონცეფციის როგორობა ბეურწილად არის დამოკიდებული ენის ქსოვილზე. სწორედ ამიტომ ის უყოყმანოდ ანიჭებს ენის ბუნებრიობას და სისადავეს უპირატესობას. იგი საოცარი ნიჭიერებით ახერხებს თავისი. ზეაწეული განცდა დაამიწოს, ღვთიურობას ზიარებული ხელდასხმულის გრძნობა უბრალო ადამიანური სამეტყველო ენით გადმოგვცეს:

არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, მე მგონი, ცოტა
არც იმას, -
წერდნენ რა ენაზე ვაჟა და შოთა!

კი მაგრამ...
ღმერთი აღარაა?!
ბნელა?! -
ქართული იქნებ ვინმეს მდარე ჰგონია ენა?!

მოხმობილი ციტატა სასაუბრო ინტონაციით, უბრალო მეტყველებისთვის დამახასიათებელი სინტაქსური კონსტრუქციით და, თუ გნებავთ, ჟარგონული გამოთქმებითაც, უაღრესად დიდ ემოციურ ეფექტს ახდენს მკითხველზე. მუხრან მაჭავარიანი ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ხვდება, რომ ქართული ენის სიძლიერე, მისი მასულდგმულებელი მთავარი ძარღვი დასაბამს იღებს სწორედ მამაპაპურ ხალხურ მეტყველებაში. ამიტომაც, მსგავსად თავისი წინამორბედი შემოქმედებისა – გოგლა ლეონიძისა და გიორგი შატბერაშვილისა, მთელი ყურადღება გადააქვს ხალხური ენის, ანუ ჭეშმარიტი ქართული მეტყველების ამოუწურავი და ულევი შრეების გათავისებაზე. უფრო მართებულად, ის თავის მშობლიური კუთხის – იმერეთის კილოკავს ანიჭებს უპირატესობას, რადგანაც ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული აქვს მთელი იმერეთი, მისი ბუნება და გარემო. მისი სპეციფიკურობა და ნეკეცი-ხასიათები თით-

ქოს ამ კილოკავის მეშვეობით არის შეკრული პოეტის სულში და საკუთარი ბუნებრივია, როცა შემოქმედს სურს გადმოსცეს ამ კუთხის რაიმე კოლორიტული სურათი თუ, საერთოდ, თავისი განცდა და დამოკიდებულება მშობლიური იმერეთისადმი, მაშინ სწორედ ამ კილოკავის სპეციფიკურობის აქცენტირებით აღწევს ისეთი ემოციური და, მეტიც, ისეთი სემანტიკური ველის შექმნას, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, მხოლოდ მუხრან მაჭავარიანის დიდ პოეტურ ნიჭს ხელეწიფება და მხოლოდ მისი პოეტური აზროვნების კუთვნილებაა. ამავე დროს, შემოქმედი იმასაც გრძნობს, რომ სამეტყველო ენის მოქნილობა მთლიანად ელინდება დიალოგით. ამიტომაც ის ხშირად დიალოგს მიმართავს, რაც დიდწილად აპირობებს ლექსის დინამიურობას. ამის საილუსტრაციოდ მრავალი ლექსის მოხმობა შეიძლება. გავიხსენოთ ზოგიერთი:

საჩხერეს მიაშურებენ
პარასკევს ჩვენებურები...
—
— იმე...
— კი, მარა...
— შე, კაცო...
— ქე, მაინც...
და...
— რა მცოდნია! -
ისმენენ ჩემი ყურები.
მოჭრიალებენ ურმები.

ამ დაუსრულებელი და დაუმთავრებელი ფრაზებით, რომელთაც ხალხმრავლობაში მოსიარულე პოეტმა აქა-იქ მოკრა ყური (ყოველ შემთხვევაში, ისინი ასეთ განცდას აღძრავენ მკითხველში), მუხრან მაჭავარიანი ახერხებს გადმოგვცეს მთელი ის დინამიკა, მოძრაობა, შფოთი და ალიაქოთი, რაც ჩვეულებრივ ახლავს ბაზრობას. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ამ დინამიურობით თავად იმერელი ადამიანის ფიცხელი და დაუდგრომელი ხასიათიც არის ნათლად გაცხადებული.

საერთოდ, ეინც მსოფლიო ლიტერატურის ისტორიას მეტნაკლებად იცნობს, მას კარგად მოეხსენება, რომ ოდითგანვე დიალოგი უცხო არ იყო პოეზიისთვის და ამ ხერხს მეტნაკლები წარმატებით იყენებდა ოიოქმის ყველა პოეტი. მაგ-

რამ არ შეეცდები თუ ვიტყვი, რომ არ მეგულება სხვა პოეტი (ეხადია, ხელი ცოდნის ჩარჩოებში), რომელიც ისეთი ვირტუოზულობით ფლობდეს სემოხსენებული რიტორიკის ელემენტს, როგორც მუხრან მაჭავარიანი. ცდუნებას ვერ ვუძლებ და მილიანად უნდა მოვიყვანო პოეტის ერთი ლექსი:

— რა საქეიფო ამინდია!..
რას იტყვი?..
— აპა!..
— დალევდი ახლა?
ხო დალევდი?..
დალევდი?..
— იმე!..
— შენ რაება ფიქრობ, -
ხვალ დილამდე გადიღებს, ალბათ?
— რა ვიცი,
ვნახოთ...

ვერ მოგცემ იმედს.
— კი, მარა, კაცო,
ნუთუ ხვალაც იქნება წვიმა?
— კი.
უეჭველად, -
იმნაირად წვიმს.
— ახლა,
ბუხართან,
კაი ღვინო,
წითელი ღვინო, -
ჰა!..
რავარია?
—. იფ, იფ, იფ, იფ, იფ!

საოცარია ის განწყობა, რომელიც მოხმობილი ლექსის კითხვისას გეუფლება: გადაუღებლად წვიმს, სევდიანი განწყობა, აგიზგიზებულ ბუხართან წითელი ღვინით დარდის გაქარვების ძლიერი სურვილი, ორი კეთილშობილი იმერლის გულღია საუბარი, სულიერი ჰარმონია და კიდევ მრავალი ასოციაცია თუ ფიქრი შემოგეჯარება და, რაც მთავარია, თავადვე გარდასახული ხარ იმ ინტიმურ გარემოში. ასეთი გაუგონარი

უბრალოებით რომ გამოიერწა პოეტმა. პირადად მე არ ვიცი, თუ შეიძლება სხვა რომელიმე ხერხით ამგვარი ესთეტიკური ეფექტის მიღწევა. აქვე იმის აღნიშვნაც არის საჭირო, რომ ეს ლექსი დაიწერა 1960 წელს და იმ დროისთვის თავისი სტრუქტურული აღნაგობითაც და ინტონაციითაც სავსებით ორიგინალურ სიახლედ გაჟღერდა და განსაკუთრებული სიმძაფრით აღიქვა ქართველმა მკითხველმა, თუმც მისი თავისებურებით აღძრულ ეფექტს დღესაც არ დაუკარგავს ზემოქმედების ძალა.

როგორც ხშირად ხაზს უსვამენ, პოეზიის ერთ-ერთი არსებითი სპეციფიკურობა ის არის, რომ იგი მცირე კონტექსტით დიდი და ღრმა აზრის მაუწყებელია, ჭეშმარიტი პოეტური ტექსტი გაცილებით ბევრის მთქმელია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით აღიქმება. ამიტომაც არც თუ იშვიათად ჩვენ პოეზიაში გვხიბლავს არა იმდენად ის, რაც თვალნათლივ გაცხადებულია, არამედ ის, რაც გაუცხადებელია და შეფარული. მუხრან მაჭავარიანს აქვს განსაკუთრებული უნარი რამდენიმე კითხვა-პასუხით დახატოს ადამიანის მთელი სულიერი სამყარო, მისი გარდაუვალი ტრაგიკული დასასრული და საერთოდ, ამა სოფლის ამაოების პრობლემა. ამავე დროს, ძალიან ხშირად ამ ტრაგიკული განცდის გამომხატველი არა იმდენად სიტყვაა, რამდენადაც შორისდებული. მოვიგონოთ მისი ერთი გახმაურებული ლექსი:

გარეთ ხმაურობს წვიმა...
ოთახს ანათებს ლამპა...
— პეტუშა გახსოვს?
— იმე!
— რა ბიჭი იყო!..
— აპა!

ეიცი, მრავალი გამიგულისდება, მაგრამ ვერ ვიქნები ბოლომდე მართალი, თუ არ ვიტყვი, რომ ქართულ პოეზიაში იშვიათად მეგულება მეორე ლექსი, რომელიც ასეთი ლაკონიურობით, დინამიზმით, სისადავითა და უბრალო სასაუბრო ინტონაციებით გადმოგვცემს ესოდენ დიდ სულიერ განცდას, ადამიანის ყოველდღიური ყოფითობის ათასგვარი შურით რომ არის გაუჩინარებული. მეტსაც ვიტყვი, ვერ ვიხსენებ სხვა პოეტს, რომელსაც შესწევს უნარი ცხოვრების ათასგვარ წერილ-

მან'ში, ყოველდღიურ ხეულებრივ ყოფითობა'ში აღმოაჩინოს ესთეტიკური ელემენტი და მისი აქცესტირებით ეს არაპოეტური ყოფითობა ესთეტიკურ საფეხურზე აღამაღლოს. გავიხსენოთ თუნდაც მუხრან მაჭავარიანის ერთი ლექსი, რომელ'შიც სიტყვასიტყვით გადმოცემულია დიალოგი. ნებისმიერ სასაუბმე'ში რომ იმართება ყოველდღიურად:

— არაყი?
— ლუდი!
— ერთი?
— ერთი!
— ინებეთ!..
— გმადლობთ! -
ვჯდები კუთხეში...
გარეთ წვიმს...
. . . . . .
გნატრობ.

თუკი მკითხველს პოეზიის აღქმის ოდნავი უნარი აქვს, არ შეიძლება არ გააკვირვოს ამ ლექსის სტრუქტურულმა მოწესრიგებულობამ, რომლის საშუალებითაც მიღწეულია ძირითადი ეფექტი. შეიძლება ტანსაცმელი შემოიგლიჯოს პოეტმა, შეიძლება მაჯნუნივით ველად გაიჭრას, მაგრამ დღეს ამგვარი ხერხით გრძნობის გამოხატვა ხელოვნურობას ვერ ასცდება. მუხრან მაჭავარიანი კი შეგნებულად არაპოეტური ელემენტების დეტალიზაციით და კონტრასტულ ფონზე სულ სამი სიტყვის წინ წამოწევით გრძნობის გამყღავნების საოცარ გულწრფელობას და ბუნებრიობას აღწევს. მეტის თქმაც შეიძლება, მოხმობილ ტექსტში სიტყვებზე არანაკლები აზრით იტვირთება მრავალწერტილით შევსებული პწკარი, რომლის ლექსის სტრუქტურიდან ამოღება დიდად დაანაკლულებდა ამ პოეტურ შედეგს. კვლავაც უნდა გავიმეორო, რომ ისეთი პოეტური ტექსტის შექმნა, რომელ'შიც მრავალწერტილსაც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, მთლიანად სემანტიკური ველის გასაგებად, მხოლოდ ღვთით მომადლებული ნიჭით გალაღებულ შემოქმედებს ხელეწიფებათ.

როგორც უკვე ითქვა, დიალოგს პოეტის შემოქმედებაში დიდი ადგილი უჭირავს და ის არის პოეტის სტილისტიკის ერთ-ერთი უმთავრესი ელემენტი, რომლის სრულყოფილ გა-

შექებას სპეციალური გამოკვლევა უნდა მიეძღვნას. მაგრამ ამჯერად ზემორე ნათქვამს დაეჯერდები და სიტყვას აღარ გავაგრძელებ. გავიმეორებ მხოლოდ, რომ ამ პოეტური თუ რიტორიკული „ფიგურის“ გამოყენებაში, ჩემი აზრით, მას ბადალი არ ჰყავს ქართულ პოეზიაში.

მუხრან მაჭავარიანის მხატვრული აზროვნების ერთ-ერთი არსებითი თავისებურება ისიც არის, რომ იგი, როგორც წესი, გაურბის რთულ მეტაფორულ აზროვნებას, რაც, თავისთავად ცხადია, განპირობებულია პოეტის ესთეტიკური კონცეფციით, რომელიც, როგორც უკვე ითქვა, მის ადამიანურ ხასიათსაც ესადაგება. ამას საგანგებოდ იმიტომ აღვნიშნავ, რომ საერთოდ პოეტური აზროვნებისთვის მეტაფორა თითქმის განუყოფელი ნაწილია. როგორც გვაუწყებენ, ის „ორგანულად არის შერწყმული სამყაროს პოეტურ აღქმასთან“ და მხოლოდ პოეტური დისკურსისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებებით უაღრესად დიდ როლს თამაშობს ესთეტიკური ველის შესაქმნელად. ამიტომაც მსოფლიოს თითქმის ყველა დროის ყველა დიდი პოეტის მხატვრული აზროვნების სისტემაში მეტაფორას წამყვანი ადგილი უჭირავს. საკმარისია გავიხსენოთ შუასაუკუნეების უდიდესი პოეტების დანტეს, ნიზამის, რუსთველის შემოქმედება, ანდა თანამედროვე პოეზიის ჭეშმარიტი ქურუმების ლირიკა – პასტერნაკის, გალაკტიონის ლექსები, და სავსებით ნათელი გახდება, თუ რაოდენ დიდია ამ პოეტური ფიგურის მოქმედების არეალი და ზემოქმედების ეფექტი. მეტის თქმაც შეიძლება: ბორის პასტერნაკის პოეზიაში იმდენად ფართოა მეტაფორის მხატვრული ფუნქცია, რომ მის შემოქმედებას ახასიათებენ როგორც პანმეტაფორიზმს. ცხადია, ყოველივე ამის თქმა იმიტომ დამჭირდა, რომ კონტრასტული ვითარება დამეხატა. მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში, შეიძლება ითქვას, მეტაფორა სანთლით საძებნია და თითქმის არ გვხვდება. ბუნებრივია, ამის გამო ვერ ვუსაყვედურებთ პოეტს და ვერც რაიმე წუნს დავდებთ მის მხატვრულ სიტყვას. მაგრამ იმის ხაზგასმა კი მიგვაჩნია საჭიროდ, რომ ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „დემეტაფორიზაცია“, როგორც უკვე აღვნიშნე, მისი მხატვრული აზროვნების სპეციფიკურობაა და სასურველია ამ „თავისებურების“ ახსნა. რამდენადაც ეს შესაძლებელია ამ წერილის ფარგლებში.

პოეტის სახისმეტყველების ამ თავისებურებას რამდენიმე მიზეზი შეიძლება დაეუძებნოთ. უპირველეს ყოვლისა გაგვიჩნდება აზრი, რომ მას არ ძალუძს მეტაფორის გამოძერწვა, სხვაგვარად, არ აქვს მეტაფორული აზროვნების ნიჭი. მაგრამ პოეტის შემოქმედებაში თუმც თითზე ჩამოსათვლელი, მაგრამ მაღალი ნიჭიერებით გაციალებული რამდენიმე მეტაფორის გახსენებაც საკმარისია, რომ ეს აზრი უმალ უკუეაგდოთ. აი, თუნდაც ზოგიერთი მათგანი: **„მდინარეები – ქალიშვილის თეთრი მკლავები. ქალიშვილები – უკარება მდინარეები“**, ანდა: **„ვებერთელა ციცინათელა ქრება და ინთება“**, ანდა: **„ ღრუბლის ხარებზე ელვა წითლად მიმოისახრა“**, ანდა: **„ვიგონებ თოვლის სიყმაწვილეს – შხაპუნა წვიმას“**, ანდა: **„თმას, ჩანს, თვით სულში, კაცის სულში უდგას ფესვები – ფერით გამოთქვამს ვინაიდან ის სულის ზამთარს“**, ანდა: **„ორთავეს გეხედავს მთვარე კეთილი – რძის დიდი წვეთი, თეთრი წერტილი“**... ანდა: **„მოსუფთავდება ეს ლურჯი გობი“**, ანდა: **„და ისევ ღამეს ხვრეპენ ფინჯნებით მეზღვაურები, მეძაველი და ნაბიჭვერები“**... თითქმის ამით ამოიწურება მუხრან მაჭავარიანის მეტაფორათა სალარო. მაგრამ მოხმობილი რამდენიმე მაგალითიც საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ მუხრან მაჭავარიანს არც გემოვნება ღალატობს და არც ნიჭი, რათა მეტაფორულ დონეზე ლაღად გრძნობდეს თავს. მეტიც შეიძლება ითქვას, გნებავთ ფიქრისა და განსჯისეული მეტაფორა: თოვლის სიყმაწვილე – შხაპუნა წვიმა და, გნებავთ, ვიზუალური გზით გამოძერწილი სახე – მთვარე – რძის დიდი წვეთი, თეთრი წერტილი – მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ მეტაფორულ აზროვნებას ავსებენ და, მეტიც, ის ახალ საფეხურზე აჰყავთ. იმავდროულად მეტყველებენ მათი გამოძერწვის ი'შვიათ ნიჭ'ხე. ოღონდ ეს კია, რომ მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში მეტაფორა ყოველთვის შედარების საზღვარზე გადის. მართალია, ამაში უჩვეულო არაფერია, რადგან კლასიკური განმარტებით მეტაფორა არის შემოკლებული შედარება, როცა ორი განსხვავებული მოელენის თუ საგნის თვისება შესადარებელი სიტყვის გარეშე ურთიერთთან არის შედარებული თუ შეპირისპირებული. ამასთანავე, თვისებით და არსით რაც უფრო განსხვავებული მოვლენების და საგნების შედარებასთან ან, უფრო მართებულად, შეპირისპირებასთან

ვეიქვს საქმე. რაც უფრო მკვეთრია კონტრასტი შესადარებელ საგანთა რიგისა, ერთი სიტყვით, რაც უფრო მეტად ხერხდება განსხვავებულთა შორის „საერთოს“ აღმოჩენა, მით უფრო დიდია ემოციური ზემოქმედების ეფექტი, ანუ, სხვაგვარად რომ ვოქვათ, „მეტაფორული სიურპრიზი“. ამიტომ არც თუ იშვიათად პოეზიაში მეტაფორული ხატი, რომელიც თავისთავად შემოქმედის ინდივიდუალური ხედვის და, ვიტყოდი, ზოგჯერ თავის თავზე ძალდატანებისა და „ტვინის ჭყლეტის“ შედეგია, როულ ამოსაცნობ რებუსად იქცევა ხოლმე. ეს განსაკუთრებით ახასიათებს შუასაუკუნეების პოეტურ ა'ზროვნებას, როცა მეტაფორა სიმბოლოს უფრო ესათესავება, ვიდრე შედარებას.

როგორც უკვე აღვნიშნე, მუხრან მაჭავარიანის ესთეტიკურ სისტემაში „სადას“ პრიმატი ფიგურირებს. ამიტომაც ის გაურბის ისეთ „ხატისმეტყველებას“, რომელშიც წარმოსახული მოვლენის ეფექტს აპირობებს გამოსახვის ელემენტთა მიმართების უჩვეულობა. სწორედ ამ მიზეზით მის მხატვრულ ქსოვილში შედარების მოქმედების არეალი გაცილებით ფართოა, ვიდრე მეტაფორისა. ამასთანავე აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: საერთოდ, პოეტური ენის მიდრეკილება მეტაფორისაკენ, მასთან სისხლხორცეული კავშირი იმით არის ძირითადად გაპირობებული, რომ ის ემიჯნება ჩვეულებრივ, სამეტყველო ენას. ხოლო, როგორც ცნობილია, ბუნებრივი სამეტყველო ენისათვის უცხოა მეტაფორა, ყოველ შემთხვევაში, თუ მეტაფორული ფრაზა მკვიდრდება მასში, ის კარგავს თავის სპეციფიკურობას და ჩვეულებრივ, ლექსიკურ გაგებას იძენს. ამიტომაც, როგორც წესი, მეტაფორის წყალობით „პოეტი სამყაროს ჩვეულებრივ ხედვას უკუაგდებს და ის არ აზროვნებს ფართო კლასების ტერმინებით“. ერთი სიტყვით, სხვა ხერხებთან ერთად მეტაფორა უმთავრესი საშუალებაა, რომლითაც შემოქმედი ემიჯნება ჩვეულებრივ რეალურ ყოფითობას და ქმნის თავის პოეტურ არაორდინალურ სამყაროს. უფრო მეტიც, მისი მეშვეობით იქმნება აზროვნების და გამოხატვის „ახალი არხი“, რასაც სამყაროს ჩვეულებრივი აღქმა აჰყავს პოეტურ, მხატვრულ დისტანციამდე.

მუხრან მაჭავარიანის, როგორც მხატვრისა და პოეტის უმთავრესი სპეციფიკურობა სწორედ ის არის, რომ მას შესწევს სხვათაგან გამორჩეული უნარი და ნიჭი, ჩვეულებრივში არაჩ-

ვეულებრივის დანახვისა და. რაც მთავარია, მისი ისეთი უბრალო, სადა ხა'ხებით წარმოსენისა, როცა ხელოვნებასა და რეალობას შორის მანძილი თითქმის ქრება, მაგრამ ამით ემოციური ზემოქმედების ეფექტი კი არ კლებულობს, არამედ მატულობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტის გან'ემეორებელი ნიჭის წყალობით ჩვენი რეალური ყოველდღიური ცხოვრების დეტალები, ჩვეულებრიობის ფარდა რომ აქვთ ჩამოფარებული მოკვდავთა თვალის ასახვევად, სავსებით ახალი, ორიგინალური და ჯერ არ დანახ'ული, არგანცდილი კუთხით წარმოჩინდებიან და თავისი გამჭვირვალებით გვანცვიფრებენ. ამ განცვიფრებას ისიც აძლიერებს, რომ გიკვირთ ათასგვარ წვრილმანს და დეტალს, რომლებიც ჩვენი ესთეტიკური აღქმის არეალში არასდროს მოქცეულან, მომნუსხველობის რა ძალა ჰქონია თ'ურმე. ჩემი ღრმა რწმენით, ეს გახლავთ მუხრან მაჭავარიანის პოეტ'ური ნიჭისა და აზროვნების არსებითი ნიშანდობლიობა.

მართლაც, მ'უხრან მაჭავარიანი დაჯილდოებულია ხედვისა და სმენის არაჩვეულებრივი უნარით. მას შესწევს ძალა მოვლენების არა ზედაპირული დანახვისა, არამედ სიღრმისეულ არსში წვდომისა. სწორედ ამ უჩვეულო ხედვის წყალობითაა, რომ მის პოეზიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იჭერს შედარება, რომელიც გამოირჩევა, ერთი შეხედვით, თავის უბრალოებით, მაგრამ ამავე დროს, შესადარებელ საგანთა შერჩევის ორიგინალობით და თანაც ბუნებრიობით. ეფექტურია რამდენიმე სიტყვით თუ ერთი ფრაზით გაცხადებ'ული ტროპის ეს სახეობა. მოვიგონოთ თუნდაც ზოგიერთი მათგანი: **„ვიქათქათებდი, ვით ალავერდი“**, ანდა: **„ცას ეხორცება ფიქრი ჩემი – ცასავით ვრცელი“**, ანდა: **„თევზივით უხმოდ ამოდის სული“**, ანდა: **„მთები ორთქლოვანი ახალშიბილივით“** და სხვ. მაგრამ გაცილებით ლაღად გრძნობს თავს პოეტი, როცა „გაშლილ“ შედარებას გეთავაზობს. ამ შემთხვევაში მისი პოეტური ფანტაზია თითქოს დ'უსაზღვრელია, ემოციურია, ზეწოლის ეფექტიც გაცილებით დიდია. ამავე დროს, პოეტური კონტექსტი აზრობრივი დატვირთვის თვალსაზრისით საოცრად ტევადი ხდება. საილ'უსტრაციოდ რამდენიმე მაგალითის მოხმობას უნდა

დაეჯერდე, ოღონდ ამჯერად ვიცავ ლექსის ფორმის სტრუქ-ტურულ აღნაგობას, რადგანაც მას დიდი ესთეტიკურ-ემო-ციური ფუნქცია ეკისრება და ჩვენთვის საინტერესო ფიგუ-რის აღქმაშიც გვეხმარება:

დროდადრო
ცრემლი
ისე
წვეთავს
საბას წვერიდან, -
თითქოს
თოვლივით თეთრი წვერი -
თოვლივით დნება.

მოხმობილი შედარება ითვალისწინებს როგორც ვიზუალურ მომენტს, ასევე რეციპიენტის გარკვეულ ინტელექტუალურ დო-ნეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მკითხველმა უნდა იცოდეს საბას გარეგნული პორტრეტიც, რომელსაც ვეება თეთრი წვე-რი ამშვენებდა, და მისი წამებული ცხოვრებისა და მოღვაწე-ობის უმთავრესი მიზანი: როგორმე ეშველა ტანჯული საქარ-თველოსთვის. ამ შემთხვევაში, თუ შეიძლება ითქვას, შედა-რება ხიდია, რომელიც აერთებს ჩვენი ერის წარსულსა და დღევანდელობას და ამ გზით არის გასიგრძეგანებული მთე-ლი საქართველოს ტრაგიკული ისტორია. ამავე დროს, შედა-რების ესთეტიკური ველი გაძლიერებულია ლექსის პწკარე-ბის „დამსხვრეული გრაფიკით", რომელიც ვიზუალურად აქა-იქ დაცემულ ცრემლის წვეთებს გვაგონებს, და მდიდარი ბგერ-წერით (თითქოს თოვლივით თეთრი... თოვლივით დნება). ერ-თი სიტყვით, პოეტის ჩანაფიქრი მაქსიმალური სრულყოფილე-ბით არის გაცხადებული.

სხვაგან პოეტის შედარება უფრო ფილოსოფიური ფიქრის აღმძვრელია. მედიტაციისაკენ გვიბიძგებს და წინ წამოწევს მარადიულ პრობლემას, წუთისოფლის ამაოებას რომ უხმო-ბენ. მუხრან მაჭავარიანი შესადარებელთა რიგის მოხდენილი და არაორდინალური შერჩევით სიმძაფრით აყენებს ადამია-ნის წინაშე ცხოვრების რაობისა და საერთოდ ყოფნა-არყოფ-ნის პრობლემას. შემოქმედის მკვეთრი ხაზებით გამოძერწილი სურათი, შედარების ძალმოსილებას რომ ეფუძნება, დაუსრუ-ლებელ ასოციაციებსა და ფიქრს აღვიძრავს:

ყოველ სოფელთან სასაფლაოა
ჩასაფრებული დიდოელივით
და
მოიტაცებს წუთისოფლიდან,
კაცმა არ იცის,
ვის
როდის
იგი.

მოხმობილი ციტატის ბოლოს ცალკეულ სიტყვათა დამოუკიდებელ კრკარებად დანაწილება კი ასევე გვეხმარება ქვეტექსტის ამოხსნაში, რაც მოკლედ ამგვარად უნდა გავიგოთ: ყოველ ჩვენთაგანს მოაკითხავს სიკვდილის ანგელოზი ცალ-ცალკე და სათითაოდ.

არანაკლებ შთამბეჭდავია დაახლოებით იმავე შტრიხებში დახატული სურათი, რომელიც ასევე სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ და გადაუჭრელ პრობლემაზე აფიქრებს მკითხველს:

მე მინდა სიკვდილს სიმღერა წავაფარო, -
ამაოდ ეშვრები...
საფლავებს თვალებივით ახელს სასაფლაო, -
ხორცს
იხვეწებიან ძვლები.

მოხმობილ ციტატაში სიკვდილის გარდაუვალობისა და გაზრების ტრაგიზმი მთლიანად გადმოცემულია საოცრად ორიგინალური და, ვიტყოდი, შემაძრწუნებელი ფერებით გამოძერწილი შედარებით: **„საფლავებს თვალებივით ახელს სასაფლაო, ხორცს იხვეწებიან ძვლები“**. პოეტის შედარების ძალისხმევით შექმნილი ეფექტი იმდენად დიდია, რომ ძნელდება მსგავსი მაგალითების დაძებნა, საერთოდ, ქართულ პოეზიაში.

აქვე, ვფიქრობ, საჭიროა ერთი გარემოების აღნიშვნაც. მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებაში შედარებას ხშირად ასაზრდოებს პოეტის მდიდარი ფანტაზია და საოცარი უნარი „წარმოდგენისა“, რომლის წყალობითაც იქმნება პირობითი გარემო, მხატვრულ რეალობას ბუნებრივად რომ ესისხლხორცება. აბა, გავიხსენოთ:

წვიმს და...
ფოთლებზე -

სიბნელეში -
ცვენა წვეთების -
კაცი
რომ
რამეს
ეპარება -
ჰგავს მის ფეხის ხმას.

ამჯერადაც ლექსის გრაფიკა გვეხმარება ფიქრით წარმოსახული შედარების – ფრთხილად გადადგმული ნაბიჯების – ვიზუალურ გაცხადებაში. თუმცა ამგვარი გაშლილი შედარების აღქმის ეფექტი ბევრწილად დამოკიდებულია თავად მკითხველის წარმოსახვის ნიჭზეც. საერთოდ, როგორც ცნობილია, ნებისმიერი მხატვრული ხატის სიცოცხლე, პოეტურ ტექსტში რომ არის გაჩირაღდნებული, მთლიანად თუ არა, დიდად არის ნასაზრდოები აღქმულის ცოდნითა და ესთეტიკური განცდის უნარით. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ხატის სულის შთამბერავი თავად შემოქმედია, რომელმაც ნაწილობრივ მაინც წინასწარ უნდა განსაზღვროს კოდირებული სახის დეკოდირების შედეგი. ამასთანავე დიდი მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ ხატის შექმნისას რა არის აქცენტირებული – ხედვისა თუ წარმოდგენა-წარმოსახვის ელემენტი, თუმცა მათი მკაცრი გამიჯვნა არ ხერხდება და, როგორც წესი, ისინი ურთიერთს ავსებენ. მარტივად რომ ვთქვათ, ერთ შემთხვევაში ფიქრით აღძრული წარმოსახვა წამოიწევს წინ, მეორე შემთხვევაში – ხედვით დანახული პირობითი რეალობა. მოკლედ, როცა კითხულობ „ფაცხადახურულს ყავრით, – პაწაწკინტელა ჭინკა, – ცისკენ ეწევა კვამლით, ვით თოკით ვედროს ჭიდან“, წარმოსახვის „თვალი“ უნდა გაახილო კაცმა და ფიქრი შემოიჯარო, რომ სრულად აღიქვა, რას ძერწავს პოეტი. ხოლო სხვაგან უფრო მზერის სინატიფე და აღქმის სიმძლავრეა საჭირო, რომ გაითავისო პოეტის მიერ დახატული იდეალური სურათი:

ხეები ზეცას აჩნია შავად.
მდუმარებაა თეთრი და შავი.
და
თითქოს კელნერს დაექცა ყავა -
თოვლზე

დაფრინდა
ცაცხვიდან
ყვავი.

მუხრან მაჭავარიანის მხატვრულ პალიტრაში ნათლად გამოკვეთილი „გაშლილი“ შედარება მეტწილად წარმოდგება როგორც დასრულებული სურათი, რომელიც რამდენიმე შტრიხით შთამბეჭდავად გვიხატავს გათენებისა თუ დაღამების ჟამს, იმერული სოფლისა თუ ქალაქის კოლორიტულ უბნებს, ქელეხისა თუ ლხინის ტრაგი-კომიკურ სიტუაციებს, სადგურის ბაქანზე დატრიალებულ სცენებს თუ მატარებლის სარკმლიდან თვალმოკრულ პეიზაჟებს და სხვ. ერთი სიტყვით, მუხრან მაჭავარიანი სურათის გადმოცემის დიდოსტატია. მისი ფუნჯი უნიჭიერესი მხატვრის ძალისხმევითა და შემართებით ხატავს საოცარ, განუმეორებელ პეიზაჟებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი იმერული პეიზაჟები. საერთოდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტს ვერ დავწამებთ, თითქოს მას არ გააჩნია წარმოსახვისა და მეტაფორული აზროვნების უნარი. გავიხსენოთ თუნდაც ლექსი, რომელიც შთამბეჭდავი ფანტაზიით, წარმოსახვის სიღრმითა და გამოსახვის დასრულებული და შესაბამისი ფორმით, რაც ზუსტ გრაფიკულ გაფორმებაშიც ვლინდება, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე:

დაეშვა მწუხრი.
დასავლეთი ანთია წითლად.
მიწაზე
    რტო-რტო
        ჩამოცოცდა
            დუმილი
                ციდან.

ცაა კრიალა.
ისე ჩანან ქედნი მუქლურჯნი, -
პოსეიდონმა
თითქოს
ზვირთნი დაამუხრუჭა.

მაგრამ მაინც უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი პეიზაჟის ხატვისას უშუალოდ დანახულისა და განცდილის წინ წამოწევას ლამობს. ასეთ ვითარებაში ყურადღება ეთმობა უფრო ჩვეუ-

ლებრივ, ცხოვრებისეულ, ყოფით დეტალებს, ვიდრე შემოქმედის მდიდარი ფანტაზიით წარმოსახულ მოვლენებს. ქარის ზუზუნი, შემძვრელი, ქათქათა ღამე, ცეცხლთან მოკრუტული კატა, მბეჟუტავი ჭრაქი, ბუხართან აყუდებული ნაჯახი, გამჭვარტლული ლორი, გატეხილი კრამიტები, წვიმის თქარათქური, შარაზე ქალი სველი კაბით, ქლიავის ძირას აბუზული სველი ქათმები, სველი ბალახი, ძროხის წველა, მოჭრიალე ურმები და სხვა მრავალი, ქალაქისა თუ სოფლის დუხჭირი ცხოვრების განუყოფელი და თანამდევი წვრილმანი, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკუთარი ბუნებით დეესთეტიკურნიც არიან, მაგრამ შემოქმედის ნატიფი გემოვნებით შესრულებულ ტილოზე განსაკუთრებულ ასრს იძენენ და, მშვენიერების სულით შთაბერილთ, თითქოსდა მეორე, ახალი სიცოცხლე ენიჭებათ. ზემოთ რამდენიმეგზის ვთქვი და ახლაც უნდა გავიმეორო მუხრან მაჭავარიანის პოეტური ნიჭის ის უნიკალური თვისება, რომ მას შესწევს ძალა ცხოვრების წვრილმანების ამოტივტიეებისა და მათი მხატვრულ დონეზე ატყორცნისა. გამიჭირდება ქართულ პოეზიაში მეორე შემოქმედის დასახელება, ვისაც მის დარად შეეძლოს ყოფითი დეტალების გაესთეტიურება: **„ჭიათურაში – როგორც შაენი ზვირთნი ყვირილის – ქალის ფეხებთან ირევიან ინდაურები“**, ანდა მატარებლის სარკმლიდან დანახული დეტალი: **„ალაგ, ღოლნაშოზე ყვავები სხედან, ალაგ ბუხრებიდან ამოდის ბოლი“**, ანდა შუადღის პაპანაქების სიცხის აღწერა: **„არი შუადღე, ორღობეში არ ისმის ჩქამი, გაიფრთხიალებს ხოლმე ჩირგვში ჩიტი ხანდახან და მყუდროება შუადღისა ირღვევა წამით“**. მსგავსი ადგილების მოხმობა დაუსრულებლივ შეძლია. მაგრამ თქმულიც საკმარისია იმის სარწმუნოდ, რომ აღვნიშნო: მუხრან მაჭავარიანის მხატვრულ სისტემაში დეტალის და ნაწილის გამოძერწვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დეტალი აქ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისთავად ესთეტიკურ ღირებულებას იძენს. მეტიც, დეტალის თუ ნაწილის აქცენტირებით ხდება მთელის, დიდი ტილოს თუ მოვლენის აზრისა თუ ესთეტიკური ველის სრულყოფილი აღქმა და გაცნობიერება. იქმნება ისეთი კლასიკური ურთიერთმიმართება, როცა ნაწილის უგულებელყოფით შეიძლება სრულიად გაუჩინარდეს მთელი, სხვაგვარად, დეტალი გვეველინება არა მთელის დამატე-

ად. არამედ მისი სრულყოფილი აღქმის საფუძვლად და საშუალებად.

საერთოდ, მუხრან მაჭავარიანის პოეტური აზროვნების ერთი ყურადსაღები ნიშანდობლიობაც ის არის, რომ, როგორც წესი, მცირე პოეტური კონტექსტით, უფრო მართებულად, ერთი ეპიზოდის დახატვით და რამდენიმე ცხოვრებისეული დეტალის წინ წამოწევით გადმოგვცემს, ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ადამიანის ცხოვრების მთელ გზაზე, მის ბედსა თუ უბედობაზე:

დამგვანებიან
შენი დები მოწყენილ მერცხლებს.
ზეგ პროცესია
პლეხანოვზე გაივლის ნელა.
„თბილისის“
(ვაი, შენი ბრალი!)
მეოთხე გვერდზე
(დღეს -
პირველად და უკანასკნელად) -
დაბეჭდილია
სახელი შენი, -
ბიჭო.

მოხსმობილ ციტატაში პოეტი ახერხებს რამდენიმე კოდით მკითხველს აუწყოს ხელმოცარული ადამიანის სიკვდილი. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ სიკვდილით ეროგვარ რეტროსპექტულ პლანშია გაცხადებული პიროვნების ტრაგიკული ცხოვრების გზა და მისი დასასრულიც. სხვაგან პოეტი უფრო განზოგადებულ სიბრტყეზე მოიაზრებს სიკვდილის გარდუვალობას და აუცილებლობას. ფსიქოლოგიურად დამაჯერებელი სიტუაციის დახატვით, როცა მიცვალებულს მიჰყვება პროცესია, პოეტი აცნობიერებს დაბადებულის გარდუვალად დაღუპვის აუცილებლობას და სულ რამდენიმე შტრიხით და შუქ-ჩრდილების გამკვეთრებით აღწევს ყოფნა-არყოფნის ტრაგიზმის დაყვანას მკითხველამდე:

მიჰყვება კუბოს მწუხარე სახით -
საფლავის რიგში ჩამდგარი ხალხი;
და თუმცა რიგი მიიწევს ნელა, -

საფლავი
ყველას შეხვდება.
სჯერათ!

უნდა გავესწრო ასრთა მსველელობას და აქვე დავსძინო, რომ საერთოდ მეხრან მაჭავარიანი თავისი ფილოსოფიური თვალთახედვის გადმოცემისას უპირატესობას ანიჭებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მცირე ე. წ. მინიმალისტურ ფორმებს (ოთხ, ხუთ, ექვს პწკარიან და მისთ. ლექსებს). მართალია, ამ ლექსებს არ გაანიათ მყარი სტრუქტურული ფორმა, როგორც ეს ახასიათებდა ძველი და შუასაუკუნეების კლასიკურ ნიმუშებს (მაგ.: ვირელეს, გნომას, დაინის, დისტიხს, რონდოს, ტრიოლეტს, ტანკას, ხოკურს, რუბაის, ყითას და მისთ.), მაგრამ, მიუხედავად მათთვის ჩვეული ასტროფულობისა, აზრის სიღრმით და პრობლემაია მასშტაბურობით, გადმოცემის მანერის ლაკონიურობითა და სისხარტით, ფერწერული სისადავით და სიცხადით ერთობ გვაგონებენ ზემოხსენებულ კლასიკურ ფორმებს. ყოველივე ამის თქმა იმისთვის დამჭირდა, რომ კიდევ ერთხელ ხაზი გამესვა ერთი მეტად მნიშვნელოვანი სპეციფიურობისთვის: მეხრან მაჭავარიანის კონტექსტი სადა, ნათელი ფერებით, ამქვეყნიური რეალობით არის ნიშანდებული, მაგრამ იგი სემანტიკურად საოცრად ტევადია და ემოციური ზემოქმედების ძალით დატვირთული.

მეხრან მაჭავარიანის პოეტური სტილისტიკის, მისი ლექსის არსებითი ნიშანდობლიობა მაინც, ჩემი აზრით, არის დაუცხრომელი დინამიურობა და რიტმულ-ინტონაციური მრავალგვარობა, რომელიც უშუალოდ მისი პოეტური სულის დაუშრეტელი ენერგიიდან იღებს სათავეს. ეს დინამიზმი, ეს მოძრაობა ლექსის რთული სტრუქტურის ყველა ელემენტისა არ გახლავთ ხელოვნური, რაიმე „გარე ძალებითა" და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძალდატანებით გამოწვეული, არამედ ეს გახლავთ თანდაყოლილი ბუნება, ღვთაებრივი შთაგონებითა და ექსტაზური ხილვით გარე გაცხადებული და ინდივიდუალური „მე"-სგან ამოხეთქილი. ამიტომაც, შეიძლება ითქვას, ამგვარ მოძრაობას სულისას სხვა პოეტებთან იშვიათად, ანდა საკუთებით ვერ შეეხვდებით.

საერთოდ, პოეტური სტრუქტურის ხერხემალს ქმნის კამე-

ორება, რომელიც ვლინდება ლექსის სხვადასხვა დონეზე: დაწყებული ეფონიურ-რითმულით და დამთავრებული სტროფულით. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანის ლექსის ესთეტიკურ თუ სემანტიკურ ველს ძირითადად კვებავს სწორედ გამეორების პრინციპი, რომელიც ბუნებრივად ეფუძნება რიგორც პოეზიისათვის ზოგადად საერთო დამახასიათებელ მექანიზმს, ასევე შემოქმედის ინდივიდუალური ხედვისა და გამოხატვის თავისებურ მანერას.

მუხრან მაჭავარიანის ლექსი გამოირჩევა, როგორც უკვე ვთქვი, მძაფრი დინამიურობით და ამავე დროს პოლიფონიურობით, რასაც ძირითადად აპირობებს რიტმულ-ინტონაციური მრავალფეროვნება. მართლაც განსაცვიფრებელია „მუხრანისეული" ლექსის რიტმული კონსტრუქციების შეუზღუდველი ნაირსახეობა, რომელიც, ჩემი აზრით, წარმოიშვება დესტროფიულობის წინ წამოწევით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოეტი ინტონაციის გასამდიდრებლად და პოლიფონიის მისაღწევად შეგნებულად „ამსხვრევს" ლექსის პწკარებს და, რაც მთავარია, ეს მსხვრევა რაიმე გარკვეულ „კლასიკურ ფორმულას" არ ექვემდებარება. სწორედ ამ მიზეზით არის განპირობებული ისიც, რომ, ჯერ ერთი, ძნელია მის ლექსებს რაიმე მყარი სტრუქტურული ფორმა განუსაზღვრო, რაც, როგორც ცნობილია, რითმული სქემით არის გაცხადებული. მუხრანისეული ლექსის რიტმული მიმართება, როგორც უკვე ითქვა, თითქმის დაუსაზღვრელია. ასე, მაგალითად: aabcaa, abcab, abacd, abbb, aabbba, abcbab, abcbddd, aabb, abcdtt, abbaabbcc, abacadd, abba, aaba და სხვ.

რითმულ სქემათა ეს „ნებისმიერობა" უპირველესად მეტყველებს მისი პოეტური ენერგიის ემანაციის თავისთავადობასა და ბუნებრიობაზე, პოეტური სულის ამოფრქვევის ერთგვარ თვითდინებაზე, რომელიც რაიმე ათვისებული ცოდნის ჩარჩოებით არ არის შემოფარგლული და, ამასთანავე, ევფონიის თვალსაზრისით ამდიდრებს და პოლიფონიურ ყღერადობას ანიჭებს მის ლექსებს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ რიტმულ დონეზე მოულოდნელი შეზღუდვების და მიჯნების მოხსნით თუ შემოღებით ახალი ენერგიითა და პოლიფონიურობით მუხტავს ლექსის სინტაგმატიკურ ღერძზე განლაგებულ მარკირებულ ელემენტებს. პოეტის ლექსის პროსოდიული დონე უაღრესად რთულია და მოითხოვს სპეციალურ შესწავლას. ამიტომაც ამ პრობლემაზე დაწერილებით ვერ შევნერდები. მხოლოდ იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ მდი-

დარი და განსხვავებულია მისი რიტმული ნახაზი, ზოგიერთი ლექსის სქემის მოხმობას დავჯერდები: 1 2÷2 +1+1÷3 1 +1÷2 +2+3 1+4 1÷4 5+5 2÷2 2+3 2+3 1+4 5 2 3 1÷3 +1÷1+5 1 2+2 2+3 5+2+3 2 3÷5 2+3 2+4 2 2+2 2+3 5+1÷4 5 5 2÷2÷1 2+3.

თუმცა მოხმობილი ლექსი დაწერილია 10-მარცვლიანი საზომით, რომელიც იყოფა ცეზურით ორ ტოლ სეგმენტად 5+5, მაინც პოეტის მიერ 5 პწკართა თავისებური განლაგებით და ამის შედეგად გაჩენილი პაუზებით, გრაფიკული გაფორმების თავისებურებით, ის განსხვავებულ ინტონაციურ მოდულაციას იძენს. ახლა მოვიხმოთ იმავე საზომით დაწერილი მეორე ლექსის რიტმული სქემა: 2+1+2+2+2 3÷2 3 2 3÷2 1+2÷2 +3÷2 3+2+2+1+2 3+2+3+1+1 2+3+3+2 3+2 3+2 1+1+1+1+1+3+2 3+2 5+2 5+3+2.

მიუხედავად იმისა, რომ ორივე ლექსი ერთი საზომით არის დაწერილი, მაინც რიტმულ სქემათა სხვაობა ლექსებს სავსებით განსხვავებულ ინტონაციას და მელოდიურობას ანიჭებს. თავს ნებას ვაძლევ სიცხადისთვის მოვიხმო ორივე ლექსის დასაწყისი:

I. შენ -
სისხლო ჩემო — სად არ დაღვრილო.
შენ -
სად არ გხვრეპდა შავი ყორანი...
ვინ გაგაკვირვოს,
რამ გაგაკვირვოს, -
ნადიდგორალი,
ნაშამქორალი.

II. საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე
მამულზე ფიქრი,
ხანდახან
გულში
ღიმილით
ვიტყვი: —

რა ჩემი ჭკუის საქმეა ნეტა,
მამულო ჩემო, გილხინს თუ გიჭირს! -
რომელი მეფე ერეკლე მე ვარ!
ანდა რომელი მსაჯული მისი!

საგსებით აშკარაა, რომ მოხმობილი პოეტური კონტექსტები, მიუხედავად ერთი ვერსიფიკაციული ხასიათისა, საგსებით განსხვავებულ მელოდიურ-ინტონაციურ სტრუქტურას მოიცავენ, რაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ძირითადად იმით არის გაპირობებული, რომ პოეტი განსრახ, გარკვეული მიზნით, თავისებურად ამსხვრევს ლექსის პწკარედულ განლაგებას და ქმნის თავისებურ და ორიგინალურ გრაფიკულ სტრუქტურას.

როგორც ზემოთ ითქვა, მუხრან მაჭავარიანის ლექსის სტრუქტურის ყველა დონეზე გამეორებას, როგორც მხატვრულ-სემანტიკური ველის გამამდიდრებელ უმნიშვნელოვანეს ხერხს, დიდი ადგილი ეთმობა. ვხვდებით ყველა ტიპის გამეორებას და თითქმის ყველა ლექსში. ეს პრობლემა სპეციალურ კვლევას საჭიროებს. მე მხოლოდ გაკვრით შევეხები ზოგიერთ მომენტს.

მუხრან მაჭავარიანის ლექსისთვის უცხო არ არის მარკირებულ ფონემათა გამეორება პწკართა საზღვრებში როგორც ჰორიზონტალურად, ისე ვერტიკალურად. ამ გამეორებით ის ახერხებს თითქმის ყოველ მარკირებულ ბგერაში თავისებური კოდი გააცხადოს. აი, თუნდაც ერთი მაგალითი. პოეტს გზად შემოეყარა რვა ქალიშვილი, ატეხილები, ნაკადულის გიჟმაჟი სიცილით. მათი ეს დაუცხრომელი ენება პოეტსაც გადაედო და ააფორიაქა. და, აი, ამ ინტიმურობის, უშუალობის, აფორიაქებული განწყობის, ჟინის მომგვრელი თავაშვებულობის გადმოცემას პოეტი რამდენიმე მკვეთრი თუ ხშული ბგერების გამეორებით ახერხებს:

გარიჟრაჟია ეს წკრიალა ტკარცალი მათი...
მოტრიშინებენ შარაგზაზე ქალიშვილები...

მუხრან მაჭავარიანის პოეტურ კონტექსტში ხშირად მეორდება შორისდებულები, რისი წყალობითაც დიდად იზრდება ტექსტის ემოციური ეფექტი. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საგსებით ახალი აზრით იტვირთება ლექსის ექსტრატექსტული გაგება. ასე, მაგალითად:

ტა,
ტა,
ტა,
ტა!
რანაირად ბრდღვინავს არაგვი!

ხო,
ხო,
ხო,
ხო!
ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!

მოხსმობილ ციტატაში მხოლოდ შორისდებულთა გამეორებით გამოხატულია, უპირველეს ყოვლისა, პოეტის აღფრთოვანება თავისი ქვეყნის შეუდარებელი ბუნებით, მაგრამ ექსტრაქტულ დონეზე გაცილებით მეტია გაცხადებული, ვიდრე ტექსტში ასახული შემოქმედის გულწრფელი აღტაცება: პოეტის მთავარი სათქმელი ლექსის „არქისქემაში" ელინდება და უბრალოდ ასე ამოიკითხება: პოეტის სამშობლო ეს მხოლოდ განუმეორებელი და დიადი გეოგრაფიული არეალი კი არ არის, სულიერი ამაღლებისა და მდიდარი ცივილიზაციის საუფლოა. სწორედ ეს განცდა იწვევს პოეტის ამაღლებულ განწყობას და იგი ერთგვარი სიამაყით აცხადებს, რომ მას „სხვისი მისაბაძი" არაფერი სჭირს, რადგან ამისთანა ქვეყნისა და ამგვარი მდიდარი ენის პატრონს სხვა უნდა ბაძავდეს. ეს აზრი მომდევნო სტროფებში ცხადად იკითხება და ლექსის მთავარი იდეაც იკვეთება კვლავაც სინტაგმატურ წყვილთა გამეორებით და შეპირისპირების კონტრასტული ფონის შექმნით: **„მე — პატრონმა, მე — პატრონმა, ამისთანა ზღვის, მე — პატრონმა, მე — პატრონმა, ამისთანა ცის, — თუ ღმერთი გწამს, თუ კაცი ხარ — სხვას მიებაძო?! ვის?!'** ამჯერად ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ საანალიზო ლექსის პოეტური სემანტიკაც და ესთეტიკური ეფექტიც ძირითადად გაპირობებულია შორისდებულთა თუ სინტაგმურ წყვილთა, თუ, ბოლოს, პწკართა გამეორებით.

მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში აგრეთვე მოქმედების ფართო არეალი ეთმობა ცალკეულ სიტყვათა ვერტიკალურ თუ ჰორიზონტალურ გამეორებას ლექსის სტრუქტურის მცირე (მაგ., პწკარისა) თუ დიდ (მაგ., სტროფის, მთლიანი ლექსის) მონაკვეთზე ნებისმიერ პოზიციაში (მაგ., თავკიდური, შუა, ბოლოკიდური და სხვ.). ამის საილუსტრაციოდ შეიძლება უხვად მოვიყვანო მაგალითები, მაგრამ ზოგიერთის მოხმობას დავჯერდები:

ა) სიტყვათა გამეორება თავკიდურა პოზიციაში:

ტყუილუბრალოდ გაზაფხული კოხტაობს ახლა.
ტყუილუბრალოდ ვენახებში ტირიან ვაზნი.

ბ) თავკიდურა პოზიცია, ცალკე პუნქტად გამოყოფილი:

ამერ-იმერი -
სიმხდალეში უსაზღვრო ძუნწი.
ამერ-იმერი -
ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ.

გ) თავკიდურის მომდევნო პოზიციაში:

ტყე როა მწვანე,
ცა როა ლურჯი,
ზღვა როა წყნარი
მზე როა გულში! -

დ) ბოლოკიდურა პოზიციაში:

თენდება ნელა
ღამდება ნელა
. . . . . .
და, ვისღა ვკითხო
რაც უნდა ვკითხო...

ე) თავ- და ბოლოკიდურა პოზიციებში:

ამ მთათა გამო
ამ ტყეთა გამო...

ვ) ერთი და იმავე სიტყვის სხვადასხვა პოზიციაში გამეორება:

როდემდე უნდა დავიბანო პირი ყოველდღე?!
ყოველ საღამოს დავწვე ხოლმე უნდა როდემდე?!
მეჭიროს უნდა ყველაფერზე როდემდე თვალი?!
ანდა როდემდე უნდა მქონდეს იმედი ხვალის?!
როდემდე?!

ერთი სიტყვით, ნებისმიერი გამეორება მეტყველების ნებისმიერი ნაწილისა (იქნება ეს არსებითი სახელი, ზმნა, ჩვენებითი ნაცვალსახელი თუ ზედსართავი და მისთ.) ნებისმიერ პოზიციაში დიდ ესთეტიკურ და ემოციურ დატვირთვას იძენს მუხრანისეული ლექსის მოდელირებული სისტემისთვის. ზოგჯერ ლექსიკურ ერთეულთა ეს გამეორება, რომელიც, ერთი შეხედვით, თვითმიზნურ სიტყვათა თამაშად აღიქმება, პოეტის ღვთითმომადლებული ნიჭიერების წყალობით საოცარ მუსიკალურ ეფექტსა და აზრობრივ ნიუანსებს იძენს. გავიხსენოთ თუნდაც, როგორც ჩანს, პოეტისათვის განსა-

კუთრებულად ფასეული ორკწკარედი (არ უნდა იყოს შემთხვევითი ის ფაქტი, რომ ამ ორკწკარედს სხვადასხვა ლექსში ორგზის ვხვდებით):

ყოველი ტოტი და ტოტისტოტი
და ტოტისტოტისტოტი ყოველი

ანდა:

აზროვნებს თუკი, –
ვინ არის რომ –
არ არის მარტო?
ვინც არის მარტო,
განა მარტო იგია მარტო?
იცის კი ყველამ,
ვინც მარტოა,
რომ არის მარტო?
ფიქრობს კი ყველა,
მარტო როა,
მარტოა რატომ?
უფრო მარტოა,
ვინც მარტოა,
თუ ფიქრობს: -
რატომ?

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გამეორებაზე, როგორც პარადიგმატიკული, ასევე სინტაგმატიკური ღერძის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ელემენტზე, მსჯელობა შეიძლება მხოლოდ კონტექსტიდან გამომდინარე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამეორების ესთეტიკურ-სემანტიკური ეფექტი იქმნება პოეტური კონტექსტის „კონკრეტული" დეკოდირების დროს. ერთი სიტყვით, გამეორების ეფექტის ძალა ექსტრატექსტულ დონეზე ელინდება. ამდენად, მისი აღქმაც იცვლება სხვადასხვა მკითხველის განსხვავებულ სტრუქტურათა მიხედვით. მაგრამ მისი ობიექტური სტრუქტურა, სხვაგვარად, ესთეტიკური და სემანტიკური ველის აღმძვრელი წყარო, ლოკალურ კონტექსტშია მოცემული. ამიტომაც გამეორების მექანიზმი კონტექსტის მიხედვით სხვადასხვა ეფექტს გვაძლევს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ მუხრან მაჭავარიანის ლექსის მოდელირებულ სისტემაში წამყვანი ადგილი უჭირავს გამეორებას. ამ კანონით არის დაწერილი მისი ლექსების უმრავლესობა. მაგრამ ამჯერად ამ

ბრობლემის ყოველმხრივი ანალიზი ხელი წერილის ხასხვრების სცილდება. ოღონდაც თავს უფლებას მივცემთ, ზოგიერთი ლექსის ხელოვანი წაკითხვით შემოგთავაზოთ კონტექსტის სემანტიკურ-ესთეტიკური ნიუანსები, რომლებსაც სწორედ გამეორება ქმნის და ასახრდოებს. 1) მოფლენას თუ საგანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება: **შენ — სისხლო ჩემო — სად არ დაღვრილო...** 2) ვითარების კონსტატაცია, რაც საპირისპირო ეფექტს იწვევს: **წვიმა არ არის! საბას კაბა დაუსველა რამ?!** 3) მოვლენის თუ საგნის თვისების ხაზგასასმელად და შთაბეჭდილების გასაძლიერებლად: **დიდო კოლხეთო, დიდო ქართლო, დიდო შამქორო...** 4) არაბუნებრივი მოვლენის წინწამოსაწევად და დასარწმუნებლად: **დუმილი რეკავს, დუმილი რეკავს...** 5) განზოგადების და საყოველთაობის მნიშვნელობის მისანიჭებლად: **ვინც არ უნდა იყოს იგი, ვინც გლეხია, ვინც მუშაა, ვინც სიმართლის მძებნელია...** 6) დროის კონკრეტული გაგების უგულებელსაყოფად და უხსოვარობის ნიუანსის მისანიჭებლად: **ჯერ კიდევ როდის გვიხდიდნენ ბოდიშს?! ჯერ კიდევ როდის ფოთობდა ფოთი!** 7) ყოვლისმომცველობისა და ერთიანობის ნიუანსის გასაზრდელად: **ამერ-იმერი — სიმხდალეში უსაზღვროდ ძუნწი. ამერ-იმერი — ზღვიდან ზღვამდე გაშლილი უწინ...** 8) დაუჯერებლობის ეფექტის გასაზრდელად: **სვეტიცხოველი ნუთუ მართლა არ იყო ერთ დროს?! საქართველო და — უსვეტიცხოვლოდ?! საქართველო და — უალაველოდ?** 9) კატეგორიულობის და აუცილებლობის ნიუანსის გასაზრდელად: **ქუხდნენ მუხები, ქუხდნენ ჭადრები: ნუ გათათრდები! ნუ გათათრდები!** 10) სევდიანი და ინერტული განწყობის შესაქმნელად: **ვიყავი მარტო: წვიმდა... წვიმდა... მუდამდღე წვიმდა...** 11) მოქმედების დაუსრულებლობისა და შარადიულობის ნიუანსის გასაძლიერებლად: **ვეძებ და ვეძებ, რაღაცას ვეძებ, წარსულში ვეძებ, აწმყოში ვეძებ, მერმისში ვეძებ...** 12) გაურკვეველობისა და განუსაზღვრელი მომავლის აღსანიშნავად: **გამოვა რამე, თუ არ გამოვა?! რისგან გამოვა და რა გამოვა?!** 13) ევფონიური ეფექტის და ნაიქვამის სარწმუნოების მისანიჭებლად: **შური მშურს, შური! შური მშურს, შური! შური მშურს, ვისაც ჩემი შურს, მისი.** 14) ქამთასელის უარდუვალობის, დაუდგრომლობის და მუდმივობის გადმოსაცემად: **ბედი ტრიალებს, მიწა ტრიალებს...** 15) უარყოფის კატე-

ვორიულობის გასაძლიერებლად: **აღარც სისხლი მწამს, აღარც გრძნობა და აღარც აღლო...** 16) მოქმედების აუცილებლობის ეფექტის შესაქმნელად: **უნდა გასცვითო... უნდა იტვირთო... უნდა იგუო... უნდა იწვნიო...** 17) აქტის სარწმუნოდ მიჩნევისთვის და დამაჯერებლობის გასაძლიერებლად: **მიგორავს სული, მიგორავს სული, მიგორავს სული დედამიწაზე.** 18) დინამიკური ფონისა და მოქმედების დაუსრულებლობის გადმოსაცემად: **მდინარენი კი... დიან, დიან, დიან და დიან... არის დარი თუ არის წვიმა ეს სულერთია!** 19) მოძრაობისა და დინამიზმის ეფექტის შესაქმნელად: **გადის, გამოდის, მიდის, მოდის ქუჩაში ხალხი.** 20) თანამედროვე სამყაროს ტექნიკიზაციის შედეგად ქალაქის უსახური სიცოცხლის გადმოსაცემად: **რახ, და, — წითელი! რახ, და — მწვანე! რახ, და — ყვითელი!** 21) სურვილის და ჟინის დაუოკებლობის გადმოსაცემად: **მინდა, მინდა, მინდა, მთელი სხეულით მინდა...** ანდა: **მწყურია, მწყურია, მწყურია უზომოდ...** 22) აღფრთოვანებისა და აღტაცების გამოსახატავად: **და... რა კარგია... რა კარგია ლოდები ყორის; და... რა კარგია... რა კარგია შავი ბელტები...** 23) მარადიული მდინარეების და უკვდავების აღსაქმელად: **ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა, ქართული გული გადადიოდა გულიდან კაცში. გადადიოდა, გადადიოდა, გადადიოდა — და მოდიოდა, და მოდიოდა, და მოდიოდა, და მოდიოდა, ვითარცა მტკვარი** და სხვა მრავალი.

ბუნებრივია, თქმულით არ ამოიწურება ის მდიდარი და მრავალფეროვანი სპექტრი, რომელსაც მუხრან მაჭავარიანი ქმნის გამეორების ხერხით ლექსის ევფონიურ და სემანტიკურ დონეზე. წინამდებარე წერილს, როგორც უკვე ითქვა, ვერც ექნება ამ მეტად სერიოზული პრობლემის რამდენადმე სრულყოფილი გაშუქების პრეტენზია. მაგრამ დასასრულს მაინც უნდა აღვნიშნო, რომ ის საოცარი დინამიზმი და ექსპრესიულობა, რომლებიც ესოდენ ახასიათებს მუხრან მაჭავარიანის ლექსს, ძირითადად სწორედ გამეორების მექანიზმით არის შექმნილი და მიღწეული. თუმცაღა, თავისთავად ცხადია, რომ ლექსის დინამიზმს ოდენ გამეორების ხერხი არ ასაზრდოებს. მას კვებავს აგრეთვე სხვადასხვა დონის მარკირებული ელემენტები, რომელთა ანალიზი ამჯერად შორს წაგვიყვანდა. მაგრამ, ვფიქრობ, არ იქნება ურიგო, საგანგებოდ აღვნიშნო

ის ფაქტიც, რომ მუხრანისეული ლექსის საოცარ დინამიზს უარკვეულად აპირობებს. ერთი შეხედვით, ამ თვისებიდან შორს მდგომი ისეთი დონე, როგორიც არის გრაფიკა, დიახ, პოეტის ლექსის გრაფიკული სქემა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, როგორც უკვე არაერთგზის აღვნიშნე, ვიზუალურ ეფექტსაც მოიცავს, ამ თვალთახედვით ძლიერ ეფექტს გვაძლევს. გაიხსენოთ თუნდაც მისი საყოველთაოდ ცნობილი ლექსი „ვითარცა მტკვარი".

მზე
ამოდიოდა,
მთვარე
ჩადიოდა,
მამალი
ყიოდა,
კვამლი
ადიოდა,
ვიღაცა
ტიროდა,
ვიღაცა
ჩიოდა,
ვიღაცას
შიოდა,
ვიღაცას
ციოდა
და დრო
გადიოდა.

მოხმობილ კონტექსტში პოეტს სურს ჟამთასელის, სამყაროს მარადქმნადობის, დიალექტიკური გარდაქმნების, აბსოლუტური გონის ემანაციისა და კოსმიური სულის ზეაღსვლის, ერთი სიტყვით, სოფლისა და ზეშთასოფლის ურთიერთმიმართებებისა და მარადიული წრებრუნვის პრობლემის გადმოცემა და უნდა ითქვას, რომ ამას დიდი შთამბეჭდაობით ახერხებს. მაგრამ ეფექტი მიღწეულია არა ფილოსოფიური მსჯელობით და კოსმოლოგიური სურათის დახატვით, არამედ ამა სოფლის ცხოვრების ზოგიერთი ყოფითი დეტალის აღწერით და, რაც მთავარია, ზმნათა უწყვეტი მწკრივის ფორმათა გამეორებით, რომელიც უსასრულობისაკენ ფიქრით აღმართული

კიბის საფეხურებს გეაგონებს... აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანის ლექსის გამოხატვის პლანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი გრაფიკა გახლავთ. გრაფიკა, როგორც ლექსის ესთეტიკური ველის გამაძლიერებელი ხერხი, უცხო არ არის პოეტური ფერწერისთვის. გავიხსენოთ თუნდაც დიდი პოეტის, აპოლინერის ცნობილი ლექსი „შადრევანი", რომლის გრაფიკული გამოსახულებაც შადრევანს გვაგონებს. მაგრამ მუხრან მაჭავარიანის პოეზიისათვის ამგვარი ხელოვნური, არაბუნებრივი ვიზუალობა მიუღებელია. ის არასოდეს კარგავს ბუნებრიობას და მისი ლექსის გრაფიკულ სქემასაც არასოდეს ატყვია ძალდატანების კვალი.

* * *

ჩვენ ძალზე მოკლედ განვიხილეთ მუხრან მაჭავარიანის მხატვრული აზროვნების ზოგიერთი თავისებურება, მისი ლექსის გამოხატვის პლანის არსებითი ელემენტები. ცხადია, ეს პრობლემა უფრო ღრმაა და სერიოზულ შესწავლას მოითხოვს, რაც მომავლის საქმეა. მაგრამ ვფიქრობთ, ზემოთქმულიც საკმარისია, რათა გავიცნობიეროთ მუხრან მაჭავარიანის პოეტური აზროვნების ორიგინალობა, ის უმთავრესი და დიდად დასაფასებელი ნიშან-თვისება, რომ მისი პოეტური სამყარო, რომელიც სისხლხორცეულად არის დაკავშირებული მდიდარ ქართულ პოეტურ ტრადიციებთან, სხვა პოეტთა ხედვათაგან საესებით განსხვავებულია, ინდივიდუალობით და თავისთავადობით არის გამორჩეული და გამოკვეთილი, რაც ესოდენ იშვიათობაა ჩვენს ერთფეროვან და „ბრმადწამხედურობის" ეპოქაში. ამიტომაც მართალს ღაღადებს პოეტი, როცა ამგვარი სიამაყით წერს: **„სამაგიეროდ — ჩემში რაც არის — სხვისი არაა ერთი მისხალი".**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლექსის რთული სისტემის ყველა დონის ელემენტი საბოლოოდ ემსახურება ესთეტიკური ინფორმაციის დაყვანას მკითხველამდე, ამიტომაც ყველა ელემენტი მიმართებით კავშირს ამყარებს სემანტიკურ ღერძთან და საბოლოოდ აქ სრულდება მისი რეალიზაცია. ამიტომაც წერილის დასასრულს უნდა შევეხოთ პოეტის ლექსის სემანტიკას, მის აზრობრივ ქსოვილს, თუ გნებავთ, მსოფლმხედველობრივ პოზიციას.

ვიტყვიდა, სიახლეად არ ნამეოვლება, თუკი ვიტყვი, რომ მუხრან მაჭავარიანი ჭეშმარიტი ლირიკოსი პოეტია. მეტიც შეიძლება ითქვას, მისი პოეზია თავიდან ბოლომდე ლირიკული განცდითაა ნასაზრდოები. გარე, ობიექტური სამყარო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ისეა მის „მეობაში“ ჩაზრდილი და გაშინაგანებული, ისეა საკუთარი გუნება-განწყობილების სპექტრში გატარებული, რომ მას (გარესამყაროს) თითქოს დაკარგული აქვს თავისთავადი, ობიექტურად არსებული მნიშვნელობა და ოდენ პოეტის სუბიექტურ ცნობიერებაშიღა არსებობს. ამიტომაც, ჯერ ერთი, ხილვადი სამყარო და კოსმიური მოვლენები, უპირველეს ყოვლისა, პოეტის საკუთარი გუნებახასიათით არის აღქმული და დანახული და, მეორეც, ცხოვრებისეულ თუ ფილოსოფიურ პრობლემებზე მსჯელობისას იგი ოდენ საკუთრივ შემუშავებული კრიტერიუმებით სარგებლობს, თუმცაღა მას არც ის ავიწყდება, რომ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება და მარადიული ესთეტიკური ღირებულებანი, რომლებსაც ის ნებსით თუ უნებლიეთ ანგარიშს უწევს. ერთი სიტყვით, პოეტის ლირიკულ ნააზრევში „განწყობილების ნაკადის“ ჭარბი მოძალება იგრძნობა და ის გვეელინება ერთგვარ ქვაკუთხედად ყოველგვარი ცნებისა თუ მოვლენის აღსაქმელად. ეს არ გახლავთ უნეეულო რამ და სავსებით ბუნებრივია იმ შემოქმედისათვის, ვისთვისაც უცხოა შეკოწიწებული ხელოვნურობა და ყალბი პოზა. ხოლო მუხრან მაჭავარიანისათვის, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიუღებელია არაბუნებრიობის ნებისმიერი გამოვლინება; მისი პოეტური მრწამსისათვის საესებით დაუშვებელია ის, რაც მის ადამიანურ ბუნებას და „მეობას“ არ ესიტყვება.

მუხრან მაჭავარიანისათვის, როგორც ყველა მოკვდავი ადამიანისათვის, უცხო არ არის დარდი და სიხარული, აღტყინება და უსასოობა, იმედი და უიმედობა და მისთ... ამიტომაც მის ლირიკულ განცდას ყოველთვის სდევს შუქ-ჩრდილები, სხვადასხვა ფერთა გამა, კონტრასტული განწყობილება, რაც აგრეთვე სავსებით ბუნებრივია. ოღონდაც ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, მუხრან მაჭავარიანის სეედა და უხასიათობა, როგორც წესი, დაკავშირებულია წვიმასთან და ავდართან, ხოლო სიხარული და აღტაცება – გაზაფხულთან და დართან. ამის საილუსტრაციოდ უხვად შეიძლება მაგალითების მოსმო-

ბა, მაგრამ ეშინია ეს ძალზე შორს წაგვიყვანდა. გავიხსენოთ თუნდაც მშვენიერი ლირიკული ლექსი: **„სამი დღეა დამიბრიყვა სევდამ, სამი დღეა გულმოდგინედ წვიმს“...**, რომელშიც პოეტის უსაზღვრო სევდაა გადმოცემული, და აქვე მოვიგონოთ გაზაფხულის მობრძანებით გამოწვეული პოეტის აღტყინება: **„გითხრა! რა გითხრა, ვით გითხრა! – არ გითხრა! – რა ქართულია! გადაჭარბების გარეშე – ისეთი გაზაფხულია... ისეთი გაზაფხულია! – გინდ მერწმუნე და გინდ არა! – გამოვიკვალე სრულიად“**. პოეზიისათვის, ჩემი აზრით, არ უნდა ქქონდეს არსებითი მნიშვნელობა იმის დაზუსტებას, რა აპირობებს სევდისა და აღტაცების მოტივის წარმოჩენას: პოეტის სულიერი მდგომერეობა თუ გარესამყარო, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ავდრიანი ამინდი აღძრავს მის სევდას, გაზაფხულის ჟამი კი აღტყინებას, თუ პირუკუ – თავისი ცუდი გუნების და სევდის გამოსახატავად წვიმიან ამინდს გვიხატავს, ხოლო აღტაცების გადმოსაცემად – სულისგამხსნელი გაზაფხულის ჟამს. მთავარი ის არის, რომ მუხრან მაჭავარიანის პოეტურ ფერწერაში არსებობს ამგვარი პარადიგმატური მიმართება: **სევდა – წვიმა, სიხარული – გაზაფხული** და ამ კონტრასტულობით ნიშანდასმულია მთელი მისი ლირიკული ინტონაცია. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია მის ადრეული პერიოდის ლექსებში, რომელთა ემოციურ ნაკადსაც ძირითადად ეს განწყობილებანი ასაზრდოებს. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ მუხრან მაჭავარიანის ლირიკისათვის არც როდის ყოფილა უცხო განსჯითი, მოაზრებითი მომენტი, რომელმაც ბოლო ხანებში დაწერილ ლექსებში განსაკუთრებული სიძლიერით იჩინა თავი. ხოლო, როცა ლირიკაში განსჯა ბატონდება, ანუ, სხვაგვარად, როცა გულის მსაჯულად გონება გეველინება, მაშინ შესაძლებელია ლირიკულმა განცდამ ზნეობრივ სიბრტყეზე გადაინაცვლოს. ასეთ ვითარებაში კი შემოქმედის გუნება-განწყობილება უკან იხევს და წინ წამოიწევს მისი მორალური კრედო, რაც მუხრან მაჭავარიანის მსოფლმხედველობრივ სისტემაში ასეთი ეთიკური პოსტულატებითაა ნასაზრდოები: ყოველივე ის, რაც ეროვნულია, მისთვის მისაღებია და ზნეობრივი, ხოლო ის, რაც ეროვნული არ არის, მიუღებელი და უზნეოა. ამაზე დაწერილებით ქვემოთ მოგახსენებთ. ახლა კი პოეტის მსოფლგანცდის ზოგიერთ შრეს შევეხები.

თუ ა'ხროვნების ისტორიას თვალს გადავაყოლებთ, დავრწმუნდებით, რომ ცივილიზაციის ჩასახვისთანავე უმთავრეს პრობლემად იქცა სიცოცხლის რაობის, საერთოდ, ცხოვრების საზრისის გარკვევა. ყველა მოაზროვნე ადამიანს, მიწის მუშაკი იქნება ის თუ ფილოსოფოსი, დროდადრო უჩნდება ფიქრი, რატომ გაჩნდა ამ ქვეყანაზე, რატომ იღვწის და იბრძვის არსებობისათვის, და მერე, გარდაუვლად რატომ უნდა დატოვოს ეს წამიერი წუთისოფელი. ამიტომაც არის, რომ ზემოხსენებულ პრობლემათა გარკვევას ეძღვნებოდა ფილოსოფიური ტრაქტატები, დიდტანიანი პოემები, ლირიკული ლექსები თუ ვრცელი რომანები. ეს პრობლემები რამდენადაც უძველესია, იმდენად მარად ახალია, რადგანაც ამ უმთავრეს პრობლემაზე – რატომ გაჩნდა ადამიანი და რა არის მისი სიცოცხლის საზრისი – ცალსახა პასუხი არ არსებობს თუნდაც იმიტომ, რომ ეს კითხვა, ყოფნა-არყოფნის არსის გარკვევას რომ ლამობს, მაშინვე გაჩნდა, როგორც კი საზრიანი სიცოცხლე დაიბადა, და მანამდე იქნება აქტუალური, მარად ცოცხალი, ვიდრე კაცობრიობას სიცოცხლე უწერია.

ბუნებრივია, მუხრან მაჭავარიანს, როგორც მარადიულ წყევლა-კრულვიან პრობლემებზე დაფიქრებულ შემოქმედს, უპირველესად გაუჩნდება ეს, ერთი შეხედვით მარტივი, სინამდვილეში კი ურთულესი კითხვა, რომლის პასუხიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ერთგანზომილებიანი“ ვერ იქნება. ყოფნა-არყოფნის პრობლემა, სხვა კუთხით აღქმული და გაცნობიერებული, მუდამ აწუხებს და არ ასვენებს პოეტს: ღირს თუ არ ღირს ადამიანის ამქვეყნიური არსებობა? აი, ის დილემა, რომლის გადაჭრაც ძალზე უჭირს შემოქმედს: **„მას უკან, რაც გაჩნდა ხალხი – ერთს გემუდარები მიწყივ: თქვი, თქვი... თქვი! – ღირს?! ღირს თუ არ ღირს! – პასუხის გამხადე ღირსი“**. როგორც ჩანს, კითხვა ყოვლისგამრიგეს მისამართით არის დასმული, რადგანაც მისი ახსნა, პოეტის აზრით, მოკვდავთ არ ძალუძთ. ყველა მათგანი ამ კითხვის პასუხს თავად მოელის: **„თენდება ნელა, ღამდება ნელა. და პასუხს ელის გარშემო ყველა, და ვისღა ვკითხო, რაც უნდა ვკითხო! რა უნდა მითხრას, – კიდეც რომ ვკითხო! იმ კითხვის პასუხს – თვით როცა ითხოვს“**. მართალია, მოხმობილ ლექსში არ არის დაკონკრეტებული კითხვის შინაარსი, მაგრამ ყველაფრიდან აშ-

კარაა, რომ ის, რაც აწუხებს პოეტის გონს, არ შეიძლება იყოს კერძო და ყოფითი. მეტიც, ამ კითხვის განზრახ არდაკონკრეტება და მისი ერთგვარი შეგნებული გასაიდუმლოება სწორედ იმის მაუწყებელია, რომ საძიებელი პრობლემა ადამიანის არსებობის უმთავრესი მიზეზის და მიზნის გაგების ტოლფასია და, ამდენად, ის უკვე განზოგადებული მნიშვნელობისაა. ასე რომ, აღძრული კითხვის პასუხის ძიება ინდივიდუალური გზით უნდა წარიმართოს, მაგრამ მიღებული შედეგი თავისი მნიშვნელობით საყოველთაო და ზოგადკაცობრიულ მასშტაბებს იძენს და ღირებულია კაცობრიობის აზროვნებისთვის. მართლაც, ამ მარადიული პრობლემის ახსნა ადამიანის რთული ფიზიკური და რეალური სიცოცხლის ამოცნობას უტოლდება. ეს კი თითქმის შეუძლებელია, რადგანაც წინასწარ გაცხადებული და ერთმნიშვნელოვნად პასუხგაცემული სიცოცხლე კარგავს სწორედ იმ ამოუცნობლობის ხიბლს, ასე რომ ამშვენიერებს და ამდიდრებს მას. მაგრამ ეს ამოუცნობლობა და აუხსნელობა, რომელიც აპრიორულად მოცემულია სიცოცხლის ფილოსოფიაში და რომლის წედომისა და ამოცნობის მიზანი გამხდარა ადამიანის სულიერი სწრაფვის მთავარ ძალად, არ ასვენებს მოაზროვნე ადამიანს. რამდენადაც ძნელია საიდუმლოს გასაღების მიგნება, მით უფრო ძლიერდება პიროვნული ჟინი და ამბოხი. ოღონდ ზოგჯერ, როცა უსასრულობაში აღმართული შემეცნების იერარქიული კიბის ერთ-ერთ საფეხურზე შემმეცნებელი წააწყდება დაუძლეველ წინააღმდეგობას და აშკარად შეიცნობს თავის უსუსურობას, მას იპყრობს ტრაგიზმის უმძაფრესი მსახერალი ხელი და ის მზადაა, საერთოდ უარი თქვას ცნობიერ სიცოცხლეზე. სწორედ ამ მძიმე განცდაზე უნდა მეტყველებდეს პოეტის სიტყვები: **„უაზრო ხმაური არ მსურს, უაზრო დუმილი მიჭირს; უკეთუ არ გამცემ პასუხს, – შეკითხვის წამართვი ნიჭი“**. მაგრამ ასეთი მოთხოვნა უკვე სიცოცხლის დასასრულსაც ნიშნავს. ამიტომაც ის პოეტის ადამიანური სისუსტის წამიერ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ, რომლის დაძლევა მუხრან მაჭავარიანის შეუპოვარ და უდრეკ ბუნებას არ უჭირს. პოეტს კარგად აქვს გაცნობიერებული შექმნილი ტრაგიკული სიტუაცია, რომელთანაც შემეცნებითმა პროცესმა მიიყვანა, ისევ და ისევ ბრძოლისა და ძიების წყალობით დაიძლევა. ამიტომაც ის,

ოავისი დიდი წინამორბედების მსგავსად, ძიების გზას ადგება. საერთოდ, ადამიანის ცხოვრება – ეს არის უწყვეტი ძიების გზა. რომელსაც სხვადასხვა მიზნითა და ზრახვით ადგება ხოლმე წუთისოფლის მგზავრი. ზოგი ვარსკვლავთა შორის ღმერთს ეძიებდა, ზოგი – აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, ზოგი – ამა სოფლის სიბრძნის მწვერვალებს, ზოგი – სულიერ სრულყოფილებას, ზოგი – უკვდავებას, ზოგი – ფიზიკურ და მატერიალურ კეთილდღეობას და მისთ. ერთი სიტყვით, თუკი ცნობიერი სიცოცხლე იბადება, ის უდავოდ გულისხმობს ამ ძიების აუცილებლობას. ალბათ ამ აუცილებლობითაც არის გაპირობებული პოეტის დაუოკებელი სურვილი ძიებისა. **„ვეძებ და ვეძებ, რაღაცას ვეძებ, წარსულში ვეძებ, აწმყოში ვეძებ, მერმისში ვეძებ, აკვანში ვეძებ, კუბოში ვეძებ, ჰაერში ვეძებ. ვეძებ და ვეძებ, რაღაცას ვეძებ“**. პოეტი კარგად ახერხებს გამეორების მეშვეობით გადმოგვცეს ეს მარადიული პროცესი ძიებისა, რომელიც კოსმიური გარდასახვების და გარდაქმნების აუცილებელ პირობად აღიქმება. ცხადია, პოეტის ძიება მატერიალურ სფეროს არ განეკუთვნება, ის უფრო ამაღლებულია, სულიერი სიმაღლეებისკენ არის მიმართული. ამიტომ თავადაც ვერ გარკვეულა კარგად თავისი ძიების ობიექტში, კონკრეტული რეალური ხაზებით ვერც წარმოუდგენია ის ამაღლებული, რისკენაც მიილტვის. აქ შეგნებულად არის ხაზგასმული ძიების ობიექტის ირეალობა, მიზნის მიღწევის განუხორციელებლობა, რაც საფუძვლიან ეჭვს ბადებს მაძიებელ პოეტში. იპოვის კი საერთოდ იმას, რასაც ეძიებს?! თორემ ადამიანი, რომელიც კონკრეტულ საგანს და ნივთს ეძიებს და იცის, რასაც ეძიებს („**ა, კაცი! – იცის – გასაღებს ეძებს... ამოუვარდა ჯიბიდან წელან“...**), ის უეჭველად იპოვის, მით უმეტეს, თუ მას ოჯახის წევრებიც ეხმარებიან. მუხრან მაჭავარიანი საანალიზო ლექსში შეგნებულად ურთიერთს უპირისპირებს მატერიალური, კონკრეტული საგნის, ვთქვათ, გასაღების ძებნას, რომელიც ამ შემთხვევაში ამქვეყნიური კეთილდღეობის სიმბოლოდ შეიძლება აღვიქვათ, და სულიერ ძიებას, შემოქმედ და ზნეობრივ ადამიანთა წილხვედრი რომ არის ოდენ. და ამ დაპირისპირებაში უფრო ღრმა აზრია განვითარებული, ვინემ ეს ერთი შეხედვით აღიქმება, და მიგვანიშნებს იმაზე, რომ ადამიანის სიცოცხლის საზრისი გაცილებით მაღლა დგას და დიდი შინაარსის მომცველია, ვიდრე

მისი ბიოლოგიური სიცოცხლე და ფიზიკური არსებობა. ამავე დროს კოსტრასტის ფონზე მკვეთრად გამოსჩენილია ის აზრი, რომ ამქვეყნიური ყოფითობა, მეშჩანური გარემო და მარტოდენ მუცლის პატივი, რომელიც ასუქებს ადამიანის ხორცს და ანანგებს მის სულიერ საწყისს, მიუღებელია პოეტის მსოფლგანცდისათვის. ამიტომაც მუხრან მაჭავარიანის მთელი ფუ-ლისყური, მისი ფიქრი და აზრი მიჰყრობილია ზეცისკენ, სულიერებისკენ და ესწრაფვის ამაღლებულსა და ირეალურს, რაც, მისი აზრით, სულისა და გონის სრულყოფის საფუძველია. მაგრამ ყოველდღიური რეალობა, ფიზიკური არსებობა და ხორციელება ამიწებს პოეტის აღმაფრენას: **„ხორცის სიმძიმე მაიძულებს დაევშვა დაბლა. ცაში ვიფრენდი, რა ქმა უნდა, იგი რომ არა“**, ამბობს პოეტი და იქვე მიმართავს თავის თავს: **„ხარ ხორციელი — სიდიადეს ვინ დაგიჯერებს — სხეული შენი შენ უღმერთოდ გაპატარავებს“**. პოეტის რეალური ცხოვრებაც ყოველდღიური გაბედითებაა იმედებისა და კარგს არაფერს უქადის, — მხოლოდ ჩაქოლვას და დამცირებას უმზადებს მას. ამ უკულმართობით გაბეზრებული შემოქმედი მიდის იმ აზრამდე, რომ მხოლოდ ჯვარცმისა და ხორცისაგან განტვირთვის შემდგომ ელის მას ჭეშმარიტი დიდება და აღიარება. ამიტომაც შემოქმედის ძიება, უპირველეს ყოვლისა, იქითკენ არის მიმართული, რომ დასძლიოს ხორციელება, ამაღლდეს ელემენტთა ნიეთიერ სამყაროზე მაღლა და მიაღწიოს სულიერების საფეხურს. მაგრამ როგორ, რა გზებით? აი, რა აწუხებს შემოქმედს. ის პირდაპირ სვამს კითხვას: **„როგორ უნდა გაართვა თავი მზეს, მთვარეს, წვიმას, შუადღეს, ღამეს — რომ არა ხორცი იყო, არამედ იყო უხორცო სიცოცხლის ღირსი“**. ეს ის მარადიული კითხვაა, კაცობრიობას მთელი თავის არსებობის მანძილზე რომ აღელვებს. ხოლო ამ კითხვის პასუხის მოძიება უკვე თავისთავად ნიშნავს ადამიანის ზნეობრივ სრულყოფილებას და უკვდავების საფეხურზე ამაღლებას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ამ კითხვის პასუხს სხვათაგან არ უნდა მოელოდე, ის შეიძლება მხოლოდ შენი „მეობის“ წყალობით, უკვრო მართებულად, საკუთარი თავის შემეცნების გზით გადაწყვიტო, რადგანაც აღძრული კითხვის პასუხს „ვერავინ გეტყვის, არავინ იცის, — თვინიერ სისხლის, შენივე სისხლის“.

ამიტომაც შემეცნებითი მსერა პოეტმა უპირველესად საკუ-

თარ თავში უნდა ჩაიბრუნოს, უნდა შეიცნოს საკუთარი თავი, რადგანაც „ის გზა, რომელიც“... ამ პასუხთან მიგიყვანს, შემეცნების სულში იწყება და გადის ადამიანში, ყოველივეს თავისთავში მომცველ მიკროსამყაროს რომ წარმოადგენს. საერთოდ, თეზა „შეიცან თავი შენი“ თითქმის უხსოვარი დროიდანაა ცნობილი და მის ჭეშმარიტებას და გარდაუვალობას ამტკიცებდნენ უძველესი მისტიკური მოძღვრებანი, წარმართული ფილოსოფიური სკოლები თუ სხვადასხვა რელიგიური მიმართულებანი. მაგრამ ჩვენს საუკუნეში გარე, ხილვადი სამყაროსადმი მომეტებულმა ყურადღებამ, საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებსა და მატერიალურ მხარეზე მთელი ყურადღების გადატანამ, წარმოების ტექნიკიზაციამ და ნივთის გაფეტიშებამ დღევანდელი ადამიანის ცნობიერებაში წინ წამოწია გარესამყაროს შესწავლის პრობლემა და ერთგვარად მიავიწყებინა საკუთარი თავი, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, არის სათავე ყოველგვარი უზნეობისა და კაცთა მოდგმის მორალური დეგრადაციისა.

ეს ყოველივე კარგად აქვს გაცნობიერებული მუხრან მაჭავარიანს. მისი ფიქრით, ადამიანის სამყარო ყველაზე უფრო საოცარია და ძნელად ამოსაცნობი. ამიტომაც ყოველგვარი შემეცნება, მათ შორის მაკროსამყაროსიც, საკუთარი თავის შემეცნებით უნდა დაიწყოს კაცმა:

საკუთარ თავზე უფრო საოცარს
ქვეყნად რაიმეს მხოლოდ ის ნახავს,
ვინც ხმას,
ვით ქვევრი
ისე გამოსცემს,
თავს ვინც არ იცნობს
საკუთარს კარგად.

მუხრან მაჭავარიანის მსოფლმხედველობრივ სისტემაში საკუთარი თავის შემეცნება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ჭეშმარიტების ძიებას. მაგრამ ეს სწრაფვა პოეტის ოდენ გნოსეოლოგიური სფეროთი არ შემოიფარგლება. ის თავისთავად გულისხმობს მშვენიერების ხილვასაც და სულიერ დახვეწას, რაც ზნეობრივი სიმაღლეების დაპყრობასაც უტოლდება. სუბიექტის შემეცნებისა და სულიერი სრულყოფის გზას პოეტი მიმართავს არა იმდენად საკუთარი „მე“-ს გაკოსმიურებისა და

აბსოლუტთან შერწყმის მიზნით, რასაც საბოლოოდ ხილვადი სამყაროს უარყოფამდე მივყავართ, არამედ, პირიქით, რეალური სამყაროს, მისი მშვენიერებისა და ჰარმონიულ თუ დისჰარმონიულ მიმართებათა და რთული საზოგადოებრივი ცხოვრების შესამეცნებლად. მუხრან მაჭავარიანი ყოველთვის რეალობიდან ამოდის, მასთან კავშირს არასოდეს არ წყვეტს და თავდავიწყებას თითქმის არასოდეს ეძლევა. მაგრამ ობიექტურად არსებული სამყარო მისი სუბიექტური ხედვით არის მოცული, უფრო მართებულად, ყველაფერი თავისთავად არსებული მას გაშინაგანებული აქვს საკუთარ მეობაში „შესრუტული" და შესისხლხორცებული. „შემოდის თვალებიდან სხეულში ყოველივე, – ვიესები დედამიწით, წყლიანი ფოთლებით", ანდა, „სამყაროს ვეწაფები მზესავით; ტკბილია ბალახის ცვარ-ნამი, ტკბილი ტალღიანი ზღვისანი, ტკბილი ბალღების სიცილი, ვაჟების ხარხარი ტკბილია და ვსრუტავ... და ვსრუტავ... და ვსრუტავ ყველაფერს მზესავით". სამყაროს ამგვარი გაშინაგანება და გასუბიექტურება, ეიმეორებ, პოეტს იმისთვის არ სჭირდება, რომ გვამცნოს თეზა რეალური სამყაროს ობიექტურად და თავისთავად არ არსებობისა და მხოლოდ სუბიექტური ცნობიერების ჭეშმარიტების შესახებ. მაგრამ ეს არის კოსმოსში გარდასახვის, უფრო მართებულად, კოსმოსის საკუთარ „მე"-ში მოცვისა და დატევის ცდა, როცა ყოველგვარი ჭეშმარიტების საზომად თავად გვეელინება და როცა ყოველგვარი გარე არსებულის – მშვენიერებისა თუ სიმახინჯის, სიკეთისა თუ ბოროტების – აღმოჩენა საკუთარ თავში შეიძლება. ამიტომაც საესებით არ არის საჭირო მშვენიერებისა თუ ჭეშმარიტების აღმოსაჩენად მზერა გარე სამყაროსაკენ მიმართო, ამისთვის საკუთარ სულიერ სიღრმეში ჩახედვაც კმარა: „ანდა – რას ეეძებ! რას ეიპოვნი! რა დამრჩა გარეთ! – გაზაფხულია უფრო დიდი როდესაც შიგნით". მეორე მხრივ, ხილვადი სამყაროს გათავისება, გაშინაგანება და „მე"-ს ფილტრში გატარება შემოქმედს იმიტომ სჭირდება, რომ მის პოეტურ სიტყვას კოსმიური შინაარსი და გაგება მიანიჭოს და მის სიტყვიერ ქსოვილში ყოველმა მოელენამ თუ საგანმა თავისი თავი ამოიცნოს და შეიგრძნოს! ზღვებმა – თავიანთი ტალღები, ფოთლებმა – თავიანთი ცვარ-ნამი, ქალებმა – თავიანთი სიცილი, ვაჟებმა – თავიანთი ხარხარი". მოკლედ, მუხრან

მაჭავარიანი თავის პოეტურ სიტყვას იმ მისტიკურ ძალას ანიჭებს, რომლითაც უნდა აღდგეს სამყაროს დაკარგული ჰარმონია და კოსმიური ურთიერთგაგება და ერთიერთსმენა. ამგვარი მისტიკური ძალით დამუხტული სიტყვის გაგება კი მხოლოდ რჩეულთა, გონებრივად და სულიერად სრულყოფილთა ხვედრია. ამიტომაც სავსებით არ უკვირს პოეტს, რომ მისი ლექსი მრავალს არ ესმის ისე, როგორც თავად მას. თუმცა ეს გარემოება არ აღელვებს, **„ვინაიდან არამცთუ ლექსი, სიტყვაც კი ერთი ერთნაირად არ ესმის ორ კაცს“**. სხვათა შორის, აქ პოეტური ხატის გაგების მრავალგვარობასეც არის საუბარი. სიტყვამ მოიტანა და აქვე დავსძენ, რომ მუხრან მაჭავარიანი ლექსის წარმოშობის სხვადასხვა საწყისებზე, განსხვავებულ ბუნებაზე, რომელიც ხან სალამანდრასავით მისრიალებს და ხან კიდევ კენგურუსავით მიხტის, სხვაგანაც საუბრობს და საინტერესო აზრებს გამოთქვამს. მაგრამ მათზე ვერ შევჩერდებით, რადგან ამჯერად პოეტის მსოფლგანცდის სხვა ნაკადი გვაინტერესებს.

„შეიცან თავი შენი“ – როდი ნიშნავს მხოლოდ საკუთარი „მეობის“ რკალში ჩაკეტვას და გარე სამყაროსთან კავშირის გაწყვეტას. ყოველ შემთხვევაში, შემეცნების საწყის ეტაპზე ის გულისსმობს „მე“-ს მიმართებას სამყაროსთან, საზოგადოებასთან, ცალკეულ ადამიანებთან და ა. შ. წვდომა საკუთარი თავისა სხვათა შეცნობასაც გულისხმობს უდაოდ. ამ შემთხვევაში მე, როგორც მიკროკოსმოსი, გაიაზრება სარკედ, რომელშიც ასახულია მთელი მაკროკოსმოსი თავისი მრავალფეროვნებითა და ნაირგვარობით. ამიტომაც თვითშემეცნება გაცილებით უფრო დიდია და მნიშვნელოვანი, ვიდრე საკუთარი ბუნებისა და ხასიათის შეცნობა. თუმცაღა შემმეცნებელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაარკვიოს მისი ამქვეყნად მოვლენის მიზანი, მისი რაობა, ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ცხოვრებისა და მოღვაწეობის მიზანსწრაფვა და მისთ... ეს პრობლემები იმდენად ძველია, რამდენადაც ადამიანის აზროვნება. ამ ურთულესი პრობლემის გარკვევას დღენიადაგ ლამობს ცნობიერი ადამიანი. მაგრამ პასუხი არასდროს ყოფილა ცალსახა და მზა. ცივილიზაციათა, ეპოქათა, პოლიტიკურ-ეკონომიკურ წყობათა ცვალებადობასთან ერთად იცვლებოდა ხედვისა და გააზრების კუთხეც. მოკლედ, შემეცნების

ემოციური ხაზი ზიგზაგისებურად ვითარდებოდა. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები თავად ადამიანის არაერთგვაროვანი და ამოუცნობი ბუნება, მისი პიროვნული დონე, ურთულეს ფსიქოლოგიურ შრეებში რომ იღებს დასაბამს. პიროვნებაში ყოველთვის იბრძვის სულიერი თუ მატერიალური საწყისები, ხან ხორცი ბატონდება, ხან კი სული მაღლდება. ერთი სიტყვით, ხან მიწიერია, ხან ზეციური, ხან უგნურია, ხან ბრძენი, ხანაც არც ისაა და არც ისა. ასე რომ, ამ „ხან-ხანობას" სდევს შემმეცნებლის მოვლენისადმი დამოკიდებულების სხვადასხვაობა, მეტიც, მსოფლმხედველობრივი პოზიციების ცელა. ამიტომაც თითქმის ყველა მოაზროვნეს ნააზრევში შეხვდებით განსხვავებულ თვალსაზრისებს ერთი და იმავე პრობლემის გაშუქებისას. სწორხაზოვნება, როგორც წესი, ჭეშმარიტ მოაზროვნეებს არ სჩვევიათ. მაგრამ ეს განსხვავებული დამოკიდებულება, ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისთა წარმოჩენა ახასიათებს ძიების პროცესს, რაც საბოლოოდ ეხმარება მაძიებელს სწორი პოზიციის შენარჩუნებაში.

მუხრან მაჭავარიანის აზროვნებისთვისაც, როგორც ეს ჭეშმარიტ შემოქმედთ ახასიათებთ, უცხოა სწორხაზოვნება და დოგმატურობა. მისი მაძიებელი სული, შემეცნების ფრთებით შესხმული, სხვადასხვა სიმაღლიდან მიემართება ხილვად სამყაროს. პოეტის შემმეცნებელი „მე" ხან თავისთავში აღმოაჩენს მთელ სამყაროს, ხან კი მის ერთ ნაწილად მოიაზრებს თავს. ასეთ ვითარებაში ის არის „სამყაროს ნაწილი", არის მზე, წვიმა და, რაც მთავარია, კოსმოსის მშვენება, ადამიანთა შთამომავალი. ეს ზოგადადამიანური გენეტიკური კოდი იღვიძებს პოეტში, როცა ამბობს: **„ვინ ვარ! ვარ ერთი მათგანი, ვარ მსგავსი ერთი მათი. ვარ ბედნიერი, რადგანაც დავდივარ, დადიხარ, დადის"**. პოეტის ეს აღტაცება და სიხარული თავისი ადამიანობის, კაცობის შემეცნებით და იმის შეგრძნებით, რომ ცოცხალია, ადამიანთა შორის დადის და ლაღობს, წამიერია. ამ შემთხვევაში მუხრან მაჭავარიანი უბრალო, მიწიერ ადამიანად გვევლინება და სწორედ თავის უბრალოებით ხარობს. მაგრამ მას ისიც არ ავიწყდება, რომ ღვთიური შთაგონებით არის გაცისკროვნებული, რომ ის ღვთიური სიტყვის მფლობელია და მეტიც, წამიერად თავად ღვთიურ ლოგოსად გვევლინება, რომლის ამქვეყნად მოვლენის მისიაც ადამიანთა ხსნაა

ძლიერი სიყვარულის და საკუთარი მეობის მსხვერპლად შეწირვის გზით. თუ ადამიანი აცნობიერებს ქრისტეს ამქვეყნად მოვლენის არსს, თუკი ის მზად არის სხვათა ბედნიერებას შესწიროს საკუთარი სიცოცხლე, მაშინ მას ბუნებრივად უნდება სურვილი მოკვდაობის დაძლევისა და ადამიანურობაზე აშაღლებისა. ამიტომაც მკრეხელობად არ ეღერს მუხრან მაჭავარიანის პრეტენზია ქრისტე-კაცობაზე:

რა ვუყო ამ ხალხს?! –
რა ვუყო ამ ხალხს?! –
შევაგნებინო როგორ და რითი?! –
ადამიანის თუმც მაზის დამღა, –
იესო ქრისტე ვარ ჭეშმარიტი!

პოეტი თავის თავში ჩაღრმავების ჟამს, როცა ცდილობს გაარკვიოს მისი ამქვეყნად მოვლინების დედააზრი, როცა სურს ჩასწვდეს თვითების არსსა და მისგან გამომდინარე ატრიბუტებს, თითქოს იბნევა და მერყეობას მოუცავს მისი ცნობიერება, რადგანაც მასში, როგორც თავისი თავის შემმეცნებელში, ხან ადამიანური საწყისი ამოტივტივდება და იმარჯვებს, ხან კი – ღვთიური. წარმოდგენათა ამ ცვალებადობის წინააღმდეგ ილაშქრებს პოეტი, როცა აცხადებს ერთგვარი კატეგორიული ტონით: **„წინაპართანი, ღრმად დავრწმუნდი სწორია აზრი: კაცი ხარ, – კაცი უნდა იყო! ღმერთი ხარ – ღმერთი!“** ცხადია, ეს საყვედური ქრისტესადმი არ არის მიმართული და არც მისი დიოფიზიტური ბუნებაა უარყოფილი. ამ შემთხვევაში პოეტს უბრალოდ რეალური ცხოვრების სიმკაცრე და თვით შემეცნების მიუღწევლობის, ფსიქოლოგიური მერყეობისა და გაურკვეველობის ტრაგიზმი ათქმევინებს ამ თეზას.

საერთოდ, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად უნდა ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანის ქრისტე-კაცობაზე პრეტენზია შეიძლება აიხსნას არა რელიგიური, არამედ წმინდა მორალურ-ზნეობრივი თვალსაზრისით. ამ წარმოსახვას ასაზრდოებს იმის შეგნება, რომ პოეტი, რომელიც გასხივოსნებულია ღვთიური შთაგონებით და მფლობელია ღვთიური სიტყვისა, თავისი ქმედებითა და პოეზიით, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეცადოს ადამიანთა მორალურ-ზნეობრივ განწმენდასა და კაცთა მოდგმის უზნეობის ჭაობიდან დახსნას. სწორედ

ამ მისიას კისრულობს იგი და ამიტომაც მოურიდებლად კიცხავს და აშიშველებს არსებულ უსახურ სისამდვილეს. ცალკეულ პირთა თუ მთლიანად საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერ გამოვლინებებს. პოეტის კრედოც, მისი უპირველესი დანიშნულებაც ზემოთქმულ თვალსაზრისზეა დაფუძნებული.

ეფიქრობთ, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ მას შემდეგ რაც ადამი სამოთხიდან გამოაძევეს, მისი მოდგმისათვის ჩვეულებრივი და, ვიტყოდი, გარდაუვლად ნიშანდობლივია ბილწ, მორალურ თვისებათა გამოვლინება. სამწუხაროდ, ამორალობა კაცობრიობის განვითარების თითქმის ყველა პერიოდში მეტ-ნაკლებად იჩენდა თავს, მაგრამ თავისი გაფურჩქვნის ზენიტს აღწევდა მაშინ, როცა ხდებოდა საზოგადოებრივი სტრუქტურების ნგრევა, სახელმწიფოებრივი წყობილების მოშლა და თავს წამოყოფდა სოციალურ-ეკონომიკური და, თუ გნებავთ, პოლიტიკური კრიზისი. ამ საყოველთაო ჭეშმარიტების აღნიშვნა იმიტომ მომიხდა, რომ გამეხსენებინა ერთი ფაქტი – მუხრან მაჭავარიანს ცხოვრება უხდებოდა და ახლაც უხდება იმ საზოგადოებაში, სადაც გამარჯვებას ზეიმობს ბოროტება, სადაც სიმართლეზე მეტად ფასობს ტყუილი და სადაც აღრეულია კრიტერიუმები, რომლითაც უნდა გაიმიჯნოს კარგი და ცუდი და შეფასდეს საერთოდ ადამიანის ცხოვრება-მოღვაწეობა.

ადამიანთა მოდგმას მრავალი ნაკლი გააჩნია, მაგრამ პოეტის სულს ყველაზე მეტად აღიზიანებს ორი უარყოფითი თვისება. ეს არის შური და შურლი და აგრეთვე სიბრიყვე და სირეგვნე, რომლებმაც, მისი მოაზრებით, დაღუპეს ქვეყანა. პირველი თუნდაც იმიტომ აღაგზნებს მწერალს, რომ ის (შურლი და შური) გენეტიკურად გადმოეცემა ყველა ქართველს და თითქოს ეროვნული ხასიათის ერთგვარ კოდად გვეველინება. ყოველ შემთხვევაში, მუხრან მაჭავარიანს კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ საქართველოს გარეშე მტერი ვერას უზამდა, თუ არა ეს დაუძლეველი გრძნობა ურთიერთშურლისა და გაუტანლობისა. მართალია, ამ შეხედულების პიონერობას ვერ დავაბრალებთ პოეტს. მწარე ისტორიულმა სინამდვილემ ამდაგვარი საყვედური არაეთგზის ათქმევინა მის წინამორბედებს, მაგრამ ჭეშმარიტების გამეორება, თუკი ის აქტუალურია დღესაც, როდია საძრახი.

ქედზე ჩვენსაზე დადგმული უღლის,
გულში ჩვენსაში ჩამდგარი მწუხრის
დვრიტაა, გვინდა მართალი თუკი,
არა ლეკი და სპარსი და თურქი,
არამედ ჩვენივ ბუნება წუწკი
და ძველთა ჩვენთა ურთიერთ შუღლი.

კითხულობთ ოცი წლის წინათ დაწერილ ამ სტრიქონებს და რწმუნდებით, რომ ის ჩვენი წარსულისა და ისტორიის შეუმცდარი შეფასება კი არ არის, არამედ უფრო მომავლის ავად და უტყუარად განჭვრეტაა და აკი აგვიხდა კიდეც. ჩვენი ერის დღევანდელი უბედურება და ტრაგედია ბევრწილად განპირობებულია სწორედ ურთიერთშუღლით, არგატანით და დაუოკებელი შურით. სამწუხარო და სავალალო სწორედ ის არის, რომ ეს ყოველივე ყველა ჩვენთაგანისთვის ცნობილია, მაგრამ სათანადო დასკვნები ვერა და ვერ გამოვიტანეთ.

როგორც ჩანს, პოეტმა გაიზიარა ნიჭიერ ადამიანთა ცხოვრების ხვედრი. მისი მუდმივი თანამგზავრია შური და შუღლი. შურთ მისი პოეტური ნიჭისა, მისი კარგი კაცობისა, მისი მართალი, პრინციპული პოზიციისა. ამიტომაც ადრეც, როცა ის არ ღალატობდა ზნეობრივ პრინციპს და განსაკუთრებით ახლა, როცა ჭეშმარიტი მოქალაქის პოზიციას ავლენს, მედროვეთა მთელი დასი, როგორც ერთად თავმოყრილ ფინიებსა და გოშიებს სჩვევიათ ხოლმე, გაკაპასებით უყეფს მას. მაგრამ თავის სიმართლეში დარწმუნებულ პოეტს ეს სავსებით არ აღელვებს. მათი ღნავილი და მტრობა „ღიმილის გარდა“ არაფერს გვრის მას. არც მათ სალანძღავ სიტყვას აგდებს რამედ, რადგანაც მის ნააზრევს სწორედ ის ქირდაეს, ვისაც „**არ უქცევია ჩხირი გვერდად არც ერთხელ**“. ამგვარი გაცნობიერებული პოზიციით, პოეტი მაღლდება თავის მოშურნეებზე და მათ ერთგვარი ირონიით უცქერს: „**შენ ჩემს ნაწერებთან შენი ქაქანითა, ისე პაწია ხარ, როცა მედავები, როგორც როგორ გითხრა, როგორც მაგალითად: ჩემი ლექსებია ჩემთან შედარებით**“. ეს სიტყვები შეიძლება კონკრეტული ადრესატის მისამართით არის ნათქვამი, მაგრამ მთავარი ის არის, რომ შემოქმედი თავის პოეტურ ნიჭში დარწმუნებული რთული პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ვითარების შეცნობის უტყუარი ალღოთი დაჯილდოებული და წარსულის სწორი ანალი-

'სის და მომავლის 'შეუცდომლად განკვრეტის 'ეხარით შემკული, აცსობიერებს თავის 'უპირატესობას და არად აგდებს იმ 'უსამართლობას, დროებამ ასე 'უსიხდისოდ და დაუმსახურებლად რომ 'უწილადა მას: მისთვის ჩვეული გულგაუტეხლობით და ოპტიმიზმით გამოაქვს 'უტყუარი განაჩენი იმ მედროვეთა მიმართ, რომელთაც პოლიტიკური ლიქნით და ფარისეველობით, ერისა და ხალხის ინტერესების გაყიდვით, დროებითი კეთილდღეობა და პირადი ბედნიერება მოიპოვეს:

ყველა,
უკლებლივ ყველა დაცხრება, -
დღეს ვინც ფაფხურობს!
ორგულნო ჩემნო, -
ახლა მხნენო! -
მაშინ საწყლებო! -
რა ხანმოკლეა
თქვენი ზაფხული!

მოხმობილი სიტყვებიც, რომელნიც აგრეთვე ოცი წლის წინ იყო თქმული, არანაკლები სიმძაფრით და აქტუალობით ჟღერენ დღესაც. როგორც ირკვევა, ბედის 'უკულმართობამ და ვერაგობით გაჟღენთილმა გარემომ, რამაც ესოდენ განარისხა თავის დროზე პოეტი, დღესაც იჩინა თავი. მეტიც, ეს განაჩენი თითქოს დღეს გამოუტანა პოეტმა იმ მოფაფხურე ვაი შემოქმედთ, რომელთაც მისი დისკრედიტაცია გაუხდიათ თავისი ცხოვრების მიზნად და ამ განკითხვით ის არა მხოლოდ შემოქმედებით ინტელიგენციას აფრთხილებს, არამედ 'უკლებლივ ყველა ფარისეველს, აგრერიგად რომ მომრაველდნენ ჩვენში ამ ბოლო ხანს.

საესებით ცხადია, რომ ყოფითობაზე ამაღლებულ პოეტს არა იმდენად აღიზიანებს პიროვნული, კერძოდ, მისადმი დანთხეული 'ბურის ბალღამი, რამდენადაც ამ გრძნობის გამოვლენის საყოველთაო ფორმა. მუხრან მაჭავარიანი ღრმად არის დარწმუნებული, რომ „ქვეყანა დაღუპა შურმა“. სწორედ ამის გამო ილაშქრებს ამ სენის წინააღმდეგ, რომელიც ქართველებს მოსდებია და გახუკურნებელ ავადმყოფობად ქცეულა. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, მას ქვეყნის ბედი 'უფრო აწუხებს, ვიდრე პირადი. ამიტომაც პოეტის ფიქრი და ყურადღება თავისი ერისა და ქვეყნისადმი არის მიმართული. იგი კარგად

ვრძნობდა, რომ ის, რაც სუფევდა საქართველოში: სხვათა არდაფასება, მოყვასის გაბეტება, პირადულის წინ წამოწევა, საქვეყნოს უგულებელყოფა და ბრიყვის აღზევებით გახარება, საბოლოოდ დაღუპავდა ერსაც და ქვეყანასაც. აბა, ყური მიეგდოთ პოეტის გულისწუხილს: **„ღირსებას სხვისას კვლავაც რომ ვერ ვგრძნობთ, ძმას ცოცხალ საფლავს რომ ვუთხრით ახლაც, სამშობლოს ჩვენი რომ გვიჯობს ეზო, რეგვენი თუა, – ის რომ გვსურს მაღლა, – ოტიავ ჩემო და ჩემო რეზოვ, – ეს გზა რას გვიზამს, – იმასაც ნახავთ“.** ეს წინასწარმეტყველებაც, რომელიც სამოციან წლებშია გაცხადებული, აღსრულდა.

სწორედ ცხოვრების ამგვარმა „გზამ“, საზოგადოებრივი ყოფის ამგვარმა წესმა მოაქცია საქართველო დღეს ისეთ ჩიხში, რომ იქიდან თავის დაღწევა თუ შეუძლებელი არა, ძალზე ძნელი და საეჭვოა.

ზემოთაც არაერთგზის აღვნიშნე, რომ პოეტის წინასწარმეტყველება ახდა-მეთქი და ქვემოთაც მომიწევს ამის გამეორება, რადგანაც შემოქმედის თითქმის ყველა ლექსი, ადრეულ პერიოდში რომ არის დაწერილი, დღევანდელობით სუნთქავს. ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ ერთი, ჩემი აზრით, ყურადსაღები, მაგრამ შეიძლება მავანთათვის განსაცვიფრებელი ფაქტი: მუხრან მაჭავარიანი აშკარად არის დაჯილდოებული ნათელხილვის ნიჭით, რაშიც გვარწმუნებს როგორც მისი პოეტური ხილვები, ასევე კერძო საუბრებში გამოთქმული პროგნოზები. ალბათ ესეც არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ მის პოეტურ სიტყვას ყველი არ გადის, მეტიც, ის დროთა განმაელობაში უამთასვლასთან ერთად კი არ უფერულდება, ძველდება, არამედ პირიქით, უფრო დიდ, ახალ სიცოცხლეს იძენს და დღევანდელობას განსაკუთრებული სიმძაფრით ესიტყვება და ეხმაურება. ამიტომაც, როცა პოეტის ოცი-ოცდაათი წლის წინანდელ ლექსებს კითხულობ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ ისინი დღეს არიან შექმნილნი, ამჟამინდელ ყველაზე დიდ სატკივარს ეხებიან. მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ეს საოცარი, სხვა შემოქმედთაგან განსხვავებული ნიშანი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

რაც ყველაზე უფრო აწუხებდა და დღეს კიდევ მეტად

აწუხებს პოეტს, არის ის, რომ სულიერად და გონებრივად გამოფიტული ქართველ საზოგადოების დაუკარგავს აღმაფრენის უნარი და სამშობლოსათვის თავგანწირვის ნიჭი. მათი გამოლაყებული ტვინი „ჰგავს ცოცხლად გაპუტულ ფრინველს, სადაც ფრენაზე აღარ სუფევს ფიქრის ნამცეცი". უფრო მეტიც, სიბრიყვე და უგუნურება გაბატონებულა ყველგან. რეგვენი ამაყად, მძიმედ ლაპარაკობს, კმაყოფილი სიფათით დასეირნობს, გამკითხავი კი არავინაა. პირიქით, კაცი თუ ქალი იმაში ეჯიბრება ერთმანეთს, რომ როგორმე ფიქრი და სიტყვა დააშოროს. მათი საზრუნავი საკუთარი მუცლის ამოყორვაა მხოლოდ. ეს გარემოება სიმწრით ათქმევინებს მას:

ვაი ჩვენს პატრონს, ჩვენი ყოფის თავი და ბოლო
ჭამა და საჭმლის მონელება თუ არის მხოლოდ.

ასეთ გაუკულმართებულ ყოფაში გასაკვირი არ არის, რომ უნიჭონი ზეიმობენ, სულელნი აღზევებულნი არიან, სულმდაბალნი ლაღობენ და ზნედაცემულნი ზნეობას ქადაგებენ. ერთი სიტყვით, სოციალურადაც, მორალურადაც ყველაფერი თავდაყირაა: ზნედაცემულნი და ბრიყვნი იმონებენ კეთილსა და გონიერს. უფრო მეტიც, დღეს სიტყვა „ქურდმა" დაჰკარგა უარყოფითი ჟღერადობა. მაღალ ინსტანციებშიც მასზე სიამაყით საუბრობენ გამუდმებით და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქურდების ინსტიტუტი სახელმწიფოებრივი სტრუქტურის განუყოფელ ნაწილად იქცა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს, თუ შარაგზის ყაჩაღი არ ხარ, თავს ვერ გაიტან, თუ ხარ პატიოსანი, შიმშილით ამოგძვრება სული, თუ ხარ მეცნიერი, პედაგოგი თუ მწერალი, ძლივს იბოგინებ, ხოლო თუ ხარ ავტომატშემართული ჯიგიტი, ნება-ნება ილხენ. დიახ, ბატონებო, ეს ყველაფერი დღეს ხდება, ჩვენს თვალწინ, მაგრამ სამწუხაროა, რომ ვერ ვიცნობიერებთ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ამ სულის ძებნ[illegible] დეგრადაციას. სწორედ ამ ჩვენს დღეანდელ სამარცხვინო და საეალალო მდგომარეობას წინასწარმეტყველებდა მუხრან მაჭავარიანი თავის პატარა ლექსში, რომელიც 1971 წელს გამოაქვეყნა. აბა, დააკვირდით, დღეანდელობა რა საოცარი სიზუსტით არის მასში გადმოცემული:

არა იმიტომ, რომ სიტყვა „ქურდმა"
უარყოფითი დაჰკარგა ჟღერა!
არა იმიტომ, რომ თუ ხარ სუფთა, -

შენსავით მტერმა იცხოვრა შენმა! -
საქმე იმიტომ უფროა ცუდად,
რომ ცუდად როა, არ იცის ბევრმა!

დიახ, ბევრმა არ იცის, რა საშალალო დღეში ჩაეგარდით ან, უფრო უარესი, ყოველივე კარგად უწყის და შეგნებულად იბრძვეს თვალებს. მეტიც, შეგნებულად ისე წარმოაჩენს საქმეს, რომ ყველაფერი ძალზე კარგადაა. ამიტომაც არაა გასაკვირი ზოგიერთი ჩვენი თანამედროვის, ვაი ქართველისა და მოღვაწის გამარჯვებული, მოზეიმე იერი. კი მაგრამ, როცა ქვეყანა თავზე გვემხობა, როცა ბოროტება ასე აღზევებულია და უსამართლობა ასე პარპაშებს, რა გვაცინებს და რა გვამხიარულებს?! ასეთი კითხვა უჩნდება ყველა პატიოსან ადამიანს და, მათ შორის, ბუნებრივია, მუხრან მაჭავარიანსაც, რომელმაც მისთვის ჩვეული სიმძაფრით და პირდაპირობით ჰკითხა გადაგვარებული ქართველების ერთ ნაწილს 70-იან წლებში:

დაღონებული როა კაცი, -
მესმის იმ კაცის!
გახარებული კაცის, -
არ მესმის!

ვინც გინდა იყავ, —
გინდა არქიფო,
თუ გინდ ზაქრო! -
რა გიხარია, შე შობელძაღლო!

ამ კითხვას იმეორებს დღეს უფრო მეტი სიმწვავით პოეტი და მასთან ერთად იმეორებს ყველა პატიოსანი ქართველი, ვისაც პიროვნულ კეთილდღეობაზე მაღლა ერის და ქვეყნის სატკივარი დაუყენებია.

მართლაც, საქართველოს საშალალო მდგომარეობის შემყურეთ, სასაცილოდ არა გვაქვს საქმე. შეიძლება ეაჭარბებდე, მაგრამ მაინც უნდა განვაცხადო, ჩვენს ერს ხშირად დასდგომია მძიმე ჟამი, მაგრამ ასეთი — დღეს რომ უდგას, ვგონებ, არასდროს ჰქონია. მიზეზი ამ ჩვენი გაუკუღმართებული და ბნელით მოცული ცხოვრებისა ჩვენშივეა საძიებელი. ჩვენმა ბედოვლათობამ და უდარდელობამ დაგვღუპა. ამიტომაც, მუხრან მაჭავარიანის აზრით, დამნაშავე ყველა ჩვენთაგანია. საკვლევით სამართლიანია პოეტის განქიქება: „**დროს ვინც ემდური, ვინც ბუზღუ-**

ნებ — ეს რა დრო დადგა! გამოყოლილზე ვინც ქაფქაფას იყუდებ კათხას, ვინც გინდა იყავ, დამნაშავე თვით შენც ხარ სადღაც — ქვეყნად თავისით არაფერი არ ხდება რადგან!'

ასეთია მოკლედ პოეტის სულიერი თვალით აღქმული ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მანკიერი მხარეები. სიბნელე, რომელიც გამეფებულია ჩვენში, სხივის ნატამალსაც არ აჭაჭანებს, რომ განინათლოს თვალისჩინი მოაზროვნემ. ეს წყედიადი დღეს თითქმის ყველა მართალი და პატიოსანი კაცის გულში დასადგურებულა. უიმედობა ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველაზე თვალშისაცემი ნიშანია. მაგრამ ადამიანურობის ერთ-ერთი უცილობელი თვისება ისიც არის, რომ ის უკიდურესად მძიმე ვითარებაშიც იმედს არ კარგავს. თუკი უიმედობა მთლიანად ბატონდება კაცის ცნობიერებაზე, მაშინ მისი შეგნებული სიცოცხლეც სრულდება. ამიტომაც ჩვენ სულში, რაც უნდა დეპრესირებული და დაცემული იყოს იგი, სადღაც მაინც ბუუტავს იმედის ნაპერწკალი. მით უმეტეს იმედი არასოდეს გადაუწყდება ისეთი შემართების ადამიანს, როგორიც მუხრან მაჭავარიანია. სწორედ ამის გამო ის, მიუხედავად დღეს გამეფებული ბოროტებისა, იმედიანად გამოიყურება; მას სწამს, რომ **„გზას არ დაჰკარგავს სანთელ-საკმეველი, კელავაც იპოვნის, ვით უპოვნია“** და იმის დიდი იმედიც აქვს, რომ ბოლოს სიკეთე გაიმარჯვებს. ასე ყოფილა და ასე იქნება. ცხოვრების დიალექტიკური განვითარების ჭეშმარიტი ლოგიკა ამას გვკარნახობს. ამიტომაც სავსებით მართალია იგი, როცა წინასწარმეტყველებს: **„რაც რომ ფეხზეა, იმიტოა, რომ დაყირავდეს“**. პირადად მე ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში ეჭვი არ მეპარება.

მუხრან მაჭავარიანის ზნეობრივი პოზიციისა და თუ გნებავთ მსოფლმხედველობრივი კრედოს გასარკვევად აგრეთვე დიდი მნიშვნელობა აქვს მის მცირე მოცულობის ფილოსოფიური ხასიათის ლექსებს, რომლებიც მრავლად მოიპოვება კრებულებში. მაგრამ ამჯერად მათზე ვეღარ შევჩერდებით, რადგან სიტყვა ისედაც გეიგრძელდება. ისინი სერიოზულ ყურადღებას და სპეციალურ კვლევას იმსახურებენ. ოღონდაც არ შეიძლება წერილის დასასრულს რამდენიმე სიტყვით მაინც არ შევეხოთ მწერლის შემოქმედების უმთავრეს ნაკადს — პატრიოტიზმს.

მუხრან მაჭავარიანი საკუთარი თავის შემეცნებამ, სიცოცხლის არსისა და უმთავრესი მიზნის გარკვევამ იმ აზრამდე მიიყვანა, რომ ის, როგორც ინდიელი, განწირულია მშობლიური ქვეყნისათვის და არა ქვეყანა მისთვის და, ამდენად, მან თავისი კეთილდღეობა, მეობა მსხვერპლად უნდა გაიღოს თავისი სამშობლოსა და ხალხისთვის და არა პირუკუ, მათგან მოიპოვოს ბედნიერება. ამიტომაც, პოეტის ღრმა რწმენით, კაცი მამულს უნდა გამოადგეს „**ან სიცოცხლით, როგორც ვაჟა! ან სიკვდილით, როგორც ცხრა ძმა**". სხვა გზა ცხოვრებისა მას არ ესახება. ეს არ გახლავთ გულზე ხელის მობრაგუნე პატრიოტის მოწვენებითი პოზა, არა! მუხრან მაჭავარიანის გონიც და სულიც მთლიანად ეროვნულობის უინტიმესი გრძნობით არის ნასაზრდოები და იგი წარმოადგენს საძირკველს, რომელზედაც აღმოცენებულია ყველა სხვა მსოფლმხედველობრივი თვალთახედვა. ამიტომაც, როგორც უკვე ვთქვი, სამშობლოს სიყვარული მისთვის მხოლოდ ახლობელი, ადამიანური გრძნობა კი არ არის, არამედ ზნეობრივი კატეგორიაა. მეტიც, ის რელიგიური რწმენის დონეზეა გაცნობიერებული და მოაზრებული.

ახლა არ გავკადნიერდები და არ შევუდგები სამშობლოს, როგორც ცნების განმარტებას, არც პატრიოტული გრძნობის დადებითი თვისებების ჩამოთვლას შევუდგები. ამაზე ბევრი დაწერილა და მდიდარი ლიტერატურაც არსებობს. მაგრამ მიუხედავად ლიტერატურის სიმრავლისა, მაინც ჭირს ერთი საერთო თვალთახედვის, ჩამოყალიბებული აზრის შემუშავება. თუმცაღა ეს გრძნობა მრავლისათვის ახლობელია, მაგრამ მასზე საუბარი ისევე ძნელია, როგორც, მაგალითად, შვილისა და მშობლის სიყვარულზე. მართლაც, შეეცადეთ და რაციონალური მსჯელობით დაამტკიცეთ, თუ რატომ გიყვართ საკუთარი შვილი ან მშობელი ასე ძლიერ, და ხელში შეგრჩებათ არაფრისმთქმელი, სქემატური მსჯელობა. სამშობლოს სიყვარულიც ასევეა. ეს არის უშინაგანესი განცდა, რომელიც რაციონალურ განმარტებას ძნელად ექვემდებარება. სამშობლო მაღალი ღმერთის მსგავსად ან უნდა იწამო, ან – არა. რწმენის დარად მის სიყვარულს მსჯელობით ვერ მოიპოვებ და ვერც გაიძლიერებ. იგი თანდაყოლილი გრძნობაა, მაგრამ მერმე **კულტურის სულიერი შრეებით** ნასაზრდოები და გაღ-

ვიკებული. ამიტომაც, რაც უფრო ტრადიციულ-კულტურულ გარემოში იზრდება ადამიანი, რაც უფრო მეტი გაანსია სულიერი საკვები და სულიერი მოწიფულობა აქვს, მით უფრო ძლიერი და ყოველისმომცველია ეს გრძნობაც.

მუხრან მაჭავარიანმა სამშობლო იწამა ვითარცა ღმერთი. ის მისთვის სალოცავი ხატია, რომელთანაც დაკავშირებულია პოეტის ცნობიერების თითქმის ყველა ნაკადი და სულიერ-ზნეობრივი სრულყოფის და ამაღლების გზები.

ზემოთ აღვნიშნე, რომ სამშობლოს სიყვარული თანდაყოლილი გრძნობაა, რომელსაც კულტურული ყოფა ასაზრდოებს და ავითარებს-მეთქი. მაგრამ აუცილებლად მხედველობაში მისაღებია აგრეთვე ისტორიული კონტექსტიც. მუხრან მაჭავარიანის პოეზიაში პატრიოტული გრძნობის ესოდენ მძლავრად და მკვეთრად გამოვლინებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ მისი ქვეყნის, სალოცავი ხატის, შებილწვას ლამობენ დღესაც. პოეტის თვალწინ ხდებოდა ამ უწმინდესი გრძნობის გათელვა, ილანძღებოდა მისი გმირული წარსული, ღირსეულ შვილთა მოგონებაც და მათზე სიამაყით საუბარი ოფიციოზის უკმაყოფილებას იწვევდა. იდევნებოდა ქართული ენა. ის გაძევებული იყო ყველა სახელმწიფო ორგანიზაციიდან და იწყებოდა მისი ამოძირკვა სასწავლო დაწესებულებებიდან. ერთი სიტყვით, მეთოდურად ხორციელდებოდა არა მხოლოდ პატრიოტული გრძნობის ამოშანთვა, არამედ სამშობლოს ცნების ამოძირკვა მეხსიერებიდანაც. ყველაზე ამაზრზენი ის იყო, რომ გარეგნულად თითქოს ეროვნული კულტურა და სულიერება იფურჩქნებოდა და პატრიოტიზმის გრძნობას ვაღვიეებდით, სინამდვილეში კი ყბადაღებული ინტერნაციონალიზმის შეგნებას ძალად ვუნერგავდით ადამიანს. გვავიწყდებოდა ერთი მარტივი ჭეშმარიტება, – პატრიოტიზმის გარეშე, საკუთარი ერის სიყვარულის გარეშე ინტერნაციონალიზმის ცნება იმ ხესა ჰგავს, რომელსაც ფესვები არა აქვს და ჰაერშია გამოკიდებული. ვინ იყო ჩვენში ამ მოჩვენებითი ჰუმანურობით გაბუშტული ინტერნაციონალიზმის სულისჩამდგმელი და რას ქადაგებდნენ ეს ვაუბატონები, ყველას კარგად მოეხსენება და ამაზე აღარას ვიტყვი.

ცოტაოდენი სულის მოთქმის შემდგომ კვლავ უდგება მძიმე ჟამი ქართველებს, ოღონდაც ახლა ინტერნაციონალიზმის

ნაცვლად ფეხს იკიდებს უფრო უსახო, უფრო საშიში და ძნელად მოსაგერიებელი კოსმოპოლიტიზმის ცნება. მასობათა მსოფლმხედველობის ეს წარმმარიველი ძალა მძიმედ მოდოდავს, მაგრამ მახრასაკით ხრავს ეროვნულის ყოველგვარ გამოვლინებას. მოდის იარაღით, მოდის ცოცხალი ტექნიკით, მოდის მატერიალური დოვლათით, დოლარებით, მარკებით და, რაც ყველაზე საშიშია, ყალბი, ცრუ ჰუმანური, თითქოს კაცთმოყვარე ლოზუნგებით და სურს ყველაფერი ეს თავს დააყაროს ეროვნული ცნობიერების საძირკველს და ქართული სული ამ მატერიალურ სანაგვეში სალასასოდ გაწიროს. ასე რომ, „ისევ დგას დღის წესრიგში ბედი ქართლისა და ქართლის ჭირი". ალბათ ამის გამოც არის, რომ მუხრან მაჭავარიანის ეროვნული სულით გაჟღენთილმა და პატრიოტული გრძნობით დამუხტულმა პოეტურმა სიტყვამ დღეს ახალი, ვიტყოდი, უფრო შთამბეჭდავი სიცოცხლე შეიძინა როგორც აზრობრივი, ასევე ემოციური ზემოქმედების თვალსაზრისითაც.

მუხრან მაჭავარიანს თავის ერთან, უპირველეს ყოვლისა, აკავშირებს გენეტიკური კოდი, რომელიც ისტორიულ ჭრილში გააზრებული და წარმოადგენს ქართველთა მოდგმის ფიზიკური არსებობის, მათი ნათესაობისა და ერთობად ჩამოყალიბების დვრიტას. ეს გენეტიკური კოდი უპირველესად წარმოჩენილია ქართულ სისხლში, რომელიც თაობიდან თაობაში გადაეცემა შთამომავლობას და რომელიც, საბედნიეროდ, დღესაც დუღს ქართველთა ძარღვებში. არანაკლებია, თუ არა უფრო ძლიერი, ინდივიდის სულიერი კავშირი და ნათესაობა თავის წინაპრებთან, რომელიც უკვე კულტურის ძეგლთა, ისტორიულ მოვლენათა მოაზრებით შეიმეცნება. ერთი სიტყვით, მდიდარი ქართული ცივილიზაცია, მისი გმირული წარსული გამხდარა პოეტის სულის ამაღლებისა და განწმენდის უმთავრესი წყარო. ასე რომ, ქართული სული და სისხლი, ქართველთა ფიზიკური და სულიერი თვისებების გამომხატველი სიმბოლოები, პოეტის გაგებით, აყალიბებენ ერის ცნებას და წარმოადგენენ ქართული ცნობიერების ძირითად ბერკეტებს, რომელთა წყალობითაც ხერხდება როგორც ერის წარსულთან მჭიდრო კონტაქტი, ასევე მისი მომავლის და პერსპექტიეის განჭვრეტა და გააზრება. და რადგანაც მუხრან მაჭავარიანის ფილოსოფიური თვალთახედვით „დღე დღევანდელი –

ფიქრია მხოლოდ! — მომავალზე და წარსულზე ფიქრი". ამიტომაც ის, უპირველეს ყოვლისა, საქართველოს წარსულს იძიებს, მისი გმირული ისტორიული ფურცლები გამოაქვს საჯაროობაზე, რათა აღაგზნოს თვლემასმიცემული და ისერტული თანამედროვე საზოგადოება და ქვეყნის მომავალზე, მის ბედსა თუ უბედობაზე დააფიქროს.

პატრიოტული გრძნობის გასაღვივებლად ამგვარი გზა უცხო არ არის ქართული პოეზიისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში არა მეთოდის სიახლეა ყურადსაღები, არამედ განცდის სიღრმე და მისი განცხადების უშუალობა და მაღალსიჭვერება. ჩემი ღრმა რწმენით, თანამედროვე ქართულ პოეზიაში, თუ არ მივიღებთ გოგლა ლეონიძის კოლორიტულ ფიგურას მხედველობაში, ერის წარსული ისე არავის გაუშინაგანებია და გაუთავისებია, როგორც მუხრან მაჭავარიანს, რაც აგრეთვე უნდა აიხსნას მისი ადამიანური ხასიათითა და მსოფლმხედველობრივი კრედოთი.

პოეტს ეამაყება, რომ ქართველებში „სცემს ბოლთას სისხლი" შოთა რუსთაველის, საბა ორბელიანის და, საერთოდ, წინაპრებისა — იმათი, „ყველაზე უწინ ვინც გასხლა ვაზი... ვინც სხვაზე უწინ გასჭედა რკინა... ქრისტეს შობამდე ვინც შექმნა წიგნი"... დიახაც, მუხრან მაჭავარიანს სიხარულით აევსებს ის, რომ ძველი ქართული, სად არ დაღვრილი სისხლი, ნადიდგორალი და ნაშამქორალი, ჩქეფს მის ძარღვებში. ეამაყება იმიტომ, რომ სწორედ ქართული სულისა და სისხლის ღვაწლია, „რამაც აქამდეც კი მოაღწია! სვეტიცხოველი... ხანძთა... ვარძია და ისიც, — რაც მტერს წარუტაცნია". ქართული გენეტიკური კოდის ეს გაუწყვეტელი ჯაჭვი, ეს შთამომავლობითი ნათესაობა და სულიერი ერთობა არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი პატრიოტული გრძნობის დაბადებისა ადამიანში. როცა შემოქმედს ღრმად სწამს, რომ „ვითარცა ღვინო — ქვევრიდან ხაპში — ხაპიდან დოქში — დოქიდან ჯამში — ქართული სისხლი, ქართული სული, ქართული სიტყვა, ქართული გული გადადიოდა კაციდან კაცში." როცა ის აცნობიერებს, რომ, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა („გზადაგზა სვამდნენ, ამღვრევდნენ, ღვრიდნენ, უღმერთოდ ჰრყვნიდნენ, უგულოდ ჰყიდდნენ"), მაინც გამოიარა სახელოვან ქართველოა (რუსთველის, ვახტანგის, თამარის, სელხანის) გზები და მომა-

ვალ'ში მარად ისქეფენებს და იხმაურებს. არ შეიძლება პატრიოტ'ულმა გრძნობამ და მით აფეთქებ'ულმა სიამაყემ მთლიანად არ დაატყვევოს შემოქმედის ს'ული და ფონება. სიტყვამ მოიტანა და ბარეს აქვე დაუსძენ. ზემოთ ციტირებ'ული ლექსი, „ვითარცა მტკვარი" თავისი დინამიზმით ქართ'ული ს'ულისა და ენ'ის მარადიულ მოძრაობას რომ გადმოგვცემს, პრობლემათა გააზრების სიღრმით და, რაც მთავარია, განცდის საოცარი უშ'უალობითა და გ'ულწრფელობით იშვიათი ნიმ'უშია ქართ'ული პატრიოტ'ული ლირიკისა.

მართალია, საქართველოს ისტორი'ული და კ'ულტ'ურ'ული წარს'ული ასაზრდოებს პოეტის ქართ'ულ ცნობიერებას, მას ვერც კი წარმო'უდგენია საქართველო მდიდარი კ'ულტ'ურ'ული წარს'ულის გარეშე: **„საქართველოა, რა საქართველო?!"** – აცხადებს პოეტი ჭეშმარიტი გ'ულწრფელობით – **„უსვეტიცხოვლო, უგელათო, უალაევერდო?!"** მაგრამ მ'ეხრან მაჭავარიანს ისიც კარგად აქვს შეგნებ'ული, რომ რაც არ უნდა მდიდარი და გმირ'ული წარს'ული გააჩნდეს ერს, ის ოდენ წარს'ულით ვერ იარსებებს და გადაგვარდება, თ'უკი დღევანდელობით, აწმყოთი არ საზრდოობს და მომავალს იმედით არ შესცქერის. პოეტი, მიუხედავად წინაპართა ღვაწლის დიდი დაფასებისა, მაინც პირდაპირ ასე სვამს კითხვას: **„როდემდე უნდა იამაყოს ქართველმა ხალხმა ისევ და გინდა მხოლოდ შოთათი, გინდა ცოტნეთი?!"** და მისთვის ჩვეული გ'ულწრფელობით და პირდაპირობით გვა'უწ'ყებს: **„წარს'ული კარგი! ძალიან დიდიც! აუგი ვინ თქვა! მაგრამ ერთს ვიტყვი, პირდაპირ ვიტყვი, გაწი-გამოწი! – დღეს რაც ხარ! ის ხარ"**. ამიტომაც, პოეტის ღრმა რწმენით, მდიდარი ისტორი'ული წარს'ულით სიამაყე ცუდი როდია, მაგრამ მთავარი მაინც დღევანდელი და ხვალინდელი დღეა. ასე რომ, თ'უკი **„დევგმირთა ძველთა ვერ შევმატებთ უკეთუ ახალთ"**, ოხრად დაგვრჩება ყოველივე, რაც ჩვენი წინაპრების წ'ყალობით მოგვიპოვებია. ასეთია მამ'ულის მომავალზე დაფიქრებ'ული შემოქმედის პოზიცია და ეს საუსებით გასაგებია. პოეტს კარგად აქვს გაცნობიერებ'ული, რომ დღემდე ქართველმა ხალხმა ბრძოლით და ციხით მოაღწია. მაგრამ **„აწი? დღეის შემდეგ? დღეის ამას იქით?"** აი, საითკენ არის მიპყრობილი შემოქმედის მთელი ყ'ურადღება და რა არ ასვენებს მას. ის ე'ემანითა და ნათელმხილველის მ'ხერით იმასაც ჭვრეტს, რომ ქვეყნის მომავალი ია-ვარდით არ არის მოფენილი, სისხლი,

რომელიც უხვად დაუღვრია ნვენს წინაპრებს, კელავეაც დაიღვრება. ამიტომაც მწერალი გოდებს და წუხს არა იმდენად უკვე დაღვრილ, რამდენადაც დასაღვრელ სისხლზე: „**სისხლზე გოდებენ სხვები დაღვრილზე, მე დასაღვრელი მედარდეის სისხლი**". დღევანდელობას თუ შეეუწყოსით ამ სიტყვებს, მაშინ პოეტის ნათელმხილველობის ნიჭში ეჭვის შეტანა გაძნელდება, თუმცა, თუ საერთოდ გავითვალისწინებთ პოეტის პოზიციას, ეს გოდება სინანულის მომცველი როდია. პირუკუ, სამშობლოსათვის სისხლის დაღვრა წმიდათაწმიდა ვალია ყველა ქართველისათვის. პოეტი სიამაყით აცხადებს, რომ „**ჯერ კიდევ, ღვთით, შემოგვრჩა სისხლი იმდენი, – კელავ რომ დაეღვაროთ, – დასჭირდება სამშობლოს თუკი!**" ხოლო ვინც მზად არ არის ერისათვის თავი გასწიროს, ანდა ვისაც არ სწამს, რომ ქართველი ამას მოიმოქმედებს, ის ქართული მიწის ღირსიც არ არის. პოეტს მკაცრი განაჩენი გამოაქვს ამგვარი ვაი ქართველებისათვის:

„და, თუა ვინმე, -
ეს ამბავი არ სჯერა ვისაც;
ურწმუნო იგი, -
მითუმეტეს თუა ქართველი! -
არც მკვდარს,
არც ცოცხალს -
არ ეკუთვნის მას ქართლის მიწა!
კაცი ასეთი
ცხენის ძუით არის სათრევი!

პოეტის ეს განაჩენი ოდენ ემოციებით არ არის ნასაზრდოები და არც პათეტიკური განცხადებაა. ეს არის დაუნჯებული ადამიანის ფიქრისა და აზრის შედეგი, რომელიც გულწრფელობითა და სიმტკიცით რწმენის პოსტულატად აღიქმება.

ადრეც აღენიშნე და ახლაც უნდა გავიმეორო, რომ მუხრან მაჭავარიანის მსოფლგანცდაში სამშობლოს სიყვარული რელიგიური რწმენის სიმაღლეზეა მოაზრებული. მისი ეს სიყვარული ღვთის აღიარებისა და რწმენის ტოლფასია. მეტიც შეიძლება ითქვას, – მუხრან მაჭავარიანისათვის სამშობლოს ცნება უფრო ახლობელი და მისაღებია, ვიდრე უფლისა. და ამიტომაც ის პატრიოტულ გრძნობას უპირატესობას ანიჭებს რელიგიურ გრძნობასთან შედარებით. პოეტის ეს თვალთა-

ხედვა. რომელიც თვალნათლივ არის გაცხადებული ლექსში „ჰინა და პინა", ასევე არ გახლავთ ემოციასაყოლილი კაცის წამიერი „სისუსტე". არა, ეს თუნა ისტორიულ ჭრილში აქვს გააზრებული და დღევანდელ ვითარებასთან შეჯერებული სიცოცხლითაა გაცნობიერებული. რადგანაც ხსენებული ლექსი სრულად ასახავს პოეტის თვალთახედვას მამულზე, ამიტომაც თავს ნებას მივცემ მთლიანად მოვიყვანო იგი.

– არ ეწყინება ყოველად ძლიერსო! -
და, ჩვენში წინათ,
ძალიან ხშირად, -
პინას, -
რომელზეც იდგა იესო, -
მამულიანი
ჯაბნიდა
პინა
. . . . . .
არაფერია, მე მგონი, ახლაც, -
ღირსი
დადგომის
მამულზე
მაღლა!

იშვიათია დღეს შემოქმედი და, თუ გნებავთ, საერთოდ ადამიანი, ვისაც ისე ამშვენებდეს ეს სიტყვები, როგორც მუხრან მაჭავარიანს, და ეს იმიტომ, რომ ის, როცა ამ სიტყვებს წერდა, საესებით გულწრფელი იყო და ყოველგვარი პოზური პათეტიკისგან დაცლილი. მართლაც რომ, პოეტისათვის სამშობლოს სიყვარული უწმინდესი გრძნობა და მოვალეობაა, რომელიც მაღლა დგას ყოველგვარ რელიგიურ პოსტულატსა თუ ფილოსოფიურ კატეგორიაზე. ის გაცილებით დიდია, ვიდრე თაყვანისცემის ბრმა გრძნობა, ანდა თუნდაც ისეთი ფილოსოფიურ-ზნეობრივი კატეგორია, როგორიც არის ჭეშმარიტება, ადამიანის სრულყოფის საზომად რომ გამხდარა. რადგანაც, შემოქმედის ღრმა რწმენით, სამშობლოს სიყვარული უკვე თავისთავად არის ზნეობრივი, რომელიც ადამიანის სულს სრულყოფამდე ამაღლებს. ამავე დროს ის არის ესთეტიკურიც, რამეთუ სამშობლო, პოეტის რწმენით, უმაღლესი მშვენიერების ხატია. მეტიც, ის თავისთავადი მშვენიერებაა, რომელიც ავ-

სებს და სილამაზეს ანიჭებს ხილვად სამყაროში გამოტყორ-
ცნილ ხატებს და ყოველგვარ წარმოჩენილ ფორმას. დაბო-
ლოს, ის არის თავისთავადი ჭეშმარიტება, უფრო მართებუ-
ლად, გააზრებული ჭეშმარიტების ის კრიტერიუმი, რომლი-
თაც უნდა იხელმძღვანელოს ადამიანმა თავისი ცხოვრებისა
და მოღვაწეობის, თავისი სულიერი სრულყოფის თუ მარადი-
ულობასთან მიახლოების გზაზე. პოეტის ეს მრწამსი სავსე-
ბით აშკარად და სარწმუნოდ გაცხადებულია როგორც მის
პოეზიაში, ასევე ცხოვრების წესშიც. ამაში ეჭვის შეტანა ურ-
წმუნო თომებსაც არ ძალუძთ.

პოეტის პატრიოტულ ლირიკაზე დაუსრულებლივ შეიძლე-
ბა საუბარი. მაგრამ, ჯერ ერთი, სიტყვა ისედაც გამიგრძელდა
და, მეორეც, ამ ლექსების ანალიზი, შინაარსობრივი რკალის
გადმოცემა იმდენს ვერ შეაგრძნობინებს მკითხველს, რამდე-
ნსაც თავად ეს ლექსები. ამიტომაც ვასრულებ ჩემს მოკლე
მიმოხილვას მისი პატრიოტული ლექსებისას და მკითხველს
ვურჩევ კიდევ ერთხელ გულდინჯად გადაიკითხოს ისინი.

რა შეიძლება ითქვას წერილის დასასრულს: ჩვენ შეეეცა-
დეთ ძალზე მოკლედ შეეხებოდით მუხრან მაჭავარიანის ლექ-
სის ზოგიერთ სპეციფიურობას. ცხადია, თქმულით არ ამოი-
წურება პოეტის უაღრესად რთული და საინტერესო მხატვრუ-
ლი სამყაროს თავისებურებანი. ამის გარკვევას და სრულ
ანალიზს რამდენიმე მონოგრაფია დასჭირდება და ალბათ მო-
მავალში ასეც იქნება – დიდტანიანი წიგნები მიეძღვნება მისი
შემოქმედების შესწავლას. მიუხედავად იმისა, რომ დღეს მუხ-
რან მაჭავარიანის პოეზიას თაყვანისმცემელნი არ აკლია, მო-
მავალში მისი პოეტური სიტყვისადმი გაცილებით გაიზრდება
ყურადღება და ინტერესი. ამ წერილით კი გვინდოდა საკუთა-
რი ფიქრები გამოგვეთქვა იმ კაცსა და შემოქმედზე, რომლის
თავზე განგების დოლაბი ტრიალებს. დალხინებული და ბე-
დით განებივრებული არასოდეს ყოფილა, რადგანაც სამშობ-
ლოს და სიმართლეს მსახურებდა და არც როდის, მავანთა
მსგავსად, კუდს არ უქნევდა და ფერხთ არ უგორდებოდა
ძლიერთა ამა ქვეყნისათა. დღეს, როდესაც ასე უჭირს ქვეყა-
ნას, როცა ყველაფერი თავდაყირა დგას, როცა უზნეობა გა-
მეფდა ირგვლივ, როცა კანონიერს უკანონოდ და უკანონოს
კანონიერად ნათლავენ, როცა ბოროტებას სიკეთედ და სიკე-
თეს ბოროტებად ნერგავენ, როცა უზნეონი არ იღლებიან ზნე-

ობაზე საუბრით და ამაღლებული სიყვარულის გრძნობის სიწმინდეზე მაცალთმავალი კაცები და, თუ გნებავთ, დედათმავალი ქალები ლაქლაქებენ, დიდი ვაჟკაცობაა საჭირო, რომ მართალი სიტყვა თქვა. მუხრან მაჭავარიანი მისთვის ჩვეული სწორუპოვრობით ჭეშმარიტ მამულიშვილურ პოზიციაზე დადგა და კვლავაც ქვეყნის ბედი საკუთარ კეთილდღეობაზე მაღლა დააყენა. სწორედ ამის გამო ის შევიწროებული და დევნილია, მაგრამ ეს მდგომარეობა უცხო არ არის მისთვის. მან ისიც კარგად იცის, რომ 1937 წელს ზუსტად ის ხდებოდა, რაც დღეს ხდება. მაშინაც სულ რამდენიმე კაცმა აღიმაღლა სიმართლისთვის ხმა, მორჩილი უმრავლესობა კი ფეხებს ულოკავდა სისხლიან ბელადებს. ახლაც ასეა: ყოფილ პარტოკრატს, საბჭოთა კავშირის სულისჩამდგმელსა და მისი ერთიანობისთვის დაუზოგავ მებრძოლს, რომელიც ამ ბოლო დროს დემოკრატის ქურქში მოგვევლინა, ტაშს უკრავს, ჩვენდა სამწუხაროდ, შემოქმედებითი ინტელიგენციის დიდი ნაწილი. მხოლოდ მცირედსღა შესწევს ძალა, ბნელს ბნელი დაარქვას და ნათელს ნათელი. ამიტომაც დღეს, როგორც არასდროს, მუხრან მაჭავარიანის მართალი სიტყვა და პოეზია იძენს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და ღირებულებას. მასაც ღრმად აქვს გაცნობიერებული, რომ მიზანი არასდროს ყოფილა „**დიდი იმდენად, რამდენადაც არის ამჟამად**". დაბოლოს, უნდა განვაცხადო, რომ, თუკი საქართველოს სიცოცხლე უწერია, მუხრან მაჭავარიანის პოეზიას მივიწყების ჟანგი არ მოედება. მას და მასთან ერთად ჩვენც გვწამს, მსახვრალი ხელი ვერას დააკლებს მრავალტანჯვაგამოვლილ ქართველ ხალხს. ამიტომაც სავსებით ბუნებრივია, პოეტის მტკიცე რწმენით, ოპტიმიზმით აღსავსე მისი სიტყვები, რომლითაც გვინდა ეს წერილი დავასრულოთ:

სახელი ჩემი
არ გახდება არასდროს უტყვი,
მეც ვამჩნევ ჩემსას
დედაენას რამეთუ ორნატს,
ჩემი,
ჩემამდე
ქართველთათვის უცნობი სუნთქვით!

1992 წელი

„საქართველოს მოღალატეს ოცდაათი ტყვია!“

დრო, რომელ'შიც ჩვენ ვცხოვრობთ და ვმოღვაწეობთ, დიდი კატაკლიზმებით ხასიათდება, რაც, როგორც მოსალოდნელი იყო, საზოგადოებრივი ყოფის მძაფრ კონტრასტს და დაპირისპირებას ქმნის. ეს კი, ბუნებრივია, გავლენას ახდენს შემოქმედის სულიერ განწყობილებაზე, ფსიქიკურ თუ გონებრივ დონეებზე, რაც შემდგომ თავს ინენს მის ნაღვაწსა და ნამოქმედარში. ამიტომაც შემოქმედის მსოფლმხედველობრივ-ესთეტიკური კონცეფცია, სტილისტიკური თავისებ'ურება ბევრწილად დამოკიდებ'ულია ობიექტ'ურ გარემოზე. უფრო მართებ'ულად, იმ მატერიალ'ურ თუ სულიერ მდგომარეობაზე, სუბიექტის მეობას რომ საზღვრავს და ასაზრდოებს. ამავე დროს ისიც ცნობილია, რომ, რაც 'უფრო მძაფრია დადებით თუ 'უარყოფით ძალთა შეხლა-შემოხლა, რაც 'უფრო ძლიერია რადიკალ'ურად განსხვავებული მ'უხტების შეჯახება, მით 'უფრო თავის'უფლდება გონების მარწ'უხებიდან ინტუიცია და ფართოდ იღება სარკმელი შინაგანი, გა'უცნობიერებელი გრძნობების გადმოსაფრქვევად. ამიტომაც არის, რომ ზღვრ'ულ სიტ'უაციებ'ში ადამიანი თავის შინაგან ბ'უნებას 'უფრო აელენს, ვიდრე მ'შვიდ გარემო'ში. ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ შემოქმედის სულიერი (შინაგანი) თვალის გასახელად 'უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს განცდის სიღრმეს და სიძლიერეს, რაც, როგორც 'უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად თუ არა, დიდად არის დამოკიდებ'ული კონტრასტის სიმკვეთრეზე. 'უკვე ითქვა, რომ ეგზალტაცია, რომელიც ჭეშმარიტი შემოქმედების გან'უყოფელი ატრიბ'უტია, ღრმა სულიერი განცდიდან, მწ'ეხარებისა თუ სიხარ'ულიდან და, რაც მთაეარია, მათი მკვეთრი მონაცვლეობიდან იღებს დასაბამს. ამიტომაც, როგორც წესი, დიდი შემოქმედებითი აღტყინება სწორედ დიდ შინაგან განცდებთან, მეტიც, ხ'შირად პიროვნ'ულ ტრაგიზმთა-

ნაც არის დაკავშირებული. ყოველ შემთხვევაში, ამ განცდის გარეშე ვერ შეიქმნება ისეთი ქმნილება, რომელსაც ახლავს ხელოვანის გულის ნაწილი, ანუ, სხვაგვარად რომ ეთქვათ, ყოველგვარი პრაქტიციზმისაგან დაცლილი ჭეშმარიტი გულწრფელობა, ასე რომ ამშვენებს ნებისმიერ ქმნილებას.

მაგრამ, მეორე მხრივ, სიტუაციათა და ეითარებათა სწრაფი ცვლა, არასტაბილურობა და მომავლის გაურკვეველობა ადამიანში იწვევს გონების დაძაბვასაც და მისი მაკონტროლებელი ფუნქციის გაზრდასაც, რაც ძირითადად პრაქტიციზმთან და ინდივიდის პირადი კეთილდღეობის დაკარგვის შიშთანაა დაკავშირებული. ასეთ შემთხვევაში შემოქმედი ინიღბება ან, საერთოდ, დუმილს ამჯობინებს, ან არადა — ცდუნებასთან, უფრო მართებულად, კომპრომისთან წილნაყარი წერს იმას, რისიც თავადაა შინაგანად წინააღმდეგი. ასე იყო 30-იან წლებში, ასეა დღესაც. მავანმა, რომელსაც გამძაფრებული აქვს სინდისის შინაგანი ხმა, ისე გამოაელინა თავისი თავი და ისეთ შემოქმედებით სიმაღლეებს შესწვდა, რომ სხვა ეითარებაში, თუნდაც ხუთი წლის წინანდელ ყოფაში, ამას ვერ შეძლებდა. ხოლო მავანი დამუნჯდა, რადგანაც კარგად გრძნობს, რომ ის, რაც დღეს ხდება, ოდენ ბოროტების ზეიმია. ამ მოვლენების იმგვარი წარმოსახვა კი, რომელსაც დღევანდელი კონიუნქტურა კარნახობს, მის შემოქმედებით ბიოგრაფიას სახვალიოდ სიკეთეს ნამდვილად ვერ მოუტანს და შაკ ლაქად დააჩნდება. ამიტომაც, როგორც ვთქვი, დუმილს ამჯობინებს. თუმცა არიან ისეთი მუცელს აყოლილი პრაგმატიკოსები, რომელთაც დღევანდელი კვერცხი (სავარძელი) ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს (დიდებას), ხოტბას ასხამენ იმას, რაც არ სწამთ, ხოლო როცა შინაგანი თვალთახედვა და რწმენა აკლია შემოქმედს, ის ვერა და ვერ შექმნის ხელოვნებისათვის ღირებულ ძეგლს და ოდენ ნაცოდვილარით დაკმაყოფილდება, რომელიც დღევანდელობისათვის მისაღები კონიუნქტურის ნაბუშარი იქნება მხოლოდ.

სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, მოკლედ მოვჭრი, დღეს (ასე იყო წინათაც და, ალბათ, ყოველთვის) ოფიციოზისაგან დევნილი და შეეიწროვებული მწერალი, თავის სიმართლესა და ზნეობრიობაში დარწმუნებული, შემოქმედებით არენაზე თავს ლაღად გრძნობს, მაქსიმალურად აელენს თავის პოტენ-

ციურ ნიჭიერებას და ისეთ მხატვრულ სიტყვას ძერწავს, ერის სულს სალბუნად რომ ედება. ხოლო ამჟამინდელი, სისხლიანი ბილიკებით მობრძანებული, ხელისუფლების მიერ „საპატიოები", უხვად დასაუქრებული ხელოვანი კი, შინაგანად გაორებული და მერყევი, რომელსაც ზნეობრივი ორიენტირი დაკარგული აქვს, შემოქმედებით კრიზისს განიცდის და ვერაფერს ქმნის საზოგადოებისთვის ღირებულს. ამიტომაც, ერთი შეხედვით, მათი გარეგნულად ლაღი და უდარდელი სიცოცხლე თავის თავში დიდი ტრაგიზმის მარცვალს ატარებს, ასე რომ, ერთი დიდი ბერძენი ფილოსოფოსის სიტყვების პერიფრაზს თუ მივმართავთ, მაშინ შეიძლება ასეთი თვალსაზრისიც გამოვთქვათ: ის, რაც ბედნიერებად და კეთილდღეობად გვესახება ამ წარმავალ და მოჩვენებით წუთისოფელში, ოდენ ილუზიაა და, მეტიც, უბედურება ყოფილა, თურმე; ხოლო ის, რაც შეჭირვებად და ტრაგიზმად გვეჩვენება, ნამდვილ ბედნიერებად უნდა აღიქვას, ყოველ შემთხვევაში იმ ადამიანმა მაინც, ვინც მუზის გულწრფელი მსახურია. რაღა ბევრი გავაგრძელო და, დღეს მწერალთა და ხელოვანთა დიდი არმია დუმილს ამჯობინებს, მცირე ნაწილი სიცრუესა და ბოროტებას ქადაგებს, და მხოლოდ თითზე დაითვლებიან ისინი, ვინც არ უღალატა ჭეშმარიტებას, ერსა და მამულს და თავისი სიცოცხლის ფასადაც კი მხატვრული სიტყვით ებრძვის იმ ბნელეთს, უსამართლობასა და უზნეობას, რომელიც ამჟამად საქართველოშია გაბატონებული. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, იმ შემოქმედთა რიცხვს, ვისაც დღეს სრული მორალური უფლება აქვს პოეტური სიტყვა უთხრას ქართველ ხალხს, ეკუთვნის ახალგაზრდა პოეტი ქალი თინათინ მღვდლიაშვილი.

თინათინ მღვდლიაშვილის შემოქმედებით ასპარეზზე გამოჩენა ეროვნულ მოძრაობას დაემთხვა. უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, ეროვნული სულის საყოველთაო აღტყინებამ განახვნევინა მას ბაგენი და ისე ათქმევინა პოეტური სიტყვა, რომ დრო არ დაუტოვა განსასჯელად და საჭოჭმანოდ. ასე ემართებოდათ ძველად იმ ხელდასხმულთ, ვისაც ღვთიური შთაგონება ეახლებოდა და ვის გულსაც ჭეშმარიტი რწმენა დაეპატრონებოდა. ხოლო ამ ტალღაზე აგორებულ სიტყვას, რომელიც აბსოლუტურ ჭეშმარიტებასთან წამიერი კონ-

ცაქცეის და თანაზიარების გასცდით იბადება, მიუხედავად სტილისტიკური დაუხვეწლობისა, აქვს საოცარი ძალა დარწმუნებისა და მკითხველის თუ მსმენელის მონუსხვის და დატყვევებისა. სწორედ ეს მიზეზი განაპირობებს თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიის ერთ არსებით სპეციფიურობას: მიუხედავად იმისა, რომ მისი ლექსი არც თუ იშვიათად ტექნიკურად გაურანდავია, სიტყვა ალაგ-ალაგ ხორკლიანი და დახვეწას მოითხოვს, მაინც დიდი ესოეტიკური ემოციით არის დატვირთული და წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მსმენელსა თუ მკითხველზე. ვიმეორებ, რამდენადაც გასაოცრად არ უნდა ეღერდეს, მის პოეტურ სიტყვას განუმეორებელ მიმზიდველობას და თავისთავადობას სწორედ ეს „ტექნიკური გაუმართაობა“ ანიჭებს. აქვე ისიც უნდა დაესძინოთ, რომ, როგორც უკვე ითქვა, თინათინ მღვდლიაშვილის პოეტური სიტყვა ეროვნული მოძრაობის ტალღებს მოჰყვა. საქართველოში კი ეროვნული სულის ჭეშმარიტი აღტყინება ბოლო პერიოდში, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ქუჩაში დაიწყო და არა სამეცნიერო აუდიტორიაში. ქუჩაში აზვირთებულ მოძრაობას კი სულ სხვა მასშტაბები და ფორმები აქვს, ვიდრე დარბაზებში ჩატარებულ სხდომებს. მას ახასიათებს მეტი გამბედაობა, სილაღე და, თუ გნებავთ, უსაზღვრო თავაწყვეტილობაც, რომლისთვისაც უცხოა პრაგმატული ჩარჩოები. ამიტომაც არის რომ ის, რაც ბუნებრივად და ზომიერად აღიქმება მიტინგზე, სრულიად უწვეულოდ გაისმის აკადემიურ აუდიტორიაში. ყოველივე ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ თინათინ მღვდლიაშვილის ლექსს სწორედ ეს „ველური თავაწყვეტილობა“ და, თუ გნებავთ, სიმამაცე ახასიათებს. მისთვის სავსებით უცხოა სალონური ინტიმური „ფლირტაობით“ აღმოცენებული კამერული განცდები, რომლებიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თითიდან არიან გამოწოვილნი და წიგნის ფურცლებიდან არიან წარმოშობილნი, ვიდრე ნამდვილი ცხოვრების დაუდგრომელი მორევიდან. თქმული ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიას საერთოდ აკლია წიგნიერება და პოეტური კულტურა. მაგრამ იგი შეგნებულად ამჯობინებს ბუნებრიობას, უშუალობას და თავისთავადობას, განათლებულობას, აკადემიზმსა და ტექნიკურ სრულყოფას. ვფიქრობთ, არ შეეცდებით თუ

ვიტყვით, რომ მისი ესთეტიკური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი ფენომენი არის სწორედ უშუალობა და გულწრფელობა, რომლისთვისაც საესებით უცხოა ხელოვნური არტისტიზმისა და პოზიორობის მცირედი გამოვლინებაც კი.

ამასთანავე, უნდა აღვნიშნოთ, რომ თინათინ მღვდლიაშვილი მძაფრი განცდებით დამუხტული ლირიკოსია, რომელიც თავდავიწყებით ეტრფის თავის გრძნობის ობიექტს. ეს ჭეშმარიტი გრძნობა კი მას თითქოს ავიწყებს საზოგადოებრივი ეთიკის ნორმებს. მეტიც, მისთვის აღარ არსებობს დროული და სივრცული სამანები, რამდენადმე რომ დასაზღვრავდა მისი პოტური „მე"-ს გარდასახვას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ახალგაზრდა პოეტი ქალის ჟინმოუკელელ და გონდაკარგულ ლტოლვას აპირობებს არა იმდენად საპირისპირო სქესის კონკრეტული პიროვნება თუ მისი სიმბოლური, განზოგადოებული სახე, რაც საესებით ბუნებრივი იყო, არამედ უფრო მეტად მამულის ხატი. პოეტი ქალი თითქოს ვეღარ იცლის პირადი, ინტიმური განცდებისათვის, მთელ თავის ენებათაღელვას სამშობლოსადმი მიმართავს, უფრო მართებულად, მაშინაც კი, როცა იგი მძაფრ ინტიმურ განცდებს ეძლევა, რომელშიც ახალგაზრდული, ეროტიული ენებათაღელვაც ბუნებრივად იღვრება, იგი ბიოლოგიურ საწყისზე არ რჩება და უფრო ეთიკურ-მორალურ სიმაღლეზე ამაღლებული, სამშობლოს სიყვარულს წამოწევს წინა პლანზე. ამ მხრივ საყურადღებოა პოეტის ლექსი „რუკა საქართველოსი, ალუბლისფერი", რომელიც პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. ლექსის დასაწყისში პოეტის გრძნობის ობიექტი თითქოს დაკონკრეტებულია, იგი ინდივიდად აღიქმება, რომელსაც ახალგაზრდა პოეტი დაუოკებელი ჟინით ეტრფის და, მიუხედავად იმისა, რომ მარკირებულია პატრიოტული გრძნობის ამსახველი ელემენტები („დიდგორიდან მოტანილი ყვავილები", „ფარვანას ტბაში", „ოშკის და ბანას მკლავს მონატრება" და მისთ.), მაინც აშკარაა: საქმე გვაქვს წარმოსახულ გმირთან, რომლისადმი პოეტის ტრფიალი ქვეცნობიერად ეროტიულ ენებათაღელვასაც არ გამორიცხავს, თუმცა იგი ყოველნაირად ცდილობს ამის დამალვას:

შუაღამეა.
ალუბლისფერი მტანჯავს ტკივილი,

და დიდგორიდან მოტანილი ყვავილებით
ეფარავ შენს სხეულს, მტრისგან აჩეხილს,
ფარვანას ტბაში ირეკლება ჩემი წუხილი,
ოშკის და ბანას მკლავს მონატრება,
და ქვემო ქართლის პურის ყანებს შესეული
ყაყაჩოსავით მენთება სახე, ისე მიყვარხარ.
შუაღამეა. ვიღაცას ალბათ ბროწეული
შემოეჭყლიტა
ნატიფ თითებში და აჭარისწყლით გაზავებული,
ოდნავ ფერმკრთალი და გამჭვირვალე
ტკბილი სითხე გადაეღვარა შენს ფაქიზ სხეულს
და უნებლიეთ ალუბლისფრად შეგაფერადა...
და ენკენისთვის მცხუნვარე ღამეს
მორჩილად წევხარ ჩემს ოთახში
დაჭრილი და ჩამოფლეთილი...

მომდევნო პწკარებში პოეტი ქალის ეს ინტიმურ-ეროტიული განცდა, რომლის ფესვებიც, როგორც უკვე ითქვა, სამშობლოს ტრაგიკული ბედის გაცნობიერებითაც არის ნასაზრდოები, თანდათან ჰეროიკულ შინაარსს იძენს: თავად პოეტი გადაიცვამს ჯაჭვის პერანგს, აიღებს „სიმართლის“ მახვილს და ქრისტეს ჯვრით შემოივლის მთელი ქართლის სამეფოს, დაამსხვრევს „სისხლიან ბორკილებს“ და არა მარტო თავისუფლებას დაუბრუნებს მას, არამედ დაკარგულ მიწებსაც („პარხალს, ოლთისს, სოჭს, ათინას, ლორეს, კახს, ბელაქანს, ართვინს, არტანუჯს“ და სხვ.). მაგრამ ეს ამორძალური აღტყინება, მხედრული ჟინი თანდათან ცხრება წარმოსახული ბრძოლების დროს ქანცგალეულ პოეტში და მასში კელავ ქალური საწყისი წამოიწევს წინ. ამჯერად ის უკვე გვევლინება მთელი საქართველოს ჭირისუფლად. უფრო სწორად, ის ქალური სინაზით უკვე ელოლიავება დაჭრილ საქართველოს, მისი იარების განკურნებას ლამობს. ამასთანავე ხდება გრძნობის ერთგვარი განზოგადება, რასაც პოეტური ხედვის ჰიპერბოლიზაცია მოჰყვება. უფრო საყურადღებო მაინც ის არის, რომ მოვლენების გაცნობიერების ამ საფეხურზე შემოქმედის ხედვის თვალსაწიერი კოსმიურ მასშტაბებს იძენს და ბუნებრივად ხდება მისი პოეტური „მე“-ს მთლიან

სამყაროში გარდასახვა. თუ დავაზუსტებთ, პოეტის ფანტაზიას სამანი არა აქვს, მისი მხატვრული წარმოსახვის თვალს ფარდად ეღობება მხოლოდ ერთი ცნება – საქართველო. იმიტომაც იღვწის ის, რომ საქართველოს იარები „თეთნულდის თოვლით“ დაუამოს და „ალაზნის ველით“ გადაუხვიოს. თავად კი მზადაა მთელი საქართველო ფეხით მოიაროს, წმინდა სანთლები დაუნთოს მას, ანდა ცად ავიდეს, რათა მიმოიფრინოს მთელი საქართველო და საბოლოოდ წეიმის წვეთებად დაეპკუროს. ლექსის შინაარსის გადმოცემა მკრეხელობად მიმაჩნია, ამიტომაც უმჯობესია, ყური მივუგდოთ თავად პოეტის გულისთქმას:

მე შემოვიელი სენაკს, მარტვილს, ბოლნისს,
მესტიას
და ხორნაბუჯში თაფლის წმინდა სანთლებს
აგინთებ.
მე გადავუფრენ ჯავას, ჰერეთს, ტაოს, აფხაზეთს,
და უშბის წვერზე ჩამოვჯდები გასაგრილებლად.
მე ვიბანავებ ტეხურის და ბზიფის ტალღებში
და რქაწითელის მწიფე მარცვლებს შემოვიხვევ
ყელზე მძივებად.
ცაში არწივის ზვიად მართვეს დავიმეგობრებ
და ხევსურეთის სილაჟვარდეს ჩამოვემსხვრევი
წვიმის წვეთებად.

ო, საქართველოვ,
ალუბლისფერი ხარ საოცრება
და ჩვენ ვერავინ და ვერასდროს ვერ დაგვაშორებს!

ეს გახლავთ თინათინ მღვდლიაშვილის აღსარება და, მიუხედავად იმისა, რომ მოხმობილი ციტატის სახისმეტყველება ბუნებრივი ფერებითაა ნასაზრდოები, ხოლო მისი ინტონაცია პათეტიკური ტონებით არის გაჟღენთილი, მაინც იშვიათად შემხვედრია პატრიოტული ლირიკის ნიმუში, რომელიც ესოდენი დამაჯერებლობით და გულწრფელობით იყოს გაჯერებული. ეს, ალბათ, იმითაც არის განპირობებული, რომ პოეზიაში მაინც მთავარი უნდა იყოს განცდის უშუალობა და სიღრმე და არა ამ განცდის წარმოსახვის ტექნიკური ქსოვილი ან, სხვაგვარად, განსხვეულების გზა და სტილისტიკური ხერხები.

როგორც ცნობილია, ბოლო წლებში აბობოქრებული ეროვნული მოძრაობის გასვითარების გზა სწორხაზოვანი არ იყო: ერთ ხანს რომ აზვირთდებოდა, ქართველი ხალხის სულის აღტყინებას იწყვევდა, მეორე ხანს – ერთგვარად მშვიდდებოდა და უფრო დინჯ ხასიათს იძენდა. მეტიც შეიძლება ითქვას, დიდი ტრაგიკული წუთებიც გვედგა, მაგალითად, 9 აპრილი, მაგრამ იყო თავისუფლების მოპოვების გზაზე დიდი საზეიმო ჟამიც, როცა ეროვნულმა ძალებმა მარცხი აწვნიეს კომუნისტურ რეჟიმს. ერთი სიტყვით, დროის ეს მცირე მონაკვეთი სავსე იყო ურთიერთგამომრიცხავი მოვლენებით, უხვად დაღვრილი ცრემლითა და მწუხარებით, ასევე გულღია სიცილითა და სიხარულით. ამას განსაკუთრებით კარგად გრძნობს პოეტის ფაქიზი სული, ამიტომაც თინათინ მღვდლიაშვილისთვის „საქართველო ცრემლიანი ზეიმია“ და ამ ანონიმური დატვირთვის მქონე სინტაგმატიკური წყვილით იგი კარგად გადმოგვცემს საქართველოს ისტორიის სპეციფიურობას საერთოდ და, კერძოდ, ჩვენს ახლო წარსულსა და დღევანდელობას (სხვათა შორის, სინტაგმატიკურ წყვილს – ცრემლიან ზეიმს – პოეტი სხვა ლექსშიც ხმარობს, რაც თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ იგი ფასეულია შემოქმედისათვის). მაგრამ შემოქმედის სულის თვალი მაშინაც კი, როცა „ღრუბლებში იბადება დარი“, როცა ნათელი ფერები იღვრება ირგვლივ, პოეტური წინათგრძნობითა თუ ნათელმხილველობით უფრო ტრაგიკულ, ავისმომასწავებელ ჩრდილებს აღიქვამს. ის გრძნობს, რომ წამიერ სიხარულს რაღაც შემზარავი უნდა მოჰყვეს უცილობლად. ამიტომაც მისი ლექსების ინტონაციაში პესიმისტური განწყობილება ჭარბობს ოპტიმისტურს. ამისთვის კი მას საფუძველს აძლევდა როგორც ჩვენი ერის წარსული, ასევე აწმყოც. საყოველთაოდ ცნობილია, საქართველოს ისტორიის ფურცლები აღსავსეა დიდი გამარჯვებებით და შემზარავი დამარცხებებით, ჩვენმა მატიანემ შემოგვინახა თავგანწირვის და გმირობის განუმეორებელი მაგალითები და საშინელი სიმხდალისა და სიბეჩავის ფაქტები. ერთი სიტყვით, იყო დიდი ერთგულებაც და იყო დიდი ღალატიც, გვყავდნენ მამულისთვის თავდადებულნიც და სულწაბილწული რენეგატებიც. ასეთ ურთიერთგამომრიცხავ ვითარებებს და თვისება-ხასიათებს მსოფლიოს ყველა ერი ავლენს და ამაში გასაკვირი არაფერი

უნდა იყოს. მაგრამ ისიც უდავოა, რომ წარმატებას თუ წარუმატებლობას, წინაპართა გმირულ თუ გამყიდველურ საქციელს მცირერიცხოვანი ერის ბედისთვის, მისი ყოფნა-არყოფნისთვის გაცილებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დიდი სახელმწიფოსთვის. ეითარცა მომცრო ნაკადულების გასუფთავება ანდა ამღერება უფრო იოლია, ვიდრე დიდი მდინარეებისა და ზღვისა, ასევე მცირერიცხოვანი ერის სულიერი განწმენდა ან ზნეობრივი წარყვნაც უფრო ადვილად შესაძლებელია. ამიტომაც არის, რომ, როცა დადგება ერის (განსაკუთრებით მცირერიცხოვანი ერის) ისტორიაში ყოფნა-გადაშენების საკითხი, ის თავის შემეცნებით მზერას წარსულისკენ მიმართავს და ცდილობს მისთვის სასურველი ფაქტების თუ მოვლენების წინ წამოწევით ერთგვარი ოპტიმიზმით დაიიმედოს თავი. სწორედ ამითაც უნდა იყოს განპირობებული, რომ ქართული პატრიოტული ლირიკის ძირითადი ნაკადი ისტორიული წარსულით საზრდოობს, რათა გარდასულ ჟამთა გმირული ფურცლებით დაამშვიდოს შემზარავი აწმყოთი თავზარდაცემული ქართველის სული.

თინათინ მღვდლიაშვილის პოეზია ამ მხრივ ორიგინალური ვერ იქნება. პოეტი ერთგვარ დიალოგს მართავს წარსულთან. მაგრამ ამ დიალოგს, რომელიც აწმყოსა და წარსულის შეპირისპირების, დადებითის და უარყოფითის კონტრასტული შუქ-ჩრდილების ფონზე ხორციელდება, მხოლოდ ერთი მიზანი აქვს: დღევანდელი უზნეობის მორევში ჩაძირული სული როგორმე იხსნას და, საერთოდ, ერთიანი საქართველო გადაარჩინოს მოახლოებული გარდაუვალი დაღუპვისაგან.

პოეტი, უპირველეს ყოვლისა, იმ გმირ წინაპრებს იხსენებს, რომელთა სახელებმაც ქართველი მკითხველის ცნობიერებაში უკვე შეიძინა გარკვეული შინაარსობრივი დატვირთვა. ასე, მაგალითად, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე – საქართველოს ძლიერების და აღზევების გადმომცემი სიმბოლოებია, ცოტნე დადიანი, თევდორე მღვდელი და ქეთევან დედოფალი – მოყვასის, ერისა და სარწმუნოებისთვის თავდადებულთა ხატებად გვევლინებიან და ა. შ. ამ სახელ-სიმბოლოებს თითქმის ყველა პოეტთან ვხვდებით და ისინი ერთგვარ შაბლონებად, უფრო მართებულად, პრაგმატიკულ ელემენტებად არიან ქცეულნი, რომელთაც მუდმივი და მყარი შინაარსობრივი გაგება შეიძინეს. მაგრამ მათი სემანტიკური და ემო-

ციური დატვირთვა მაინც იცვლება პოეტური კონტექსტის მიხედვით და, პოეზიის ათასგვარ სპექტრში გარდატეხილნი, ახალ-ახალი ნიუანსებით იტვირთებიან.

შეიძლება ითქვას, რომ თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიაში ჩვენ წინაპართა „სულთა შეწუხება“ მხოლოდ ერთი მიზნითაა განპირობებული: პოეტს სურს საქართველოს გარდასული დიდების წინწამოწევით შეგვაგრძნობინოს ჩვენი დღევანდელი ყოფის სავალალო და უსაძაგლესი მდგომარეობა, ეროვნული სულის გადაგვარება და გაპარტახება. პრობლემა მარტივად ასე წარმოჩინდება: როგორი იყო დავითის და თამარის დროინდელი საქართველო და როგორია დღეს, რანი ვიყავით ქართველები და რანი ვართ დღეს! ამ შეპირისპირებისას, როგორც უკვე ითქვა, ყურადღება თანამედროვეობაზეა გადატანილი, ხოლო პოეტის მახვილი თვალით აღქმული და შეცნობილი საქართველოს დღევანდელობა კი შემაძრწუნებელია და დამთრგუნველი: მიწა გაყიდული, გულამოგლეჯილი და ხორცდაფლეთილი, მტერთაგან და ურთიერთის მიერ დალეწილი, ტაძარი ეშმაკდაპატრონებული, სულწაბილწული, სატანისთვის სულმიყიდული, დღეს ქვეყანაში **„უზნეობა გადაიქცა ჩვეულ თვისებად“**, **„პარპაშებენ გადამთიელნი“** და **„გაავკაცდნენ ნაქართველარნი“**. ყოველივე ამ უბედურების, სამშობლოს თავზე ჩამოქცევის უმთავრესი მიზეზი და თავი და თავი, მწერლის გაგებით, არის ურთიერთგაუტანლობა და ღალატი. დიახ, ღალატი, რომელიც ქართველთა ბედის წარმართვაში უაღრესად დიდ როლს თამაშობდა და თამაშობს დღესაც. ამიტომაც არის, რომ თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიაში ქართულ საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში, სამწუხაროდ, მტკიცედ დამკვიდრებული ამ კატეგორიის გამო განგაშია ატეხილი. „ოცდაათი ვერცხლის“ სინდრომი, რომელიც ქართველთა ერთ ნაწილს ძარღვებში გასჯდომია და საუკუნეთა განმავლობაში ერთგვარ შთამომავლობით ცოდვად ქცევია, ზარავს პოეტის სულს, რომელიც ქართული ზნეობრივი პრინციპების თავგამოდებული ქომაგია. ოცდაათი ვერცხლის ჩხრიალში გაიყიდა საქართველო, გაიყიდა ოცდაერთში კოჯრის ტყესთან, გაიყიდა დღეს რუსთაველზე, ქაშუეთთან, გაიყიდა შიდა ქართლში, გაიყიდა აფხაზეთში... ერთი სიტყვით, პოეტის თვალთახედვით, საქართველოს დაცემისა და გასხვისების უმთავ-

რესი მიზეზი იუდას „ოცდაათი ვერცხლი“ გახლავთ. თუმცა ამჯერად ჩვენ როდი გვაინტერესებს უკვე პარადიგმად ქცეული „ოცდაათი ვერცხლის“ ტრადიციული იგავური შინაარსი და მისი საყოველთაოდ მიღებული ახსნა, არამედ ის ემოციური ზემოქმედების ძალა, რომელსაც ეს „პარადიგმა“ პოეტის საანალიზო ტექსტის კონტექსტში იძენს: ვფიქრობთ, ესთეტიკური ზემოქმედების ეფექტი ისე სრულად არის მიღწეული, რომ განსაკუთრებული სმენისა და ხედვის უნარი არ არის საჭირო, რათა ნათლად აღიქვა შემზარავი სურათი და ვითარება ოცდაათი ვერცხლის ჩხრიალში მთლიანად გაყიდული საქართველოსი. აქვე დავსძენთ, რომ ეს წარმოსახვა ერთნაირი სიძლიერით მოქმედებს მკითხველის როგორც სმენით, ასევე ხედვით ორგანოებზე, ხოლო საბოლოოდ იძერწება ერთი მთლიანი პოეტური სახე, ტრაგიკული შუქ-ფერებით რომ გადმოგვცემს ჩვენი ერის სავალალო მდგომარეობას. მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ პოეტი ნათელმხილველობის და წინასწარმეტყველების ნიჭს აელენს და საოცარი სიცხადით აღიქვამს წარსულთან ერთად მომავალში მოსახდენ მოვლენებს. მიუხედავად იმისა, რომ ლექსი „ოცდაათი ვერცხლი“ 1990 წელსაა დაწერილი, პოეტი ნათლად გვიხატავს რუსთაველზე, სიონთან დატრიალებულ გამცემლობას, რომელსაც სულ მალე ჩაიდენენ მოღალატეები. ასევე გულთმისნურად გრძნობს, რომ გაიყიდება სამაჩაბლო, აფხაზეთიც და ყველაფერი ეს მოხდება ოცდაათი ვერცხლის საფასურად. ჩვენი ღრმა რწმენით, საანალიზო ლექსში წარსულში მომხდარ ტრაგედიაზე უფრო მეტად მოსალოდნელი უბედურების გამოა დარდი და წუხილი გამოთქმული. მამულის მოყვარე ადამიანისთვის ეს რეალობა, უფრო მართებულად, მოსალოდნელი „გარდუვალობა“ გაუსაძლისია. ღალატით აღშფოთებულ პოეტს უმკაცრესი განაჩენი გამოაქვს მოღალატეთათვის და ეს განაჩენი საუსებით მისაღებია მათთვის, ვინც სამშობლოს საკუთარ სიცოცხლესა და კეთილდღეობაზე მაღლა აყენებს. ხოლო მათთვის, ვისაც სამშობლოს ბედი არაფრად უღირს და თავადაც ქვეყნის ღალატში ხელი ურევია, შეიძლება ზედმეტად მკაცრად და არაქრისტიანულადაც ჟღერდეს. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ საანალიზო ლექსმა და განსაკუთრებით მისმა ფინალმა, ერთგვარი აზრთა სხვადასხვაობა და უარყოფითი რეაქციაც გა-

მოიწვია. ჩვენ კი ვეგულისხმა, მთლიანად ეს ლექსი და, განსაკუთრებით კი მისი ფინალი, საოცრად დიდი ოსტატობით, მხატვრული „სიზუსტით“ და დამაჯერებლობით გადმოგვცემს ყველა ჭეშმარიტი მამულიშვილის გულისთქმას. ამიტომაც თავს ნებას მივცემთ ერცელი ადგილი მოვიხმოთ:

რუსთაველზე,
მლოცველების და სანთლების ზღვასთან,
აფხაზეთში, ცხუმის ცის ქვეშ
და რუსთველის ძეგლთან,
ქვემო ქართლში,
სიონთან და
წინაპართა ძვლებთან,
მოღალატის,
ნაძირალას,
უცხო ტომთა ფერხთით,
ჩხრიალებდა,
ჩხრიალებდა,
ჩხრიალებდა ოცდაათი ვერცხლი...
გაყიდული საქართველო,
გაყიდული სისხლი,
გაყიდული მაცხოვარი,
გაყიდული ფიცი.
ოცდაათი სატკივარი,
ოცდაათი ცეცხლი,
ოცდაათი სიძულვილი,
ოცდაათი მეხი,
ოცდაათი ნაძირალა
შარაგზაზე გდია...
საქართველოს მოღალატეს
საქართველოს მოღალატეს
საქართველოს მოღალატეს -
ოცდაათი ტყვია!

ღალატის თემატური რკალი პოეტის სხვა ლექსებშიც ვითარდება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მას ქვეყნის დაღუპვის უმთავრეს მიზეზად, უზნეობის და სულმდაბლობის უმაღლეს გამოვლინებად სწორედ ღალატი მიაჩნია. როგორც ირკვევა, პოეტის სულს უფრო ამწუხრებს

შინაურთა, თავის ახლობელთა გამცემლური ქცევა. პოეტი თავის ინტიმურ გარემოცვაშიც კიდევ უფრო ვერ ეგუება ამ უზნეობას, მაგრამ ამ შემთხვევაში ლექსის ინტონაცია ერთგვარ პათეტიკას მოკლებულია, უფრო ადამიანურ გულისტკივილსა და წუხილს გადმოგვცემს. აშკარაა, ამ სევდანარევ საყვედურში დიდი გულისწუხილი და სასოწარკვეთა იკვეთება:

ახლა,
როდესაც
ყველა ხიდი გაბზარულია,
მისახედია ძველი ზარზმა,
ოშკი და
სხალთა,
მითხარი ჩემო,
გული ასე რამ გაგიქვავა,
კაენის ხელი
სამშობლოზე
რად აღგიმართავს?!

რამდენადაც უარყოფით რეაქციას იწვევს პოეტში ღალატი და გამცემლობა, რომელიც მას ქვეყნის უბედურების და კაცობრიობის გადაგვარების უმთავრეს მიზეზად მიაჩნია, იმდენად აღტაცებით საუბრობს ერთგულებაზე და თავდადებაზე. და ეს სავსებით გასაგებია, რადგანაც პოეტს ზემოხსენებული ადამიანური თვისებები ზნეობის უმაღლეს კატეგორიებად ესახება. ამის გამო იგი სულიერ ნათესაობას ამყარებს იმ ისტორიულ თუ თანამედროვე პიროვნებებთან, რომლებშიც, მისი რწმენით, ეს თვისებები სრულყოფილად განსხეულდნენ. ამიტომაც მის პოეტურ ნააზრევში არც თუ იშვიათად გაცაილდება სახელები: ცოტნე, თევდორე, ქეთევანი და ა. შ. მაგრამ თამამად შეიძლება ითქვას, თინათინ მღვდლიაშვილი ყველაზე მეტ სიახლოვეს და ნათესობას აელენს მერაბ კოსტავასთან დამოკიდებულებაში, რომელიც მისთვის ქრისტესავით მიწიერი ადამიანიც არის და ზეცად დამკვიდრებული წმინდანი, ის არის პოეტისთვის კაცი ლეგენდა, რომელიც უკვე ქართველთა და განსაკუთრებით კი პოეტის ცნობიერებაში დამკვიდრდა როგორც მართალკაცობის, გამტანობის, ერთგულებისა და, რაც მთავარია, მამულისათვის უანგარო თავდადების

სახე-სიმბოლო. როგორც ჩანს, თინათინ მღვდლიაშვილის ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე მერაბ კოსტავამ დიდი გავლენა მოახდინა. პოეტი მას პირადად იცნობდა, ხიბლავდა მისი ბრგე გარეგნობა, ბავშვივით წრფელი, ალალი გული. ძაგრამ გაუტეხელი, უდრეკი ხასიათი, რომელიც საოცარი ენერგიით ელინდებოდა, როცა მამულის მტრებთან და უზნეობასთან უხდებოდა შერკინება. ამ ყოველივეს და კიდევ მრავალ დადებით თვისებათა გამო მერაბ კოსტავა პოეტისთვის სამაგალითო პიროვნებად იქცა. ხოლო მისმა მოულოდნელმა სიკვდილმა, პოეტის სული რომ შესძრა, იგი წმინდა მოწამედ აქცია, რომელმაც თავისი მოწამეობრივი სიცოცხლით ქართველთა მოდგმას უჩვენა, თუ როგორ უნდა იღვაწოს და იცხოვროს ჭეშმარიტმა მამულიშვილმა. მოხდა ბუნებრივი გარდასახვა რეალური და მიწიერი პიროვნებისა იდეალურ და ირეალურ სახე-სიმბოლოდ. ამიტომაც არის, რომ თინათინ მღვდლიაშვილის ყოველი მეორე ლექსი მერაბ კოსტავას ეძღვნება. ის იქცა პოეტის გაცნობიერებული მოღვაწეობის და ქვეცნობიერი ლტოლვის განუყოფელ ფენომენად, რომელიც პოეტის სულიერი შეჭირვების ჟამს, რაც ძირითადად ქვეყნის სავალალო მდგომარეობით არის განპირობებული, ევლინება მას ვითარცა მხსნელი და შვებისმომგვრელი. მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი ლექსების ციკლის მხატვრულ თავისებურებებზე ახლა ვერ შეეჩერდებით. ის სპეციალური მსჯელობის საგნად უნდა იქცეს. მაგრამ აღვნიშნავთ, რომ მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილ ლექსებში განსაკუთრებული სიძლიერით ელინდება თინათინ მღვდლიაშვილის პოეტური ბუნების არსებითი იმანენტური თვისება – გულწრფელობა. ამასთანავე, პოეტი ახერხებს სულ რამდენიმე სიტყვით გადმოსცეს ეროვნული გმირის ტრაგიკული ცხოვრებისა და თავისუფლების გამთელავი ურჩხულის – საბჭოთა იმპერიის დაპირისპირებისა და შეჯახების მთელი ისტორია. მოვიგონოთ თუნდაც თინათინის შვიდსიტყვიანი ლექსი:

მერაბს გზაზე
ხბომ კი არა,
იმპერიამ გადაურბინა.

ანდა გავიხსენოთ, როგორ ახარხებს ის სულ რამდენიმე

ფრაზით და შეკირისპირების ხერხის გამოყენებით გადმოგვცეს მერაბ კოსტავას დიდი ეროვნული მისიის და ამ მისიისადმი საკუთარი დამოკიდებულება:

მე შენს სახელზე
ლურჯი ია დავრგე, შავლეგო!
...
მე შენს სახელზე
მუხა უნდა დამერგო, მერაბ,
ვერ მოვასწარი...

ასეთი ტევადი პოეტური კონტექსტები, რომლებიც მარტივის ესთეტიკური პრინციპით არის შექმნილი, ნებისმიერი დიდი პოეტის შემოქმედებას დაამშვენებდა.

ბუნებრივია, რომ შემოქმედის თვალსაწიერი უფრო ფართოა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით აღიქმება. მისი ფიქრი მრავალ პრობლემას და საწუხარს დასტრიალებს. მაგრამ ერთი უდავოა, მის პოეტურ ფერთა გამა საბოლოოდ ერთ რაკურსში იყრის თავს, ყოველგვარი განცდა პოეტისა ან ერთი ცნებიდან იღებს დასაწყისს, ან ერთ ცნებამდე დადის, რადგანაც სამშობლოს უანგარო სიყვარული არის ის ქვაკუთხედი, რომელზედაც მთლიანად დაფუძნებულია პოეტი ქალის შემოქმედება და, თუ გნებავთ, ცხოვრება-მოღვაწეობაც. ამიტომაც ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დღესაც და მომავალშიც პოეტის გაცნობიერებული მოღვაწეობის ორიენტირი, მისი ზნეობრივ-ეთიკური და ესთეტიკური ხატი საქართველო იყო, არის და იქნება. პოეტის მსოფლმხედველობრივი კრედოც, მისივე სიტყვებით, შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ:

რადგანაც სისხლი მოქართულობს ისევ ძარღვებში
და წინ მიგვიძღვის ერის სული, ერის ნამუსი,
ენა
მამული
სიყვარული
სარწმუნოება!..

დიახ, ამ უკეთილშობილესი ცნებებით, ზნეობრივი პრინციპებით აპირებს ახალგაზრდა პოეტი თავისი რთული და ხანგრძლივი ცხოვრების გზის გავლას. ამაკე თვალთახედვითაც მიიჩნევს ივი ქართველი ერის უკვდავების, გადაუგვარებლობის აუცილებლობას. ამ პრინციპების საზოგადოებრივ ცხოვ-

რებაში დამკვიდრებისთვის იღვწის და იღვაწებს მისი პოეტური სიტყვა. ყოველ შემთხვევაში, თინათინ მღვდლიაშვილის დღევანდელი მოქალაქეობრივი პოზიცია, მისი პოეზია და მსოფლმხედველობრივი ძრწამსი ამის უდავო დასტურია. შეიძლებოდა პოეტის შემოქმედებაზე მეტიც გვეთქვა. მისი შემოქმედება უტყუარად იმსახურებს უფრო ღრმა, კრიტიკულ ანალიზს, მაგრამ ჩვენი წერილის მიზანი იყო შეგვექმნა ერთგვარი შთაბეჭდილება ქართველი მკითხველისათვის, რომელსაც დიდი სიამოვნება ელის თინათინ მღვდლიაშვილის ლექსების კრებულის გაცნობით.

დასასრულს, გვსურს დავსძინოთ, რომ, მართალია, თინათინ მღვდლიაშვილის პოეტური სიტყვა კვლავაც დუღილშია და დაღვინებამდე ჯერ კიდევ გვარიანი დრო დასჭირდება, ისიც ცხადია, რომ მისი პოეტური პალიტრა დახვეწისა და სრულყოფის პროცესშია, მაგრამ თამამად შეიძლება დღესვე განვაცხადოთ, რომ ქართულ პოეტურ კულტურას შეემატა კიდევ ერთი თვითნაბადი, ნიჭიერი პოეტი, რომელსაც უკვე აქვს ბოროტებისა და სიკეთით აღსავსე ამა სოფლის შეცნობის საკუთარი გზა და თავისი ემოციებისა და გრძნობების გამოხატვის სხვათაგან განსხვავებული და ორიგინალური ხმა. და ვისაც მის დიდ, ნიჭით გაცისკროვნებულ ბრიალა თვალებში ჩაუხედავს, რომელიც პოეტის უწმინდესი სულის ამრეკლავი სარკეა, მან არ შეიძლება, მართლაც და, გულწრფელად არ უსურვოს მას პოეზიის გოლგოთასკენ ამავალ გზაზე მძიმე ჯვრის მტკიცედ და ურყევად ზიდვა. ღმერთი იყოს მფარველი თავად პოეტი ქალისა და მისი მუზისა!

1993 წელი

მუმლი მუხასაო...
მუხა გადარჩაო, მუხრან!

ადამიანი მანამდე ცოცხლობს, ვიდრე ცნობიერება თან ახლავს. ცნობიერებაწართმეული, სულთმობრძავი კაცი მხოლოდ ფიზიოლოგიურად არსებობს... პიროვნული უკვდავებაც ხომ ერის თუ კაცობრიობის ცნობიერებაში დამკვიდრება, ხალხის მეხსიერებაში მკვიდრად ფეხის მოკიდებაა... უკვდავია ის პიროვნება, ვინაც თავისი მოღვაწეობით თუ შემოქმედებით ერის აზროვნების ისტორიაში ისე დაფუძნებულა, რომ საუკუნეთა სრბოლა ვერ აფერმკრთალებს მის სახელს. ამიტომაც, თუ ისტორიას თვალს გადავაველებთ, დავრწმუნდებით, რომ ერის ისტორიულ მეხსიერებას ოდენ ის პიროვნებები შემორჩენიან, რომლებიც თავისი აზროვნებით თუ ქმედებით ერის ცნობიერების კედელს აგებდნენ და ამით თავად ერის უკვდავებას აპირობებდნენ. ასე რომ, როგორც ღირსეულ ერისშვილთა უკვდავება ბევრწილად განისაზღვრება ერის ყოფნა-არყოფნით, ასევე თავად ერის ყოფნა-არყოფნაც დიდად არის დამოკიდებული მის შვილთა მოღვაწეობასა და ნააზრევზე.

სწორედ ამის გამოც მწამს, რომ, ვიდრე ქართველი ხალხი არ გადაშენდება, მუხრან მაჭავარიანს დავიწყება არ უწერია; ხოლო ქართველი ხალხი კი იმიტომ არ გადაშენდება, რომ მას შესწევს უნარი მუხრან მაჭავარიანი და მისი დარი შვილები შობოს.

დიახ, მუხრან მაჭავარიანი უკვდავია, როგორც მისი ღვთისმშობლის წილხვედრი სამშობლო და ეს უკვდავება განმტკიცებულია ერისა და ინდივიდის იმ გარდაუვალი დიალექტიკური კავშირით და ურთიერთმიმართებით, რომელიც თავს იჩენს როგორც გენეტიკურ ჭრილში, ასევე ცნობიერების სიბრტყეზე.

მიჭირს გავიხსენო მეორე შემოქმედი, რომელიც სრულქმნილი ქართველის ხატს ისე ესადაგებოდეს, როგორც მუხრან მაჭავარიანი! მუხრანი თხემით ტერფამდე ქართველია,

მის ძარღვებში არაქართული წვეთი სისხლი არ არის; მისი სულის სიძლიერეც სწორედ ის არის, რომ მასში ღვიძის დავითის, თამარის, რუსთველის, საბას, ილიას, აკაკის, ვაჟას ვენი... და ეს ქართული გენი აშკარად ჩანს თავს როგორც მის სულიერ წყობასა, ასევე ფიზიკურ გარეგნობაში...

დიახ, თუ ვინმეს სურს ქართველის განზოგადებული, სრულქმნილი სახე შექმნას, მას პროტოტიპად მუხრან მაჭავარიანი უნდა ჰყავდეს; თავისი ახოვანი ტანით, ბიბლიური სახის ნაკვთებით, გაუტეხელი სულით, ურყევი რწმენით, გაუგონარი შეუპოვრობით, უხორცოს „უშიშობით", ქრისტიანული ზნეობით, გასაოცარი ნიჭით, შესაშური კაცთმოყვარეობით, ქრისტესებრი მიმტევებლობით, იობისებრი ჭირთათმენით და, რაც მთავარია, ქართველი კაცის და, საერთოდ, საქართველოს შეუდარებელი სიყვარულით... ერთი სიტყვით, გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ მუხრან მაჭავარიანი სულით და ხორცით, ცხოვრების წესით და მაღალნიჭიერი შემოქმედებით ისეთი მონოლითური ფიგურაა, რომ მომავალ საუკუნეებში ქართველობის ეტალონად და სრულყოფილების ხატად დარჩება. მეტიც, ღმერთმა არ ქნას და, თუკი ქართველები გადაშენდებიან და წარიხოცებიან დედამიწის პირიდან (რისი სიმპტომებიც ამ ბოლო დროს თავს იჩენს!..), მაშინ მომავალ ცივილიზაციას შეეძლება პოეტის ლექსით წარმოიდგინოს, როგორი იყო ქართული ცნობიერება, ხოლო მისი ცხოვრებით და მოღვაწეობით აღადგინოს, თუ როგორი იყო ქართველის ზნეობა.

ალბათ, ამიტომაც არის, რომ მუხრან მაჭავარიანი გასაოცარი პოპულარობით სარგებლობს ქართველ ხალხში, იგი თავისებურად უყვარს ბავშვს თუ მოხუცს, გლეხს თუ ინტელიგენტს... ალბათ, სამწუხაროდ, ისეთნიც გამოერევიან, რომელთაც პოეტი პრინციპულობისა და სიმართლის სიყვარულის გამო არ ეხატებათ გულზე, მაგრამ მის დიდ ნიჭს უკანასკნელი არამზადაც კი ვერ უარყოფს...

ასეა თუ ისე, მუხრან მაჭავარიანმა პოეტთა ქვეყანაში ჭეშმარიტ პოეტთა გვერდით უკვე დაიკავა საპატიო და გამორჩეული ადგილი...

რით არის განპირობებული პოეტის ასეთი აღიარება და პოპულარობა? ამ კითხვას ამომწურავად რომ უპასუხო, ერთი და ორი მონოგრაფია არ იკმარებს. ორიოდე სიტყვით კი შეიძლება ასე ითქვას:

უპირველეს ყოველისა, მუხრან მაჭავარიანი ქართული ფსიქიკისა და სულის შემოქმედია. მისი აზროვნება ამოზრდილია ეროვნული ცნობიერების ფესვებიდან, ხოლო მხატვრული განსხვავებული და ფერწერა მთლიანად ქართული ფერითა და ტონით არის გაჯერებული. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ პოეტის პოეზია მხოლოდ ქართველთათვის არის გასაგები და მისაღები. მისი მხატვრული ნააზრევი როდია მოკლებული განზოგადების დონეს. პირუკუ, პოეტის შეუდარებელი ნიჭის წყალობით ქართული ესთეტიკური ფენომენი ზოგადსაკაცობრიო ღირებულებას იძენს ისე, რომ ეროვნულ შინაარსს არ კარგავს...

მეორე, მუხრან მაჭავარიანი დაბადებით პოეტია. მისი პოეტური სამყარო საოცარი ნიჭით არის გასხივოსნებული. პოეტისათვის მიუღებელია გონით ნაწეალები და ნაჯახირები, ხელოვნურად გაწყობილი პოეტური ხატოვანება. მისი ყოველი სიტყვა, ხატი, პწკარი მიღმიერი ზეშთაგონების ნაყოფია და ისე ბუნებრივად გადმოდინდება, ვითარცა მთის ნაკადული...

მესამე, მუხრან მაჭავარიანის პოეზია გამოირჩევა სხვათაგან სავსებით განსხვავებული, ჭეშმარიტად ორიგინალური ფერწერით, ტონური ვარიაციით და ბგერათა ისეთი პოლიგამიით, რომელთაც, რაც უნდა ეძიოთ, ვერ შეხვდებით ქართული თუ მსოფლიო პოეზიის საუფლოში. მუხრანის ლექსს, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „მუხრანული", ისეთი თავისებური გრაფიკული განლაგება, ჯერაც უცნობი სახისმეტყველება და თავისთავადი ინტონაცია ახასიათებს, რომ შეუძლებელია ათას ლექსში არ გამოარჩიო, ანდა სხვათა, თუნდაც ნიჭიერ მიმბაძველთა ნახელავში აგერიოს!

მეოთხე, მუხრან მაჭავარიანის ესთეტიკურ ნააზრევში **დომინირებს სისადავის პრიმატი.** ის გაურბის ხელოვნურად გართულებულ მეტაფორულ მეტყველებას, რადგანაც გააზრებული აქვს, რომ თვით სამყარო უკვე გვეელინება მიღმიერის სიმბოლოდ და მეტაფორად. მას შესწევს განსაცვიფრებელი ნიჭი — ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, ყოფით დეტალში არაამქვეყნიური ფერი აღმოაჩინოს და ფერწერის დონეზე აიყვანოს ისე, რომ მკითხველს ხატის აღქმის შემდგომ ამაღლებულის გრძნობასთან ერთად განცვიფრება ეუფლება.

მეხუთე, ძლიერ ემოციურ მუხტთან ერთად „მუხრანულს"

ახასიათებს განსჯა ფილოსოფიურ სიბრტყეზე და ზნეობრივი პრესიპების წინ წამოწევა. მაგრამ პოეტის სიბრძნე და ზნეობა ძირითადად ეყრდნობა არა წიგნიერებას, რომელიც მას საკმაოზე მეტი აქვს, არამედ – ცხოვრებისეულ სიბრძნეს და პატიოსანი, უბრალო ქართველის ადათ-წესებს. ამიტომაც მუხრან მაჭავარიანის ფილოსოფიაც და ზნეობრივი პოზიციაც ყველასათვის, იქნება ის სწავლული თუ უწიგნური, გასაგები და მისაღებია.

მეექვსე, მუხრან მაჭავარიანი ქართული ენის საუფლოში ისე ლაღად გრძნობს თავს, ვითარცა კალმახი ცივ ჩანჩქერში. მას ენის ისეთი ბუნებრივი შეგრძნება აქვს, მხოლოდ და მხოლოდ თანდაყოლილი ღვთიური მადლი და ნიჭი რომ არის და ვერავითარი გარჯით თუ სწავლით ვერ მოიპოვება. ამ ნიჭის წყალობით „მუხრანულის“ ენა ისე აღწევს პოეტურ დონეს, რომ არ კარგავს ბუნებრიობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი ლექსის ენა გამოხატვის ისეთ სრულქმნილებას აღწევს, როცა ყოველგვარი ზღვარი პოეტურ და ბუნებრივ დონეებს შორის წაშლილია. სწორედ ეს ფაქტორი ქმნის მუხრანის პოეტური მეტყველების თავისებურებას და მას ანიჭებს ესთეტიკური ზემოქმედების საოცარ ძალას და მძაფრ ემოციურ მუხტს.

მეშვიდე, მუხრან მაჭავარიანის მთელი პოეზია სამშობლოს უმძაფრესი სიყვარულით არის ნასაზრდოები. პატრიოტიზმი მისთვის არის არა დროებითი თავშესაფარი, რომელსაც მრავალი პოეტი მიმართავს „შეჯირვების“ ჟამს, არა ხელოვანის პოზა და ფუჭი თავმოწონება, კონიუნქტურის სუნი რომ ასდის ხოლმე, არამედ შინაგანი ბუნებრივი მოთხოვნილება, სულიერი განწყობა და სიცოცხლის მთავარი მიზანი, რის გარეშეც მისი ცხოვრებაცა და მოღვაწეობაც ყოველგვარ აზრს კარგავს. სამშობლოს და ქართველი კაცის ბედი მუხრან მაჭავარიანს ისე აქვს გათავისებული და გაშინაგანებული, რომ პიროვნული, სუბიექტური მომენტისა და ერის, როგორც ობიექტურად არსებული ცნების, გამიჯვნა ვერ ხერხდება. მეტიც, შეიძლება ითქვას, მუხრან მაჭავარიანი ძველი აღმოსავლელი სუფი პოეტივით ონტოლოგიურ სიბრტყეზე თითქოს უარყოფს თავის ინდივიდუალურ „მე“-ს და აღიარებს ოდენ სამშობლოს არსებობას, რაც ასე შეიძლება წარმოდგეს ფორმულის სახით: მე არ ვარ „მე“, მე ვარ „ის“ (სამშობლო). ამგვარი მსჯე-

ლობით პოეტის ინდივიდუმი კარგავს თავისთავადობას და მხოლოდ სამშობლოსთან მიმართებაში იძენს ღირებულებას. ცხადია, პოეტის „მე“-ს სამშობლოსთან შერწყმა და ერთ განუყოფელ ცნებად მოაზრება, სწორედაც რომ, ინდივიდის პიროვნულ დონეზე ხდება და სუბიექტურ საქმეს შია გატარებული. თემცაღა შემოქმედის ამ მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით განპირობებულია ის ფაქტიც, რომ იგი მთლიანად ერის წუხილით წუხს და მისი სიხარულით ხარობს, საკუთარი, პიროვნული განცდებისათვის კი თითქოს ეველარც იცლის... ნიშანდობლივი მაინც ის არის, რომ მკითხველი გრძნობს მუხრან მაჭავარიანის პატრიოტული სელისკვეთების ჭეშმარიტებას, გულწრფელობას და სინაღდეს და ამიტომაც დიდ ნდობას და სიყვარულს უცხადებს მას.

დასასრულს, უნდა აღვნიშნო მუხრან მაჭავარიანის ერთი განსაკუთრებული თვისებაც: ის ნათელმხილველის ნიჭითაც არის დაჯილდოებული. ის ცხადად ჭვრეტს ერისა და ქვეყნის მომავალს, ადამიანთა ხვედრს. ამიტომაც მისი პოეტური სიტყვა მისტიკური ხილვის შედეგიც არის და მომავლის განჭვრეტის უნარის მატარებელიც. პოეტის ეს უნარი თუ ნიჭი შეუძლებელია არ შეამჩნიო, თუკი მას კარგად იცნობ. ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო: გაზაფხულის ერთ მშვენიერ, მშვიდ საღამოს ჯემალ დავლიანიძის პაწია სახლის დიდ ეზოში გაშლილ სუფრას ოთხნი ვუსხედით: მუხრან მაჭავარიანი, ენვერ ნიჟარაძე, მასპინძელი და მე. ჯემალის დაწურულ ღვინოს პატარა სასმისებით შევექცეოდით და დინჯად ვსაუბრობდით ქვეყნის ჭირ-ვარამზე, დამხობილ სამართლიანობასა და ბოროტის აღზევებაზე. უცბად ქარი ამოვარდა და ცაზე კუპრივით შავი ღრუბლები მოყარა. მასპინძელმა, შეწუხებულმა, თქვა: მაგარი თავსხმა წამოვა, სუფრას წაგვილეკავს, ჯობს ბინაში გადავინაცვლოთო და სუფრის ასალაგებლად მეუღლეს უხმო. მაგრამ მუხრანმა ხელები გაასავსავა და ჩვეული სიდინჯითა და შეუვალი სიმტკიცით, ეჭვის ნატამალს რომ არ გვიტოვებდა, ბრძანა: არა, ბატონებო, სუფრას აქ გავაგრძელებთ, თავსხმა კი დაიწყება, მაგრამ ჩვენ სუფრას წვეთიც არ დაეცემა, ამაში მე ისე ვარ დარწმუნებული, როგორც საქართველოსა და ჩვენს საბოლოო გამარჯვებასა და ბოროტის დამარცხებაშიო!..

მართლაც, მოხდა სასწაული... რომ იტყვიან, ცა ჩამოწვა, კოკისპირულად წვიმდა ირგვლივ, ჩვენგან თითქმის ერთი ნაბიჯის მოშორებით წარღვნას მიჰქონდა ყველაფერი, მაგრამ ჩვენს სუფრას წვეთიც არ დასცემია... მალე გამოიდარა კიდეც და ცისარტყელამ შეკრა ცის კიდურები...

მერმე, როცა ბოროტების აღზევებით და უსამართლობით სულშეხუთულს, ხშირად უიმედობის ხელი დაგვრევდა, ამ სასწაულს ვიგონებდი და უმალვე სულში იმედის ნაპერწკალი მიღვივდებოდა, ბრძოლის ჟინი მიბრუნდებოდა.

თავად მუხრანიც ხომ ამ იმედით და რწმენით ცოცხლობს და იღვწის დღესაც და სხვებსაც ამ რწმენას უნერგავს და უღვივებს.

დიახ, მუხრანი, ვითარც რწმენის და შეურყვნელი ზნეობის მუხა, დგას მუხისებრ – უსამართლობით და უზნეობით დასეტყვილ და ძალმომრეობის ქარიშხლით დალეწილ საქართველოში, დგას ამაყად და გამორჩეულად, სიყვარულით და მიმტევებლობით გატოტვილი და მართალი გზით მავალთ თუ გზასაცდენილთ ერთიანი ძალისხმევით უმსუბუქებს სიცოცხლეს, უადვილებს ცოდვის მონანიებას და მარადიული საღვთო სიკეთისაკენ წარმართავს!

მართალია, სამოცდაათი წლის მუხრანს მუმლიც ჭარბად ახვევია, მაგრამ მუმლი განა ზიანს მოუტანს მუხას?!

მუმლი მუხასაო... მუხა გადარჩაო, მუხრან!

დრო დაუნდობლად გარბის და მუხრან მაჭავარიანმა სამოცდაათ წელს მოუყარა თავი. მაგრამ სამოცდაათი წელი წვეთია ზღვაში უკვე უკვდავებაში დამკვიდრებული შემოქმედისათვის! წინ კიდევ ხანგრძლივი საინტერესო შემოქმედებითი ცხოვრება და მამულიშვილური მოღვაწეობა ელის... მუხრანს არ სჩვევია უკან დახევა და თვალის გაპარება. მაგრამ, თუ მაინც, მარტოდმყოფი, წამიერად თვალს გადაავლებს განელილ წლებს, ოდენ სიამაყის და კმაყოფილების განცდა უნდა დაეუფლოს, რადგან მან ისე კაცურად იცხოვრა, როგორც უნდა ცხოვრობდეს ყველა ქართველი; რადგანაც ის წერდა ისე, როგორც უნდა წერდეს ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი; რადგანაც ის იდგა იქ, სადაც უნდა იდგეს ყველა ღირსეული მამულიშვილი: რადგანაც მას არასოდეს უღალატია არც საკუთარი რწმენისთვის, არც კაცისთვის, არც ერისთვის...

ისიც კარგად მესმის, რომ საქართველოში ბოლო ხანს

დასადგურებელმა უბედურებამ პოეტს დიდი სულიერი და ფიზიკური ტკივილი მიაყენა... წისქვილის ქვა არ დატრიალებულა მის თავზე, თორემ სხვა ყოველგვარი „უბედურება“ არგუნა განგების მსახურალმა ხელმა... დროდადრო ხან თაფლით ცდილობდნენ მის ცთუნებას, ხან კი შხამით... ვერ გადაახვევინეს ტაძრისკენ მიმავალი გზიდან, შეჩენილმა ეშმაკუნებმა ვერ აცთუნეს... მზაკვრები არ მოისვენებენ, მომავალშიც ეცდებიან მის „მორჯულებას“, უმადურთა ლაშქარს აუმხედრებენ, გონს გადამდგარ დედაკაცებს ააწრიპინებენ, სისხლში გასვრილ მოკალმეებს აასისინებენ... მაგრამ ღრმად მწამს, რომ მას სამშობლოს სიყვარულზე ხელს ვერ ააღებინებენ, ვერ შერყვნიან მის წმიდათაწმიდა, ბავშვივით უმანკო სულს, ვერ ჩააქრობენ მის სულში ანთებული პოეტური ნიჭის ჩირაღდანს, ვერ აღალატებინებენ სიმართლის მსახურებას...

დიახ, მუხრანი ისევ დარჩება იმედის მუხად უიმედობით დაქცეულ საქართველოში!

მუმლი მუხასაო... მუხა გადარჩაო, მუხრან!

სრულიად საქართველოს, სულით გაუტეხელ ქართველებს ვულოცავ მუხრან მაჭავარიანის დაბადების 70 წლისთავს. ასეთი ღირსეული შვილები უმრავლოს ჩვენს მამულს ღმერთმა! უფალმა დიდხანს აცოცხლოს ბატონი მუხრანი პატიოსანი, ჭეშმარიტი ქართველების გასახარებლად და საქართველოს მტრების გულგასახეთქად!

მუმლი მუხასაო... მუხა გადარჩაო, მუხრან!

P. S. ძმაო მუხრან, გეხვევი და გკოცნი, სულით და გულით გილოცავ დაბადების დღეს. ძალზე მწყდება გული, რომ ამ ღირსშესანიშნავ დღეებში შენ გვერდით ვერ ვიქნები ფიზიკურად, თორემ სულიერად მარად შენთან ვიყავი, ვარ და ვიქნები...

გოტინგენი
1999 წელი

„ჩემი ცხოვრების უმძიმესი წუთები“

– ბატონო ელიზბარ, როგორ შეაფასებდით მოვლენების განვითარებას დეკემბერ-იანვრის ტრაგედიის წინ, როგორ მივდიოდით ამ უბედურებისაკენ და შეიძლებოდა თუ არა, თქვენი აზრით, მისი თავიდან აცილება?

– არ მჩვევია მიკიბულ-მოკიბული საუბარი, არც ოდესმე მქონია იმის პრეტენზია, რომ ჩემი თვალსაზრისი მართალია და უტყუარი. ამიტომაც მხოლოდ საკუთარ აზრს მოგახსენებთ, რომელსაც, ალბათ, საზოგადოების გარკვეული ნაწილი არ გაიზიარებს, რაც საესებით ბუნებრივია. მოდით, დავარქვათ დეკემბერ-იანვრის მოვლენებს თავისი სახელი: ეს იყო სამხედრო გადატრიალება, რომლის შედეგადაც დამხობილ იქნა კანონიერი ხელისუფლება და ძალაუფლება ხელთ იგდეს შეიარაღებული აჯანყების მესვეურ-მეთაურებმა. სხვაგვარი ახსნა ამ მოვლენებისა შეუძლებლად მიმაჩნია. როგორც მიგიხვდით, თქვენ გაინტერესებთ შემდეგი: შეძლებდა თუ არა კანონიერი ხელისუფლება იმ შემთხვევაში, თუ ბრძნულ პოლიტიკას დაადგებოდა, ამ ავბედითი მოვლენების თავიდან აცილებას. ღრმად მწამს, რომ შეიძლებოდა დატრიალებული ტრაგედიის მხოლოდ გადავადება და არა საბოლოოდ თავიდან აცილება, თუკი ხელისუფლება არ უღალატებდა ეროვნული სახელმწიფოს შენების იდეას. დღეს, როდესაც ურემი გადაბრუნებულია, ადამიანს ტვინის არცერთი უჯრედი არ უნდა უმუშავებდეს, რომ ვერ მიხვდეს, თუ სად ძევს მთავარი მიზეზი და სათავე ამ ბოროტების გადმოფრქვევისა. როგორც ჩანს, საქართველოს საბოლოო დათრგუნვის და სულიერი ჩაწიხლვის მოდელი უკვე კარგა ხანია მუშავდებოდა რუსეთისა თუ დასავლეთის გარკვეულ პოლიტიკურ წრეებში. ჯერ საბჭოთა კავშირს და მერე რუსეთს სურდა განსაკუთრებული სიმკაცრ-

რით დაესაჯა ის ერები, რომლებიც შეაყრობილნი იყვნეს ეროვნული დამოუკიდებლობის და თავისუფლების იდეით. რადგანაც საქართველოში ყველაზე უფრო ადრე და მძაფრად წარმოსინდა ეროვნული თვითშეგნება და ამასთანავე ეროვნულმა მოძრაობამ მიიღო ფართო მასშტაბები, ამიტომაც პირველნი სამაგალითოდ ჩვენ დავისაჯეთ. ვგულისხმობ 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიას, რომელიც ზემოხსენებული მოდელის განხორციელების მხოლოდ პირველი ეტაპი იყო. ეს გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, სსრკ-ის სხვა ხალხებისთვის ჭკუის სასწავლებელი, „მაღალნიჭიერებით" ჩატარებული გაკვეთილი. მაგრამ რადგანაც ყოველივე საკმარისი არ აღმოჩნდა და საქართველო იყო და არის რესპუბლიკა, რომელმაც ფაქტობრივად პირველმა დააღწია თავი რუსულ იმპერიულ ბრჭყალებს, ამიტომაც იძულებული იყვნენ მიემართათ უფრო შთამბეჭდავი და შემზარავი აქციისთვის. დაიწყო ზემოხსენებული მოდელის განხორციელების მეორე ეტაპი. მათ გადაწყვიტეს სანიმუშოდ დაესაჯათ ურჩი ქვეყანა და მისი ხელისუფლება. მიზნის განსახორციელებლად კი სხვადასხვა ვარიანტი დამუშავდა. თუ ერთი ვარიანტი არ ივარგებდა, ამუშავდებოდა მეორე. ასე დაიწყო ბოლნის-მარნეულის გამოსელები, ასე დაიწყო აფხაზეთში აფსუების აჯანყება, ასე დაიწყო შიდა ქართლში ოსების უპრეცედენტო ამბოხი. და როცა ამ გამოსელებმა თავის დროისათვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, მოქმედების ეს მეთოდი დროებით გვერდზე გადადეს და მიმართეს მორალური და ზნეობრიეი თვალსაზრისით ყველაზე შემზარავ ხერხს – მიზეზთა და მიზეზთა გამო უკმაყოფილო, გაგულისებული ქართველების ერთ ნაწილს ჩაადენინეს მიუტევებელი ცოდვა, დააღვრევინეს მოყვასისა და ძმის სისხლი, ამ სისხლის საფასურად დაამხობინეს მათთვის არასასურველი ეროვნული ხელისუფლება და შეაქმნევინეს ახალი სამთავრობო სტრუქტურა, რომლის ბედიც მომავალში ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას დაიკავებს იგი რუსეთთან და ზოგიერთ დასავლურ ქვეყანასთან მიმართებაში. დღეს იმის მტკიცება, რომ დეკემბერ-იანვრის ტრაგედია განაპირობა კანონიერი ხელისუფლების არაკომპეტენტურმა გადაწყვეტილებებმა და პრეზიდენტის ახირებულმა ქმედებებმა, ან თუნდაც მისმა მიდრეკილებამ „ავტორიტარულ-

დიქტატორული რეჟიმისაკენ", სხვა რომ აღარაფერი ვთქვათ, პოლიტიკური სიბეცე, ახდა საზოგადოებისათვის შეგნებულად თვალში ხაცრის შეყრაა. აბა, გაეიხსენოთ, ყოფილი სსრკ-ის რომელ ქვეყანაში იწყება ამბოხი და არეულობანი? სწორედ იქ. სადაც „ურნი" ხელისუფლების წყალობით იკვეთება ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკური გეზი. ეფიქრობ, არც ნათელმხილველობაა საჭირო იმის მისახვედრად, რომ მომავალშიც ეს მოდელი ამუშავდება ყველგან, სადაც რუსეთისათვის სასურველი პოლიტიკა არ გატარდება.

– დეკემბერ-იანვრის მოვლენების დროს სად იყავით, რას განიცდიდით, რას აკეთებდით თქვენ, როგორც მთავრობის წევრი და როგორც პიროვნება?

– უნდა მოგახსენოთ, გაცილებით ადრე, ვიდრე ეს თავზარდამცემი მოვლენები დატრიალდებოდა, არაერთგზის მითხრეს, რომ მზადდებოდა აჯანყება. მე ყოველივე მტკნარი სიცრუე მეგონა და არაფრით არ ვიჯერებდი. აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ რუსთაველის გამზირზე ქართველი ქართველს ზარბაზანს ესროდა! მართალი გითხრათ, ახლაც არ მჯერა, უფრო მართებულად, არ მინდა დავიჯერო. მაგრამ დეკემბრის მეორე ნახევარში უკიდურესად რომ დაიძაბა სიტუაცია, ამას ვგრძნობდი და ვხედავდი, ხოლო 20-21 დეკემბერს ოპოზიციისა და პოზიციის პირისპირ დგომა სიკეთეს რომ არ მოიტანდა, ეს აშკარად შევიცანი. ამიტომაც გადავწყვიტე, შევხვედროდი საქართველოს მღვდელმთავარს. პრემიერ-მინისტრის მოადგილე ბატონი ბაკურ გულუა და მე 21 დეკემბერს სამგზის მივედით საპატრიარქოში, მაგრამ პატრიარქის ნახვა ვერ მოვახერხეთ, რადგანაც ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ მიგვიღო. ბოლოს იძულებულნი გავხდით პრეზიდენტის წერილი გადაგვეცა... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ წერილში გამოთქმული იყო მხოლოდ ერთი სურვილი: პატრიარქს უნდა დაემშვიდებინა ორივე მხარე, რათა არ დაღვრილიყო ქართველთა სისხლი. რატომღაც მან ეს არ ისურვა და ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზს, მამა ელიზბარს დაავალა ამ მეტად სერიოზული მისიის შესრულება. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ 2 იანვარს, როცა უკვე ნაკადულებად მოედინებოდა ქართველთა სისხლი, უნივერსიტეტის რექტორი ბატონი როინ მეტრეველი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის

დირექტორი ბატონი სარგის ცაიშვილი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ბატონი ნოდარ გიორგაძე და მე კელავაც შევეცადეთ შეეხვედროდით კათალიკოსს, მაგრამ ჩვენი მცდელობა ამჯერადაც ამაო გამოდგა.

თქვენ მეკითხებით, სად ვიყავი იმ ხანად? 22 დეკემბერს დილით უზენაესი საბჭოსკენ გავემართე ერთი ჩემი მეგობრის საძებნელად, რომელიც წინა ღამეს შინ არ მისულიყო. ეს იყო დაახლოებით დილის 8 საათი, ხოლო 8 საათსა და 10 წუთზე, როდესაც უზენაესი საბჭოს შენობაში შევედი, უკვე გახსნილი იყო ორმხრივი ცეცხლი და ტყვიების წვიმა მოდიოდა. ზარბაზნის ქუხილიც ქაშუეთის მხრიდან იქაურობას აყრუებდა. ყველას დაბნეულობა და განცვიფრება აღბეჭდოდა სახეზე. იყო სასოწარკვეთა და უსასოობაც. მხოლოდ პრეზიდენტი იყო მშვიდად, მაგრამ გაოცებას ისიც ვერ მალავდა. ერთი, რაც იმთავითვე გავაცნობიერე, იყო ის, რომ საქართველოში გამოუსწორებელი ტრაგედია დატრიალდა, რისიც არათუ გამართლება, არამედ დაჯერება და გაგებაც წარმოუდგენელია. ნაშუადღევს, როცა ერთხანს ცეცხლი შეწყდა, სხვა კოლეგებთან ერთად უზენაესი საბჭოს შენობიდან გამოვედი. მე ერთხელ კიდევ მომიწია იქ დაბრუნება, როცა მინისტრთა კაბინეტისა და პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა გაიმართა. უნდა მოგახსენოთ, რომ ვითარება იმ დროს ძალზე დაძაბული დამხვდა. ყოველ ნაბიჯზე იყო ღალატი და დაუნდობლობა ურთიერთისა. სიტუაცია, რომელიც მე იქ ვიხილე, ერთობ მძიმე და შთამბეჭდავი იყო, ამიტომაც დამძიმებული სულით გამოვბრუნდი იქიდან. ერთადერთი, რაც ვიღონე, შევეცადე როგორმე ახალგაზრდობა, სტუდენტები და მოწაფეები, ცხელ წერტილს სიახლოვესაც არ გაკარებოდნენ. დგება ხოლმე ისეთი ჟამი, როდესაც აშკარად ხედავ და გრძნობ, როგორ იღუპება ქვეყანა და ერი და ვერაფერს აკეთებ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად. ასეთი უსასოო და დათრგუნული ვიყავი მაშინ. აშკარად ეხედავდი, რომ უსამართლობა ძალმომრეობდა, მაგრამ ვერაფერს ვაკეთებდი. არ შემეძლო იარაღი ამეღო და ქართველის წინააღმდეგ აღმემართა ხელი. ვინც უნდა ყოფილიყო იგი. ხოლო სიტყვასა და კალამს იმ დროს ყოველგვარი ფასი დაეკარგა. ერთი სიტყვით, ეს იყო ჩემი ცხოვრების უმძიმესი წუთები, რომლის ტრაგიკული ვანცდა დღესაც

არ გამხელებია და ყოველ წამს იჩენს თავს. აქვე უნდა დავსძინო, რომ მე იმთავითვე გამოვკვეთე ჩემი მკვეთრი უარყოფითი პოზიცია დატრიალებული მოვლენებისადმი და დღესაც ამ აზრისა ვარ.

– არაორდინალური პიროვნება არის ბატონი ზვიად გამსახურდია. ჩვენ სათანადო პატივი უნდა მივაგოთ მას, როგორც მეცნიერს, რუსთველოლოგს, კარგ მთარგმნელს. მისმა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ სრულიად განსხვავებული, რადიკალური შეფასებები გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. სწორია თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის მისეული კონცეფცია?

– სავსებით გეთანხმებით, რომ ბატონი ზვიად გამსახურდიას ფენომენი სრულიად განსხვავებულია და მოითხოვს სპეციალურ შესწავლასა და შეფასებას. ამას, ალბათ, ისტორია ჩვენზე უკეთ იტყვის. მაგრამ ერთი რამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნო. ჩემს ცნობიერებაში ურთიერთისაგან გამიჯნულნი არიან ეროვნული და პოლიტიკური მოღვაწეები. მაგალითად, ეროვნული მოღვაწეა ილია ჭავჭავაძე, ხოლო პოლიტიკური – ფილიპე მახარაძე. მათი ცხოვრებაც და საქმიანობაც რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ამჯერად დაწვრილებით არ შევუდგები მათი მოღვაწეობის განმასხვავებელი ნიშნების ჩამოთვლას, მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ პოლიტიკური მოღვაწისათვის უმთავრესია ვიწრო პარტიული მიზნები, რომლის მისაღწევად იგი არ ერიდება არავითარ უზნეო ხრიკებს. ხოლო ეროვნული მოღვაწისათვის ერის ინტერესები დგას საკუთარ სიცოცხლეზე მაღლა და მისთვის უზნეობასთან კავშირის დადება ქვეყნისა და ერის ღალატის ტოლფასია. ამ თვალთახედვით თუ შევხედავთ პრობლემას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ბატონი პრეზიდენტი უპირველესად არის ეროვნული მოღვაწე და არა პოლიტიკოსი. მისი მრავალი „შეცდომაც“ სწორედ იმით არის განპირობებული, რომ იგი არ მისდევდა პოლიტიკურ უზნეობას, მას ამოძრავებდა ერთი უმთავრესი მიზანი – საქართველოს განთავისუფლება და ქართველი ერის სულიერი ამაღლება. უნდა ვთქვათ, რომ ამისათვის მას არასოდეს ეღალატია და არც საბედისწერო შეცდომა დაუშვია, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა ერისთვის დამღუპველი შედეგი. პირუკუ, მისი დიდი დამსახურებაა, რომ

დღეს საქართველო იურიდიულად და ფაქტობრივადაც თითქმის დამოუკიდებელია. ვისაც ამის არ სჯერა, ერაშანი თომაა და საერთოდ არ სურს არაფრის დაჯერება. ვიმეორებ, ბატონი პრეზიდენტი მრავალგზის შეცდა, მაგრამ ამ შეცდომათაგან არცერთი არ ყოფილა საბედისწერო, რომელიც საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეას ზიანს მიაყენებდა. თქვენ მეკითხებით, რამდენად სწორია სახელმწიფოებრივი მოწყობის მისეული კონცეფცია? სიმართლე გითხრათ, ასეთ კონცეფციას არ ვიცნობ და, რამდენადაც ვიცი, ბატონ პრეზიდენტს იგი არსად გამოუქვეყნებია. ამიტომაც მისეული კონცეფციის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. ოღონდაც, კელავ გავიმეორებ, რომ მისი პოლიტიკური, უფრო მართებულად, ეროვნული კონცეფციისათვის უმთავრესი იყო საქართველოს თავი დაეხსნა იმპერიის ბრჭყალებისაგან, რასაც იგი მეთოდურად და გულდასმით ახორციელებდა.

— აგრეთვე არაორდინალური პიროვნება არის ბატონი ედუარდ შევარდნაძე. ასევე განსხვავებულ შეფასებებს იწვევს მისი მოღვაწეობაც. თუმცა იმ ფაქტს, ვგონებ, ვერსად წავუვალთ, რომ მისი სახით გამოცდილ პოლიტიკოსთან გვაქვს საქმე. საზოგადოების ნაწილი გაიძახის, საქართველოს დასაღუპად ჩამოვიდაო. თქვენ როგორ გგონიათ, „დაგვაქცევს“ თუ „აგვაშენებს“? და საერთოდ, რა მოგწონთ და რა არ მოგწონთ დღევანდელი ხელისუფლებისა?

— ალბათ, სწორი ბრძანდებით, როდესაც ბრძანებთ, რომ ედუარდ შევარდნაძეც არაორდინალური პიროვნებაა და მისი ფენომენიც ერთობ ძნელი ამოსაცნობია. მის შესახებ ბევრი რამ დაიწერა ჩვენშიც და საზღვარგარეთაც, ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მაგრამ აღვნიშნავ, რომ იგი წმინდა წყლის პოლიტიკოსია და მას ეროვნულ მოღვაწეთა შორის ვერ ჩაეყენებთ. ერთმა მწერალმა და პუბლიცისტმა სრულად დახატა ე. შევარდნაძის პორტრეტი, ამ პორტრეტიდან ვეიმზერს გამოცდილი, მაგრამ ცბიერი პოლიტიკოსის თვალები. სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ, მასზე საუბრობენ როგორც პიროვნებაზე, რომელიც არასოდეს არ ჩქარობს: „ეთქვათ, მოწინააღმდეგეს მან ანგარიში უნდა გაუსწოროს დღის 12 საათზე. თორმეტს რომ ხუთი წუთი აკლია, შეუძლია მოწინაღმდეგე დაიბაროს, გულთბილად ესაუბროს. ახალი დავალებები მის-

ცეს, არასდროს წასძლევს სულის დამატკბობელი შურისძიება, მრისხანება ვერასოდეს ვერ დარეკს ხელს, სანამ 12 საათი არ შესრულდება". ასეთია, საერთოდ, „პოლიტიკური მორალის" პრინციპები. რას იზამ, თუ კაცი პოლიტიკოსობ, მისი „მორალის" წესებით უნდა იცხოვრო. ჩემი აზრით, ედუარდ შევარდნაძე იყო არა იმდენად საქართველოს, რამდენადაც საბჭოთა კავშირის პოლიტიკური მოღვაწე, ამიტომაც მის მიზნებსა და იდეებს ემსახურებოდა. მსოფლიოში მან სახელი გაითქვა არა როგორც საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელმა, არამედ როგორც სსრკ-ის საგარეო საქმეთა მინისტრმა. ახლა არ შევუდგები იმის თხრობას, თუ რა ხდებოდა საქართველოში, როცა იგი ცეკას პირველი მდივანი იყო. მადლობა ღმერთს, ეს გუშინდელი დღეა და მისი მოღვაწეობის შესახებ, მათ შორის საბუდისწერო შეცდომებზეც (მაგალითად, როკის გვირაბის გაყვანა), ყველას კარგად მოეხსენება. მაგრამ ვერ ვმალავ გაოცებას, როცა დღეს ედუარდ შევარდნაძე და მისი თანამოაზრეებიც გულდასმით ამტკიცებენ, რომ მისი უშუალო მცდელობით მოხდა საბჭოთა იმპერიის დამხობა. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ გორბაჩოვის და სხვათა ე. წ. „პერესტროიკის" იდეის მთავარი მიზანი იყო როგორმე შეენარჩუნებინათ სსრკ-ის მძლავრი იმპერია. ისინი იმასაც ხედავდნენ, რომ ეკონომიკურმა და სოციალურმა კრიზისმა უკიდურეს ზღვარს მიაღწია და ქვეყნის დაშლა გარდუვალი იყო. ამიტომაც შეეცადნენ ზემოდან დაეწყოთ „პერესტროიკა" და პროცესები ისე წარემართათ, რომ მოჩვენებითი დემოკრატიის ილუზია შეექმნათ, როცა ლაპარაკის უფლებას გაძლევენ, მაგრამ ქმედებას გიკრძალავენ მკაცრად. თუმცა შედეგი ვერ გათვალეს და მიზანი განუხორციელებელი დარჩათ. ასე თუ ისე, არ ვიქნებით მართალნი, თუ არ ვიტყვით, რომ მათ ქმედებას, ნებსით თუ უნებლიეთ, სასიკეთო ძვრები მოჰყვა და გამოფხიზლებული ერები დაადგნენ ჭეშმარიტი თავისუფლების გზას.

თქვენ მეკითხებით, დააქცევს თუ ააშენებს ედუარდ შევარდნაძე საქართველოს? ამის შესახებ ახლა დაზუსტებით ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ერთი კი ვიცი, მარტო კაცი, თუ მას ხალხი არ უჭერს მხარს, ვერაფერს ააშენებს. თანაც არ დაგავიწყდეთ, საქართველოს ჰყავდა აღმაშენებელი, ასე და-

ვით მეფეს იმიტომ უხმობდნენ, რომ იგი ჭეშმარიტად ქართველი მეფე იყო და საქართველოს აღშენებისათვის ბრძოლავდა. მან მართლაც შეძლო ქვეყნის დახსნა მტერთაგან, გამთლიანება და სრულიად ერთიანი საქართველოს შექმნა, რომელიც ქედს არავის უდრეკდა. დღეს არ მეგულება ადამიანი, ამ სახელში რომ ეცილებოდეს მას, ამიტომაც აღმაშენებლად ვერავის მოვნათლავთ. ოღონდაც, თუ გავითვალისწინებთ ედუარდ შევარდნაძის ბოლოდროინდელ მიღწევებს პოლიტიკურ სარბიელზე. კერძოდ იმას, როგორც თავად ბრძანებს, რომ მან დაშალა საბჭოთა კავშირი, დაანგრია ბერლინის კედელი, მოარღვია ორი პოლიტიკური სისტემის გამმიჯნავი რკინის ფარდა და, რაც ყველაზე არსებითია, ხელი შეუწყო საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობასა და განდევნას, მაშინ თავად მკითხველმა განსაჯოს, თუ რომელ ზერქმევას — „დამაქცეველს" თუ „აღმაშენებელს" იმსახურებს. იმასაც ვიტყვი, რომ დღევანდელ სიტუაციაში ედუარდ შევარდნაძის სახელი გარკვეულწილად ამუხრუჭებს შეიარაღებულ, თავზეხელაღებულ ადამიანთა უკანონო, ანარქიულ ქმედებას, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ მისმა ჩამობრძანებამ მოსახლეობაში გამოიწვია დიდი უკმაყოფილების ტალღა. ფაქტია, რომ ქვეყნისათვის მის მოღვაწეობას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში უცხო სახელმწიფოებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას, ჯერჯერობით რაიმე არსებითი, რეალური სიკეთე და წარმატება არ მოუტანია.

მომწონს თუ არა დღევანდელი ხელისუფლება? „რა გითხრათ? რით გაგახაროთ?" რა უნდა მომწონდეს დღევანდელი ხელისუფლებისა?! ის, რომ იარაღის ძალით მოვიდა თუ ის, რომ დემოკრატიისათვის მებრძოლმა დემოკრატიულ ინსტიტუტებს ბრძოლა გამოუცხადა?! თუ ის, რომ ქართველთა სისხლის გუბეები დააყენა?! თუ ის, რომ ძარცვა და ბანდიტიზმია ირგელივ დასადგურებული?! თუ ის, რომ ყოველდღიურად ადამიანებს იტაცებენ?! თუ უსაშველოდ გაზრდილი ფასები უხელფასობის პირობებში და პატიოსანი ხალხის შიმშილი?! იქნებ ისაა მოსაწონი, რომ ყოველდღე მიტინგებს არბევენ?! თუ ის, რომ უკიდურესად ცალმხრივია პრესა და ტელევიზია?! თუ ის, რომ საქართველო დალაშქრულია, პატივაყრილი და შეურაცხყოფილი?! მითხარით ერთი, რა უნდა მომწონდეს?! იქნებ არის

რაიმე მოსაწონი, რასაც ვერ ვხედავ?! თქვენ მეტყვით, ეკონომიკური სიძნელეები წინა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით დაგვიტოვაო და შენიშნავთ, რომ ამ სიძნელეების გამოსწორებას დიდად უშლის ხელს პრეზიდენტის მომხრე მოსახლეობის ქმედებანი — მიტინგები, დემონსტრაციები, გაფიცვები და მისთ. ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი: ჯერ ერთი, ეკონომიკური აღორძინებისათვის სასიცოცხლო სტაბილიზაცია სჭირდებოდა ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებასაც, მაგრამ იმ დროს ამას აინუნშიაც არავინ აგდებდა. „ოპოზიცია" ყოველგვარ ხერხს მიმართავდა, რათა როგორმე მოეხდინა დესტაბილიზაცია და ამას აშკარად ამტკიცებდნენ სიტყვითაც და საქმითაც. მაშ, რატომღა გიკვირთ, თუ კანონიერი ხელისუფლების მომხრეები იმავეს მოიმოქმედებენ უკანონო ხელისუფლების წინააღმდეგ?! ანდა ისინი ხმას აიმაღლებენ იმ ხელისუფალთა წინააღმდეგ, რომლებიც ხალხს არ აურჩევია და არც მოუწვევია, და რომელთა „გახელისუფლება" მოხდა ისე, რომ ქართველი ერისთვის არაფერი უკითხავთ?! მეორეც, მოსახლეობის აგრესიულობა ბევრწილად გამოწვეულია გაუგონარი, ძალისმიერი, არასამართლებრივი ბრძოლის ხერხებით, რითაც დღევანდელი ე. წ. ხელისუფლება ცდილობს ჩაახშოს ხალხის ნება. მინდა კატეგორიულად განვაცხადო, ვგმობ ყოველგვარ ძალადობას, მაგრამ არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ ეს უკიდურესი ნაბიჯი გამოწვეულია იმ ძინაგანი პროტესტითაც, რაც მოჰყვება ხოლმე ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენლის მიერ ხალხის ნების აბუჩად აგდებას, მის ფიზიკურ და მორალურ შეურაცხყოფას.

შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ, ჩემი აზრით, დღევანდელ ხელისუფლებას იდეოლოგიურად უფრო უჭირს, ვიდრე ეკონომიკურად. ეს იდეოლოგიური უსუსურობა კი განპირობებულია იმით, რომ ყველაფერი სიცრუის მარცვლიდან არის აღმოცენებული. საერთოდ, განცვიფრებას იწვევს ის იდეოლოგიური უსახურობა და უძლურება, რასაც ყოველდღიურად ეეცნობით პრესით ან ვუყურებთ ტელევიზიით. სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ ზოგიერთ მათგანზე მაინც უნდა შევჩერდე. დღეს ხშირად გაიგონებთ, რომ კანონიერია არა ის ხელისუფლება, რომელიც კანონიერი, დემოკრატიული გზით აირჩიეს და სამართალს არღვევს, არამედ ის, რომელიც უკა-

ნონო გზით მოვიდა ხელისუფლებაში, მაგრამ ცდილობს სამართლებრივი ნორმების დაცვას და დემოკრატიის აშენებას. ეს არის წმინდა წყლის სოფიზმი. გამიზნული უმწიფარი ბავშვების თვალის ასახვევად. ყველასათვის ცნობილია, რომ, ჯერ ერთი, კანონიერი შეიძლება იყოს მხოლოდ ის ხელისუფლება, რომელიც კანონიერი გზით მოვიდა სათავეში, ხოლო თუ ის სამართლებრივ ნორმებს დაარღვევს (მე ჯერ არ მეგულება არცერთი ქვეყნის ხელისუფლება, რომ კანონიერება არ დაერღვიოს), მაშინ იგი სამართლის დამრღვევია და არა უკანონო. და მეორეც, იარაღის ძალითა და არასამართლებრივი გზით მოსული ხელისუფლება რაც უნდა „კეთილი" ზრახვებით ინუგეშებდეს თავს და ჩვენც გვანუგეშებდეს, ვერასოდეს გახდება კანონიერი და ვერც ვერასოდეს ააშენებს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა თუ სამართლებრივ სახელმწიფოს. ერთი სიტყვით, უკანონობაზე არასოდეს აღმოცენდება ხე მართლისა სამართლისა. სოფიზმის მეორე საუკეთესო მაგალითი: მავანთა განცხადებით, როდესაც პრეზიდენტი ცდილობდა წესრიგის დამყარებას და ამისთვის ზოგჯერ დემოკრატიისათვის არც თუ მისაღებ ხერხებს მიმართავდა, თურმე მას სურდა დიქტატურის დამყარება, ხოლო დღეს, როდესაც გაუგონარი სისასტიკით არბევენ მშვიდობიან მანიფესტაციებს, ეს კეთდება კეთილი ზრახვებით და ერთადერთი მიზნით: დემოკრატიის ასაშენებლად! იდეოლოგიური მარცხი იმაზე შორს ვეღარ წავა, როცა ერთი პიროვნების სიძულვილის გამო მთელ ქართველ ერს აბრალებენ სხვა ერის გენოციდს. ანდა, ჯერ არგამოძიებულ, მართლაც შემზარავ მკვლელობას სოფელ კეხვთან აბრალებენ ქართველ ერს (მაშინ როცა ადვილი შესაძლებელია, და ჩემი ღრმა რწმენით, ასეც არის, ივი მესამე ძალის ნამოქმედარი იყო) და ამას მსოფლიოს გასაგონად აცხადებენ. ხოლო იმ შემზარავ ფაქტს, რვა ქართველი ახალგაზრდა რომ ერთმანეთზე დააწყვეს და დაწვეს, მსოფლიოს კი არა, საკუთარ ხალხს უმალავ. ეს არის პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა?! როცა სამოცდაათი წლის განმავლობაში დაბეჩავებული და მიწასთან გასწორებული ეროვნული სულის გამოღვიძებას და აღტყინებას ფაშიზმად ნათლავ, როგორც ამას ზოგიერთი გენეტიკურად დაუდგენელი პიროვნება ჩადის, ეს უკვე იდეოლოგიური მარცხი კი არ არის, არამედ ერის

გადაგვარებაა! დიახ, დღეს ზოგიერთი ვაიქართველი, რომელიც კოსმოპოლიტიზმს ებღაუჭება ისე, რომ კარგად ვერ გაუგია მისი არსი, ყოველგვარი ეროვნულის გამოვლინებას პროვინციულობად ნათლავს. თუმცა ამაში გასაოცარი არაფერია. ისტორიას თუ გავიხსენებთ, მრავალი ინტერნაციონალისტისა და კოსმოპოლიტის სახელი ამოტივტიედება ჩვენს მეხსიერებაში... ყველაზე გასაოგნებელი კი ის არის, რომ ეს, ვიტყოდი, ანტიქართული იდეები ვრცელდება დემოკრატიის დევიზის წინ წამოწევით. ახლა ამ გამანადგურებელ სენზე, რომელიც, სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელდა, სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მაგრამ იმ მეთოდებზე, რომლითაც ჩვენი ხელისუფლება, თურმე, აშენებს და იცავს დემოკრატიას, რომ არა ვთქვა, არ შემიძლია. რით ხდება დღეს დემოკრატიის ინსტიტუტების შენება? ესენგეს ბეტეერებით, ტროტუარზე გასასრესად რომ დასდევს ხალხს, რუსული „კალაშნიკოვის" კაკანით, რომელსაც ხანდახან „მაკაროვი" შეეხმიანება ხოლმე, გერმანული ქოფაკებით, თავიანთი პოლიტიკური გაუცნობიერებლობის გამო ზოგჯერ სახელმწიფო საბჭოს მომხრეებსაც რომ სწვდებიან წვივში, იტალიური წარმოების ხელკეტებით, რომლებიც, როგორც ამბობენ, საჩუქრად გამოუგზავნიათ დასავლეთიდან და, რაც მთავარია, ქართველის სიძულვილით. რასაც მოგახსენებთ, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი და განცდილი, ამიტომაც ვერაფრით დაეჯერებ, რომ ჩვენში დემოკრატიის რაიმე ჩანასახი არსებობდეს. დიახ, ვერავინ დამარწმუნებს, რომ ამ გზით და მეთოდებით დემოკრატიის გადარჩენა შეძლოს ვინმემ. ახლა გენშერმა, ბეიკერმა, ბუშმა კი არა, მსოფლიოს მთელმა „პროგრესულმა" საზოგადოებამ და მთელმა ხალხმაც რომ ჩვენთვის მოიცალონ და ცბიერი ღიმილით შეეცადონ დაგვიმტკიცონ, თითქოს საქართველო დემოკრატიის სტრუქტურების და სისტემის შექმნის გზას დაადგა, ვერ დავუჯერებთ. ვერ დავუჯერებთ თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მწარე გამოცდილებით ვიცით: ვირი ხეზე არ ასულა და არც ყორანი გათეთრებულა. ამის დამადასტურებელ უტყუარ მაგალითსაც მოგახსენებთ. 26 მაისს, როცა მთელი ქართველი ხალხი აღნიშნავდა ამ ღირსშესანიშნავ თარიღს, როცა დიდი დემოკრატი ბეიკერი სტუმრად ეწვია დემოკრატიის მამამთავარს ედუარდ შევარდნაძეს, რო-

ცა კომენდანტის საათი მოხსნილი იყო, როცა წინა ღამით შერიგებას და სიყვარულს ღაღადებდნენ, დიახ, სწორედ 26 მაისს, კვლავ შემსარაკი მეთოდებით, ავტომატების და ბერეტერების სროლით დაარბიეს ფილარმონიასთან (არა მხოლოდ ფილარმონიასთან, როგორც თვითმხილველნი გვაუწყებენ, სადგურთან, სამედიცინო ინსტიტუტთან, 31-ე ქარხანასთან) შეკრებილი კანონიერი ხელისუფლების მხარდამჭერთა რამდენიმე ათასიანი მიტინგი.

— ბატონო ელიზბარ, თქვენი აზრით, რისი ბრალია ჩვენი ქვეყნის ორად გახლეჩა, კუთხური სეპარატიზმის აღორძინება ერის გარკვეულ ნაწილში და რა ვქნათ, როგორ მოვუაროთ, რანაირად გავაერთიანოთ ხიდჩატეხილი მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირებზე დარჩენილი ჩვენი თანამემამულენი? სხვათა შორის, ის ზნეობრივი კრიზისი, ახლა უკეთ რომ გამოჩნდა, თქვენ ადრეც შენიშნეთ. წერილში — „უკეთუ სულითა ცხოველ არს იგი“ — წერდით: „რაც არ უნდა გაზვიადებულად გვეჩვენოს, მძიმე სენით ვართ შეპყრობილი, ავთვისებიანი სიმსივნე მოგვდებია ისე, რომ ვერც ვგრძნობთ“.

— საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უცხო არ არის პიროვნებათა თუ ადამიანების კრებულთა დაპირისპირებანი, რაც სხვადასხვა მიზეზით წარმოიშობა ხოლმე: ხან ესთეტიკური, ხან მორალური, ხან პოლიტიკური და კიდევ მრავალი პრინციპი წამოიწევს წინ და ერთი თვალსაზრისის მომხრენი უპირისპირდებიან სხვა პოზიციაზე მდგომთ. გაეიხსენოთ თუნდაც მოცარტისა და სალიერის თაყვანისმცემელნი, ანდა მაჩაბლისტების და ჭავჭავაძისტების ქიშპი, ანდა თუნდაც მესხისტებისა და მეტრეველისტების შეურიგებლობა და მისთ. ასეთი დაპირისპირება ბუნებრივი მოვლენაა და თუ იგი არ არის გაღრმავებული სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით, ის კატაკლიზმებს და ეროვნულ კატასტროფას არ იწვევს. პირუკუ, ჯანსაღმა და კონსტრუქციულმა დაპირისპირებამ შეიძლება დადებითი შედეგები გამოიღოს. ამიტომაც მე საესებით არ მიკვირს ის, რომ ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი პრეზიდენტის „გულშემატკივარია“, მეორე კი — ედუარდ შევარდნაძის. მაგრამ ამ დაპირისპირებას უფრო ღრმა ფესვები აქვს, ის ქართველთა სულიერებიდან იღებს სათავეს და ამიტომაც ტრაგიკული ხასიათისაა. თქვენც აღ-

ხიმსაგან და პრესისა და რადიოშიც დღეს ძალზე ხშირად საუბრობენ კუთხური სეპარატიზმის შესახებ, რაც ამ დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად მიანნიათ. ნება მიბოძეთ, არ დაგეთანხმოთ, ვერავითარი კუთხური სეპარატიზმის აღორძინებას ვერ ვხედავ და ვერც იმას ვამჩნევ, რომ კუთხეები ერთმანეთს დაპირისპირებოდეს. მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგიერთს ხელს აძლევს მასზე გაამახვილოს ყურადღება და სამეგრელოს, უფრო მართებულად, კოლხთა „ამბოხი", რომელსაც მრავალი ობიექტური მიზეზი აპირობებს, გააბიაბრუოს კუთხური სეპარატიზმის სახელის მონათვლით. თითქოს ისინი იმიტომ უჭერენ მხარს კანონიერ პრეზიდენტს, რომ ის წარმოშობით სამეგრელოდანაა, მაგრამ ბავშვებისთვისაც ხომ ნათელია, რომ ამ არგუმენტს არავითარი საფუძველი არა აქვს. ამ ლოგიკით მათ მხარი უნდა დაეჭირათ თენგიზ სიგუასთვის, თენგიზ კიტოვანისთვის და მისთ. ამავე ლოგიკით გურია და გურულები, მეც მათ შორის, უნდა დავმდგარიყავით ედუარდ შევარდნაძის მხარეს. მაგრამ ეს ასე არ ხდება და საკითხის ამგვარი მოაზრება ძალზე პრიმიტიულია.

ხიდჩატეხილობის მიზეზი, როგორც უკვე აღვნიშნე, უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ. სამწუხაროდ, ჩვენს სინამდვილეში მოხდა ორი იდეის — ეროვნულობის და დემოკრატიის — ხელოვნურად დაპირისპირება, რადგანაც ეს იდეები ურთიერთგამომრიცხავი არ არის და მათი ჰარმონიული შეჯერება სავსებით ადვილი იყო. მაგრამ, როგორც თავის დროზე ბოლშევიკებმა სოციალური თანასწორობის იდეა დაუპირისპირეს ეროვნულს, ასევეა დღესაც. რატომღაც ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ, მასონთა მსგავსად, დემოკრატიული ლოზუნგის წინწამოწევით ეროვნულის უგულებელყოფა ხდება. ყველას გვახსოვს, ბოლშევიკები თუ მენშევიკები როგორ უგულებელყოფდნენ ყოველგვარ ეროვნულს, პატრიოტიზმს და ინტერნაციონალურ საფეხურზე „ამაღლებულნი" მოუწოდებდნენ ყველა ქვეყნის პროლეტარებს შეერთებისაკენ. დღეს ჯერჯერობით ასეთ ლოზუნგს ვერ ვხედავთ, მაგრამ ჩვენი დემოკრატიული აზროვნება ისე ვითარდება და ქვეყნის პოლიტიკური კურსი იქითკენ მიდის, რომ მალე, ევროპის საერთო სახლში მოხვედრილნი, საეროოდ ვეღარ გავიხსენებთ „ვინა ვართ და რანი ვართ" და საიდან მოვდიოვართ. ერთი სიტყვით, ნიველირებული

იქნება ყოველგვარი ეროვნული გრძნობა. ახლა გადაჭრით ვერ გეტყვით, რომელი უფრო მომხიბვლელია – სოციალური თანასწორობის თუ დემოკრატიულობის იდეა, მაგრამ ჩემთვის პირადად ორივე მიუღებელია, თუკი ისინი ეროვნულს ვნებენ და ზიანს აყენებენ. ასე რომ, ქართველი ხალხი გაყოფილია არა მავანთა და მავანთა მომხრეებად თუ მოწინააღმდეგეებად, არამედ, უხეშად რომ ვთქვათ, პატრიოტებად და არაპატრიოტებად, ანუ იმ ხალხად, ვინც ეროვნულ ნიადაგზე დგას, რამეთუ სხვაგვარად არ შეუძლია, და იმად, ვინც ამ ეროვნულობას არად დაგიდევთ. რა თქმა უნდა, არსებობენ ისეთნიც, რომელნიც თავის თავში მშვენიერად აერთიანებენ ორივე იდეას. აქვე მინდა დავსძინო, რომ ამ დაპირისპირებას ამძაფრებს სამართლიანობისა და უსამართლობის განცდაც. საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ შეგუებია იმ უსამართლობასა და უკანონობას, რაც დღეს ხდება, და უპირისპირდება მას. ვინც შეგნებულად თვალს ხუჭავს მიმდინარე მოვლენებზე და ცხოვრობს პრინციპით – მე ვარ და ჩემი ნაბადიო, რა გაამთლიანებს ხალხს? მხოლოდ ერთი რამ: როდესაც ის დარწმუნდება, რომ აღსდგა სრული კანონიერება და სამართლიანობა და ეროვნულობის იდეას პერსპექტივაში არაფერი ემუქრება.

რაც შეეხება ჩვენი ერის ზნეობრივ დაკნინებას, უნდა მოგახსენოთ, რომ ეს საყოველთაო მოვლენა გახლავთ და იგი კარგა ხანია დაწყებულია. მას შემდეგ, რაც ჩვენს ცხოვრებაში ხორცმა დაჩაგრა სული, ადამიანმა დაკარგა რწმენა და „ტექნიკიზაციის“ პროცესმა დაარღვია ბუნების ჰარმონია, აშკარად შეიმჩნევა ზნეობრივი დეგრადაცია და ის კიდევ უფრო მძაფრად ელინდება, როდესაც ქვეყანას მოიცავს ქაოსი და განუკითხაობა. მართალია, ჩვენი ისტორიული წარსულისათვის უცხო არ არის უზნეობა, იმაზე შორს სად უნდა შეგვეტოპა, როცა ჩვენივე სისხლსა და ხორცს ვყიდდით სტამბოლის ბაზარში, ანდა ტახტის გამო ძმასა და მამას არ ვინდობდით, მაგრამ მაინც შემიძლია თამამად ვთქვა, რომ დღეს უზნეობის ზეიმია და ის, რაც ხდება, მორალის თვალსაზრისით ადამიანის წარმოდგენის საზღვრებს სცილდება. ამაზე შეიძლება დაუსრულებლად ვისაუბროთ, მრავალი ფაქტიც მოვიხმოთ, მაგრამ სიტყვა ისედაც გამიგრძელდა და მხოლოდ ერთს ვიტყვი: დღეს უზნეობაზე საუბრობს ყველა, იმიტომ რომ სხვათა უზ-

ხელობის შემსრულება და მისი გაკეთება იოლია, საქმე ისაა, საკუთარ თავში აღმოაჩინო ხორცშეცხი და იგი წარიკვეთო. ამიტომაც სასურველია ყველა თავის თავს ჩაღრმავდეს და საკუთარი სულიერი სრულყოფისათვის იღვაწოს.

— ბატონო ელიზბარ, ამ ბოლო დროს ეროვნული მოძრაობის სრული იგნორირება იგრძნობა ზოგ-ზოგი ჩვენი პუბლიცისტის მხრიდან. საზოგადოებას შევახსენებ, რომ სწორედ თქვენი რედაქტორობის დროინდელ „ლიტერატურულ საქართველოში" დაიწყო გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაცია ჩვენში, რასაც მერე და მერე სხვა ემიგრანტ თუ არაემიგრანტ მწერალთა და მეცნიერთა გამოჩენა თუ ხელახალი აღმოჩენა მოჰყვა...

— თქვენი შეკითხვა ორ დამოუკიდებელ საკითხს მოიცავს. ამიტომაც ნება მიბოძეთ ჩემი პასუხებიც ურთიერთისგან გავმიჯნო.

პირველი: თქვენ აღნიშნავთ, რომ ბოლო დროს ეროვნული მოძრაობის სრული იგნორირება ხდება ზოგიერთი პუბლიცისტის მიერ. სავსებით გეთანხმებით. დღეს აშკარად შეიმჩნევა ეროვნულობის განცდის საერთოდ გაფერმკრთალება და აბუჩად აგდება. ეს არც არის გასაკვირი და ლოგიკური შედეგია იმ პროცესისა, რაც ახლა ხდება ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ზემოთ მოგახსენეთ, რომ რენეგატი ქართველები არასოდეს მოგვკლებია, რომლებიც სწორედ ძნელბედობის ჟამს წამოყოფენ ხოლმე თავს. ასე ხდებოდა ყოველთვის და არა მხოლოდ საქართველოში. ეს დიდად საგანგაშო არ არის.

მაგრამ მე უფრო მაშფოთებს ის, რომ ეროვნულის აბუჩად აგდების ტენდენცია თანდათან იკიდებს ფეხს ჩვენს სინამდვილეში და კანონზომიერ სახეს იღებს. აი, ამის ფესვები მოვლენების განვითარების ზედაპირზე კი არა, სიღრმეშია საძიებელი და თუკი ისინი დროულად არ ამოვძირკვეთ, ქართველი ერის არსებობას საერთოდ დიდი საფრთხე ელოდება. ყველას კარგად გვახსოვს, მაგრამ ერთხელ კიდევ გავიხსენოთ არც თუ შორეული წარსული, თუ როგორ იდევნებოდა კომუნისტების ბატონობის ჟამს ეროვნული სულის ყოველგვარი გამოვლინება; რაოდენ მეთოდურად, სისტემატურად ხდებოდა ეროვნული თვითცნობიერების დაჩლუნგება; როგორ გამოიდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან ქართული ენა; როგორ აპი-

რებდნენ უმაღლესი სასწავლებლებიდან ქართული ენის გან-
დევნას და რომ არა სტუდენტი-ახალგაზრდობის და საზოგა-
დოების ღირსეული წარმომადგენლების აქტიური წინააღმდე-
გობა, დღეს საეალალო შედეგი გვექნებოდა. და ეს ყველაფე-
რი ხდებოდა ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ. საქართვე-
ლოს მაშინდელი და დღევანდელი თავკაცი გვაფრთხილებდა:
„მტერი ვერაგია, იგი გვთავაზობს ეროვნული სიამტკბილობის
ოპიუმში გაზავებული ბურჟუაზიული იდეოლოგიის ღვარძლს“
(„კომუნისტი“, №33, 1974), ხოლო ვერაგი ბურჟუაზიის მტრულ
ჩანაფიქრს უპირისპირდებოდა ინტერნაციონალიზმის „ამაღ-
ლებული სულისკვეთება.“ ნამდვილი პატრიოტი ის არის, —
წერდა ე. შევარდნაძე, — ვინც ფიქრობს და აზროვნებს ინტერ-
ნაციონალიზმის სულისკვეთებით, ვინც თავის შრომით უქ-
მნის ღირებულებებს თავის ხალხს, საბჭოეთის ყველა ხალხს,
მთელ კაცობრიობას. მხოლოდ ინტერნაციონალიზმი უქმნის
სრული აყვავების პირობებს ყველა ერსა და ყოველ ხალხს“
(იქვე). ქართველი ადამიანისთვის უცხო არ არის ინტერნაცი-
ონალიზმის გრძნობა. ამის უტყუარი დასტურია მთელი ჩვენი
ისტორია. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ქართველის ერთი
უცილობელი თვისება-ხასიათი: იგი რაც უფრო მეტად აფა-
სებს სხვა ეროვნებას, მით უფრო მეტად პატივს სცემს საკუ-
თარ ერს. ამიტომაც მისთვის უცხო იყო და არის ის ყალბი და
თავსმოხვეული ინტერნაციონალიზმი, რომელიც ლენინის იდე-
ოლოგიაზე აღმოცენდა. ის საერთო სახლიც, საბჭოთა კავ-
შირს რომ უხმობდნენ და ველიკორუსული სულით იყო გაჟ-
ღენთილი, ქართველი ხალხისათვის ყოველთვის საპატიმრო
იყო. მაგრამ ძალადობა, ეკონომიკური ბერკეტები და სხვაგვა-
რად შენიღბული მანქანები თავისას აკეთებდა და ქართვე-
ლებსაც დაეტყოთ მერყეობა, ვითარცა ლერწამს ქართაგან
ძლიერთა. ამ მერყეობის ნაყოფს ვიმკით დღესაც. უნდა მო-
გახსენოთ, რომ ახლაც გარკვეული ძალები გამიზნულად და
გეგმაზომიერად ცდილობენ ქართული სულის დაკნინებას. თუ
ადრე ამას იქმოდნენ იმიტომ, რომ შეექმნათ საბჭოთა ადამი-
ანი, რომელიც მოკლებული იქნებოდა ყოველგვარი ეროვნუ-
ლობის შეგნებას, დღეს ცდილობენ საერთო ევროპული სახ-
ლის წინწამოწევით და მასში საქართველოს სრული ინტეგ-
რირებით შექმნან ერთგვარი „ევროპელი ადამიანი“, აბუნად

აიკიდონ ქართველობის ცნება და იგი, როგორც უკვე აღვნიშნე. პროვინციალიზმის გამოვლინებად მიიჩნიონ. ერთი სიტყვით, თუ შეიძლება ასე ითქვას, იქმნება „ახალი ევროპის შეერთებული შტატები" ან, თუ გნებავთ, „ძველი საბჭოთა კავშირი", რომელიც დიდ საფრთხეს უქადის მცირერიცხოვანი ერების ფიზიკურ არსებობას და მოასწავებს მათ მთლიან გადაგვარებას. მე კარგად მესმის, რომ დასავლურ ქვეყნებთან ურთიერთობის გარეშე საქართველო ვერ იარსებებს და ყველა პროგრესულად მოაზროვნე კაცი ამას უნდა მიესალმოს, მაგრამ ეს ურთიერთობა უნდა ეფუძნებოდეს თანასწორუფლებიანობას და ბატონისა და ყმის ურთიერთობაში არ უნდა გადაიზარდოს. ახლა, როცა არაფერი გვაბადია და სამათხოვროდ ხელი გვაქვს გაწვდილი, როგორც კი საერთო ეკონომიკურ ქვაბში ვტუცავთ თავს და ნებისმიერ საეჭვო ალიანსზე წამოვეგებით, საქართველოს დაკაბალებისა და მონობის გარდა არფერი ელის. ეფიქრობ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვინ მოგვეველინება ბატონ-პატრონად — რუსი თუ ამერიკელი. სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამჟამად ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინ წამოწევა, ამ გრძნობების ხოტბა-დიდება და ეროვნულის გაცამტვერება შემთხვევით არ ხდება. ეს არის შორსგამიზნული პოლიტიკის შედეგი.

მეორე, გრიგოლ რობაქიძის რეაბილიტაცია მართლაც „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე დაიწყო. ეს ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო. მაგრამ ის რომ მთელი სიცხადით აღვიქვათ, უნდა გავიხსენოთ, თუ რა ხდებოდა მაშინ და როგორ ებრძოდნენ კომუნისტური იდეოლოგიის მსახურნი ამ ღირსეულ ქართველს. ამის სრულად წარმოდგენა ახლა შეუძლებელია და ჩვენი ინტერვიუს ფარგლებს სცილდება, მაგრამ რამდენიმე შტრიხი მაინც უნდა გავიხსენოთ. აი, თუნდაც ერთი ამონარიდი: „მტრები თავს გვესხმიან ჩვენ, ჩვენს დღევანდელ დღეს და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ისეთ თვალსაჩინო მოღვაწეებს, როგორიც იყენენ სერგო ორჯონიკიძე, ფილიპე მახარაძე, მიხა ცხაკაია და სხვები. ეს გასაგებიც არის. კლასობრივი მტრები ცეცხლს უშენენ პარტიის ავტორიტეტებს, ისინი სერგო ორჯონიკიძეს „ქართველი ხალხის უღირს შვილს" უწოდებენ. ძნელია, თუნდაც მტერმა,

თაეს ნება მისცეს და ასეთი სიტყვები იკადროს. ჩვენ ვამბობთ, რომ სერგო ორჯონიკიძე ჩვენი ხალხის, ჩვენი პარტიის, ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი ღირსეული შვილია". ძვირფასო მკითხველო, არ გეგონოს, რომ ეს სიტყვები 1937-ში დაიწერა და მისი ავტორიც იმ საშინელი რეპრესიების სულისჩამდგმელი იყოს. ეს სიტყვები ითქვა 1974 წელს და იგი ეკუთვნის საქართველოს კომპარტიის ცეკას მაშინდელ პირველ მდივანს. იმავე წერილში ედუარდ შევარდნაძე ილაშქრებს „მოღალატე სოლჟენიცინების, სახაროვების და ჩვენი საზოგადოების სხვა ანტიპოდების" წინააღმდეგ და საბოლოო განაჩენი გამოაქვს დიდი ქართველი მწერლის გრიგოლ რობაქიძის მიმართ: „ბოლო უნდა მოეღოს ამგვარ ოფიციალურ და არაოფიციალურ ლაპარაკს პროფაშისტური მწერლის რობაქიძის გარშემო და დროა სამუდამოდ დავტოვოთ ეს პოლიტიკური ემიგრანტი და მისი გვამი იქ, სადაც არის, ესე იგი საფლავში" („კომუნისტი", № 33, 8.11.1974). საბედნიეროდ, ქართველმა ხალხმა არ გაიზიარა თავისი „ხელმძღვანელის" ეს მკაცრი და არაობიექტური განაჩენი. მადლობა ღმერთს, რომ დღეს გრიგოლ რობაქიძეს, მისი ანდერძისამებრ, ქართველი პატიოსანი მანდილოსანნი სანთლებს უნთებენ სვეტიცხოველში.

— თბილისში მოხდა რამდენიმე აფეთქება. რას გვეტყვით ამის და, საერთოდ, დივერსიების შესახებ?

— უკვე ვთქვი, რომ ვგმობ ყოველგვარ დივერსიულ გამოხდომებს, რომლებიც ზიანს აყენებენ ხალხს, მით უმეტეს, ისეთ დივერსიებს, რომელთაც უდანაშაულო ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვება. მათი ჩამდენნი სამაგალითოდ, უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. მაგრამ საგანგაშოა ერთი გარემოება. დღემდე თითქმის არცერთი დივერსიული დანაშაული არ არის გახსნილი, მაგრამ თუკი არის გახსნილი, ძალზე საეჭვო და დაუჯერებელ სიტუაციებშია გამოვლენილი. თავისთავად ისმის კითხვა: რატომ ხდება ასე? ადამიანს ისეთი ეჭვიც აღეძვრება, რომ სამართალდამცავ ორგანოებს აინტერესებთ არა იმდენად ნამდვილი დამნაშავის გამოვლენა და დასჯა, რამდენადაც ამ ფაქტების ხელოვნური დაკავშირება ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ რეგიონთან.

ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ახლა ძალმომრეობა ბატონობს, რაც შედეგია დეკემბერ-იანვრის თვეებში ჩადენილი უკა-

ნონობისა. როგორც წესი, უკანონობა შობს უკანონობას, იარაღის ძალით დათრგუნვა – იარაღის ძალითვე დაპირისპირებას. მაგრამ მე მაინც კატეგორიული წინააღმდეგი ვარ ბოროტების ძალისმიერი მეთოდებით დათრგუნვისა, რამეთუ ძალადობით მიღწეული გამარჯვება სახეცვლილ ბოროტებას ბადებს. გამარჯვების მისაღწევად ყველა გზა არ არის გამართლებული!.. წინააღმდეგ შემთხვევაში, ველარ გავარკვევთ, რომელია ქრისტეს გზა და რომელი – ბარაბას გზა, ველარ განვასხვავებთ ჯვარცმულ ქრისტეს მის გვერდით გაჯვარული ორი ავაზაკისაგან.

– უკანასკნელ ხანს გამწვავდა ვითარება სამაჩაბლოში, ამას დაერთო გორის ტრაგედიაც. რას ბრძანებდით ამის შესახებ?

– უნდა მოგახსენოთ, რომ ველოდი მოვლენათა ამგვარ განვითარებას. ეს გახლავთ უკვე ზემოხსენებული მოდელის მესამე საფეხურის დასაწყისი, რომლის მიზანიც არის საქართველოს ტერიტორიის დაქუცმაცება, მისი მთლიანობის რღვევა და ქართველი ერის გენოციდი. ამას გეგმაზომიერად ახორციელებს დღეს რუსეთის იმპერია, რაშიც, სამწუხაროდ, ლომის წილი მიუძღვით ბოლო დროს საქართველოში მომრავლებულ რუსეთის ემისრებს. აშკარაა, რომ შიდა ქართლის პრობლემასთან მჭიდროდაა დაკავშირებული აფხაზეთის საკითხიც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როგორი წარმატებაც გვექნება სამაჩაბლოში, ისეთივე შედეგს მივაღწევთ აფხაზეთშიც. ეს ყველამ კარგად უნდა გავიგოთ – ვიქნებით პოლიტიკოსები თუ ერისკაცები. საქართველოს არა აქვს უფლება არცერთი გოჯი მიწის გაცემისა, თუნდაც მისი დაცვა სიცოცხლის ფასად დაგვიჯდეს. გორის ტრაგედიაც არ უნდა იყოს შემთხვევითი ისევე, როგორც არ უნდა იყოს შემთხვევითი ამ ტრაგედიისა და თბილისში მომხდარი აფეთქების თანადროულობა. აშკარაა, რომ გვარდიელები შეიტყუეს სამხედრო ნაწილში და იქ ანგარიში გაუსწორეს. ხომ ცხადია, რომ ჭკუათმყოფელ ადამიანს არ მოუვა თავში რამდენიმე ათეული გვარდიელით „სამხედრო ქალაქის“ აღება. შემთხვევითი არ იყო სამხედროების მზადყოფნა და მთელი გორის დაუნდობელი დარბევა. არც ისაა შემთხვევითი, რომ ბოლო დროს რუსეთის სამხედრო ავიაცია აშკარად ჩაება ქართველ გვარდიელებთან ბრძოლაში. ეფიქ-

რობ, ეს გახლავთ როკის გვირაბის საბედისწერო დანიშნულების დასალიერი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ამ ტრაგედიის ინსპირატორებად აღმოჩნდნენ ის ადამიანები, ვინც დაიწყო და სული ჩაუდგა ზემოხსენებული გვირაბის გაყვანას.

აქვე ერთი გარემოებაც უნდა აღვნიშნო. გორში დატრიალებული ტრაგედია, რომელმაც ოცზე მეტი ყმაწვილის სიცოცხლე შეიწირა, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ იმადაც არ ჩააგდო, რომ გლოვის დღე გამოეცხადებინა და ამ შემზარავი ფაქტის გამო განგაში აეტეხა, გაკადნიერებული რუსი ჯარისკაცისთვის კი სათანადო ადგილი მიეჩინა, ანუ მიებრძანებინა საქართველოდან. ხოლო საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მემორანდუმს ხაზბულატოვის განცხადებისა და რუსის ჯარის აშკარა აგრესიის შესახებ რუსეთის საინფორმაციო გადაცემა „ვესტი" ერთგვარი სარკაზმით შეხვდა და ამ მეტად სერიოზული პოლიტიკური პრობლემის მოგვარება შესაძლებლად მიიჩნია ნანი ბრეგვაძის ნამღერი რუსული რომანსების წყალობით(!). თუმცა სხვას რას უნდა მოველოდეთ მათგან?! დამაფიქრებელი სხვა გარემოებაა. ახლა, როცა სამაჩაბლოში ასე გეიჭირს ქართველებს, როცა იქ ასეთი სისასტიკით უსწორდებიან ჩვენს თანამემამულეებს, ხმას არავინ იმაღლებს!.. უფრო მეტიც, სამეგრელოში ვილაშქრებთ „წესრიგის" დასამყარებლად – თანაც მერამდენედ?! რა წესრიგიც მოჰყვება ასეთ სამხედრო ექსპედიციებს, ყველას კარგად მოეხსენება და მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

– ახლოვდება არჩევნები. რა აზრისა ხართ მასზე?

– უკვე არაერთგზის გამოვთქვი ამ არჩევნებისადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება. ჯერ ერთი, ის მიმაჩნია უკანონოდ, რადგანაც უკანონობაზეა აღმოცენებული. მეორეც, ყოველად წარმოუდგენელია იმ ვითარებაში, რომელიც დღეს საქართველოში სუფევს, მოხერხდეს რამდენადმე დემოკრატიული და ობიექტური არჩევნების ჩატარება. მესამეც, ხალხმა ერთხელ უკვე გააკეთა არჩევანი და მას არავითარი სურვილი აღარ უნდა ჰქონდეს კვლავაც მიიღოს მონაწილეობა იმ ფარსში, რომელიც სულ ცოტა ხანში დაიდგმება. თუმცა „სახელმწიფო საბჭომ" ისეთი საარჩევნო კანონი გამოცა, რომ არა აქვს რაიმე მნიშვნელობა, მიიღებს თუ არა საერთოდ ხალხი არჩევნებში მონაწილეობას. მაგრამ ამგვარ ტრაგიკომიკურ

ფარსებს დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია და საბოლოოდ მათ „წარმატებასაც" გარდაუვლად ელის კრახი.

აქვე ერთსაც დავსძენ. უკვე იწყება ე. წ. საარჩევნო კამპანია. განსაკუთრებით იკვეთება ედუარდ შევარდნაძის ცაში აყვანისა და გაკულტების ტენდენცია, რაც ზოგჯერ გულისამრევ ფორმებს იძენს. ამასთანავე, როგორც წესი, გვთავაზობენ შეპირისპირებით დახასიათებას. ლანძღავენ, მიწასთან ასწორებენ პრეზიდენტს და დითირამბებს ასხამენ და ადიდებენ ე.წ. მომავალი პარლამენტის სპიკერს. უმეტესწილად ეს ლანძღვა და ხოტბა მოკლებულია ობიექტურობას. ასე, მაგალითად, ედუარდ შევარდნაძე გამოჰყავთ ღვთისმოშიშ, მორწმუნე ადამიანად, ხოლო ზვიად გამსახურდია ურწმუნო ანტიქრისტედ. კი მაგრამ, ამას დაიჯერებს ის ადამიანი, ვისაც მეხსიერება არ დაკარგვია?! მერე კიდევ, დროების მსახურთ უკვირთ, რატომ ვერაფერი შეიგნეს ამ „ზვიადისტებმაო" მარტივად უნდა ვუპასუხო ახალი დროების ახალი ტიპის აგიტატორებს: ამა წლის იანვრიდან მოყოლებული მათ იმდენი გაუგონარი და აშკარა ტყუილი თქვეს, იმდენი ცილი დასწამეს პრეზიდენტს (რომელი ერთი გავიხსენოთ: 700 თუ 200 მილიონი მანეთის წაღება, 40 კგ ოქროს გატაცება, მეგრულ-აფხაზური რესპუბლიკის შექმნის სურვილი, მოწოდება აღმოსავლეთ საქართველოს დალაშქვრისა, ოსების გენოციდი, საქართველოს დაშლისა და ამ გზით ესენგეში შესვლის წადილი და სხვ.), ცამდე მართალნიც რომ იყვნენ, არავინ დაუჯერებს. ერთსაც ვურჩევდი, თუ არ ეწყინებათ — საქმეში მეტ-ნაკლებად ჩახედულმა ყველა ადამიანმა იცის, რომ უსაზღვრო და უსაფუძვლო ქებაც და ლანძღვაც უკუშედეგს იღებს!

P. S. ინტერვიუ დასაბეჭდად გადაცემული მქონდა, როცა აფხაზეთში მოჩვენებითი სიმშვიდეც დაირღვა. ადრე უკვე ვთქვი, რომ აფხაზეთში მოვლენათა განვითარება ბევრწილად იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა წარმატება გვექნებოდა სამაჩაბლოში. როგორც ყველასთვის ცნობილია, შიდა ქართლში პოზიცია დავთმეთ და ფაქტობრივად ეს მხარე დავკარგეთ, რაზეც მრავალი რამ მეტყველებს, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ერთი მაინც უნდა აღვნიშნო, დღემდე ცხინვალის რეგიონში ერთი ქართველიც ვერ ჩასახლებულა, მაშინ

როცა არამკვიდრი ოსი მოსახლეობით გაიესო იქაურობა (უკანასკნელი მონაცემებით უკვე დაასახლეს 30 ათასი ოსი). როგორც ჩანს, სამაჩაბლოს დროებითი სიმშვიდე ამგვარი დათმობის ხარჯზეა მიღწეული. ამან გაათამამა აფხაზური სეპარატიზმი, რომელიც უკვე კარგა ხანია, თითქმის 70 წელია, იფურჩქნება რუსეთის იმპერიის და ზოგიერთი ქართველი ვაიპოლიტიკოსის წყალობით.

ამჯერადაც ვ. არძინბამ, ჩემი ღრმა რწმენით, რუსეთის წაქეზებითა და ხელშეწყობით გადადგა რადიკალური ნაბიჯი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოაცხადა და იგი გამოყო საქართველოდან. მის ამ არაკანონიერ ნაბიჯს, გასაგები მიზეზების გამო, კონსტიტუციურად ვერ დაუპირისპირდა სახელმწიფო საბჭო, ამიტომაც მან გადაწყვიტა სამხედრო ნაწილები შეეყვანა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, რისი მორალური და იურიდიული უფლებაც ჰქონდა, მაგრამ ამგვარ გადაწყვეტილებას რომ შეიძლებოდა შეიარაღებული კონფლიქტი მოპყოლოდა, ესეც კარგად უნდა სცოდნოდათ და განესაზღვრათ კიდეც, სადაც ჯერ არს.

მართლაც, აფხაზეთში გაჩაღდა სისხლისმღვრელი ომი, რომელშიც, ჩემი ღრმა რწმენით, რუსეთის მალული თუ აშკარა მცდელობით მონაწილეობს მრავალი ეროვნების დაქირავებული „ბოევიკი", კერძოდ, ადიღეელები, ყაბარდოელები, ჩერქეზები, ოსები, ჩეჩნები, ლეკები, სომხები, აზერბაიჯანლები და, რაც მთავარია, როგორც თავად რუსეთის საინფორმაციო საშუალებები გვაუწყებენ, კაზაკობა და რუსები. ამასთანავე, უკვე რამდენიმეგზის რუსეთის სამხედრო ძალები აშკარად ჩაერთვნენ ბრძოლებში და ანტიქართული პოზიცია დაიჭირეს. უფრო მართებულად, ქართველების პოზიციებს შეუტიეს, თუმცა რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება და მისი პრეზიდენტი აცხადებენ, რომ ნეიტრალიტეტი უჭირავთ და სუვერენული რესპუბლიკის შინაურ საქმეებში არ ერევიან. ეს სიტყვით, თორემ საქმით სულ სხვა ვითარებაა. მიუხედავად ამისა, ქართული აგიტაციის საშუალებები, როგორც ჩანს, ხელისუფლების მითითებითა და ხელდასხმით, ისე ხატავენ საქმის ვითარებას, თითქოს ჩვენს სამშობლოს ყველაზე დიდი საფრთხე ჩეჩნეთიდან ემუქრებოდეს. ყველასათვის გასაგებ მიზეზთა გამო ყოველივე ჩეჩენს ბრალდება. ამ ტენდენციურობასაც შეე-

გუნებიდა ქაცი, უფრო ყურაგული და შორს გამიხნული ხრახვებთან რომ არ გექონდეს საქმე: რუსეთიცა და ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილიც აშკარად ცდილობს, რომ ხალხს აუბნიოს გზა-კვალი და ერთგვარად გადამალოს ჯოჯოხეთის ცეცხლის კერა, საიდანაც ყველაზე დიდი საშიშროება გველის. უფრო მეტიც, ნამდვილ მტერს მოყვარედ გვიხატავენ. ცოდვები ყველას უნდა მოეკითხოს, მაგრამ ყველაზე უფრო დიდ ცოდვილს – უფრო მკაცრად, თორემ ამან შეიძლება გამოუსწორებელ შედეგამდე მიგვიყვანოს.

ასეა თუ ისე, დღეს საქართველოს ომი გამოუცხადეს. ასეთ ვითარებაში ყველა, ვისთვისაც სამშობლო ძვირფასია, ერთად უნდა დადგეს მისი მთლიანობის დასაცავად. ყოველგვარი უთანხმოება თუ პარტიული დაპირისპირება უნდა უკუვაგდოთ და მამულის წმიდათაწმიდა სიყვარული და უზენაესობა წამოვწიოთ წინ. ასე უნდა მოიქცეს ყველა პატიოსანი ქართველი, ჭეშმარიტი მამულიშვილი. მაგრამ რა ხდება ჩვენში? ოფიციოზი და მისი მხარდამჭერნი ცდილობენ ისტერიული ფსიქოზი გააღვივონ ხალხში, საქართველოს მთელი უბედურების მიზეზად კანონიერი ხელისუფლება და მისი მომხრეები გამოაცხადონ, ისე ხატავენ საქმის ვითარებას, თითქოს ეს ომი მათ დაეწყოთ, ჩენნებიც მათ შეეიარაღებინოთ და საბრძოლველად გამოეგზავნოთ. ამიტომაც საჯაროდ მოუწოდებენ მათ მოკვეთას თუ ფიზიკურად განადგურებას. ღმერთო, ნუ გვიწყენ და, ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ ე. წ. სახელმწიფო საბჭოს და მის მესვეურთ ის უფრო აინტერესებთ ანგარიში გაუსწორონ კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს, ვიდრე მომხდურ მტერს! ეს კი აძლიერებს იმ მოარულ ეჭვს, რომ „აფხაზეთის აქციის“ წამოწყების ერთ-ერთი მთავარი მიზეზთაგანი სწორედ ეს ანგარიშსწორება იყო.

დასასრულს, ომი დაუნდობელია. მან მრავალი ქართველი ახალგაზრდის სიცოცხლე შეიწირა. პირადად მე ღრმად მწამს, რომ ყველა ქართველი, რომელიც სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დაიღუპა, მიუხედავად ავადსახსენებელი პოზიციისა, ერის სამსხვერპლოს შეწირული გმირია და მათ ხსოვნას სრულიად საქართველოს დედები სანთელს უნდა უნთებდნენ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს წმიდათაწმიდა სისხლი მამულის ტერიტორიული მთლიანობისთვის დაიღვარა. ამიტომაც ჩვენ,

ცოცხლებმა, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, აღარ უნდა ვფიქრობდეთ ერთი გოჯი მიწაც, აღარ გვაქვს უფლება უკან დახევისა! თორემ, წინაალმდეგ შემთხვევაში რა გამოვა?! თუკი აფხაზეთში შეიქმნება გამყოფი ზოლი, თუკი იქაც ინტერნაციონალური საომარი ძალები, გნებავთ, დაარქვით „სწრაფი რეაგირების“ ნაწილები (რუს-აფხაზ-ქართველთა შემადგენლობით) დაამყარებენ ისეთ სიმშვიდეს, როგორიც სამაჩაბლოში სუფევს, რაც ფაქტობრივად აფხაზეთის დაკარგვის ტოლფასი იქნება, მაშინ ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: რატომღა დავღვარეთ ამდენი სისხლი? ვის აძლევს ხელს ამდენი ახალგაზრდის დაღუპვა? დეკემბერ-იანვრის დღიდან ხომ იმდენი ქართველი დაიღუპა, რომ დათვლაც და აღრიცხვაც გაგვიჭირდა! უფრო დიდი ეჭვიც აღგვეძვრება: რა არის ეს, თუ არა ქართველთა გენოციდი და საქართველოს სახელმწიფოს შეგნებული დაქუცმაცება?! დიახ, ეს ეჭვი გაგვიჩნდება და არც თუ უსაფუძვლოდ...

1992 წელი

ქართული ცნობიერებიდან ამოზრდილნი ისევ ქართულ ცნობიერებას უნდა დავუბრუნდეთ!

– ბატონო ელიზბარ, გასულ წელს, დეკემბერში 60 წელი შეგისრულდათ. ეს არის ადამიანის ცხოვრების მნიშვნელოვანი თარიღი, დათვსილის მომკის ჟამი. ახლა, როცა „დამჯდარი გონებით“ შეგიძლიათ გადააველოთ თვალი განვლილ წლებს, რას იტყვით, მოსამკელი მოიმკეთ თუ არა?

– სამოცი წელი მართლაც ანგარიშგასაწევი თარიღია. 50 წლის შემდგომ ადამიანი დაღმართზე ეშვება, ხოლო 60 წლის მერე კი ისეთი დამრეცი იწყება და ისეთი სისწრაფით მიექანები ქვემოთ, რომ არ იცი, სად და როდის წამოკრავ ფეხს და გაგორდები. ერთი სიტყვით, სული კი შემრჩა ახალგაზრდული, მაგრამ ხანი და ენერგია ძველებურად ვეღარ მომდევს. რაღა ბევრი გავაგრძელო და სიბერე მჭირს, რაც უცხოეთში ერთობ ძნელი ასატანია. ქართველთა საყვარელმა პოეტმა, ჩემმა მეგობარმა ენვერ ნიჟარაძემ ემიგრაციაში დაწერა პოემა. ზოგიერთი პწკარი შემორჩა მეხსიერებას და ნიადაგ თავში მიტრიალებს:

მე ვერ მოვკვდები უცხოეთში, უცხო მხარეში,
ვერას დიდებით ვერ ჩავწვები ციე სამარეში...
ჩემი თოქალთო მირჩევნია სხვათა ხალიჩებს,
ჩემი აქ დაფვლით მტერს სიხარულს ვერ მივანიჭებ...
მომშორდი, სევდავ, ნუ მიდგეხარ, დარდო, კრიჭაში,
მე ვერ ჩავწვები, ვერ ჩავწვები უცხო მიწაში...

როცა ჩემს განვლილ ცხოვრებას გონების თვალს გადავავლებ, ვფიქრობ, რომ ურიგოდ არ მიცხოვრია. მოსამკალისა კი, აბა, რა გითხრათ?! იმიტომ არ ვმუშაკობდი, რომ საკუთარი ბეღელი ამევსო, მამულის ყანაში გულით მომუშავე მუშაკი ვიყავი, მსგავსად ათასობით ქართველისა. რაც მოვიმკეთ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, კარს მოგვიხტნენ ნაძირალა ყაჩაღები, ქვეყანა აგვიწიოკეს და აგვიოხრეს, ქართველ ხალხს შიმში-

ლით სიკვდილი არგუნეს, მე კი აქ, გერმანიაში – ზეზეული ხმობა!

– სავსებით მესმის თქვენი გულისწუხილისა. ალბათ, საქართველოში რომ შეხვედროდით ამ თარიღს და არა აქ, გოტინგენში, სულ სხვა განწყობა გექნებოდათ და უფრო ნათელ, ოპტიმისტურ ფერებში წარმოგიდგებოდათ აწმყო და მომავალიც.

– რა თქმა უნდა, საქართველოში რომ შევსწრებოდი ამ თარიღს, სულ სხვა ეშხი და პეწი ექნებოდა და სხვა „განზომილების" სუფრა გაიშლებოდა. მოყვასნი და მეგობარნი თავს მოიყრიდნენ, ქართული ლხინი გაჩაღდებოდა, ქართული სული მიწიერებას მოსწყდებოდა, ამაღლდებოდა, დარდს და კაეშანს ჩავწიხლავდით, იმედის და აღტყინების კარს გავუხსნიდით ჩვენს მეობას... მაგრამ რას იზამ! ბედმა ასე ისურვა, რომ გერმანიაში წამომწეოდა ეს თარიღი. როგორც შეგვეძლო, აქაც ქართული ცეცხლი დავანთეთ.

საერთოდ, როცა კაცი სამშობლოს წყდება, თუ ის ადამიანია და არა, ნიცშეს სიტყვები რომ გავიმეორო, „მოაზროვნე ბაყაყი", მხოლოდ წამიერი იმპულსებით ცოცხლობს. მისთვის დიდი ღამე ისადგურებს, წყვდიადში იძირება და ოდენ წამიერად უნათდება სული, როცა ახერხებს ეროვნულ სულთან, ეროვნული ჯიშის ფესვებთან კონტაქტის დამყარებას.

– სამშობლოდან გადახვეწილი ადამიანი ხშირად ავიწყდებათ. როგორ ფიქრობთ, თქვენ რომ საქართველოში ყოფილიყავით, თქვენს საიუბილეო თარიღს უფრო დიდი საზოგადოებრივი ჟღერადობა არ ექნებოდა? არც იმას გამოვრიცხავ, რომ თქვენთვის იუბილე გაეშართათ..

– რა გითხრათ?! არ მგონია... ხომ გაგიგიათ, თვალი თვალს რომ მოშორდება, გული გადასხვაფერდებაო. ზოგიერთი, ეტყობა, ამ ხალხურ სიბრძნეს იზიარებს და ამით ინუგეშებს თავს. მე კი სენეკას ერთი შეგონება უფრო მახსენდება, ლუცილიუსისადმი მიწერილ წერილში რომ წარმოთქვა: მეგობარს გადასახლებაში თან უნდა წაჰყეეო. გადასახლებაში თანხლებას ნამდვილად არავის ეთხოვ, მაგრამ გახსენებას კი. ამას მე ზოგიერთი ახლობლისა და მეგობრის გამო მოგახსენებთ, თორემ ჩემი პერსონა არ იმსახურებს საზოგადოების დიდ ყურადღებას და არც იყო სასურველი ამის გამო აჟიოტაჟის აღუხვა.

რაც შეეხება იუბილეს, უნდა გითხოთ, რომ პირადად მე იუბილეების და „ღირსების ორდენების" ჩამორიგების წინააღმდეგი ვარ. მით უმეტეს არ მომწონს, როცა საღ-სალამათ კაცს იუბილეს უხდიან. ასე მგონია, ცოცხალ ადამიანს სამოქალაქო პანაშვიდს უმართავენ-მეთქი.

მე კი არა, მუხრან მაჭავარიანმა თქვა უარი იუბილეზე და იცით რატომ?! დღეს ქართველი ხალხი ფიზიკური ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე დგას, შიმშილით სული ძვრება, მას სამაოხოვროდ გააშვერინეს ხელი, თავად ჩვენ სამშობლოს დედამიწის ზურგიდან გაქრობა ემუქრება და აბა, რომელ ჭკუათმყოფელ მამულიშვილს დაამშვენებს იუბილეზე ფიქრი?!

– ამგვარ ლოგიკას თუ მივყვებით, ბატონო ელიზბარ, მაშინ არც ბატონ ზვიად გამსახურდიასთვის უნდა გადაგვეხადა იუბილე, 60 წლისთავი და ისიც ოპერის თეატრში.

– არა, როგორ გითხრათ. არიან მოღვაწეები, რომელთა სახელის გახსენება ყოველთვის სასურველია, მეტიც, რაც უფრო უჭირს ერს, მით უფრო საჭიროა მათი სულის გამოხმობა, რათა ხალხს იმედის ნაპერწკალი აღვუნთოთ და მებრძოლის შემართება დავუბრუნოთ. საქართველოს განმათავისუფლებელი და პირველი პრეზიდენტიც – ზვიად გამსახურდია ამ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის. ასე რომ, ზვიად გამსახურდიას იუბილე უნდა აღნიშნულიყო სრულიად საქართველოში. ამავე დროს, ამ დღეებს არა იმდენად საზეიმო ხასიათი უნდა მისცემოდა, რამდენადაც საბრძოლო. მას უნდა ჰქონოდა მძლავრი პოლიტიკური ეღერადობა. ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხული სახელის და მისი უკვდავი სულის გახსენებას კიდეე ერთხელ უნდა გაემთლიანებინა ღირსეული ქართველები, ერთ მუჭად შეეკრა ეროვნული ძალები, დაერაზმა უსამართლობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ დღეებში უნდა მომხდარიყო ქართული სულის აღზევება, ქართული ცნობიერების განწმენდა იმ ლაქებისაგან, ასე უხვად რომ მიაცხეს და გააბინძურეს ახლადგამოჩეკილმა კოსმოპოლიტებმა. აი, ასეთ შემთხვევაში მივაგებდით ღირსეულ პატივს მის ხსოვნას!

ახლა დაზუსტებით ვერაფერს გეტყვით, სად, როგორ დონეზე აღინიშნა ეს თარიღი და მიიღო თუ არა ამ დღეებმა ასეთი დატვირთვა. მაგრამ ის კი შევიტყვე, რომ იუბილეს გამართვის მთავარმა ინიციატორმა ეს ღონისძიებაც კიდეე ერთხელ გამოიყენა ღირსეულ მამულიშვილთა გასარიყად.

ხოლო ამჟამინდელი უკანონო და ანტიეროვნული ხელისუფლების მიერ გამოყოფილი ოპერის თეატრში იუბილეს გადახდა, რომლის დროსაც მავანი ცდილობდა უფრო საკუთარი პერსონის წარმოჩენას, ვინემ პირველი პრეზიდენტისათვის პატივის მიგებას, და თანაც ასეთ დონეზე და ვითარებაში, როცა ზვიად გამსახურდიას ერთგული, ღირსეული თანამებრძოლნი არ იქნენ მიპატიჟებულნი, ცოტა უხერხულია. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, ასეთი იუბილე მის სახელს პატივს კი არ მიაგებს, არამედ ჩრდილს აყენებს.

ზვიად გამსახურდია კერძო პირი როდია! ის არ ეკუთვნის მხოლოდ მის ოჯახს, იგი სრულიად საქართველოს, მთელი ქართველი ხალხის განუყოფელ ნაწილად იქცა. ამიტომ მის სახელს განსაკუთრებული მოფრთხილება უნდა და იგი მთელი ერის ზრუნვისა და ჭირისუფლობის ობიექტად უნდა იქცეს. ერი კი თავისი „კოლექტიური ცნობიერების და მახსოვრობის" მიხედვით ჭრის, ვის უჭირისუფლოს და ვის არა და არასოდეს ანგარიშს არ უწევს მავანთა, კონკრეტულ პირთა კაპრიზებს და ახირებებს.

— ბატონო ელიზბარ, მე სხვაზე უფრო კარგად ვუწყი, თუ როგორ გიჭირთ სამშობლოდან მოშორებით ყოფნა, რა წამებად გქცევიათ ყოველი წუთი ახლობლებს, მეგობრებს და მშობლიურ მიწას მოწყვეტილს. როგორ გიხმობთ მიწის ყივილი... თქვენ კი ლამის სამშობლოს მტრად და მოღალატედ გამოგაცხადეს იქ, თქვენს ქვეყანაში... ადამიანურად გული არ გწყდებათ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა! რას იტყვის არჩევაძე ჩემზე, ამას ჩემთვის სავსებით არ აქვს მნიშვნელობა. აი, გული მაშინ დამწყდებოდა, რომ ამ ქალბატონის შედგენილ „მოღალატეების" თუ „სუკის აგენტების" სიაში არ მოეხვედრილიყავი... დამწყდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ ამ საეჭვო დროს და ვითარებაში საეჭვოდ მოელენილმა თვითმარქვია ლიდერმა ყველა ის ეროვნული მოღვაწე, ვისაც გონება, ნიჭი, ზნეობა და საქმისადმი ერთგულება მოეკითხებოდა, მოღალატედ გამოაცხადა. ამის მიზეზი კი, თუ კარგად ჩაუკვირდებით, ის არის, რომ ყველა „მტრად" შერისხული პიროვნება თავისი განათლებით, ცოდნით, ნიჭიერებით, აზროვნებით, სამშობლოს

სიყვარულით, მამულიშვილური ღირსებით და ავტორიტეტით გაცილებით მაღლა დგას. ეიდრე ეროვნული მოძრაობის ახალგამომცხვარი „ბაირახტარი" და ამ უკანასკნელს „ტაშისმკვრელად" ვერ დაუდგებოდა...

აი, ზუიად გამსახურდიას რომ ეთქვა ეს, გული დამწყდებოდა. ხოლო მისი ცოლი თავის „დედათა იწრო ბუნებით" რას წამოროშავს, ეგ საკვლევით არ აინტერესებს ქართველთა უმეტეს ნაწილს და არც მე, მათ შორის...

საგანგაშო და საწუხარი იმათ აქვთ, ვისაც იგი მტრად არ აცხადებს და მოყვარედ მიიჩნევს, რადგანაც სულ ცოტა ხანში თავში ხელების საცემად გაუხდებათ საქმე... მითქვამს მე და აწი მათ იციან...

— კეთილი, მაგრამ ის ხომ, ასე ვთქვათ, „რიგითი" ქალბატონი არ არის, ის საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივია. ამიტომ, ვგონებ, გვმართებს თუნდაც პრეზიდენტის სულის პატივმისაგებად მეტი მოკრძალება გამოვიჩინოთ მისდამი. თანაც იგი „ეროვნული მოძრაობის ლიდერია" და „დიდი პოლიტიკური მოღაწე". ასე რომ, მის აზრს ანგარიშს უწევენ.

— მხოლოდ ერთ რამეში გეთანხმებით, — მას პატივი უნდა ვცეთ, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის ქვრივს, მისი შვილების დედას და სათანადო ყურადღებაც მივაგოთ. დიახ, ყველა ნორმალურად მოაზროვნე ქართველი მას პატივს სცემს და აღიარებს, როგორც ქვრივსა და დედას და არა როგორც ზვიად გამსახურდიას დიდი ეროვნული საქმის მემკვიდრეს, რადგანაც ეროვნული მოძრაობის თავკაცობა მემკვიდრეობით არ გადადის. ეს დიდი მისია რომ ითავო, ამისათვის ადამიანს უნდა ამშვენებდეს ღვთით ბოძებული ნიჭი, დიდი განათლება, გამჭრიახი აზროვნება, პოლიტიკური ალღო, სამშობლოს უანგარო სიყვარული, კაცთმოყვარეობა, მიმტევებლობა, მაღალი ზნეობრიობა, სულიერი სიმტკიცე, გაუტეხელობა, შეუპოვრობა, თავდადება და მისთ. ამასთანავე, ხალხში უნდა სარგებლობდე დიდი ავტორიტეტით და სიყვარულით, რაც მიიღწევა თავგანწირვით, საკუთარი „მე"-ს უგულებელყოფით და ოდენ საქართველოს და ქართველი ხალხის ინტერესების წინ წამოწევით.

თუ არ ვცდები, პრეზიდენტის ქვრივის ბუნებრივი მონაცემები და ხასიათი საკვლევით არ აკმაყოფილებს ამ მოთხოვნი-

ლებებს. მეტიც, რადიკალურად განსხვავებული ანტისქემაში თავსდება. ასე რომ, მხოლოდ ცოლობა და პრეტენზიები ეროვნული მოძრაობის ლიდერობაზე არ გამოგვადგება, მეტიც, შეიძლება ხელისშემშლელიც აღმოჩნდეს ჩვენი სურვილის განსახორციელებლად.

კარგი იქნება, თუ ქალბატონი არჩვაძე შეიგნებს, რომ საქართველოს პრეზიდენტის მეუღლეობა საკუთარი არ არის მისი დამსახურება. ეს ბედისა თუ სხვა გარემოებების „ბრალია". მისი დამსახურება, სამწუხაროდ, მხოლოდ ის არის, რომ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეშივე დესტრუქციულ როლს თამაშობდა და დაშალა ყველა ჯანსაღი უჯრედი, რომელსაც კი ხელი შეახო.

დღეს კი თავისი უარყოფითი ველის არე კიდევ უფრო განავრცო. საკუთარი მეუღლის ავტორიტეტს ამოფარებული, ეიტყოდი, უტიფრად სარგებლობს იმ დიდი სიყვარულით, რაც ღვთით ხელდასხმულმა ზვიად გამსახურდიამ ქართველ ხალხში დაიმსახურა და ისე ირჯება, რომ სწორედ ზვიად გამსახურდიას მეუღლეს არ ეკადრება. იმითაც გათამამებული, რომ საზოგადოების შეგნებული ნაწილი ისევ და ისევ პრეზიდენტის ხსოვნის პატივისცემით არ აფასებს მის „გამოხდომებს" და დუმილს ამჯობინებს, თავს ვეღარ აკონტროლებს და ეგოცენტრიზმიდან ამოზრდილ უსაზღვრო ამბიციათა გამო კი არ აგრძელებს ღირსეული მამულიშვილის საშერ საქმეს, არამედ ანგრევს და საბოლოოდ ასამარებს მას. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ისევ და ისევ ზვიად გამსახურდიას წმინდა სახელის გადასარჩენად ყველამ, ვისაც სამშობლოს ხვედრი საკუთარ ბედზე მაღლა დაუყენებია, უნდა პირდაპირ, ყოველგვარი კუდის ქიცინის გარეშე თქვას სიმართლე.

სიმართლე კი მავანსა და მავანს არ ესიამოვნება, მაგრამ ეროვნულ საქმეს წაადგება!

მერე და, საიდან ასკვნით თქვენ, რომ იგი „დიდი პოლიტიკური მოღვაწე" და „ეროვნული მოძრაობის გამოჩენილი ლიდერია"?

— ამის შესახებ პრესა წერს და არაერთგზის!..

— აი, სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი. ამის პრეტენზია აქვს თავად მას. ამას დაბეჯითებით ნერგავდა ის გაზეთი, რომლის „უხურპაციაც" მოახდინა. ამას მიტინგებზე გაჰყვი-

რის რამდენიმე მორნილებით გამორნეული ადამიანი, დიდ ნათელ გონებას რომ ვერ დაიკვეხნის და, რაც მთავარია, ვითომ „თავისუფალი“, სინამდვილეში კი არსებული რეჟიმის მსახური და მხარდამჭერი გახეთები.

რა ხდება?! მაშინ, როცა ამ ე. წ. თავისუფალ პრესას ზვიად გამსახურდიასთვის „პირწავარდნილი ფაშისტისა და დიქტატორის“ გარდა სხვა ეპითეტი არ ემეტებოდა, დღეს რატომ ადიდებენ მის ქვრივს და რატომ აშუქებენ მის მოღვაწეობას ასეთი ნათელი ფერებით?! ღმერთო, შენ შეგცოდე და ამის შემსწრეს ასეთი ეჭვიც აღეძვრება: ხომ არ სურს ამჟამინდელ ხელისუფლებას ისეთი „მწყემსი“ შემოგვაპაროს, რომელიც საბოლოოდ დაღუპავს ეროვნულ მოძრაობას და მინდობილ ცხვრის ფარას ხრამში გადაჩეხავს?! განა მსგავსი მაგალითები ცოტა გვაქვს თუნდაც გუშინდელ და თუნდაც დღევანდელ საქართველოში; განა ცრუ დისიდენტები, ცრუ ერისშვილები არ მომრაველდნენ და ცრუ წინასწარმეტყველებიეით არ მოედნენ ქვეყანას?!

– ბატონო ელიზბარ, ქალბატონი მამანა არჩვაძის მოღვაწეობას ასე ნეგატიურად რომ აფასებთ, ამისათვის, ალბათ, გაქვთ ანგარიშგასაწევი არგუმენტები?

– სამწუხაროდ, მაქვს და არა ერთი და ორი. მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა და ამჯერად არ ვაპირებ, რადგან იგი ცალკე მსჯელობის საგნად მიმაჩნია. უახლოეს ხანში, ალბათ, დაწერ საგანგებო წერილს, სადაც წვრილ-წვრილად მოგახსენებთ ჩემს აზრს არა მარტო მის, არამედ საერთოდ, საქართველოში არსებულ „ქვრივთა ინსტიტუტის“ შესახებ. მაგრამ აქ აღვნიშნავ, რომ მანანა არჩვაძემ, რომელიც თითქოს დაუპირისპირდა თენგიზ კიკაჩეიშვილის „მრგვალ მაგიდას“ მცდარი პოლიტიკური კურსის გამო და ბრძოლა გამოუცხადა მას თავისი ჩამოყალიბებული „მრგვალი მაგიდის“ პლაცდარმიდან, სწორედ ეს მცდარი კურსი გააგრძელა და ეროვნული მოძრაობის დაშლის, დაქუცმაცების პროცესი ბოლომდე მიიყვანა და დააგვირგვინა.

დღევანდელი ეროვნული მოძრაობის უძრაობის და უსუსურობის უმთავრესი მიზეზები სწორედ ის არის, რომ იგი დაშლილია, დანაწევრებული და ურთიერთდაპირისპირებული... და ვიდრე ასე გაგრძელდება, რაიმე წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს. ამიტომაც, ღრმად მწამს, ვინც დღეს წინააღმდეგია

იმ ეროვნული ძალების გაერთიანებისა, რომელთაც; თავიანთი მოღვაწეობით და სიტყვით საქართველოს გადარჩენა სწადიათ და ამას წარსულის ქექვითა და ჩადენილი „ცოდვების“ გახსენებით ამართლებს, ის ბუნებით პროვოკატორი ან ბრიყვია, ან „გასაიდუმლოებული დაწესებულების“ საიდუმლო დავალებას ასრულებს.

სამწუხაროდ, ეროვნული მოძრაობის დაშლის პროცესს, რაც უკვე კარგა ხანია დაიწყო, აპირობებს არა მხოლოდ შემოგზავნილი აგენტების ძირგამომთხრელი ქვენა ქმედებანი, არამედ ასევე პიროვნული ამბიციები, ამპარტავნება და პირველობის სურვილი. ვაი რომ, გვავიწყდება ცხონებული მერაბ კოსტავას ფრთიანი ფრაზა: ჩვენ უნდა გვიყვარდეს ეროვნული მოძრაობა და არა ჩვენი თავი ეროვნულ მოძრაობაში!

— ეროვნული მოძრაობის განხეთქილების ვაშლი არჩევნებიც არის. ადრეც და ახლაც არჩევნებში მონაწილეობა დიდ უკმაყოფილებას იწვევს იმათში, ვინც კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომხრეა.

— მართალი ბრძანდებით. ახლოვდება არჩევნები და ნაცვლად იმისა, რომ ეროვნულმა ძალებმა დაიწყონ გაერთიანება, ისინი ისედაც დაშლილ-დაქუცმაცებულნი, კიდევ უფრო ნაწევრდებიან. მეტიც, ეს ძალები დაუნდობელ ბრძოლას გამოუცხადებენ ურთიერთს. „ბოიკოტის“ მომხრენი არ დაინდობენ არჩევნების მომხრეებს, ამის მწარე გამოცდილება უკვე გვაქვს: გასულ არჩევნებში ბლოკს „XXI საუკუნე“, რომელიც მთლიანად ეროვნული ცნობიერების ადამიანებისაგან იყო დაკომპლექტებული, ისეთი ძალითა და გამეტებით უტევდნენ „ბოიკოტისტები“, რომ მათთან შედარებით უკანონო ხელისუფლების გაცხადებული ხრიკები და „კვანტები“ უცოდველი ბავშვების თამაში გეგონებოდათ. ამ დალოცვილებს ასე თავგამეტებით უკანონო ხელისუფლებისათვის რომ შეეტიათ, დარწმუნებული ვარ, დღეს არც ეს რეჟიმი იქნებოდა და არც ჩვენ ვიქნებოდით ამ დღეში. ყოველ შემთხვევაში, ისინი რომ გვერდში ამოგვდგომოდნენ, მიუხედავად არჩევნების გაუგონარი გაყალბებისა, ეროვნული ცნობიერების ადამიანთა სოლიდური რაოდენობა შევიდოდა პარლამენტში და დღეს სულ სხვა პოლიტიკურ-მორალური ატმოსფერო იქნებოდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღსაშენებლად. მხოლოდ ჩვენს თავს უნდა დავაბრალოთ ის ფაქტი, რომ ამჟამად მოქმედ

პარლამენტში, რომელსაც, ჩვენი დიდი სურვილის და მცდელობის მიუხედავად, მსოფლიოს ყველა სახელმწიფო დღეს ერთადერთ ლეგიტიმურ საკანონმდებლო ორგანოდ მიიჩნევს, წამლადაც ვერ იპოვნით ეროვნული სულის ადამიანს, საქართველოს ინტერესები რომ პირადულზე მაღლა დააყენოს. ხოლო ისეთ ანტიეროვნულ ძალას, როგორიც არის ირინა სარიშვილ-პირუმოვას „ედპ", რომელსაც ლომის წილი უდევს საქართველოს დაქცევაში, ქართველი ერისა და ქართველი ხალხის ქომაგად და დამცველად მოაქვს თავი.

სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ეროვნული მოძრაობის ერთი ფრთა, არჩევნებში მონაწილეობის გამო ჩვენ რომ თავდაუზოგავად გვებრძოდა, დღეს გონს მოეგო და არჩევნების გზას დაადგა. ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო. მაგრამ პოლიტიკაში დაგვიანება შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს და ძალზე ეშიშობ, რომ მათი მატარებელი უკვე გავიდა და ისინი ბაქანზე ამაოდ მომლოდინეთა როლში არ აღმოჩნდნენ. ასე თუ ისე, ჩვენ უნდა მივესალმოთ მათ გადაწყვეტილებას და ვისურვოთ, რომ დროზე მოეგოს გონს ეროვნული ფრონტის ყველა ფრთა.

ამჯერად აღარ შევუდგები განსჯას იმის შესახებ, თუ ვის – „ბოიკოტისტების" თუ არჩევნების მომხრეების მხარეს არის სიმართლე, არც იმ არგუმენტებს განვიხილავ, ისინი წინ რომ წამოწევენ ხოლმე, ამის შესახებ თავის დროზე დავწერე ვრცელი წერილი და გამოვაქვეყნე გაზეთში „იბერია-სპექტრი" (1996 წ.). ამ პრობლემის შესახებ აზრი არ შემიცვლია. ამიტომაც ახლა აღარ გავიმეორებ ჩემს თვალსაზრისს, მით უმეტეს, რომ ამის გარშემო ვრცლად ვსაუბრობ მოგონებების წიგნში – „რაც მეხსიერებას შემორჩა", რომელსაც, ალბათ, ელირსება დღის სინათლე. მაგრამ ზოგიერთ მომენტზე მინდა შევაჩერო თქვენი და მკითხველის ყურადღება.

თქვენ ბრძანეთ, კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მომხრეები წინააღმდეგი არიან არჩევნებისო. ისე გამოდის, ვინც არჩევნებში მონაწილეობს, ის მხარს არ უჭერს კანონიერი ხელისუფლების აღდგენას?! ჰაი-ჰაი, რომ უჭერს და თანაც დიდი მონდომებით!.. ყოველ შემთხვევაში, მე ვერავინ დამწამებს იმას, რომ დიდი სურვილი არ მქონდეს ეროვნული და კანონიერი ხელისუფლების აღდგენისა... ასეთ შემთხვევაში ჩემი გარჯა ყოველგვარ აზრს კარგავს...

მაგრამ ცხოვრება სინათლის სისწრაფით გარბის და ყოველივე იცვლება. ის, რაც ვარგისი იყო გუშინ, დღეს უვარგისია, ის თეზისი, რაც ცოტა ხნის წინ აქტუალური იყო და ბრძოლის დევიზად გამოგვადგებოდა, დღეს უკვე შეიძლება ყავლგასულიც არის და გამოუსადეგარიც... ასე რომ, ჩვენ ესა თუ ის თეზა შეუვალ დოგმად კი არ უნდა ვაქციოთ ან ტაბუ დავადოთ, არამედ დროის შესაბამისი შინაარსით დავტვირთოთ. სხვათა შორის, ასეთმა დოგმატურმა აზროვნებამ დაღუპა მრავალი უძლიერესი სახელმწიფო და მათ შორის ბოლშევიკურიც... ერთი სიტყვით, მე იმის თქმა მინდა, რომ ის, რაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას სიცოცხლეში დიდი აზრით იყო დატვირთული და პროგრამულ შინაარსს შეიცავდა, დღეს შეიძლება სავსებით უფუნქციო და ჰაერში გამოკიდებული განცხადება აღმოჩნდეს, სხვათა თვალის ასახვევად და ჩვენი გულის დასამშვიდებლად რომ გავიძახით ოდენ.

ისე არ გამიგოთ, თითქოს იმას ვამტკიცებდე, კანონიერების აღდგენის იდეა მოძველდა და გაცვდა-მეთქი. არა, ეს იდეა, როგორც სამართლიანობის და ჭეშმარიტების არსის მომცველი, უნდა ცოცხლობდეს მანამ, ვიდრე კანონიერება არ აღდგება, მაგრამ იგი არ უნდა ვაქციოთ იდეა ფიქსად, ანდა მხოლოდ საპლაკატო დევიზად თუ არშიაშემოვლებულ „მონოგრამად", არამედ უნდა ვიზრუნოთ მისი ცხოვრებაში განხორციელებისთვის, რაც, როგორც მოგახსენეთ, საჭიროებს დროის შესაბამისი ბრძოლის ფორმებისა და ტაქტიკის გამოძებნას. აი, ამის შესახებ გვმართებს დაფიქრება... — მაგრამ ახლა ასე დავსვათ საკითხი — რატომ გვსურს ჩვენ კანონიერი ეროვნული ხელისუფლების აღდგენა?

— უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამით ჩვენ აღვადგენთ სამართლიანობასა და კანონიერებას, ხოლო ქართველ ხალხს ამ კატეგორიებისა და თავის თავისადმი რწმენასაც დაუბრუნებთ. ეს ძალზე სასურველია და მოსაწონიც, მაგრამ ის მაინც ვერ იქნება ჩვენი ბრძოლის მიზანი. სამართლიანობისა და კანონიერების აღდგენა ჩვენთვის მხოლოდ არის საშუალება, რისი წყალობითაც საბოლოო განადგურებისაგან უნდა გადავარჩინოთ და ვიხსნათ საქართველო და ქართველი ხალხი. როცა მებადური ბადეს ქსოვს, მას ბადე აინტერესებს არა როგორც თავის შრომის შედეგი, არამედ როგორც თევზის დაჭერის საშუალება. მაშასადამე, მებადურის გარჯის

„მიზნობრივი მიზანი" ბადე კი არ არის, არამედ თევზის დაჭერა. ასევე, ჩვენი ბრძოლის უმთავრესი და საბოლოო მიზანი საქართველოს გადარჩენა. დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს აშენება უნდა იყოს. სხვა მიზნებისთვისაც მებრძოლი ეროვნული ძალები, პირად ამბიციებს და ანგარებას აყოლილნი, მხოლოდ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას რომ ლამობენ, პირადად ჩემთვის ისევე მიუღებელია, როგორც დღევანდელი უკანონო ხელისუფლება.

ამიტომ საქართველოს გადასარჩენად ჩვენ ის კი არ უნდა დავისახოთ მიზნად, რომ გვინდა თუ არა, მანანა არჩვაძეს და მის „სელექციერებულ" „უზენაეს საბჭოს", დღეს რომ ეროვნული მოძრაობის ალამდარობას ჩემულობს, მივართვათ ხელისუფლება (ამას, ჩემი აზრით, ქვეყნისათვის უარესი დამაქცეველი შედეგები მოჰყვება), არამედ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ როგორმე ქვეყნის მართვის სადაოები ჩავაბაროთ ეროვნული ცნობიერების, ღრმად მოაზროვნე, პოლიტიკური ალღოს მქონე, უნარიან და საქმიან ადამიანებს, რომელთაც ნიჭიც შესწევთ და სურვილიც აქვთ ქვეყნის გადარჩენისა.

არ დაგიმალავთ და პირადად მე გულით მწადია პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელდასხმული უზენაესი საბჭოს აღდგენა. მწადია თუნდაც იმიტომ, რომ ის არის ერთადერთი კანონიერი, ეროვნული ხელისუფლება, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე მართლაც ზრუნავდა. მაგრამ, გამოგიტყდებით, ამის განხორციელება დღეს არარეალურად მესახება და ის ჩემთვის მხოლოდ აუხდენელ ოცნებად რჩება. პოლიტიკურ სარბიელზე კი ოცნებებით და ილუზიებით შედეგს ვერ მიაღწევ და უფრო რეალური, ფხიზელი თვალით უნდა განჭვრიტო მოვლენების განვითარება. დღევანდელი რეალობა კი იმას გვკარნახობს, რომ გასულ მატარებელს უკან ვეღარ დავაბრუნებთ. ამიტომაც უნდა მოვიკლათ წარსულ დროზე დარდი და ვშვათ მყოობადი. ერთი სიტყვით, უნდა მოხდეს ახალი დალაშქერა. ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭო და აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც სიმბოლო კანონიერების, სამართლიანობის, საქმისადმი ერთგულების და თავდადებისა, უნდა არსებობდეს და თავისი სამართლიანობის და კანონიერების იმიჯით მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს თავიანთ მოვალეობას ახსენებდეს და შიშის ზარს სცემდეს ანტიეროვნულ ძალებს, ხელისუფლება რომ ჩაუგდიათ ხელთ.

ახლა სხვა კუთხით განვიხილოთ პრობლემა: ვთქვათ, არ ვცელით თუ'ხას – აღვადგინოთ კანონიერი ხელისუ'ფლება და ჯიუტად ვამტკიცებთ, რომ ამ თუ'ხას ალტერნატივა არ გააჩნია. მაშინ, 'უკირველეს ყოელისა, რას მოვითხოვთ ამ თეზით, – 'უბრალოდ სახელწოდების გამო უზენაესი საბჭოს, როგორც სტრუქტურის განახლებას, თუ იმ ადამიანთა უფლებამოსილების აღდგენას, 1990 წელს ქართველმა ხალხმა რომ აირჩია. ბუნებრივია, ჩვენ გვაინტერესებს არჩეულ დეპუტატებს დაუბრუნდეს უფლებამოსილება, რადგანაც მათი უფლებათა გათელვით შეილახა ქართველი ხალხის ნება. ეს კი დანაშა'ულთა სიჭარბით გამორჩე'ულ ჩვენს დროში ერთ-ერთი 'უდიდესი დანაშა'ულია. „დემოკრატებმა" დემოკრატიას ხახაში მუ'შტი თუ იარაღი ჩათხარეს!..

ხოლო ქართველმა ხალხმა, როგორც ცნობილია, უპირველეს ყოელისა, ნდობა გამოუცხადა ზვიად გამსახურდიას და მერე იმ ოცდაათიოდე კაცს, რომლებიც თავის ნიჭით და განათლებით გვერდს უმშვენებდნენ მას. დიდზე დიდი ნაწილი კი ზვიად გამსახურდიას დიდი ავტორიტეტის წყალობით ისე მოხვდა ხელისუფლებაში, რომ ამას თავადაც არ მოელოდა.

რა ვითარება გვაქვს დღეს: საუბედუროდ, საქართველოს პირველი პრეზიდენტი ვერაგულად მოკლეს. მისი განგმირვით კი ერის მტრებმა ზურგში მახვილი ჩასცეს იმ ადამიანებს, კანონიერი ხელისუფლების აღდგენისათვის რომ იბრძოდნენ. ერთი სიტყვით, მათ სამართლიანი ბრძოლის ჟინს ფრთები მოსტეხეს და კანონიერ მოთხოვნას საძირკველი მოუნგრიეს. მერე, რაც მტერმა ვერ მოახერხა, შინაურმა დააგვირგვინა და მოუღო ბოლო: ყველა ის პიროვნება, რომელიც ნიჭით, გონიერებით, ზნეობით, საქმისა და პრეზიდენტისადმი ერთგულებით გამოირჩევა და ზვიად გამსახურდიას ეროვნულ-პოლიტიკური იდეების ღირსეული გამგრძელებელია, მანანა არჩვაძემ, მბრძანებლის კვერთხი რატომღაც ხელთ რომ იგდო, მტრად და მოღალატედ გამოაცხადა, ან, უკეთეს შემთხვევაში, გარიყა ბრძოლის ველიდან. ამით კი კანონიერების აღდგენის თავისთავად სამართლიან მოთხოვნას კიდევ უფრო დაენგრა ისედაც მორღვეული საძირკველი. მანანა არჩვაძის „სელექცირებულ" უზენაეს საბჭოში შემორჩნენ ის ადამიანები, რომლებიც იშვიათი გამონაკლისის გარდა, პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნიდნენ და ვერც ოდესმე შექმნიან. ეს გარემოებაც ერთგვარად აუფერულებს ზემოხსენებული იდეას.

მავანმა შეიძლება შესიშნოს, რომ ჩვენ კანონიერების აღდგენას მოვითხოვთ და არა ცალკეული პიროვნებისა და სახელებისო. იქნებ ასეთი შენიშვნა სამართლიანობის მარცვალს შეიცავს. მაგრამ, ჯერ ერთი, ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როცა კანონი კი არ განსაზღვრავს ადამიანთა ქცევას, არამედ ადამიანები სძენენ კანონს კანონიერებას. ამიტომაც არის, რომ თავისთავად სამართლიანი კანონი ბრიყვ და უსამართლო მოხელეთა წყალობით ხშირად გამრუდებულ შინაარსს იძენს და კანონიერება უკანონობის სამოსით იმოსება. ერთი სიტყვით, კანონი კანონიერების დონეზე რომ მოქმედებდეს, ეს ბევრწილად საზოგადოებრივ განვითარებასა და ადამიანთა შეგნებაზეა დამოკიდებული. ასე რომ, კანონის ძალმოსილება ადამიანთა ნათელმოსილებით არის გასხივოსნებული. მე კი ძლიერ ვშიშობ, რომ კანონიერი ხელისუფლების აღდგენის თავისთავად სამართლიანმა მოთხოვნამ იმ პოლიტიკოსთა წყალობით, რომლებიც პრეზიდენტის ქვრივის ახირებებს და უაზრო სურვილებს უტყვად ემორჩილებიან, სრულად არ დაკარგოს პირვანდელი ბრწყინვალება და კანონიერების ძალა.

მეორეც, რომელ კანონიერებაზე ვსაუბრობთ, როცა ჩვენ თავად ვქმნით უკანონობის უპრეცედენტო მაგალითს!

– აბა, როგორ ავხსნათ ის, რომ ელემენტარული წესების დაუცველად დაითხოვეს ზეიად გამსახურდიას ხელდასხმული უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც არ ისურვა პრეზიდენტის ქვრივის ნებაზე ჩიკორიეთ ბზრიალი, და აფრასიძის დაბადების დღეზე (დიახ, არ შემშლია – დაბადების დღეზე!) იმავე ქვრივის მითითებით და წარდგინებით „აირჩია“ ახალი პრეზიდიუმი და უზენაესი საბჭოს ახალი ხელმძღვანელობა. ეს ხომ შუა საუკუნეების ჯამბაზების სახელდახელოდ გამართულ სანახაობას უფრო ჰგავს, ვიდრე სერიოზულ საორგანიზაციო ღონისძიებას. ამ ქმედებით ხომ თავად ჩვენ ვაკნინებთ და აბუჩად ვიგდებთ ზემოხსენებული ინსტიტუტის კანონიერებას და ვუკარგავთ იმ პოლიტიკურ აზრს და, გნებავთ, კეთილშობილურ მისიას, რაც ჯერ შემორჩენილი აქვს მას ქართველი ხალხის თვალში და მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებაში.

ცხადზე ცხადია, რომ ქართველ ხალხს მანანა არჩვაძე უზენაეს საბჭოში არ აურჩევია, მით უმეტეს, არც იმის უფლება მიუნიჭებია, რომ მან თავის უგუნებო გუნებას მორგებული თარგით ჭრას და კეროს უზენაესი საბჭოს საქმიანობა. ეს

არის გაუგონარი მკრეხელობა, რომელსაც მსოფლიოში ანალოგია არ დაეძებნება! ასე რომ, კანონიერი ხელისუფლების იდეას პიროვნული ამბიციებით ნასაზრდოები უკანონო ქმედებებით ჩვენვე გამოვუცალეთ კანონიერების საფუძველი და დავუკარგეთ ოდინდელი მნიშვნელობა!

და, საერთოდ, ეროვნულ ძალთა დღევანდელ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ სპექტრს თუ წარმოვიდგენთ, ერთობ სავალალო სურათს მივიღებთ. სხვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ზვიადისტური ძალების დანაწევრების და დაშლის პროცესმა უკვე კომიკური ხასიათი მიიღო. აბა, გაიხსენეთ, ორი „ჭყონდიდელის“ საზოგადოება, ორი ჰელსინკის კავშირი, სამი ილია მართლის საზოგადოება, სამი „მრგვალი მაგიდა“, და ბოლოს, ორი უზენაესი საბჭო, უზენაესი საბჭოს ორი პრეზიდიუმი, უზენაესი საბჭოს სამი თავმჯდომარე და მისთ... და ვიდრე ჩვენ, არ ვიცი – შემოგზავნილი აგენტების, არ ვიცი – გავლენის აგენტების, არ ვიცი – ბრიყვი და ამბიციური „პოლიტიკოსების“ წყალობით ვჭრით და ვაქუცმაცებთ ეროვნული ბრძოლის დროშას და ნაკუწ-ნაკუწ ვინაწილებთ, გაიძვერა თეთრი მელა იგუდება სიცილით, თანაც მსუქან-მსუქანი ნაჭრებით პირს იგემრიელებს. და განა საქართველოს მტრებს, როცა შენ-ჩემობაზე დაფუძნებულ კინკლაობას, თავკერძობისგან წარმოშობილ გაწევ-გამოწევას ვაყურებინებთ, სალაღობოდ და სალხენად არ ვუხდით საქმეს?! ჰაი, ჰაი, რომ ჩვენ თავს ჩვენვე ვიმასხარავებთ და მტრებს ჩვენზე ვაცინებთ!

მაგრამ დავანებოთ ახლა ამას თავი. დავუშვათ რომ, ახლომხედველ პოლიტიკოსთა აზრით, ყველაფერი რიგზეა... მაინც, როგორ მივაღწიოთ კანონიერების და სამართლიანობის აღდგენას?!

მოვიქცეთ ისე, როგორც მოიქცა მანანა არჩვაძე და მისი ხელქვეითი „უზენაესი საბჭო“?! გამოვაცხადოთ, რომ ჩვენ ვართ კანონიერი ხელისუფლება და წავუყენოთ ულტიმატუმი ამჟამინდელ ფაქტობრივ პარლამენტს – დაგვითმეთ დროზე შენობა, თორემ მოვალთ და კუდით ქვას გასროლინებთო (დაახლოებით ასე გვაუწყეს საინფორმაციო საშუალებებმა). ეს არის ბრიყვული, მეტიც, პროვოკაციული ნაბიჯი, რომელსაც შეიძლება მოჰყოლოდა გამოუსწორებელი შედეგები და, თუ ამჯერად სისხლიანი რეჟიმი დასჯერდა ხალხის „ქალაქგარეთ გასეირნებას“, ეს იმიტომ, რომ თავად ასეთი ულტიმატუმიც არა-

სერიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებს და მათი წარმოსადგენლებიც ანგარიშგასაწევ ძალად არ მიანნია. სხვა შემთხვევაში ასეთ ნაბიჯს დიდი სისხლისღვრა მოჰყვებოდა...

აბა, მითხარით, შეიძლება დავუშვათ, რომ ადამიანები, რომლებმაც მახვილით და სისხლით ჩაიგდეს ხელში ხელისუფლება, თავის ნებით გადადგნენ და მონანიების გზას დაადგნენ?! ან იქნებ ამ აქციის ორგანიზატორებს ჰგონიათ, რომ ამ ულტიმატუმებით შიშს მოჰგვრიან და „სტრესულ" მდგომარეობაში ჩააგდებენ დღევანდელ ხელისუფლებას, ათასგვარი გაიძვერობის ქურაში რომ არის გამოწრთობილი, და ისინიც, თავგზააბნეულები, იტყვიან: მობრძანდით, ბატონებო, კანონით თქვენი ყოფილა ეს ადგილები და ღმერთმა შეგარგოთ... არა, ასეთი რამ არც მომხდარა და არც მოხდება!

მაშ, კიდევ რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ ამგვარი აქციისაგან! ალბათ იმას, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობას ვაფიქსირებთ, უფრო მართებულად ვაცხადებთ, რომ ამჟამინდელი ფაქტობრივი ხელისუფლება უკანონოა, ჩვენ კი ვართ კანონიერი ხელისუფლებაო. ამას, რა თქმა უნდა, აქვს პოლიტიკური ჟღერადობა. მაგრამ, თუ დამცავი მექანიზმი არ გაგვაჩნია, მაშინ ფაქტობრივ ხელისუფლებას, რომელიც რეალურ ძალას ფლობს, დღეს მოქმედი კანონით ვაძლევთ საშუალებას, ერთიანად აკრიფოს „უზენაესი საბჭოს" აქტივისტები და ვირის აბანოში ამოაყოფინოს თავი..

ერთი სიტყვით, არსებობს ფაქტობრივი ხელისუფლება, რომელიც ჩვენ სამართლიანად უკანონოდ მიგვაჩნია, მაგრამ მთელ მსოფლიოს – კანონიერად, და მას აქვს რეალური ძალაუფლება. ამიტომაც, გვინდა თუ არა, ანგარიშს ვუწევთ მას. და არსებობს კანონიერი, მაგრამ უძალაუფლებო ხელისუფლება, რომელსაც აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა, ამიტომაც სასურველია, ნუ დავუკარგავთ მას ამ დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას და, როცა საქართველოს ცა თავზე ემხობა, ნუ დავიწყებთ „ხელისუფლებიანობის" თამაშს, ნუ დავიღლით თავს „განუხორციელებელი" ბრძანებების წერითა და გამოქვეყნებით და უფრო სერიოზულ საქმეს მოვკიდოთ ხელი. სერიოზული საქმე კი, ჩემი აზრით, ეროვნული ძალების გაერთიანება, ხალხის დარაზმვა და კონსტიტუციით დაშვებული ბრძოლის მეთოდებით არსებული რეჟიმის მოშორებაა და მის ადგილას ისეთი ხელისუფლების დამკვიდრება, რომელიც მხოლოდ საქართველოს მომავლით იქნება დაინტერესებული.

გავიხსენოთ მაინც რა „ცივილიზებული“ გზები არსებობს ამ მიზნის მისაღწევად. პირველი – ხალხმრავალი მიტინგები და დემონსტრაციები, როცა ასი ათასობით ადამიანი გამოვა პროტესტის ნიშნად ქუჩებში და უმართავი სიტუაცია შეიქმნება. საერთო-სახალხო გაფიცვები, როცა ხდება წარმოება-ფაბრიკებისა და ტრანსპორტის პარალიზება და ა. შ.

საქართველოს დღევანდელ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, ამ გზით ვერაფერს გავხდებით. ჯერ ერთი, ვერავის გავფიცავთ, რადგან ყველა ისედაც „გაფიცულია“. საქართველოს ეკონომიკური ბერკეტი უკვე გადატეხილია, მოშლილი და დაქცეულია სოფლის მეურნეობა, მრეწველობა. კარგა ხანია ფაბრიკა-ქარხნები ბუთა და ჭოტთა საბუდრად ქცეულა ოდენ... ასე რომ, რაც უნდა ვეცადოთ, ჩვენ სამშობლოს უარეს გაუსაძლის დღეში ვერ ჩავაგდებთ.

ვეღარც ხალხმრავალ მიტინგებს და დემონსტრაციებს ემართავთ. ქართველი ხალხი დაიღალა, ეკონომიკურმა სიდუხჭირემ წელში გატეხა, პოლიციელების და „ომონელების“ აღვირახსნილმა თარეშმა შეაშინა, ძალმომრეობამ და უკანონობამ დათრგუნა, უშედეგო ბრძოლამ გული გაუტეხა. მართალია, მთლად არ გადაუწურავს იმედი და ხელი არ ჩაუქნევია, მაგრამ სულ მცირე წარმატების მიღწევა მაინც ესაჭიროება, რომ ძველებურად ისევ აბობოქრდეს. მერაბ კოსტავას ეზოში გამართული ორასკაციანი საინფორმაციო მიტინგებით კი, სადაც საყველპურო საკითხებზე უფროა საუბარი, ვიდრე ქვეყნისათვის სასიცოცხლო პრობლემებზე და სადაც ულირსთაგან ღირსეული მამულიშვილების ლანძღვა-გინება ისმის ოდენ, ამ მცირე წარმატებასაც ვერ მიეაღწევთ.

მეორე – ეს ხელისუფლება შეიძლება განიდევნოს არაკონსტრუქციული (არაკონსტიტუციური) მეთოდით – ამბოხითა და იარაღის ძალით. მაგრამ, რამდენადაც მე ვიცი, არცერთი ნორმალური ადამიანი, არცერთი პოლიტიკური საზოგადოება თუ პარტია ამ გზის მომხრე არ არის. როგორც მოგახსენეთ, ეს არ არის ცივილიზებული გზა ხელისუფლების შეცვლისა. თუმცა ის ხელისუფლება, რომელმაც ძალაუფლება სისხლისღვრით ჩაიგდო ხელთ, უარესს იმსახურებს. მახვილის ამღები მახვილითვე უნდა განიგმიროს! მაგრამ, როცა ამის დიდი შესაძლებლობა იყო, ეს ვერ შეეძელით, რადგან „მეგობარი“ რუსეთი ჩაერია საქმეში. ახლა მით უმეტეს, ამის არავითარი

„შანსი“ არ გაეკარებინა. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ყოველ ამ-ვარ „ამბოხს“ პროვოკაციის სუნი უდის. უნდა გავითვალის-წინოთ ისიც (და ეს არის, ალბათ, არსებითი), რომ ისედაც წელში გაწყვეტილი საქართველო ველარ გადაიტანს კიდევ ერთ სისხლისღვრას და საბოლოოდ განადგურდება. ჩვენი ბრძო-ლის მიზანი კი, როგორც შევთანხმდით, საქართველოს ხსნაა და არა ერთი ხელისუფლების მეორე, სასურველი ხელისუფ-ლებით შეცვლა. ასე რომ, ეს გზაც ყოვლად გაუმართლებე-ლია და მიუღებელი.

მესამე – დარჩა ერთადერთი გზა, არჩევნები, რომლის მეშ-ვეობითაც, კანონიერების დაცვით, არსებული იურიდიული და პოლიტიკური ნორმებით, ისე რომ ვერცერთი მტრულად გან-წყობილი ქვეყანაც ვერ შემოგვედავება, შეგვიძლია მივაღწი-ოთ გამარჯვებას.

ეს გზა აირჩია თავის დროზე ზვიად გამსახურდიამაც, თუმცა მას შეეძლო ბრძოლის სხვა მეთოდებითაც წარმატების მიღ-წევა. მაგრამ მან კარგად უწყოდა, რასაც იქმოდა. ამიტომაც მის წინააღმდეგ ყალყზე დამდგარმა „დემოკრატიულმა მსოფ-ლიომ“ ვერ დასწამა ის, რომ იგი უკანონო გზით მოვიდა ხელისუფლებაში და ვერც უკანონობა უსაყვედურა, არამედ ყურით მოთრეული „დიქტატორობა“ დააბრალა, რაც სულ მა-ლე ისტორიის ფურცლებზე შეფასდება, როგორც ჭეშმარიტე-ბის გაყალბების საუკეთესო ნიმუში.

მართალია, არც ეს გზა გახლავთ იოლი. ამჟამინდელი რე-ჟიმი ყველაფერს იღონებს, ათასგვარ გაიძვერობას და სიყალ-ბეს მიმართავს, რათა თავი შეინარჩუნოს და არჩევნებში გა-მარჯვებული გამოვიდეს. მაგრამ ჩვენ დიდი პოლიტიკური ბრძო-ლა გვაქვს გადასახდელი, ხოლო ბრძოლა ღომის ჭამა არაა (ღომმაც შეიძლება პირი დაგთუთქოს) და არც „ლობიობანა“.

და აი, თუ რამე ძალა და უნარი შეგვწევს, და თუ კიდევ სწამს ქართველ ხალხს ჩვენი (ვფიქრობ, რომ სწამს), არჩევნე-ბისათვის უნდა დავირაზმოთ: უპირველეს ყოვლისა, უნდა მი-ვაღწიოთ საარჩევნო კანონის შეცვლას, მის ისეთ დონეზე აყვანას, როცა ამჟამინდელ პარლამენტში თბილად მოკალა-თებული პარტიების „პრიორიტეტი“ აორთქლდება. მერე უნდა შევიმუშავოთ ისეთი საარჩევნო მექანიზმი, რომელიც გაყალ-ბებას გამორიცხავს. გარდა ამისა, უნდა გავიდეთ ხალხში, გავწიოთ დიდი პროპაგანდა, ავუხსნათ, გავაგებინოთ – ვინ

ვინ არის. მერწმუნეთ, თუ მოხერხდა მთელი ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, მაშინ ამის მიღწევა ადვილი შესაძლებელია და გამარჯვებაც ჩვენ დაგვრჩება!

მოდით კაცურად შეეთანხმდეთ ერთ რამეში – ნუ ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ როგორმე ჩვენი თავი გავიყვანოთ პარლამენტში, ნურც იმის გამო ავიშლით ნერვებს, თუ რიგით რომელი ვიქნებით საარჩევნო სიაში. ვიბრძოლოთ მხოლოდ იმისათვის, რომ საქართველოს პარლამენტში ღირსეულმა ქართველებმა დაიმკვიდრონ ადგილი, რომლებიც გონებითა და სამშობლოს უანგარო სიყვარულით დამშვენებულნი არიან. ერთი სიტყვით, ვიღვაწოთ არა ჩვენი კეთილდღეობისათვის, არამედ დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს აღსაშენებლად!

შესაძლებელია, ამჯერად ეროვნული ძალები პარლამენტის უმცირესობაში აღმოჩნდნენ, მაგრამ ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგანაც იმ შემთხვევაში, თუ მოხდება გარეთ დარჩენილი ეროვნული ძალების და მათი გაერთიანება, თუ „ქუჩის მოძრაობა“ მათ ზურგს გაუმაგრებს და პირუკუ, ისინი დაუდგებიან გარეთ მებრძოლ პატრიოტულ ძალებს, მაშინ შეიქმნება ისეთი დამრტყმელი ძალა, რომელსაც ხელეწიფება სამშობლოსათვის სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრა და რომელსაც, ნებსით თუ უნებლიეთ, გარე სამყაროც ანგარიშს გაუწევს. გარდა ამისა, რაც მთავარია, ასეთი „ერთობა“ მომავალში უეჭველად მოიპოვებს სრულ გამარჯვებას. განა ზვიად გამსახურდიას თავის დროზე ჰქონდა იმედი, რომ უზენაეს საბჭოში ხმათა უმრავლესობას მოიპოვებდა?! არა! როგორც პირადად ჩემთვის უთქვამს, ის იმედოვნებდა რამდენიმე ათეული კაცის გაყვანას უზენაეს საბჭოში. მერე კი „შიგნიდან“ და „გარედან“ ერთიანი ძალით უნდა შეეტია კომუნისტური რეჟიმისათვის. აი, ეს არის პოლიტიკური ბრძოლის გონიერი ტაქტიკა და არა ისეთი დევიზის წინ წამოწევა და ჯიუტად ამოჩემება, რასაც ცხოვრებაში განხორციელება არ უწერია. ახლა, როცა ურემი გადაბრუნებულია, საქართველოს და ქართველთა გადასარჩენად მე სხვა გზას ვერ ვხედავ. და, თუკი ასეთი არსებობს და მის ვარგისიანობასა თუ ეფექტურობაში ვინმე დამარწმუნებს, მზად ვარ აზრი შეეცვალო და მორჩილად გავუყვე მათ გაკვალულ ბილიკებს.

– ბატონო ელიზბარ, ვთქვათ, ღმერთმა გვისმინა და ეროვ-

ნულმა ძალებმა გაიმარჯვეს არჩევნებში. პრეზიდენტადაც სასურველი პიროვნება ავირჩიეთ. მერე როგორ მოვიქცეთ, რა გზას დავადგეთ: რუსეთის პოლიტიკური კურსი ავირჩიოთ თუ ამერიკული და ევროპული? დღეს ხომ პოლიტიკოსებს მიჯნავენ რუსული თუ დასავლური ორიენტაციის მომხრეებად...

– დავიწყოთ იმით, რომ დღეს საუბარი რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკურ კურსზე, როგორც ევროპულისაგან განსხვავებულ, მით უმეტეს, მასთან დაპირისპირებულზე, არ არის საფუძვლიანი მართებული. დღეს რუსეთს, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, აღარ გააჩნია სახელმწიფოებრივი პოლიტიკური კონცეფცია, რომელიც საერთო ევროპულისაგან დიდად განსხვავდებოდეს, ყოველ შემთხვევაში, რუსეთის ხელისუფლება სწორედ იმ მასონურ კურსს ატარებს, რასაც ევროპის სხვა სახელმწიფოები. ასე რომ, ჩვენში ბოლო დროს დამკვიდრებული გამოთქმები – „რუსეთის ორიენტაცია", „დასავლეთის ორიენტაცია" – ხელოვნური ხასიათისაა და განზრახ იყენებენ ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის დასახასიათებლად, რათა ქართველთა თვალში ერთი დაამცირონ, მეორე აღამაღლონ. ამიტომაც ასლან აბაშიძე რუსული ორიენტაციის მოღვაწედ ცხადდება, შევარდნაძე კი – დასავლურისა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს საფუძვლით არ ნიშნავს, რომ რუსეთს ამა თუ იმ რეგიონში არ გააჩნდეს საკუთარი ინტერესები, ამერიკისა და ევროპის სახელმწიფო მიზნებს რომ უპირისპირდება. ასე, მაგალითად, რუსეთს თავისი პოლიტიკური ინტერესები აქვს ბალკანეთსა და კავკასიაში, ხოლო ამერიკას – თავისი. ამ ინტერესთა შეჯახების შედეგად კი წარმოიშობა ლოკალური ხასიათის კონფლიქტები, რასაც, როგორც წესი, მოჰყვება ხოლმე ე. წ. ეთნიკური ომები, რომლებიც მიმართულნი არიან ისევ და ისევ მცირე ერების დასათრგუნავად და მოსასპობად. ეს კი საბოლოო ჯამში გაგრძელებაა იმ ანტიეროვნული სახელმწიფოებრივი კურსისა, „ახალი მსოფლიო წესრიგის" გენერალური გეგმა რომ სახავს. ამიტომაც, მაშინაც კი, როცა რუსეთის და ამერიკის ინტერესები უპირისპირდება ურთიერთს, ისინი მაინც ერთ პოლიტიკურ კურსს ატარებენ, რაც, უპირველეს ყოვლისა, მცირე ერების და მერე, საერთოდ, ეროვნებების გადაშენების მასონურ გეგმას ემსახურება. ვგონებ, დღეს არავის ეპარება ეჭვი, რომ კავკასიაში ეთნიკური კონფლიქტების გამჩაღებელი და სულის ჩამდგმე-

ლი რუსეთია. ამით ის ასუსტებს კავკასიის წამყვანი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის საფუძველს, ძაბავს მათ შორის ურთიერთობებს და ინარჩუნებს ამ რეგიონში გავლენას. ამასთანავე, ამ ეთნოკონფლიქტების წარმოშობას აბრალებს ეროვნულ-ნაციონალურ გრძნობებს, გმობს მათ და ვითომც „კეთილშობილური მისიით" „მშვიდობისმყოფელის" როლში გამოდის. სინამდვილეში კი, ველიკო-რუსული შოვინიზმით მოწამლული, ურცხვად იტაცებს სხვა ქვეყნის ტერიტორიებს, რაც სავსებით არ აწუხებს „სამართლიანობის დამცველ, დემოკრატიულ" მსოფლიოს... ასევე ამერიკაც აჩაღებს კოსოვოს კონფლიქტს, მერე ვითომც მცირე ერის – ალბანელების ინტერესების დამცველის როლს კისრულობს. სინამდვილეში კი სერბებსაც და ალბანელებსაც შავ დღეში ყრის და მერე, რაც მთავარია, დემოკრატიის დასამყარებლად ნატო-ს ჯარებს ანადგურებინებს უცოდველ სერბებს, რომელთა ერთადერთი დანაშაული ის არის, რომ მათ სურთ შეინარჩუნონ ერთიანი, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო (ამერიკის „დემოკრატიულ" ლაშქრობას სხვა მიზეზებიც აქვს, მაგრამ ამაზე აღარ შევჩერდები).

რას იზამთ, ასეთი ყოფილა მე-20 საუკუნის მიწურულის დემოკრატიის გავრცელების გზა – საქართველოში ის დაამყარა რუსულმა ტანკებმა და ზარბაზნებმა, სერბეთში ამას ამკვიდრებს ამერიკული ბომბდამშენი „სტელზი".

რა არის ეს, თუ არა ერების და ეროვნული სახელმწიფოების მოსპობის საერთო გეგმა, რომელსაც დემოკრატიის სახელით ახორციელებენ ზესახელმწიფოების ხელისუფალნი, მასონურ ელიტას რომ წარმოადგენენ!

მაგრამ პირველსავე სიტყვას მოვიდეთ. ამჯერად ჩვენთვის ის არის მნიშვნელოვანი, რომ არც რუსეთი და არც ამერიკა საქართველოს არ მიიჩნევს საერთაშორისო პოლიტიკური ცხოვრების სუბიექტად, რომელმაც თავისი ინტერესების შესაბამისი ამინდი უნდა შექმნას, არამედ ობიექტად, თავიანთი პოლიტიკურ-დიპლომატიური მიზნების მისაღწევ, უბრალო უჯრედს რომ წარმოადგენს მხოლოდ.

ჩვენდა საუბედუროდ, რუსული შოვინიზმისა თუ სიბრიყვის წყალობით, რუსეთს საქართველო თავის განუყოფელ ნაწილად მიაჩნია. ველიკო-რუსული შოვინიზმით დაბინდულ მათ გონებას ვერ წარმოუდგენია, რომ ქართველები, მათზე გაცი-

ლებით უძველესი კულტურის ხალხი, თავისი ეროვნულობის შენარჩუნებისათვის იბრძვიან და არ სურთ გადარუსება, რისთვისაც აგერ უკვე ორასი წელია იღვწოდა მეფის თუ ბოლშევიკური რუსეთი. დღეს კი ამასვე ცდილობს „დემოკრატიული“ რუსეთი. მაგრამ, რამდენადაც დიდი იყო დაწოლა, იმდენად მდგრადი იყო წინააღმდეგობა. ამიტომაც რუსეთის ეს სანუკვარი ოცნება კვლავ ოცნებად და განუხორციელებელ ილუზიად დარჩა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მათ თავიანთ ზრახვაზე ხელი აიღეს. ამიტომაც ის ვაი-პოლიტიკოსები, რომლებიც დღესაც რუსეთის „ძმობასა და მეგობრობას“ მისტირიან და კვლავ სურთ ყოფილ საბჭოთა „ძმურ ფერხულში“ ჩაბმა, ბრიყვებზე უფრო მეტად საქართველოს მტრებად უნდა მივიჩნიოთ.

ახლა რომ გითხრათ, ამერიკა და ევროპის მოწინავე ქვეყნები შევარდნაძის ხათრით საქართველოს თავის შვილობილად მიიჩნევენ და უანგაროდ ზრუნავენ მასზე, არ ვიქნები მართალი. ცხადია, მათაც თავიანთი სახელმწიფოებრივი ინტერესები აქვთ. ისინი ცდილობენ საქართველოს ეკონომიკურ დაპყრობას და თავისი უვარგისი საქონლის გასასაღებელ ბაზად გადაქცევას. ამიტომაც ის უცხო საფინანსო-საბანკო ორგანიზაციები, რესპუბლიკას კრედიტით რომ ასაზრდოებენ, ცდილობენ არა ქვეყნის ეკონომიკისა და მრეწველობის განვითარებას, არამედ, პირიქით, გაჩანაგებას და მოსპობას. ამას კი, ჩვენი ერის ინტერესების გამყიდველი ხელისუფლების წყალობით, ჯერჯერობით ახერხებენ კიდეც. ჩანს, მათ შორის არსებობს სიტყვიერი შეთანხმება-პირობა: ჩვენ შევინახავთ თქვენ რეჟიმს, თქვენ კი უნდა განაპირობოთ ჩვენი ეკონომიკური ბატონობა თქვენს ქვეყანაში. დღემდე, როგორც ირკვევა, ორივე მხარე პირნათლად ასრულებს პირობას.

მაგრამ უფრო მეტად საგანგაშო პირადად ჩემთვის ის არის, რომ მათ სურთ ქართველებს წაგვართვან ეროვნება. თუ რუსი გადარუსებას გვიპირებდა, ესენი საერთოდ ეროვნებას გვართმევენ. მათ სურთ ქართული ცნობიერება მოაშთონ, ქართველს თავისი ეთნიკური წარმოშობა დაავიწყონ და აქციონ ზნეობისა და ეროვნული გრძნობისაგან გაფილტრულ ისეთ რობოტად, რომელიც მათ საბანკო-საფინანსო ოპერაციებს ხელს კი არ შეუშლის, არამედ მიღებულ საინფორმაციო კოდს თუ ბრძანების სიგნალს მორჩილად შეასრულებს.

თუ რუსების განზრახვა ასე თუ ისე გაცხადებულიც იყო

და აშკარაც, ეს კი გვიადვილებდა ეროვნული ცნობიერების გადასარჩენად ბრძოლას, ამერიკის მიერ „დალაშქვრა" ძალული და შეუიარაღებელი თვალით ძნელად შესამჩნევი, მაგრამ როგორც უკურნებელი სენი, აღმოჩენილი თუ აღმოუჩენელი, დამღუპველია ორგანიზმისთვის, ასევე ეს ორივე, თითქოს ურთიერთისგან განსხვავებული, სახელმწიფოებრივი კოსმეტიკა მიმართულია საქართველოს და ქართველი ხალხის გადაშენებისაკენ.

— მაშ, რაღა უნდა ვქნათ? აღარ ყოფილა ჩვენი საშველი... როგორც იტყვიან, საითაც გავიქეცი, იქით წავიქეცით!

— მართალია, გასაქცევად კი გვაქვს საქმე, მაგრამ მაინც არ უნდა გავიქცეთ. თავქუდმოგლეჯილები რომ გავრბიეართ ხან რუსეთისაკენ და ხანაც ამერიკისაკენ, იმიტომაც ვიმტვრევთ თავ-პირს. ჩვენ მაგრად უნდა ვიდგეთ ჩვენ მშობლიურ მიწაზე, ქართველთა ინტერესებს ვემსახურებოდეთ და ქართულ სახელმწიფოს ვაშენებდეთ. ჩვენი სახელმწიფოებრივი კურსიც უნდა იყოს ქართული და არა რუსული თუ ამერიკული. ცხადია, ჩვენი სახელმწიფოებრივი განვითარება სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გარეშე წარმოუდგენელია, მაგრამ ეს ურთიერთობა უნდა იყოს თანასწორუფლებიანი და არა ბატონყმური, როცა ყმა ბატონის ნებისმიერ სურვილს უსიტყვოდ ასრულებს. მეტიც, ჩვენ უნდა ვეცადოთ ამ ურთიერთობისაგან უფრო მეტი სარგებლობა მოვუტანოთ საქართველოს, ვიდრე ჩვენგან გამოელიან სხვა ქვეყნები, თავისი ინტერესების შესაბამისად რომ იღვწიან.

საქართველოს პოლიტიკაც სწორედ ასეთი უნდა იყოს და გონიერი პოლიტიკოსობაც ის არის, რომ შენი მოღვაწეობით შენ ერსა და ქვეყანას დროების შესაბამისად, შეძლებისდაგვარად მაქსიმუმი სარგებლობა მოუტანო. ხოლო როცა საკუთარი სავარძლის გადარჩენის გამო უგულებელყოფ ეროვნულ ინტერესებს და დასაღუპავად იმეტებ ქვეყანას, ამას, უბრალოდ, კარიერისტობა ჰქვია და პოლიტიკანობის თამაში უფრო, ვიდრე სახელმწიფოებრივი მისიის აღსრულება. უფრო მეტიც, ასეთი მოღვაწეობა უნდა შეფასდეს, როგორც ერის ინტერესების ღალატი და ქვეყნის მტრობა!

მოკლედ, ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს თითქოს მარტივი და ნათელი ამოცანა აქვთ, მათ უნდა ჰქონდეთ ნორმალური ურთიერთობა როგორც რუსეთთან, ასევე ამერიკასთან.

ამასთანავე, იმოქმედონ სასწორისებური პრინციპით: გარკვეულ ვიოიარებაში იქით გადაიხარონ, საიდანაც ქვეყნისათვის უფრო მეტ სარგებლობას მოელიან. გარდა ამისა, უნდა შეძლონ ამ ურთიერთობების ბალანსირება. დღეს უმთავრესი მაინც ის არის, რომ ჩვენ შეეინარჩუნოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა, ქვეყნის კუთვნილი ტერიტორიები და, რაც მთავარია, ეროვნულობა. ამთავითვე უნდა შეეაგნებინოთ რუსებს, ევროპელებს თუ ამერიკელებს, რომ ქართველები ქართველობას არასდროს დათმობენ, სიცოცხლეს შეელევიან, თავიანთ რჯულს და რწმენას – არა! ასეთია ქართველთა ბუნება. ხოლო მოღალატე ნაძირლები, ერის ინტერესების გამყიდველი ცქირები ადრეც გამოერეოდნენ და დღესაც მრავლად არიან. მაგრამ, საბედნიეროდ, მათ ვერ შესწევთ ძალა თავის ეგოცენტრიზმს შესწირონ ქართველთა უმთავრესი ღირსება – სამშობლოს სიყვარულის გრძნობა, მათ ეროვნულ ცნობიერებას რომ ეფუძნება...

საერთოდ, ღმერთმა ისე შექმნა, რომ ყველაფერი და ყოველივე თავის საწყისს უბრუნდება: დედამიწაზე აორთქლებული წყალი ზეცაში ადის, ღრუბლად იქცევა და წვიმის სახით ისევ დედამიწას უბრუნდება. მიწაში ჩაფლული თესლი ნერგად ამოიყრება, ზეცისკენ გაიშვერს ტოტებს, მაგრამ ბოლოს, ნაცრად თუ ნეშომპალად ქცეული, კელავ მიწას უბრუნდება. მიწისაგან შექმნილი ადამიანის სხეული მიწადვე იქცევა, ღვთით შთაბერილი სული კი თავის პირველად საუფლოს დაუბრუნდება. მეოცე საუკუნის ადამიანი კოსმოსში გაფრინდა, მთვარეს ფეხი დააბიჯა, უფრო შორეულ მნათობებსაც შესწვდება, მაგრამ ბოლოს ისევ თავის თავს დაუბრუნდება, თავის მიკროსამყაროში ჩაიძირება, რადგან მისი დარი სამყარო ასტრალურ ზეცაში არ მოიძიება. ჭეშმარიტი ქართველი კაცის პოლიტიკური მერიდიანები, მეცნიერული ჭვრეტანი, მხატვრული თვალსაწიერი მსოფლიოს მოიცავს, კოსმოსურ განზომილებებს მისწვდება, მაგრამ ბოლოს ისევ სამშობლოს უნდა დაუბრუნდეს, რადგანაც ისაა მისი დედა-საწყისი...

სპარსელი კლასიკოსი ჯელალ-ედინ რუმი ბევრს მოგზაურობდა სხვადასხვა ქვეყნებში. ერთხელ, როცა ბაღდადის კარიბჭეს მიუახლოვდა, კარისკაცებმა ჰკითხეს: საიდან მოდიხართ და საით მიდიხართო? მან კი უპასუხა: ყველა ჩვენ ალლაჰიდან მოვდივართ და ალლაჰსაკენ დავუბრუნდებითო. ასეა,

ყველა ქართველი ქართული ცნობიერებიდან ვართ ამოზრდილნი და ისევ ქართულ ცნობიერებას უნდა დაეუბრუნდეთ. სხვა გზა ქართველთა სახსნელად ჩვენ არ გაგვაჩნია და ღმერთმა ნურც გაგვიჩინოს.

– დაბოლოს, ერთი კითხვაც: თქვენ თავად რას აპირებთ, მიიღებთ არჩევნებში მონაწილეობას თუ არა?

– აბა, ახლა რა გითხრათ?! მე ბუნება-ხასიათით პარლამენტარი არ გახლავართ, არც მიზიდავს პარლამენტში მოღვაწეობა. ამიტომაც მირჩევნია ვიბრძოლო იქ ღირსეულ ადამიანთა გასაყვანად, ვიდრე თავად დავიმკვიდრო ადგილი. მაგრამ თუ ამის აუცილებლობა იგრძნო ჩვენმა საზოგადოებამ, დავთანხმდები, მხოლოდ ერთი პირობით: ეროვნული ცნობიერების ყველა პატიოსანი, მოაზროვნე და ამ საქმისათვის მოწოდებული ადამიანი უნდა გაერთიანდეს, შეეშვას წარსულ „ცოდვათა“ განქიქებას და ერთიანი ძალით იბრძოლოს წარმატებისათვის. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩვენ მოვიპოვებთ როგორც პოლიტიკურ, ასევე მორალურ გამარჯვებას და, რაც მთავარია, ეს გამარჯვება საქართველოს ნათელი მომავლის საწინდარი იქნება.

სხვა რა გითხრათ. თუ თავმომწონეობაში არ ჩამომართმევთ, მე ვარ ერთი რიგითი ჯარისკაცი, თავისი ერის სიცოცხლის გადასარჩენად რომ იბრძვის და თუ მისი სიკვდილი გარდაუვალია, მაშინ მზადა ვარ, რომაელი ლეგიონერივით საკუთარი ფეხით ჩავიდე სამარხში...

მაგრამ ღრმად მწამს, რომ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ასე იოლად არ დაიღუპება და უმალ მათ დაამიწებს, ვინც მის სიკვდილს შეჰნატრის!

გოტინგენი
1999 წელი

სარჩევი

პუბლიცისტიკა

უკუნეთი 5

„საქართველოს სამრეკლო“ ზარებს დაარისხებს 30

მაიმუნის წელიწადი 38

ღია წერილი ამხანაგ ედუარდ შევარდნაძეს, ანუ ეს რა
კუკუშა გვყოლია– 59

„კოლხური კოშკი“ თავის სიტყვას იტყვის 100

ესე ამბავი შევარდნაძის გადადგომისა,
ანუ „ტუტუ, გამოეთხოვეთ–“ 109

ნაახალწლევს აღძრული ფიქრები 131

ღალატი– ღალატი– ღალატი... 140

ყველამ უნდა იცოდეს — ესაა შევარდნაძის დემოკრატია! 176

„საიქიოდან დაბრუნებული“ შევარდნაძე
პრეზიდენტობისათვის იბრძვის 181

საქართველოს მომავალი სასწორზეა შეგდებული 193

ურემი გადაბრუნდა, გზა მაინც არ ჩანს 200

მასვილითვე დაიღუპება?! 222

გადავარჩინოთ ქართული ცნობიერება,
ქართული გენი, საქართველო! 250

პოლემიკა

ღია წერილი ბატონ ნოდარ ლომოურს 312
„რა ვიცოდი, რა ვიცოდი მაშინ...“ 320
ვავა, ვავა, ფიფია, შენ! 330
შევარდნაძის ხელისბიჭთა „ბეუტური“ 341

ლიტერატურათმცოდნეობა

ვეფხისტყაოსნის სახისმეტყველება 355
ერისა და ერისკაცის მისია 370
„სახელი ჩემი არ გახდება არასდროს უტყვი“ 383
„საქართველოს მოღალატეს ოცდაათი ტყვია!“ 443
მუმლი მუხასაო... მუხა გადარჩაო, მუხრან! 459

ინტერვიუ

ჩემი ცხოვრების უმძიმესი წუთები 466
ქართული ცნობიერებიდან ამოზრდილნი ისევ ქართულ ცნობიერებას უნდა დავუბრუნდეთ! 490



ბიოგრაფია

ელიზბარ ჯაველიძე დაიბადა 1938 წელს, ქ. თბილისში. 1961 წელს დაამთავრა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. 1961 წლიდან მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ჯერ უმცროს, შემდეგ უფროს, დაბოლოს, წამყვან მეცნიერ-მუშაკად.

1966 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1975 წელს — სადოქტორო დისერტაციები. 1972 წელს მიენიჭა თსუ-ის თურქოლოგიის კათედრის დოცენტის წოდება, ხოლო 1988 წლიდან ამავე კათედრის პროფესორია. 1988 წელსვე იგი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

1985-1986 წლებში იყო ჟურნალ „კრიტიკის" მთავარი რედაქტორი, 1986-1990 წლებში გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარი რედაქტორი, ხოლო 1991-1995 წლებში — გაზეთების: „საქართველოს სამრეკლოს", „კოლხური კოშკისა" და „სამრეკლოს" გამომცემელი და მთავარი რედაქტორი.

1991 წელს საქართველოს უზენაესმა საბჭომ ე. ჯაველიძე დაამტკიცა საქართველოს განათლების მინისტრად; ამ თანამდებობაზე იგი მოღვაწეობდა 1992 წლის იანვრის პუტჩამდე. 1995-1999 წლებში იგი იმყოფებოდა ემიგრაციაში და ცხოვრობდა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. ამჟამად ე. ჯაველიძე საქართველოს პარლამენტის წევრია (ბლოკიდან „აღორძინება") და არჩეულია ადამიანის უფლებათა დაცვის, მოქალაქეთა პეტიციებისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. ამასთანავე, იგი არის დამფუძნებელი და მთავარი კონსულტანტი გაზეთისა „ახალი ერა".

ზოგიერთი გამოქვეყნებული ნაშრომი

მონოგრაფიები

1. რუჰი ბაღდადი. თბილისი, „მეცნიერება“, 1968.
2. ფუზული. თბილისი, „ნაკადული“, 1972.
3. У истоков турецкой литературы, I. Джелаль-ед-дин Руми (вопросы мировоззрения). Тбилиси; "Мецниереба", 1979.
4. У истоков турецкой литературы, II. Юнус Эмрея. Тбилиси, "Мецниереба", 1985.
5. შტუდიები. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1985.
6. დედე ქორქუთის წიგნი (თანაავტორი გ. შაყულაშვილი). თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987.
7. თურქული პოეტიკა. თბილისი, „განათლება“, 1988.
8. უკეთუ სულითა... თბილისი, „მერანი“, 1989.

სტატიები

9. რუჰი ბაღდადის მსოფლმხედველობის გაგებისათვის. „სუ შრომები, V, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 1965.
10. სუფიზმისა და აღმოსავლური ლირიკის ერთი საკითხის გარკვევისათვის. „ცისკარი“, №12, 1966.

11. ალიშერ ნავოის მსოფლმხედველობის გაგებისათვის. „მნათობი“, № 9, 1968.

12. თურქული სატირის ჩასახვისათვის. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №12, 1970.

13. ნესიმის მსოფლმხედველობის გაგებისათვის. „ცისკარი“, №12, 1972.

14. ნეფის სატირის ბუნების გაგებისათვის. აღმოსავლური ფილოლოგია, №3, 1973.

15. ჯელალ-ედ-დინ რუმის კოსმოლოგია. „მაცნე“, ფილოსოფიის სერია, №2, 1975.

16. სოფელი – ზეშთასოფელი. „მნათობი“, №3, 1975.

17. ევა მეიეროვიჩი – მისტიკა და პოეზია ისლამში. „მაცნე“, ფილოსოფიის სერია, №3, 1975.

18. ჯელალ-ედ-დინ რუმის მსოფლმხედველობის ერთი საკითხის გაგებისათვის. „მაცნე“, ფილოლოგიის სერია, №2, 1975.

19. შუა ღამეს ვიხილე მზე. „მნათობი“, №3, 1976.

20. პოეტი-წამებული. „ცისკარი“, №2, 1976.

21. სულხან-საბას ზნეობრივი მრწამსის გაგებისათვის. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, №3, 1979.

22. იუნუს ემრეს ცხოვრებისა და შემოქმედების ერთი საკითხი. ფილოლოგ. კრებული, №3, 1983.

23. Oh the Typology and method of research into mediaevel turkish poetry. Orhan Şaik Gökyay armağani, II. New-York, 1984.

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა შპს „ახალი ერას“
კომპიუტერულ ცენტრში

ოპერატორი გულიკო პაქაშვილი

პროგრამისტი პაატა ფეიქრიშვილი